9 (с 4)
9 (47.9)
ჩ 833

ნარკვევებში პირველწყაროებისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე განხილულია ჩრდილო კავკასიის ხალხების — ადიღეველების, ჩერქეზების, ყარაჩაელებისა და ბალყარების, ყაბარდოელების, ოსების, ჩეჩენ-ინგუშების, დაღესტნელების, კაზაკებისა და ე. წ. ინოგოროდნული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სურათი XVIII ს. ბოლოდან 1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე.

ნაშრომში გაშუქებულია ჩრდილო კავკასიაში რუსული მმართველობის შემოღების, მხარის კოლონიზაციის, მაჰჯირობის, საადგილმამულო-საგლეხო რეფორმების, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების, კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის განვითარების საკითხები.

რედაქტორი ზ. ანჩაბაძე

ჩ $\frac{10602}{М\ 607(06)-78}$ 166—78 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

წინასიტყვაობა

ნაშრომი წარმოადგენს ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევების გაგრძელებას — მეორე ნაკვეთს (პირველი ნაკვეთი გამოსცა „მეცნიერებამ“ 1969 წელს). ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოსთან ისტორიულად ინტენსიურ მრავალმხრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ზოგი მათგანი გენეტიკურადაც ენათესავებოდა ქართველ ხალხს. ქართული საზოგადოებრიობა ყოველთვის დიდი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩრდილო კავკასიის მოძმე მეზობელი ხალხების ისტორიული განვითარების გზას. სწორედ ამ ინტერესმა და ყურადღებამ განაპირობა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევების მეორე ნაწილის შექმნა.

ნარკვევების მეორე ნაკვეთში გაშუქებულია ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების საკითხები მათი ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდში — XIX ს. და XX ს. დამდეგს — თებერვლის რევოლუციამდელ ხანაში. ნარკვევების ავტორები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილების თანამშრომლები: პროფ. ზ. ანჩაბაძე (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი, პირველი ნაწილი, მეორე თავი), ისტ. მეცნ. დოქტ. თ. ბოცვაძე (პირველი ნაწილი, პირველი თავი), ისტ. მეცნ. დოქტ. გ. გასვიანი (მეორე ნაწილი), ისტ. მეცნ. დოქტ. გ. თოგოშვილი (მესამე ნაწილი), ისტ. მეცნ. კანდ. ა. შავხელიშვილი (მეოთხე ნაწილი, პირვე-

ლი, მეორე თავი), ისტ. მეცნ. დოქტ. ა. ლ ე ჟ ა ვ ა (მეოთხე ნაწილი, მესამე, მეოთხე თავი), ისტ. მეცნ. კანდ. მ. ც ი ნ ც ა ძ ე (მეხუთე ნაწილი).

ნარკვევების ბოლო, მესამე ნაკვეთი მიეძღვნება ჩრდილო კავკასიის ხალხთა საბჭოთა პერიოდის ისტორიას.

ავტორთა კოლექტივი ელის მკითხველი საზოგადოების შეხვავრს. ყველა საქმიან შენიშვნას იგი მადლობის გრძნობით მიიღებს.

პირველი ნაწილი

ჩრდილო კავკასიის ხალხები რეფორმამდელ ხანაში

პირველი თავი

ჩრდილო კავკასიის ხალხები 1801—1826 წწ.

XIX ს. დასაწყისისათვის, როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიის ეთნო და სოციალურ-პოლიტიკური ერთეულები არსებითად იგივე იყო, როგორც წინარე XVI—XVIII სს-ში.ეს ერთეულები არც XIX ს. დასაწყისისათვის წარმოადგენდნენ ეთნიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულ-პოლიტიკურად ერთიან ორგანიზმს, არ წარმოადგენდნენ ცალკეულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებს ან თუნდაც გაერთიანების გზაზე დამდგარ სახელმწიფო გაერთიანებებს, მაგრამ თავისი ეთნიკური წარმოშობით, ერთობლივი კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებით მაინც ქმნიდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ გარკვეულ ერთეულს. ამიტომ ჩვენ აღნიშნულ პერიოდშიც მათ პირობითად მოვიხსენიებთ ადიღე-ჩერქეზეთად, ყარაჩაი-ჩერქეზეთად, ყაბარდო-ბალყარეთად, ჩრდილო ოსეთად, ჩეჩნეთ-ინგუშეთად და დაღესტნად.

მართალია, XIX ს. დასაწყისისათვის ადიღე-ჩერქეზების კუთვნილი ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ამის მიუხედავად მათ მაინც ვრცელი ტერიტორიები ეკავათ. მათი საზღვრები შემოფარგლული იყო ჩრდილოეთით შავი ზღვიდან მდ. ყუბანის გაყოლებით მდ. ლაბის შესართავამდე. დასავლეთით საზღვარი გადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ხოსტამდე, სამხრეთით — კავკასიონის მთავარ ქედს ეყრდნობოდა მდ. ურუპისა და მდ. ბელაიას სათავეებში, ხოლო აღმოსავლეთით კი იგი გასდევდა მდ. ლაბას მარცხენა სანაპიროს. გარკვეული ცვლილებები განიცადა, აგრეთვე თვით ადიღურ-ჩერ-

ქეზულმა ეთნიკურმა ჯგუფებმაც. ხაქმე ისაა, რომ XVIII საუკუნესთან შედარებით, XIX ს. დასაწყისში მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, თუ XVIII ს. მათი საერთო რაოდენობა 18 ერთეულს (ტომს) აღემატებოდა, XIX ს. I ნახევარში იგი შემცირდა ათამდე. ადიღე-ჩერქეზთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შემცირება გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ფეოდალურ ურთიერთობათა თანდათანობით განმტკიცებისა და, მეორე მხრივ, ამ პროცესის აღმავლობის გამო ეთნიკური კონსოლიდაციისა და გაერთიანების შედეგად.

XIX ს-თვის ადიღურ-ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფებიდან ცნობილი იყვნენ: აბაძეხები, შაფსუღები, ნატუხაელები, ბესლენელეები, ბჟედუხები (შედგებოდნენ ხამიშეველებისა და ჩერჩენელებისაგან — თ. ბ.), თემირგოელები, ეგერუხაელები, მახოშეველები, მამხეგოელები და ხატუკაელები (გაქრნენ შემდეგი ტომები: გუაიე, შეგაკები, ჟანეელები, ადამეუელები და სხვები).

მკვლევართა უმრავლესობა ამ ტომების ეთნიკური ჯგუფების რაოდენობაზე ერთმანეთის გამომრიცხველ ციფრებს ასახელებს, რის გამოც ძნელდება მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა.

წყაროებისა და სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე უკანასკნელ წლებში რიგი ავტორებისა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ XIX ს. I ნახევრისათვის ადიღე-ჩერქეზთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 450—500 ათასს, რაც ჩვენც რეალურ ციფრად გვეჩვენება.

ადიღე-ჩერქეზების გარდა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანუ ადიღე-ჩერქეზეთში ცხოვრობდნენ არა ადიღური წარმოშობის ხალხებიც, კერძოდ, სომხები, ებრაელები, ნოღაელები, ბერძნები და ბოშები. XIX ს. პირველ ნახევარში ადიღე-ჩერქეზების სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ, მართალია, რამდენადმე განსხვავებული სახე მიიღო XVI—XVIII სს-თან შედარებით, მაგრამ ეს ცვლილებები უფრო რელიეფურად მაინც XIX ს. პირველი ნახევრის მიწურულზე გამოვლინდა, ვიდრე იმ პატარა მონაკვეთში (1800—1816 წწ.), რომელიც ჩვენ გვაქვს და ამდენად აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ მისი საერთო დონის ჩვენებით (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე მოვიქცევით ჩრდილო კავკასიის სხვა ეთნო-პოლიტიკურ ერთეულებთან დაკავშირებითაც — თ. ბ.).

ადიღე-ჩერქეზი ტომები პოლიტიკურად ერთ მთლიან სახელმწიფოდ არასოდეს არ გაერთიანებულან, რაც განპირობებული იყო მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების

დაბალი დონით. მთელი ადიღე-ჩერქეზეთი როგორც ადრეულ XVI—XVIII სს-ში, ისე XIX ს. დასაწყისშიც, შედგებოდა რამდენადმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თემებისა და პატარა სათემო კავშირებისაგან. ბოკლად, ის წარმოადგენდა პოლიტიკურად უაღრესად დაქუცმაცებულ მხარეს, სადაც ფეოდალურ-ტომობრივი დაქუცმაცებულობა ადიღე-ჩერქეზთა ცხოვრების ტიპიური ნიშანი იყო. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა XIX ს. პირველი ნახევრის ავტორი კარლგოფი, რომლის ჩვენებით არათუ მთელი ჩერქეზეთის მოსახლეობა, არამედ მისი შემადგენელი ცალკეული ტომებიც კი არასდროს არ წარმოადგენდნენ მთლიან პოლიტიკურ ერთიანობას; რომ თითოეული ტომი იყოფოდა რამდენიმე ცალკეულ კავშირად გვარების მიხედვით, ხოლო გვაროვნული კავშირები კი, თავის მხრივ, ცალკეული გვარებისაგან შედგებოდა. უფრო მეტიც, ცალკეული გვარები თავისთავად იყოფოდნენ კიდევ თავისუფალ მეთემეთა ცალკეულ ოჯახებად, რომლებიც საკუთარ ქვეშევრდომებთან და მონებთან ერთად შეადგენდნენ საზოგადოების პირველად უჯრედს, რგოლს, ამავე ავტორის მიხედვით, ადიღე-ჩერქეზთა ტომებს შიგნით არავითარი საზელმწიფოებრივი დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ხელისუფლება და სამოქალაქო კავშირი არ არსებობდა. ასეთ ვითარებაში მთელი საზოგადოება ემყარება პოლიტიკურ საწყისებს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველი გვაროვნული კავშირის წევრები და მათი განაყოფები ურთიერთდამცველები იყვნენ. საერთოდ, ადიღურ-ჩერქეზული ტომების შიდა პოლიტიკური სტრუქტურა XIX ს. დასაწყისში დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: პირველი რგოლი იყო ოჯახი, რომელიც სოციალურად დიფერენცირებული იყო. ეს ოჯახები ცხოვრობდნენ სოფელში —აულში, რომელიც ძირითადად გვარების მიხედვით იყო დაჯგუფებული. თითოეულ გვარს სათავეში ედგა მამასახლისი („თამადა“ — „ტხამატა“). ეს იყო მეორე რგოლი; მესამე რგოლი იყო ფსუხო, რომელიც წარმოადგენდა ტერიტორიულ თემს და აერთიანებდა ერთი ხეობის, ერთი ველის ან გარკვეული ტერიტორიული ერთეულის აულ-სოფლებს (დაახლ. 4-დან 10-მდე). ამ ფსუხოებში გვაროვნული პრინციპი ირღვეოდა, ან უკვე დარღვეული იყო. ფსუხოს „უმაღლესი ორგანო“ იყო ფსუხოს „სახალხო“ კრება — ზაუჩა, რომლის სათავეში იდგა უხუცესთა წრიდან არჩეული ერთ-ერთი მამასახლისი („თამადა“—„ტხამადა“); მეოთხე რგოლი იყო ხაბლი — საზოგადოება, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რამ-

დენიმე ფსუხო-თემებისაგან შედგებოდა. ხაბლ-საზოგადოების „უმაღლესი ორგანოც“ იყო სახალხო კრება.

ადიღურ-ჩერქეზული საზოგადოების პოლიტიკური წყობის ბოლო, მეხუთე რგოლი იყო ტომი — ჩილე (ჩილაგო), სადაც გაერთიანებული იყო რამდენიმე ხაბლი—საზოგადოება.

როგორც ვხედავთ, ადიღურ-ჩერქეზული საზოგადოების „უმაღლეს ორგანოს“ თავისებურად წარმოადგენდა სახალხო კრება, რომელიც იკრიბებოდა იმ რგოლების მიხედვით, რომლებზეც უკვე ზემოთ ვვქონდა საუბარი. აღნიშნულ კრებებზე უმეტესწილად იხილებოდა ოთხი რიგის საკითხები — პირველი მოიცავდა შიდაგვაროვნულ ურთიერთობებს, მეორე — საგვაროვნებათაშორისო ურთიერთობებს, მესამე — ომისა და ზავის საკითხებს, დაბოლოს, მეოთხე — საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხებს. აღნიშნულ კრებაზე ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე სხვადასხვა ტომთა შორის კავშირების შეკვრა — „ბლიაგაგა“ და სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმება — „მასლაგატი“.

მუდმივი ორგანო, რომელიც კრებიდან კრებამდე ფსუხოს, ხაბლის ან ტომის საქმიანობას კონტროლს გაუწევდა, ადიღე-ჩერქეზეთში არ არსებობდა. მართალია, კრების დამთავრების შემდეგ თითქოს იქმნებოდა გარკვეული რაოდენობის დელეგატთა მუდმივი ჯგუფი, რომელიც, ერთი შეხედვით, ერთგვარ ჩანასახს წარმოადგენდა სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოსი, მაგრამ ფაქტიურად მას რაიმე გარკვეული ფუნქცია არ ეგააჩნდა და ამდენად მისი მოქმედებაც ნულამდე იყო დაყვანილი. ასე რომ, ადიღურ-ჩერქეზულმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო შეექმნა თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ადიღე-ჩერქეზეთში სატომო-სახალხო კრების გარდა, იშვიათად, მაგრამ მაინც იკრიბებოდა სატომთაშორისო კრებებიც ანუ ფაქტიურად მთელი ადიღურ-ჩერქეზული საზოგადოებისა ამ სიტყვის ფართო გაგებით. ჩვენამდე არ არის შემორჩენილი ზუსტი თარიღები ასეთი სატომთაშორისო კრებების მოწვევისა, ვიცით მხოლოდ ის, რომ XVIII ს. მთელ მანძილზე, ვიდრე 1822 წლამდე, როდესაც მოწვეულ იქნა ასეთი კრება, მანამდე სულ იყო ოთხი ასეთი სატომთაშორისო კრება, რომელთაც თავისი სახელწოდებები ჰქონდათ. ასე მაგალითად, „ჯურე-ვაკუო-ტხარეუო“, „ფსეკეტკო-თხარეუო“, „ზაის-ფსინ-თხარეუო“ და „აბინ-თხარეუო“.

მართალია, ადიღე-ჩერქეზეთში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „უმაღლეს ორგანოს“ სახალხო კრება წარმოადგენდა, რომელიც რეგიონებისა და მნიშვნელობის მიხედვით იკრიბებოდა, მაგრამ XIX ს. დასაწყისში ეს კრებები მთლად სახალხო არ იყო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. საქმე ისაა, რომ ადიღურ-ჩერქეზულ თემში თემურ ურთიერთობათა ამ ძირითად რგოლში კლასობრივი ურთიერთობა უკვე საკმაოდ ღრმად იყო შეჭრილი და, რაც მთავარია, ამ სახალხო კრებასაც ძირითადად წარჩინებულები — ფშიუორკები (თავადაზნაურობა) ან თლფოკოტლების ზედა ფენის (თავისუფალ მეთემეთა) წარმომადგენლები განაგებდნენ, რომლებიც თავისი მდგომარეობით საგრძნობლად უახლოვდებოდნენ უორკებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ მეთემეთა რიცხობრივი სიჭარბე ადიღე-ჩერქეზეთში აღნიშნულ პერიოდში რამდენადმე მაინც ზღუდავდა გაბატონებულ ზედა ფენას მასში, რომ მთლად ხელაღებით უგულებელეყოთ თემისა და მეთემეთა ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ თვით უძლიერეს თავადთა ფენა XIX ს. ბოლომდე უაღრესად დიდ ანგარიშს უწევდა სახალხო კრებას, როგორც თემურ ურთიერთობათა ყველაზე მძლავრ გადმონაშთს. მართალია, პრივილეგირებული ფენები სახალხო კრების სათავეში სასურველი კანდიდატების გაყვანით თავისებურად წარმართავდნენ მას, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა საზოგადოების მძლავრ იარაღად, რომელსაც ევალებოდა შიდაპოლიტიკურ ურთიერთობათა მოწესრიგება.კუჩეროვის სიტყვით, ყველა სახალხო კრებაზე თავადს ეკავა პირველი ადგილი; რაც შეეხება თავისუფალ მეთემეებს, მათ სახალხო კრებაზე გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე დაყმევებულ გლეხებს. თავისუფალ ხალხს (ე. ი. თლფოკოლტებს) სახალხო კრებაზე ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, მაგრამ თავისი წარმომადგენლის სახით, რომელიც გამოირჩეოდა პირადი ღირსებითა და გამოცდილებით.

იმის გამო, რომ XIX ს. დასაწყისშიც ადიღე-ჩერქეზეთში არ არსებობდა წერილობითი სამართლებრივი კანონები, ამდენად საქმეები, ეს იქნებოდა, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის, ძირითადად წარმოებდა ძველი ადათებით, რომლებიც ყველა ტომს თავისი ჰქონდა, მაგრამ ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ადათის გარდა სამართლებრივი უფლება ჰქონდა, აგრეთვე, იმ შეთანხმებებს, რომლებიც იდებოდა ცალკეულ თემებსა თუ მათ წევრებს შორის მასლაგატის სახით და, აგრეთვე, შარიათს (მუს-

ლიმანურ რელიგიურ კანონმდებლობას). ეს უკანასკნელი ოფიციალურად აღიარებულ იქნა 1822 წელს საერთო ადიღურ კრებაზე — „ჰაუ-ხიასზე“.

ადათით და შარიათით საქმის წარმოება ყველგან ერთნაირი ძალით არ ხდებოდა. მაგალითად, შარიათმა შედარებით ადრე მოიკიდა ფეხი ყაბარდოელებში, ყუმიკებში და ნოღაელებში. აბაძეხებში, შაფსუღებში, ნატუხაელებში და სხვ. ძირითადად ადათი მოქმედებდა; რაც შეეხება ბჟედუღებს, თემირგოელებს, ბესლენელეებს და ყუბანისპირელ ყაბარდოელებს, ამათთან ადათი და შარიათი ერთნაირი სიძლიერით მოქმედებდა.

ადათები, რომლებიც შეიცავდნენ სამართლებრივ ნორმებს, საერთოდ თემში, როგორც საოჯახო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, დროთა განმავლობაში გარკვეულ იურიდიულ ნორმად იქცნენ გაბატონებული კლასის ხელში და შემდეგში კი სულაც იარაღად სახელმწიფოს სახით. ადათით ძირითადად იხილებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც ეხებოდა ქურდობას, ქალის მოტაცებას, ქმრისა და ცოლის ურთიერთობას, შვილებისა და შობლების ურთიერთობას, ქონებრივ უთანხმოებას, მემკვიდრეობის საკითხებს და სხვ. უფრო დიდი სისხლის სამართლებრივი დანაშაული, როგორიც იყო მკვლელობა, დაჭრა, გაუპატიურება და სხვა, ხშირად წყდებოდა შურისძიების უფლებით, ანუ სისხლის აღებით („ყანლი“), რაც ასევე გათვალისწინებული იყო ადათით. თავიდან ადიღე-ჩერქეზებთან ადათის მიხედვით სასამართლო ფუნქციებს ასრულებდა გვარის მამასახლისი, ხოლო შემდეგ გაჩნდა მედიატორთა სასამართლო, რომელსაც ირჩევდნენ თვით მოდავენი (სამართალი ბჭეთა ანუ მედიატორთა). აქ იყვნენ მსაჯულებიც, რომელთა რიცხვი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი სიძნელის საქმე იხილებოდა. შარიათითაც თითქმის იგივე საქმეები იხილებოდა, როგორც ადათით, კერძოდ მიწის ყიდვა-გაყიდვა, საქორწინო საქმეები, მემკვიდრეობის საკითხები, გაუპატიურების, ღალატისა და სხვ. საქმეები, რომლებსაც როგორც წესი, იხილავდნენ მოლები. აღსანიშნავია, რომ სასჯელის ზომა შარიათით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ადათით, რის გამოც ხშირად მთიელები ადათით გასამართლებას ამჯობინებდნენ. შარიათით გასამართლებას ერთადერთი უპირატესობა ის ჰქონდა, რომ საქმეები იხილებოდა ძალიან მალე, რადგან მას მოლები იხილავდნენ, მათი მოძებნა და არჩევა კი არ იყო საჭირო, მაშინ როდესაც ადათით უნდა გამონახულიყვნენ შუამავლები, შემდეგ კი

არჩეული ყოფილიყო სასამართლო ბეჭეთა ანუ მედიატორთა თავისი მსაჯულებით.

ამრიგად, XIX ს. დასაწყისისათვის ადიღე-ჩერქეზეთი არ წარმოადგენდა ერთიან მთელ პოლიტიკურ ერთეულს. საამისოდ აქ არ არსებობდა არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური პირობები. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ჩანასახები მხოლოდ მცირე ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა და ისიც მეტად შეზღუდული მოქმედებით. სახელმწიფოებრივი ელემენტები კი ადიღე-ჩერქეზეთში კონკრეტულად ვლინდებოდნენ იმ სატომთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებისას, რომლებიც ხდებოდა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისას, კერძოდ, სასაზღვრო ინციდენტების, ტყვეების გაცვლის, სავაჭრო ბაჟის და სხვათა თაობაზე. აგრეთვე, როცა იქმნებოდა სატომთაშორისო მასშტაბით ისეთი დაწესებულება-ორგანიზაციები, როგორიც იყო სამხედრო მეთაურთა საბჭო, სასამართლოები, თავადთა სათათბირო, დეპუტაცია მოსალაპარაკებლად და სხვ. მთავარი აქ სახელმწიფოებრივი ელემენტების ჩასახვა-განვითარებაში ის იყო, რომ კლასობრივი დიფერენციაციის პარალელურად თანმიმდევრულად ფორმდებოდა იერარქიული აპარატი უმცირესობის სასარგებლოდ უმრავლესობის ექსპლოატაციაში მოსაყვანად.

მთლიანობაში თუ ავიღებთ ზ. ანჩაბაძისა და ა. რობაქიძის კლასიფიკაციას ჩრდილო კავკასიის ერთეულთა განვითარების საერთო დონის გასაზღვრისათვის, ჩვენც ვთვლით, რომ ადიღე-ჩერქეზეთი ადრეული ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საშუალო და უმაღლეს საფეხურზე იდგა, კერძოდ, საშუალოზე ე. წ. „დემოკრატიული ტომები" — შაფსუღები, აბაძეხები და ნატუხაელები, ხოლო უმაღლესზე ე. წ. „არისტოკრატიული ტომები" — თემირგოელები, ჟანელეები, ბესლენელეები და სხვ.

ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში ადიღე-ჩერქეზეთის შეზობლად აღმოსავლეთისაკენ მდებარეობდა ყარაჩაი-ჩერქეზეთი, რომლის ტერიტორიაზე XIX ს. დასაწყისში სხვადასხვა ხალხები მოსახლეობდნენ. მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ ადიღეები, უმეტესად ბესლენებისა და ყაბარდოელების სახით, თვით ყარაჩაელები, აბაზინები და ნოღაელები. აღნიშნული ხალხებიდან ბესლენები და ყარაჩაელები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ, ხოლო აბაზინელები და განსაკუთრებით კი ნოღაელები, ხშირად იცვლიდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს.

ბესლენები ცხოვრობდნენ მდ. დიდი და პატარა ლაბის ნაპი-

რებზე და მდ. ხოცისა და პსეფისის ხეობებში. ბესლენელების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ყაბარდოელები, რომლებიც სწორედ XIX ს. დასაწყისში გადმოსახლდნენ ყაბარდოდან. აღსანიშნავია, რომ ამ გადმოსახლებულმა ყაბარდოელებმა ანუ როგორც მათ უწოდებენ ლტოლვილ ყაბარდოელებს) და ბესლენეელებმა შეადგინეს შემდეგში სწორედ ძირითადი მოსახლეობა თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიისა. ბესლენეელებსა და ყაბარდოელებს ორივეს ერთად ზემო ყუბანელ ჩერქეზებსაც უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ ადიღური ტომების სხვა წარმომადგენლებიც, კერძოდ, აბაძეხების, შაფსუღებისა და ბჟედუღების ნაწილი.

ადიღურ-ჩერქეზული მოსახლეობის შემდეგ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფართობი კერძოდ, დიდი კავკასიონის მთიანეთი ეკავათ აბაზინელებს. აქვე ცხოვრობდნენ ტაპანტელები, ბარაკოეველები, ბაგოველები, შიხგირეელები, ყიზილბეკეველები, ბაშილბაელები და სხვ.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთავარ მოსახლეობას შეადგენდნენ ნოღაელები, რომლებიც ეწეოდნენ რა მომთაბარე ცხოვრებას, არ ჰქონდათ ერთი გარკვეული ფართობი. არსებული ლიტერატურის მიხედვით, ისინი ძირითადად მომთაბარეობდნენ მდ. ყუბანის სანაპიროზე ქვის ხიდიდან დაწყებული მდ. ლაბის შესართავამდე და ყუბანსა და ლაბას შორის მდებარე ტერიტორიაზე. ისინი მომთაბარეობდნენ, აგრეთვე მდ. ყუმისა და მისი შესართავის მიდამოებში ბეშტაუს მთებამდე. მართალია, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ერთი ძირითადი მოსახლეთაგანი ყარაჩაელები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ დროდადრო ესენიც იცვლიდნენ ხოლმე ადგილსაცხოვრისს. ყარაჩაელთა სოფლები XIX ს. დასაწყისშიც უწინდებურად განლაგებული იყო მდ. ყუბანის შენაკადების ნაპირებზე. მაგალითად, სოფ. ხურზუკი მდებარეობდა მდ. ხურზუკის ნაპირზე, სოფ. უშგველანი და სოფ. ვარჯუკი — მდ. უშგველანის ხეობაში, ხოლო სოფლები დუტი და ჯაზლივი მდ. დუტის ხეობაში. XIX ს. დასაწყისში ყარაჩაელთა ერთ-ერთ დიდ სოფელში ჯამაგატში, რომელიც მდებარეობდა მდ. თებერდის აუზში, შავი ჭირი გაჩნდა და მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყვიტა. ყარაჩაელთა სოფლების ერთი წყება — ხასათუთი, მუშტი და სხვ. განლაგებული იყო მდ. თებერდასა და მდ. მარის შენაკადებთან მდ. ყუბანისპირას. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა XIX ს. დასაწყისისათვის,

არასრული ცნობებით, დაახლოებით ნახევარ მილიონს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდშიც ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, ისე როგორც XVIII ს. ბოლო მეოთხედში, ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა რუსულმა მოსახლეობამ კაზაკობისა და სხვათა სახით. შემდეგში მათ შექმნეს ისეთი დიდი სოფლები, როგორიც იყო ბატალპაშინსკი, ისპრავნაია, უდობნაია, კარდონინსკაია, ზელენჩუკსკაია, პრეგრადნაია, უსტ-დუეგუტინსკაია, კრასნოგორსკაია და სხვ.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო, უმეტესწილად განვითარებული იყო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, მისდევდნენ მეთევზეობას, ნადირობას და მეფუტკრეობას; რამდენადმე იყო განვითარებული შინამრეწველობა და ვაჭრობა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობასაც — ჩერქეზებს, აბაზინელებს, ყარაჩაელებსა და ნოღაელებს XIX ს. დასაწყისში არათუ საკუთარი სახელმწიფოები არ გააჩნდათ ერთიანი სტრუქტურითა და ორგანიზაციებით, არამედ სახელმწიფოებრივი გაერთიანებაც კი არ ჰქონდათ. თითოეული მათგანი დაქუცმაცებული იყო ცალკეულ ეთნო-ფეოდალურ ერთეულებად, რომელთაც ფეოდალი ან ერთი ფეოდალური საგვარეულო ედგა სათავეში. ყარაჩაი-ჩერქეზული საზოგადოება შედგებოდა რამდენიმე დიდი და მცირე სოფლისაგან, რომლებიც ფეოდალურ მეზობლურ-ტერიტორიულ პრინციპებზე იყვნენ გაერთიანებული. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული ფორმით ბევრი მათგანი გვაროვნული ურთიერთობის ელფერს ატარებდა, პრიხციპში მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა ქონებრივ და წოდებრივ უთანასწორობაზე იყო აგებული. მართალია, ამ ეთნო-ფეოდალურ ერთეულებში და თემობრივ კავშირებში დიდ და მნიშვნელოვან საკითხებს ფეოდალები წყვეტდნენ, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიც იყო საერთო მფლობელობაში მყოფი საძოვრები, სათიბების განაწილება, გზებისა და ხიდების მშენებლობა და სასამართლო წარმოება, ჯერ კიდევ სახალხო კრებებზე იხილებოდა. საერთო ჯამში, ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზოგადოების ერთი ნაწილი, საკუთრივ ჩერქეზები, ყარაჩაელები და აბაზინელები ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების საშუალო საფეხურზე იდგნენ, ხოლო ნოღაელები კი ამავე ურთიერთობის დაბალ საფეხურზე.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ახლა უკვე თითქმის ჩრდილო ცენტრალურ კავკასიაში XIX ს. დასაწ-

ყისშიც, ისე როგორც წინარე საუკუნეებში, მოსახლეობდნენ ჩრდილო ოსები (საპირისპიროდ სამხრეთ ოსებისა, რომლებიც მოსახლეობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე — თ. ბ.).

XIX ს. დასაწყისშიც ოსური მოსახლეობა ჯვლავაც ოთხი ძირითადი საზოგადოებისაგან შედგებოდა, კერძოდ: დიგორის, თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ასე მაგალითად, დიგორისა და თაგაურის ოსეთი ადრეფეოდალური ურთიერთობის საშუალო საფეხურზე, ხოლო ქურთათისა და ალაგირის საზოგადოებები კი ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ.

თაგაურის საზოგადოება მოსახლეობდა ჩრდილო ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდ. თერგისა და მისი შენაკადების — გიზელდონისა და გენალდონის ხეობებში. 1812 წლის ცნობით, აქ იყო 20 სოფელი 1150 კომლით, ხოლო 1826 წელს კი 431 კომლი (ვლადიკავკაზში გადასახლების გამო). თაგაურის მოსახლეობა იყოფოდა ორ ძირითად კლასად. გაბატონებული ფეოდალური კლასი შედგებოდა ე. წ. თაგიათებისაგან, ხოლო მათზე დამოკიდებული კლასი კი სხვადასხვა სოციალური ფენებისაგან, კერძოდ, ფარსალაგებისა, ქაედასარდებისა და პატრიარქალური მონებისაგან. აქ მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ ეპყრა 11 ფეოდალურ გვარს — ალდარებს: ალდათოვებს, დუდაროვებს, ესენოვებს, თუგანოვებს, თულათოვებს, თხოსტოვებს, კანუკოვებს, მამსუროვებს, ქუნდუხოვებს, შანაევებსა და ჯანტიევებს.

თაგაურის დასავლეთით, მდ. ფიაგდონსა და მის შენაკად ურსდონზე მდებარეობდა ქურთათის საზოგადოება, რომელშიც 1812 წლის მონაცემებით მოსახლეობდა 780 კომლი, ხოლო 1826 წლის ცნობით 300 კომლი. ქურთათის საზოგადოებაც ორად იყოფოდა. ფეოდალებს შეადგენდნენ თაუბიები, ხოლო დამოკიდებულ ფენას კი ფარსალაგები, ქაედასარდები და მონები; ქურთათის დასავლეთით, ოსეთის სამხედრო გზაზე მდ. არდონისა და მისი შენაკადების აუზში, განლაგებული იყო ჩრდილო-ოსური მესამე საზოგადოება — ალაგირის, რომელიც მოიცავდა მამისონის, ნარდონის, ადაიქომდონის, ცმიდონის, ცეიდონისა და არდონის ხეობებს. 1826 წლის ცნობებით, 31 აულში ცხოვრობდა 668 კომლი 8600 სულით. ალაგირის საზოგადოებრივი წყობა მნიშვნელოვანწილად ანალოგიური იყო ქურთათში არსებული წყობისა, ე. ი.

ფეოდალური ურთიერთობა ძალზედ სუსტად იყო განვითარებული (ალდარები, დამოკიდებული ფენა — ფარსალაგები, ქავდასარდები; იყვნენ მონებიც, რომელთაც ერქვათ ალხად-საუ, ლაგცაღაირაგ, რაც ნიშნავდა შავ კაცს, დაბეჩავებულ და უუფლებოს). ალაგირის საზოგადოების დასავლეთით მდებარეობდა დიგორის საზოგადოება, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ წვრილ საზოგადოებად იყოფოდა — სტირ-დიგორია, დონფარს-დიგორია. ტაპან-დიგორია და უალაგ-ქომი. დიგორიაში 1826 წლის ცნობით 19 აული იყო 500 კომლით, სულ 5000 მოსახლით.

დიგორიაში ყველაზე მეტად იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა. აქ იყო შვიდი ფეოდალური საგვარეულო: თუგანოვები, კუბატოვები, კარაჯაევები, ბისალოვები, კაბანოვები, ჩეგემოვები და ბატუკაევები. დამოუკიდებელ გლეხთა კატეგორია დიგორიაში შედგებოდა ადამიხატების, კუმიაგების, ხეხებისა და ქოსაგებისაგან. ჩრდილო ოსეთშიც ძირითადად მოქმედებდა საადათო სამართალი, რომლის მიხედვითაც სისხლის დაურვების ფასი და სასჯელები სხვადასხვა დანაშაულთან დაკავშირებით მკვეთრად იყო დიფერენცირებული.

XVIII ს. 80-იანი წლებიდან XIX ს. 20-იან წლებამდე ჩრდილო ოსეთში შავი ჭირის ეპიდემიამ დიდად შეამცირა ოსური მოსახლეობის რაოდენობა, კერძოდ, იგი 200 ათასიდან 1831 წლისთვის დაიყვანა 16—20 ათასამდე.

XIX ს. დამდეგსაც ისე როგორც წინ საუკუნეებში, ჩრდილო ოსეთი პოლიტიკურად წარმოადგენდა ფეოდალურ-ტომობრივად დაქუცმაცებულ ქვეყანას, რომლებიც 1774 წლიდან რუსეთთან იყო შეერთებული.

ჩრდილო ოსეთი ჩრდილო-აღმოსავლეთით უშუალოდ ემეზობლებოდა ჩეჩნეთ-ინგუშეთს, რომელიც XIX ს. დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულს. ჩეჩნეთ-ინგუშეთი ფაქტიურად აღნიშნულ ხანაში ორ ურთიერთდამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც, სხვათა შორის, დიდად უწყობდა ხელს გეოგრაფიული მდებარეობა, თუმცა ორივე ტომურ გაერთიანებას — ჩეჩნურსა და ინგუშურს — ერთი გარკვეული არეალი ეკავა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან მიმართება-ურთიერთობაში. ჩეჩნეთ-ინგუშეთს კონკრეტულად ეკავა ცენტრალური კავკასიის ჩრდილო ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთით დაღესტანი ესაზღვრებოდა, დასავლეთით — ჩრდილო ოსეთი, სამხრეთით

— საქართველო, ხოლო ჩრდილოეთით — ყაბარდო. მისი მოსახლეობა მიახლოებით XIX ს. დასაწყისისათვის შეადგენდა 218000-სულს.

წერილობითი წყაროების მიხედვით, საკუთრივ ჩეჩნეთი ორ ნაწილად იყოფოდა — მთისა და ბარად. მთის მოსახლეობაში შედიოდნენ მაისტის, მელხისტის, ხილდიხაროს, ჰაჩაროს, ჭენთის, ჭინახის, დარგო-ვედენოს, გალანჭლაჟის, ჭებერლოის და მთიელი და ბარელი აკიელების თემები; თავის მხრივ, ბარის ჩეჩნეთი ორ ნაწილად იყოფოდა — მცირე და დიდად, რომლებიც მდებარეობდა მდ. სუნჯის, არგუნისა და ასის ველებზე. რაც შეეხება ინგუშებს, ისინი მოსახლეობდნენ მდ. ასის, ბორაღნის და ფორტანგის სანაპიროებზე.

აღნიშნულ პერიოდში ჩეჩნეთ-ინგუშეთში გარკვეული ძვრები შეიმჩნევა, რაც დამახასიათებელი არ იყო ადრეული საუკუნეებისათვის. ეს არის ინგუშ მთიელთა რუსეთთან ურთიერთობით მოსახლეობის მოძრაობა და საცხოვრებელი ადგილების შეცვლა; ჩეჩნეთის ტომის ცხოვრებაში კი ორი პროცესი იყო ერთმანეთში გადახლართული. ერთი—ისტორიული აუცილებლობით მთიდან ჩამოსახლება. ხოლო მეორე — ბარში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რაც ბარში ჩამოსახლებულთა ნორმალურ დასახლებას და მიწების ათვისების კანონზომიერ მოვლენებს ხელს უშლიდა (იგულისხმება შემდეგში 30-იან წლებში შამილის მოძრაობასთან ჩეჩნების კავშირურთიერთობა, როდესაც მეფის მთავრობა აულს აულის მიყოლებით წვავდა და ყველაფერს ართმევდა მთიელებს, რათა მათი წინააღმდეგობა დაეთრგუნა და, რაც მთავარია, ეკონომიკური საფუძველი გამოეცალა). მოკლედ XIX ს. პირველ ნახევარში მთის რაიონებს განეკუთვნებოდა დარგო-ვედენოს, ნოჟაი-იურთის, ითონხალის, შარო-არგუნის, ჰაჩაროს, ჭანთის, ჭინახის. ხილდიხაროს, მელხის, მაისტის, ტერელოს. ასის ჯაირახის ხეობები და თემები, ხოლო ბარის ზოლს დიდი და მცირე ჩეჩნეთი. ინგუშეთი ბარში იყო განლაგებული და ამდენად ერთ მთლიანობაში იყო წარმოდგენილი.

XIX ს. დასაწყისში ამ ორ ხალხს — ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის მიხედვით არსებითი განსხვავება არ შეიმჩნეოდა, რამდენადაც ორივე მათგანი ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე იდგნენ მეტნაკლებად განვითარების ხარისხით. ფეოდალური ურთიერთობის სიღრმეში და სიგანეში განვითარებას ჯერ

კიდევ ამკარად უშლიდა ხელს პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთები. ის ძვრებიც, რომლებიც შეიმჩნეოდა ჩეჩნურ-ინგუშური საზოგადოების განვითარებაში XIX ს. დასაწყისში, გამოწვეული იყო გარედან მეფის რუსეთის ჩარევით, რომელმაც დააჩქარა ჩეჩნურ-ინგუშურ საზოგადოებაში მიმდინარე შინაგანი პროცესები. საქმე ისაა, რომ მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა იკიდებდა რა ბარში ფეხს, აქ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ინარჩუნებდა მთაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, მით უმეტეს. როდესაც მთავრობა ბევრ მათგანს ათავისუფლებდა მონური და ყმური მდგომარეობიდან გაბატონებულ კლასზე ზემოქმედებისათვის. საერთოდ, ვეხებით რა განვითარების დონის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანი რაიონები ხასიათდება ადრეფეოდალური ურთიერთობის დაბალი საფეხურით, უფრო მეტიც, იყო ისეთი თემებიც, მაგ., ჰაჩარო, მაისტა, ტერელო და წორი, რომლებიც ადრეფეოდალურ ურთიერთობათა დონეზეც უფრო დაბლა იდგნენ. რაც შეეხება ბარის რაიონებს — ბაირე და დიდ ჩეჩნეთსა და ინგუშეთს, აქ შეიძლება ვთქვათ, რომ განვითარების უფრო მაღალი დონე იყო, კერძოდ, ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების საშუალო საფეხური.

მართალია, ჩეჩნეთ-ინგუშეთი რუსეთის მფარველობაში იყო შესული, ძირითადად XVIII ს. 80-იან წლებში, მაგრამ მათზე თავის პოლიტიკურ ბატონობას ვერ ელეოდნენ XIX ს. დასაწყისშიც ყაბარდოელი და დაღესტნელი ფეოდალები, თუმცა საამისო საბქცია მათთვის რუსული მმართველობისაგან კავკასიაში არავის მიუცია. თავისთავად დაღესტნელ და ყაბარდოელ ფეოდალთა გავლენის ქვეშ ჩეჩენ-ინგუშთა მოქცევა კი განპირობებული იყო არა მარტო შიშველ ძალმომრეობაზე, არამედ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზეც, რაც არაერთგზის არის აღნიშნული ლიტერატურაში.

ჩრდილო ცენტრალურ კავკასიაში ყველაზე მსხვილი სოციალურ-პოლიტიკური ერთეული იყო ყაბარდო-ბალყარეთი. XIX ს. დასაწყისისათვის ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია, შედარებით ადრეულ საუკუნეებთან, საკმაოდ შემცირებული იყო განსაკუთრებით XVIII ს. 70—90-იან წლებში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად. XIX ს. დასაწყისში კი იგი უკვე მოიცავდა პირიქითა ცენტრალური კავკასიის მთიან და მთისძირა ველს. ყა-

ბარდოელი აულ-სოფლები ძირითადად მდებარეობდნენ მდ. მალ-კის, ბაქსანის, ჩეგემის, ურუხის და თერგის ველის რაიონებში: რაც შეეხება ბალყარელებს, ისინი მოსახლეობდნენ მდ. მალკის, ბაქსანის, ჩეგემისა და ჩერეკის ზედა წელის ხეობაში. ადრე კი ყაბარდოელთა ტერიტორია მოიცავდა ფართობს ბეშტაუს მთიდან (პიატიგორსკი — თ. ბ.) მდ. სუჯუნის სათავეებამდე, კერძოდ. ყუმიკეთის დაბლობ რაიონებამდე, რის გამოც ყაბარდოელები რუსულ, აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებში ძირითადად „პიატიგორელ ჩერქეზებად“ იწოდებოდნენ. ჩრდილო ველის ტერიტორიების დატოვება ყაბარდოელების მხრიდან მოხდა XVIII — XIX სს. მიჯნაზე, როდესაც რუსული მმართველობის მიერ ერ-ოიმეორის მიყოლებით აგებული იქნა რუსულ ციხესიმაგრეთა მთელი წყება: გეორგიევსკი, კონსტანტინეგორსკი (დღევანდელი პიატიგორსკი), კისლავოდსკი და სხვ.

XVIII ს. ცნობებით ყაბარდოში ცხოვრობდა დაახლოებით 300—350 ათასი სული. XIX ს. დასაწყისში ყაბარდოში გავრცელებულმა შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა მოსახლეობის 1/10 და დარჩა სულ 35 000 ოჯახი.

რაც შეეხება ბალყარელებს, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ცხოვრობდნენ ხულამ-ბეზენგის, ჩერეკის, ჩეგემისა და ბაქსანის ხეობებში, მათი საერთო რიცხვი დაახლოებით 5—7 ათასს აღწევდა.

მართალია, XIX ს. დასაწყისისათვის ყაბარდო (დიდი და მცირე) ჩრდილო კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულ-პოლიტიკურად შედარებით დაწინაურებული იყო, მაგრამ ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის არც აქ არსებობდა სათანადო პირობები. ყაბარდოშიც ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას, ერთი მხრივ, პატრიარქალური მონობა, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალი თემი. საერთო ჯამში ყაბარდო იდგა ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. პოლიტიკურად ყაბარდოც ფეოდალურ-პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლება დიდ ფეოდალურ საგვარეულოებს ეკუთვნოდათ. მაგალითად, დიდ ყაბარდოს განაგებდა ოთხი დიდი ფეოდალური საგვარეულო: ატაჟუკინების, მისოსტოევების, ბეკმურზინების და კაიტუკინების, ხოლო მცირე ყაბარდოს კი — ტაუსულტანოვებისა და გილიახსტანოვების. ყველა ეს 6 საგვარეულო განაგებდა ყაბარდოს როგორც საშინაო ცხოვრების,

ისე საგარეო ურთიერთობების ყველა სფეროს. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება, სიღრმეში და სიგანეში, ბუნებრივია, იწვევდა არა მარტო კლასობრივ ბრძოლას, არამედ შიდაკლასობრივსაც. დიდი ფეოდალური საგვარეულოები ხშირად ეჯახებოდნენ ერთმანეთს სათემო მიწების დატაცებისას, საძოვრებსა და სათიბების განაწილებისას და სხვ. მთავარ როლს თითოეულ ფეოდალურ საგვარეულოში ასრულებდა ასაკით ყველაზე უფროსი. ყველა საქმის, რომელიც კი ეხებოდა გვარს და მის განშტოებებს, წყვეტდა ის მასთან დაახლოებული ამალით. XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დასაწყისისათვის ცალკეული ყაბარდოული ფეოდალური საგვარეულოების ასეთ უფროსებად ითვლებოდნენ მისოსტოვებში — ჯანხოტ სიდაკოვი, ატაჟუკინებში — მისოსტ ბაბატოვი, ბეკმურზინებში — ატაჟუკი ყადიევი და კიტუკინების საგვარეულოში — ატაჟუკო ხამურზინი.

XIX ს. დასაწყისში დიდ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი ბალყარეთშიც. მთელი საზოგადოება მთლიანობაში იდგა ადრეფეოდალური ურთიერთობის საშუალო საფეხურზე, სადაც ნელ-ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად იკიდებდა ფეხს ფეოდალური მიწათსაკუთრება და ამავე თანმიმდევრულად ყალიბდებოდა ფეოდალური სოციალური წოდება. აღნიშნული საზოგადოების შიგნით სულ უფრო მცირდებოდა მონათა რიცხვი და იზრდებოდა ყმა-გლეხთა რაოდენობა, თუმცა საზოგადოების ძირითად მასად ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემეები რჩებოდნენ, რომლებიც, მართალია, სულ უფრო ფეოდალურად დამოკიდებული ხდებოდნენ, მაგრამ თავის ხვედრით წონას მაინც ინარჩუნებდნენ.

ბალყარეთში პრივილეგირებულ კლასს ტაუბიები შეადგენდნენ, რომელთაც წყაროებში „მთის თავადებს“ უწოდებდნენ. აქაც წამყვანი როლი დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ცალკეულ საზოგადოებებს ედგნენ სათავეში. მაგალითად, ბალყარულ საზოგადოებაში წამყვანები იყვნენ აბაევები, აიდებულოვები, ჯანხოტოვები და მისაკოვები; ხულამის საზოგადოებაში — შაკმანოვები; ბეზენგის საზოგადოებაში — ხუნშევები; ჩეგების საზოგადოებაში — ბალყაროკოვები, კელემეტოვები, ბიტოვები და ურუსბოს საზოგადოებაში — ურუსბიევები.

XVIII ს. დასასრულამდე (დაახლოებით 1791 წლამდე) ყაბარდო-ბალყარეთში არ არსებობდა მეფის მთავრობის ადმინის-

ტრაცია; ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება მთლიანად ადგილობრივ თავადებს ეკუთვნოდათ, მაგრამ 1791 წელს კი პირველად აქ მთელს ჩრდილო კავკასიაში მეფის მთავრობამ გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა რამდენადმე მაინც შეეზღუდა ყაბარდოელ ფში-იუორკთა ხელისუფლება და ამდენადვე მოექცია მთელი ყაბარდო-ბალყარეთის შინამმართველობა თავის მმართველობის სისტემაში.

ასე რომ, XIX ს. დასაწყისისათვის ყაბარდომ დროებით მაინც მიაღწია თავის შინაპოლიტიკურ თავისუფლებას, რაც მაქსიმალურად გამოიყენა გაბატონებულმა კლასმა და მუსლიმანურმა სამღვდელოებამ. მაგალითად, ყაბარდოელმა ფეოდალებმა, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გააძლიერეს თავის ყმა-გლეხთა და გლეხთა სხვა დამოკიდებულ კატეგორიათა ექსპლოატაცია, ხოლო მეორე მხრივ, უმოწყალოდ დაუწყეს ძარცვა თავის ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ხალხებს — აბაზინელებს, ყარაჩაელებს, ჩრდილო ოსებსა და ინგუშებს.

XIX ს. დასაწყისისათვის ერთიან ცენტრალიზებულ ფეოდალურ სახელმწიფოს ჩრდილო კავკასიის არც მეორე პოლიტიკური ერთეული —-დაღესტანი წარმოადგენდა. მართალია, დაღესტანი საერთოდ ადრეფეოდალური ურთიერთობის სტადიაში იყო, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით მისი ცალკეული მხარეები ადრეფეოდალური ურთიერთობის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, რაც, რასაკვირველია, დიდად უშლიდა ხელს. ერთი მხრივ, ქვეყნის გაერთიანებას, ხოლო მეორე მხრივ, მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი დაღესტნის ხალხების კონსოლიდაციას. ამაში არანაკლებ უარყოფითი როლი ითამაშა, სხვათა შორის, ისეთმა ობიექტურმა ფაქტორმა, როგორიც არის გეოგრაფიული გარემო.

მაგალითად, ადრეფეოდალური ურთიერთობის დაბალ საფეხურზე იდგნენ დაღესტნის „თავისუფალი თემების“ უმეტესი ნაწილი. საშუალოზე—მთიანი დაღესტნის სახანოები და უმაღლესზე კი — ყუმიყეთი, ტაბასარანი, ყაიტაგი, ავარიის სახანო და სხვ.

XIX ს. დასაწყისში დაღესტანი ცვლავაც რამდენიმე ფეოდალურ სამფლობელოს წარმოადგენდა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტარკის საშამხლო, ყაიტაგის საუცმიო, ავარეთის სახანო, ყაზიყუმუხის სახანო, მეხტულინის სახანო და ტაბასარანის სამაისუმო; იყო, აგრეთვე, ტაბასარანის სა-

ადიო, ენდერეევის სამფლობელო, აქსაევის სამფლობელო, კოსტეკოვის სამფლობელო და ამათთან ერთად მრავალრიცხოვანი „სასოფლო კავშირები“, ამ პოლიტიკურ წარმოქმნათა სათავეში იდგნენ ფეოდალები, რომლებიც სხვადასხვა ტიტულებს ატარებდნენ, როგორც, მაგალითად, შამხალი, ხანი, მაისუმი, ყადი, მამასახლისი (სტარშინა) და სხვ. შინაგანი მმართველობითი სტრუქტურა ამ ფეოდალურ და ფეოდალურ-ტომობრივ გაერთიანებებში ისეთივე იყო XIX ს. დასაწყისში, როგორც ადრე. მაგალითად, აღნიშნული ერთეულების ადმინისტრაციულ და ფინანსურ საქმეებს განაგებდნენ ვეზირები და ნუკერები, ხოლო ცალკეულ ადმინისტრაციულ უბნებს კი ნაიბები; ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს განაგებდნენ ბეგები, რომლებიც საკმაოდ დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. დაღესტნის საზოგადოება ძირითადად ორი კლასისაგან შედგებოდა — ფეოდალებისა და გლეხობისაგან. გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ: შამხალი, უცმი, ხანი, ბეგი, ჩანკა, სალა-უზდენი და მსხვილი მუსლიმანური სამღვდელოება. გლეხობაში შედიოდნენ თავისუფალი მეთემეები და დამოუკიდებელი გლეხობის უზდენები, რაიატები, ჩაგარები; ამათ გარდა, დამოკიდებულ კლასში შედიოდნენ, აგრეთვე, პატრიარქალური მონები.

რუსეთ-ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წარმონაქმნთა პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება XIX ს. დასაწყისისათვის ფაქტიურად ისეთივე იყო, როგორც შეიქმნა რუსეთ-თურქეთის პირველი ომის — 1768—1774 წლების შემდეგ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით. ამ ზავით მარტო ყაბარდოს რუსეთთან შეერთების საკითხი არ გადაჭრილა. ყაბარდოსთან ერთად ამიერიდან რუსეთთან თავისებურად აღმოჩნდნენ შეერთებული ყაბარდოელ მთავართა ქვეშევრდომ-ვასალებიც — ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი და ჩეჩნეთ-ინგუშეთი; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგმა მათგანმა სულაც ყაბარდოელ ფეოდალთაგან დამოუკიდებლად ითხოვა ზავამდე რუსეთის მფარველობაში შესვლა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. საქმე ისაა, რომ როდესაც ლაპარაკია, მაგალითად, ყაბარდოს ქვეშევრდომ-ვასალებზე — ბალყარეთზე, ყარაჩაიზე, ჩრდილო ოსეთზე და ჩეჩნეთ-ინგუშეთზე, მათი ასეთი დასახელება პირობითია, რამდენადაც თითოეული მათგანი თავისთავად წარმოადგენდა არა ერთიან სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, არამედ ფეოდალურ-ტომობრივ გაერთიანებათა ან „სათემო კავშირების“ თავისებურ კრე-

ბულს. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ იქიდან გამოვდივართ, რომ ამ „ჯრებულის“ უმრავლესობა ყაბარდოს დიდ მთავრებს მორჩილებდნენ და მორჩილებდნენ არა მარტო შიშველი ძალნომრეობის ფაქტორით, არამედ სოციალურ-ეკონომიკურადაც.

ჩრდილო კავკასიის პოლიტიკური წარმონაქმნების რუსეთთან რამდენადმე ნებაყოფლობით შეერთებამ, რუსეთს თურქეთთან შედარებით გარკვეული უპირატესობა მოუტანა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მისი დამოკიდებულების შეცვლა ჩრდილო კავკასიის მიმართ. რუსეთის პოლიტიკა წინა საუკუნეებთან შედარებით უფრო აქტიური და უფრო დამოუკიდებელი შეიქმნა. საქმე ახლა ისეთნაირად შეტრიალდა, რომ თუ ადგილობრივი პოლიტიკური წარმონაქმნების ინტერესები რუსეთის ინტერესებს ემთხვეოდა, ხომ კარგი, თუ არა და ამას რუსეთისათვის ახლა უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუმცა ამ პოლიტიკურ წარმონაქმნებს ჯერ კიდევ შეეძლოთ გარკვეული როლი ეთამაშათ კავკასიაში მისი საბოლოოდ გაბატონებისათვის, კერძოდ, დაეჩქარებინათ ან შეენელებინათ ეს პროცესი. სწორედ აღნიშნულ პერიოდში დაიწყო რუსეთმა ადგილობრივ კავკასიური ერთეულების ნაწილობიან სწრაფვასთან თავისი ფრთხილი კოლონიური პოლიტიკის შეხამება.

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ და 1804—1813 წლებში ირანთან, ხოლო 1806—1812 წლებში თურქეთთან გამარჯვებამ, ბუნებრივია, მეტად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა რუსეთს კავკასიაში თავისუფალი მოქმედებისათვის.

ასეთ ვითარებაში თავისთავად ცხადია, რუსეთს აღარ აწყობდა ჩრდილო კავკასიის მმართველი წრეების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლებიც მფარველობაში შესვლის საფასურად, გარდა თურქეთ-ირანისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა რუსეთისაგანაც მოითხოვდნენ ავტონომიურობას ტრადიციული ადათ-წეს-ჩვეულებათა დაცვით. დამაჩქარებელი ფაქტორი ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ ინგლის-საფრანგეთით წაქეზებული, თურქეთ-ირანი დამარცხების მიუხედავად კვლავაც განაგრძობდა ჩრდილო კავკასიელთა თავისთან გადაბირებას. არანაკლებ დამაფიქრებელი იყო რუსეთისათვის ის გარემოებაც, რომ იმხანად არცთუ ისე იშვიათად ესხმოდნენ თავს მთიელები ჩრდილო კავკასიაში მზარდ რუსულ ქალაქებს, ციხესიმაგრეებს და სტანიცებს, რომელთა უმრავლესობა, მართალია, სავაჭრო, სახელოს-

ნო და კულტურულ ცენტრებად იქცა, მაგრამ მაინც ადგილობრივი მოსახლეობისათვის მთლად სახარბიელო არ იყო მათი მეზობლობა, რამდენადაც ისინი ნელ-ნელა იკავებდნენ მთიელთა სახნავ-სათესსა და საძოვარ-სათიბ მიწებს.

ჩრდილო კავკასიის უკეთ შემომტკიცებასთან დაკავშირებით, რუსეთის სამეფო კარზე, როგორც ჩანს, ერთი საერთო აზრი არ ყოფილა; ნაწილი თვლიდა რა ჩრდილო კავკასიას რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებულად, მოითხოვდა მათ ეკონომიურად დაინტერესებას და ამდენადვე რუსეთზე დამოკიდებულად გახდომას; ნაწილი კი მიიჩნევდა ყოველივე ამას არასაკმარისად და თვლიდა, რომ უკეთესი იყო მათი თვითმმართველობა შეცვლილიყო რუსული სამოხელეო ადმინისტრაციული მმართველობით და ამით ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულიყო ჩრდილო კავკასიის რუსეთთან შეერთება. ურთიერთობის თვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში შეერთების პროცესი შედარებით უფრო უმტკივნეულო იქნებოდა, ვიდრე მეორე შემთხვევისას, რამდენადაც ჩრდილო კავკასიის მთავრები თუ ფეოდალურ-გვარტომური გაერთიანებების მეთაურები ადვილად არ დათმობდნენ თავიანთ „სახელმწიფოებრიობას", ადათ-წეს-ჩვეულებებსა და თავისუფლებას.

პირველი შემთხვევისათვის მეტად ტიპურია კავკასიის მთავარსარდლის გუდოვიჩის 1807 წლის წერილობითი ბრძანება ყიზლარის კომენდანტ ახვერდოვისადმი, რომელშიც გენერალი მოითხოვდა, რომ ახვერდოვი რბილად მოპყრობოდა კავკასიელებს, დაერწმუნებინა ისინი რუსების კეთილგანწყობაში და, რაც მთავარია, წაეხალისებინა სახლის მშენებლობაში, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის, რათა მათ ხელი აეღოთ სამარცხვინო ქურდობასა და თავდასხმაზე. მთავრობას მიაჩნდა რა, რომ ჩრდილო კავკასიელები „თავისი მდგომარეობით უფრო ახლოს იყვნენ ველურობასთან, ვიდრე განათლებულ საზოგადოებასთან", და რომ „ამ ნახევრად ველურ ხალხში განათლების შეტანა შეიძლებოდა მხოლოდ ვაჭრობის განვითარებით", ბუნებრივია, მან ამ მიმართულებითაც შეიმუშავა გარკვეული პოლიტიკა. მთავრობის აზრით, მთიელი ტომები დაიკმაყოფილებდნენ რა რუსეთთან ვაჭრობით თავიანთ მოთხოვნილებებს, ისინი გარდა იმისა, რომ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული გახდებოდნენ, ამასთან შემცირდებოდა მათზე თურქეთის ზეგავლენა და,

რაც მთავარია, მათი თავდასხმებიც რუსულ ციხესიმაგრეებსა თუ სტანიცებზე.

მართლაც, 1810 წლის 6 ივლისს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო „მთიელებთან სავაჭრო-გაცვლითი პუნქტების შექმნის შესახებ“, რომლის საფუძველზეც კავკასიის მთავარსარდალს გენერალ ტორმოსოვს პირდაპირ მიეთითა, რათა მას ყველაფერი ეს პრაქტიკულად გაეტარებინა ცხოვრებაში, კერძოდ, „მთიელებში წესრიგისა და მშვიდობის დამყარების საქმისათვის“. ტორმოსოვის აქტიური ღონისძიებების შედეგად 1811 წლის გაზაფხულიდან კავკასიის ხაზზე ნელ-ნელა დაიწყო ექვსი სავაჭრო-გაცვლითი პუნქტისა და ოთხი სპეციალიზებული მარილით სავაჭრო მაღაზიის გახსნა. ტერიტორიულად ისინი მოიცავდნენ ადიღე-ჩერქეზეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ჩრდილო ოსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთს. მართალია, ბრძანებულებით ამ პუნქტებში ყველა მთიელს მიეცა ნებართვა „თავისი საქონლით თავისუფალი და უბაჟო ვაჭრობისათვის“, მაგრამ ამასთან ერთად საკარანტინო წესების შემოღებით, მთავრობამ მთელი კონტროლი თეითონ ჩაიგდო ხელში, რამდენადაც რუს მოხელეს პრისტავს საკარანტინო წესით შეხედულებისამებრ შეეძლო შეეზღუდა ან დაეშვა თავისუფალი ვაჭრობა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ სავაჭრო-გაცვლით პუნქტებს აეკრძალათ მთიელებისათვის ვერცხლისა და ოქროს ფულის მიცემა, მაშინ როდესაც მთიელს თავისი საქონელი საქონელში უნდა გაეცვალა, ხოლო პურისა და მარილის გარდა სხვა საქონელი ფულით უნდა ეყიდა. თავისთავად ცხადია, ყველაფერი ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მთიელებში, მით უფრო, რომ მთავრობამ პურზე და მარილზე თავისი მონოპოლია დააწესა; მთიელებს ისინი მხოლოდ და მხოლოდ პუნქტებში უნდა შეეძინათ, სადაც მარილის ფასი, მაგალითად, 10—15-ჯერ მეტი იყო კერძოდ, თუ ადრე მთიელები ერთ ურემ მარილში 1 მან 50 კაპ. იხდიდნენ, ახლა ამ თანხას მხოლოდ ერთ ფუთ მარილში აძლევდნენ. მთიელების მდგომარეობას საკარანტინო სისტემაც არანაკლებ ამძიმებდა, რომელიც ფაქტიურად მთიელებს თავისუფალი მიმოსვლის საშუალებას უზღუდავდა; განსაკუთრებით ეს შეიმჩნა 1815—1816 წლებში, როდესაც ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი „შავი ჭირის“ ეპიდემიამ მოიცვა.

მართალია, სავაჭრო-გაცვლით პუნქტებმა გარკვეული როლი შეასრულეს რუსეთსა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობის განვითარების საქმეში,

მაგრამ მთიელები ვაჭრობას მაინც უფრო ჩამოსახლებულ და უკვე ადგილობრივ მოსახლეობად გადაქცეულ რუს და კაზაკ მოახალშეენებთან ამჯობინებდნენ, რამდენადაც მათთან ვაჭრობა გაცილებით მომგებიანი იყო და ამასთან საქონელიც მათ მრავალფეროვანი ჰქონდათ. ამის შედეგი იყო, რომ სავაჭრო-გაცვლით პუნქტებმა ფაქტიურად თავისი არსებობა 20-იანი, წლების დასაწყისში შეწყვიტეს.

ჩრდილო კავკასიელ მთიელებს მართლაც, მეტად ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში არსებულ რუსულ ქალაქებთან, ციხესიმაგრეებთან თუ სტანიცებთან, სადაც მრავლად იყრიდა თავს არა მარტო რუსული სამრეწველო საქონელი, არამედ საქონელიც დას. ევროპიდან, თურქეთ-ირანიდან და შორეულ ჩინეთ-ინდოეთიდანაც კი. მთიელებს აქ მოჰქონდათ ძირითადად ქონი, სანთელი, ცვილი, თაფლი, ერბო, ყოველგვარი ტყავი გარეული თუ შინაური ცხოველისა, მატყლი, ცოცხალი პირუტყვი, ფრინველი, გამხმარი ხილი, ბოსტნეული, სიმინდი. ფეტვი, ჭილოფი. ლერწამი, დაფნის ფოთოლი, საქონლის რქები, თამბაქო, ნაბადი, ქეჩა, შინ ნაქსოვი შალი, ყაბალახები, ხის ნახშირი, ხე-ტყე, საუნაგირო მასალა, ურმები, ოქროვერცხლით მოვარაყებული თოფები, ხმლები, ხანჯლები, ცხენის მოსართავები და სხვ. თავის მხრივ მთიელები იძენდნენ: ჩაის, შაქარს, თევზს, ფუფუნების საგნებს — ქალის სამკაულებს, ლამაზ ზანდუკებს, ტილოს, ბამბეულის ქსოვილებს, თავსაკრავებს, ჩითეულს, აბრეშუმს, ხამ შალს, მაუდს, რკინას, მინისა და ფაიფურის ჭურჭელს და სხვ. ცხოველი ვაჭრობის ადგილები იყო ქერჩი და ბუგავა, უსტლაბინსკი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი, პოკროვსკი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი, ნალჩიკი, ყიზილარი, დერბენტი, ამირაჯიურტაში, ასტრახანი და სხვ. დიდი ბაზრობები ანუ ე. წ. იარმუტკები ხშირად ეწყობოდა მოზდოკში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში და პოკროვსკში.

ჩრდილო კავკასიელი მთიელები სავაჭროდ წასვლას არც რუსეთის შიდა გუბერნიებში არიდებდნენ თავს, თუმცა საამისოდ მათ სპეციალური ნებართვა უნდა მიეღოთ რუსული მმართველობისაგან, რასაც ისინი პრინციპში იღებდნენ. მაგალითად, 1813—1818 წწ. 1822 წ. და შემდეგაც ასეთი ნებართვა არაერთგზის მიიღეს ადიღე-ჩერქეზებმა, ყაბარდოელებმა, ოსებმა, ჩეჩენ-ინგუშებმა და დაღესტნელებმა.

რუსეთის შიდა გუბერნიებში თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობისათვის ნებართვის მიცემას, რასაკვირველია, მთავრობა თავის სასარგებლოდ იყენებდა, რამდენადაც ნებართვას იღებდა ის ვინც მის ქვეშევრდომ-მფარველობაში იყო ან ამის სურვილს გამოთქვამდა. ნებართვის საფასურად კი მთიელებს რუსეთთან კეთილეზობლობა და მასზე თავდაესხმელობა უნდა ეკისრათ.

თავისთავად ცხადია, ასეთი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდილო კავკასიელ მთიელებისა, ერთი მხრივ, კავკასიაში არსებულ რუსულ ქალაქებთან, ციხესიმაგრეებთან თუ სტანიცებთან, ხოლო. მეორე მხრივ, რუსეთის შიდა გუბერნიებთან ობიექტურად ორ დიდ საქმეს აკეთებდა; ერთი, რომ საკუთრივ ჩრდილო კავკასიის ხალხებს ერთმანეთთან აახლოებდა, რომლებიც რამდენადმე კარჩაკეტილი და ფეოდალურად დაქუცმაცებულები იყვნენ, ხოლო, მეორეც, ხელს უწყობდა მათ დაახლოებას რუსულ მოსახლეობასთან; უფრო მეტიც, ჩრდილო კავკასიის რიგი პოლიტიკური ერთეულების რუსეთის მფარველობაში შესვლამ (ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩეჩენ-ინგუშეთი და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოსა (1801 წ.) და დაღესტნის (1813 წ.) რუსეთთან შეერთებამ, ბუნებრივია, იმიერ და ამიერკავკასიის ხალხებიც ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა, მით უფრო, რომ სამიმოსვლო გზებზე მთავარ კონტროლს უკვე თვითონ რუსეთი ახორციელებდა. საარქივო მასალების მიხედვით 1812—1816 წლებში მარტო პროხლოდნაიას და მოზდოკის საკარანტინო პუნქტებში ამიერკავკასიიდან გატარებული იქნა 60-მდე დასახელების სხვადასხვა საქონელი: მათ შორის ჩითი, მაუდი, ხამი შალი, ბამბის ქსოვილი, აბრეშუმი, ფეხსაცმელები, საღებავები, ძაფები, წებო, ღვინო, არაყი და სხვ.

ასე რომ, მთავრობის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა XIX ს. პირველ მეოთხედში მიზნად ისახავდა ორ მთავარ ამოცანას; ჯერ ერთი, მთიელები ეკონომიკურად მასზე დამოკიდებული გაეხადა და ამდენად უზრუნველეყო თავისი შემდგომი პოლიტიკური ბატონობა, მეორეც—შეენელებინა ის წინააღმდეგობა, რომელსაც იწვევდა მისი, თუნდაც ფრთხილი კოლონიალური პოლიტიკა.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, XIX ს. I მეოთხედში ჩრდილო კავკასიაში რუსეთის მიერ გატარებული საგადასახლებლო პოლიტიკა, რომლის მიზანი, ერთი მხრივ, ალბათ, ის იყო, რომ მიწის სიმცირით შეწუხებულ-შეავიწროებული მთიელთა გული მოეგო მათი მთებიდან

ბარში ჩამოსახლებით, ხოლო, მეორე მხრივ ის, რომ ბარში ჩამოსახლების შემდეგ აჯანყების შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ჩრდილო ოსებისა და ჩეჩენ-ინგუშთა ნაწილს.

მართალია, მთის ოსურმა მოსახლეობამ ბარად ჩამოსახლება ძირითადად მოზდოკის რაიონში, ჯერ კიდევ XVIII ს. 60—70-იან წლებიდან დაიწყო, მაგრამ მას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ოსებს ამაში ხელს უყაბარდოელი ფეოდალები უშლიდნენ და მეორეც, ამჯანად თვით რუსეთიც არ იყო დაინტერესებული ოსთა ბარში ჩამოსახლებით. რუსეთს ასეთი ინტერესი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუჩნდა. რამდენადაც ძირითადად სწორედ დარიალის ხეობაში მოსახლე თაგაურელი ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე გადადიოდა საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა — საქართველოს სამხედრო გზა.

რუსეთის ცდის შედეგად თაგაურელ ოსთა ერთი ნაწილი 1804—1806 წლებში გადასახლებული იქნა დარიალის ხეობის სოფ. ლარსიდან, სადაც რუსეთმა თავისი ციხესიმაგრე ჩადგა, ვლადიკავკაზის ბარში მდ. თერგსა და მდ. კამბილეევკას შორის. 1814—1816 წლებში აქ კიდევ რამდენიმე ოსური სოფელი გაჩნდა. აღსანიშნავია, რომ ვლადიკავკაზის ბარში ოსთა ფართო მასშტაბით დასახლება მხოლოდ ყაბარდოელ მთავრებთან გეორგიევსკში 1816 წ. მოლაპარაკების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომელთაც თაგაურელ ოსებზე ბატონობის გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ. ოსთა ბარში გადმოსახლება განსაკუთრებით ერმოლოვის მთავარსარდლობის პერიოდში გახდა ინტენსიური, რომელიც შემდეგით ხსნიდა თავის მიზნებს: ჯერ ერთი, ადვილი იყო მათზე თვალყურის დევნება, მეორე, წინააღმდეგობის შემთხვევაში დასჯა. მესამე, თავის საზღვარს თერგზე თვითონვე დაიცავდნენ, დაბოლოს რაც მთავარია, მძარცველთა პარტიებს არ დაუშვებდნენ სამხედრო გზაზე. რუსეთისადმი ერთგულების შემთხვევაში ერმოლოვი მათ პირდებოდა „სხვა ხალხთაგან შევიწროებისაგან დაცვას“ და ამასთან ნებართვასაც, არ გადაეხადათ მიწებისათვის გადასახადი ყაბარდოელ მთავრებისათვის: ერმოლოვმა 1822 წელს ოსთა ბარად განსახლების ჩეჩეციალური გეგმაც კი დაამტკიცა, რომლის მიხედვით, ოსები ძირითადად, უნდა დასახლებულიყვნენ სამხედრო გზის ყველაზე საშიშ უბანზე, კერძოდ, ყაბარდოს, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთის საზღვრების შეხვედ-

რის ადგილზე. მართლაც, 1829—1830 წლებში ბარში სულ შეიქმნა 23 ოსური სოფელი 1400—1450 კომლით. აღსანიშნავია, რომ თუ რუსეთი XIX ს. 10—20-იან წლებში ოსთა გადასახლებას ბარში ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვით ანუ ოსთა სურვილისაებრ აწარმოებდა, 30-იან წლებში მან ეს პოლიტიკა იძულებითი პოლიტიკით შეცვალა.

მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც ოსთა ბარში გადმოსახლებას ახლდა, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის პირობებში, ამ გადმოსახლებას ობიექტურად მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოსი ხალხისათვის. ჩამოსახლებულნი ბარში აუმჯობესებდნენ თავის მეურნეობას, ავითარებდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და სხვ. ამ გადმოსახლებით ირღვეოდა ოსური საზოგადოებათა საუკუნეობრივი კარჩაკეტილობა და იზოლირებულობა, პატრიარქალური ჩამორჩენილობა; იქმნებოდა პირობები ოსი ხალხის შემდგომი ეთნიკური განვითარებისა, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ოსი ბურჟუაზიული ერის შექმნა — საფუძველი შემდგომი სოციალური და პოლიტიკური პროგრესისა.

რუსეთთან ურთიერთობით, განსაკუთრებით, 1810 წ. როდესაც ჩეჩნეთ-ინგუშეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა, ვეინახ-მთიელთა მდგომარეობა საგრძნობ ცვლილებას განიცდის, კერძოდ, დაიწყო ჩეჩენ-ინგუში მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების ნელად ინტენსიური პროცესი. ამ მიგრაციას ჰქონდა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მხარე — ეკონომიკური და სოციალური. პირველი, რომ მიგრაცია ხორციელდებოდა მშვიდობიანი გზით და მას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო, მეორე, მათი ბარში ჩამოსახლებით შეიქმნა მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რამდენადაც შედარებით მოკლე ვადებში სწრაფად დაიწყო ძველი პატრიარქალურ-თემობრივი წყობილების რღვევა და ახალი ფეოდალურის ჩასახვა-განვითარება, რაც გამოიხატებოდა კლასობრივ ბრძოლაში.

მართალია, ვეინახი ტომები ადრე ბარში ცხოვრობდნენ, მაგრამ ადრეულ საუკუნეებში ალან-ოსების, ჰუნების, ყივჩაღებისა და თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად როგორც ჩანს, ისინი მთებს შეფარებულან. რაც შეეხება მათი ბარის მიწებს, ისინი ჯერ თათარ-მონღოლებმა დაიკავეს, ხოლო მათი წასვლის შემდეგ მეზობელ ყაბარდოელებმა და დალესტნელმა ფეოდალებმა; მთებში სახნავ-სათესი და სათიბი მიწების სიმცირემ და სიმწირემ ვეინახები აიძულა ბარად ჩამოსახლებულიყვნენ, მაგრამ ახალ ვი-

თარეებაში ყაბარდოელ ან დაღესტნელ ფეოდალებისათვის გარკვეული გადასახადის გადახდის ან მათ ქვეშევრდომ-მფარველობაში შესვლის საფასურად.

ვეინახთა ბარში ჩამოსახლების პროცესი, მართალია, საერთოდ XVI ს. ბოლო მეოთხედში დაიწყო, მაგრამ ინტენსიური ხასიათი მან მაინც XIX ს. პირველ მეოთხედში მიიღო, როცა ჩეჩენ-ინგუშები რუსეთის მფარველობაში შეეიდნენ (1810 წ.).

შეფის მთავრობა ხელს არ უშლიდა ვეინახთა მიგრაციის პროცესს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი ამჯერად მხარს უჭერდა მათზე გაბატონებისათვის არა ყაბარდოელ და დაღესტნელ ფეოდალებს, რომლებიც ტრადიციულად არ იღებდნენ მათ ბატონობაზე ხელს, არამედ საკუთრივ ვეინახელ ფეოდალებს, რათა ამით დასაყრდენი მოეპოვებინა ჩრდილოცენტრალურ კავკასიაში. მაგრამ რუსეთი არც თავის ინტერესებს ივიწყებდა და ჩეჩენ-ინგუშთა მიერ დასახლებულ ბარში ერთი შეორის მიყოლებით რუსული ციხესიმაგრეები ჩადგა; მაგალითად, გროზნოში, სლეპცოვსკაიაში, ურუსმართანში, სერნავოდსკში, სამამაკაში და ორიც მთებში ვედენოსა და ითონხალში, რაც თავისთავად ცხადია, დროდადრო მთიელთა ანტიკოლონიურ ბრძოლას იწვევდა.

მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, რამდენადმე ერთგოდა ჩრდილო კავკასიელ მთიელებისათვის „ქირაზე გასვლის“ ნებართვის მიცემაც, რასაც მათთვის არანაკლებ საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მთიელთა დიდი ნაწილი — უბრალო მუშა თუ რაიმე ხელობის მქონე, დამატებით შემოსავლისათვის არა მარტო ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში მიდიოდა, არამედ ამიერკავკასიაში და რუსეთის შორეულ ქალაქებშიც.

მართალია, ქირაზე გასვლა ჩრდილო კავკასიაში ადრეც იყო, მაგრამ მისი მასშტაბები შინაფეოდალური, ტომთაშორის ბრძოლებისა და გარეშე მტრების შემოსევების შედეგად, ძალზედ შეზღუდული იყო. ახლა კი, XIX ს. პირველ მეოთხედში მის განსავითარებლად თითქოს უკეთესი პირობები იყო შექმნილი, რამდენადაც მთელს კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოს, სომხეთ-აზერბაიჯანის და დაღესტნის რუსეთთან შეერთებით, ერთგვარად დამყარდა მშვიდობა, რასაც დიდად უწყობდა ხელს, აგრეთვე, ფართო მასშტაბით გზა-შარაების მშენებლობა და ქალაქების ზრდაც. მარტო ყიზლარში, მაგალითად, ყოველწლიურად 20—25 ათასი მთიელი მუშა-ხელოსანი ჩამოდიოდა, ამდენივე მიდიოდა, სხვათა შორის, აზერბაიჯანსა და საქართველოში.

ასეთი წაბვლა-წამოსვლა ობიექტურად არა მარტო ხელს უწყობდა კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან კულტურულ დაახლოებას, არამედ იწვევდა მეურნეობის სხვადასხვა დარგების შემდგომ და დაჩქარებულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მრავალი წასულთაგანი არცთუ იშვიათად რჩებოდა ადგილზე მუდმივ მაცხოვრებლად.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის საავჭრო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ ობიექტურად, მართალია, ჩართო ჩრდილო კავკასია საერთო მსოფლიო ისტორიულ განვითარებაში, რამდენადაც, ჩრდილო კავკასია კარგა ხანი იდგა, ასე ვთქვათ, „ისტორიის მიღმა", და ამაშია რუსეთის ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურება, მაგრამ XIX ს. პირველ მეოთხედში რუსეთმა მაინც ვერ შეძლო მთიელთა ეკონომიკური დამორჩილება, როგორც ეს მას სურდა, რადგან მისი პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდებოდა, რის გამოც მთიელები მას უნდობლობითა და ეჭვის თვალით უყურებდნენ.

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ჩრდილო კავკასიელ მთიელთა დამოკიდებულება მეფის მთავრობის პოლიტიკისადმი სხვადასხვაგვარი იყო. ამასთან ცალკე უნდა აღინიშნოს მაღალი დამოკიდებულების შესახებ რუსეთის საგარეო და ცალკე საშინაო პოლიტიკისადმი, რამდენადაც რუსეთი ამ კუთხით სულ სხვადასხვა ხელოვნური წინით აკმაყოფილებდა მათ ინტერესებს.

ჩრდილო კავკასიის პოლიტიკური წარმონაქმნების უმრავლესობა, მიუხედავად ურთიერთმიმართ განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობისა, რუსეთით კმაყოფილი იყო, რამდენადაც, ძირითადად შეწყდა თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანის გამანადგურებელი თავდასხმები, ხოლო მეორეც, რუსეთთან საავჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ობიექტურად არცთუ ისე უმნიშვნელოდ დააწინაურა ისინი: განსაკუთრებით დაბალი დამოკიდებული ფენებისათვის იყო რუსეთის მოსვლა მნიშვნელოვანი, რადგან ამით შეწყდა არა მარტო თურქეთ-ყირიმის სახანოსა და ირანის თავდასხმები, არამედ რამდენადმე შენელდა კიდეც შინაფეოდალური ომებიც. რაც არანაკლებ გამანადგურებელი იყო მათთვის.

რუსეთისადმი ჩრდილო კავკასიელთა ასეთი დამოკიდებულების საფუძველს იძლეოდა მთელი პერიოდი მოყოლებული XVI ს. 50-იან წლებიდან, ვიდრე XVIII ს. 60-იან წლებამდე, როდესაც რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა მართლაც რომ ნება-

ყოფლობითობის პრინციპზე იყო აგებული; მაგრამ რუსეთის ინტერესების გაზრდამ კავკასიაში XVIII ს. 60-იან წლებში და შემდგომ, ნელ-ნელა შეცვალა რუსეთის პოლიტიკა და მისი ურთიერთობის ხასიათიც ჩრდილო კავკასიასთან.

აღნიშნული გარემოება სამი მთავარი ფაქტორით იყო განპირობებული; პირველი დაკავშირებული იყო თურქეთთან, რომელიც ორგზის დამარცხების მიუხედავად, 1768—1774 და 1787—1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში, კავკასიაში ჯერ კიდევ წარმოადგენდა გარკვეულ ძალას და ჯერ კიდევ ჰქონდა დიდი გავლენა ჩრდილო კავკასიის მუსლიმანურ სამღვდელოებასა და რეაქციულ თავადაზნაურობაში. ასე რომ, თუკი რუსეთი გაშიშვლებულ კოლონიურ პოლიტიკას გაატარებდა, მაშინ მას შეიძლება თურქეთისათვის საშველებაც კი მიეცა მის წინააღმდეგ კავკასიელების ამხედრებისა, რამდენადაც ასეთ ვითარებაში ისინი მაინცდამაინც დიდ განსხვავებას ვეღარ დაინახავდნენ თურქეთსა და რუსეთს შორის; მეორე, არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაწეოდა ირანისაც, რომელიც დაღესტანს ჯერ კიდევ თავისად თვლიდა, დაბოლოს, რუსეთს ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და იმ დროს როდესაც ამიერკავკასიის პოლიტიკის მესვეურთა უმრავლესობა მას მფარველობას თუ ქვეშევრდომობას თხოვდა, ჩრდილო კავკასიაში მის აშკარა კოლონიურ პოლიტიკას შეიძლებოდა ისინი დაეფრთხო და ამდენად შეემცირებინა მისი იქ გაბატონების შანსებიც. ამის მიუხედავად, მაინც იყო ორი გარემოება, რომელიც აიძულებდა რუსეთს ჩრდილო კავკასიაში უფრო თამამი პოლიტიკა გაეტარებინა. ჯერ ერთი, თურქეთი დამარცხებული იყო, მეორეც საქართველოსთან გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატით მას ამიერკავკასიაში რამდენადმე მაინც ჰქონდა ზურგი მომაგრებული.

ყოველივე ამან გამოიწვია სწორედ რუსეთის მხრიდან ჩრდილო-კავკასიელთა რუსეთისადმი სწრაფვის ნებაყოფლობითობის პრინციპისადმი ფერთხილი კოლონიალური პოლიტიკის შეხამება, რომელმაც საერთოდ მოიცვა პერიოდი XVIII ს. 60-იანი წლებიდან ვიდრე XIX ს. 20-იან წლებამდე.

არსი ასეთი პოლიტიკისა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთი თავის კოლონიალური პოლიტიკის გატარებისას ცდილობდა არ დაერღვია ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წარმონაქმნთა შიდაპოლიტიკური მმართველობის სისტემა, მათი ასე ვთქვათ, „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა“ და სოციალურ-ეკონომი-

კერი სტრუქტურა, რათა აშკარად არ აემხედრებინა მთიელები და ყოველივე ეს არ გამოეყენებინათ თურქეთ-ირანსა და ინგლის-საფრანგეთს.

რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობაში ზემოაღნიშნული პერიოდი — XVIII ს. 60-იანი წლები XIX საუკუნის 20-იან წლებამდე, რასაკვირველია, არ იყო ერთგვაროვანი, განსაკუთრებით 1801 წლიდან, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამ ფაქტორმა ობიექტურად გარკვეული ტეხილი გამოიწვია საერთოდ რუსეთ-კავკასიურ ურთიერთობაში. ამიერიდან რუსეთმა არა მარტო შეუქცევადად უზრუნველყო ჩრდილო კავკასიის შემოერთება და ამასთან ერთად შეიძლება ითქვას, ამიერკავკასიის დარჩენილი ნაწილისაც, არამედ არსებითად შეცვალა თვით ხასიათიც რუსეთ-კავკასიური ურთიერთობებისა. მართალია, რუსეთმა თითქოს დაიცვა პრინციპი ფრთხილი კოლონიალური პოლიტიკის შეხამებისა ჩრდილო კავკასიელთა ნებაყოფლობითობასთან, მაგრამ ახლა ამ ნებაყოფლობითობამ უკვე მეორე პლანზე გადაინაცვლა და კოლონიალურმა პოლიტიკამაც შედარებით უხეში ხასიათი მიიღო თუმცა არა ისეთი ულმობელი და მკაცრი ხასიათის, როგორც ეს იყო 1816 წლიდან ერმოლოვის კავკასიაში მთავარსარდლად დანიშვნის შემდეგ, როდესაც მართლაც აშკარად დაიწყო ჩრდილო კავკასიელთა შიდაპოლიტიკური მმართველობის შეცვლა რუსულით, რაც გახდა ჯიდეც ერთ-ერთი საფუძველი კავკასიური ომისა.

ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წარმონაქმნთა უმრავლესობა მართალია, კვლავაც ნებაყოფლობით ცნობდა რუსეთის მფარველობასა და ქვეშევრდომობას, რომელსაც დროდადრო რუსეთი ე. წ. სამხედრო ექსპედიციებით „ამაგრებდა“, მაგრამ ახლა რუსეთს მაინც აღარ აკმაყოფილებდა ამ მხარეთა მარტო ფიცის ქვეშ შემოერთება, მით უფრო, როცა ამ ფიცს ამ მხარეთა ცალკეული მმართველები, თემ-საზოგადოებები თუ სასოფლო კავშირები იძლეოდნენ და არა მთელი ეს მხარე, კერძოდ, ადიღე-ჩერქეზეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი და დაღესტანი. რაც მთავარია, ეს ფიცი ერთგულებაზე და სამსახურზე იმდენად პირობითი იყო ხოლმე, რომ მას კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში ერთი და იგივე მმართველი, თემ-საზოგადოება თუ სასოფლო კავშირები რუსეთის მთავრობის წინაშე რამდენჯერმე იძლეოდნენ, რაც, რასაკვირველია, რუსეთის მთავრობას არ აწყობდა. თავისთავად ეს ვარემოება ორი მთავარი ფაქტორით იყო განპირობებული. ერთი,

რომ ჩრდილო კავკასიაში ობიექტურად არ არსებობდა ერთიანი და ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებიც მთლიანად შევიდოდნენ რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში და მეორეც, თურქეთ-ირანის ცდები ჩრდილო კავკასიაში, მიუხედავად რუსეთის მიერ ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვისა და მასთან ერთად ფრთხილი კოლონიური პოლიტიკის გატარებისა, არცთუ იშვიათად რჩებოდნენ ხოლმე უშედეგოდ, რასაც უდავოდ ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ რუსეთთან „შეერთების“ შემდეგ ჩრდილო კავკასიურ ერთეულებში კვლავაც გრძელდებოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთლიანობაში, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ ხელუხლებელი რჩებოდნენ ადგილობრივი „სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიც“.

ასეთი საერთო ვითარება კი, თავისთავად ცხადია, არ აწყობდა რუსეთს, მით უფრო, როცა XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში კავკასიით დაინტერესდნენ რუსეთის ევროპელი მეტოქეები — ინგლისი და საფრანგეთი, რომლებსაც აშკარად სურდათ, რომ კავკასია, როგორც ჩრდილოეთი, ასე ამიერკავკასია თურქეთს ან ირანს დარჩენოდა, ხოლო ამ უკანასკნელზე თავიანთი გავლენის შედეგად კი უკვე არაპირდაპირი გზით მოეპოვებინათ გავლენა თვით კავკასიაზეც.

რუსეთის მთავრობისათვის ყოველივე ეს არ იყო უცნობი და, ბუნებრივია, რომ მან ჩრდილო კავკასიის მიმართ თავისი ადრინდელი პოლიტიკა რამდენადმე შეცვალა, კერძოდ, ნელ-ნელა დაიწყო აქ თავისი მმართველობის შემოღება ჩრდილო კავკასიის საბოლოოდ შემომტკიცებისათვის, რასაც გადაუდებლად მოითხოვდა მისი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები და მასთან ერთად საგარეო-პოლიტიკური ამოცანებიც.

მართლაც, საქართველოს რუსეთთან შეერთების მეორე წელსვე, 1802 წლის მაისში, მთავრობამ გადაწყვიტა, რომ კავკასიაში შემოეღო სამოქალაქო მმართველობა. ამ მიზნით საგარეო საქმეთა კოლეგიამ მიიღო დადგენილება კავკასიის ხაზის უფროსის მორჩილებისაგან გამოეყო ყაბარდოელები, ნოღაელები, აბაზინელები, ტრუხმენები და სხვ. და დაემორჩილებინა ისინი კოლეგიის მრჩეველ მაკაროვისათვის, რომელიც იქნებოდა მთავარი პრისტავი, დამოუკიდებელი მმართველი და დაექვემდებარებოდა მხოლოდ საგარეო კოლეგიას. პრისტავს კავკასიის ხაზის უფროსისათვის მხოლოდ მაშინ შეეძლო მიემართა თუ მას სამხედრო დახმარება

დასჭირდებოდა. მაგრამ ყაბარდოში დაწყებულმა მღელვარებამ, რომელიც დაკავშირებული იყო 1802 წელს ყაბარდოში ახალი ვადით „საგვარეულო სასამართლოებისა“ და „საგვარეულო განჩინების“ ორგანოების ხელახალ არჩევნებთან, პრისტავის თანამდებობის შემოღება ფაქტიურად არარეალური გახდა. რაც შეეხება „საგვარეულო სასამართლოსა“ და „საგვარეულო განჩინების“ არჩევნებთან დაკავშირებულ მღელვარებას მას თავისი ისტორია აქვს. საქმე ისაა, რომ რუსული ხელმძღვანელობა, მართალია, კავკასიაში თავიდანვე არ დაადგა მმართველობის წმინდა რუსულ სტრუქტურის, კანონებისა და წეს-ჩვეულებების შემოღების გზას, მაგრამ მან მაინც სცადა შეექმნა ისეთი ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც ადგილობრივ გაბატონებულ კლასის ინტერესებს დიდად არ შელახავდა, უბრალო ხალხს არ ააჯანყებდა და, რაც მთავარია, თვით რუსულ მმართველობას მისცემდა შესაძლებლობას ჩარეულიყო მათ საშინაო საქმეებში და ამდენად დაექვემდებარებინა კიდეც თავისი კონტროლისათვის; ასეთი ადგილობრივი ორგანოები იყო სწორედ ეკატერინე II-ის ბრძანებით 1793 წელს ყაბარდოში შემოღებული ე. წ. „საგვარეულო სასამართლო“ და „საგვარეულო განჩინება“, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ იქნა შემოღებული, რომ ყაბარდოში მთელი საქმეების წარმოება ფაქტიურად მოლებისა და ყადების ხელში იყო და ეს არ აწყობდა რუსეთს, რადგან ისინი არა მარტო დანაშაულებრივ საქმეებს არჩევდნენ შარიათის მიხედვით, არამედ პოლიტიკურ აგიტაციასაც უწეოდნენ ხალხში თურქეთის სასარგებლოდ.

ყაბარდოში შექმნილი „საგვარეულო სასამართლოსა“ და „საგვარეულო განჩინების“ პრინციპი ისეთნაირად იყო აგებული რომ ისინი აწესრიგებდნენ, ერთი მხრივ, ურთიერთობას თავადებსა და მათ აზნაურ-ვასალებს შორის (საგვარეულო სასამართლო), ხოლო, მეორე მხრივ, ურთიერთობას აზნაურებსა და მათ ქვეშევრდომ ვასალებს შორის (საგვარეულო განჩინება). გარდა ადგილობრივი სასამართლოსი ქ. მოზდოკში შეიქმნა ე. წ. „უმაღლესი სასაზღვრო სასამართლოც“, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დიდი და მცირე ყაბარდოს ექვსი თავადი და ექვსი აზნაური. ამათ გარდა თვით მოზდოკის ორი მოქალაქე — ერთი ქართველი და ერთიც სომეხი. მოზდოკის „უმაღლესი სასაზღვრო სასამართლოს“ თავმჯდომარე იყო მოზდოკის ციხე-სიმაგრის კომენდანტი რომელსაც საქმეები, ყაბარდოს სისხლის სამართლის საქმეებითურთ, უნდა გაერჩია რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით. ამავე კომენდანტს,

როგორც „უმაღლესი სასაზღვრო სასამართლოს“ თავმჯდომარეს, ექვემდებარებოდნენ, აგრეთვე, თვით დიდი და მცირე ყაბარდოს „საგვარეულო სასამართლოები“ და „საგვარეულო განჩინებებიც“.

თავდაპირველად ყაბარდოელები კმაყოფილი იყვნენ სასამართლოებით, განსაკუთრებით ისინი, ვინც სასამართლოებს განაგებდნენ, რადგანაც მოსამართლეებს ხაზინიდან ჯამაგირი ეძლეოდათ. მოიხსნა მძეულების მიცემა და გაუქმდა ყველა ის დავალიანება, რომელიც ყაბარდოელების მიმართ ჰქონდათ რუს მოხელეებს იმ თავდასხმების დროს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, რომლებსაც დროდადრო ყაბარდოელები ახორციელებდნენ ხოლმე რუსულ სტანიცებზე თუ ციხესიმაგრეებზე. მაგრამ ჩქარა ყაბარდოელებმა იგრძნეს ამ საგვარეულო სასამართლოების მიზანი თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება, რადგან რუსულმა მმართველობამ საგვარეულო სასამართლოების პარალელურად ახალი წეს-ჩვეულებები შემოიღო, რომლებსაც, ეთი შეხედვით, ყაბარდოელებისათვის თითქოსდა დიდი ზიანი არ მოჰქონდათ, მაგრამ სინამდვილეში კი აშკარად ზღუდავდა მათ მოქმედებას. მაგალითად, ყაბარდოელებს აეკრძალათ რუსული სამხედრო ხელისუფლების ნებართვის გარეშე საზღვარგარეთ წასვლა, თვითნებურად ეძიათ შური მკვლელზე სისხლის აღების წესით, შეეფარათ დამნაშავე სტუმარ-მოყვარეობის წეს-ჩვეულების ნიშნით; ახალგაზრდები შეყრილიყვნენ ერთად მოედანზე ან სამწყესურებთან-ფარეხებთან, რათა ეჯირითათ და, რაც ძთავარია, მოეწვიათ საზოგადოებრივი კრებები თუ საამისოდ სპეციალური ნებართვა არ იქნებოდა მიღებული საგვარეულო სასამართლოსა და საგვარეულო განჩინებისაგან. ამის გარდა, თვით ამ სასამართლოების მიერ წარმოებული საქმეებიც მეტად ვიწრო და შეზღუდული იყო. მაგალითად, მათ თავისი ადათების მიხედვით უნდა გაერჩიათ ძირითადად ოჯახური საქმეები და გლეხთა ურთიერთობის ზოგი საკითხიც, მაშინ როდესაც „უმაღლეს სასაზღვრო სასამართლოს“ მოზდოკში უნდა განეხილა პოლიტიკური და სისხლის სამართლის საქმეები და მასთან ერთად აპელაციებიც იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებული იქნებოდა ყაბარდოში საგვარეულო სასამართლოსა და საგვარეულო განჩინების მიერ. მოზდოკის „უმაღლესი სასაზღვრო სასამართლო“ უშუალოდ ემორჩილებოდა ასტრახანის გენერალ გუბერნატორს.

ასე რომ, ფაქტიურად ზემოაღნიშნული სასამართლოების შემოღებით რუსულმა მმართველობამ გარკვეული ნაბიჯი გადადგა

ყაბარდოელების თვითმმართველობის შესაზღუდავად და ამდენადვე თავისი კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. მაგრამ ყველაფერი ამის შენარჩუნება ამ ეტაპზე არცთუ ადვილი აღმოჩნდა მეფის მთავრობის მხრიდან, რამდენადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ყაბარდოში მალე მიხვდნენ აღნიშნული სასამართლოების არსს და ამდენადვე მას სათანადო რეაქციით უპასუხეს. განსაკუთრებით მტრულად შეხვდა სასამართლო რეფორმებს სასულიერო წოდება და ფეოდალთა ის ნაწილი, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ დაამყარა კლასობრივი კავშირი ცარიზმთან. გამოიყენეს რა ხალხის უკმაყოფილებაც, რომ სასამართლო საქმეების წარმოება ძველი ადათ-ჩვეულებების მიხედვით შეწყდა და იგი მთლიანად ფეოდალებს ჩაუვარდათ ხელში, მათ მთავრობის წინააღმდეგ (სასულიერო წოდებამ და ფეოდალთა ამ ნაწილმა — თ. ბ.) მოაწყვეს რამდენიმე შეიარაღებული გამოსვლა (1794 წლის თებერვალში, 1795 წელს, 1796 წლის ზაფხულში და 1799 წელს). აღსანიშნავია, რომ 1797 წ. რუსულმა მმართველობამ ყაბარდოელები ძალით დააფიცეს პავლე I-ის ერთგულება-ქვეშევრდომობაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყაბარდოელთა ამ გამოსვლებში არანაკლები როლი შეასრულა, აგრეთვე, თურქეთმა, რომლის სულთანმაც სელიმმა არაერთი წამქეზებელი ფირმანი გამოგზავნა ჩრდილო კავკასიაში კავკასიელი ხალხების რუსეთის წინააღმდეგ ასაბუნტრებლად. თავის ფირმანში, რომელიც 1794 წლის იანვარში სოხუმიდან დიდ ყაბარდოში ჩამოიტანეს და მიმართული იყო ყაბარდოელი, დაღესტნელი და სხვა მფლობელებისადმი და, აგრეთვე, ყველა მუსლიმანი ხალხებისადმი, მოყოლებული შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, სულთანი წერდა, რომ მან რუსეთს მოთხოვა ხელი აეღო ყირიმზე და ყაბარდოზე და თუ ის ამაზე უარს განაცხადებდა, თურქეთი 1794 წლის გაზაფხულზე მასთან ომს დაიწყებდა, რისთვისაც საჭირო იყო მომზადებულიყვნენ ყაბარდოელებიცა და სხვა მთიელებიც. სულთანი იმასაც იტყობინებოდა, რომ ამჯერად რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება სურთ საფრანგეთსა და სხვა ქვეყნის მეფეებსაც, რომ ამ შემთხვევაში მთავარი იყო ის, რომ თურქეთს დაეწყო ომი

ამ ფირმანმა, როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, მეტად წამქეზებლური როლი ითამაშა ყაბარდოელთა გამოსვლებში. თურქეთით დაიმედებულმა ფეოდალთა რეაქციულმა ნაწილმა და მუსლიმანურმა სამღვდელოებამ უფრო თამამად დაიწყეს მოქმედება.

ყაბარდოელთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა და გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ, როგორ ჩანს, მაინც აიძულეს მეფის მთავრობა, რომ დროებით აეღო ხელი ჩრდილო კავკასიაში და მათ შორის, რასაკვირველია, ყაბარდოშიც თავისი მმართველობის შემოღებაზე. 1800 წლის 28 მაისს გამოქვეყნდა პავლე I-ის ბრძანებულება, სადაც იმპერატორი კავკასიის მმართველობას ატყობინებდა, რომ არ ჩარეულიყვნენ ჩრდილო კავკასიელ მთიელთა საშინაო საქმეებში, ვიდრე ისინი თავს არ დაესხმოდნენ რუსულ საზღვრებს, რომ ჩრდილო კავკასიელები რუსეთთან ურთიერთობაში ჩაითვალნონ უფრო ვასალურ დამოკიდებულებაში, ვიდრე ქვეშევრდომებად.

მართალია, რუსეთმა ამჯერად ხელი აიღო თავის თვითმართველობის შემოღებაზე, მაგრამ სამაგიეროდ კვლავ ინტენსიურად გაგრძელა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკა. 1803 წელს მან წამოიწყო რუსული დიდი ციხესიმაგრის — კისლოვოდსკის — მშენებლობა, რომელმაც შტერნშანეცის, ვოროვსკოლესისა და კონსტანტინეგორსკის ციხესიმაგრეებთან ერთად ყაბარდო გამოყო ყუბანისპირეთისაგან, როგორც ველის ისე მთის რაიონებში. კისლოვოდსკის მშენებლობამ აავსო ყაბარდოელთა მოთმინების ფიალა. აჯანყებულ ყაბარდოელებს ჩქარა ბალყაელებიც შეუერთდნენ, ხოლო შემდეგში ჩრდილო ოსები, ყარაჩაელები და აბაზინელები.

1803—1806 წლების აჯანყება ყაბარდოში, რომელიც ანტიკოლონიალურ ხასიათს ატარებდა, მეფის მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო; „ათეულობით აული მიწასთან იქნა გასწორებული“.

ამის მიუხედავად, მთავრობა მაინც წავიდა გარკვეულ დათმობებზე, კერძოდ, 1807 წელს ყაბარდოში გაუქმებული იქნა „საგუარეულო სასამართლოები“ და „სასამართლო განჩინებები“, სანაცვლოდ შემოღებული იქნა სამი სასულიერო სასამართლო — მეხკემე, რომელსაც ხალხის ყველა საქმე შარიათის მიხედვით უნდა გაერჩია. „სახალხო პირობების“ ძალით ბევრი საქმე ადათის მიხედვით უნდა გარჩეულიყო.

ასე რომ, შარიათითა და ადათით ყაბარდოში „ხალხზე პოლიტიკური ხელისუფლება“ ძირითადად მუსლიმანური სასულიერო წოდების ხელში აღმოჩნდა, რაც რუსეთისათვის მეტად საზიანო იყო, რადგანაც ეს იყო სწორედ ის არხი, რომლითაც თურქეთი აღწევდა ყაბარდოში და საერთოდ მთელს ჩრდილო კავკასიაში.

მართალია, ჩრდილო ოსეთი რუსეთთან ნებაყოფლობით იყო შეერთებული და თითქოს რუსეთს მის მიმართ არ უნდა ჰქონებოდა პრეტენზიები, მაგრამ ახალ ვითარებაში რუსეთმა მის მიმართაც სცადა გარკვეული ზემოქმედების მოხდენა; ამ შემთხვევაში რუსეთისათვის შემაშფოთებელი იყო საქართველო-ოსეთის ურთიერთობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, მიუხედავად მთელი მისი პროგრესულობისა, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სამეფო გვარის წევრთა შორის, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ქართული სამეფო გვარი ტახტის დაკარგვას მისტიროდა და მისი დაბრუნებისათვის, ერთი მხრივ, თვით საქართველოში ანტირუსული ძალების კონსოლიდაციას ახდენდა, ხოლო მეორე მხრივ კი, აპირებდა თავის გარშემო დაერაზმა რუსეთით უკმაყოფილო ჩრდილო კავკასიელი მთიელები, განსაკუთრებით ოსები, რამდენადაც მათი საშუალებით აპირებდნენ სამხედრო გზის გადაკეტვას.

რუსეთმა ორნაირად სცადა თაგაურელ ოსთა მორჩილებაში მოყვანა; ჯერ ერთი, მთავარს ახმედ დუდაროვს „ხიდებისა და გზის გაწმენდისათვის, და იასაულის შენახვისათვის" ჯამაგირის და დამატებით ბაჟის აკრეფის უფლებაც მისცა; ხოლო მეორე, როცა ამით მიზანს ვერ მიაღწია 1802 წელს თაგაურელებს სამხედრო დამსჯელი ექსპედიცია შეუსია.

ოს ალდართა უკმაყოფილება ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ მათ, მართალია, რუსეთის დახმარებით ყაბარდოელ მთავრებისაგან ერთგვარ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, მაგრამ სამაგიეროდ ახლა თვით რუსეთზე აღმოჩნდნენ დამოკიდებული, რაც მათ არ აწყობდათ.

რუსეთს უფრო მეტად ქართულ სამეფო გვარის წარმომადგენელთა — ვახტანგ, ფარნავაზ, იულონ, ალექსანდრე ბატონიშვილებისა და მარიამ დედოფლის საქმიანობა აწუხებდა ოსეთში, რომელთა მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1803 წლის ბოლოს, როდესაც დაწყო ფართო მასშტაბით დარიალის ხეობაში სამხედრო გზის მშენებლობა.

1804 წელს მთავარსარდალ ციციანოვმა ისარგებლა რა თაგაურელ ალდართა მიერ მოზდოკს მიმავალი სომეხი ვაჭრების გაძარცვით, ბრძანება გასცა რათა თაგაურელთათვის საქართველოში ჩამოსასვლელი გზა დაეკეტათ და ამასთან ერთად არც მოზდოკში შეეშვათ; უფრო მეტიც, დუშელ და მუხრანელ ოსებსაც აეკრძალათ

ჩრდილო ოსეთში საჭირო სურსათისა და საქონლის შეზიდვა. ციციანოვის ამ ბრძანებამ დასაბამი მისცა ოსთა აჯანყებას, რომელსაც ნელ-ნელა შეუერთდნენ სამხედრო გზაზე ბეგარითა და რუს მოხელეთა თვითნებობა-სისასტიკით გაბეზრებული ინგუშები და ქართველი მთიელებიც. აჯანყების შედეგად საქართველოს გზაზე მთლიანად შეწყდა რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და ტრანსპორტის მიმოსვლა.

ქართველი ბატონიშვილების წყალობით, მართალია, აჯანყებულ მთიელებს არ აკლდათ სპარსეთის შაჰის ფეტხ-ალის ფირმანები, რომელშიც შაჰი მიმართავდა ყაბარდოელ, ჩეჩენ, ოს და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებს, რათა მათ ჩაეკეტათ გზები კავკასიის მთებში და ამოეხოცათ რუსები, მაგრამ ამის მიუხედავად, 1804 წლის ოქტომბერში აჯანყება საშინელი სისასტიკით იქნა ჩახშობილი. ციციანოვმა თავისი მუქარა შეასრულა „ქვა ქვაზე არ დატოვა". საქართველოს სამხედრო გზაზე კვლავ აღდგა მშვიდობიანი მიმოსვლა.

1804 წლის აჯანყებაში თაგაურელ ოსთა აქტიური მონაწილეობა განპირობებული იყო მოვლენათა მთელი კომპლექსით. ფეოდალების ერთი ნაწილი, ახმედ დუდაროვის მეთაურობით, რუსეთში ხედავდა ძალას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მათს სოციალურ ბატონობას, მათ პრივილეგიებს დარიალის გზაზე ბაჟების აკრეფისა და ძალადობის საქმეში, რის გამოც ყველა შესაძლებლობებით გარეშე ძალაზე დაყრდნობითაც კი (ირანის შაჰი და მასზე დაიმედებული ქართველი ბატონიშვილები) ებრძოდა მას, ფეოდალთა მეორე ნაწილმა კარგად შეაფასა რუსეთის ძალა და თავისი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა მისდამი ერთგულ სამსახურს დაუკავშირა; რაც შეეხება გლეხობას, მას, ჩანს ჯერ კარგად არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები და ამდენად ადვილად აღმოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალური ჯგუფის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელმაც იგი დარაზმა „საერთო-ეროვნული" (მათი ვიწრო-წოდებრივი) ინტერესებისათვის საბრძოლველად. საერთოდ კი 1804—1809 წლებს აჯანყებებში, როგორც ყაბარდოში, ისე ოსეთში მარტო სოციალური მოტივები არ უნდა დავინახოთ, თუმცა ისინი სინამდვილეში მართლაც დომინირებდნენ, აქ ჩვენ ხალხის მასების პატრიოტული აღტკინებაც უნდა შევამჩნიოთ, რამდენადაც ცარიზმის სამხედრო სადამსჯელო ექსპედიციების მიერ მთიელთა აულ სოფლების დანგრევა-გადაწვა არ შეიძლებოდა ხალხს არ მიეჩნია სამხედრო შემოსევად და მისთვის სათანადო წინააღმდეგობა არ

გაეწია. მშრომელი მასებისათვის სამშობლოს ბედი სულ ერთი არ იყო.

1804—1805 წლების აჯანყებებში დამარცხებულმა ყაბარდოს და ოსეთის მმართველებმა რუსეთს ერთგულება შეფიცეს და მისი ქვეშევრდომობაც სთხოვეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. წინააღმდეგობის სული კვლავაც ტრიალებდა და შესაფერის მომენტს უცდიდა, რისი შექმნასაც არცთუ წარუმატებლად ცდილობდნენ თურქეთ-ირანის აგენტები და მათთან ერთად ქართველი ბატონიშვილები, რომელთა თხოვნა მხოლოდ ერთი იყო „ოღონდაც არ დაეშვათ რუსები კავკასიაში“.

1806 წელს ბაქოში მოკლულ ციციანოვის ნაცვლად კავკასიაში მთავარსარდლად დაინიშნა გრაფი გუდოვიჩი. გუდოვიჩი ორ ფრონტზე — ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ბუნებრივია, იგი ჩრდილო-კავკასიელების მიმართ უფრო დამთმობი იქნებოდა, ვიდრე მისი წინამორბედი ციციანოვი იყო. მან როგორც ვიცით, ყაბარდოში გააუქმა საგვარეულო სასამართლოები, ხოლო ოსებს მისცა ეკონომიკური შეღავათი — თავისუფალი მიმოსვლა და ბაჟების აკრეფა. გუდოვიჩმა საჭიროდ დაინახა, აგრეთვე, ოსეთში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობის აღდგენა, რამდენადაც XIX ს. დასაწყისში ირან-თურქეთის აგენტებმა ყაბარდოელ მთავართა დახმარებით გაძლიერებული ენერგიით დაიწყეს მაჰმადიანობის გავრცელება, რომელსაც ოსური საზოგადოების ზეიდაფენა თავისი წოდებრივი ინტერესების შესაბამისად იღებდა და ამდენად ქრისტიანობას დევნიდა. გუდოვიჩის მიზანი ნათელი იყო — ოსეთში ქრისტიანობის აღდგენით მოეშალა თურქეთ-ირანისათვის ე. წ. „სულიერი ნიადაგი“.

1809 წელს გუდოვიჩი გაიწვიეს კავკასიიდან და მის ნაცვლად მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ტორმოსოვი, რომელმაც გუდოვიჩის კომპრომისული პოლიტიკა კავკასიელი მთიელებისადმი რამდენადმე შეცვალა. ეს კი თავის მხრივ საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას, ერთი მხრივ, ანტიკოლონიალური მოძრაობა გაეაქტიურებინა, ხოლო, მეორე მხრივ კი, თურქეთ-ირანის აგენტებისა და ქართველი ბატონიშვილების ანტირუსული საქმიანობა. საერთო მიზანი ამ რეაქციულ ძალებისა მდგომარეობდა იმაში, რომ ყაბარდოელები, ოსები, ჩეჩენ-ინგუშები და სხვა მთიელები თურქეთთან და ირანთან ერთად „ერთობლივი ლაშქრობისათვის დარაზ-

მულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ და საქართველოს განთავისუფლებისათვის... წინააღმდეგ შემთხვევაში თუ რუსეთი გაიმარჯვებდა ყველა მათ გააქრისტიანებდა, კაზაკებად გადააქცევდა და შორეულ ციმბირშიც გადაასახლებდა".

ასეთ ვითარებაში, როდესაც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ჩრდილო კავკასიის მთიელთა ზედაფენა და ნაწილობრივ გლეხობაც, ბუნებრივია, ამ აგიტაცია-პროპაგანდამ დროებით მაინც თავის მიზანს მიაღწია. 1809—1811 წლებში ყაბარდოსა და ჩეჩნეთში რუსეთის საწინააღმდეგოდ დიდი აჯანყება მოხდა, რომელიც მეფის მთავრობამ სისხლში ჩაახშო. აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ფეოდალთა ერთი ნაწილი, ისე როგორც გლეხობისა რუსეთის კარის ერთგული დარჩა, უფრო მეტიც, ხელი შეუწყო მას აჯანყების ჩაქრობაში.

1811 წელს ყაბარდოელებმა სპეციალური დეპუტაცია გააგზავნეს პეტერბურგში, რათა იმპერატორ ალექსანდრე I-ს მათთვის შეენარჩუნებინა ის სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური პრივილეგიები, რომლებიც მათ ჰქონდათ მინიჭებული ეკატერინე II-ის 1771 წლის წყალობის სიგელით. მართლაც ალექსანდრე I-მა დააკმაყოფილა ყაბარდოს მოთხოვნა მის მიერ გაცემული 1812 წლის 20 იანვრის სიგელით, რაც მეფის მთავრობის მიერ გარკვეულ დათმობას ნიშნავდა. 1810 წლის აგვისტოში ინგუშეთი ოფიციალურად შევიდა რუსეთის მფარველობაში, რაც გაფორმებული იქნა კიდეც სპეციალური შეთანხმებით ქ. ვლადიკავკაზში.

1803—1812 წლებში ნაწილობრივ დაღესტანის ფეოდალურ გაერთიანებათა, თემ-საზოგადოებებისა და „სასოფლო კავშირების" ნებაყოფლობის და ნაწილობრივ კი ირანთან 1804—1813 წლების ომში მოპოვებული საომარი წარმატებების საფუძველზე, რუსეთმა შეძლო მთელი დაღესტნის შემოერთება; 1813 წელს გულისტანის ზავით ირანი რუსეთის სასარგებლოდ იძულებული იყო უარი ეთქვა დაღესტანზე, საქართველოზე, ყუბის სახანოზე, შირვანზე, ყარაბახსა და განჯაზე.

დაღესტნის შეერთება რუსეთთან ეს იყო დაღესტნისათვის ერთადერთი გზა საგარეო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ეკონომიკურ-პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მოსპობისათვის, ეს იყო, აგრეთვე, ერთადერთი გამოსავალი იმ გაყინული მდგომარეობიდან, რომელშიც იმყოფებოდა დაღესტანი საუკუნეების მანძილზე.

1812 წლიდან 1816 წლამდე ვიდრე კავკასიაში მოიავარმარ-
თებლად ერმოლოვი დაინიშნებოდა ჩრდილო კავკასიაში შეიარაღებით
ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდა; ჩრდილო-კავკასიელ მთიელებ-
მა ამხანად კიდევ არაერთხელ შეფიცეს რუსეთს ერთგულება და
ქვეშევრდომობა, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავდა იმას, რომ ყველა
სადავო საკითხი გადაწყდა და ყველა წინააღმდეგობა მოისპო. საქმე
ისაა, რომ ახლა მხარეები უფრო ფრთხილად იქცეოდნენ, ისინი
მშვიდობიანი გზებით ცდილობდნენ თავის სოციალურ თუ პო-
ლიტიკური მიზნების მიღწევას. რუსეთის ადმინისტრაცია ცდი-
ლობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან დაყვავების პოლიტიკის გა-
ტარებას, სოციალურ ზედაფენათა მოსყიდვა- მომადლიერებას
და ამ გზით თავის ბატონობის განმტკიცებას. ადგილობრივ ზედა-
ფენებსაც არ შეეძლოთ არ დარწმუნებულიყვნენ, რომ იარაღის
ძალით რუსეთთან ვერაფერს გააწყობდნენ. ამის გამო ისინიც
ერთგული სამსახურით ცდილობდნენ თავისი კლასობრივი მიზნე-
ბის მიღწევას.

იმის მიუხედავად, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხთაგან უმრავ-
ლესობა რუსეთთან იყო შეერთებული, ყუბანისა და თერგის სამ-
ხრეთით ბევრი ხალხი ჯერ კიდევ რუსეთისაგან დამოუკიდებლად
რჩებოდა. ახლა, როცა 1812 წლის სამამულო ომი რუსეთის გამარ-
ჯვებით დამთავრდა და ასევე გამარჯვებით რუსეთ-თურქეთის
1806—1812 წლის და რუსეთ-ირანის 1804—1813 წლების ომი,
ცარიზმმა როგორც ჩანს ახალ ვითარებაში მთელს ჩრდილო კავკა-
სიაში თავისი მმართველობის შემოღება სცადა, რადგან უამისოდ
ვერც ჩრდილო კავკასიასა და ვერც ამიერკავკასიაში წარმატებას
ვერ მიაღწევდა.

კავკასიაში პოლიტიკური აქტივობის ამ ახალ საფეხურზე იმ-
პერატორმა შესაბამისი პიროვნებაც გამონახა ,გენერალ ერმოლოვის
სახით, რომელსაც კავკასიის ჯარების მთავარსარდლისა და კავკასი-
ელ ხალხთა ბედის გადაწყვეტის ფუნქცია დააკისრა.

ჩრდილო კავკასიელებისათვის რუსეთის ასეთი პოლიტიკა,
როგორც ჩანს, მთლად საიდუმლოდ არ დარჩენილა, რაც ჩქარა
გამოჩნდა კიდეც მათ მოქმედებაში.

ასე მაგალითად, 1815 წლის 2 მაისს გენერალი რატიშჩევი
კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილ საიდუმლო მოხსენებაზე და-
ყრდნობით, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „ყაბარდოელი და ყუბანის-

პირველი მფლობელები თურქეთის მხარდაჭერით რუსეთზე აპირებენ თავდასხმას და რომ ანაპის ფაშაც მათ ემხრობა". მიუხედავად თურქეთის წაქეზებისა, მთლიანობაში ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ხალხებმა—ადიღებმა, გარდა აბაძეხებისა, გაქცეული ყაბარდოელებისა და ნოღაელებისა, 1816—1819 წლებში რუსეთთან კეთილგანწყობილება შეინარჩუნეს. რაც შეეხება ყაბარდოს, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტანის მსხვილ ფეოდალებს, რომლებიც ოფიციალურად რუსეთთან ერთგულების ფიცით იყვნენ შეერთებულები, იგრძნის რა რუსეთის მხრიდან აშკარა კონტროლი მათსა და საკუთარ ვასალ-ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობაზე და ასევე საკუთარ დამოკიდებულ ფენებთან ურთიერთობაზე რუსეთს აშკარად აუჯანყდნენ, რადგან მათ არაში თავისი დამოუკიდებლობის დაკარგვა დაინახეს. ერმოლოვმა მათი შეიარაღებული გამოსვლები 1818—1820 წლებში დიდის სისასტიკით ჩაახშო და ნაწილობრივ მოახერხა კიდეც რუსული მმართველობის შეხამება ადგილობრივ „სახელმწიფოებრივ" ორგანოებთან. მაგალითად, ყაბარდოში გააუქმა სასულიერო სასამართლოები — მეხკემე და შემოიღო ე. წ. დროებითი სასამართლო, რომლის წარმოებიდანაც ამოღებული იქნა სისხლის სამართლის ყველა საქმე-— მკვლელობა, ღალატი, აჯანყება, ბუნტი, გაქცევა კავკასიის ხაზის იქეთ, თავდასხმა, ძარცვა და სხვ. სამაგიეროდ ყველა ამის წარმოება გადაეცა რუსულ სამხედრო ორგანოებს.

ყაბარდოელებმა დროებით სასამართლოს შემოღებას 1822 და 1825 წლებში დიდი აჯანყებით უპასუხეს, მაგრამ ერმოლოვმა ისინი სისხლში ჩაახშო. ასევე სისასტიკით გაუსწორდა ერმოლოვი სწორედ ამ ხანებში აჯანყებულ ჩეჩნეთ-ინგუშეთს.

ყაბარდოელებსა და ჩეჩნიბ-ინგუშებს არც დაღესტნელები ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ერმოლოვმა აქაც შეძლო მათი ფეოდალური გაერთიანებების, თემ-საზოგადოებების თუ „სასოფლო კავშირების" უმრავლესობის იარაღით დამორჩილება, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მან მაინც რუსული ორიენტაციის ადგილობრივი მმართველები დატოვა.

ასე რომ, ჩრდილო კავკასიაში პირველად ერმოლოვმა დაიწყო რუსული მმართველობის შემოღების პირველი ნაბიჯები, რომელიც პასკევიჩმა გააგრძელა, განსაკუთრებით რუსეთ-ირანის (1826-1828) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829) წლების ომებში გამარჯვების შემდეგ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩრდილო კავკასიის რუსეთთან შეერთების მთელი პროცესი ქრონოლოგიურად დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ. პირველი პერიოდი — XVI ს. შუა ხანებიდან ვიდრე XVIII ს. 60-იან წლებამდე; მეორე — XVIII ს. 60-იან წლებიდან XIX ს. 20-იანი წლების შუა ხანებამდე, დაბოლოს, მესამე — XIX ს. 20-იანი წლების შუა ხანებიდან — 1865 წლამდე, კავკასიის ომის დამთავრებით.

პირველ პერიოდში რუსეთ-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა მეტად მშვიდობიანი იყო და მთლიანად აგებული ურთიერთდაინტერესებულობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპზე; მეორე პერიოდს თამამად შეიძლება ეწოდოთ გარდამავალი პერიოდი, როდესაც რუსეთი ჩრდილო კავკასიელთა ნებაყოფლობასთან უხამებდა თავის ფრთხილ კოლონიალურ პოლიტიკას; აღნიშნული პერიოდი თავის მხრივ შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: პირველი — 1760—1801 წლები, როდესაც რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე აგებდა თავის შედარებით ფრთხილ კოლონიალურ პოლიტიკას ანუ ჯერ კიდეც ხელუხლებლად ტოვებდა ადგილობრივ „სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს", თუმცა მისი შეცვლის ერთ ცდას მაინც ჰქონდა ადგილი (1791—1793 წლებში ყაბარდოში საგვარეულო სასამართლოებისა და საგვარეულო განჩინების შემოღება, — თ. ბ.); მეორე ეტაპი — 1801—1816 წლები, როდესაც ცარიზმმა, მართალია, დაიწყო თავისი მმართველობის შემოღების პირველი ნაბიჯები, მაგრამ ისეთის, რომელშიც ძირითადად მაინც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა ნებაყოფლობითობამ უკვე მეორე პლანზე გადაინაცვლა და კოლონიალურმა პოლიტიკამაც შედარებით უხეში ხასიათი მიიღო. დაბოლოს, მესამე ეტაპი — 1816 — 1826 წწ, როდესაც რუსეთი აშკარად დაადგა თავის წმინდა რუსული მმართველობის შემოღების პოლიტიკას, რამაც, ბუნებრივია, გააშიშვლა მისი კოლონიალური პოლიტიკა; თავისთავად ცხადია, ამას ჩრდილო კავკასიელთა დიდი რეაქცია მოჰყვა — შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები, რასაც ახლა თავის მხრივ მოჰყვა ცარიზმის მხრიდან ადრე ნებაყოფლობით შემოერთებული პოლიტიკური წარმონაქმნების დაპყრობა და რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატის დამკვიდრება; ამან კი გამოიწვია სწორედ კავკასიური ომი.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

ჩრდილო კავკასიის ხალხები კავკასიის ომის პერიოდში

§ 1. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

(1828—1839 წწ. პერიოდი)

ცარიზმის დამპყრობლური და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ დაღესტნელი და ჩეჩენი ხალხების ბრძოლა აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა მიურიდიზმის დროშითა და ჰაზავათის (ჯიხადა) ლოზუნგებით.

სიტყვა „მიურიდი" ნიშნავს „მორჩილს". როგორც ცნობილია, ისლამის პირველ საფეხურს წარმოადგენს შარიათი, სავალდებულო ყველა მუსულმანისათვის. ის მუსულმანები, რომელთაც სურთ „მიუახლოვდნენ" ღმერთს, უნდა ავიდნენ მის მეორე საფეხურზე (თარიკათი, რაც ნიშნავს „გზას სრულყოფისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ"); ესენი იქცევიან შარიათის მასწავლებლის — „მიურშიდის" მიურიდებად და მოვალენი არიან უყოყმანოდ დაემორჩილონ. კავკასიურმა მიურიდიზმმა თავის საფუძვლად გაიხადა რელიგიურ-პოლიტიკური ორდენის ნაყშბანდის მოძღვრება თარიკათის შესახებ, რომელიც აღმოცენდა ბუხარაში XIV ს-ში, ოღონდ შეავსო იგი ჰაზავათის—„ურწმუნოთა" წინააღმდეგ „წმინდა" ომის იდეით. კავკასიის სინამდვილეში ასეთ „ურწმუნოებად" იგულისხმებოდნენ, პირველ რიგში, რუსები. სწორედ ამაში მდგომარეობდა კავკასიური (ანუ „ნაიბური") მიურიდიზმის თავისებურება, რომელშიც მთავარი იყო არა იმდენად ღვთისადმი სამსახური, რამდენადაც „გიაურების" წინააღმდეგ ბრძოლა.

ნაიბური მიურიდიზმის პირველი მქადაგებელი დაღესტანში იყო მოლა მუჰამედ იარაგელი, რომელმაც თავი გამოაცხადა შირვანელ ისმაილ დორეიდას მიმდევრად. მაგრამ ნაიბური მიურიდიზმი ფაქტიურად დაღესტნურ ნიადაგზე აღმოცენდა და შემდეგ გავრცელდა ჩეჩნეთსა და კავკასიის ზოგ სხვა მთიან რაიონში.

კავკასიური მიურიდიზმი შარიათის დაცვის ლოზუნგით ნიღბავდა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ცარიზმის წინააღმდეგ მთიელ ხალხთა ბრძოლის გაიგივება მიურიდიზმის მოძრაობასთან, როგორც ამას ზოგჯერ აქვს ადგილი, მცდარია. მიურიდები ამ მოძრაობაში ყო-

ველთვის, განსაკუთრებით კი მისი ალმავლობისა და მასობრივი გავრცელების წლებში, უმცირესობას შეადგენდნენ. ამ მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა მთიელ გლეხთა მასების ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ სოციალური თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

კავკასიაში ჰაზავათის იდეური სულისჩამდგმელი იყო ზემოთ დასახელებული მუჰამედ იარაგელი, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი „მუსულმანები არ შეიძლება ურწმუნოთა ხელისუფლების ქვეშ იყვნენ". „ვინც თავს მუსულმანად თვლის, — ქადაგებდა იგი, — მისთვის პირველი საქმეა ჰაზავათი, შემდეგ კი შარიათის შესრულება".

1828 წ. მუჰამედ იარაგელის რეკომენდაციით არჩეულ იქნა დაღესტნის პირველი იმამი. იმამად აირჩიეს მისი საყვარელი მოწაფე, გიმრელი მოჰამედი, რომელსაც ამიერიდან ღაზი (სარწმუნოებისათვის მებრძოლი) ანუ ღაზი-მოლა ეწოდა. ღაზი-მოლა და მისი უმცროსი მეგობარი შამილი პირველნი იყვნენ, რომლებმაც პრაქტიკულად დაიწყეს მიურიდიზმისა და ჰაზავათის დროშით ფართო მოძრაობის გაშლა (ცალკეულ გამოსვლებს უკვე 20-იანი წლების შუა ხანებიდან ჰქონდა ადგილი).

მთებში ხანგრძლივი აგიტაციის შემდეგ მიურიდებმა გადაწყვიტეს მთავარი დარტყმა წარემართათ ავარიის სახანოზე, რომლის მმართველმა პახუ-ბიკემ რუსეთისადმი ერთგულება შეინარჩუნა. მთავარი ამოცანა კი წმინდა სტრატეგიული ხასიათისა იყო: ვინც ფლობდა ავარიას, ის ფაქტიურად ფლობდა მთიან დაღესტანს და მუდმივი მუქარის ქვეშ ჰყავდა ბარის დაღესტანი.

1830 წ. თებერვალში 5 ათასამდე მიურიდმა ღაზი-მოლას და შამილის მეთაურობით ლაშქრობა მოაწყო ხუნძახის წინააღმდეგ. ხუნძახელებმა მოიგერიეს ეს თავდასხმა და გააქციეს მომხდურები, შამილი კინაღამ ტყვედ ჩაიგდეს.

პირველი ლაშქრობის წარუმატებლობის მიუხედავად ღაზი-მოლას ლაშქარი სწრაფად იზრდებოდა. 1831 წ. მაისში 8-ათასიანი ლაშქრით ღაზი-მოლა შეიჭრა ტარკის საშამხლოში, რათა დახმარებოდა თავის ბატონების წინააღმდეგ აჯანყებულ გლეხებს. მთიელებმა ალყა შემოარტყეს სიმაგრე ბურნაიას. მალე აჯანყება გავრცელდა ჩეჩნეთზეც. იმავე წლის ოქტომბერში ღაზი-მოლამ ხელთ იგდო ყიზლარი და ააოხრა იგი.

1832 წ. კავკასიის არმია გააძლიერეს პოლონეთიდან გადმო-

ყვანილი ჯარებით. ღაზი-მოლას მდგომარეობა გართულდა. მისგან ჩაბოკილება დაიწყეს გლეხთა მასებმა, რადგან მათთვის მას არაფერი გაეკეთებია, ანგარიში არ გაუწია მოძრაობის ანტიფეოდალურ მიზანდასახულობას. 1832 წ. ბორონნა რიბენნი ჩააქრო აჯანყება ჩეჩნეთში, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში გენერალ ველიამინოვის 8-ათასიანმა რაზმმა ალყა შემოარტყა გიმრს, სადაც თავი შეაფარეს ღაზი-მოლამ და შამილმა 600 მიურიდით. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად მთიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არტილერიით შეიარაღებულ ჯარს, თითქმის ყველა დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ მძიმედ დაჭრილი შამილი და ერთი მიურიდი.

სანამ შამილი ჭრილობებისაგან იკურნებოდა, ახალ იმამად აირჩიეს ავარიელი ჰამზატ-ბეკი. მიურიდებმა ავარიის ხელში ჩაგდება განიზრახეს. ჰამზატ-ბეკი თავიდან ამ ამოცანის შესრულებას მშვიდობიანი გზით ცდილობდა, მაგრამ მოლაპარაკება უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან, ერთი მოხელის სიტყვებით, ავარიის ხანის ოჯახმა რუსეთისადმი ერთგულება გამოავლინა. მაშინ ჰამზატ-ბეკმა გადაწყვიტა აეძულებინა პახუ-ბიკე მისი მოკავშირე გამხდარიყო და 1834 წ. გაილაშქრა ავარიაზე. მიურიდებმა მოკლეს მათთან მოსალაპარაკებლად გამოსული პახუ-ბიკეს ორი ვაჟი. მეორე დღეს აიღეს ხუნძახი და მალე სიკვდილით დასაჯეს თვით პახუ-ბიკეც.

შამილი ავარიის ხანის ოჯახის ნაშთებისა და საერთოდ მთელი ავარიელი წარჩინებულების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღების მომხრე იყო, რადგანაც, არცთუ უსაფუძვლოდ, მათ გამცემლებად თვლიდა. ჰამზატ-ბეკი წარმოშობით ფეოდალურ ზედაფენებს ეკუთვნოდა და, თავის კლასობრივი შეზღუდულობის გამო, ამას არ დათანხმდა, რაც მისთვის ტრაგიკულად დამთავრდა. 1834 წ. იგი მეჩეთში მოკლეს ხანის ხელისუფლების მომხრეებმა, მათ შორის იყო ხანის მოკლული შვილების ძიძიშვილი ჰაჯი-მურატი.

ცნობამ ჰამზატ-ბეკის სიკვდილის შესახებ შამილს გიმრში მოუსწრო. მალე აშილტაში მიურიდების ყრილობამ შამილი ერთხმად აირჩია ახალ იმამად.

იმამად გახდომის შემდეგ შამილმა დაიწყო მთიელთა შორის ყველა მუსულმანის თანასწორობის ლოზუნგების გავრცელება და პირდაპირი ბრძოლა იმ ფეოდალთა წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მიურიდიზმის კავრცელებას. ამ ლოზუნგებმა შამილს დიდი პოპულარობა მოუპოვეს მთიელებში და მის გარშემო დაიწყეს თავის მოყრა.

1836 წ. შუა ხანებში შამილს მიემხრო კიბიტ-მაგომა ტილიტ-ლის საზოგადოებასთან ერთად. შემდეგ მის მხარეზე გადავიდნენ გუმბეტის და ანდიის საზოგადოებები და მსხვილი ჩეჩენი ლიდერი ტაშოვ-ჰაჯი.

შამილი ნიჭიერი მხედართმთავარი იყო და მთის პირობებში მოხერხებულად იყენებდა პარტიზანული ომის ტაქტიკას. ამ ტაქ-ტიკის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ხელი შეეშალა მეფის ჯა-რების მოძრაობისათვის, განუწყვეტელი შეტაკებებით, მოულოდ-ნელი თავდასხმებით ქანცი გაეწყვიტა მათთვის, აეძულებინა უკან დაეხიათ, რომლის დროსაც მთიელები ამთავრებდნენ მტრის განად-გურებას.

მარქსიზმის კლასიკოსები მაღალ შეფასებას აძლევდნენ კავკა-სიის მთიელთა სამხედრო ტაქტიკას. ფ. ენგელსი წერდა, რომ „მთიელთა წარმატებები აიხსნება შემტევი ტაქტიკით, რომელსაც უპირატესად მიმართავდნენ თავის ტერიტორიის დაცვისას... კავკა-სიის მთიელთა ძალა მდგომარეობს მათ განუწყვეტელ გამოხდომებ-ში მთებიდან ბარში, რუსების პოზიციებსა და ავანპოსტებზე მო-ულოდნელ თავდასხმებში, მოწინავე ხაზების ღრმა ზურგზე სწრაფ დაცემაში მოძრავი რუსული კოლონებისადმი ჩასაფრებებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთიელები უფრო მსუბუქნი და მოძრავნი იყვნენ, ვიდრე რუსები და ამ უპირატესობას სრულად იყენებდ-ნენ“.

შამილმა თავის ძირითად ბაზად აქცია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთის ცენტრი. აქ, ანდიისა და ავარიის ყოისუს მდ. სულაკთან შეერთების ადგილზე, მან ააშენა განთქმული სი-მაგრე ახულგო. იგი სამი მხრიდან გარშემორტყმული იყო მიუ-ვალი კლდეებით. ახულგოს სიმაგრის აშენებაში შამილს დიდი დახ-მარება აღმოუჩინეს მის მხარეზე ნებაყოფლობით გადასულმა რუს-მა და პოლონელმა ჯარისკაცებმა და რამდენიმე ოფიცერმა. მათ შორის იყვნენ დეკაბრისტების აჯანყების მონაწილენიც. დეზერტი-რობა რუსეთის არმიიდან შამილის მხარეზე მუდმივ მოვლენას წარ-მოადგენდა.

ახულგოდან შამილი მუდმივ გამოხდომებს აწყობდა რუსეთის ჯარების პოზიციებზე. მეფის ჯარები მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა და ხშირად სერიოზულ მარცხს აყენებდა.

1837 წ. შამილის წინააღმდეგ გაიგზავნა დიდი რაზმი გენერალ ფეზის სარდლობით. შამილი გამოვიდა მის შესახვედრად და ჩაკე-ტა აულ ტილიტლში. მაგრამ ამავე დროს ფეზის რაზმმა შამილს

ხეობიდან გამოსასვლელი ჩაუკეტა. იერიშები ორივე მხრიდან უშედეგო აღმოჩნდა. მალე არც ერთ მხარეს საკვები აღარ ჰქონდა. გენერალ პოტტოს სიტყვებით, მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკება დაიწყო, სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ შეწყვეტდნენ თავდასხმებს და ამრიგად ერთმანეთს ხაფანგიდან გამოსვლის შესაძლებლობა მისცეს.

ამის შემდეგ ფეზიმ უკან დაიხია. ამან შამილის ავტორიტეტი განამტკიცა. მიურიდიზმის მოძღვრება, როგორც ს. ესაძე წერდა, სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა, რამაც შეაშფოთა ნიადაგი საერთო აჯანყებისათვის. საერთო აჯანყების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო შამილისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება. ამ მიზნით 1837 წ. გაზაფხულზე მოეწყო ორი ექსპედიცია. პირველს უნდა „დაემშვიდებინა" მთის დაღესტნის მოსახლეობა მდ. სამურის აუზში, ხოლო მეორეს გენერალ გრაბეს მეთაურობით უშუალოდ შამილის წინააღმდეგ უნდა ემოქმედა.

შამილი გამოვიდა მის შესახვედრად და დაიკავა პოზიცია აულ არგუანთან. მთიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამასთან დაკავშირებით ს. ესაძე წერს, შამილის მიურიდები ზუსტი სროლით სპობდნენ იერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს. აულში შემოჭრილი ჯარისკაცები ბრძოლით იღებდნენ თითოეულ ჭოხს. მთიელები ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდნენ აულ ჩირკეიში დაეხიათ, სადაც იგივე ამბები განმეორდა.

ჩირკეის აღების შემდეგ გრაბე მიადგა ახულგოს და ალყა შემოარტყა მას. აულს 1 000-ზე ცოტა მეტი მიურიდი იცავდა. ალყა სამი თვე გაგრძელდა. იერიშები უშედეგოდ მთავრდებოდა. მთიელები, რომელთა შორის ბევრი იყო შამაკაცის სამოსში გამოწყობილი ქალი, გმირულად იცავდნენ თავს. აგვისტოში ალყაშემორტყმულთა შორის გაჩნდა ყვავილის ეპიდემია, ამოიწურა სურსათის მარაგიც. შამილი იძულებული იყო მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. გრაბე აღუთქვამდა ალყის მოხსნას, თუ შამილი დაითხოვდა თავის რაზმს და მძევლად მისცემდა თავის 8 წლის ვაჟს ჯემალედ-დინს. ეს მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ გრაბე არ ფიქრობდა ჯარის გამოყვანას. მან ახლა მოითხოვა, რომ შამილი პირადად გამოცხადებულიყო გოლოვინთან, რომელმაც შამილი ათას ჩერქონეცად შეაფასა. შამილმა იგრძნო ღალატის სუნი და ოჯახითა და ერთი მუჭა მიურიდების თანხლებით თავი შეაფარა ძნელად მისადგომ გამოქვაბულს. აქ მალე გარდაიცვალა მისი ცოლი და პატარა ვაჟი.

ალყაშემორტყმულებმა დიდი გაჭირვებით გაარღვიეს ალყა და ჩეჩნეთში გადავიდნენ, შამილის უფროსმა დამ კი მდ. ყოისუში დაიხრჩო თავი.

რუსეთის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ შამილთან ბრძოლა დამთავრდა.

§ 2. ადიღეელი ტომების ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ 1829—1852 წწ.

როგორც ცნობილია, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლი ითვალისწინებდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს (მდ. კუბანის შესართავიდან წმ. ნიკოლოზის პორტამდე — მდ. ჩოლოქის შესართავთან) სამუდამოდ რუსეთის იმპერიის ხელში გადასვლას. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობა თავის თავს თვლიდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის „კანონიერ“ მფლობელად. ფაქტიურად კი ამ რეგიონის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა ე. წ. დროებითი კომიტეტი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ადიღეელებთან ახალი ურთიერთობისა და მომავალში მათი მართვის ძირითადი პრინციპები. კომიტეტმა მალე შეიმუშავა რიგი „ღონისძიებებისა“, რომლებიც იყოფოდა „უარყოფითად“ და „დადებითად“. პირველი ითვალისწინებდა ჩერქეზებსა და თურქებს შორის ურთიერთობის ყველა ცდის აღკვეთას, აგრეთვე, ურჩების საბოლოო „დამშვიდებას“. მეორე — ადიღეში რუსული მმართველობის შემოღებას, კერძოდ, ტომობრივი პრინციპების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულით შეცვლას.

მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა არასოდეს არ თვლიდა თავს თურქეთის სულთანის ქვეშევრდომად, ხოლო თავის ქვეყანას თურქეთის ვილაიეთად. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გავიხსენოთ შაფსუღი მამასახლისების პასუხი გენერალ რაევსკისადმი ან ჩერქეზების პასუხი რუსეთის სარდლობისადმი 1838 წელს: „თქვენ ამბობთ, რომ ადრიანოპოლის ზავით ჩვენი მიწა-წყალი თქვენ ვადმოგეცათ, — მაგრამ ეს სამართლიანი არ არის. ჩვენ უხსოვარი დროიდან არავის მონები არ ვყოფილვართ“.

მაგრამ მოსახლეობის სხვადასხვა ფენა სხვადასხვანაირად უყურებდა რუსეთთან შეერთებას. ე. წ. „არისტოკრატიული“ ტომების — ბეედუღების, თემირგოელების, ეგერუკაელების, ბესლე-

ნელების, მახოშეველების, აგრეთვე აბაზინ-ტაპანტელების და ნოღაელების ფეოდალური ზედაფენა უკვე დიდი ხანია დაკავშირებული იყო რუსეთის ხელისუფლებასთან და მისგან წყალობას ღებულობდა. რაც შეეხება შაფსუღების, ნატუხაელების, აბაძეხების, აგრეთვე, უბიხების ფეოდალიზაციის პროცესში მყოფ ფენას, რუსეთის ხელისუფლება არ სცნობდა „საპატიო მთიელებად", რის გამოც, თავის პრივილეგიების დაკარგვის შიშით რუსეთთან შეერთების წინააღმდეგი იყო. გარდა ამისა, ამ ტომების „მამასახლისები" შავი ზღვის სანაპიროთი თურქეთთან ვაჭრობდნენ. ამავე დროს „დემოკრატიული" ტომების ტლეოკოტლების ნაწილი არ იყო წინააღმდეგი რუსეთთან შეერთებისა. ამრიგად, ამ საკითხის გარშემო ორი ჯგუფი ჩამოყალიბდა. ამასთან დაკავშირებით ვ. ნოვიცკი 1831 წ. თავის უფროსებს მოახსენებდა, რომ ადიღეში „ჩამოყალიბდა ორი პარტია. ერთ მათგანს სურდა რუსეთის მფარველობას დამორჩილებოდა, მეორეს კი პირიქით, დამოუკიდებლად ქცევა სურდა".

პირველ ჯგუფს ეკუთვნოდა აღმოსავლეთ ყუბანსიქითელ ადიღელების უდიდესი ნაწილი, აგრეთვე, დასავლეთ ადიღელების ნაწილი. მაგრამ ფაქტიურად თვითონ ცარიზმმა ჩაშალა ადიღეს რუსეთთან მშვიდობიანი შეერთების საქმე. გენერალ პასკევიჩმა 1831 წ. ოფიციალურად განაცხადა, რომ მხოლოდ საბრძოლო ძალა უნდა იქნეს მიჩნეული კავკასიელ ტომთა, განსაკუთრებით ყუბანსიქითელთა მოთვინიერების პირველსაწყისადო. ასეთი მიდგომის შედეგად ადიღეელ ტომთა შორის რუსეთთან შეერთების მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

მეფის ხელისუფლებამ მთიელთა მორჩილებაში მოსაყვანად გადამჭრელი ზომების მიღება დაიწყო. ადრიანოპოლის ზავის დადებისთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზღვის მხრიდან „კორდონის" შექმნაზე იმ იმედით, რომ მთიელები, რაკი თურქეთიდან თავისთვის საჭირო საქონლის მიღების იმედს გადაიწურავენ, იარაღს დაჰყრიან და რუსეთთან მშვიდობიან ურთიერთობას გაბამენ.

პასკევიჩის ბრძანებით დაიწყო საკორდონო ხაზის მშენებლობა ყუბანიდან გელენჯიკამდე, შემდეგ სიმაგრეების აგება ზღვის სანაპიროზე, იმ პუნქტებში, სადაც შემოდიოდნენ თურქეთის გემები. ამას გარდა, საგანგებო ესკადრას ბლოკადაში უნდა ჰყოლოდა ზღვის მთელი სანაპირო. ყოველივე ამის შედეგად 1833—1835 წწ. შეიქმნა გელენჯიკის საკორდონო ხაზი. შემდეგ დაიწყო შავიზღვის-

პირეთის სანაპირო ხაზის აშენებლობა (ანაპიდან სამეგრელომდე), რომელიც შედგებოდა სიმაგრეებისა და ფორტების მთელი წყებისაგან. ისინი აგებულ იქნა 30-იანი წლების მეორე ნახევარში გენერალ ველიამინოვისა და რაევსკის ლონისძიებებით. მაგრამ, როგორც ვეიდენბაუმი წერდა, ამ ხაზის მოწყობას დიდი სახმელეთო და საზღვაო ძალები დასჭირდა, ბევრი სიმახლი და ფული დაჯდა, იმედები კი ვერ გაამართლაო. საქმე ისაა, რომ გარნიზონები წყდებოდა მალარიისა და სხვა ავადმყოფობებისაგან, მთიელებიც სისტემატურად ეცემოდნენ სიმაგრეებს. თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ გარნიზონებს კი არ ჰყავდათ ბლოკადაში ჩერქეზები, არამედ — პირიქით. რუსეთის ფლოტმა კი შეაფერხა ჩერქეზეთის სანაპიროზე თურქეთის გემების მოსვლა, მაგრამ საკვებით ვერ შეწყვიტა. ჩერქეზეთში აღწევდნენ არა მარტო თურქი ემისრები, არამედ ინგლისის საიდუმლო პოლიტიკური აგენტებიც (ურკვარტი, ბელი, ლანგვორტი და სხვ.), რომლებიც აქეზებდნენ ჩერქეზებს რუსეთის წინააღმდეგ, აღუთქვამდნენ დახმარებას ევროპის მხრიდან.

1840 წ. მთიელებმა დიდი ზარალი მიაყენეს რუსეთის სამხედრო სიმაგრეებს. მათ ხელთ იგდეს ლაზარევსკოე, ველიამინოვსკოე (ზდ. ტუაფსეზე), მიხაილოვსკოე (აქ ჯარისკაცმა არხიპ ოსიპოვმა გმირობა ჩაიდინა — ააფეთქა თოფისწამლის საწყობი და თავდამსხმელ მთიელთა დიდ ჯგუფთან ერთად თვითონაც დაიღუპა). შემდეგ მთიელებმა აიღეს სიმაგრე ნიკოლაევსკოე ყელენჯიკის ხაზზე. მართალია, შემდეგში სანაპირო სიმაგრეები აღდგენილ იქნა, მაგრამ ყელენჯიკის ხაზის მნიშვნელობა დაქვეითდა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა დამორჩილების მეორე, უფრო ეფექტური მეთოდი იყო მათი ტერიტორიის სისტემატიურ-თანდათანობით შეღწევა და მასზე გამაგრება კაზაკთა სტანიცების შექმნით. 1841 წ. საფუძველი ჩაეყარა ლაბის ხაზს ზდ. ლაბაზე, კაზაკთა სამოსახლოების შექმნითა და რამდენიმე სიმაგრის აგებით. ამან, ვეიდენბაუმის აზრით, რუსეთის ხელისუფლებას დაუმორჩილა ყუბანსა და ლაბას შორის მოსახლე მთიელები და ერთგვარი გავლენა მოახდინა ლაბის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებ ტომებზე. შემდეგში სტანიცების შექმნამ ფართო ხასიათი მიიღო და დასავლეთ კავკასიის საბოლოო დამორჩილებამდე მიგვიყვანაო.

ბეფის ხელისუფლება სხვა მეთოდებსაც მიმართავდა. ურჩ მთიელებს ისინი უკრძალავდნენ რუსულ საცვლელ პუნქტებში (ე. წ. „меновые дворы“) ვაჭრობას, აფუშებდნენ მათ ნათესებს, იტაცებდნენ პირუტყვს. 1832 წ. ველიამინოვი წერდა, რო

შიმშილი მიაჩნია მოკლე დროში მთიელთა დამორჩილების ერთადერთ საშუალებად. მეფის გენერლები ამ „მეთოდს“ აქტიურად ახორციელებდნენ. რაც შეეხება პროგრესული გენერლის ნ. რაევსკის გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა მთიელებთან შეგობრული ურთიერთობის დამყარებას და მათთან ვაჭრობის განვითარებას, მან მეფის ხელისუფალთა მხრივ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

უნდა აღინიშნოს ცარიზმის მოხელეთა კიდევ ერთი „მეთოდის“ შესახებაც, რომელიც მდგომარეობდა „გათიშე და იბატონეს“ ტრადიციულ პოლიტიკაში. რუსეთის სარდლობა ყოველმხრივ ცდილობდა ადიღეელთა შორის შინაომები გაეჩაღებინა, წაეკიდებინა ერთმანეთისათვის სხვადასხვა ტომები.

XIX ს. 40-იანი წლებისათვის ყუბანის ზემო და შუა დინებაზე მცხოვრები მოსახლეობა (ადიღეელები, ნოღაელები, აბაზელები) უკვე საბოლოოდ იყვნენ შეერთებული რუსეთთან.

დაპყრობილ ტერიტორიებზე ცარიზმი სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს ამყარებდა. რუსეთთან შეერთებულ ყველა ტომს მძევლები უნდა მიეცათ მისთვის, მმართველებად უნიშნავდნენ ბოქაულებს, უპირატესად რუს ოფიცერთაგან, იშვიათად ადგილობრივ ფეოდალთაგან, რომლებიც ცარიზმისადმი ერთგულებას ამყარებდნენ. ბოქაულების თვითნებობა და მექრთამეობა ადგილობრივი მოსახლეობის მტრობასა და უკმაყოფილებას იწვევდა. დამპყრობლებისადმი მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევაც კი სასტიკად იხშობოდა.

მეფის ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ინგლისის აგენტურის საქმიანობის წარმატებას. 1837—39 წწ. აქ განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ზემოთ დასახელებული ბელი და ლონგვორტი. ისინი აულიდან აულში გადადიოდნენ და მოუწოდებდნენ მთიელებს გაერთიანებისაკენ, შამილთან კავშირის დამყარებისა და რუსეთთან ბრძოლის გააქტიურებისაკენ.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა ანტირუსული ბრძოლის ერთ-ერთი თავისებურება იყო ის, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისაგან განსხვავებით, იგი დიდხანს რელიგიურ ხასიათს მოკლებული იყო. შამილის აგენტები იქ ჰაზავათის საქადაგებლად მხოლოდ 40-იანი წლების დასაწყისიდან აღწევენ.

1842 წ. გენერალი ზასი მოახსენებდა ხელისუფლებას, რომ შაფსუღებსა და უბიხებს შორის გამოჩნდა ორი ყუმიყი, რომლებიც შამილის სახელით გაერთიანებისა და ჰაზავათისაკენ მოუწო-

დებენ მათ, პირდებიან შამილის დახმარებას როგორც კი რუსების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას დაიწყებენ.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მიურიდიზმის გავრცელებასთან სდევდა საგანგებო რაზმების შექმნა, რომლებიც მოითხოვდნენ შამილის სახელმწიფოს ტიპის პოლიტიკური ორგანიზმის შექმნას.

1843—44 წწ. ყუბანსიქითა მხარეში აქტიური საქმიანობა გაიჩალა შამილის ემისარმა ჰაჯი-მუჰამედმა. მან საგანგებო პირები დაუნიშნა მათ შარიათის ნორმების შესრულების საკონტროლოდ. ჰაჯი-მუჰამედი მალე დაიღუპა და შამილმა მაშინვე გაგზავნა იქ ახალი ემისარი სულეიმან-ეფენდი. მან მალე შეკრიბა 2—3-ათასიანი რაზმი. ისიც მიურიდიზმსა და ჰაზავათს ქადაგებდა. მას შამილისაგან სპეციალური დავალება ჰქონდა — შეექმნა ადიღეელთაგან მიურიდების რაზმები და გაეგზავნა ისინი დაღესტანში. 1845 წ. ის მიურიდების მრავალრიცხოვანი რაზმით შეეცადა ყაბარდოსა და დიგორიის გავლით გასულიყო ჩეჩნეთში, მაგრამ ნევინომისკთან მისი რაზმი გაფანტულ იქნა, თვითონ კი მოახერხა შამილთან მისვლა.

1846 წ. აპრილში შამილი შეეცადა ყაბარდოს დაუფლებას ევროპასავლეთ ადიღეელებთან შეერთებას, რაც მარცხით დამთავრდა. მაგრამ შამილი არც შემდეგში კარგავდა იმედს, რომ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონს ხელში ჩაიგდებდა. რადგან სულეიმან-ეფენდი წაეჩხუბა შამილს და რუსების მხარეზე გადავიდა, შამილმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გაგზავნა მისი ერთგული ნაიბი მუჰამედ-ამინი.

მუჰამედ-ამინმა შეკრიბა ადიღეელი ტომები და, როგორც ერთ იმდროინდელ დოკუმენტშია ნათქვამი, ყურანზე მათი თანდასწრებით დაიფიცა სარწმუნოებისადმი ერთგულად სამსახურზე. ადიღეელ წარჩინებულთა შორის თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად მან ცოლად შეირთო თემირგოელი თავადის ბალათოყოს ქალი. მისი მთავარი ბაზა იყო აბაძეხების ტომი, რომელშიც მან დაახლოებით ისეთი წესები დაამყარა, როგორიც იყო შამილის საიმამოში. მან ხალხი დაპყო 100 კომლისაგან შემდგარ თემებად, რომელთა სათავეში იდგნენ ხალხის მიერ არჩეული მამასახლისები. ყველა თემი შეადგენდა 4 ოლქს, თითოეულ ოლქში იყო ცენტრალური მმართველობა „მეგკემე“-ს სახელწოდებით. ეს იყო მთელი დაბა, სადაც იყო მეჩეთი, სასამართლო, საუნელიერო საქმეთა ელემენტი, ხარო პატიმრებისათვის, შენობები მუფტისა და სამი ყადისათვის, მურთაზეკებისათვის, სურსათის საწყობები, საჯინიბოები და სხვ. მათ გარს თხრილი და მიწაყრილი ჰქონდათ შემოვლებული. მეგ-

კემეები დაარსებული იყო მდ. ბელაიაზე, პშეხეზე, პშიშსა და ფსეკუპსაზე. რაც შეეხება სამხედრო წყობას, იგი შემდეგნაირი იყო: ყოველ კომლს ერთი მხედარი უნდა გამოეყვანა, ზოგჯერ კი მთელი ლაშქარი — ქუდზე კაცი გამოჰყავდათ.

1850 წ. მუჰამედ-ამინი აბაძეხელთა ლაშქრით გაემართა შაფსუღების წინააღმდეგ, რომელთაც არ იცნეს მისი ხელისუფლება. ისინი დამორჩილდნენ. მათ მიბაძეს ნატუხაელთა უმრავლესობამაც. წლის ბოლოსათვის მისი ხელისუფლება იცნეს უბიხებმაც. მაგრამ მუჰამედ-ამინის ხელისუფლება მტკიცე არ იყო. მომდევნო წელს ბევრი შათსუღი და ნატუხაელი განუდგა მას. მათ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ნატუხაელი სეფერ-ბეი ზანუყო, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ადიღეელთა შორის ხელმძღვანელ როლზე და მუჰამედ-ამინში თავის მეტოქეს ხედავდა.

ურუპიდან მთებში ბესლენეელთა გადასახლების წარუმატებელმა ცდამ და რუსთაგან განცდილმა მარცხმა ძალზე შეარყია მუჰამედ-ამინის ავტორიტეტი და აბაძეხების ნაწილიც კი განუდგა მას. მაგრამ 1853 წ. დასაწყისისათვის მან კვლავ მოახერხა ადიღეელი ტომების თავის ხელისუფლების ქვეშ მოქცევა და კვლავ შეეცადა ყარაჩაელთა დამორჩილებას, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ. მალე სეფერ-ბეის ღონისძიებათა შედეგად მან უარი თქვა ხელისუფლებაზე, თუმცა არ გასულა დიდი ხანი და ბევრმა ადიღეელმა ტომმა იგი კვლავ აღიარა თავის ბელადად. მალე ყირიმის ომი დაიწყო და მუჰამედ-ამინმა და სეფერ-ბეიმაც აქტიური ანტირუსული მოძრაობა გააჩაღეს.

§ 3. „შამილის ბრწყინვალე ეპოქა“
(1840—1846 წწ.)

მართალია, მეფის ხელისუფლები შამილის ახულგოსთან დაშარცხებით „საქმეს დამთავრებულად“ თვლიდნენ, მაგრამ ისინი ღრმად ცდებოდნენ. მათ არ გაითვალისწინეს ორი გარემოება — მთიელთა მზადყოფნა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად და შამილის, როგორც მებრძოლის ნებისყოფის სიმტკიცე. მუჰამედ-ტაგირის სიტყვებით, ახულგოდან შამილის გამოსვლის შემდეგ მისთვის ახალი ეპოქა იწყება. მოკლე ხანაში მისი მოძღვრების მიმდევართა რიცხვი სწრაფად გაიზარდა, ბედი ყველგან მფარველობდა, მისი მოძღვრება და ჰაზავათი ზეიმობდნენ.

რამ განაპირობა მოვლენათა ასეთი მძაფრი შემობრუნება? პა-

სუხს ამ კითხვაზე ვპოულობთ მეფის ოფიციალურ ისტორიოსთა შრომებში. მაგ., ვეიდენბაუმი 1888 წ. წერდა: რუსთა მეშვეობით მთიელთა მმართველობის პირველი ცდები წარუმატებელი იყო. მმართველებს არ ესმოდათ მთიელთა ცხოვრების შინაგანი წყობა და მოითხოვდნენ დაწესებული ნორმების უყოყმანოდ შესრულებას, ნორმებისა, რომლებიც შეუთავსებელი და ხშირად დაპირისპირებულიც კი იყო ხალხის ყოფასა და წარმოდგენებთან. მათ არ ესმოდათ წაყენებული მოთხოვნების არსი და ბევრ მათგანს უსამართლოდ თვლიდნენ. ხალხში გავრცელდა ხმები, რომ მთავრობას სურს თავისუფალი მთიელები ყმებად აქციოს და სარეკრუტო ვალდებულება დააკისროს. 1839—40 წწ. ზამთარში, როცა მორიგი გადასახადის შეტანის დრო დადგა, მოსახლეობას შესთავაზეს ფულით კი არა, იარაღით შეეტანათ გადასახადები. ეს იყო მთიელთა განიარაღების უდროო და მოუხერხებელი ცდა, რომელიც გავრცელებულ ხმებს ადასტურებდა. ამან გამოიწვია მღელვარებანი, რომლებიც მალე აშკარა აჯანყებაში გადავიდა. შამილმა ისარგებლა ამ ხელსაყრელი გარემოებებით და ჩეჩნების მიწვევით აჯანყების ხელმძღვანელობა იკისრა. მალე რუსეთმა მთელი ჩეჩნეთი დაკარგა 1859 წელს კავკასიის საბოლოო დაპყრობამდე.

რუსეთისაგან ჩეჩნეთის განდგომის იმავე მიზეზებს ასახელებენ სხვა ისტორიოსებიც. ს. ესაძე წერდა, რომ მმართველობის სათავეში ჩააყენეს გენერალი პულო, სასტიკი და უსამართლო კაცი. შამილის ისტორიოსებიც ჰაჯი-ალი და მუჰამედ ტაგირი ჩეჩნების განდგომისა და შამილის მეთაურობით ბრძოლის განახლების მიზეზად მეფის ადმინისტრაციის მხრივ შეცდომებასა და ჩაგვრას თვლიდნენ.

თავის რეზიდენციად შამილმა აირჩია აული დარღო, რომელიც მდებარეობდა იჩქერიის ხშირ ტყეში, დაღესტანთან ახლოს. აქედან მას შეეძლო ეხელმძღვანელა მოძრაობისათვის, როგორც დაღესტანში, ისე ჩეჩნეთში. მან ყველგან დაგზავნა თავისი მსტოვრები და 1841 წლის გაზაფხულისათვის უკვე, მნიშვნელოვანი ძალები შეაგროვა.

შამილის წარმატებებით შეშფოთებულმა მეფის სარდლობამ მის წინააღმდეგ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია გენერალ გალაფეევის სარდლობით. მაგრამ მცირე ჩეჩნეთში, მდ. ვალერიკთან იგი სასტიკად დამარცხდა. შემდეგ მთიელებმა მთელი რიგი გამარჯვებები მოიპოვეს გენერალ გრაბეს ჯარებზე. ავარიაში ბევრი მოსაზღვრე სოფელი შამილის მხარეზე გადავიდა, ხოლო ივლისის

ბოლოს მან კინაღამ ტყვედ ჩაიგდო გენერალი კლუგენაუ და მისი რაზმი. 1840 წ. ბოლოს შამილს შეუერთდა ციხიდან გაქცეული ჰაჯი-მურატი, რაც მის დიდ მორალურ გამარჯვებას ნიშნავდა. შამილმა იგი ავარიის ნაიბად დანიშნა, რადგან ავარია მთელი მთიანი დაღესტნის გასაღები იყო. მალე შამილს მიუდგა ტილიტლელი კიბიტ-მაგომა.

1841 წ. შამილმა ახალი წარმატებები მოიპოვა. მის მხარეზე გადავიდნენ ზემო დაღესტნის აულები. ანდალალის დაპყრობით მთელი ავარია გარეშოცული აღმოჩნდა.

1842 წ. დასაწყისში დაიწყო მღელვარება ყაზი-ყუმუხის სახანოში. ლეკებმა დასახმარებლად შამილი მოიწვიეს. იგი დაუყოვნებლივ მოვიდა და დაიკავა სახანოს ცენტრი ყუმუხი, დაამხო ხანი და თავისი ნაიბი დანიშნა. მალე რუსთა სარდლობამ აქ დიდი ძალები გაგზავნა და შამილი იძულებული გახდა უკან დაეხია.

1842 წ. მაისში მეფის სარდლობამ გადაწყვიტა აჯანყებულთათვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა. 10-ათასიანი რაზმი აღალითა და არტილერიით, გრაბეს სარდლობით, დაიძრა იჩქერიაზე. მას უნდა აეღო დარღო და მოესპო შამილი. მთიელები მას გზას უხერგავდნენ, სისტემატურად ესხმოდნენ. სამ დღეში მხოლოდ 25 კმ გაიარეს. მეოთხე დღეს გრაბემ უკან დახევის ბრძანება გასცა, რაც მალე პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. მთიელებმა კი ხელთ იგდეს აღალი და არტილერიის ნაწილი. 6 დღეში რუსებმა, ოფიციალური მონაცემებით, დაკარგეს 2 გენერალი, 66 ოფიცერი, 2 ათასი ჯარისკაცი. ეს ძალზე დიდი მარცხი იყო. ამასთან დაკავშირებით კავკასიაში ჩამოსულმა სამხედრო მინისტრმა ჩერნიშევმა განკარგულება გასცა დროებით შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება. ამან, ისტორიკოს ფადეევის სიტყვებით, მიურიდიზმს მთელი ერთწლიანი შესვენება მისცა, რომლის დროსაც იგი მოეწყო. ამ ქვეყნის დაპყრობისათვის გაწეული 20 წლის შრომა წყალში ჩაიყარა და ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდა.

1843 წელს შამილმა დაიკავა ავარია და მტკიცედ დამკვიდრდა დაღესტანში. დაღესტნის მთიან ზონაში ცარიზმი ინარჩუნებდა 11 გამაგრებულ პუნქტს, მაგრამ მათ შორის არავითარი კავშირი აღარ არსებობდა. შამილმა ისარგებლა ამით და დაიწყო რუსების გამოდევნა იქიდანაც. აგვისტოში შამილმა გაავრცელა ხმა, რომ ყიზლარზე სალაშქროდ მიდის, შემდეგ სწრაფი მარშით (დღეღამეში 70 კმ გაიარა) მიადგა უნცუკულს და აიღო, შემდეგ 6 სიმაგრე დაიკავა და ალყა შემოარტყა ხუნძახს, სადაც იმყოფებოდა

გენერალი კლუგენაუ. ამის შემდეგ შამილმა აიღო გერგებილი და მთელი ავარია მის მხარეზე გადავიდა. ასე, რომ, 1843 წ. ავარიის შემომტკიცებით შამილმა მაგრად მოიკიდა ფეხი დაღესტანში. აჯანყებები დაიწყო საშამხლოსა და მეხტულის სახანოში. შამილი გაეშურა მათ დასახმარებლად. მეფის სარდლობამ დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა თავის პოზიციები ბარის დაღესტანში. მეფის ჯარების ხელში მხოლოდ თემირ-ხან-შურას სიმაგრე რჩებოდა.

1843 წ. აგვისტოდან დეკემბრამდე ოფიციალური (აშკარად შემცირებული) მონაცემებით მეფის ჯარებმა დაკარგეს 12 სიმაგრე (ისინი საფუძვლიანად დაანგრიეს), 35 ზარბაზანი, 92 ოფიცერი და 2500-ზე მეტი ჯარისკაცი. გარდა ამისა, შამილმა ხელთ იგდო დიდი რაოდენობის საჭურველი და სურსათ-სანოვაგე.

შამილის წარმატებებში დიდ როლს ასრულებდა მის მიერ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სისტემა საიმამოს სახელმწიფო სტრუქტურის სახით, რომელიც ძირითადად 1841-43 წწ. ჩამოყალიბდა.

რას წარმოადგენდა საიმამოს სახელმწიფოებრივი სისტემა?

XIX ს. 40-იანი წლების დასაწყისში შამილის ხელისუფლება ვრცელდებოდა ტერიტორიაზე, რომლის გარშემოწერილობა 900 კმ. მოსახლეობა კი 1 მლნ-მდე სულს (მათ შორის 100 ათასამდე ჩეჩენი იყო) შეადგენდა. აღნიშნული მოსახლეობა 15-მდე სხვადასხვა ხალხისა და ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან შედგებოდა.

სახელმწიფოს სათავეში იურიდიულად იდგა სახელმწიფო საბჭო — დივან-ხანე შამილის მეთაურობით. მასში 32 კაცი შედიოდა. დივან-ხანესთან არსებობდა საიდუმლო საბჭო, რომელიც წყვეტდა ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეებს. დივან-ხანეს სხდომები იმართებოდა ყოველდღე, პარასკევის გარდა. მრავალ საკითხს შამილი ერთპიროვნულად წყვეტდა.

საიმამოს მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად, რომელთა სათავეში იდგნენ ნაიბები. ასეთ ერთეულთა რიცხვი სხვადასხვა დროს 20-იდან 52-მდე მერყეობდა. ნაიბები უშუალოდ შამილს ემორჩილებოდნენ. მათ ფუნქციებში შედიოდა სანაიბოში ჯარის შეკრება, გადასახადები, წესრიგის დაცვა. ნაიბები ფანუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ, შეეძლოთ დაესაჯათ ნებისმიერი პირი, მხოლოდ სიკვდილით დასჯის უფლება არ ჰქონდათ. იგი შამილის ხელთ იყო. ნაიბებს ევალებოდათ უზრუნველეყოთ შინაგანი სიმშვიდე, შარია-

თის ნორმების განუხრელი შესრულება, არ დაეშვათ სისხლის აღება.

ოთხი სანაიბოს სათავეში იდგნენ მუდირები, რომელთაც ევალებოდათ სხვა ნაიბების კონტროლიც. ამას გარდა ნაიბებს, ისევე როგორც ყველა სხვას, თვალყურს ადევნებდნენ შამილის პირადი აგენტები — მუხტესიბები.

შამილის სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნოდა მუფტის, რომელსაც ემორჩილებოდნენ ყადიები. ესენი ყოველ აულში იყვნენ. ფორმალურად მუფტის და ყადიებს საქმეები უნდა გაერჩიათ „ძალადობისა და მიკერძოების გარეშე", მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდებოდა.

მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად იწვევდნენ ყრილობებს ნაიბების, ალიმების და სახელმწიფოს სხვა მოღვაწეთა შემადგენლობით. ასეთ ყრილობებს შამილამდელი იმამებიც იწვევდნენ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა მხოლოდ მის დროს მოიპოვეს.

სამართალწარმოების მოწესრიგების, სამოქალაქო ცხოვრებისა და თანამდებობის პირთა მოღვაწეობის რეგისტრაციის მიზნით შემუშავდა სპეციალური კანონთა კოდექსი — ე. წ. „ნიზამი", რომლის ავტორიც ძირითადად თვით შამილი იყო. „ნიზამს" უნდა შეეცვალა დაუწერელი „ადათი" და სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი დადებითი მნიშვნელობა.

დიდი მუშაობა ჩატარდა არმიის ორგანიზაციის მიზნით. შამილი საგანგებო ყურადღებას უთმობდა ცხენოსან ჯარს, განსაკუთრებით მის საუკეთესო ნაწილს — მურთაზეკებს. მათ რიგებში ყოველ ათ კომლს ერთი მხედარი უნდა მიეცა. ყოველ ნაიბს არანაკლებ 300 მურთაზეკი უნდა ჰყოლოდა. მეფის მხედართმთავრები აღნიშნავდნენ, რომ მურთაზეკების მცირე რაზმი უფრო საშიში იყო, ვიდრე მთიელთა მთელი ბრბო.

ძირითად სამხედრო ერთეულს საიმამოში შეადგენდა ათასეული, რომელიც თავის მხრივ იყოფოდა ხუთასეულად, ასეულებად და ათეულებად. ათასეულის სათავეში იდგა ნაიბი. შამილის მუდმივი ჯარი, მისი ისტორიოსის ჰაჯი-იუსუფის ცნობით, 15 ათასამდე მეომარს ითვლიდა. მაგრამ ამას გარდა, საჭირო შემთხვევებში იკრიბებოდა 40 ათასამდე მოლაშქრე. ლაშქარში იწვევდნენ 15-იდან 50 წლამდე ასაკის მამაკაცებს. ამას გარდა, შამილს ჰყავდა რუსი და პოლონელი დეზერტირებისაგან შემდგარი სპეციალური ბატალიონი.

1841 წლიდან შამილის მეომრებს ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის სპეციალურ ნიშნებს — ორდენებს აძლევდნენ. სიმხდალისათვის მარჯვენა მკლავზე ან ზურგზე ნიშანს ადებდნენ, რომელსაც მხოლოდ მაშინ მოხსნიდნენ, თუკი იგი თავს გამოიჩენდა ბრძოლაში.

შამილმა შექმნა საკუთარი არტილერიაც. მასთან გაქცეული ჯარისკაცებისა და ოფიცრების დახმარებით მთიელებმა ჩამოასხეს 50-მდე ზარბაზანი. მისი საარტილერიო პარკის შევსების ერთ-ერთი წყარო იყო ნადავლი ზარბაზნები. სპეციალურ საწარმოებში აშენდებდნენ დენთს, ტყვიას, უუმბარებს, ცივ იარაღს. მისი კომისიონერები საიდუმლოდ ყიდულობდნენ რუსეთისაგან საამხედრო აღჭურვილობას, ნედლეულს.

დიდი ყურადღება მიექცა მყარი ფულადი სისტემის შექმნის საქმეს. ძირითად გადასახადს წარმოადგენდა მოსავლის მეათედი — „ზაკიათი", რომელიც სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა. აქვე მოდიოდა საამხედრო ნადავლის მეხუთედი. მეჩეთებში მოლებისა და დერვიშებისათვის მიტანილი პროდუქტები თუ ნივთები ასევე ხაზინას გადაეცემოდა, მოლებს კი ჯამაგირს აძლევდნენ. რაც შეეხება დერვიშებს, მათ ან ჯარში უნდა ემსახურათ, ან მოწყალებით გაეტანათ თავი.

შამილის რეზიდენცია იყო ახულგო, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ — დარღო. 1845 წლიდან საიმამოს დედაქალაქად იქცა ვედენო.

შამილს ჰყავდა პირადი დაცვა, რომელიც 1 000 მურთაზეკისაგან შედგებოდა. თითოეული აული დიდ პატივად მიიჩნევდა თავის წარმომადგენლის ყოლას ამ გვარდიაში. ცნობილია, რომ შამილის ცხენოსანი მურთაზეკებიდან არც ერთი ტყვედ არ ჩავარდნილა.

შამილს კარგად ჰქონდა ორგანიზებული საფოსტო კავშირი. სპეციალურ შიკრიკებს სწრაფად გადაჰქონდათ ფოსტა. ადგილებზე მათ აძლევდნენ ღამის გასათევს, საკვებს, დასვენებულ ცხენებს. მთიელებს კარგად ორგანიზებული სიგნალიზაციაც ჰქონდათ კოცონების მეშვეობით.

ასეთი იყო ძირითად ხაზებში საიმამოს სახელმწიფოებრივი სისტემის გარეგანი ფორმა. თავისი შინაგანი სტრუქტურით კი ეს იყო თავისებური კლასობრივი ორგანიზაცია.

საიმამოს ჩამოყალიბებას თან ახლდა ლონისძიებების გატარება, რომლებსაც უნდა მოჰყოლოდა და ობიექტურად კიდეც მოჰყვა ცვლილებები მთიელთა ფეოდალურ სოციალურ ურთიერთობებში.

შამილი, როგორც ცნობილია, ებრძოდა ძველ მთიელ არისტოკრატიას — შამხალებს, ხანებს, ბეკებს, რომელთა უმრავლესობა ამ დროისათვის ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმს. მაგრამ გაბატონებული კლასის ცალკეული წარმომადგენლები (მაგ., ელისუს სულთანი დანიელ-ბეკი), რომლებიც მის მხარეზე გადადიოდნენ, შამილის კარზე პატივით და ძალაუფლებით სარგებლობდნენ.

1843 წ. შამილმა მის ხელქვეით მყოფ დაღესტნურ რაიონებში გააუქმა ბატონყმობა. მაგრამ ეს რეფორმა გატარდა უზდენთა დიდი ნაწილის ინტერესების შესაბამისად, რომელთა ყმები და მონები ფაქტიურად არ განთავისუფლებულან. არ შეცვლილა სამხედრო ტყვე-მონების მდგომარეობაც.

გარდა ამისა, მუდირებისა და ნაიბების უმრავლესობა სარგებლობდა თავის საამსახურებრივი მდგომარეობით, მდიდრდებოდა და არსებითად იქცეოდა ახალ მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიად. დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძალაუფლებით სარგებლობდნენ სასულიერო არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. ასე რომ, შამილის საიმამოს პოლიტიკური სისტემა წარმოადგენდა სამხედრო-თეოკრატიულ კლასობრივ-ექსპლოატატორულ სახელმწიფოს, რომელშიც ნამდვილი დემოკრატიზმი თითქმის არ იყო. და თუ მაინც ვიხმართ სიტყვა დემოკრატიზმს, მხოლოდ ფეოდალურ-სასულიერო დემოკრატიზმის აზრით. ამას უნდა დავუმატოთ თვით მონარქისტული ტენდენციები, რომლებიც განსაკუთრებით საიმამოს არსებობის ბოლო პერიოდში გამოვლინდა.

ამის მიუხედავად, საიმამომ დადებითი როლი შეასრულა მთიელების გაერთიანებისა და შეკავშირების საქმეში ცარიზმის დამპყრობლური კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი არსებობის პირველ ეტაპზე მთიელთა ფართო მასები მხარს უჭერდნენ შამილის ცენტრალისტურ მისწრაფებებს, რადგან მასში ხედავდნენ ხსნას ფეოდალური ძალადობისა და პარტიკულარიზმისაგან.

რაც შეეხება რელიგიურ მიურიდისტულ იდეოლოგიას, რომელიც საიმამოს ძირითად პოლიტიკურ დოქტრინას შეადგენდა, იგი იყო მთიელთა მოძრაობის მხოლოდ იდეოლოგიური გარსი. სამართლიანად წერდა რევოლუციამდელი ისტორიკოსი ს. ესაძე, რომ მთიელთა წარმატებები არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ მათ რელიგიურ გატაცებას. შამილი ცდილობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას პოლიტიკურ საწყისებზე, თუმცა ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას ესარგებლა რელიგიური გრძნობებითაც.

მიურიდიზმმა იდეოლოგიამაც მთიელთა მოძრაობის პირველ ეტაპზე გარკვეული აზრით დადებითი როლი შეასრულა მასების დარაზმვის საქმეში.

* * *

საიმამოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ მის წინააღმდეგ ბრძოლის ძველი მეთოდები უკვე უვარგისი შეიქნენ. მთიელები ახლა გაერთიანებული იყვნენ სახელმწიფოში, რომელიც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა.

ისტორიკოსი ვეიდენბაუმი 1843 წელს რუსეთისათვის „უბედურს" უწოდებდა. მაგრამ, მისივე სიტყვებით, 1844 წელმაც არსებითად ვერ გააუმჯობესა რუსეთის მდგომარეობა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, იმის მიუხედავად, რომ სამხედრო ძალები მკვეთრად გაზარდეს.

იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, რომ „ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს" და 1844 წ. ბოლოს კავკასიაში მეფისნაცვლობა შეჰბოლო. მეფისნაცვლად და მთავარსარდლად დაინიშნა გრაფი მ. ვორონცოვი, რომელსაც მითითება მიეცა, მოკლე დროში ბოლო მოეღო შამილისათვის.

სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა ჩეჩნეთში შამილის ბატონობისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენების გრანდიოზული გეგმა. მას საფუძვლად დაედო იმპერატორის ბრძანება, რომელიც მოითხოვდა შამილის „ბრბოების" განადგურებას, მისი სამფლობელოს ცენტრში შეჭრას და იქ გამაგრებას.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის გამოცდილებამ ცხადი გახადა, რომ ექსპედიციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ერთი დარტყმით მოესპოთ შამილი, მარცხით თავდებოდა, იმპერატორს ვერავინ შეებედა ამის თქმა.

1845 წ. მაისს ბოლოს 25-ათასიანი ჯარით ვორონცოვმა გაილაშქრა შამილის წინააღმდეგ. მას ჰქონდა 42 ზარბაზანი და დიდი აღალი, რომელშიც 2500 ოთხთვალა და ცხენი იყო. ასეთი დიდი ექსპედიცია კავკასიის ომისათვის მანამდე უცნობი იყო.

ვორონცოვმა გეზი დარღოზე აიღო, რომელსაც შამილის ბატონობის ცენტრად მიიჩნევდა. შამილმა მიიღო გადაწყვეტილება, არ გაეწია მისთვის სერიოზული წინააღმდეგობა და შეეტყუებინა მთებში. აულებს, რომლებიც ექსპედიციის მოძრაობის გზაზე აღმოჩნდნენ, თვით მთიელები სწვავდნენ, თვითონ კი გაარბოდნენ.

ასევე, ექსპედიციის მისვლამდე გადაწვეს დარღო. ამის შემდეგ მთიელებმა გაანშირეს თავდასხმები ვორონცოვის რაზმზე. ხალხი იღუპებოდა შიმშილისა და სიცივისგანაც. მხოლოდ გენერალ ფრეიტაგის რაზმის მოახლოებამ იხსნა ვორონცოვის რაზმი სრული განადგურებისაგან. შემცირებული ოფიციალური მონაცემებით, რუსებმა დაკარგეს 3 გენერალი, 186 ოფიცერი, 3 321 ჯარისკაცი. ისტორიკოსი ფადეევი რუსთა დანაკარგს 5 ათას კაცად ანგარიშობდა, თვით მთიელები კი თვლიდნენ, რომ რუსებმა 13 ათასი კაცი დაკარგეს. თუ საშუალო მონაცემებს ჭეშმარიტებასთან ახლო მდგომად მივიჩნევთ, რუსების დანაკარგი 7—8 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული მარცხის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ტაქტიკა შეეცვალა. ამიერიდან „კავკასიის სიმაგრის" იერიშით აღების ცდაზე ხელი აიღეს და 1845 წლიდან ახალი სტრატეგიული გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. ეს გეგმა ჯერ კიდევ ერმოლოვის თანამებრძოლმა გენერალმა ველიამინოვმა წამოაყენა. იგი თვლიდა, რომ კავკასია წარმოადგენს ციხეს, როგორც თავისი მდებარეობით, ასევე მოხერხებული სიმაგრეებით, რომელსაც იცავს მრავალრიცხოვანი გარნიზონი. ასეთი სიმაგრის წინააღმდეგ პირდაპირი შეტევა უგუნურობაა. საჭიროა ხერხით მოქმედება, თანდათანობით წინ წაწევა და ალყის შევიწროება. წარმატებანელი იქნება, მაგრამ ნაღდი.

ველიამინოვის წინასწარმეტყველება გამართლდა. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელიც 1845 წლამდე სტრატეგიულ და ტექნიკურ გეგმებს პეტერბურგში სამხედრო სამინისტროს კაბინეტებში ადგენდა, გადაწყვიტა პირდაპირი შეტევა ალყით შეეცვალა. ახალ ტაქტიკას (მას ადრე ერმოლოვი მიმართავდა) ვეიდენბაუმი ასე გადმოსცემს: გარემოცვის ხაზი წინ არ იწევდა მანამ, სანამ ის, რაც დაკავებული გექონდა, მტკიცედ არ იყო უზრუნველყოფილი სიმაგრეებითა და კაზაკთა სტანიცების დასახლებით, სადაც ამის შესაძლებლობა იყო. ჩეჩნეთის გაუვალ ტყეებში გაიჭრა გზები და მიურიდიზმის მთავარი კერა თანდათან დაუბრკოლებლად მისაღწევი შეიქმნა. დაკავებული ტერიტორიის საფუძვლიანი გამაგრება გვიცავდა ზურგში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის თავდასხმებისაგან, რაც მას მორჩილად აქცევდა არა სიტყვით, არამედ საქმით. სამხედრო მოქმედების ახალ ტაქტიკასთან ერთად დასაბამი მიეცა მთიელ ხალხთა მმართველობის ახალ სისტემასაც. 1852 წ. ჩეჩნეთის დამორჩილებულ ნაწილში ე. წ. სამხედრო-სა-

ხალხო მმართველობა შემოიღეს. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ შექმნილიყო ისეთი ადმინისტრაციული მექანიზმი, რომელიც შეესატყვისებოდა მთიელთა ყოფის მარტივ ფორმებს და მოსახლეობისათვის ისეთი სასამართლოს შექმნას, რომელშიც ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები ხალხური თვალთახედვის სულისკვეთებით გადაწყვეტდნენ საქმეებს.

ყოველივე ეს ომის მსვლელობაში ცარიზმის სასარგებლოდ თანდათანობით გარდატეხას განაპირობებდა.

დარღის განადგურების შემდეგ შამილმა თავის რეზიდენცია გადაიტანა ვედენოსთან (იჩქერიაში, მდ. ხულხულაუზე) და უწოდა მას დარღო-ვედენო. ეს იყო კარგი გამაგრებული ციხე-დარბაზი. ტერიტორია, რომელზეც ციხე-დარბაზი მდებარეობდა, წარმოადგენდა ოთხკუთხედს, ხერგილითა და თხრილით გარშემოვლებულს. ოთხკუთხედს მხოლოდ ერთი ორმაგი შესასვლელი კარი ჰქონდა. შიგნითა ეზოში იდგა შამილის სახლი, სასტუმრო, საჩამასახურო და სამეურნეო ნაგებობები. გარეთა ეზოში მოთავსებული იყვნენ მურთაზეკები და არსენალი. აქვე იყრიდა თავს ხალხი დღესასწაულებზე.

1846 წ. შამილმა სცადა უაბარდოში გაჭრა, რათა გამაგრებულიყო იქ, გაჯელიყო დასავლეთ კავკასიასა და შავ ზღვაზე. მის უაბარდოელთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, ფაქტიურად კი მასთან მხოლოდ დიდი უაბარდოს რამდენიმე ფეოდალი მივიდა, მათ შორის ანზოროვი, რომელიც მან შემდეგში მცირე ჩეჩნეთის ნაიბად დანიშნა. უაბარდოელ ფეოდალთა უმრავლესობა ამ დროისათვის მტკიცედ იყო დაკავშირებული ცარიზმთან და არ უალალატა მას. შამილს არც ოსებმა და ნაზრანელმა ინგუშებმა დაუჭირეს მხარი. გენერალ ფრეიტაგის ჯარების მოახლოებამ შამილი აიძულა თავის ვანზრახვაზე ხელი აელო და მთებში დაბრუნებულიყო.

§ 4. ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ (1847—1852 ᲬᲬ.)

40-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგრძნობა საიმამოს კრიზისის დასაწყისი. შამილის ცდა, დაეუფლებოდა აკუშას, რათა ზღვის სანაპირო დაღესტნის დაპყრობას შესდგომოდა, ასევე მარცხით დასრულდა.

1847 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაღესტანში სიმაგრეთა მთელი წყება ააგო. მაგ., იმჩერტის, აიმაკის, ხასავიურტ-მახის სიმაგრეები და წუდახარის ფორტი. იმავე წელს ხანგრძლივი ალყის

(28 ივლისიდან 14 სექტემბრამდე) შედეგად, რომელსაც პირადად ვორონცოვი ხელმძღვანელობდა, იერიშით აღებულ იქნა აული სალ-თი. მის თავდაცვას სათავეში ედგა კიბიტ-მაგომა და მისი ვაჟი ბერთუზალი. იმავე წელს ალყა შემოარტყეს ბერგებილს, მაგრამ სისხლისმღვრელი იერიშის წარუმატებლობის შემდეგ მოხსნეს. მომდევნო წელს ახალი ალყის შედეგად იგი აიღეს.

მომდევნო პერიოდში საიმამოს ბლოკადა გაძლიერდა. 1843 წელს შამილმა კვლავ სცადა მისი გარღვევა. სამხრეთ დაღესტანში მან ალყა შემოარტყა სიმაგრე ახტის, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო.

1849 წ. რუსეთის ჯარმა გენერალ არღუთინსკის სარდლობით ალყა შემოარტყა აულ ჩოხს. ალყა ორი თვე გაგრძელდა. არტილერიამ იგი ნანგრევებად აქცია, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს.

დაღესტნის მხრიდან პირდაპირი შეტევა უიმედო აღმოჩნდა. რუსეთის სარდლობამ ძირითადი სამხედრო ოპერაციები ჩეჩნეთში გადაიტანა, რადგან მისი აღების გარეშე დაღესტანს ვერ დაიმორჩილებდნენ.

50-იანი წლების დასაწყისიდან ჩეჩნები თანდათან უკან იხევენ. 1850 წ. შამილს ჩამოსცილდა დასავლეთ ჩეჩნეთი.

1851—52 წწ. შამილი შეეცადა დახმარებოდა აჯანყებულ ტაბასარანელებს. მათ დასახმარებლად გაიგზავნა ჰაჯი-მურატი, რომელმაც ბარცვა-გლეჯით გაიტეხა სახელი და განუდგნენ. მალე იგი წაეჩხუბა შამილს და რუსების მხარეზე გადავიდა.

50-იანი წლების დასაწყისში გაძლიერდა ნაიბების ღალატი, მათი ექსპლოატატორული ტენდენციები გლეხობისადმი. საიმამოს რღვევა დაიწყო. მისი საბოლოო და გარდაუვალი დამარცხება რამდენიმე ხნით გადასწია ყირიმის ომმა.

§ 5. ჩრდილო კავკასია ყირიმის ომში (1853—1856 წწ.)

ყირიმის ომი გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში დიდ ევროპულ სახელმწიფოთა, ერთი მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთს შორის წინააღმდეგობათა მკვეთრმა გაშწვავებამ. ინგლის-საფრანგეთის მხარეზე გამოვიდა თურქეთიც. ორივე მეომარი მხარე დაპყრობით მიზნებს ისახავდა და ამიტომ ყირიმის ომი ორივე მხრიდან უსამართლო იყო.

აღმოსავლეთსა და შავი ზღვის აუზში მეფის რუსეთის მთავარი მტერი იყო ინგლისი, რომელიც ისწრაფოდა საკუთრებით განედევნა რუსეთი კავკასიის ყელიდან. ინგლისის მინისტრი პალმერსტონი 1854 წელს წერდა: „ყირიმი, ჩერქეზეთი (ჩრდილო კავკასია — რედ.) და საქართველო უნდა ჩამოსცილდნენ რუსეთს; ყირიმი და საქართველო უნდა გადაეცეს თურქეთს, ჩერქეზეთი კი ან დამოუკიდებელი (ინგლისის გავლენის ქვეშ — რედ.) უნდა გახდეს, ან თურქეთის პროტექტორად გადაიქცეს".

ინგლისისა და მისი მოკავშირეების მიზნები კავკასიის ხალხთა მიმართ რეაქციული იყო. ისინი ცდილობდნენ ამ ხალხთა ჩაგვრა-ექსპლუატაციას რუსეთისაგან და ძირმიმპალი თურქეთისათვის გადაცემას, ხოლო რუსეთი ამ შემთხვევაში ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა. მოკავშირეთა საარდლობის გეგმებში კავკასიის მთიელებს დიდი ყურადღება ექცეოდა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სულთანმა აბდულ მეჯიდმა შამილს მისწერა გაეაქტიურებინა რუსეთთან ბრძოლა, რისთვისაც დიდ ჯილდოებს ჰპირდებოდა.

რუსეთის პოზიციები კავკასიაში სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მოვლენათა განვითარებას, წერდნენ, რომ თურქეთის ჯარების წინსვლა კავკასიაში მათ პირდაპირ დააკავშირებს თავის მოკავშირე მთიელებთან და ერთი დარტყმით შეძლებს ხმელეთის გზით მაინც რუსეთის სამხრეთკავკასიური არმიის მოწყვეტას რუსეთისაგან, რამაც შეიძლება ამ არმიის სრული განადგურება გამოიწვიოს.[1] ამის გამო რუსეთი იძულებული იყო კავკასიაში უდიდესი — 270-ათასიანი არმია ჰყოლოდა. მათგან 70 ათასი კაცი თავმოყრილი იყო თურქეთის, მცირე ნაწილი — ირანის საზღვარზე, არმიის უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიის მთიელთა მოძრაობით იყო შებოჭილი.

დასაწყისში არსებობდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დაღესტნის საკუთრებით გაწმენდას რუსეთის ჯარებისაგან, რათა კავკასიის არმია თურქეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. მაგრამ გრ. ორბელიანის დაყენებითი მოთხოვნით, რომელსაც მხარი დაუჭირა მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ, ეს გეგმა უარყოფილ იქნა. თავის მოხსენებაში ამ ამბავთან დაკავშირებით გრ. ორბელიანი აღნიშნავდა, რომ მომავალ რთულ ომში დაღესტანი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. აზიურ თურქეთსა და ირანში მოქმედების მთელი

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. IX, с. 556.

წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, შეეკავებთ თუ ვერა შამილს იმ საზღვრებში, რომლებიც ახლა უჭირავს, რადგანაც მისი სახით ჩვენ ვპოვებთ მტერს უფრო საშიშსა და ძლიერს, ვიდრე ირანის და თურქეთის არმიებია ერთად აღებული.

მოკავშირეებიც კავკასიის ფრონტზე მთავარ იმედს მთიელებზე ამყარებდნენ. ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად დაეწყოთ აქ შეტევითი ოპერაციები, რათა აემხედრებინათ ჩერქეზები და დაღესტნელები. მთიელებთან ათეულობით თურქი და ინგლისელი აგენტი გაგზავნეს. ისინი ავრცელებდნენ მოწოდებებს რუსეთის წინააღმდეგ „წმინდა ომის“ გასაჩაღებლად.

შამილი და მუჰამედ-ამინი შეუდგნენ მზადებას აქტიური სამხედრო მოქმედების დასაწყებად. რუსეთის ხელისუფლება კარგად იყო ინფორმირებული ამ მზადების შესახებ.

1853 წ. ივლისში მუჰამედ-ამინმა შეაგროვა 10 ათასზე მეტი ქვეითი და ცხენოსანი მეომარი და დაძრა ისინი ყარაჩაიზე, რათა დაეპყრო იგი და ყაბარდოზე შეტევის ბაზად ექცია. ამ აქციის საბოლოო მიზანი შამილთან შეერთება იყო. მაგრამ ყარაჩაელებმა არ ისურვეს აჯანყებულიყვნენ, შეიარაღდნენ, ჩაკეტეს მათთან მისასვლელი გზა და რუსებს დახმარება სთხოვეს. მაშინ მუჰამედ-ამინმა თავის რაზმს მიმართულება შეუცვალა და ბელორეჩენსკის გავლით ზღვის პირისაკენ გაჭრა სცადა. მისი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

შამილმაც შეკრიბა 15 ათასამდე მთიელი და 10 აგვისტოს ვედენოდან ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგისაკენ წავიდა. 24 აგვისტოს ის ჭარის ოლქის ახალი ზაქათალის რაიონში გამოჩნდა, სადაც მას შეხვდა რუსეთის ჯარი გრ. ორბელიანის სარდლობით და ქართული მილიციის ქვეითი რაზმები. სასტიკი ბრძოლის შემდეგ შამილი იძულებული გახდა უკან დაეხია. არ გამართლდა მისი იმედი, რომ ჭარ-ბელაქნელები მის მხარეზე გადავიდოდნენ. სულთან აბდულ-მეჯიდის ჯარებთან შეერთების გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

1853-54 წწ. ზამთარში შამილი და მუჰამედ-ამინი ახალი საომარი ოპერაციებისათვის გულდასმით ემზადებოდნენ. ისინი აღვივებდნენ მთიელთა ფანატიზმს, არწმუნებდნენ თურქეთის ჯარების სიძლიერესა და რუსეთის სისუსტეში. 1854 წ. თებერვალში შამილმა მოიწვია ნაიბების თათბირი, რომელზეც გადაწყვიტეს მთელი ძალები მიემართათ კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ.

1854 წ. გაზაფხულის დაწყებისთანავე თურქეთმა დაიწყო რუსეთის საზღვრებთან ჯარების თავმოყრა. რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი. რეადი სამხედრო მინისტრს კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ წერდა, რომ ბათუმში, ყარსსა და ბაიაზეთში თურქეთის ჯარები ძლიერდებიან ახალ-ახალი ნაწილების მოსვლით. ჩვენს საზღვრებში შამილი და მუჰამედ-ამინი მოუწოდებდნენ მთიელებს საერთო აჯანყებისაკენ, აიმედებდნენ მათ თურქეთისა და მოკავშირეთა ჯარების მოსვლით.

1854 წ. გაზაფხულის დამდეგს ნიკოლოზ I-მა ბრძანა აფხაზეთისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ზღვის სანაპირო ზოლიდან გარნიზონების ევაკუაცია მოეხდინათ, ფორტები კი აეფეთქებინათ. გარნიზონები მხოლოდ ანაპასა და ნოვოროსიისკში უნდა შეენარჩუნებინათ. ამგვარად, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მოწინააღმდეგისათვის გახსნილი აღმოჩნდა.

ნალუ თურქეთის მთავრობამ სპეციალური მოწოდებით მიმართა დაღესტნის ხელისუფლებას. იგი მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას და ყოველნაირ ჯილდოებს პირდებოდა მათ. გარდა ამისა, კავკასიის ნაპირებისაკენ გაიგზავნა ინგლისის ესკადრა კონტრ-ადმირალ ლაიონსის მეთაურობით. „ლაიონსის ექსპედიციის მიზანი, — წერდა გაზეთი „ტაიმსი", — იმაში მდგომარეობს, რომ ამხედრეს კავკასიის მთიელები რუსების წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლისათვის".

მაისის დამდეგს ინგლისელებმა და თურქებმა მთიელებს მიაწოდეს საკურველის 50 ათასი კომპლექტი, 200 ზარბაზანი, საბრძოლო მასალა და ფული. გარდა ამისა. აქ ჩამოვიდა 40 უცხოელი ოფიცერი სამხედრო ინსტრუქტორებად.

შამილი და მუჰამედ-ამინი არ კარგავდნენ იმედს, რომ თავის ძალების შეერთებას მოახერხებდნენ. 1854 წ. აპრილში მუჰამედ-ამინი თავის ერთ მომხრეს წერდა, რომ შამილი დიდი ძალებით აპირებს ნაზრანელებზე (ბარის ინგუშებზე) გალაშქრებას, რათა გადაკრას თბილისის კომუნიკაციები და გახსნას გზა მთაში ჩვენთან შესაერთებლადო.

ყირიმის ომის დროს უაბარდოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ერთმანეთისაგან თიშავდა ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას. გარდა ამისა, აქ გადიოდა ჩრდილო კავკასიის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და სავაჭრო გზა—საქართველოს სამხედრო გზა. ამან განაპირობა 1854 წ. დასაწყისიდან ყა-

ბარდოში თურქეთის აგენტურის აქტიური ანტირუსული საქმიანობა.

რუსეთის სარდლობამ არ იცოდა შექმნილ სიტუაციაში რა მიმართულებით იმოქმედებდნენ შამილის მთავარი ძალები. ერთნი ფიქრობდნენ, რომ იგი ჭარზე წავიდოდა, მეორენი ამტკიცებდნენ, რომ როგორც კი ყუბანზე თურქეთის ჯარები გამოჩნდებიან, შამილი ყაბარდოზე წავა, რათა შეუერთდეს მათ ან იქ, ან ყარაჩაიში.

თურქეთის სარდლობამ კი ძირითადი და გადამწყვეტი დარტყმის ობიექტად თბილისი აირჩია. ამიტომ შამილსაც თავის მიურიდებით აქეთ უნდა წარემართა შეტევა. რაც შეეხება მუჰამედ-ამინს და სეფერ-ბეი ზანუყოს (ეს უცანაკანელი ამ დროს დიდი დესანტით ვადმოსხდა სუხუმ-კალეში), ისინი ყარაჩაით და აფხაზეთით უნდა შემოჭრილიყვნენ დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ტერიტორიაზე შეერთებოდნენ თურქეთის ჯარების ბათუმის კორპუსს, რომელსაც სელიმ-ფაშა სარდლობდა.

ამ გეგმის მეორე ნაწილს დასაწყისში წარმატება არ მოჰყოლია. 1854 წ. ივლისში რუსეთის ჯარებმა მდ. ჩოლოქზე დაამარცხეს სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსი, ხოლო მუჰამედ-ამინმა ამჯერადაც ვერ მოახერხა რუსეთის წინააღმდეგ ყარაჩაელების აჯანყება. მუჰამედ-ამინი არნახული ენერგიით შეუდგა რუსეთის წინააღმდეგ ყველა ადიღეელი ტომის ამხედრებას, მაგრამ მათმა უმრავლესობამ არ ისურვა ინგლისისა და თურქეთისათვის „საზარბაზნე ხორცად" გადაქცევა. ადმირალი ლაიონსი მოკავშირეთა სარდლობას მოახსენებდა, რომ „ჩერქეზები გადაჭრით უარს აცხადებენ რუსეთის წინააღმდეგ საომრად თურქებთან შეერთებაზე".

ბათუმის კორპუსის დამარცხების შემდეგ თურქეთის სარდლობის მთელი იმედები დამყარებული იყო ანატოლიის არმიაზე, უმთავრესად კი შამილთან შეერთებასა და ერთობლივ მოქმედებაზე.

1854 წ. ივლისის დამდეგს შამილი შემოიჭრა კახეთში. გენერალ რეადის სიტყვით, შამილს ამით თბილისზე თავდასხმა ჰქონდა განზრახული, იმედი ჰქონდა, რომ მას მხარს აუბამდნენ თურქეთის ჯარები საპირისპირო მხრიდან და რუსეთის მთელი ყურადღება და თავდაცვითი საშუალებებიც იქით იქნებოდა მიმართული.

რუსეთის ჯარებისა და ადგილობრივი სახალხო მილაშქრეების (ე. წ. მილიციის) რაზმების ერთმანეთისგან დაშორებულმა წინააღმდეგობამ ჩაფუშა შამილის გეგმები. ამის შედეგად შამილის შემოჭრა უბრალო ყაჩაღურ თავდასხმად იქცა. მუჰამედ-ტახირი წერს, რომ მთელი კვირის

მანძილზე მიურიდები ძარცვავდნენ მშვიდობიან სოფლებს, კლავდნენ მათ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ატყვევებდნენ ოჯახებს, იტაცებდნენ მათ ქონებას, სახლებსა და სოფლებს წვავდნენ. სულ კახეთში ამ აქციის შედეგად მოკლულ იქნა 100, ხოლო დატყვევებული — 672 კაცი. მიყენებული მატერიალური ზარალი შეადგენდა 350 ათას მანეთს ვერცხლით. თვით შამილი თურქეთის მთავარსარდალ ომერ-ფაშას თავის ამ ლაშქრობაზე წერდა, რომ მასთან შესახვედრად გამოვიდა დიდი ჯარით. შეცვლილება შეუძლებელი აღმოჩნდა იმ ბრძოლების გამო, რომელიც მოხდა მასა და ქართველ თავადებს შორის, რომ ხელთ იგდეს მათი ჯოგები, ქონება, ცოლები, ბავშვები,[2] დაიმორჩილეს ციხესიმაგრეები და დიდი ზეიმით დაბრუნდნენ უკან. შამილის კახეთში შემოჭრა იმის მაჩვენებელი იყო, რომ მობრაობა კარგავდა განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს, მიურიდები კი მძარცველთა ბანდად იქცეოდნენ.

ამ დროიდან ინგლისელებმა რუსეთთან ბრძოლის ახალი გეგმის განხორციელება დაიწყეს. ამ გეგმით ჯერ ყირიმი უნდა დაეპყროთ და შემდეგ შესდგომოდნენ კავკასიის დაპყრობას ერთდროულად ორი მხრიდან — თურქეთისა (საქართველოს წინააღმდეგ) და შავი ზღვის სანაპიროსა და ტამანის ნახევარკუნძულიდან (ჩრდილო კავკასიის წინააღმდეგ). ამიტომ მოკავშირეთა საეკსპედიციო არმია გაიგზავნა არა კავკასიაში, არამედ ყირიმში. როგორც ცნობილია, აქ ისინი ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაეფლენ და კავკასიაში შემოჭრა გაჭიანურდა.

ოქტომბერში შამილი თავს დაესხა ისტისუს, რათა ყუმიყეთის ბარში გაჭრილიყო, მაგრამ მარცხი განიცადა. მთიელთა მეორე რაზმმა (4 ათასამდე კაცით) შამილის შვილის ლაზი-მუჰამედის მეთაურობით სცადა ყაბარდოში გაჭრა მუჰამედ-ამინთან შესაერთებლად, რომელიც, თავის მხრივ, ყარაჩაის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. საბოლოო მიზანი ამ ოპერაციებისა თურქეთის ჯარებთან შეერთება იყო. თურქეთის მთავარსარდალს შამილი წერდა: „ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია ის, რომ ალაჰმა გვიწყალობოს თქვენთან შეხვედრა“.

ამასობაში მოკავშირეებმა გააქტიურეს მოქმედება ანაპისა და ნოვოროსიისკის წინააღმდეგ, რათა 1855 წ. გაზაფხულზე მოეწყოთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელ მთიელთა ლაშქრობა ვლადიკავკაზ-

---

[2] მოტაცებულთა შორის იყვნენ დ. ჭაევაძის ცოლ-შვილი და ი. ორბელიანის ქვრივი.

ზე საქართველოს სამხედრო გზის ხელში ჩასაგდებად. შამილი აქ დასახმარებლად უნდა მოსულიყო.

1855 წ. მარტ-აპრილის განმავლობაში მუჰამედ-ამინი და სეფერ-ბეი აგროვებდნენ ძალებს, რათა მოკავშირეებისათვის ანაპისა და ნოვოროსიისკის აღებაში დახმარება გაეწიათ. პირველს ხელთ უნდა ეყოლა ყარაჩაი, მეორე კი სოხუმიდან დაძრულიყო ნოვოროსიისკზე და გზადაგზა შემოეერთებინა მთიელები.

თვით შამილს ამ დროს რაიმე სერიოზული ღონისძიების განზორციელება აღარ შეეძლო. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად ბევრი მთიელი ჩამოსცილდა მას.

1855 წ. 12 მაისს მოკავშირეებმა ხელთ ჩაიგდეს ქერჩი და ანაპის იერიშისათვის სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ რუსეთის ჯარებმა თვითონ დატოვეს ანაპა და ნოვოროსიისკი, რადგანაც ქერჩის დაკარგვის შემდეგ მათ იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ახლა მოკავშირეები კვლავ ცდილობენ აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიის ძალების შეერთებას, გზავნიან ადგილებზე თავის ემისრებს. თურქეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა კავკასიის ყველა მუსულმანს, აღუთქვამდა მათ, რომ სულთანი იყვანს მათ თავის მფარველობაში, მზადაა დაეხმაროს რუსების განდევნაში, მაგრამ იმ პირობით, რომ შეიარაღდნენ საერთო ძალებით საბრძოლველად. თვით შამილს მიმართეს სპეციალური წერილით, სადაც წინადადებას აძლევდნენ შეეერთებოდა თურქებს და ყუბანისიქითელ ხალხებს რუსეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის.

შამილი შეუდგა მზადებას ინგუშეთის მთებით ელადიკავკაზზე გასალაშქრებლად, მუჰამედ-ამინი კი აგვისტოს შუა რიცხვებში 3000 მთიელით შეიჭრა ყარაჩაიში და აიღო იგი. აგვისტოს დამლევისათვის იგი ყარაჩაიდან გამოდევნეს რუსეთის ჯარებმა.

1855 წ. 30 სექტემბერს მუჰამედ-ამინი მივიდა სოხუმში და შეუთანხმდა თურქეთის მთავარსარდალ ომერ-ფაშას ყაბარდოზე ერთობლივი ლაშქრობის შესახებ. თურქები იქ საქართველოს მხრიდან უნდა მოსულიყვნენ, შამილს კი წინასწარ უნდა დაეკავებინა საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილო სექტორი. ომერ-ფაშამ მუჰამედ-ამინი ოფიციალურად დანიშნა ყველა ჩერქეზი ტომის მმართველად, შამილს კი თურქეთის მუშირის (მარშლის) წოდება მიანიჭა.

მაგრამ მუჰამედ-ამინმა ვერ შეძლო დიდი ლაშქრის შეკრება. ომერ-ფაშას მან მხოლოდ 150 ჩერქეზისაგან შემდგარი რაზმი გა-

მოუგზავნა. ისინი სამეგრელოში ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ, რადგან თურქებისაგან ჯამაგირი არ ეძლეოდათ.

დასავლეთ საქართველოში ომერ-ფაშას კორპუსის დამარცხებამ, რაც შედეგი იყო დამპყრობლების წინააღმდეგ რუსეთის ჯარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გმირული ბრძოლისა, შემდეგ ყარსის აღებამ საბოლოოდ ჩაფუშა მოკავშირეთა გეგმები, რომლებიც თურქებისა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ძალების გაერთიანებას ითვალისწინებდნენ.

პარიზის საზაფო კონგრესზე, სხვა საკითხებთან ერთად, იხილებოდა ე. წ. „ჩერქეზეთის საკითხიც". ინგლისელები დაჟინებით მოითხოვდნენ ადრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის გადასინჯვას და რუსეთის მიერ ჩერქეზეთის „დამოუკიდებლობის" აღიარებას. რუსეთი ამ საკითხში დათმობაზე არ წავიდა. ამან ინგლისის მმართველი წრეების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ისინი „დამოუკიდებელ" ჩერქეზეთში ხედავდნენ „ბარიერს თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის გზაზე".

ამრიგად, ყირიმის ომის დროს კავკასიის დაპყრობის ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ცდა რუსეთის არმიისა და რუსეთის ერთგული კავკასიელი ხალხების გმირული ბრძოლის შედეგად სრული ძარცხით დამთავრდა. იმ ისტორიულ პირობებში ადგილობრივი ხალხებისათვის რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა უფრო პროგრესული იყო ინგლის-თურქეთის კოლონიად გადაქცევის პერსპექტივასთან შედარებით.

§ 6 კლასობრივი ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში

კავკასიელი მთიელი გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმებში მიმდინარეობდა. ეს ფორმები იყო: გაქცევა (ყერძოდ, „არაშენდობიანი" აულებიდან კავკასიის ხაზზე), გამოსაყენებლის ფალეებაზე უარის თქმა, აბრაგობა (ფირალობა), აჯანყება და სხვ. მისი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ იგი სულ უფრო ძლიერდებოდა, რამდენადაც იზრდებოდა გლეხობის ექსპლოატაციის ნორმები და მასშტაბები. ეს კი განპირობებული იყო ივით, რომ მთიელი წარჩინებულები სულ უფრო ფართოდ ებმებოდნენ საერთო-რუსული ეკონომიკური ცხოვრების ფერხულში.

ჩრდილო კავკასიელ მთიელთა კლასობრივი ბრძოლის მეორე

დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი მჭიდრო კავშირი ცარიზმის წინააღმდეგ ანტიკოლონიურ ბრძოლასთან. ცარიზმი გლეხთა მოქრაობის მიმართ ორმაგ პოლიტიკას ეწეოდა. იგი ყოველმხრივ უჭერდა მხარს თავის ერთგული ფეოდალების კლასობრივ ბატონობას და ხელს უწყობდა მათზე დამოკიდებული გლეხობის კლასობრივი გამოსვლების ჩახშობაში. რაც შეეხება ურჩი ფეოდალების ყმებს, ცარიზმი მათ აქეზებდა თავის ბატონების წინააღმდეგ. ამით, რა თქმა უნდა, მეფის მთავრობის პოლიტიკის კლასობრივი ბუნება სრულიადაც არ იცვლებოდა. მისთვის მთავარი იყო ფეოდალთა მხარდაჭერა გლეხთა მასების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოვიყვანთ ცალკეულ კონკრეტულ მაგალითებს ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში მთიელი გლეხობის კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

ადიღეში გრძელდებოდა თფოკოტლების ბრძოლა თავადებისა და აზნაურების წინააღმდეგ. XIX ს. 30-იანი წლების ბოლოს ნატუხაელმა თფოკოტლებმა, შაფსუღთა მსგავსად, თავადაზნაურებს ჩამოართვეს საგვარეულო უფლებები და მოახდინეს მათი მონებისა და ყმების კონფისკაცია (შდრ. „ბზიუკო-ზაუ“ 1796 წ.)

ანალოგიური გამოსვლები ხდებოდა აბაძეხებს შორისაც. როგორც გადმოგვცემენ, ხალხმა თავის კრებაზე მოითხოვა თავადაზნაურთა უფლებრივი გათანაბრება რიგით აბაძეხებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა მათ სრულ გაძევებას თავის მიწაწყლიდან. ანალოგიური განწყობილება სუფევდა უბიხებს შორისაც.

ნატუხაელმა და შაფსუღმა თავადაზნაურებმა დახმარებისათვის მიმართეს რუსეთის სარდლობას ეკატერინოდარში. 1846 წ. 1 მარტს აქ შეიდგა ორივე მხარის წარმომადგენელთა თათბირი. თავადაზნაურებმა თანხმობა განაცხადეს რუსეთის მორჩილებაზე იმ პირობით, რომ იგი დაეხმარებოდა გლეხობის დამორჩილებაში. ამის პასუხად გლეხობამ მოახდინა იმ თავადაზნაურთა ქონების კონფისკაცია, რომლებმაც დასახმარებლად რუსეთს მიმართეს, რუსეთმა თავის მფარველობაში აიყვანილი თავადაზნაურობის დასაცავად დამსჯელი ექსპედიციები გაგზავნა ნატუხაელთა და შაფსუღთა ტერიტორიებზე.

კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა „დემოკრატიულ“ ტომებშიც. ეს საზოგადოების ფეოდალიზაციისა და გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგი იყო. გლეხობა უარს აცხადებდა ბეგარის გადახდაზე, გაკბილდნენ, ქმნიდნენ ჯგუფებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ ფეოდალთა კარმიდამოს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ

ბათ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ბუელდულელი გლეხობა.

1856 წ. შუა ხანებში მოხდა ბუელდულელ გლეხთა მსხვილი აჯანყება, რომელიც ცნობილია „ფში-ეორკ-ზაუ"-ს („თავადაზნაურთა წინააღმდეგ ომი") სახელწოდებით. სახალხო კრებაზე, რომელიც შედგა აულ პონეეუკაიში, გლეხებმა მოითხოვეს, რომ არ ყოფილიყო თავადებისა და აზნაურების წოდება. როცა თავადაზნაურებმა უარყვეს ეს მოთხოვნა, ისინი აჯანყდნენ. მათ მიემხრო ზოგიერთი შაფსუელი და აბაძეხელი გლეხიც. აჯანყებულებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს. თავადაზნაურთა ნაწილი გაქცეულ იქნა. ნაწილმა კი თავს უშველა რუსეთის საზღვრებში გაქცევით. დარჩენილებმა ხალხს შეეფიცეს, რომ სამუდამოდ უარს ამბობენ თავის პრივილეგიებზე.

მართალია, შემდეგში მეფის რუსეთის ჯარების დახმარებით აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, მაგრამ თავადაზნაურთა უფლებები საგრძნობლად შეიკვეცა. იმ ისტორიულ პირობებში გლეხთა აჯანყებებს არ შეეძლოთ გაემარჯვათ.

ადიღეელი გლეხები არაერთხელ აშკარად გამოვიდნენ მუჰამედ-ამინის სამხედრო-თეოკრატიული სისტემის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, მიურიდიზმის ქადაგებას მუსულმანთა საყოველთაო თანასწორობის შესახებ განსაზღვრული წარმატება ჰქონდა ჩამორჩენილ მთიელ მასებში. 1850 წლისათვის ადიღეელი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა მუჰამედ-ამინის მხარეზე, მისი დახმარებით ცდილობდა უმაღლესი წოდების ძალაუფლების თავიდან მოცილებას. მაგრამ როგორც კი განმტკიცა ხელისუფლება, მუჰამედ-ამინმა აშკარად დაიწყო თანამშრომლობა თავადაზნაურობასთან (როგორც უკვე აღინიშნა, თემირგოელი თავადის ქალიც კი შეირთო ცოლად), დაბეგრა გლეხობა, აუკრძალა მათ ვაჭრობა რუსეთის საცხოვრებელ პუნქტებთან. ამის პასუხად გლეხობამ განუცხადა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ისინი აღარ დაემორჩილებიან მას.

1851 წ. შაფსუელმა თფოკოტლებმა მუჰამედ-ამინს მოსთხოვეს ენერგიული ზომები მიეღო იმ ხალხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომელთაც თავისი ბედი მას მიანდეს. ამის პასუხად მან დაიწყო მზადება, რათა იარაღით დაეცხრო მათი უკმაყოფილება. მაშინ გლეხობა აჯანყდა, გაანადგურა ნაიბის ბანაკი მდ. შებეის მახლობლად. მლელვარება დაიწყო აბაძეხებსა და უბიხებს შორისაც.

1850—51 წწ. გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს მიურიდიზმული რეჟიმის წინააღმდეგ შედეგად მოჰყვა მუჰამედ-ამინის ხელისუფლების ლიკვიდაცია. მაგრამ 1852 წელს თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების დახმარებით მან კვლავ აღადგინა პოზიციები. ყირიმის ომის წლებში ადიღეელი გლეხობის ბრძოლა მიურიდიზმის წინააღმდეგ კვლავ გამწვავდა. გლეხობის წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო მუჰამედ-ამინმა რუსეთის წინააღმდეგ 20-ათასიანი ცხენოსანი ჯარის გამოყვანა.

ამრიგად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გლეხობის ბრძოლა მუჰამედ-ამინის თეოკრატიული სისტემის წინააღმდეგ იყო ბრძოლა ფეოდალური წყობილებისა და ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

XIX ს. 30-50-იან წლებში გლეხობის ანტიფეოდალურმა ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო ყაბარდო-ბალყარეთშიც. 1837 წ. მცირე ყაბარდოში თავად ბეკოვიჩ-ჩერკასკის 400 გლეხმა ბეგარა-გადასახადების გადიდების გამო დატოვა თავისი აული და მთებს შეაფარა თავი. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ თუ მათ დაუსჯელად დატოვებდნენ, ეს გამოიწვევდა ურჩობას შემდეგშიც და ფართო მღელვარების მიზეზი გახდებოდა. ამიტომ გაქცეული გლეხების წინააღმდეგ გაგზავნეს 300-კაციანი სამხედრო რაზმი არტილერიით. გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს რაზმს, მაგრამ იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. გამოსვლის მოთავეები გასახლებულ იქნენ ყაბარდოდან.

გლეხთა გამოსვლებმა მწვავე ხასიათი მიიღო დიდ ყაბარდოში. 1838 წ. მათ სათავეში ჩაუდგა „თავისუფალი" ყაბარდოელი (თხოკოტლი) კარდანოვი. გამოსვლის საბაბი გახდა ის, რომ რუსეთის ხელისუფლებმა აიძულეს გლეხები (5000-მდე კაცი) ემუშავათ ლესკენის სამხედრო სიმაგრის მშენებლობაზე. კარდანოვის მეთაურობით გლეხებმა უახლოეს ტყეებს შეაფარეს თავი. ხელისუფლებამ გააფრთხილა ყაბარდოელი ფეოდალები, რომ თუ ისინი ვერ შეძლებენ, რომ ამბოხებულებმა შეწყვიტონ მღელვარება, იძულებული გახდებიან იარაღს მიმართონ. აჯანყებულთა ბანაკში გაგზავნეს თავადაზნაურობის წარმომადგენლები მათ დასაყოლიებლად. იმავედროულად აჯანყების რაიონში თავმოყრილ იქნა რეგულარული ჯარის ნაწილები. გლეხები იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ.

1854 წ. ბეკოვიჩ-ჩერკასკის სოფლებში კვლავ მღელვარებამ მოიცვა გლეხები. ამის მიზეზი იყო აუტანელი ბეგარა და შევიწ-

რება. 100-მდე კომლმა უარი განაცხადა ბეგარა-გადასახადების გადახდაზე. ბეკოვიჩ-ჩერკასკი ხელისუფლებას მოახსენებდა, რომ მისი ამბოხებული „მონები" ისე გათავხელდნენ, რომ გაბედეს შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის, იარაღით ხელში მისი სიცოცხლის ხელყოფა სცადეს.

1855 წ. ბალყარეთში — ჩეგემისა და ხულამის ხეობებში — გლეხობა აჯანყდა. იგი მოითხოვდა ფეოდალური გამოსაღებების შემცირებას. თაუბიებმა შეძლეს მათი დაშოშმინება.

თავის პროტესტს გლეხობა გამოხატავდა იმ მრავალრიცხოვან თხოვნა-საჩივრებში, რომლებითაც ბალყარელები მიმართავდნენ ოკრუგის უფროსს და მოითხოვდნენ თაუბიების მეტისმეტი შევიწროებისაგან დაცვას.

ბევრი ყაბარდოელი და ბალყარელი გლეხი აბრაგად იქცეოდა და იწყებდა ბრძოლას როგორც „საკუთარი" ფეოდალების, ისე რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ბევრიც შამილთან გარბოდა. როცა 1846 წ. შამილმა ყაბარდოზე გაილაშქრა, უკან დახევისას მას ბევრი ყაბარდოელი გაჰყვა თან. მეფის ხელისუფლებამ სპეციალური ბრძანება გამოსცეს, რომლის თანახმადაც ჩეჩნეთში შამილთან დაჭეული ყველა ყაბარდოელი აბრაგად გამოცხადდა.

ადგილობრივი ფეოდალებისა და ცარიზმის ხელისუფალთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ჩრდილო ოსეთის გლეხობაც. 1830 წ. ფეოდალებისა და მეფის მოხელეთა თვითნებობამ თაგურში შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია. მაგრამ კლასობრივი ანტიფეოდალური ბრძოლის თავის ინტერესების შესაბამისად გამოყენებას შეეცადნენ ალდარები. ისინი ანგარების მიზნით მიეხმარნენ აჯანყებას. თაგაურელ გლეხთა აჯანყება სასტიკად ჩაახშო მეფის ჯარმა.

30-50-იან წლებში ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდის გამო ჩრდილო ოსეთში კლასობრივი ბრძოლა უმაღლეს საფეხურს აღწევს. დიგორელი ფეოდალები — ბადილიატები წერდნენ მეფის ხელისუფლებას, რომ მათსა და გლეხობას შორის შეუერიგებელი ბრძოლაა, რომელიც ყოველწლიურად სისხლიანი ამბებით ალინიშნება.

1836 წ. დიგორელმა ხალხმა უარი განაცხადა ბეგარა-გამოსაღებების გადახდაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ მათ ალარ ევალებათ ყველა ის გამოსაღებთა გადახდა, რასაც ფეოდალებს უხდიდნენ ხალხის „დაცვისათვის". თაგაურელი ფლეხები მოითხოვდნენ მათთვის საგანგე-

ბო ბოქაულის დანიშვნას, რადგან ალდარებთან საერთო არაფერი არ გვინდა გვქონდეს. ფეოდალები, პირიქით, იმედს გამოთქვამდნენ, რომ ხელისუფლება ხალხზე „მათ უფლებებს“ არ ხელყოფდა. ისინი ითხოვდნენ დაემტკიცებინათ მათი უფლებები მიწაზე და სოციალურ-წოდებრივი პრივილეგიები. მეფის ხელისუფლების სიმპათიები, რასაკვირველია, ალდარ-ბადელიატების მხარეზე იყო.

კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა ინგუშეთშიც, განსაკუთრებით ბარის („ნაზრანელები“) ინგუშეთში. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზოგადოებებშიც, სადაც როგორც უკვე აღინიშნა, კლასობრივი ბრძოლა მჭიდროდ იყო გადახლართული ცარიზმის წინააღმდეგ მთიელთა ანტიკოლონიურ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

XIX ს. პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიის მთიელთა მასობრივი ბრძოლის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იგი სტიქიური, ლოკალურ და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. გლეხთა მოძრაობას არც იქ შეეძლო წარმატების მოპოვება. ეს ბრძოლა, რომელიც გადაეზასკვა ანტიკოლონიურ ბრძოლას, არ შეიძლება განხილულ იქნას იზოლირებულად საერთო რუსული სოციალური მოძრაობისაგან. მთიელთა ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ბრძოლა არღვევდა ფეოდალიზმის საფუძვლებს და ობიექტურად ერწყმოდა რა საერთო-რუსულ ბრძოლას, ხელს უწყობდა საზოგადოების პროგრესულ განვითარებას.

§ 7. კავკასიის ომის დამთავრება (1857—1864 წწ.)

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმს შესაძლებლობა მიეცა მთელი თავისი ძალები ჩრდილო კავკასიელი მთიელების. პირველ რიგში, შამილის მიურიდების წინააღმდეგ მიემართა.

ბერლინის საზავო ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი შეტევა შამილის სახელმწიფოს წინააღმდეგ. კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა და მთავარსარდალმა ფელდმარშალმა ა. ბარიატინსკიმ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა ჩეჩნეთში, რომელიც წარმოადგენდა შამილის ბელელს და მთიანი დაღესტნის სტრატეგიულ გასაღებს. ამ მიზნით მან იქ თავი მოუყარა 226-ათასიან არმიას და 226 ზარბაზანს.

1857 წ. მანძილზე მეფის ჯარებმა დაიპყრეს მთელი ბარის

ჩეჩნეთი. ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც დაიქანცა ხანგრძლივი ომით, შამილის მოწოდების მიუხედავად, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი სთქვა და 1858 წლიდან მთელი აულებით დაიწყო რუსეთისადმი დამორჩილება.

ბარიატინსკი ფარულად იყენებდა მთიელთა მოსყიდვის პოლიტიკას, რისთვისაც სარგებლობდა საგანგებოდ გამოყოფილი „ექსტრაორდინალური თანხებით". განსაკუთრებით ენერგიულად ცდილობდა შამილის ნაიბებისა და სხვა მაღალი მოხელეების მოსყიდვას და ამაში დიდი მიღწევებიც ჰქონდა.

1859 წლის დასაწყისში რუსეთის ჯარებმა ჩეჩნეთში დაღესტნიდანაც შეაღწიეს; იმავე წლის თებერვალში გენერალმა ევდოკიმოვმა ალყა შემოარტყა საიმამოს დედაქალაქ დარღო-ვედენოს და 1859 წ. 1 აპრილს აიღო. ვედენოს აღებამ გადაწყვიტა მთელი ჩეჩნეთის ბედი; ბევრი ნაიბი რუსეთის მხარეზე გადავიდა. შამილმა ანდიისაკენ დაიხია და იქ გამაგრდა.

რუსეთის არმიამ დაიწყო შამილის ამ თავშესაფრის გარშემორტყმა. შამილი იძულებული გახდა ისიც მიეტოვებინა და ივლისის ბოლოს ღუნიბში მივიდა. მოკლე ხანში მან აქ მძლავრი სიმაგრე შექმნა. 10 აგვისტოს რუსეთის 10-ათასიანმა რაზმმა ალყა შემოარტყა ღუნიბს, რომლის დამცველები ძლივს აღწევდნენ 400 კაცს.

ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ, 25 აგვისტოს, შემდგომი წინააღმდეგობის უაზრობაში დარწმუნებული შამილი გარნიზონის ნაშთებით დანებდა ბარიატინსკის. 26 აგვისტოს ბარიატინსკიმ შემდეგი დეპეშა გაგზავნა დედაქალაქში: „ღუნიბი აღებულია, შამილი დატყვევებულია და გაგზავნილია პეტერბურგში"... მეორე დღეს კი თავის ვრცელ მოხსენებაში სამხედრო მინისტრისადმი იგი წერდა: „მიურიდიზმს უცანაკნელი დარტყმა მივაყენეთ. აღმოსავლეთ კავკასიის ბედი გადაწყვეტილია საბოლოოდ. 50-წლიანი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ამ ქვეყნად მშვიდობა დამყარდა". მთავარსარდალი მაღალ შეფასებას აძლევდა რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობასა და ამტანობას, აგრეთვე, იმ ქართველ ოფიცერთა თავდადებას, რომლებიც მონაწილეობდნენ ღუნიბის ოპერაციაში (ასეთები იყვნენ გენერალ-მაიორი თარხან-მოურავი, პოდპოლკოვნიკი გაბაშვილი, პოდპორუჩიკი მიქელაძე). ფელდმარშლის მოხსენებაში, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არ თქმულა ღუნიბის დამცველთა საარაკო გმირობაზე.

*
* *

ლუნიბის აღება და შამილის დატყვევება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კავკასიის ომის დამთავრებას. დასავლეთ კავკასიაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა ადიღეელი ტომების მნიშვნელოვანი ნაწილისა და უბიხების წინააღმდეგობა რუსეთის ჯარებისადმი.

1857 წ. ადიღეში დაბრუნდა მუჰამედ-ამინი. ჯერ კიდევ 1855 წ. იგი გაემგზავრა სტამბოლში, მაგრამ რუსეთის ელჩის მოთხოვნით იგი გასახლეს დამასკოში, საიდანაც ფარულად წავიდა კავკასიაში (რა თქმა უნდა, თურქეთის ხელისუფალთა თანხმობით, თუმცა დიდი ვეზირი ამას უარყოფდა). ადიღეში მან კვლავ დაიწყო მიურიდების შემოკრება თავის გარშემო. თურქები და ინგლისელები ფარულად აქეზებდნენ მთიელებს რუსეთთან ომის გასაგრძელებლად, გემებით იარაღს, აგრეთვე პოლონელ, უნგრელ და კავკასიელ „ფლიბუსტიერებს“[3] უგზავნიდნენ. დიდ აქტიურობას ავლენდა სეფერ-ბეი ზანუკოც.

ამასობაში მუჰამედ-ამინისა და სეფერ-ბეის მდგომარეობა შეირყა. ჯერ კიდევ 1856 წ. ბოლოს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტომთა უმრავლესობამ რუსეთის ერთგულებაზე ფიცი დადო და მძევლები მისცა. 1857 წელს რუსეთის ჯარმა აბაძეხების მიწა-წყლის ცენტრს — მუჰამედ-ამინის მთავარ დასაყრდენს — მიაღწიეს. აქ ე. წ. ბელორეჩენსკის ხაზზე სიმაგრეები ააგეს, რომელთა შორის მთავარი იყო მაიკოპი. 1858 წლის ბოლოს რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა სეფერ-ბეი ზანუკოს „ტომმა“ — ნატუხაელებმა.

მუჰამედ-ამინი, სეფერ-ბეი და მისი ვაჟი ყარაბათირი ტერორითა და რეპრესიებით ცდილობდნენ მთიელთა დაშინებას და თავის მხარეზე გადაყვანას. ეს უკვე უშედეგო იყო. ა. ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს წერდა, რომ სეფერ-ბეი და მუჰამედ-ამინი გრძნობდნენ თავისი მდგომარეობის სისუსტეს.

შამილის დატყვევების შემდეგ მუჰამედ-ამინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მალე მან შამილის წერილი მიიღო, რომელშიც ურჩევდა რუსეთისადმი დამორჩილებას. შემდეგში მუჰამედ-ამინი თავის მემუარებში წერდა, რომ შამილმა კალუგიდან მოსწერა წერილი, რომელშიც ურჩევდა შერიგებას, რადგან ეს აუცი-

---

[3] ფლიბუსტიერება დ დას. ევროპაში სხვადასხვა ეროვნებისაგან ორგანიზებული პირატები და კონტრაბანდისტები იწოდებოდნენ. კავკასიელ „ფლიბუსტიერებს“ პირატობა-კონტრაბანდისტობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ და ფაქტიურად ინგლისისა და თურქეთის აგენტურის როლს ასრულებდნენ.

ლებელი იყო და, რომ მანაც დაუყოვნებლივ მიიღო ეს რჩევა. 1859 წლის 20 ნოემბერს მუჰამედ-ამინი 2 ათასი მხედრით გამოცხადდა რუსულ ბანაკში და დანებდა. იმავე წლის დეკემბერში გარდაიცვალა სეფერ-ბეი ზანუყო. ასე უსახელოდ დასრულდა ჩერქეზეთის „დამოუკიდებლობის" ორი ურთიერთმოქიშპე ბურჯის მოღვაწეობა.

შამილისა და მუჰამედ-ამინის კაპიტულაციის შემდეგაც ინგლისსა და თურქეთს იარაღი არ დაუყრიათ. სულთნის ინიციატივით დასავლეთ კავკასიაში შეიქმნა ე. წ. ჩერქეზეთის მეჯლისი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ჰაჯი-ბერზეკ ბაგამუყო. მას ებიხელ შამილს უწოდებდნენ. მეჯლისისათვის სპეციალური შენობი ააგეს მდ. ფსახეს აუზში, სოჩის მახლობლად. მეჯლისმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც დასავლეთ კავკასიის მთელი ტერიტორია 12 ოკრუგად დაიყო. თითოეულში იყო მუფტი, ყადი და ზაპთი (მამასახლისი).

მეჯლისის ერთ-ერთ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სპეციალური ელჩები გაეგზავნათ სტამბოლში, სპარსეთსა და ლონდონში. ამისათვის ტუაფსედან ადლერამდე მცხოვრებ მოსახლეობაში სათანადო სახსრები შეკრიბეს. ამის გარდა, გადაწყდა გამოექვეყნებინათ მოწოდება ჰაზავათის შესახებ და 1861 წლის ზაფხულისათვის აბაძეხთა მიწა-წყალზე გაეგზავნათ რამდენიმე ათასი მეურიდი. ელჩობას სათაეში ჩაუდგა უბიხი იზმაილ ბარაკაი-იფა-ძიაფში.

1861 წ. მაისში დასავლეთ კავკასიაში მოვიდნენ თურქეთის ემისრები და ერთი ინგლისელი, რომელთაც განაცხადეს, რომ აქვთ რწმენება ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებისაგან და მოუწოდეს ჩერქეზებსა და უბიხებს ჰაზავათის გაგრძელებისაკენ. ამ მორიგი ავანტიურის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ე. წ. ჩერქეზული კომიტეტი ლონდონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ურკარტისტი ედმონ ბილსი. 1862-64 წწ. კავკასიის საქმეებთან მჭიდროდ დაკავშირებული პიროვნება.

ამჟამობაში რუსეთის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 1861—62 წწ. ზამთარში ისინი მდ. ლაბისა და ბელაიას ველებით მთებში შევიდნენ, ხოლო მთისპირებითა და შავი ზღვის სანაპიროთი მდ. ადაგუმს მიაღწიეს. ჯარების მოძრაობის გზაზე არსებობდა კაზაკთა სტანიცები. მარტო 1862 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში 28 სტანიცა შეიქმნა. სტანიცების დასაცავად შეიქმნა ადაგუმის, ქვემო ყუბანის, ლაბის, ურუპის საკორდონო ხაზები, ხოლო მათ წინ აღ-

მართული იყო აბინსკის, მაიკოპის, ბელორეჩენსკის, პსებაის და სხვა სიმაგრეები. ასეთი მოქმედებით მეფის მთავრობა ახორციელებდა თავის გეგმას — კავკასიის საბოლოოდ დაპყრობილად მთიელების ბარში გადასახლებას და მათ ადგილებზე კაზაკების დასახლებას. 1863 წ. დამდეგისათვის კაზაკთა სამოსახლოებს ეკავათ მთელი სივრცე ყუბანიდან მდ. ბელაიამდე, შავი ზღვიდან მდ. ადაგუმამდე.

რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგენი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, შავი ზღვის სანაპიროსა და მდ. ბელაიასა და ადაგუმს შორის მთებში რჩებოდნენ. მაგრამ რაც უფრო ღრმად აღწევდნენ რუსეთის ჯარები მთებში, ადიღეელი ტომები ერთიმეორის მიყოლებით რუსეთის ერთგულებაზე ფიცს დებდნენ. 1863 წ. ოქტომბრის დასაწყისში რუსეთის ქვეშევრდომობა იკისრეს აბაძეხებმაც. უკანასკნელმა „დამოუკიდებელმა“ ადიღეელმა ტომმა. 1863-64 წწ. დაპყრობილ მიწებზე 70-ზე მეტი სტანიცა დაარსდა.

1864 წ. რუსეთის სარდლობა შეეცადა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე შემორჩენილი წინააღმდეგობის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციას. რუსეთის ჯარებმა ზღვის სანაპიროზე დაიკავეს ყოფილი რუსული სიმაგრეები ველიამინოვსკოე და ლაზარევსკოე. განსაკუთრებით ძლიერი წინააღმდეგობა მათ უბიხებმა გაუწიეს. რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგეთა უკანასკნელი დასაყრდენი იყო ახჩიპსხუ. რუსეთის ჯარებმა 4 კოლონად განავითარეს მასზე შეტევა. 1864 წ. 21 მაისს ახჩიპსხეს საზოგადოების ცენტრში კავკასიის მეფისნაცვლის და მთავარსარდლის — დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თანდასწრებით გადახდილ იქნა საზეიმო პარაკლისი დასავლეთ კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად. ოფიციალური ისტორიკოსის ე. ვეიდენბაუმის სიტყვებით, „ასე დასრულდა საუკუნოვანი კავკასიის ომი. ვრცელი ყუბანისიქითა მხარე, დიდი ხნის მანძილზე სისხლისმღვრელი და სასტიკი ომის ასპარეზი, რუსეთის მიწა-წყლად იქცა“.

დამორჩილებულ მთიელებს წინააღმდეგობა ეძლეოდათ ბარში ვადასახლებულიყვნენ. ნაწილი იძულებული იყო თანხმობა განეცხადებინა, ნაწილი კი თურქეთში გადასახლდა.

ამრიგად, ომი, რომელსაც აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიის მთიელები ეწეოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე, იყო ომი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მისი მთავარი დამნაშავენი იყვნენ მეფის რუსეთის სატრაპები, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ ხალხთა ეროვ-

ნულ და ისტორიულ თავისებურებებს, ნერგავდნენ კოლონიური და დაპყრობითი პოლიტიკის სასტიკ ფორმებს და აიძულებდნენ მთიელებს აღმდგარიყვნენ განმათავისუფლებელი ომისათვის.

მთიელთა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ შეუძლებელი გახადა მათი გაერთიანება, რის შედეგადაც მათმა ბრძოლამ ცარიზმის წინააღმდეგ არსებითად ლოკალური ხასიათი მიიღო. გარდა ამისა, იმავე მიზნების გამო ამ ბრძოლამ მიურიდისტული ხასიათი მიიღო და ხშირად ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის აგრესიული წრეების ინტერესების საამსახურში ექცეოდა, იმის მიუხედავად, რომ არც შამილი, არც მუჰამედ-ამინი არ იყვნენ უცხოელთა მარionეტები ან აგენტები.

მართალია, კავკასიის მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ტერესპექტივო და განწირული იყო, როგორც ყველა გლეხური მოძრაობა, მაგრამ მას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ძირს უთხრიდა ცარიზმის ძლიერებას. სწორედ ამის გამო აფასებდნენ მას დადებითად კ. მარქსი და ფრ. ენგელსი.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ თავს იჩენს რუსეთის შემადგენლობაში მთიელთა შესვლის პროგრესული შედეგები.

მეორე ნაწილი

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა ჩრდილო კავკასიაში

პირველი თავი

აგრარული რეფორმა

§ 1. რეფორმის წანამძღვრები

XIX ს. პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიაში ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი სუფევდა, ხანგრძლივმა ომმა, რომელსაც თურქეთის წაქეზებით აქაური მაჰმადიანური მოსახლეობა ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მოშლა სახალხო მეურნეობა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა კავკასიის მთიელები.

ჩრდილო კავკასიაში მძიმე კრიზისი რუსეთში ბატონყმობის რღვევასა და მის დაცემას დაემთხვა. ყირიმის ომის მძიმე შედეგებმა და რევოლუციურმა კრიზისმა თვით ბატონყმობის გარდაუვალი შერყევა და დაცემა გამოიწვია არა მარტო ცენტრალურ რუსეთში, არამედ მთელს იმპერიაში.

ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში დააჩქარა ჩრდილო კავკასიაში შესაბამისი რეფორმების გატარება. საგლეხო-ბურჟუაზიული რეფორმათა განხორციელება გამოწვეული იყო არა მხოლოდ ამ მხარის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების მომწიფებით, არამედ რუსეთის იმპერიის საერთო მოთხოვნილებებითა და ინტერესებითაც.

ადიღეში, ყარაჩაი—ჩერქეზეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში და დაღესტანში XIX ს. შუა ხანებში ფეოდალიზმი ჯერ კიდევ მომწიფებული და დაშლის პროცესში შესული არ იყო. აქაურ ზოგიერთ ხალხებში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრებას დიდი ხნის ისტორია როდი ჰქონდა. ამიტომ ჩრდილო კავკასიაში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შეცვლა ახალი ბურჟუაზიული ურთი-

ერთობით, უპირველეს ყოვლისა, იმპერიის წინსვლის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამასთანავე ჩრდილო კავკასიაში რეფორმათა გატარება, ძველი ურთიერთობის ახალი, უფრო პროგრესული ურთიერთობით შეცვლა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ადგილზე გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლითაც, რომელსაც ერთი მხრივ, ფეოდალური ექსპლოატაცია იწვევდა, ხოლო, მეორე მხრივ თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკა.

რუსეთში ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფი განვითარებისათვის აუცილებელი იყო რესურსებით მდიდარი განაპირა მხარეების ეკონომიკის გარდაქმნა. მეფის მთავრობას როდი აკმაყოფილებდა კავკასიის მექანიკური შეერთება, იგი საჭიროდ მიიჩნევდა მის ეკონომიკურ ათვისებას. რუსეთის კაპიტალს კავკასია ესაჭიროებოდა როგორც ბაზარი და ნედლეულის წყარო, აგრეთვე, იაფი მუშახელის მიმწოდებელი. ასეთი მისიისათვის აუცილებელი გახდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა მეურნეობისა და მოძველებული საადგილმამულო ურთიერთობის საფუძვლიანი გარდაქმნა.

რუსეთთან შეერთებამ და მხარის კოლონიზაციამ კავკასიის ხალხი უფრო ფართო ასპარეზზე გამოიყვანა. ძალაუნებურად უნდა დანგრეულიყო ვიწრო კუთხური კარჩაკეტილობა, დანერგილიყო კაპიტალისტური ურთიერთობა, ნატურალური რენტა ფულადით შეცვლილიყო, ღარიბი, უმიწაწყლო გლეხობა დაქირავებულ შრომაში ჩაბმულიყო და თავისუფალ მუშაძალად გადაქცეულიყო.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ამბავი მალე გავრცელდა მთელს იმპერიაში. ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქების მშრომელი მოსახლეობის ფსიქიკაზე განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა სტავროპოლის მხარესა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმების გატარებამ. მეზობელ მხარეებში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი ყმა გლეხობაც უარს აცხადებდა ძველებური ვალდებულების შესრულებაზე, მოითხოვდა რუსეთის გლეხობის კვალდაკვალ განთავისუფლებას. უკმაყოფილება იმდენად გაძლიერდა, რომ ზოგან მღელვარებამ იჩინა თავი და აჯანყების საშიშროება წარმოიშვა. მეფის მოხელეები რწმუნდებოდნენ, რომ ძველებური საადგილმამულო ურთიერთობის დატოვება საშიში და შეუძლებელი იყო.

ასეთ ვითარებაში მეფის მთავრობა ჩრდილო კავკასიაშიც შეუდგა საგლეხო რეფორმის მომზადებას ზემოდან.

ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებისთანავე ჩრდილო კავკასიის ხალხთა პრივილეგირებული წოდება მოითხოვდა თავისი უფლებებით რუსეთის თავადაზნაურობასთან გათანაბრებას. ამ საქმის მოსაგვარებლად მეფის მთავრობამ ჩრდილო კავკასიაში არაერთი კომისია და კომიტეტი შექმნა, მაგრამ ამ საქმის მოგვარებას სხვა მრავალი საკითხი დაუკავშირდა — საჭირო გახდა წოდებათა, საადგილმამულო ურთიერთობათა და ადგილობრივი ადათ-წესების დეტალური შესწავლა. რამაც სათანადო ცოდნა, დიდი დრო და თანხები მოითხოვა. მრავალმხრივი სირთულის გამო ამ მიზნით გამოყოფილი კომისიები და კომიტეტები რაოდენობრივ იქნებოდა, ისე უქმდებოდა, საქმის გადაწყვეტა ჭიანურდებოდა და რიგ შემთხვევაში გადაუჭრელი რჩებოდა.

მიუხედავად მრავალი მითითების და ცირკულარებისა, ჩრდილო კავკასიაში რეფორმებისათვის მზადება ფაქტიურად მხოლოდ რუსეთში 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო. მთავრობის მითითებით, ჩრდილო კავკასიის მთელ რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებში შეიქმნა სპეციალური კომისიები და კომიტეტები, რომელთაც დაევალათ: დაედგინათ მიწისმფლობელობის და სარგებლობის ფორმები, საადგილმამულო ურთიერთობა, აღერიცხათ მიწის ფონდი, მიწის ჰესაკუთრე მემამულეები (მათ შორის თურქეთში გადასახლებულებიც), ყმა გლეხობა, გლეხთა თავისუფალი ფენა; ამასთან, გაერკვიათ ურთიერთდამოკიდებულების და ვალდებულების ყველა წესი და რიგი.

სპეციალური კომისიები და კომიტეტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩრდილო კავკასიის ეთნიკურად ჭრელ ადმინისტრაციულ ერთეულებში და სამფლობელოებში ერთიმეორისაგან განსხვავებული სოციალური და საადგილმამულო ურთიერთობა არსებობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი აზრით, ყველა მათგანში ნეტ-ნაკლებად ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა არსებობდა.

საზოგადოების გაბატონებულ ნაწილს თავადაზნაურობა და უმაღლესი სამღვდელოება წარმოადგენდა, ხოლო დამოკიდებულ ჩაგრულ კლასს — გლეხობა, რომელიც სხვადასხვა კატეგორიისა და ფენისაგან შედგებოდა. ამასთან, ჩაგრული კლასის ყველაზე უუფლებო ნაწილი მოკლებული იყო ყოველგვარ პიროვნულ უფლებებს და ფაქტიურად მონის მდგომარეობაში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის წოდებრივ-უფლებრივი მდგომარეობის და საადგილმამულო ურთიერთობის დასადგენად არაერთი კომიტეტი და კომისია შე-

იქმნა, მეფის მთავრობამ დიდხანს ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, რადგან ამას ხელს უშლიდა კავკასიის ომი და მისი შედეგები, აგრეთვე, იმისი უცოდინარობა თუ თვითმპყრობელობისათვის საკითხის როგორი გადაჭრა იყო ყველაზე ხელსაყრელი.

§ 2. აგრარული რეფორმა

ჩრდილო კავკასიაში მიწის რეფორმა წინ უძღოდა ბატონყმობის გაუქმებას და უშუალოდ მის მომზადებასთან იყო დაკავშირებული.

ჯერ კიდევ კავკასიის შეერთების და ომის მსვლელობის დროს მეფის მთავრობამ ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქებში დიდი კოლონიზაცია განახორციელა. კაზაკთა ახლად დაარსებულ მრავალ სოფელს (სტანიცას), რუს და ადგილობრივ საჰხედრო მოხელეებს და მემამულეებს მიწის უზარმაზარი მასივები გადაეცა, მიწისა და ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი ხაზინამ მიიტაცა. ამასთან, თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, რიგ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა ერთ ადგილიდან მეორეზე იქნა გადასახლებული. საკმაოდ დიდი მიწები დარჩა მეჩეთების განკარგულებაშიც.

ჩრდილო კავკასიაში მეფის მთავრობის უპირველეს ამოცანას მხარის კოლონიზაცია წარმოადგენდა, ამიტომ აგრარული რეფორმაც ძირითადად ამ მიზანს ისახავდა.

მრავალი ღონისძიება, რაც მიწისმფლობელობის ახლებურ გარდაქმნას ითვალისწინებდა, მეფის მთავრობის დასაყრდენი მოხელეების და მემამულეების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

მიწისმფლობელობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მრავალი კომისია გამოიყო და სხვადასხვაგვარი პროექტი შედგა, მათ შორის გრაფ ევდოკიმოვის, ორბელიანის, კოძოკოვის და სხვათა თავმჯდომარეობით.

მეფის მთავრობამ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე ფართო კოლონიზაცია ყუბანის ოლქში გაატარა, ამიტომ აგრარულ რეფორმას, პირველ რიგში, აქ შეუდგა.

ყუბანის ოლქში მიწის ფონდის აღრიცხვა და მისი მფლობელობის რეორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავება ამ ოლქის ჯარის სარდალს გრაფ ევდოკიმოვის კომისიას დაეკალა. საჭირო მასალებისა და აგრარული საკითხის შესწავლის შემდეგ ევდოკი-

მოვმა სპეციალური პროექტი შეიმუშავა. ეს პროექტი თავდაპირველად ყუბანის ოლქის ზოგიერთ ტერიტორიას ეხებოდა და მხოლოდ მიწისმფლობელობის რეორგანიზაციას ითვალისწინებდა.

პროექტით ყუბანის მოსახლეობა სამ კატეგორიად იყოფოდა: პირველ კატეგორიაში შედიოდნენ მსხვილი მემამულეები, რომლებიც მიწის მესაკუთრედ ითვლებოდნენ. ამ მემამულეებს „განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამსახურებისათვის“ დიდძალი მიწა უნდა მისცემოდა ინდივიდუალურ და სამუდამო მემკვიდრეობით მფლობელობაში; მეორე კატეგორიას მიეკუთვნა ის მემამულეები, რომლებსაც მთავრობის წინაშე დიდი დამსახურება არ მიუძღოდათ, მაგრამ ფვარ-ჩამომავლობით პრივილეგირებულ წოდებას ეკუთვნოდნენ. ასეთ მემამულეებს მიწა უნდა მისცემოდა საგვარო მფლობელობაში იმდაგვარად, რომ თითოეულ ოჯახის უფროსს 100-იდან 200 დესეტინამდე მიწა რგებოდა, ხოლო მამრობითი სქესის რიგითი წევრს 30-მდე დესეტინა; მესამე კატეგორიაში შეეიდა გლეხობა ანუ „უბრალო ხალხი“. რადგან პროექტში ბატონყმობის გაუქმება არ იყო ნავარაუდევი, მიწა მხოლოდ იურდიულად თავისუფალ მასას „უზდენს“, „ტლიხუკოტლის“ და „ანხაიუს“ უნდა მისცემოდა. ამ კატეგორიის ხალხს მიწა კოლექტიურ-სოფლურ მფლობელობაში უნდა გამოყოფოდა იმდაგვარად, რომ მამრობითი სქესის თითოეულ პირზე 7 დესეტინა მიწა მოსულიყო.

პროექტი ვარაუდობდა, რომ მესამე კატეგორიის თავისუფალი მასა აუთვისებელ ახალ ტერიტორიაზე უნდა გადასახლებულიყო; თუკი მემამულეთა კუთვნილ მიწაზე დარჩებოდნენ, მაშინ ეს მიწა მას მხოლოდ საჯარო უფლებით უნდა მისცემოდა.

პროექტით: 1. მიწის ახლებური დანაწილება დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო; 2. მიწის გამოყოფის და კუთვნილების საბუთი ამა თუ იმ საზოგადოებას ცალ-ცალკე უნდა ჰქონოდა; 3. თითოეულ კომლს ნაფელის ოდენობის საბუთი კავკასიის არმიის მთავარსარდლის ხელმოწერით უნდა მისცემოდა; 4. მთელი მიწის გამიჯვნა სათანადო გეგმის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო.

.მოცემული პროექტი 1861 წ. 6 ივლისს წარედგინა კავკასიის კომიტეტს, რომელმაც იგი სამხედრო მინისტრს გააცნო. ამ უკანასკნელმა პროექტის არსი მოიწონა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა: 1. თავდაპირველად საერთო გეგმა შემუშავებულიყო, რომელშიც ზუსტად აისახებოდა თითოეული საზოგადოებისადმი მიკუთვნე-

ბული მიწა და მხოლოდ ამის შემდეგ გაცემულიყო მიწის კუთვნილების მოწმობები; 2. თითოეული საზოგადოების, კომლის თუ პირისადმი მიცემულ მოწმობაში ნაჩვენები ყოფილიყო მათი სულადობრივი რაოდენობა სქესის ჩვენებით; 3. საბუთები მხოლოდ ამის შემდეგ წარდგენილიყო უმაღლესად დასამტკიცებლად.

ამ მითითებათა საფუძველზე ევდოკიმოვმა გააანალიზა თავისი პროექტი და ნახა, რომ ყუბანის მხარეში მიწის ახლებურ გამიჯვნას ძრაველი დაბრკოლება ეღობებოდა, რადგან ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაუჭრელი იყო თუ „ტუზემცები" სად იქნებოდნენ დასახლებული. ამიტომ ევდოკიმოვმა შეუძლებლად მიიჩნია მიწის ზუსტი გამიჯვნა. საქმის საბოლოო მოგვარების მიზნით ევდოკიმოვმა მოითხოვა: 1. მთელი მიწის გამიჯვნის განხორციელებამდე ყუბანის ურუპის და მცირე ზელენჩუკის მიდამოებში მთავრობის წინაშე დამსახურებულ მემამულეებს 58 ათასი დესეტინა გამოყოფოდა, ამასთანავე, 12 ათასი დესეტინა სარეზერვოდ გადადებულიყო საპატიო „ტუზემცების" პრეტენზიების დასაკმაყოფილებად; 2. განსაკუთრებით დამსახურებულ პირებს ნება დართოდა დაუყოვნებლივ დასახლებულიყვნენ შერჩეულ ადგილებში; 3. აუთვისებელ ადგილებში დასახლების ნება მიცემოდა მესამე კატეგორიის თავისუფალ მასასაც, ოღონდ მიწის არაპროპორციული განაწილება არ უნდა დაშვებულიყო.

იმპერატორთან შეთანხმების შემდეგ კავკასიის მმართველობამ გრაფ ევდოკიმოვს დაავალა 1862 წლის გაზაფხულზე შედგომოდა პრივილეგირებული პირებისა და თავისუფალი ფენის გლეხობისადმი პროექტით გათვალისწინებული მიწის გამოყოფას. აქვე ნათქვამი იყო, რომ ამა თუ იმ საზოგადოებას იმდენი მიწა უნდა გამოყოფოდა, რომ თითოეულ მამაკაცს 5—6 დესეტინა რგებოდა.

მიუხედავად სათანადო ღონისძიებებისა, მიწის რეფორმა მაინც ჭიანურდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო დაძაბული ვითარება და თურქეთში გადასახლება. კავკასიის ომის დამთავრებისას ამ გადასახლებამ იმდენად დიდი მასშტაბი მიიღო, რომ ადილეს მკვიდრ ზოგიერთ ტომთაგან ადგილზე თითქმის არავინ რჩებოდა.

ასეთი ვითარების მიუხედავად, თვითმპყრობელობამ ყუბანის მხარეში მიწის უზარმაზარი მასივები დაარიგა.

1862 წ. 10 მაისის გადაწყვეტილებით ყუბანში კაზაკთა სოფლებმა, სამხედრო მოხელეებმა და ხაზინამ 1 360 ათასი დესეტინა სახნავ-სათიბი და საძოვარი მიწა და ტყის მასივები მიიღო.

ყველაზე დიდი მიწის ლატიფუნდიები დაურიგდა მეფის ერთგულ სამხედრო მოსამსახურეებს და იმ მემამულეებს, რომლებიც პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, მაგალითად: გრაბეს, კოცებუს, ერანგელს, ფილიპსონს და სხვ.

მარტო ყუბანის ოლქის ტერიტორიაზე მეფის სამხედრო მოხელეებმა 40 ათასი დესეტინა მიიღეს. ამასთან, დიდძალი მიწები უწყალობეს რუს და ადგილობრივ თავადაზნაურებს. საბოლოო ჯამში მარტო ადიღეს ტერიტორიაზე (მდინარეების — ზელენჩუკის, ურუპის, ლაბის, ბელოის, ყუბანის ქვემო და შუა დინებაში და შაფსუღთა მიდამოებში) სამხედრო მოხელეებმა, თავადაზნაურებმა და ხაზინამ 68 937 დესეტინა, ანუ 76 ათასი ჰა უხვმოსავლიანი მიწა დაისაკუთრეს.

მეორე კატეგორიისადმი მიკუთვნებულ პრივილეგიურ გვართა სიები თავის დროზე შედგა, მაგრამ მათდამი მიწის დარიგება შედარებით დაგვიანდა. მესამე კატეგორიის დაკმაყოფილებაზე კი ფაქტიურად არავინ ფიქრობდა, სანამ თურქეთში გადასახლება არ შეწყდა.

რაც შეეხება კაზაკ კოლონისტებს, როგორც რეფორმის თანამედროვე ერთ-ერთი ისტორიკოსი წერდა, მათი მიწით უზუნველყოფაც ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე წარმოებდა: ბიელ-ყუბანში ნაყოფიერი და ულამაზესი ადგილები მთიელთა ოკრუგში არ შესულა. მიწები, რომლებიც მთიელთა ოკრუგებს მიეცა (განსაკუთრებით ურუპსა და ზელენჩუკში) სტეპიან ადგილებს მოგვაგონებდა.

კაზაკ კოლონისტებიდან მიწით, პირველ რიგში, ოფიცრობა დაკმაყოფილდა. სპეციალურ დადგენილებით ოფიცრები, რომლებიც თადარიგში ან პენსიაზე იყვნენ, საკმაოდ დიდ მიწას იღებდნენ. მაგალითად, შტაბის ოფიცერი 400-მდე დესეტინას, ობერ-ოფიცერი — 200-მდე, ოფიცერთა მემკვიდრე ობლები — 200-მდე, ოფიცრის ქვრივი, რომელსაც შვილები არ ჰყავდა —50-მდე დესეტინას. ოფიცრის იმ ოჯახებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში საშუალამოდ დასახლდნენ 25—50-მდე დესეტინა ეძლეოდა კერძო საკუთრების უფლებით, ურიადნიკის ოჯახებს 5—10 დესეტინამდე. მიწის რეფორმის პროექტით ნავარაუდევი იყო, რომ ჩრდილო კავკასიაში კოლონისტების თითოეულ მამრობით პირზე 20—30 დესეტინა მიწა უნდა მოსულიყო.

როდესაც მთავრობამ თავის დასაყრდენ პრივილეგირებულ

პირთა და კაზაკ მოახალშენეთა მიწით უზრუნველყოფა მოაგვარა, გარკვეული ყურადღება მიაქცია მეორე კატეგორიის წარმომადგენლებსაც, მაგრამ მიწა მათგან მხოლოდ ნაწილს მიეცა.

მშრომელი მოსახლეობა, რომელსაც საუკეთესო სახნავ-სათიბი, საძოვარი მიწები და ტყეები წაერთვა, პროტესტს გამოთქვამდა, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა.

მთავრობის მიერ ყუბანის ოლქში შემუშავებული მიწის რეფორმის თავდაპირველ პროექტში ელბრუსის ოკრუგი (ყარაჩაი) საერთოდ არ ფიგურირებდა და ამ მიმართულებით იქ არაფერი კეთდებოდა. 1862 წელს პროექტში მხოლოდ ის აღინიშნა, რომ ყარაჩაის მოსახლეობას მდინარეების — მარის, თებერდის და ყუბანის სათავე ხეობებში უნდა გადასცემოდა 267 629 დესეტინა ბორცვიანკლდიანი საძოვარი მიწები. ყარაჩაიში მიწის რეფორმას ისიც ართულებდა, რომ მას მოსაზღვრე ყაბარდოსთან მიწების თაობაზე დიდი დავა ჰქონდა, რაც ყაბარდოს სასარგებლოდ გადაიჭრა. ამასთან, ყარაჩაის ტყის საუკეთესო ნაწილი ხაზინამ დაისაკუთრა. აბაზინთა თურქეთში გადასახლების გამო ხაზინამ დაისაკუთრა მდ. ეშკაკონის ზემო დინებაში ყარაჩაისადმი კუთვნილი საბალახო ადგილებიც.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ყუბანის ოლქის მაჰმადიანური მოსახლეობის უკმაყოფილება არ შენელდა. აგრარული საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. ვითარების გამწვავების შიშით 1865 წლიდან კავკასიის ადმინისტრაცია უფრო ენერგიულად შეუდგა მიწის რეფორმას.

კავკასიის ომის მიწურულში ყუბანის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. ე. ფელიცინის მონაცემებით, თურქეთში გადასახლების შემდეგ ადიღეს მოსახლეობა უდრიდა[1]:

თურქეთში გადასახლების შედეგად ყუბანის მოსახლეობის მკვეთრი კლების მიუხედავად ომისა და საომარი ვითარების დამთავრების შემდეგ მეფის მთავრობა იძულებული გახდა სამხედრო მოხელეებისა და მემამულეებისათვის მიწების ფართობი შეემცირებინა. ამის გამო შესაძლებლობა შეიქმნა ყუბანის ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობას უფრო მეტი მიწა მისცემოდა, ვიდრე ეს ევდოკიმოვის ძველ პროექტში იყო ნავარაუდევი.

[1] Е. Фелицын, Статистические таблицы... народонаселения в Кубанской области за 7 лет с 1871—1977 гг. Сборник сведений о Кавказе, т. 7, 1880, с. 568—569.

	ეთნიკური შემადგენლობა	ეკატერინოდარის მაზრაში	მაიკოპის მაზრაში	ბატალფაშინსკის მაზრაში	მთლიანად კუბანის ოკრუგში
1	ბჟედუხები	14405	756	102	15263
2	აბაძეხები	1993	11359	1308	14060
3	ყაბარდოელები (კუბანის)	39	6547	5045	11631
4	ბესლენეები	—	1327	4548	5875
5	შაფსუღები	2723	2050	210	4983
6	თემირგოელები	3	2789	348	3140
7	ეგერუხოელები	—	1256	422	1678
8	მახოშეველები	—	1076	128	1204
9	მამხეგოველები	—	887	—	887
10	ხატუკაელები	—	606	—	606
11	ნატუხაელები	175	—	—	175
12	ხაკუჩაელები	—	87	—	87
	ს უ ლ	19338	28740	12111	60424

ახალი მითითებით, ჩრდილო კავკასიის „თავისუფალი კლასის“ წარმომადგენელ თითოეულ მამრობითი პირის ნადელის ოდენობა იმის მიხედვითაც უნდა განსაზღვრულიყო, თუ მიწის ფონდის რა რაოდენობას ფლობდა ამა თუ იმ ოკრუგის სოფლის საზოგადოება.

გადაწყდა, რომ პსეკუპსისა და ლაბის ოკრუგებში თითოეული მამრობითი პირის ნადელი 9 დესეტინით განსაზღვრულიყო, ურუპის ოკრუგის ჩრდილო ნაწილში 10 დესეტინით, მის დანარჩენ ნაწილში და ზელენჩუკის ოკრუგის ჩრდილო მხარეში 12 დესეტინით, მის სამხრეთში (მთიან ნაწილში) 14 დესეტინით, მდ. კუმაზე აბაზინთა სოფლებში 12 დესეტინით.

ტერიტორიაზე დავის გამო ყარაჩაიში (ელბრუსის ოკრუგში) მიწის რეფორმა არც 1865 წელს განხორციელდა. მართალია, ეშკაკონის და მისი მოსაზღვრე საძოვრების სამაგიეროდ, ყარაჩაის ყუბანსა და კუმას შორის 40 ათასი დესეტინა მიწა გამოეყო, მაგრამ ეს ტერიტორია ყარაჩაის მოსახლეობას ოფიციალურად არც 1866 წელს გადაეცა, რასაც კავკასიის ადმინისტრაცია იმით ხსნიდა, რომ, თითქოს, ჯერ კიდევ დაუზუსტებელი იყო თუ ყარაჩაის რომელ საზოგადოებას რამდენი მიწა მიეცემოდა. სინამდვილეში საქმის საბოლოო გადაწყვეტას აქიანურებდა საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გაურკვევლობაც.

ყარაჩაიში მიწის რეფორმა საბოლოოდ მხოლოდ 70-იან წლებში განხორციელდა. როდესაც ყარაჩაის სხვადასხვა საზოგადოებისათვის მიწის ფაქტიური დარიგებ-ს ჯერი დადგა, ყუბანსა და კუმას შორის მათთვის გამოყოფილი ტერიტორია გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა (26 ათასი დესეტინა), ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. ამ-ტომ მთავრობა იძულებული გახდა მისთვის თებერდის აუზში 14 ათასი დესეტინა დაემატებინა. რადგან ყარაჩაიში მიწის დიდი ნაკლებობა იყო, ზოგიერთი საზოგადოება ახლად მიცემულ ტერიტორიაზე იქნა გადასახლებული. ამის შედეგად 1868 წელს დაარსდა თებერდა, 1870 წელს სენტი და კამენომოსტი, 1875 წელს მარა და 1883 წელს ჯეგუტინსკი.

ყარაჩაიში აგრარული რეფორმის გაჭიანურება ბატონყმობის გაუქმების დაგვიანებით იყო გამოწვეული. რადგან მემამულეები განთავისუფლებულ გლეხებს არც ერთ გოჯ მიწას არ აძლევდნენ, ხოლო თავისუფალი მიწა, სადაც ისინი შეიძლებოდა დასახლებულიყვნენ. ყარაჩაიში არ არსებობდა, მთავრობა იძულებულ შეიქნა ყარაჩაის მშრომელი ხალხის უდიდესი ნაწილი სხვაგან დაესახლებინა. ყარაჩაელი მშრომელებისადმი მთავრობის „მზრუნველობა" იმით იყო გამოწვეული, რომ სხვა შემთხვევაში გლეხობა ვერც გამოსასყიდს გადაიხდიდა და ვერც სახელმწიფო გადასახადებს გაიღებდა. ამასთანავე, მას კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისაც ეშინოდა.

მეფის მთავრობამ, რომელიც ყოველივე ღონისძიებას კლასობრივი პრინციპ-თ წყვეტდა, ყარაჩაის პრივილეგირებული წოდება როდი დაივიწყა. მართალია, მათ მოსაზღვრე ჩერქეზ და ადიღელ მემამულეებთან შედარებით ნაკლები მიწა ხვდათ, მაგრამ მიწის ნაკლებობის პირობებში, მაინც საკმაოდ დიდი მიწაწყალი დაისაკუთრეს, მაგალითად, მემამულე ყრიმშამხალოვებმა 1 000-ამდე დესეტინა მიწა მიიღეს, შტაბს-როტმისტრ ხაჯი-მურზა ყრიმშამხალოვმა 800 დესეტინა, მისმა ძმამ, პრაპორშჩიკმა ასლანბეგმა 200 დესეტინა, პორუჩიკმა მუჰამედ ყრიმშამხალოვმა (ყოფილმა „ვალიმ") 322 დესეტინა, პორუჩიკმა კერტი სალპაგაროვმა 314 დესეტინა, ოფიცერმა ბაიჩაროვმა 341 დესეტინა და ა. შ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ რეფორმის შედეგად ახალი მამულების მიღებით ჩერქეზმა და ადიღელმა მემამულეებმა უწინდელ მამულებზე უფლება დაკარგეს, სამაგიეროდ, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ყარაჩაელმა მემამულეებმა ხელუხლებლად შეინარჩუნეს ძველი მამულებიც. მაგალითად, ყარაჩაის მემამულე

ურიმშამხალოვმა უფლება მიიღო, ახალთან ერთად განეგო ძველი სამფლობელო, რომელიც 2 800 დესეტინას უდრიდა, დუდარუყოვებს დარჩათ ძველი 1400 დესეტინა მამული და ა. შ.

რეფორმას ყარაჩაიში სხვა თავისებურებაც ახასიათებდა. თუ მიწის მფლობელობის რეორგანიზაციის დროს ჩერქეზეთსა და ადიღეში გლეხთა მიწების გამიჯვნაც (სოფლური მფლობელობის უფლებით) ხდებოდა, სამაგიეროდ ყარაჩაიში ასეთი გამიჯვნა მხოლოდ აქ მცხოვრებ ჩერქეზებს (ხუმარის აულს), აბაზინებს (კუმსკ-აბაზინსკის) და ახალ ტერიტორიაზე დასახლებულ ყარაჩაელებს შეეხო. რეფორმის დროს ყარაჩაის მშრომელთა მიწების გამიჯვნა მთავრობამ რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნია.

ყარაჩაის გლეხთა მდგომარეობა ახლად დასახლებულ ადგილებშიც მძიმე იყო. ერთ საპროტესტო განცხადებაში ისინი წერდნენ: მიწა იმდაგვარად გამოგვეყო, რომ მასში ჩვენ ვერ ვახერხებთ სახნავ-სათიბი ნაკვეთების მოწყობას. ჩვენდამი მოცემული მიწის უდიდესი ნაწილი უნაყოფოა, იგი არც სახნავ-სათიბად ვარგა და არც საძოვრად. კიდევ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის გლეხები, რომლებიც ახლად დაარსებულ სოფლებში თავდაპირველად არ დასახლდნენ, ასეთი გლეხები „ინოგოროდნებად" ჩაითვალენ და ნადელის მიღების უფლებით არ სარგებლობდნენ. ჯეგუტინსკში და ზოგიერთ სხვა ახალშენში „ინოგოროდნებს" საკარმიდამოც არ მიეცათ. ყოველივე ამის გამო, ასეთი კატეგორიის გლეხები მიწას იჯარით იღებდნენ და უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ. დიდი პროტესტის შემდეგ „ინოგოროდნებად" მიჩნეულმა გლეხებმა მარისა და კამენომოსტის აულებში საკარმიდამო მიწა მიიღეს, მაგრამ ნადელებზე მაინც უარი ეთქვათ.

კავკასიის ადმინისტრაცია 1861 წელს თერგის ოლქშიც შეუდგა საადგილმამულო ურთიერთობის შესწავლას და მიწის ფონდის აღრიცხვას. როგორც ყუბანის, აგრეთვე, თერგის ოლქის უდიდეს ნაწილში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა არსებობდა. ამ მხრივ აქ პირველ ადგილზე ყაბარდო იდგა, ხოლო ბალყარეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში და ჩრდილო ოსეთში ფეოდალური ურთიერთობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. აღნიშნულ რიგ ადგილებში გლეხობის დაყმევების პროცესი არ იყო დამთავრებული, მისი ნაწილი იურიდიულად თავისუფალი იყო.

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა ყაბარდოში ადრიდანვე მომდინარეობდა. აქ მიწის უდიდესი ნაწილი თავადაზნაუ-

რობას ეკუთვნოდა; გლეხობა, რომელიც მიწას უმეტესად თემურ-სოფლური წესით ფლობდა, ნაირფერ ბეგარა-ვალდებულებას ასრულებდა.

ერთგულების უზრუნველსაყოფად მეფის მთავრობა ყაბარდოს თავადაზნაურობას მიწა-წყლის კერძო უფლებით შემომტკიცებას და პრივილეგიების შენარჩუნებას პირდებოდა. მაგრამ შამილის დამარცხების შემდეგ, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, მეფის მთავრობამ თავისი დაპირებები ნაწილობრივ უკან წაიღო. ეს, პირველ რიგში, მიწისმფლობელობის ფორმებთან დაკავშირებით გამოვლინდა. საქმე იმაშია, რომ აგრარული კრიზისის გადაკვეთაში მეფის მთავრობამ უპირატესობა თემური მიწისმფლობელობის შენარჩუნებას და მოწყობას მისცა. მთავრობის მითითებით, იქ, სადაც, თემური მიწათმფლობელობის წესი და ტრადიცია არსებობდა, მიწის კერძო საკუთრებაში მიცემა მხოლოდ გამონაკლის და აუცილებელ შემთხვევაში უნდა დაშვებულიყო.

გარკვეული ღონისძიების შემდეგ, კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით, აგრარული რეფორმის მომზადება დაიწყო ყაბარდოშიც. იქაური კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარსარდალი ორბელიანი (კომიტეტში შედიოდნენ კაპიტანი მასლოვსკი, პოდპორუჩიკი ლადიჟენსკი, მაიორი შუდერი, ადგილობრივ თავადაზნაურთა 12 და გლეხთა 2 წარმომადგენელი). ორბელიანის მეთაურობით შემუშავებულ პროექტით, ყაბარდოში მიწის ნაწილი თავადაზნაურობას კერძო საკუთრებაში უნდა მისცემოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ხელს აიღებდნენ იმ მიწა-წყალზე, რომლითაც მათი ყმები სარგებლობდნენ სოფლურ-კოლექტიური მფლობელობის წესით. ორბელიანის პროექტი მიწის კერძო საკუთრებაში მიცემას უშვებდა იმ პიროვნებებზეც, რომლებიც უმაღლეს წოდებას არ განეკუთვნებოდნენ, მაგრამ მთავრობის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღოდათ.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში მიწა სოფლურ-კოლექტიურ მფლობელობაში უნდა ყოფილიყო, ორბელიანის აზრით, მფლობელობის ასეთი ფორმა უფრო შეესაბამებოდა ყაბარდოს საზოგადოების ინტერესებს და სურვილს. ამასთან, მფლობელობის ასეთი ფორმა ხელსაყრელად იქნა მიჩნეული იმიტომაც, რომ იგი აბრკოლებდა სოფლის მოსახლეობის კლასობრივ დიფერენციაციას, ე. ი. პროლეტარიზაციას და აადვილებდა სახელმწიფო გადასახადების აღებას.

ორბელიანის პროექტი თავდაპირველად მოწონებულ იქნა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო იგი ვერ განხორციელდა.

გარკვეული დროის შემდეგ, 1863 წელს დ. კოძოკოვის თავმჯდომარეობით შეიქმნა მეორე კომისია, რომელსაც დაევალა თერგის ოლქის მოსახლეობის პირადი უფლებების და საადგილმამულო ურთიერთობის საბოლოო დადგენა და შემდეგ შესაბამისი ღონისძიებების დასახვა. მთავრობის მითითებით, კომისიას უნდა ეხელმძღვანელა იმით, რომ ყაბარდოს მიწა-წყალი, რომელიც მთისწინეთში მდებარეობდა, ხაზინის კუთვნილება იყო.

ასეთი მითითების საფუძველზე 1863 წ. 20 აგვისტოს კოძოკოვმა შეადგინა აქტი, რომლის თანახმად ყაბარდოს მიწა-წყალი სათემო და საგვარო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. ამ გადაწყვეტილებას თავადაზნაურობა მხოლოდ იმ იმედით დათანხმდა, რომ ისინი კვლავ ძველებურად იქნებოდნენ ყაბარდოს მთელი მიწის განმკარგულებელი, თანაც გლეხობასაც ძველებურად იმსახურებდნენ. ასეთი ვარაუდით ყაბარდოს თავადაზნაურობამ მთავრობისაგან მოითხოვა, მას მისცემოდა აქტი და გეგმა მდინარეების ზოლკასა და ეტოკს შორის მდებარე მიწების აუცილებელ კუთვნილებაზე.

მიწის თემური მფლობელობის ახლებური მოწყობით მთავრობა ვარაუდობდა, რომ ადვილად ამოიღებდა სახელმწიფო გადასახადებს, დაუბრკოლებლად გაატარებდა საგლეხო რეფორმას და საკმაო მიწით უზრუნველყოფდა თავადაზნაურობის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდათ მის წინაშე.

კავკასიის ადმინისტრაცია ცდილობდა სახაზინოდ გამოეცხადებინა ბალყარეთის და ოსეთის მიწებიც, მაგრამ ამის წინააღმდეგ ადგილობრივმა თავადაზნაურებმა სასტიკად გაილაშქრეს.

მიუხედავად იმისა, რომ კოძოკოვის კომისიამ ყაბარდოში მიწის რეფორმა თითქოს მოამზადა და ზემდგომ ორგანოებს შეუთანხმა, მიწის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავის გამო რეფორმის გატარება შეჩერებულ იქნა.

ყაბარდოში მიწის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი იყო სასოფლო მიწების გამიჯვნა და სოფლების გაერთიანება შედარებით მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად.

1865 წელს დიდი და მცირე ყაბარდოს 116 სოფელი გაერთიანებულ იქნა 39 მსხვილ სათემო-სასოფლო ერთეულად, რომელთაც დაახლოებით 300 ათასი დესეტინა მიწის სავარგული გამოეყო

თემურ-სოფლურ მფლობელობაში. აქედან, 97 აულიდან, რომელიც დიდ ყაბარდოში არსებობდა, 30 მსხვილი სათემო-სასოფლო ერთეული შეიქმნა, ხოლო 19 აულიდან, რომელიც მცირე ყაბარდოში მდებარეობდა—9 მსხვილი სათემო-სასოფლო ერთეული.

იმ ადგილებში, სადაც მოსავლიანი და გამოსაყენებლად მოხერხებული მიწები არსებობდა თითოეული კომლის (ყველა სახის საკარგული) ნადელის ნორმა 36 დესეტინით განისაზღვრა, შედარებით უნაყოფო ადგილებში—41 დესეტინით, ზოგიერთ შემთხვევაში ესა თუ ის სასოფლო-სათემო საზოგადოება სახმარ მიწებს ათეული კილომეტრით დაშორებულ ადგილებში ფლობდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ეს მიწები მთაგორიანი მდებარეობისა და სიმწირის გამო უვარგისიც იყო.

კომლის წევრთა მრავალრიცხოვნების და ფაქტიურად ვარგისი მიწის სიმცირის გამო თითოეულ სულზე დაახლოებით 1,25—2,5 დესეტინა მოდიოდა, რაც ნორმალური პირობებისათვის არასაკმარისი იყო. ასეთი ვითარების გამო განსაკუთრებულ უკმაყოფილებას და პროტესტს გამოთქვამდა მოსოსტოვოს, დოკშუკინოს და სხვა აულების (სოფლების) მოსახლეობა.

მიწის სიმცირის გამო განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო ბალყარეთში, სადაც მთიან-სუსხიან კლიმატური პირობების გამო მცირე მოსავალი მოდიოდა და გაცილებით ცუდი პირობები არსებობდა ცხოვრებისათვის, ვიდრე ყაბარდოში.

კავკასიის ადმინისტრაცია ბალყარეთშიც შეეცადა აგრარული საკითხის მოგვარებას. ამ მიზნით აქ დ. კოძოკოვის პროექტით ხავარაუდევი იყო, რომ ყაბარდოს 30—40 ათასი დესეტინა მიწა ბალყარეთს გადასცემოდა, სამაგიეროდ ყაბარდოს დაბრუნებოდა მდ. კიჩმალკას ხეობაში წართმეული და ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიები. მაგრამ კავკასიის ადმინისტრაციამ ეს პროექტი უარყო. შემდეგ საკითხი დაისვა ბალყარეთს დაბრუნებოდა ხაზინის მიერ მითვისებული მიწები, მაგრამ არც ეს საკითხი გადაიჭრა ბოლომდე. მიწების საბოლოო გამიჯვნამდე ბალყარეთის მოსახლეობას უფლება მიეცა დროებით ესარგებლა ყაბარდოს იმ საძოვრებით, რომლებიც სასოფლო-სათემო ნადელებში არ შედიოდა. რადგან ბალყარეთში მიწის ნაკლებობა იყო, ამიტომ გადაწყდა, რომ აქაური მოსახლეობის ნაწილი—400 კომლი ყაბარდოში გადასახლებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მთლიანად ვერც ეს განხორციელდა.

როგორც ყველგან, მეფის მთავრობამ აგრარული რეფორმა

ყაბარდოშიც თავისი პოზიციების გასამტკიცებლად გამოიყენა. რადგან სოფლის რიგითი მოსახლეობის მიწის გამიჯვნის შედეგად მემამულეთა ძველი უფლებები ნაწილობრივ შეიზღუდა, მთავრობამ გადაწყვიტა ამის საკომპენსაციოდ მემამულეებისათვის საკმაო მიწა მიეცა საგვარო მფლობელობაში.

თერგის ოლქის საერთო კომისიასთან 1866 წელს შეიქმნა ყაბარდოს საგლეხო საქმის ქვეკომისია, რომელსაც ოკრუგის უფროსი თავმჯდომარეობდა. კომისიამ შეადგინა იმ თავადაზნაურთა სიები, რომელთაც მეფის მთავრობისადმი განსაკუთრებული ერთგულების და დამსახურებისათვის მამულები უნდა მისცემოდა.

ყაბარდოელ მიწისმფლობელ მემამულეთა სიაში შედიოდა ხუთი დიდი გვარის — ატაჟუკინის, მისოსტოვის, ბეკმურზინის, კაიტუკინისა და ბუკოვიჩ-ჩერკასკების წარმომადგენლები (ეს გვარეულობები სხვადასხვა განშტოებებისაგან შედგებოდა, მაგ.. კასაევების, ნაურზოზოვების, ინალოვების, ყარამურზინების, ადილგირეევების, აჯიგირეევების, დოკშუკინების, ჯამბეტოვების, ხამურზინების და სხვ.). მიწისმფლობელ მემამულეთა სიაში შევიდნენ, აგრეთვე, პირველხარისხოვანი უზდენები (აზნაურები): ანზოროვები, კუდენეტოვები, ტამბოევები და თოხთამიშები. ოკრუგის უფროსის აზრით, ასეთი პირებისათვის საგვარო მფლობელობაში მისაცემი მამულის ფართობი 100—500 დესეტინით უნდა განსაზღვრულიყო. მაგრამ პრივილეგირებულ გვარეულობათა წარმომადგენლები დ. კომოკოვის კომისიის ჰხარდაჭერით მოითხოვდნენ მიწის კერძო საკუთრებაში მიღებას. მიუხედავად ამისა, საკითხი საგვარო მფლობელობის სასარგებლოდ გადაიჭრა.

ამ მხრივ მცირე ყაბარდოში განსხვავებული ვითარება იყო; აქაურ მემამულე ბეკოვიჩ-ჩერკასკებს ეკუთვნოდა 100 ათასი დესეტინა მიწა. რადგან მათ მოზიარე სხვა მემამულეები არ ჰყავდათ, ამიტომ მთავრობა იძულებული იყო მიწის ამ სავარგულში (გარდა 3 ათასი დესეტინისა) 1866 წ. 12 იანვარს საკმაოდ დიდი თანხა (დესეტინაში 1 მანეთი და 50 კაპიკი) გაეღო და მისი ნაწილი სოფლებისათვის გადაეცა, ხოლო ნაწილი კაზაკებს დაურიგა.

საბოლოო გადაწყვეტილებით, თავადაზნაურთა 199 კომლს 76 ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა მიეცა საგვარო მფლობელობაში. აქედან 136 კომლის ნადელი (თითოეულის) საშუალოდ 100—300-მდე დესეტინას უდრიდა, 23 კომლის 500—1 000 დესეტინას, ხოლო 6 კომლს (თითოეულის) 1 000 დესეტინაზე მეტს.

ამასთან ერთად, თითოეულ სოფელს თავადაზნაურთა სასარგებლოდ ჩამოეჭრა მთელი სავარგულის მეათედი სახნავ-სათიბი და საძოვარი მიწა, რაც მთლიანობაში 30 ათას დესეტინას შეადგენდა.

ამგვარად, 199 კომლ თავადაზნაურთა ხელში მოექცა 100 ათასზე მეტი დესეტინა მიწის სავარგული, რაც მთელი სათემო-საოფლო მიწების მესამედს შეადგენდა.

აგრარული რეფორმის დამთავრებისთანავე 1866 წელს ყაბარდოში სახელმწიფო გადასახადად 5 მანეთი დაწესდა.

XIX ს. 50—60-იან წლებში ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც აგრარული კრიზისი სუფევდა, რაც თვითმპყრობელობის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა.

კავკასიის ადმინისტრაცია თავის შეხედულებისამებრ განაგებდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის მიწა-წყალს, რითაც დიდი არევ-დარევა შეჰქონდა აქაური ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. ომის დამთავრებისთანავე მთიანეთის მოსახლეობის ნაწილი ძალდატანებით იქნა გადასახლებული დაბლობ ადგილებში, ამასთანავე მიწის საუკეთესო ნაწილი კაზაკთა ახალშენებმა დაისაკუთრეს.

კავკასიის ომის დამთავრებისთანავე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხს მთავრობამ აღუთქვა, რომ იგი მიწას მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად დაარიგებდა. იგი განსაკუთრებით დამსახურებულ ადამიანებს სახაზინო და თავისუფალი მიწების მიცემასაც შეპირდა. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში ხაზინამ დაისაკუთრა 225 ათასზე მეტი დესეტინა ტყის მასივები. ამასთან, მდინარეების კამბილეევის, სუნჯის, ასის და ფორტანგის ხეობებში 33,5 ათასი დესეტინა ტყე კაზაკთა ჯარის განკარგულებაში იყო.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხი იმედოვნებდა, რომ მთავრობის დაპირებები განხორციელდებოდა, მაგრამ ომის დროს თვითმპყრობელობის მიერ მითვისებული მიწები ხალხს როდი დაუბრუნდა, კიდევ მეტი, თერგის ოლქის წოდებათა და საადგილმამულო ურთიერთობათა დამდგენმა კომისიამ, რომელიც 1863 წელს შეიქმნა, თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე ჩეჩნეთ-ინგუშეთში 30 ათას დესეტინაზე მეტი საუკეთესო მიწა დაურიგა მეფის საშხედრო მოხელეებს და ადგილობრივ მემამულეებს. მაგალითად, მიწის რეფორმის შედეგად მემამულე თაიმაზოვებს გამოეყო 6350 დესეტინა, ალხასტოვებს —2800, თურლოვებს 2000, ელდაროვებს-— 1400, ქურუმოვებს, შამურზიევებს, ბაზორკინებს და ჩერმოევებს თითოეულს ხუთასი დესეტინა.

საკმაოდ დიდი მიწა ეძლეოდა კაზაკ ოფიცრობას. 1870 წლის

გადაწყვეტილებით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე დასახლებულ გენერლებს კერძო საკუთრების უფლებით ეძლეოდათ 1 500 დესეტინა საუკეთესო მიწა, შტაბს-ოფიცრებს —400 დესეტინა, ობერ-ოფიცრებს —200, თადარიგის ოფიცრებს (დამსახურების შესაბამისად) 100—800 დესეტინამდე, რიგით კაზაკებს —30 დესეტინა. ამგვარად, თერგის ხაზის კაზაკმა ოფიცრობამ და ჩინოვნიკებმა 119 760 დესეტინა საუკეთესო მიწა მიიღეს. მარტო გროზნოს ოკრუგში მეფის ოფიცრების, ჩინოვნიკებისა და ჯარისკაცებისათვის გამოიყო 29 886 დესეტინა, სუნჯის განყოფილებაში 44 340 და ყიზლარის განყოფილებაში 108 000 დესეტინა. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურად დარიგებული მიწების გარდა კაზაკი ოფიცრები და ატამანები ძალითაც ისაკუთრებდნენ მთიელთა მიწებს.

1863 წლის გადაწყვეტილებით, თერგის დაბლობში ჩასახლებულ ჩეჩენთა თითოეულ კომლს 33 დესეტინა მიწის ნაკელი ეძლეოდა, ხოლო ნაზრანში დასახლებულ ინგუშთა კომლს 18 დესეტინა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ეს ოდენობა ერთი შეხედვით თითოეს საკმარისი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში მრავალწევრიანი კომლები სარჩოს მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. მიწის მფლობელობის მხრივ კიდევ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ მთის სოფლები, სადაც თითოეული კომლის სახმარად ვარგისი სახნავ-სათიბი მიწა 6 დესეტინას არ აღემატებოდა. ცხადია, სუსხიან ნაკლებმოსავლიან კლიმატურ პირობებში ამ ოდენობის მიწით შეუძლებელი იყო ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიან თემებში: ჯერახში, მეცხალში, ხამხში, წორში და სხვაგან, სადაც მიწის დიდი ნაკლებობა იყო, სახნავ-სათიბი მიწა კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო დანარჩენი მიწები — სასოფლო-სათემო მფლობელობაში. აგრარული რეფორმა თავის დროზე არ განხორციელდა ჩეჩნეთის მთიანეთში, 1877 წლის სახალხო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავრობამ სცადა მიწის რეფორმა გაეტარებინა მთიანეთშიც, მაგრამ მიწის მეტისმეტი სიმცირის პირობებში, აგრარულმა რეფორმამ ფორმალური ხასიათი მიიღო, იგი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ასეთივე ვითარება იყო ინგუშეთის მთიანეთშიც, სადაც რეფორმამ არსებითი ცვლილებები ვერ შეიტანა.

XIX ს. 70-იან წლებში ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში სახმარად ვარგისი მიწა ერთ სულზე მხოლოდ 0,22 დესეტინა მოდი-

ოდა. ამიტომ აქაური მოსახლეობის ერთი მესამედიც კი ვერ იკმაყოფილებდა თავს საკუთარი მოსავლით. ამას ემატებოდა მეტად მოუხერხებელი სამიმოსვლო საშუალებები, ტვირთის ზიდვა ცხენით ან მარხილით თუ შეიძლებოდა და უაღრესად ძვირი ჯდებოდა.

აგრარული რეფორმის განხორციელების შემდეგ ვაკობში ჩცხოვრებ 30 681 ინგუშზე მთლიანად მოდიოდა 59 489 დესეტინა მიწა, რომლის ნაწილი სახმარად უვარგისი იყო. რაც შეეხება მთიან ჩეჩნეთს, იქ დაახლოებით 345 სოფელი იყო 98 107 მცხოვრებით და თითოეულ სულზე საშუალოდ 0,3 სახნავი. 0,55 სათიბი და 0,9 დესეტინა საძოვარი მიწა მოდიოდა. იყო საზოგადოებები (აკი, კიი, გალანჩოჟი, ხაიბახი და სხვ.), რომლის მოსახლეობას თავისი მოსავალი მხოლოდ 2—6 თვეს ყოფნიდა.

ჩრდილო კავკასიის სხვა მხარეების მსგავსად აგრარული რეფორმა ჩრდილო ოსეთშიც საგლეხო რეფორმის პირველი ეტაპი იყო. ჩრდილო ოსეთში წოდებრივი და საადგილმამულო ურთიერთობის დადგენა, ჯერ კიდევ, 1847 წელს დაიწყო მეფის მთავრობის კომისიამ ნესტეროვის (ვლადიკავკაზის ოკრუგის უფროსის) თავმჯდომარეობით. საქმის გაცნობის შედეგად კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოსეთში ფეოდალურ-წოდებრივი ურთიერთობა არსებობდა. აქაური საზოგადოების პრივილეგირებულ წოდებას ალდარები და ბადელიატები წარმოადგენენ, ხოლო დამოკიდებულ, ექსპლოატირებულ მასას გლეხობა, რომელიც რამდენიმე კატეგორიად და ფენად იყოფოდა, კერძოდ: ფარსაგლაგებად და ადამისხატებად, ქავდასარდებად (კუმაიაგებად) და კუსაგებად.

ჩრდილო ოსეთის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი აზნაურების (ბადელიატების და ალდარების) კუთვნილებად ითვლებოდა, ხოლო გლეხთა უდიდესი ნაწილი მათზე იყო დამოკიდებული და ბეგარა-გადასახადებს იხდიდა.

იმის მიუხედავად, რომ ნესტეროვის კომისიამ აღიარა ოსეთის აზნაურობის პრივილეგიები და საადგილმამულო უფლებები, მათი ცნობა იმპერიის თავადაზნაურთა უფლებებში თავის დროზე არ მოხდა.

ამასობაში ჩრდილო ოსეთში აზნაურობასა და გლეხობას შორის კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდა, რომლის მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით მთავრობამ განიზრახა აზნაურები და გლეხები ერთმეორისაგან განეცალკევებინა და ცალ-ცალკე დაესახლებინა, ხოლო გლეხობაზე ხელის აღების საკომპენსაციოდ აზნაურებს დიდი მიწა და თანხა მისცემოდა. მაგრამ სანამ ეს საკი-

თხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, ოსეთის ალდარების და ბადელია-ტების გაბატონებულ წოდებათა აღიარება შეცდომად იქნა მიჩნეული, ამიტომ მათ სასარგებლოდ დასახული ღონისძიებაც ჩაიშალა.

ჩრდილო ოსეთის საზოგადოების წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობის სტრუქტურის დასადგენად XIX ს. 50-იან წლებში არაერთი კომისია გამოიყო და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დიდი დრო დასჭირდა.

ჩრდილო ოსეთის საზოგადოების წოდებრივ-დამოკიდებულებითი ურთიერთობა ცნო მთავრობის მიერ 1851 წ. ვლადიკავკაზში შექმნილმა კომიტეტმა ოკრუგის უფროს გენერალ ვრევსკის თავმჯდომარეობით. მაგრამ ამის მიუხედავად, აზნაურთა უფლებების ოფიციალური აღიარება ჭიანურდებოდა, რადგან კლასობრივი ბრძოლის გამო მემამულეთა უფლებები შეზღუდული იყო და გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა მათ მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე უარს აცხადებდა.

გენერალ ვრევსკის აზრით, ჩრდილო ოსეთში აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო იყო კლასობრივი ბრძოლის ლიკვიდაცია. ამ მიზნით აუცილებლად მიაჩნდა გლეხობისა და მემამულეთა ცალ-ცალკე დასახლება ისე, რომ უმაღლესი წოდების თითოეულ კომლს 225, ხოლო გლეხს — 36—37 დესეტინა მიწა მისცემოდა.

ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველზე 1853—1856 წლებში ჩრდილო ოსეთში გატარდა მიწის გამიჯვნა, რის შედეგად მემამულე თხოსტოვების 5 კომლს მიეცა 1 125 დესეტინა მიწის სავარგული, თულათოვების 6 კომლს — 1 350, კუნდუხოვების ერთ ოჯახს (ქავდასარდთა 11 კომლით) 2 800, ალექსანდრე დუდაროვს (სამი ოჯახისათვის) 1 500, დანარჩენი დუდაროვების და კარდჟინების 19 ოჯახს 4 275, სხვა მემამულეთა 29 ოჯახს 6 380 დესეტინა.

ყველა მემამულის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 25 875, ხოლო მთელი გლეხობის — 45 509 დესეტინა მიწის სავარგული, სინამდვილეში არსებული მიწის ფონდი მხოლოდ 49 131 დესეტინას უდრიდა. ამიტომ, მიუხედავად ხანგრძლივი დავისა და არა ერთი პროტესტისა, მიწით ვერ დაკმაყოფილდა გიზელდონის მემამულეთა (კანუკოვების, შანაევების, ალდათოვების, მავსურაოვების და სხვ.) 49 კომლი, რომლებიც ძალით გადასახლეს თერგის მარჯვენა ნაპირზე — ცალკე სოფელში, სადაც გაცილებით მცირე მიწა მიეცათ, ვიდრე თვითონ თხოულობდნენ.

მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა, უმიწაწყლოდ დარჩა გლეხთა (ქავდასარდთა და ფარსაგლაგთა) 334 ოჯახი.

ჩრდილო ოსეთში წოდებრივი საკითხი ბოლომდე ვერ მოგვარდა ვერც 1857 წელს, როდესაც გრამოტინის თავმჯდომარეობით ახალი კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტი დარწმუნდა, რომ თაგაურის ალდარებიც იმავე უფლებით სარგებლობდნენ, როგორიც დიგორიის ბადელიატები და ყაბარდოს ტლეკოტლეშები, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც არ იქნა მიღებული.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ მეფის მთავრობას მეტი შესაძლებლობა მიეცა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის შინაურ საქმეებში. ჯერ კიდევ, 1861 წ. შექმნილმა კომისიამ თავად ორბელიანის თავმჯდომარეობით აგრარული საკითხის ახლებური გადაწყვეტა დასახა ჩრდ. ოსეთშიც. კომიტეტმა დაუსაბუთებლად ჩათვლა ალდარების და ბადელიატების პრეტენზია უმაღლესი წოდებისადმი კუთვნილებაზე, და ამიტომ მიზანშეუწონლად მიიჩნია მათთვის იმდენი მიწის დატოვება, რაც უკვე მიღებული ჰქონდათ. კომიტეტის აზრით, ჩრდილო ოსეთის მემამულეები ორ კატეგორიად უნდა დაყოფილიყო, პირველი კატეგორიის მემამულეებს მეორესთან შედარებით მეტი მიწა უნდა მისცემოდა, მაგრამ მეორე კატეგორიის საკომლო ნადელი 40 დესეტინაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამ გადაწყვეტილების განხორციელებამდე აღნიშნული კომიტეტიც დაიშალა.

ჩრდილო ოსეთის მემამულეთა უმაღლესი წოდებისადმი კუთვნილება უარყო 1864 წ. შექმნილმა კოძოკოვის კომისიამაც, რომლის აზრით, თითქოს ალდარებსა და ბადელიატებს გლეხობისადმი მებატონური უფლებები არასოდეს ჰქონიათ.

კოძოკოვის კომისიის აზრით, ჩრდ. ოსეთში მიწა სათემო-სასოფლო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო და მთელი საზოგადოება ამ წესს უნდა დამორჩილებოდა. მისი აზრით, მფლობელობის ამ სისტემას დიდი უპირატესობა ჰქონდა, რადგან, ჯერ ერთი, სათემო მიწით სარგებლობა ყველას შეეძლო, მეორეც, მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული მიწის არაპროპორციული განაწილება და მთავრობას მიწის ხელახალი განაწილებისათვის არ დასჭირდებოდა რაიმე ღონისძიების გატარება.

კოძოკოვის კომისიის მოსაზრების საფუძველზე კავკასიის მმართველობამ თაგაურის მთელ მიწა-წყალზე სათემო-სასოფლო მფლობელობა დააწესა და თითოეული კომლის (როგორი წოდები-

საც არ უნდა ყოფილიყო) ნადელი 40 დესეტინით განსაზღვრა. იმ ალდარს, რომელიც ამ წესს არ დაემორჩილებოდა, უფლება მიეცა ყუბანის ოლქში გადასახლებულიყო და იქ 300 დესეტინა მიწა მიეღო.

წოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ 1866 წელს თაგაურის საზოგადოების 10 აულში საბოლოოდ დაამთავრა მიწის გამიჯვნა.

1864 წ. მიწის რეფორმა დამთავრდა ქურთაულის და ალაგირის საზოგადოებებშიც, ქურთაულის სამი აული ორ სასოფლო-სათემო ერთეულად გაერთიანდა, მათ შორის ყადგარონში (ქრისტიანები ცხოვრობდნენ) და ნოგყაუში (მაჰმადიანი ოსები), ხოლო ალაგირის, არდონის და სალუგარდანის თემები ძველებურად დარჩა ორ ერთეულად.

აგრარული რეფორმა ცალკე საკითხად იდგა დიგორიის საზოგადოებაში. აქაურ წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობას იკვლევდა ცალკეული კომისიები, ჯერ ალიოხინის თავმჯდომარეობით (1849 წ.), ხოლო შემდეგ (1852 წ.) პოლკოვნიკ შოსტაკის თავმჯდომარეობით.

ვორონცოვის მითითებით, 1853 წელს გადაწყდა, რომ დიგორიის ველის მიწები (ტუგანოვისადმი განკუთვნილი 19790 დესეტინის გამოკლებით) იმდაგვარად გამიჯნულიყო, რომ პრივილეგირებულ გვარებს: კუბატიევებს რგებოდა 3 ათასი, ყარაჯაევებს —800, აბისალოვებს — 200 დესეტინა, ხოლო დანარჩენი 9 564 დესეტინა თემურ სარგებლობაში გადასცემოდა ადამიანატებს (გლეხებს), რომელთაგან ქრისტიანების აულს (ამჟამად ქ. დიგორა) გამოეყო 4 870, ხოლო მაჰმადიანების (დაბა ჩიკოლა) 3 760 დესეტინა.

ამრიგად, დიგორიის ველის მიწის 2/3 ბადელიატებს ხვდა, ხოლო მესაბედი გლეხობას („შავ ხალხს"). ამასთანავე მეფისნაცვლის განკარგულებით, გლეხობას დაევალა ბეგერა-ვალდებულების ძველებური შესრულება. დიგორიაში ხეხესების (ხიზნების) 211 ოჯახი, რომელსაც თავის მიწა არ გააჩნდა, დატოვებულ იქნა მემამულეთა მიწაზე და ძველებურ ვალდებულებას ასრულებდა.

კლასობრივი ბრძოლის ლიკვიდაციის მიზნით მთავრობამ 1864 წელს გადაწყვიტა დიგორიის გლეხობის ვალდებულების გაუქმება, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრდა, ბადელიატებმა ხელი არ აიღეს გლეხობაზე, მით უფრო იმათზე, ვინც მათ მიწაზე სახლობდა. ბოლოს, 1865 წელს მთავრობამ სპეციალური წესები შეიმუშავა დიგორელი ხეხესების (ხიზნების) ვალდებულებაზე მემამულეთა მიწით სარგებლობისათვის.

1866 წ. ბადელიატებისათვის ჩამორთმეულ მიწაზე დაარსდა სოფ. ახალი ურუხი, რომელშიც უმიწაწყლო დიგორიელი გლეხობა ჩასახლდა.

იმის შიშით, რომ მალე ბატონყმობა გაუქმდებოდა და ქაჯდასარდებს და კუმეიაგებს დაკარგავდნენ ოსი მემამულეების ნაწილი თურქეთში გადასახლდა და ზოგიერთი ყმაც თან წაიყვანა.

აგრარული რეფორმა მეტად დაძაბულ ვითარებაში გატარდა დაღესტანშიც. XIX ს. 50—60-იან წლებში დაღესტნის უდიდეს ნაწილში ფეოდალური ურთიერთობა არსებობდა. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა შედარებით უფრო განვითარებული კასპიისპირეთსა და სამხრეთ ნაწილში იყო, კერძოდ, კაიტაგ-ტაბასარანის, კიურინისა და სამურის ოკრუგებში. კაიტაგ-ტაბასარანის ოკრუგში მემამულეებზე იყო დამოკიდებული 40 სოფელი 3 362 კომლით, კიურინის ოკრუგში—27 სოფელი 1 929 კომლით, სამურის ოკრუგში—2 სოფელი 291 კომლით. ფეოდალურ-ბატონყმურმა დამოკიდებულებამ ამ სოფლებში საყოველთაო ხასიათი მიიღო. დამოკიდებული გლეხობა—„რაიათები“ აქ სხვადასხვაგვარ ვალდებულებას ასრულებდა.

ჩრდილო დაღესტანში: თემირხანშურის (20 სოფელში 6 530 კომლით), ყაზიყუმუხის (8 სოფელში 842 კომლით) და ავარის (ერთ სოფელში 72 კომლით) ოკრუგებში ფეოდალური ურთიერთობა სუსტად იყო განვითარებული. მართალია, მოსახლეობის ნაწილი ბეგებსა და სხვა მემამულეებზე იყვნენ დამოკიდებული, მაგრამ აქაური ვალდებულება შედარებით უმნიშვნელო და მარტივი იყო. მაგალითად, ზოგიერთი სოფელი ბეგს წელიწადში მხოლოდ ერთ ან რამდენიმე სულ წვრილფეხა ან, საუკეთესო შემთხვევაში, მსხვილფეხა საქონელს უხდიდა (ერთ ცხვარს ყოველწლიურად, ერთ ძროხას ყოველ ოთხ წელიწადში, ოთხ ხარს ყოველ რვა წელიწადში). მარცვლეულს მხოლოდ გამონაკლისი სოფლები იხდიდნენ. მეტად უმნიშვნელო იყო შრომითი ვალდებულებაც.

აღნიშნულის გამო მთავრობის სხვადასხვა ინსტანციაში საქმის გარჩევისას ამ ოკრუგების გლეხობა თავისუფალ ფენად—„უზდენებად“ ჩაითვალა.

ამდენად, მეფის მთავრობამ დაღესტნის ოლქში ფეოდალურ-ბატონყმურ დამოკიდებულებით ურთიერთობა ოფიციალურად მხოლოდ 98 სოფელში ცნო. აქ მოსახლე 13 026 კომლი (დაახლოებით 70 000 ადამიანი) ბეგებს და სხვა მემამულეებს (მათ შორის ბეგის შთამომავლებს—„ჩანკებს“, რომელთა დედები უმაღლეს წოდე-

ბას არ ეკუთვნოდნენ) შრომით ბეგარასა და ნატურით გადასახადებს უხდიდა (იშვიათად ფულად რენტასაც, რომელიც გვიან ხანებში გაჩნდა). აღნიშნული მოსახლეობა — რაიათები ნატურით გადასახადებიდან იხდიდა: პურს, ქერს, ბრინჯს, ნიგოზს, ყურძენს, თაფლს, კვერცხს, ქათამს, ცხვარს, ძროხას, აგრეთვე, თივას, ჩალას და სხვ. რაიათები ვალდებული იყვნენ თავისი გამწეური ძალით და ინვენტარით უსასყიდლოდ ემუშავა მემამულესთან ხვნა-თესვის, თოხნის, მკა-ლეწვის, თიბვის, მოსავლის შინ მიზიდვის, ხორბლეულის დაფქვის, რწყვის, სარწყავი არხების გაყვანა-მოვლის, შეშის მოჭრისა და შინ მიზიდვის, ტვირთის ზიდვისა და სხვა შემთხვევაში (მეტად გავრცელებული იყო საურმე ბეგარა) რაიათი ვალდებული იყო მემამულის დაძახებისთანავე გამოცხადებულიყო ლაშქარში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დაღესტანში ინდივიდუალურ-საოჯახო მფლობელობაში იყო საკარმიდამო და სახნავ-სათიბი მიწის ნაწილი, საძოვარი და ტყეები — სათემო-სასოფლო მფლობელობაში. აქ მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი ბეგებისა და სხვა მემამულეების საკუთრებად ითვლებოდა. დაღესტანში გავრცელებული იყო მიწის პერიოდული გადანაწილებაც. რიგ ადგილებში ბრინჯის ყანები ჯგუფურ მფლობელობაში იყო, კოლექტიურად მუშავდებოდა და მოსავალსაც თანატოლად იყოფდნენ.

დაღესტნის ოლქში რეფორმის მოსამზადებლად პირველი ნაბიჯი 1860 წელს გადაიდგა, როცა ყუმიყთა ოკრუგში პირადი და საადგილმამულო ურთიერთობის დამდგენი კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის თავდაპირველ ამოცანას შეადგენდა თავადაზნაურთა და უზდენთა რაოდენობის აღრიცხვა, მათი ქონებრივი და პრივილეგირებული მდგომარეობის გარკვევა, მიწის მფლობელობისა და საკუთრების, აგრეთვე, ბეგარა ვალდებულებათა ფორმების დადგენა.

წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობათა შესწავლის საფუძველზე კომიტეტმა დაადგინა, რომ ყუმიყეთში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა არსებობდა. ნაწილობრივი ცვლილებების შემდეგ იმავე კომიტეტს 1863 წელს დაეკალა — მემამულეები დაეთანხმებინა თავის სამფლობელო მიწის ნაწილის გლეხობისადმი გადაცემაზე, მაგრამ მემამულეებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. თავადაზნაურობა ცდილობდა არა მარტო თავისი საკუთარი მამულების შემომტკიცებას, არამედ სათემო მფლობელობაში არსებული მიწების მითვისებასაც. ისინი ამტკიცებდნენ,

რომ მიწა მათი წმიდათაწმიდა და განუყოფელი მამაპაპური კუთვნილება იყო.

რეფორმის პირობების შემუშავებასთან დაკავშირებით 1863 წელს ხასავ-იურტში შეიკრიბენ ყუმიყ მემამულეთა და გლეხთა წარმომადგენლები, ხუთი დღის დავის შემდეგ მემამულეები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ თავიანთი გლეხებისადმი ეცირე ნადელების გამოყოფაზე. თათბირზე ბჭობის საფუძველზე კომისიამ წამოაყენა წინადადება ყმა გლეხობას კოლექტიურ-სოფლურ მფლობელობაში გადასცემოდა მემამულეთა მიწის 2/5, მაგრამ მემამულეები მხოლოდ 1/3-ის დათმობაზე იყვნენ თანახმა. თათბირი უშედეგოდ დამთავრდა. თავის მხრივ მიწაზე არც გლეხობა იღებდა ხელს და განაგრძობდა ბრძოლას. დიდი დავის შემდეგ 1864 წ. 13 ივლისს სპეციალურმა კომისიამ შეადგინა აქტი, რომლის მიხედვით გლეხობას უნდა გადასცემოდა მემამულეთა მიწის 2/5, თუმცა გლეხობა გაცილებით მეტს მოითხოვდა. რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა აგრარული მოძრაობა, კავკასიის ადმინისტრაცია ცდილობდა კრიზისის რეფორმით მოგვარებას. მეფის მოხელეთა შორის რეფორმის მომზადებაში თერგის ოლქის უფროსი ლორის-მელიქოვიც აქტიურ როლს ასრულებდა.

1865 წ. 5 თებერვალს ხასავ-იურტში შედგა აქტი, რომელშიც გლეხობისადმი მიწის ნახევრის უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობას აცხადებდა 61 მემამულე, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვდნენ. რომ მიწის მეორე ნახევარი მათ კერძო საკუთრების უფლებით მიეღოთ. იგივე აქტში აღნიშნული იყო, რომ ყუმიყეთში რეფორმა არ ეხებოდა 193 367 დესეტინა მიწას, რომელიც ხაზინას რჩებოდა. ამ აქტის საფუძველზე კომისიამ შეიმუშავა რეფორმის პირობები, რომელიც 1866 წ. 11 მარტს კავკასიის მმართველობამ მოიწონა და 7 ნოემბერს მეფეს წარუდგინა დასამტკიცებლად.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ყუმიყეთში მემამულეთა მიწის ნახევარი გლეხობას გადასცემოდა თემურ სარგებლობაში უსასყიდლოდ, ხოლო მეორე ნახევარი მემამულეებს რჩებოდა საგვარო საკუთრებაში.

რეფორმა ოფიციალურად მხოლოდ მიწას შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა ფაქტიურად დაყმევებული იყო, ის იურიდიულად თავისუფალ ფენად ჩაითვალა, ამიტომ მემამულეებმა გამოსასყიდი მხოლოდ „ჩაგარების“ განთავისუფლებაში მიიღეს.

ყუმიყეთში სახმარი მიწის ფონდი უდრიდა 405 789 დესეტინას, აქედან 19 367 ხაზინას ეკუთვნოდა. რეფორმამდე ყუმიყეთის

მიწის უდიდესი ნაწილი თავადთა 10 გვარეულობის (სულ 166 ადამიანი) ხელში იყო. მაგალითად, თემიროვების გვარს ეკუთვნოდა 70 ათასი დესეტინა, ალიბეკოვების — 23 ათასი, ულუმიევების — 40 ათასი, ალისულთან კაზანალიპოვების 70 ათასი და ა. შ.

რეფორმით მემამულეთა იმავე 10 გვარეულობას (166 სულს) დარჩა 186 311 დესეტინა, ხოლო გლეხთა 7 122 ოჯახს (30 ათასამდე სულს) ხვდა 203 123 დესეტინა თემურ-სოფლური მფლობელობის უფლებით. ამასთან, ჩეჩენთა 299, აუხოველთა, სალათაველთა ოჯახებს, რომლებიც ყუმიყეთის ველზე 1859 წლის შემდეგ დასახლდნენ, ნადელი არ მიეცა. უნადელოდ დარჩა, აგრეთვე, მთიელ ებრაელთა 142 ოჯახი, რომლებიც ამ ტერიტორიაზე უწინ მცირე მიწას ფლობდნენ. ეს მაშინ, როდესაც 20 ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა ხელუხლებლად იქნა დატოვებული მთავრობის საჭიროებისათვის. აღნიშნულ ტერიტორიებზე შემდგომში თევზის სარეწები და სახაზინო მამულები იქნა მოწყობილი.

7 000-მა გლეხურმა კომლმა (მათ შორის 1 547 კომლი ნოღაელი იყო) საბოლოო ჯამში მთელი მიწის მხოლოდ 52% მიიღო, ხოლო მემამულეთა ათმა გვარმა 48% საუკეთესო მიწა (მემამულის კომლმა გლეხთა კომლთან შედარებით საშუალოდ 40-ჯერ მეტი მიიღო).

რეფორმის შედეგად მემამულეთა და გლეხთა მიწის გამიჯვნა ყუმიყეთში ძირითადად მხოლოდ 1870 წელს დამთავრდა. მაგრამ იგი ზოგან XIX ს. ბოლომდე გაგრძელდა.

მემამულეებისათვის საუკეთესო მიწის დარიგების მიზნით რიგ შემთხვევაში გლეხობას ერთ ადგილიდან მეორეზე ასახლებდნენ.

ყუმიყეთში გლეხის კომლზე საუკეთესო შემთხვევაში 24 დესეტინა სახნავ-სათიბი, საძოვარი მიწა და ტყე მოდიოდა, რაც თითოეულ სულზე ზოგან 3,5 დესეტინას შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მიწის ნაწილი სახმარად უვარგისი იყო, თითოეულ კომლზე მთლიანად 3—4 დესეტინა სახნავ მიწაზე მეტი არ მოდიოდა.

ყუმიყეთში თემურ-სოფლური მიწისმფლობელობის ახლებური მოწყობით თვითმპყრობელობა თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებდა. ამასთანავე, საგადასახადო სისტემაც მოაგვარა.

წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობის დადგენა ბევრად უფრო გაჭიანურდა დაღესტნის სხვა სამფლობელოებში, მაგალი-

თად, მეხტულის სახანოში, ტარკის საშამხლოში, სულაყისპირეთის სანაიბოში და სხვაგან.

1864 წელს შექმნილ დროებით კომისიას ჩამოთვლილ სამფლობელოებშიც უნდა დაედგინა საადგილმამულო ურთიერთობის ხასიათი, აღერიცხა მიწის ფონდი და გაერკვია წოდებრივი მდგომარეობა, მაგრამ მეუხედავად საკმაოდ დიდი მასალის შეგროვებისა, კომისიამ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სრულ და საბოლოო ლიკვიდაციისათვის არაფერი გააკეთა და მთელი ყურადღება მხოლოდ შამხალზე, ნაიბზე, ხანზე და მათდამი დამოკიდებული გლეხობის საკითხის მოგვარებაზე გადაიტანა.

1866 წ. ივლისში კავკასიის ადმინისტრაციამ მეხტულინსკის ხანს განუცხადა ხელი აეღო გლეხთა ბეგარა-ვალდებულებაზე და ჩანკების სამსახურზე, რისთვისაც სათანადო ვასამრჯელოს დაპირდა. ხანი იძულებული გახდა ამაზე თანხმობა განეცხადებინა. მალე — 1867 წელს მაისში ხანს ებრძანა ხელი აეღო გლეხობაზე, სამაგიეროდ პირად საკუთრებაში უზარმაზარი მიწა მიიღო.

მალე სულაყისპირეთის მფლობელი ალი-სულთან ყაზანალიევიც იძულებული გახდა გამოთხოვებოდა თავის ყმა გლეხობას, რის საკომპენსაციოდ თავის მფლობელობაში არსებული მთელი მიწის ნახევარი მიიღო, ხოლო ნახევარი გლეხობას გადაეცა თემურ მფლობელობაში.

თემირხანშურის ოკრუგის დაარსებასთან დაკავშირებით ტარკის შამხალსაც ებრძანა ხელი აეღო ძველებურ მფლობელობაზე. გარკვეული წინააღმდეგობისა და ყოყმანის შემდეგ შამხალმა შამსუდინმა დაღესტნის მმართველ მელიქოვს (მელიქიშვილს) აცნობა, რომ თანახმა იყო მთავრობის სურვილის შესრულებაზე, მალე შამხლის თანამდებობაც ლიკვიდირებულ იქნა, რის სამაგიეროდ შამხალიც დიდი თანხით დაჯილდოვდა და უზარმაზარი მიწაც მისცა.

აგრარული რეფორმა მთლიანად მხოლოდ სულაყის სანაიბოში გატარდა. აქ მდ. სულაყის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებს ულასყიდლოდ გადაეცა ყაზანალიპოვისადმი კუთვნილი 30 ათასი დესეტინა მიწა. სულთან ალგ-იურტის, ჩონთ-აულის და ჩირთ-იურტის მცხოვრებმა გლეხებმა მიიღეს 14 330 დესეტინა მიწა, რაც თითოეულ კომლზე (საშუალოდ ხუთი სულზე) 17 დესეტინას უდრიდა.

დაღესტნის ოლქში აგრარული რეფორმა სანახევროდაც კი ვერ გატარდა, რადგან მიწის გამიჯვნა მხოლოდ შამხლის, ხანის და ნაიბისადმი კუთვნილ გლეხობას და მიწას შეეხო, სამაგიეროდ

აღნიშნული ფეოდალები უზარმაზარი მიწებით, სამუდამო პენსიებით და ერთდროული ფულადი დახმარებით დაჯილდოვდნენ, ამასთანავე, დიდი ჩინებიც ეწყალობათ.

*
* *

აგრარულმა რეფორმამ ვერ შეცვალა ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მშრომელი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. საკმარისი მიწა მხოლოდ მეფის მოხელეებს, ადგილობრივ მემამულეებს და კაზაკ კოლონისტებს მიეცა.

მშრომელ გლეხობას შეზღუდული ან აკრძალული ჰქონდა ტყით სარგებლობაც. საჭიროების შემთხვევაში გლეხს ტყით სარგებლობა მხოლოდ ოკრუგის უფროსის ნებართვის და დიდი ფულის გადახდის შემთხვევაში შეეძლო.

გლეხობა საშინლად განიცდიდა უმიწაწყლობას და იძულებული იყო ადმინისტრაციისათვის ხშირად მიემართა. ერთ ასეთ მიმართვაში ყუბანის ოლქის ელბრუსის ოკრუგის გლეხობა წერდა: „ახლა ჩვენ ყოველწლიურად ვქირაობთ სახნავ და სათიბ ნაკვეთებს, რაც ჩვენ გაჭირვებას ვერ შველის და ხშირად ვშიმშილობთ". ასეთივე მძიმე ვითარება იყო ჩრდილო კავკასიის დანარჩენ კუთხეებშიც.

სანახევრო და კლასობრივი ხასიათის მიუხედავად აგრარულ რეფორმას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმამ მნიშვნელოვნად შეცვალა მიწისმფლობელობის ძველი ფორმები, თემურ-საგვარო მიწისმფლობელობა რიგ შემთხვევაში კერძო მიწისმფლობელობით შეიცვალა. რეფორმამ ხელი შეუწყო გლეხთა გაჭიანურებას და ბატონყმური ექსპლოატაციის ლიკვიდაციას. მემამულეებს ესპობოდა სათემო მიწის დატაცების და გლეხობისადმი თვითნებური მოპყრობის საშუალება.

მთავრობის დასაყრდენ მემამულეთა, მოხელეთა და კოლონისტთა მამულები ვითარების შესაფერ გარდაქმნას განიცდიდა. დაჩქარდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის რღვევა, მის სასაქონლო-კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. ქრებოდა გლეხთა მიწაზე იძულებითი მიმაგრება, ფეოდალური ურთიერთობა თავისუფალი დაქირავებული შრომით იცვლებოდა. ახალი ურთიერთობის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში პრიმიტიული-მამაპაპური შრომის იარაღები გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით იცვლებოდა.

.აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა ბატონყმობის გაუქმება და ქვეყნის ახლებურ ყაიდაზე გარდაქმნა.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება

§ 1. ბატონყმობის შეზღუდვა

მართალია, XIX ს-ში ჩრდილო კავკასიაში ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ საკმაო ძალით მოქმედებდნენ ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის გადმონაშთები. შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიის შედარებით ჩამორჩენილ ხალხებში პატრიარქალურ-გვაროვნული და მონათმფლობელური ინსტიტუტების გადმონაშთები თავისებურ არქაულ ელფერს აძლევდა აქაურ ,ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობას. ჩრდ. კავკასიის ზოგიერთ საქმფლობელოში ყმათა ერთი კატეგორიის პირადი უფლებები ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდებოდა მონის მდგომარეობისაგან. ყმათა ამ კატეგორიას არამცთუ ქონებრივი და პირადი უფლებები ჰქონდა, არამედ იგი მფლობელის საკუთარ ნივთს, ყიდვა-გაყიდვის და გაჩუქების საგანს წარმოადგენდა, ამასთან მფლობელი მის ფიზიკურ დასჯასა და სიკვდილზე არავითარ პასუხს არ აგებდა.

მიუხედავად გარკვეული შეზღუდვისა, ჩრდილო კავკასიაში XIX ს. 50-იან წლებში ფეოდალიზმამდელი ურთიერთობების გადმონაშთები არსებობას განაგრძობდა.

რუსეთში გატარებული საგლეხო რეფორმის შედეგად ჩრდილო კავკასიაში კლასობრივ-აგრარული ბრძოლა უფრო მწვავდება. კავკასიის ადმინისტრაციამ განიზრახა ჩრდილო კავკასიაში პატრიარქალურ-მონათმფლობელური ურთიერთობის გადმონაშთების სალიკვიდაციოდ გადამწყვეტი ზომები მიეღო. ამასთან დაკავშირებით გრაფ ევდოკიმოვს დავალა თავისი მოსაზრებები შეემუშავებინა და წამოეყენებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, საომარი ვითარება და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი სიძნელეები ამ საქმეში ,ფართო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ბატონყმობის შეზღუდვის ღონისძიებათა მომზადება მხოლოდ XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი, მაგრამ ამ დარგში ფართო ღონისძიებათა დასახვას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, თურქეთში მასობრივი გადასახლება, ხოლო, მეორე მხრივ, საადგილმამულო და წოდებრივი ურთიერთობის გაურკვევლობა.

XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში ბატონყმობის შეზღუდვისა და გაუქმების ღონისძიებათა მომზადებაზე ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ ამ მიმართულებით, ისევე როგორც აგრარულ რეფორმაზე, მუშაობა მიმდინარეობდა. ადგილებზე შეგროვებული ცნობების და მასალების საფუძველზე 1863 წლის 13 ნოემბერს ევდოკიმოვმა კავკასიის მმართველობას წარუდგინა პროექტი, რომელშიც ბატონყმობის შეზღუდვის მიზნით მოითხოვდა: 1. ყმათა გაყიდვისას ოჯახის დაშორიშორება აკრძალულიყო; 2. ყმის გაყიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაშვებულიყო, თუკი ახალი მფლობელი მას გამოსყიდვის უფლების პირობას აღუთქვამდა; 3. ყმას გამოსყიდვა შეეძლო ათი წლის სამსახურით ან თავისი ღირებულების გადახდით უფრო მოკლე ვადაშიც; 4. ამ პირობით ყმის ყიდვა-გაყიდვა ყველას (წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად) შეეძლო თვით ადმინისტრაციის ჩარევისა და ნებართვის გარეშე; 5. ნასყიდი ყმის ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დანარჩენ წევრებს არ ეკისრებოდა რაიმე ვალდებულება ათ წელიწადზე მეტხანს ემსახურა თავის მფლობელისათვის; 6. თუკი მებატონე თავის ყმას ვისმეს უანდერძებდა, მიჰყიდიდა ან აჩუქებდა, ახალი მფლობელის ნება-სურვილის მიუხედავად, ყმას ათი წლის შემდეგ თავისუფლება უნდა მინიჭებოდა; 7. გამოსასყიდი ვადის გასვლისთანავე ყმა თავისუფლდებოდა თავისი პირადი ქონებით; 8. თავგამოსყიდული ყმა ადმინისტრაციისაგან იღებდა სპეციალურ მოწმობას და მიეწერებოდა იმ „თავისუფალ" საზოგადოებას, სადაც იგი იცხოვრებდა; 9. თუკი რომელიმე მაჰმადიანი ყმა მიიღებდა ქრისტიანულ სარწმუნეობას, იგი დაუყოვნებლივ თავისუფლდებოდა ყმობიდან, ხოლო მის საფასურს მთავრობა იხდიდა.

ამ პროექტს გაეცნო მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი, მაგრამ რადგან ამ პროექტის გატარება ეწინააღმდეგებოდა მაჰმადიანურ ადათს, მისი უმაღლესად დამტკიცება საშიშად მიიჩნია, ამიტომ მან მოითხოვა დამატებით დაზუსტებულიყო: 1. რა საფუძველზე წარმოიშვა მთიელ მაჰმადიანებში ბატონყმობა; 2. ყმათა შორის ხომ არ ურევია ქრისტიანი, რომელიც ტყვედაა წაყვანილი და გამაჰმადიანებული; 3. ყმათა რაოდენობა; 4. მონა-ყმები („იასირები") ხომ არ ფლობენ რაიმე საკუთარ უძრავ-მოძრავ ქონებას; 5. მფლობელი რთავს თუ არა ყმას უფლებას თავისთვის იმუშაოს შინ; რაში მდგომარეობს ყმათა ბეგარა; 6. მონა-ყმები ხომ არ ჩივიან თავიანთ მებატონეთა

ბრივ სასტიკ მოპყრობაზე; 7. უკანასკნელ წლებში ხომ არ იგრძნობა ყმის ოჯახის დანაწევრებული ყიდვის ტრადიციის მოშლა; 8. „იასირის“ ანდერძით ვადმოცემის დროს არის თუ არა დაცული ნათესაური მემკვიდრეობის პრინციპი; 9. რას უდრის მოზრდილ და მცირეწლოვან ყმათა გასასყიდი ფასი და სამუშაო ქირა; 10. შესაძლებელია თუ არა მაჰმადიან მთიელებში შევუდგეთ მონა-ყმათა („იასირთა“) დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, კერძოდ სად და სხვ.

ამ ცნობების შეგროვებასთან ერთად ბარონ ნიკოლაიმ ყუბანის, თერგისა და დაღესტნის მმართველობისაგან მოითხოვა საქმის მცოდნე ადამიანებისაგან სპეციალური შერეული კომისიების შექმნა და ბატონყმობის გაუქმების წესების შემუშავება.

აღნიშნულის გარდა ნიკოლაიმ ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქების უფროსებს მოსთხოვა წოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობაზე შემდეგი ცნობები წარმოედგინათ: ა) ამა თუ იმ ხალხში და ადგილზე რა სახის ბატონყმური ურთიერთობა არსებობდა; ბ) დამოკიდებული საზოგადოების უფლებები იმ მიწაზე, რომელზეც ცხოვრობდა და რომელსაც ამუშავებდა; გ) ადგილობრივი ადათ-წესით გადასახდელი ფულადი და ნატურალური გადასახადების რაოდენობა და სახეები; დ) მიწის და ყმის შრომის ფასი; ე) რას უდრიდა ყმათა სხვადასხვა კატეგორიის პირის გამოსასყიდი; ვ) რა ადათ-წესი არსებობდა ყმის თავდასნაზე (განთავისუფლებაზე); ზ) დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი ტომის და ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით; თ) რა სახის ქონება ჰქონდა ყმებს კერძო საკუთრებაში.

ამ მითითებათა საფუძველზე ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქებში შეიქმნა სპეციალური საგლეხო კომიტეტები და კომისიები, რომელთაც მითითებისამებრ დიდძალი მასალა შეაგროვეს და შესაბამისი უწყისებიც შეადგინეს. მაგრამ საქმის სრული შესწავლა და დაზუსტება დიდ სამუშაოსთან იყო დაკავშირებული, თანაც ამ მუშაობის ნორმალურ წარმართვას მემამულეები უშლიდნენ ხელს.

მანამ საადგილმამულო-წოდებრივი ურთიერთობა დაზუსტდებოდა და რეფორმის პირობები შემუშავდებოდა, კავკასიის ადმინისტრაციამ ეკატერინოვის პროექტის შესაბამისად სცადა ბატონყმობის მახინჯი წესები შეეზღუდა.

1864 წლის დეკემბერში მთავრობამ თურქეთში წამსვლელ მემამულეებს აუკრძალა ყმებიც თან წაეყვანათ. ის ყმები, რომელ-

თა მფლობელები უკვე თურქეთში გადასახლდნენ, დაუყოვნებლივ თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გამოსასყიდისაგან, ამასთანავე მათ სათანადო ნადელიც ეძლეოდათ.

ბატონყმობის შეზღუდვის მიზნით ჩრდ. კავკასიაში 1865 წლის მარტიდან აიკრძალა ყმათა ყიდვა-გაყიდვა და, საერთოდ, მათი გასხვისება ერთ ოლქიდან მეორეში. მთავრობის განკარგულებით, ერთი ოლქიდან მეორეში არც მონათა გასხვისება არ შეიძლებოდა ოკრუგის მმართველობის სათანადო დასტურის გარეშე. ის მფლობელი, რომელიც ამ წესებს დაარღვევდა, კარგავდა ყმასა თუ მონაზე უფლებას, ხოლო ამ უკანასკნელთ თავისუფლება ენიჭებოდათ.

საქმეებში გაურკვევლობის გამო ჩრდილო კავკასიაში საგლეხო რეფორმის მომზადება დიდხანს გაჭიანურდა, კლასობრივი წინააღმდეგობა კი მწვავდებოდა. გლეხობა უკმაყოფილო იყო რეფორმის მომზადების გაჭიანურებით, მათ ეშინოდათ, რომ კვლავ მემამულეთა ხელში დარჩებოდნენ, ამიტომ ყმათა ნაწილი ზოგჯერ თვითნებურად ტოვებდა მებატონეთა მეურნეობას და სხვაგან გარბოდა. კრიზისს ამწვავებდა ისიც, რომ საგლეხო რეფორმა რუსეთში და ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში უკვე განხორციელებული იყო, ამიტომ ქვეყნის უდიდეს ნაწილში ბატონყმური იძულებითი შრომა უკვე თავისუფალი შრომით იყო შეცვლილი. ეს გარემოება თავსთავად დიდ გავლენას ახდენდა ჩრდილო კავკასიის ყმა გლეხობის ფსიქიკაზე.

ბატონყმობის გაუქმების მოლოდინში ძლიერ ღელავდა თავადაზნაურობაც. ისინი არაერთხელ მიმართავდნენ კავკასიის მმართველობას, არ გაენთავისუფლებიათ გლეხები, უკიდურეს შემთხვევაში მოითხოვდნენ რეფორმის გახანგრძლივებას და თავიანთ განკარგულებაში ყმათა დიდხანს დატოვებას.

კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავების შიშით კავკასიის ადმინისტრაცია ცდილობდა რეფორმის განხორციელებამდე ერთგვარად მაინც შეერბილებინა ყმათა მძიმე მდგომარეობა; ამ მიზნით 1865 წლის ბოლოს შეიმუშავა ღონისძიება, რომლის ძალით ჩრდილო კავკასიაში მთლიანად აიკრძალა ყმათა ყიდვა-გაყიდვა. ამასთან, მან ექსპლოატირებულ მოსახლეობას არაერთხელ მიმართა დამაშოშმინებელი პროკლამაციებით. ერთ მიმართვაში, რომელიც მთიელთა საქმის სამმართველომ გააკრცელა ჩრდილო კავკასიის მაჰმადიან მოსახლეობაში ნათქვამი იყო, რომ მთავრობა გლეხობის მონობაში დატოვებას არ აპირებდა, მაგრამ მანამ ყმათა

გამოსყიდვა მოხერხდებოდა, ვალდებული იყვნენ მემამულეთა სამსახურში დარჩენილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მემამულეთა მეურნეობა გაჩანაგდებაო. ამავე დროს მემამულეებსაც მოეწოდებდა, რომ გლეხობას ჰუმანურად მოპყრობოდა. იმას, ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა, ადმინისტრაცია დასჯით ემუქრებოდა.

ჩრდილო კავკასიაში რეფორმის მომზადებისა და გატარების დაჩქარების მიზნით 1866 წ. 2 ივლისს თბილისში შეიქმნა გლეხთა სპეციალური კომიტეტი გენერალ-ადიუტანტ კარცოვის (კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე) თავმჯდომარეობით.

კარცოვმა ყუბანის, თერგისა და დაღესტნის მმართველები გააფრთხილა დროზე დაემთავრებინათ საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებული მასალის მომზადება. ამასთან დაკავშირებით ყუბანის ოლქის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სუმაროკოვი 1866 წ. აგვისტოში კარცოვს წერდა: ყუბანის ოლქში ცნობების მომზადება გააჭიანურა: საომარმა ვითარებამ, თურქეთში გადასახლებამ, მიწის გამიჯვნის დაუმთავრებლობამ და მეურნეობის მოშლამ. ანალოგიურ მიზეზებს ასახელებდნენ სხვა მოხელეებიც.

ხანგრძლივი მუშაობისა და დიდძალი მასალის თავმოყრის შემდეგ საგლეხო კომიტეტი ნაწილობრივ მაინც გაერკვა ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის საადგილმამულო-წოდებრივ ურთიერთობასა და სტრუქტურაში და შეუდგა რეფორმის ღონისძიებათა მომზადებას.

§ 2. მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა

ჩრდილო კავკასიის ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა XIX ს. 60-იან წლებში თავისი სოციალური შემადგენლობით ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავდებოდა, მაგრამ იგი მაინც ორ მთავარ კლასად იყოფოდა: ერთ ნაწილს გაბატონებული და პრივილეგირებული წოდება შეადგენდა, ხოლო მეორეს — რიგითი მოსახლეობა ანუ გლეხობა.

გაბატონებული კლასის სათავეში იდგნენ სულთნები, შამხლები, ბეგები, ნაიბები და მათი მსგავსი მსხვილი ფეოდალები, რომლებიც პირველ კატეგორიას მიეკუთვნენ; მეორე კატეგორიაში შევიდნენ საშუალო მემამულეები, რომლებიც როგორც ქონებრივად, ისე წარმომავლობით პირველთ ჩამორჩებოდ-

ნენ, ხოლო მესამეში— ე. წ. უზდენები, უორკები და მისთანანი, რომლებიც სხვადასხვა ხარისხად იყოფოდნენ. სხვადასხვა კატეგორიისა და ფენისაგან შედგებოდა გლეხობაც.

რეფორმასთან დაკავშირებული მასალების მიხედვით ყუბანის, თერგის და დაღესტნის ოლქების მკვიდრი მშრომელი მოსახლეობა ანუ ექსპლოატირებული კლასი ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფოდა: 1. ე. წ. თავისუფალ გლეხობად და 2. ნახევრად დამოკიდებულ გლეხობად; 3. ყმა გლეხობად და 4. ე. წ. მონებად.

რეფორმის დროს ყუბანის ოლქის ხუთ სამხედრო ოკრუგში მთლიანად 87 423 სული ითვლებოდა; აქედან მეფის მოხელეთა მიერ ყმებად ჩაითვალა, 19071, ხოლო დანარჩენი — გლეხობა, რომელიც აგრეთვე მეტ-ნაკლებად იყო დამოკიდებული, მაგრამ ოფიციალური განსჯით თავისუფალ კატეგორიას მიეკუთვნა 66 003 სული, სამღვდელოებას 1 242, ხოლო თავადაზნაურობას 2 460 სული. იგივე მონაცემებით ადიღეში (ბსეკუპსისა და ლაბინსკის ოკრუგებში) ითვლებოდა 6 854 ყმა გლეხი („ფშიტლი"), 1 320 მონა-ყმა („უნაუტი") და 109 ნახევრად თავისუფალი ყმა („ოგი"). თუ ამას დავუმატებთ ყუბანის ყაბარდოელებს (ე. წ. „გაქცეული ყაბარდოელები") და ურუპის ბესლენებს, გამოდის, რომ ადიღეში ოფიციალურ ყმად ჩაითვალა 9 911 სული, აქედან 7 967 პირადი მეურნეობის მქონე ყმა გლეხი იყო, 155 ნახევრად თავისუფალი გლეხი, ხოლო 1789 მონა-ყმა.

სხვა მონაცემებით ყუბანის ოლქში აღირიცხა 14 295 ყმა გლეხი, 3 172 მონა-ყმა და 163 ნახევრად თავისუფალი ყმა (ჩანს ეს მონაცემები პირველთან შედარებით გვიანდელია და ყმათა რიცხვში ნაჩვენები სხვაობა თურქეთში გადასახლებითაა გამოწვეული).

მამასახლის ყრიმშამხალოვის ჩვენებით, მარტო ყარაჩაიში ყმათა რიცხვი 6 064 სული იყო (აქედან 3 000 მამრ. სქესის და 3064 მდედრ.).

დაღესტნის ოლქში, პირველ რიგში, მხოლოდ შამხლების, სულთნების, ხანებისა და ნაიბებისადმი დამოკიდებული ყმა გლეხები „რაიათი" აღირიცხა, სულ 4 969 კომლი, რომელიც მიახლოებით 25 ათას სულს შეადგენდა. ამასთან ერთად, დაღესტანში აღირიცხა 6 500-მდე შინაყმა(ე. წ. მონა და „ჩაგარი"), რომელთაც არავითარი მეურნეობა და ქონება არ გააჩნდათ. ამათ გარდა დაღესტანში 5 593 კომლზე მეტი ყმა გლეხი შედარებით წვრილ მემამულეებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ თავდაპირველად მათ ყურადღება არავინ მიაქცია.

§ 3. ყმათა უფლება-ვალდებულებანი

სათანადო მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ნაწილში ფეოდალური ურთიერთობა მეტ-ნაკლებად იყო განვითარებული და რიგ ადგილებში ეს ურთიერთობა მძიმე ექსპლუატაციით ხასიათდებოდა. მეფის მოხელეთა ხელიდან გამოსული ოფიციალური მონაცემებით ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ხალხის სოციალური სტრუქტურა ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავდებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მთელი მოსახლეობა ექსპლუატატორ და ექსპლუატირებულ მასად იყო გაყოფილი.

რეფორმის პირობათა შემუშავებელ კომისიების და კომიტეტების აღიარებით ჩრდ. კავკასიაში სამი სახის დამოკიდებულება არსებობდა: საადგილმამულო, პირადი და ადმინისტრაციული. პირად-საადგილმამულო დამოკიდებულებისა და უფლებავალდებულების მიხედვით გლეხთა ოთხი კატეგორია არსებობდა:

ყმა გლეხი* მემამულეთა საგვარო მკვიდრ ყმად ითვლებოდა. ამ კატეგორიის ყმებს გარკვეული პირადი და ქონებრივი უფლებები ჰქონდათ. ისინი პირად ოჯახს და მეურნეობას განაგებდნენ, მაგრამ საკმაოდ შეზღუდული უფლებებით. ამ რიგის ყმას არ შეეძლო დამოუკიდებლად განეგო არა მარტო მეურნეობა, არამედ საკუთარი ქონებაც კი.

ადათით მკვიდრი ყმის გაყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ როგორც წესი ოჯახის წევრთა განცალკევება არ შეიძლებოდა. მემამულე, რომელიც ყმა გლეხს ყიდულობდა, წინასწარ განსაზღვრავდა მის უფლება-მოვალეობას. ყმა გლეხის უფლება-ვალდებულება ძირითად ადათით იყო განსაზღვრული, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მფლობელზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ყმა გლეხის სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება სამ ძირითად სახედ იყოფოდა: 1. მფლობელის მიერ მიცემული, 2. პირადი შრომით შეძენილი და 3. საჩუქრებით და ქორწინებით დაგროვებული ქონება.

პირველი სახეობის ქონება: სახლ-კარი, მიწა და პირუტყვი, რომელიც მფლობელის მიერ იყო მიცემული და ყმა გლეხის მემკვიდრეობით (ზოგჯერ დროებით) სარგებლობაში იყო, მაგრამ

---

* ამ კატეგორიის გლეხის სახელწოდება ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირი იყო; ჩერქეზულად მას „ფშიტლი“ ერქვა, აბაზინურად „ლიგი“, ყარაჩაულად „იულგიულკული“, ნოღაურად — „ჯოლლიკული“, დაღესტნურად „რაიათი“ და ა. შ.

მფლობელის განუყოფელ საკუთრებად ითვლებოდა. ყმა გლეხის გარდაცვალების შემთხვევაში მის სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება მემკვიდრის (მამაკაცის ხაზით) ხელში რჩებოდა, მაგრამ თუ მემკვიდრე ცალკე ოჯახად ცხოვრობდა, ან სულ არ ჰყავდა, მაშინ ეს ქონება მფლობელის ხელში გადადიოდა და მისივე შეხედულებისამებრ სხვისდებოდა. იმ შემთხვევაში თუ ყმა გლეხი გაიყიდებოდა და მის სარგებლობაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას ახალი მფლობელი არ იყიდდა, ეს ქონება ძველ მფლობელს რჩებოდა. ყმა გლეხს არ შეეძლო საკუთარი შრომით შეძენილი ქონება დაეხარჯა ან გაესხვისებინა ისე, თუ მფლობელის ნებართვას არ მიიღებდა. ამ უკანასკნელს კი შეეძლო ყმის პირუტყვი დაეცლა ან გაესხვისებინა, ოღონდ წესისამებრ ყმის თანხმობაც უნდა მიეღო. გამონაკლის შემთხვევაში ჩრდ. კავკასიის მთიანეთში (მაგ., ყარაჩაიში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ბალყარეთში და სხვ.) ყმა გლეხი საკუთარი მიწის ნაკვეთსაც განაგებდა, გლეხს შეეძლო მისი გასხვისება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მფლობელი მასაც ზღუდავდა.

ყმა გლეხის პირადი ქონების ნახევარიც მფლობელს ეკუთვნოდა. ძველი მფლობელისაგან წასვლის შემთხვევაში ყმა გლეხს შეეძლო თან წაეღო: 1. საოჯახო ნივთები და იარაღები (ინვენტარი), რომელიც მისი შრომით იყო შეძენილი, მაგრამ მფლობელისათვის საფასურის ნახევარი უნდა გადაეხადა; 2. საკუთარი პირუტყვი, მაგრამ თუ მას მფლობელის თივით კვებავდა, მაშინ ფასის ნახევარი უნდა დაეტოვებინა. ნოღაელებსა და ყარაჩაელებში ყმის ნასყიდი ქონებაც მფლობელის განუყოფელ საკუთრებად ითვლებოდა.

ყმა გლეხს შეეძლო წლის განმავლობაში დაეკლა ერთი მსხვილფეხა — ბებერი ან ავადმყოფი პირუტყვი, იმ პირობით, რომ მეურნეობისათვის საგრძნობი ვნება არ მიეყენებინა.

ადათის საფუძველზე მფლობელი თავის ყმა გლეხს აძლევდა სახლ-კარს, ერთ ან რამდენიმე უღელ ხარს ან კამეჩს, მიწის ნაკვეთს, ოჯახისათვის საჭირო რკინას და სხვ. მასვე ევალებოდა ყმა მამაკაცისათვის ცოლი ეყიდა*, თუ მფლობელს ეს არ შეეძლო ან

---

* ცოლის სასყიდელ ქონებას „ყალიმი“ ეწოდება. ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ხალხში ყალიმის ოდენობა განსხვავებული იყო, იგი 100-იდან 300 მანეთს აღწევდა. „ყალიმის“ სიდიდე დამოკიდებული იყო ვაუთხოვარ-განათხოვარ ქალზე, მის ფიზიკურ-ასაკობრივ მდგომარეობაზე, პროფესიაზე და სხვ.

„ყალიმიდან“ განსაზღვრული ქონება ქალის მშობლებსაც ეკუთვნოდა, რაც 10—50 მანეთამდე აღწევდა (10 მანეთი უდრიდა ძროხას ხბოთი). ყმა გლეხი, რომე-

ამაზე უარს იტყოდა, მაშინ ყმას უფლება ჰქონდა სხვა მფლობელს ხელში გადასულიყო, ამასთან, მფლობელი თავის ყმას შედარებით უმნიშვნელო დახმარებასაც უწევდა.

ყოველივე ამის გამო ყმა გლეხი ვალდებული იყო მფლობელისათვის ღალა გადაეხადა და შრომითი ბეგარა შეესრულებინა. ყმა გლეხის ოჯახი ვალდებული იყო ხვნის დროს თავისი გამწევი ძალით და შრომის იარაღებით კვირაში რამდენიმე დღე ემუშავა მფლობელის პირად მეურნეობაში, მონაწილეობა მიეღო მოსავლის აღებაში, შინ მიზიდვაში, გალეწვაში, დაფქვაში და სხვ. ყმათა მუშაობის ხანგრძლივობა მფლობელის საჭიროებაზე და ტრადიციაზე იყო დამოკიდებული. ნაწილობრივ განსხვავებული ვითარება იყო ყარაჩაიში და სხვაგან, სადაც გლეხი კერძო მიწასაც ფლობდა, აქ მფლობელის სამუშაოებში უპირატესად მამაკაცები მონაწილეობდნენ.

მოსავლის აღების შემდეგ მფლობელი ხორბლეულის მეათედს სამღვდელოებისა და უპატრონოებისათვის გამოყოფდა*, გარკვეულ რაოდენობას კი მინდვრის სამუშაოებისა და სტუმრებისათვის, დანარჩენი კი მფლობელსა და ყმებს შორის ნაწილდებოდა დადგენილი ტრადიციით. იქ, სადაც ყმა გლეხი კერძო მიწის ნაკვეთს ფლობდა, მას მფლობელის მოსავლიდან არაფერი ეკუთვნოდა. ასეთ ყმებს მფლობელი მხოლოდ მაშინ კვებავდა, როდესაც მის სამუშაოს ასრულებდნენ. თუკი მფლობელი ყმას საჭირო საკვებით ვერ უზრუნველყოფდა, მაშინ ყმას უფლება ჰქონდა საჩინო თავის მფლობელობაში არსებული პირუტყვით ან სხვა რამით ეყიდა.

მიწის სამუშაოების შესრულებისას მფლობელი ვალდებული იყო ყმებისათვის ნოყიერი ულუფა (ღომი, ხორცი, რძე, ყველი და სხვ.) ეძლია.

თიბვისას ყველა ასაკოვანი ყმა მამაკაცი ვალდებული იყო მფლობელის მინდორში ემუშავა და იმდენი თივა დაემზადებინა, რამდენსაც შეძლებდა. ამ სეზონური მუშაობისას ყმათა ვალდებულება განსხვავდებოდა. მაგ, ჩერქეზეთში ყმის მიერ დამზადებული თივის ნახევარი მფლობელს ეკუთვნოდა, ყარაჩაიში ყმა მა-

---

ლიც ქალიშვილის ყალიმიდან გარკვეულ წილს იღებდა, ვალდებული იყო ვაჟიშვილისათვის ცოლის სასყიდელში მფლობელს დახმარებოდა იმ ოდენობით, რა წილსაც ქალიშვილის ყალიმიდან იღებადა (იხ. საქ. ცსსა, ფ. 545, ს. 86, ფურც. 120; იქვე, ფ. 416, ან. 3, ს. 1047, ფურც. 5).

* ამ მიზნით ზოგან არაფერი გამოიყოფოდა.

მაკაცი ვალდებული იყო კვირაში ხუთი დღე მფლობელისათვის ემუშავა 2—2,5 თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში მფლობელი ვალდებული იყო მთიბავი ყმისათვის საწველად სამი ძროხა, ორი საწყაო პური, დასაკლავი დედა ცხვარი ბატკნით და საქალამნე მიეცა. მოთიბული თივა მფლობელს ეკუთვნოდა, მაგრამ ყმას შეეძლო ამ თივით საკუთარი ძროხა და ხბო გამოეკვება.

ყმები ვალდებულები იყვნენ მფლობელისათვის შეშა, საამშენებლო მასალა, ტვირთი და სხვა გადაეზიდათ.

სეზონური სამუშაოს შესრულების გარდა ყმებს ევალებოდათ მფლობელის საცხოვრებელი ბინის, საქონლის სადგომის, ღობეყორის და სხვათა მოვლა-შეკეთება, აგრეთვე, პირუტყვის, ფუტკრის და სხვათა მოვლა.

თუკი მფლობელს ბაღ-ბოსტანი ჰქონდა, მიწის მძიმე სამუშაოებს ყმა მამაკაცები ასრულებდნენ, ხოლო შედარებით მსუბუქ სამუშაოს ქალები. თუ მფლობელს შინაყმა ქალები („მონაყმები") არ ჰყავდა, მაშინ სტუმრებსა და სასტუმროს ყმა გლეხის ქალები უფლიდნენ მორიგეობით.

ყმა ქალთა ვალდებულებას შეადგენდა ძროხებისა და თხების მოწველა, კარაქის, ყველის და კეფირის დამზადება, წყლის მოზიდვა. საჭმელ-სასმელის დამზადება, თეთრეულის რეცხვა, მატყლის სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებაში მფლობელის ქალებისადმი დახმარება, მათი გაცილება მგზავრობისას. თუკი მფლობელს მონა-ყმა ქალები არ ჰყავდა, მაშინ ყმა ქალები ვალდებული იყვნენ მათი მაგივრობაც შეესრულებინათ.

ყმა გლეხი ვალდებული იყო მფლობელისათვის ცხვარი გაეკრიჭა, ბაღ-მინდვრები მოერწყა და სხვა სამუშაო შეესრულებინა.

აღნიშნულის გარდა ყმა გლეხებს სხვა მრავალგვარი ვალდებულება ეკისრებოდათ, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ყმათა მეორე კატეგორიას შეადგენდა ე. წ. ნახევრად თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ყ მ ა გ ლ ე ხ ი („ოგი"). იგი მკვიდრ ყმიდან თავისუფალ მიწათმოქმედთა რიგებში გარდამავალ საფეხურზე იდგა. ამ რიგის ყმა ქონებითაც და პირადი უფლებებითაც გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე მკვიდრი ყმა, მაგრამ მფლობელისაგან ფაქტიურად ისიც საკმაოდ იზღუდებოდა.

როგორც წესი, ნახევრად თავისუფალ ყმა გლეხს საკუთარი სახლ-კარი, პირუტყვი და მიწის მცირე ნაკვეთი ჰქონდა.

თავისი ხასიათით ნახევრად თავისუფალი ყმა გლეხის ვალდე-

ბულება უფრო იოლი და მარტივი იყო, ვიდრე მკვიდრი ყმის. მის ვალდებულებას შეადგენდა ერთ უღელ ხარზე თავისი მფლობელისათვის ერთი ურემი ცალეწილი და განიავებული ღომი, პური, ფეტვი, ქერი ან სხვა ხორბლეული მიეცა. უმოსავლო წელიწადს ამ რიგის ყმას ადათით ნატურით გადასახადი უმცირდებოდა.

თიბვისას ე. წ. ნახევრად თავისუფალ ყმას ევალებოდა მფლობელისათვის კვირაში სამი დღე ეთიბა, თივა მოეზვინა და მითითებულ ადგილზე მიეზიდა. მასვე ევალებოდა მფლობელის ცხვრისათვის საზაფხულო და საზამთრო სადგომი მოეწყო. მამაკაცს ევალებოდა მფლობელის ბაღ-ბოსტნის დაბარვა, ხოლო ქალს მისი მოვლა. იგივე ყმა ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მფლობელის სახლის აშენებაში, კერის გაწყობაში, შეშის მიზიდვაში და სხვ. თუ ამის შესრულებაზე ყმა უარს იტყოდა, მფლობელს შეეძლო მისთვის ხარი წაერთმია და დაეკლა.

ნახევრად თავისუფალი ყმა ვალდებული იყო, აგრეთვე, საქონლის დაკვლის შემთხვევაში მფლობელისათვის ძღვნად საუკეთესო ხორცის ნაჭერი მიერთვა.

მფლობელი არ იყო ვალდებული, თუნდაც გაღარიბების შემთხვევაში, ნახევრად თავისუფალი ყმა ცლეხისათვის ცამწევი ძალა ან ძროხა მიეცა. ამასთანავე, მას ცამწევი ძალით და საკვებით მხოლოდ საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს უზრუნველყოფდა.

დასახელებული კატეგორიის ყმა ცოლის შერთვისას ყალიმს თვითონ იხდიდა, სამაგიეროს ქალიშვილის ყალიმსაც თვითონ იღებდა. მაგრამ ყალიმის მიღებისას იგი ვალდებული იყო მფლობელისათვის ერთი უღელი ხარი და ძროხა ეჩუქებინა, რაც დაახლოებით 50 მანეთს შეადგენდა. თუკი მფლობელი თავის ქალიშვილს გაათხოვებდა მას აღნიშნული ყმისათვის ერთი უღელი ხარი უნდა მიეცა, სამაგიეროდ მფლობელის ან მისი ვაჟიშვილის მიერ ცოლის მოყვანისას მას ნეფე-პატარძალი და მაყრები უნდა დაეპატიჟებინა და დიდი ნადიმი უნდა გაემართა.

წესის მიხედვით ნახევრად თავისუფალი ყმის („ოგის“ და სხვ.) გაყიდვა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუკი დანაშაულის ჩადენის გამო გაიყიდებოდა, მისი ფასი მხოლოდ მკვიდრი ყმის ფასს უდრიდა.

როგორც ვხედავთ, ამ კატეგორიის ყმათა უფლება-ვალდებულება გაცილებით მსუბუქი და მარტივი იყო, ვიდრე მკვიდრი ყმის. ამდენად იგი თავისუფალ კერძომესაკუთრე გლეხს უახლოვ-

დებოდა. ირკვევა, რომ ამ კატეგორიის ყმათა უფლება-ვალდებულებანიც ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ხალხში ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა, თუმცა ყველა ისინი ფეოდალთა კაბალაში იყვნენ მოქცეული.

იმ შემთხვევაში, როდესაც ყმები მფლობელის თუ თავისი სურვილით გარე სამუშაოში ებმებოდნენ, პირველი და მეორე კატეგორიის ყმის გარე სამუშაოზე ნაშოვნი სახსრების ნახევარი ან ორი მესამედი მფლობელს ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენი ყმას. როდესაც სეზონური სამუშაოს დროს ყმა თავისი სურვილით წავიდოდა გარე სამუშაოზე, იგი ვალდებული იყო თავისი ტოლფასოვანი მუშა დაექირავებინა მფლობელისათვის, ან იმდენი გადაეხადა, რამდენიც მათი შესადარი მუშის დაქირავება დაჯდებოდა. მაგალითად, ყარაჩაიში თიბვის დროს მთელ სეზონში 2—2,5 თვით მუშის ქირა ჯდებოდა ერთი ძროხა, საბწილიანი მოზვერი, ცხვარი და ბატკანი. თუკი ყმა თავისი ან მფლობელის სურვილით სხვის ნწყემსად წავიდოდა, მისი მთელი ქირა მფლობელს ეკუთვნოდა.

საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა „მონა ყმა“ (ჩერქეზულად და აბაზინურად — „უნაუტი“, ყარაჩაულად — „ბაშსიზკული“, ნოღაურად — „ჯოლსიზკული“, ჩეჩნურად „ლაი“ და სხვ.). იგი ეკუთვნოდა ყმათა ისეთ კატეგორიას, რომელსაც არავითარი პირადი უფლება და ქონება არ ჰქონდა, მას არც პირადი ოჯახი და რაიმე მეურნეობა გააჩნდა. ყმათა ეს კატეგორია უმეტესად ტყვე, ნაყიდ და უკანონოდ შობილ მდაბიო ადამიანებისაგან შედგებოდა. მათ მფლობელი ისე ეპყრობოდა, როგორც პირად ნივთს. მისი მოკვლისათვის მფლობელი პასუხს არ აგებდა. თუკი მონა ქალს შვილი ეყოლებოდა, მას დედობის უფლება არ ჰქონდა, ხოლო ეს შვილი ვაჭრობის საგანს შეადგენდა.

მონა ყმათა ძირითად ვალდებულებას მძიმე საშინაო სამუშაოს შესრულება წარმოადგენდა. უკიდურესი მდგომარეობის გამო ე. წ. მონა ყმები ლიტერატურაში „პატრიარქალურ მონადაც“ იწოდებიან.

გლეხთა მეოთხე კატეგორიას წარმოადგენდა ე. წ. „თავისუფალი“ გლეხობა, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. რაკი ჩრდილო კავკასიაში ფეოდალიზმი სათანადოდ არ იყო განვითარებული (ზოგან მხოლოდ მკვიდრდებოდა), ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული გლეხთა დაყმევების პროცესი, ამასთან, აქ საკმაო

ძალით მოქმედებდნენ ფეოდალიზმამდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის (გვაროვნულ-მონათმფლობელური) ადამონაშთებიც, რომელთაგან აღსანიშნავია მიწის თემურ-გვაროვნული მფლობელობის ზოგიერთი სახე და ყმათა უმძიმესი ექსპლუატაცია, რომელიც რიგ შემთხვევაში მონათმფლობელობისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტს მოგვაგონებს.

მიუხედავად ამისა, რეფორმის დროს, ჩრდილო კავკასიაში ფეოდალური ურთიერთობის არსებობა მეტნაკლები მასშტაბით ექვს არ იწვევს. თვით იმ ინსტიტუტებსაც, რომელთაც ადრინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გადმონაშთებად მივიჩნევთ, საკმაოდ დიდი ცვლილებები ჰქონდათ გამოვლილი და თავისებურად ეგუებოდნენ ახალ ურთიერთობას. მაგალითად, მიწის მფლობელობის თემურ-გვაროობრივი წესი, მართალია, თავისი ფორმით პატრიარქალურ-გვაროვნულ მფლობელობას გავდა, მაგრამ XIX ს. მთელ მანძილზე და ადრეც ჩრდ. კავკასიის საზოგადოებრივ ურთიერთობაში ის ქონებრივი და უფლებრივი თანასწორუფლებიანობა, რომელიც აქ ოდესღაც არსებობდა, დიდი ხნის გამქრალი იყო. თვით „თავისუფალი“ გლეხობაც კი, რომელიც ერთი შეხედვით ერთნაირ კატეგორიად მოჩანდა, ქონებრივად და უფლებითაც დიფერენცირებული იყო. ზოგი მათგანი მემამულეთა პოლიტიკურ გავლენასა და ეკონომიკურ კაბალაში იყო მოქცეული, ზოგიც ეს-ეს იყო ექცეოდა, რადგან ეკონომიკური, სამხედრო, საასამართლო და ადმინისტრაციული ძალაუფლება თავადაზნაურთა ხელში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის დროს და შემდეგაც ჩრდილო კავკასიაში მიწის თემურგვაროობრივი მფლობელობა არსებობას განაგრძობდა, იგი თავისი შინაარსით არსებითად განსხვავდებოდა მიწის იმ გვაროვნულ-თემურ მფლობელობისაგან, როდესაც არც კლასები არსებობდნენ, არც სახელმწიფო და არც ექსპლუატაცია.

XIX ს. 60-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში საერთო მიწას ყველა საზოგადოებაში ოჯახები თავის ეკონომიური შეძლებისაშებრ უწევდნენ ექსპლუატაციას (მდიდარი მეტად, ღარიბი ნაკლებად). როგორც ზემოთაც დავინახეთ, მიწისმფლობელობის თემურ-სოფლური ფორმის შენარჩუნებას და განმტკიცებას ემსახურებოდა მეფის მთავრობის აგრარული რეფორმაც. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ საზოგადოება პატრიარქალურ-გვა-

როვნულ მიწისმფლობელობის ფორმას დაუბრუნდა. მართალია, მიწისმფლობელობის ეს ფორმა გარკვეულად ზღუდავდა სოფლის პროლეტარიზაციას, მაგრამ, ცხადია ახალი უსამართლობის გაღრმავების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. თვით გლეხთა ის ნაწილიც კი, რომელიც „თავისუფალ მიწათმოქმედთა“ კატეგორიას მიეკუთვნა, ერთ მუჭა კულაკებად და უღარიბეს გლეხობად იშლებოდა.

§ 4. ყმათა ყიდვა-გაყიდვის წესი

ჩრდილოეთ კავკასიაში ადათით დაშვებული იყო ყმათა სყიდვა. იგი სხვადასხვა მოტივით ხდებოდა: ჯერ ერთი, მაშინ, როდესაც მფლობელს არ სურდა ესა თუ ის ყმა ჰყოლოდა; მეორეც, როდესაც მფლობელსა და ყმას შორის კონფლიქტი ჩამოვარდებოდა; მესამე, მფლობელი იძულებული იყო ყმა გაეყიდა.

თუკი მფლობელი ყმისგან პირობადებულზე მეტს მოითხოვდა, ან პირობას არ შეასრულებდა, ყმას შეეძლო წასულიყო, მაგრამ თუკი თავის მყიდველს ვერ იშოვიდა, მაშინ ჩებატონეს შეეძლო ნებისმიერ პირისათვის მიეყიდა. ყმის გაყიდვის შემთხვევაში ოჯახის წევრთა დაშორება არ შეიძლებოდა, ამასთან, ადათით ყმას მხოლოდ თავისი შრომით შეძენილი ქონების ნახევარი ეკუთვნოდა. ახალ მფლობელსა და ყმას შორის მოწმეების თანდასწრებით იდებოდა გარიგება, რომლის შესრულება ორივე მხარისათვის სავალდებულო იყო.

ადათ-წესით ჩრდილო კავკასიაში ყმათა ფასი განსხვავდებოდა არა მარტო სქესის, ასაკის, ფიზიკური აგებულებისა და პროფესიის, არამედ ამა თუ იმ კუთხის და ადგილის ტრადიციის მიხედვითაც. როგორც წესი, ყმის ფასი 10 მანეთიდან 300 მანეთამდე აღწევდა. მაგალითად, 1 წლის ბავშვი 10 მანეთი ღირდა, შემდეგ ყოველწლიურად 10 მანეთი ემატებოდა 15 წლამდე, 15-იდან 40—45 წლამდე კი 300 მან-მდე იზრდებოდა. 40—45 წლიდან გარკვეულ ასაკამდე ყოველწლიურად 10 მანეთით მცირდებოდა.

ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ ხალხში ყმის ფასი განისაზღვრებოდა სიმაღლის და ჯანმრთელობის მიხედვითაც. რაც უფრო მაღალი იყო ყმა, მით უფრო მეტი ღირდა. ყმის ფასი ასაკში შესვლასთან ერთად ავადმყოფობის და შრომის უნარმოკლების შემთხვევაშიც მცირდებოდა.

სხვადასხვა მიზეზების გამო ჩრდილო კავკასიის ოლქებში საგლეხო რეფორმისათვის მზადება სხვადასხვა ინტენსივობით წარმოებდა, ამიტომ იგი განსხვავებული წესით და სხვადასხვა დროს გატარდა.

1866 წ. თბილისში გენერალ-ადიუტანტ კარცევის თავმჯდომარეობით შექმნილმა კავკასიის საგლეხო კომიტეტმა რამდენიმე სხდომის შემდეგ შეიმუშავა რეფორმის „საერთო პრინციპები" და ჩრდილო კავკასიის შესაბამის საგლეხო კომისიებს და კომიტეტებს სახელმძღვანელოდ გადასცა.

ადგილობრივ მოხელეთა დახმარებით შეგროვებული ცნობების და უშუალოდ მოპოვებული მასალების საფუძველზე ყუბანის ოლქის თავადაზნაურთა და მოხელეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ (ოლქის მმართველის თანაშემწის პოლკოვნიკ დუკმასოვის თავმჯდომარეობით) შეისწავლა მხარის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-წოდებრივი ურთიერთობა, მასთან დაკავშირებული ადათ-წესები და 1866 წელს ბატონყმობის გაუქმებაზე სპეციალური დებულების პროექტიც შეიმუშავა.

ამ დებულების პროექტის ექვს თავსა და შესაბამის პარაგრაფებში დეტალურად იყო განხილული ყმათა თითოეული კატეგორიის გამოსასყიდი ფასი, მისი გადახდის და ქონების გაყოფის წესი, დროებითვალდებულების ხასიათი და ხანგრძლივობა, მცირეწლოვან, სრულასაკოვან, მოხუცებულ და ინვალიდ ყმათა განთავისუფლების წესი და სხვ.

რადგან ყარაჩაიში ყმა გლეხთა ნაწილს მიწის მცირე ნაკვეთები კერძო საკუთრების უფლებითაც ეკუთვნოდა, ყუბანის დანარჩენ მაპმადიან მთიელებისაგან განსხვავებით ყარაჩაიში, როგორც გამონაკლისი, პროექტი უშვებდა განთავისუფლებული გლეხისადმი საკარმიდამო მიწის უსასყიდლო გადაცემას.

ზემდგომ ინსტანციებში განხილვისა და შეთანხმების შემდეგ 1867 წელს საგლეხო რეფორმის პროექტი და საგლეხო კომიტეტის წინადადებანი განსახილველად გადაეცა ყუბანის ოლქის მემამულეთა და გლეხთა დეპუტატებს (პროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია მონა ყმებს, ხოლო ყმათა დანარჩენ კატეგორიებიდან არჩიეს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც მორჩილებით გამოირჩეოდნენ). მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა უმრავლესობა მემამულეთა წრიდან იყვნენ და ყმა გლეხთა წარმომად-

გენლებიც სპეციალურად შეარჩიეს, პროექტზე ცხარე კამათი გაიშალა. გლეხთა დეპუტატები თავიანთი განთავისუფლებაზე უფრო შელავათიან პირობებს მოითხოვდნენ, ხოლო მემამულეები წინააღმდეგი იყვნენ იმაზეც, რომ განთავისუფლებულ ყმებს თავის კუთვნილ ქონებიდან რაიმე წაეღოთ. ამასთან, ისინი გამოსასყიდის გაზრდას და დროებითვალდებულების გახანგრძლივებასაც მოითხოვდნენ.

როგორც ჩანს, საგლეხო რეფორმის დებულების განხილვის გაჭიანურების გამო ყმათა მასები მოელვარებამ მოიცვა. უსასყიდლო განთავისუფლების მოლოდინში ყმათა ნაწილმა უარი განაცხადა ბეგარა-ვალდებულების შესრულებაზე და თავის სარგებლობაში არსებული მთელი ქონების უკლებლივ მისაკუთრებას ცდილობდა.

მდგომარეობის უკიდურესი გამწვავების შიშით 1867 წლის შემოდგომაზე კავკასიის ადმინისტრაციამ ყუბანის ოლქის-ელბრუსის, ზელენჩუკის და სხვა ოკრუგთა მოსახლეობას მიმართა პროკლამაციით, რომელშიაც გლეხობას ბატონყმობისაგან მალე განთავისუფლებას და ნადელების მიცემას აღუთქვამდა, მაგრამ სანამ ეს განხორციელდებოდა ტრადიციული ვალდებულების უყოყმანო შესრულებას მოითხოვდა.

როგორც მთავრობაც ვარაუდობდა, მიუხედავად საქმის გაჭიანურებისა და ხანგრძლივი დავისა, წინასწარ შემუშავებულ პროექტში შემამულეთა და გლეხთა დეპუტატებმა არსებითი ცვლილებები ვერ შეიტანეს, რის შემდეგ იგი საბოლოოდ დამტკიცდა.

საბოლოო მითითების შემდეგ, საგლეხო რეფორმის პროექტის შემუშავებისათვის მზადებას შეუდგა თერგის ადმინისტრაციაც. მიუხედავად ყაბარდოელ, ბალყარელ და ოს მებატონეთა წინააღმდეგობისა, გადაწყდა, რომ ბატონყმობა აქაც უნდა გაუქმებულიყო, რადგან ეს გადაწყვეტილება მტკიცე იყო, თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ხელში აეღო დებულების შემუშავება და რეფორმა მისთვის ხელსაყრელ პირობებში განეხორციელებინა.

ადმინისტრაციის მტკიცე მოთხოვნის შედეგად ყაბარდოსა და ბალყარეთის თავადაზნაურობამ (თავადებმა, უორკებმა და ტაუბიებმა) 1866 წლის 8 აგვისტოს ხელისუფლების სახელზე შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიაც წერდა, რომ ყმათა დაუყოვნებლივ განთავისუფლებით მათი მეურნეობა უკიდურესად გაჩანაგდებოდა. ისინი მოითხოვდნენ ერთიდან ორ წლამდე ვადას, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დიდი თავგამოსასყიდით გა-

ენთავისუფლებიათ ყმები. როდესაც მემამულეები ყმათა გახთავისუფლებაზე თანხმდებოდნენ, ვარაუდობდნენ, რომ სიღარიბის გამო ყმები თავს ვერ გამოისყიდიდნენ და კვლავ მათ ხელში დარჩებოდნენ დიდი ხნით. რაც შეეხება ე. წ. მონა ყმებს („უნაუტს", „ყარავაშს" და ე. წ. „კაზაკს") ყაბარდო-ბალყარეთის მემამულეთა მოთხოვნით ისინი 6—8 წლით მაინც უნდა დარჩენილიყვნენ მათ განკარგულებაში.

ყაბარდო-ბალყარეთის თავადაზნაურთა თანხმობას ამ წესით ყმათა განთავისუფლებაზე დიდი მოწონებით შეხვდა მეფისნაცვალი მიხეილი, რომელმაც კვლავ დაადასტურა რეფორმის დიდი მნიშვნელობა და აუცილებლობა.

თავადაზნაურთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავდა ყაბარდო-ბალყარეთის საგლეხო რეფორმის დებულების პროექტი და შემდეგ მისი განხილვა დაიწყო. რეფორმის პროექტი ყმათა მიმართ იმდენად მძიმე მოთხოვნებს აყენებდა, რომ თვით კონსერვატიულად განწყობილი მემამულეთა და მოხელეთა წარმომადგენლებიც კი იძულებული იყვნენ ეს ეღიარებინათ და ყმათა განთავისუფლება უფრო შელავათიან პირობებში მოეთხოვათ. მაგალითად, საგლეხო კომიტეტის წევრის პოლკოვნიკ ჩერქეზოვის აზრით, მონა ყმათა დროებითვალდებულების დრო ოთხ წელიწადზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, რის შემდეგ მათ თავისუფლება უნდა მინიჭებოდა. ამის საფუძველზე იგი მოითხოვდა სრულასაკოვანი მონა ყმის გამოსასყიდის 120 მანეთამდე შემცირებას. ამ მოსაზრებით დროებითვალდებულებაში მყოფი ყმის შრომა წელიწადში 30 მანეთად უნდა შეფასებულიყო, იმ ვარაუდით, რომ ოთხი წელიწადის შრომით იგი თავისუფალი ყოფილიყო. იმავე მოსაზრებით, თუკი ყმის ფასი 200 მანეთი დარჩებოდა, მაშინ ყმის ყოველწლიური შრომა 50 მანეთად უნდა შეფასებულიყო, რათა ამ შემთხვევაშიც დროებითვალდებულება ოთხ წელიწადზე მეტხანს არ გაგრძელებულიყო.

აზრთა განსხვავების მიუხედავად მემამულეები თავის ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ყოველნაირად იღვწოდნენ რეფორმა მათთვის ხელსაყრელ პირობებში გატარებულიყო.

რეფორმის საფუძვლების მოამზადების შემდეგ დებულების პროექტი განსახილველად გადაეცა თავადაზნაურთა და გლეხთა დეპუტატების საკრებულოებს, სადაც განხილვამ, აგრეთვე, ფორმალური ხასიათი მიიღო და შედარებით მოკლე ვადაშიც დამ-

თავრდა. დებულების საბოლოო ვარიანტი 1866 წლის ოქტომბერში მზად იყო.

კავკასიის საგლეხო კომიტეტმა თერგის ოლქის ხელმძღვანელობას დაავალა ჩრდ. ოსეთში (დიგორიაში, თაგაურში, ქურთათში და ალაგირში) ბატონყმობის საბოლოო ლიკვიდაციაზე ღონისძიების შემუშავებაც.

ისევე, როგორც ყაბარდო-ბალყარეთში, ბატონყმობის გაუქმებაზე დებულების პროექტი ოსეთში ძირითადად მეფის მოხელეებმა და მემამულეთა წარმომადგენლებმა მოამზადეს. რეფორმის დროს ჩრდ. ოსეთში დაახლოებით 46 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, აქედან უშუალო ყმად მხოლოდ 1500-მდე პირი იქნა მიჩნეული.

ოსეთში ბატონყმობის გაუქმების დებულებას ძირითად საფუძვლად დაედო კოძოკოვის მოსაზრება, რომლის მიხედვით მონა ყმები 15 წლამდე, ხოლო ყმა ფლეხები: ქალები 45 და მამაკაცები 50 წელიწადზე ზევით უფასოდ თავისუფლდებოდნენ; მონა ყმები 15-იდან 50 წლის ასაკამდე თავისუფლდებოდნენ 180 მანეთად, ან დროებითვალდებულებაში რჩებოდნენ 6 წლით და განთავისუფლების შემდეგ პირადი ქონების ნახევარი რჩებოდათ. ყმა გლეხები ან გამოსასყიდს იხდიდნენ, ან 3 წლით რჩებოდნენ დროებით ვალდებულებაში, შემდეგ კი სამუდამოდ თავისუფლდებოდნენ და თავისუფალ საზოგადოებას მიეწერებოდნენ. მცირეწლოვანი ყმები: გოგონები 10 და ვაჟები 15 წლის ასაკამდე, აგრეთვე ქალები 40-იდან და მამაკაცები 50 წლის ასაკიდან თავისუფლდებოდნენ უსასყიდლოდ.

რეფორმისათვის მზადებამ ყველაზე უფრო გაუგებარი და გაჭიანურებული ხასიათი დაღესტნის ოლქში მიიღო, სადაც ბოლომდე არც საადგილმამულო ურთიერთობა და არც წოდებრივი საკითხი გაირკვა. აქ რეფორმისათვის მზადებამ იმდენად ქაოსური ხასიათი მიიღო, რომ ყმათა ნაწილის განთავისუფლების საკითხი საერთოდ არც კი დასმულა.

დაღესტანში საგლეხო რეფორმის საკითხი ფაქტიურად მხოლოდ 1866 წელს დაისვა, როდესაც კავკასიის საგლეხო კომიტეტმა დაღესტნის მმართველობას მისცა მითითება მონობის ლიკვიდაციაზე. დაღესტნის მემამულეებმა თავდაპირველად უარყვეს მთავრობის მითითება, მაგრამ, როდესაც რეფორმის გარდაუვალობაში დარწმუნდნენ, მოითხოვეს მონების განთავისუფლება ადათის მიხედვით მომხდარიყო. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც მხოლოდ მემამულეთა და მოხე-

ლეთა წარმომადგენლები შეეიდნენ. სათანადო მითითების საფუძველზე კომისიამ რამდენიმე თვეში შეიმუშავა მონათა განთავისუფლების წესების პროექტი, რომელიც 1866 წლის შემოდგომაზე დამტკიცდა.

დებულების შესაბამისად, ყუმიყთა ოკრუგში 12-იდან 50 წლამდე მონის გამოსასყიდად დაწესდა 120-იდან 200 მანეთამდე საზღაური. დაღესტნის სხვა სამფლობელოებში მონა მამაკაცის გამოსასყიდი 100-იდან 180 მანეთამდე აღწევდა, ხოლო ქალს 100 მანეთს. ორივე სქესის არასრულწლოვანი მონის გამოსასყიდი კი 50-იდან 100 მანეთამდე აღწევდა.

დადგინდა, რომ საბოლოო განთავისუფლებამდე მონას ორი წელიწადი მფლობელთან უნდა დაეყო, რაც თავის გამოსასყიდი თანხის ნახევარს შეადგენდა, შემდეგ კი დარჩენილი თანხა უნდა გაეღო და მთლიანად თავისუფლდებოდა. თუკი მამაკაც მონას შესაძლებლობა გააჩნდა თავი ერთბაშად გამოესყიდა, მას შეეძლო ორი წლის სამსახურზე უარი ეთქვა; მონა ქალს ორი წლის დროებითვალდებულებაზე უარის თქმა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუკი ის გათხოვდებოდა და მის საფასურს ქმარი გადაიხდიდა.

საქმის ვითარებაში ნაწილობრივი გარკვევისა და ხანგრძლივი დავის შემდეგ 1868 წელს დაღესტანში შემუშავდა ყმა გლეხის გარკვეული კატეგორიის „ჩაგვრის“ განთავისუფლების წესებიც. ამდაგვარი დებულებების შემუშავების შემდეგ დაიწყო რეფორმის უშუალო განხორციელება.

§ 6. ბატონყმობის გაუქმება

როგორც ვნახეთ, საგლეხო რეფორმის შემუშავება ჩრდილო კავკასიაში ხანგრძლივი აგრარულ-კლასობრივი ბრძოლის და რუსეთის ზეგავლენის შედეგია. რეფორმის დებულებები სხვადასხვა ოლქში ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა და სხვადასხვა დროს შემუშავდა.

ბატონყმობა ჩრდილო კავკასიაში შედარებით თანმიმდევრულად და ყველაზე ადრე ყაბარდო-ბალყარეთში გაუქმდა. აქ ბატონყმობის გაუქმება 1866 წლის 18 ნოემბერს გამოცხადდა.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ 15-იდან 45 წლის ასაკამდე შრომისუნარიან ყმა მამაკაცს თავის გამოსყიდვაში გაეღო 200 მანეთი, შრომისუნარმოკლებულ, ავადმყოფ და სუსტ ყმათა გამოსასყიდი ფასი თითოეულ შემთხვევაში ცალკე უნდა დაწესებულიყო

მფლობელის და ყმის შეთანხმებით ან მომრიგებელი მოსამართლის შეშვეობით. არასრულწლოვანი ყმის გამოსასყიდი 150 მანეთამდე აღწევდა, ერთი წლის ასაკის ყმის გამოსასყიდი 10 მანეთს უდრიდა, შემდეგ კი ყოველ წელიწადზე 10 მანეთი ემატებოდა. ამასთანავე, მემამულეს რჩებოდა განთავისუფლებული ყმა გლეხის ქონების ნახევარი ან ორი მესამედი, ქოხი და საოჯახო დგამი ყმას ეკუთვნოდა. ზოგიერთი ყმა გლეხის („იასაკჩი") განთავისუფლებაზე 90-იდან 450 მანეთამდე დაწესდა.

თუკი ყმას არ შეეძლო თავის ერთბაშად გამოსყიდვა, მაშინ იგი როგორც დროებითვალდებული 6 წლით რჩებოდა მფლობელთან, რომლისათვის ძველებურად უნდა შეესრულებია, როგორც საშინაო, ისე მინდვრის სამუშაოები, შემდეგ კი საბოლოოდ თავისუფლდებოდა. სრულასაკოვანი შრომისუნარიანი მამაკაცის წლიური შრომა 35-იდან 70 მანეთამდე ფასდებოდა, ხოლო ქალის 25—40 მანეთად.

დროებითვალდებულების პერიოდში მფლობელი ვალდებული იყო ყმის მთელი ოჯახი საკვებით და ტანისამოსით უზრუნველეყო.

დებულების ერთ-ერთ პარაგრაფში განსაზღვრული იყო მონა ყმათა თავდახსნის პირობები. თუკი ისინი დადგენილ გამოსასყიდს ვერ გადაიხდიდნენ, მაშინ ვალდებული იყვნენ თავიანთ მფლობელთან 6 წელიწადი ემუშავათ ძველებურად და ამით გამოესყიდათ თავი.

როგორც რეფორმის შემდეგ გამოჩნდა, ყმა გლეხთა ნაწილი და მონა ყმათა აბსოლუტური უმრავლესობა თავის გამოსასყიდი სახსრების უქონლობის გამო მემამულეთა განკარგულებაში დარჩა არა მარტო 6 წელიწადს, არამედ უფრო დიდხანსაც.

რეფორმის შედეგად XIX ს. 60—70-იან წლებში ყაბარდო-ბალყარეთში განთავისუფლდა დაახლოებით 21 ათასი სული, მათ შორის 4 722 „ყარაკიში". ამასთან ერთად, დაახლოებით 12 ათასი გლეხი („ტლხოკოტლი") ოფიციალური განსჯით იურდიულად თავისუფალ კატეგორიას მიეკუთვნა (მაგრამ ფაქტიურად მემამულეებზე იყო ეკონომიურად დამოკიდებული) და ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე განთავისუფლებულ გლეხთა სიაში შევიდა.

ყაბარდო ბალყარეთის ცალკეულ ნაწილებში გლეხთა განთავისუფლების სურათი ასე გამოიყურებოდა: ბაქსანში (დიდ ყაბარდოში) 5270 სული, მცირე ყაბარდოში — 1411, ჩერეკში — 3158, ბალყარეთში — (მთიანეთში) 2971 და სხვ. ამასთანავე, 4722 „ყარაკიში" მთლიანად ბალყარეთზე მოდიოდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX ს. 60-იან წლებში ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობდა 40 ათასი სული, ხოლო მათგან 5 000 გაბატონებული კლასის წარმომადგენელი იყო, გამოდის, რომ ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფად მხოლოდ 14 228 სული იქნა მიჩნეული, 7 000-მდე ნახევრად დამოკიდებულად, ხოლო დანარჩენი თავისუფალ ფენად („აზატად"). შესაძლებელია ეს სურათი ზუსტად ვერ ასახავდეს ყაბარდო-ბალყარეთის კლასობრივ-სოციალურ სტრუქტურას, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ ფეოდალური ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის სხვა მხარეებთან შედარებით აქ მეტად ყოფილა განვითარებული.

ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებასთან დაკავშირებით ყაბარდო-ბალყარეთში ადმინისტრაციამ სამხედრო ნაწილების განსაკუთრებული მზადყოფნა გამოაცხადა, ამასთანავე, მემამულეთა და გლეხთა კონფლიქტის მოსაგვარებლად ყველა უბანში მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა დაწესდა. თითოეული უბნის მომრიგებელი მოსამართლე ცდილობდა გლეხთა უთანხმოება შეენელებინა, მაგრამ ზოგჯერ საქმეს არც ადმინისტრაციის, არც მომრიგებელი მოსამართლის და არც სამხედრო რაზმის ჩარევა არ შველოდა და უკმაყოფილო გლეხობა პროტესტით გამოდიოდა.

ბატონყმობის უსასყიდლო გაუქმების მომლოდინე გლეხობა სასტიკ უარს ამბობდა არა მარტო მემამულეებთან ე. წ. ნებაყოფლობით შეთანხმებაზე, არამედ მომრიგებელ-მოსამართლეთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი აქტების შესრულებაზე. გლეხთა ნაწილი განთავისუფლების აქტების შედგენაზე და მის შესრულებაზე იმ მოტივითაც აცხადებდა უარს, რომ ის თავს საერთოდ არ თვლიდა ყმად, ამიტომ არც არავითარი თანხის გადახდა არ სურდა.

ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ბალყარეთის გლეხთა 120 ოჯახი მღელვარებამ მოიცვა. როგორც კი მათ შეიტყვეს, რომ განთავისუფლებაში დიდი სახსრები უნდა გაეღოთ, კავკასიის არმიის მთავარსარდლის სახელზე გაგზავნეს თხოვნა, რომელშიც წერდნენ: „ტაუბიები ბოითხოვენ, რომ მთელი ჩვენი ქონება მათ ვადავცეთ, ადგილობრივი ადმინისტრაცია მემამულეთა პატივისცემით ყურს არ უგდებს ჩვენს საჩივრებს და თხოვნას, პირიქით პასუხისგებაში გვაძლევს და გვაძალებს მემამულეებს განთავისუფლებაში ქონების ორი მესამედი მივცეთ, ჩვენ მხოლოდ მესამედი დავიტოვოთ". ასეთი მოთხოვნა გლეხებს საქმის დამახინჯებად მიაჩნდათ და ადმინის-

ტრაციისა და მემამულეთაგან მოითხოვდნენ ძალადობის შეწყვეტას, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებით იმუქრებოდნენ. ბალყარეთის გლეხთა საჩივრის შინაარსის შეტყობის შემდეგ თერგის ოლქის უფროსმა ,ლორის-მელიქოვმა ბალყარეთის ოკრუგის უფროს პოლკოვნიკ ნურიდს საყვედური გამოუცხადა, გააფრთხილა დაუყოვნებლივ აღეკვეთა ყოველგვარი უწესრიგობა. თავის მხრივ ოკრუგის უფროსმა გლეხთა რამდენიმე წარმომადგენელი დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა.

ყაბარდო-ბალყარეთის გლეხთა განთავისუფლება იმდენად მძარცველურ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომ მიუხედავად რეპრესიებისა, ბალყარეთის გლეხთა გამოსვლები დიდხანს გაგრძელდა. ისინი თავს თავისთავად განთავისუფლებულად თვლიდნენ და მემამულე ათაჟუკინს უარს ეუბნებოდნენ გამოსასყიდის მიცემასა და რაიმე ვალდებულების შესრულებაზე. იყო შემთხვევები, როდესაც მემამულეები გლეხებს განთავისუფლებისათვის ართმევდნენ მთელ პირუტყვსა და სახნავ-სათიბ ნაკვეთებს, რომლებიც გაცილებით მეტი ღირდა, ვიდრე გამოსასყიდში იყო დაწესებული.

ბალყარეთის გლეხთა მძიმე მდგომარეობაზე და რეფორმის მძარცველური ხასიათის წინააღმდეგ მათ განწყობილებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაცია მემამულეებს უცხადებდა: თუ განთავისუფლებულ გლეხებს ძველი მიწის ნახევარს მაინც არ დაუტოვებთ, მაშინ საქმე საშიშ ხასიათს მიიღებსო.

თუ გლეხობას რამდენი უჯდებოდა ბატონყმობისაგან განთავისუფლება ეს კარგად ჩანს მთელ რიგ მაგალითებიდან. განთავისუფლებამდე შედარებით შეძლებულ ყმა გლეხ ჩაჩაევის ოჯახს ჰყავდა 1 ცხენი, 13 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 60 ცხვარი, ფლობდა 5 დესეტინა სახნავ მიწას, 2 დესეტინა სათიბს. აქედან მებატონე დეევლეთ გირეიმ სუნშევსს გამოსასყიდში მისცა: 1 ცხენი, 10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 40 ცხვარი, 3 დესეტინა სახნავი და 1 დესეტინა სათიბი მიწა. ხშირი იყო, როდესაც ერთი ოჯახის გამოსასყიდი თანხა 1 000 მანეთს და მეტსაც შეადგენდა.

ბალყარეთში რეფორმის მომენტში ყმა გლეხობას ჰყავდა 786 ცხენი, 6 053 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 40 228 ცხვარი, აქედან განთავისუფლების შემდეგ გლეხობას დარჩა 443 ცხენი, 3 979 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 26 414 ცხვარი. ამასთან გლეხობას ჩამოეჭრა სახნაი, სათიბი და საძოვარი მიწე-

ბის ნახევარზე მეტი. საბოლოო ჯამში, ყაბარდო-ბალყარეთის მეზამულეებმა რეფორმის შედეგად გლეხობის ხარჯზე მიიღეს 2,5 მლნ. მანეთი.

რეფორმის შედეგად ყაბარდო-ბალყარეთის „განთავისუფლებული" გლეხობა ისეთნაირ მძიმე პირობებში ჩავარდა, რომ მეფისნაცვალი იძულებული გახდა 1867 წლის დეკემბერში გლეხთა ნაწილი 8 წლით გაენთავისუფლებინა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

სათანადო ღონისძიების გატარებისა და 1867 წ. 28 ნოემბერს ბატონყმობის გაუქმების გამოცხადების შემდეგ ჩრდილო ოსეთში შეიქმნა მომრიგებელ შუამავალთა ჯგუფები მფლობელთა ორი და ყმათა ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით.

ჩრდილო ოსეთში განთავისუფლება შეეხო 627 მონა ყმას და 822 ყმა გლეხს. მათ შორის ასაკის, ინვალიდობის და სხვა შეღავათების გამო განთავისუფლდა 401 მონა ყმა და 559 ყმა გლეხი, ხოლო ხელმოკლეობის გამო დროებითვალდებულებაში დარჩა 201 მონა ყმა. ყმა გლეხთა ნაწილი (ქავდასარდები და კუმაიაგები) სრულიად ხელცარიელი განთავისუფლდნენ. ამიტომ მთავრობა იძულებული შეიქმნა ისინი 8 წლით გაენთავისუფლებინა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

საგლეხო რეფორმამ შედარებით გაჭიანურებული ხასიათი მიიღო ყუბანისა და დაღესტნის ოლქებში.

კავკასიის ადმინისტრაციამ სცადა რეფორმისათვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცა ყუბანის ოლქშიც. საგლეხო კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია დებულების საფუძველზე მემამულეები და გლეხები თვითონ შეთანხმებულიყვნენ თუ როდის და რა პირობებში უნდა მომხდარიყო მათი ურთიერთობის საბოლოო ლიკვიდაცია. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ადმინისტრაციამ დაწესა მემამულისა და გლეხის შეთანხმება ორი მოწმის (მემამულის და გლეხის) თანდასწრებით მომხდარიყო.

რადგან გლეხები უსასყიდლოდ განთავისუფლებას მოელოდნენ, ისინი წინააღმდეგი იყვნენ მემამულეებთან მორიგებაზე. მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ უფასოდ ვერ განთავისუფლდებოდნენ, თანახმა იყვნენ თავისი ქონების უდიდესი ნაწილი გაეღოთ, ოღონდ მალე განთავისუფლებულიყვნენ.

სხვადასხვა მიზეზების გამო ყუბანში ბატონყმობის გაუქმება თავდაპირველად დადგენილ დროზე — 1868 წ. 1 მაისს ვერ განხორციელდა. ამიტომ იგი 1868 წლის 1 ნოემბრამდე გადაიდო.

ამ დღეს ყუბანის ოლქის ხუთივე ოკრუგის მოსახლეობას გამოეცხადა, რომ ამიერიდან ყმა გლეხები თავისუფალ მოქალაქეებად ცხადდებოდნენ და თავის გამოსყიდვის შემდეგ სრული თავისუფლება ენიჭებოდათ. მაგრამ ის მიზეზი, რამაც ბატონყმობის გაუქმების თარიღის გადაწევა განაპირობა იყო მიწის გამოკვნის დაუმთავრებლობა, რაც ჯერაც არ იყო ლიკვიდირებული.

1868 წლის შემოდგომაზე ადიღეში, ჩერქეზეთსა და ყარაჩაიში მემამულეები და გლეხები მომრიგებელ მოსამართლეთა მეშვეობით მასობრივად აფორმებდნენ გამოსყიდვის აქტებს. ყმათა გამოსყიდვის ტემპი ყველაზე მაღალი თითქმის ყარაჩაიში იყო, სადაც ყმა გლეხთა ნაწილი საკუთარ მცირე მიწასაც ფლობდა. მომრიგებელ შუამავლებად იყვნენ მემამულეთა, ადმინისტრაციის და სამხედრო ოფიცერთა წარმომადგენლები, რომლებიც არა მარტო ზოგადად უჭერდნენ მხარს მემამულეებს, არამედ გლეხის ქონების შეფასების დროსაც მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ყუბანის ოლქში ბატონყმობისაგან განთავისუფლება გამოეცხადა 16630 ადამიანს, მათ შორის:[1]

ოკრუგი	უნაუტი	ფშიტლი	ოგი	სულ
პსეკუპსის	438	1489	—	1927
ლაბინსკის	982	5365	109	6456
ურუპის	469	1113	46	1628
ზელენჩუკის	639	4110	8	4826
ელბრუსის	645	1148	—	1793
ს უ ლ	3173	13225	163	16630

სხვა მონაცემებით, რეფორმის დროს ყუბანის ოლქის ხუთ სამხედრო ოკრუგში ორივე სქესის ყმათა რიცხვი 19071 სულს შეადგენდა, ხოლო მეტ-ნაკლებად თავისუფალ გლეხთა რიცხვი 66003 სულს. აქვე სამღვდელოებას ეკუთვნოდა 1242, ხოლო თავადაზნაურობას 2460 ადამიანი. იგივე მონაცემებით, ყუბანის ოლქში სულ 87423 ადგილობრივი ადამიანი სახლობდა.

[1] В. П. Невская. Реформы 60—70-х годов XIX в. Очерки истории Карачаево-Черкезии. с. 428.

დებულების შესაბამისად ყმა გლეხის („ფშიტლის, „ანხაიუ“ და „ოულგიულკულის“) გამოსასყიდი ყუბანის ოლქში უდრიდა: 1. მამაკაცის 7 წლიდან 40 წლამდე 20-იდან 150 მანეთს; 41 წლიდან 55 წლამდე მათი ფასი თანდათან მცირდებოდა 15 მანეთამდე; 2. ქალის გამოსასყიდი 7-იდან 14 წლამდე 20-იდან 125 მანეთამდე, 15-იდან 35 წლამდე ქალის გამოსასყიდი 150 მანეთს, 36-იდან 44 წლამდე თანდათან მცირდებოდა 15 მანეთამდე.

ყმა გლეხის ორივე სქესის ბავშვები 7 წლამდე, ქალები 45 და მამაკაცები 55 წლის ასაკიდან თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. ქალიშვილები მანამ გათხოვდებოდნენ დროებით თავისუფლდებოდნენ გამოსასყიდისაგან, შემდეგ კი მას ყალიმიდან იხდიდნენ.

მდედრობითი სქესის პირთა გამოსასყიდი თანხის განსაზღვრასთან დაკავშირებით შენიშნული იყო, რომ ქვრივები გამოსასყიდში იხდიდნენ 100 მანეთს. ყმა გლეხის ყველა პირის გამოსასყიდი თანხა ექვსი წლის განმავლობაში უნდა გადახდილიყო.

ნახევრად თავისუფალი ყმა გლეხის („ოგის“) განთავისუფლება შედარებით შეღავათებში წარმოებდა. ამ კატეგორიის მდედრობითი სქესის ყველა პირი გამოსასყიდის გარეშე თავისუფლდებოდა, ხოლო მამაკაცის გამოსასყიდი თანხა განისაზღვრებოდა იმავე ასაკის „ფშიტლის“ გამოსასყიდი თანხის შესაბამისად.

ბევრად მძიმე პირობები იყო დაწესებული მონა ყმის („უნაუტის“ და „ბაშსიზკულის“) განთავისუფლებაზე. რადგან ყმათა ეს კატეგორია ასრულებდა მფლობელია მძიმე საშინაო საქმეს, მემამულეები მათ განთავისუფლებას ყველანაირად აბრკოლებდნენ. ამიტომ ამ კატეგორიის ყმისთვის სავალდებულო იყო განთავისუფლების გამოცხადებიდან ორი წლით დარჩენილიყო მფლობელის სამსახურში, შემდეგ კი შეეძლო თავის გამოსყიდვა, როგორც გამონაკლისი, ქალს გათხოვების შემთხვევაში შეეძლო ერთი წლის სავალდებულო სამსახურის შემდეგ გამოესყიდა თავი.

ორივე სქესის მონა ყმა 7 წლამდე და 45 წლის ასაკიდან უსასყიდლოდ თავისუფლდებოდა ორი წლის სავალდებულო სამსახურის შემდეგ. დანარჩენები ორი წლის სამსახურის შემდეგ გამოსასყიდში იხდიდნენ დადგენილი ნორმის ნახევარს. ამ კატეგო-

რიის სრულასაკოვანი ყმის ერთი წლის სამსახური ფასდებოდა 50 მანეთად ანუ გამოსასყიდის მეოთხედად.

7-იდან 35 წლის ასაკის მონა ყმის გამოსასყიდი 20-იდან 200 მანეთი იყო, 35-იდან 38 წლამდე 150 მანეთი, 38-იდან 41 წლამდე 100 მანეთი. 42-იდან 45 წლამდე 50 მანეთი. ბავშვები რჩებოდნენ მშობლებთან, მფლობელი ვალდებული იყო მშობლების თავის გამოსყიდვამდე ერჩინა ისინიც. უპატრონო ბავშვები გასაზრდელად ეძლეოდა მსურველს, რომელთანაც 15—16 წლის ასაკამდე მოახლედ უნდა დარჩენილიყვნენ. უპატრონო მოხუცებულები მფლობელის დატოვების შემთხვევაში საზოგადოების მზრუნველობაში გადადიოდნენ.

მართალია, 1868 წლის 1 ნოემბერს ყუბანის ოლქში ბატონყმობის გაუქმება საყოველთაოდ გამოცხადდა, მაგრამ სიღარიბის გამო ყმათა უმრავლესობის განთავისუფლება მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ ან უფრო გვიან მოხდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დადგენილი ნორმით ყმის ოჯახს 600—800 მანეთი უნდა გადაეხადა, ეს მაშინ, როდესაც ოფიციალური ფასებით ძროხა მხოლოდ 10 მანეთად, ცხენი 20 — 30 მანეთად და ცხვარი 3 მანეთად ფასდებოდა. ცხადია, ასეთი დიდი თანხის ერთდროული გადახდა ყმებს არ შეეძლოთ მთელი თავისი კუთვნილი ქონებაც რომ გაეღოთ. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ მონა ყმები, რომელთაც არავითარი ქონება არ გააჩნდათ და თავისი შრომით უნდა გამოეისყიდათ თავი.

მძიმე მდგომარეობაში იყვნენ მოხუცებულები და ბავშვები, რომელთაც მარჩენალი არ ჰყავდათ. ისინი ან ძველი ბატონის განკარგულებაში რჩებოდნენ ან ახლის მოსამსახურე ხდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ყმა გლეხობის დასახმარებლად მთავრობამ ყუბანის ოლქში 50 ათასი მანეთი გამოყო, მაგრამ ამ თანხის ძირითადი ნაწილი ფაქტორად რეფორმის სამუშაოებს და მემამულეებს მოხმარდა, ხოლო უღარიბესი ყმა გლეხობის განთავისუფლებას მხოლოდ მცირე ნაწილი.

რადგან ყმათა უმრავლესობამ უცებ ვერ გამოისყიდა თავი, ისინი იძულებული იყვნენ ყოველწლიურად გადასახდელ ვალზე მემამულეებისათვის აქტები გაეფორმებინათ, მაგრამ ამ თანხის თავის დროზე გადაუხდელობის გამო მათ საურავიც ერიცხებოდათ, რაც ზოგჯერ მთელი გამოსასყიდი თანხის 10—20 პროცენტს აღწევდა. გარდა იმისა, რომ გამოსასყიდს პროცენტი ემატებოდა, ყმა

გლეხობას თავგამოსასყიდის თავის დროზე გადაუხდელობის გამო ხშირად აკარიმებდნენ, აპატიმრებდნენ და საზოგადოებრივ სამუშაოებზე აგზავნიდნენ. დავალიანების გამო მემამულეები ყმა გლეხობას არა მარტო მთელ ქონებას ართმევდნენ, არამედ ზოგჯერ მოზრდილ ბავშვებსაც, რომელთაც იძულებით აბამდნენ მძიმე შრომაში და მათ გამომუშავებულ გროშებს თვითონ ითვისებდნენ.

ჩრდილო კავკასიაში რეფორმამ ყველაზე არათანამიმდევრული ხასიათი დაღესტანში მიიღო. როგორც აღვნიშნეთ, აქ თავდაპირველად რეფორმა მხოლოდ შამხლების, ბეგების, ნაიბების და სხვა ამგვარი ფეოდალების ყმებს შეეხო. ამასთანავე, 1866 წელს შემუშავებული წესების საფუძველზე ე. წ. მონობის საბოლოო ლიკვიდაციაც დაიწყო.

1866 — 1868 წლებში დაღესტანში განთავისუფლდა დაახლოებით 1500-მდე ყმა, ხოლო 60—70 წლებში 4,5 ათასი ყმა.

განთავისუფლების შემდეგ მონა ყმას სპეციალური მოწმობა ეძლეოდა და მიწერილი იყო საზოგადოებაზე, სადც 7 წლით თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადებისაგან. შემდეგ კი სახელმწიფო შრომითი ბეგარა და ფულადი გადასახადი ედებოდა.

მონობის ლიკვიდაციასთან ერთად, დაღესტანში დაისვა „ჩაგართა" განთავისუფლების საკითხიც, მაგრამ ამაზე დაცა დიდხანს გაგრძელდა. ყმათა ეს კატეგორია თავის უფლებებით და ქონებრივი მდგომარეობით ახლო იდგა მონასთან. 1868 წელს გადაწყდა განთავისუფლებულიყო ჩაგარიც, ოღონდ გამოსასყიდის გარეშე, უმწაწყლოდ. ერთი წლის განმავლობაში განთავისუფლდა 2 ათასამდე ჩაგარი, რომელთაგან იშვიათად თუ ვინმე იქნა უზრუნველყოფილი თუნდაც საკარმიდამო მიწით.

რეფორმათა შედეგად მთელ დაღესტანში მებატონეთა დამოკიდებულებისაგან სულ 58 ათასი ადამიანი განთავისუფლდა.

რეფორმამ ფაქტიურად არაფერი გააკეთა ყმობისაგან განთავისუფლებულთა მატერიალურ უზრუნველყოფისათვის. უკიდურესი სიღარიბის გამო მათი უმრავლესობა კვლავ მემამულეებზე იყვნენ დამოკიდებული.

რეფორმამ მხოლოდ სანახევროდ გადაჭრა ე. წ. თავისუფალი გლეხობის (რაიათთა და უზდენთა) საკითხიც, მათ რეფორმა საერთოდ არ შეეხო. ამიტომ გლეხთა ერთი ნაწილი 1913 წლამდე მემამულეთა ეკონომიურ კაბალაში დარჩა.

§ 7. რეფორმის მნიშვნელობა

როგორც ვნახეთ, რეფორმის შედეგად საუკეთესო მიწების და დანარჩენი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი მემამულეთა, მოხელეთა და ხაზინის ხელში დარჩა, გლეხობა როგორც ეკონომიკურად, აგრეთვე პოლიტიკურად კვლავ უუფლებო და ჩაგრულ კლასად დარჩა. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მემამულეებმა რეფორმის დროს ისე წაიყვანეს საქმე, რომ „გლეხები განთავისუფლდნენ გაძარცვულ-გაღატაკებულნი...“[2].

მიუხედავად მემამულურ-ბურჟუაზიული და სანახევრო-არათანამიმდევრული ხასიათისა, რეფორმას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმის შედეგად ჩრდ. კავკასიაში მთლიანად იქნა ლიკვიდირებული მონათმფლობელური ურთიერთობის გადმონაშთები, გაუქმებულ იქნა ბატონყმობა, გატარდა მიწის გამიჯვნა, ე. წ. „მონები“ და ყმა გლეხები სოფლის თემის წევრები გახდნენ.

ბატონყმობის გაუქმებამ დაანგრია ბატონსა და ყმას შორის არსებული ძველი ურთიერთობა და დასაბამი მისცა თავისუფალ დაქირავებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას. რეფორმამ არა მარტო ფეოდალიზმამდელი საზოგადოებრივი ურთიერთობების გადმონაშთების ლიკვიდაცია მოახდინა, არამედ მიუხედავად „დროებითვალდებულების“ შენარჩუნებისა საფუძველი ჩაუყარა მშრომელთა იურიდიულ თავისუფლებას, როდესაც მიწაზე მიმაგრებულმა ყმამ თავისუფალი შრომის, ნადელის მიღების და მეურნეობის დამოუკიდებელი მართვის უფლება მიიღო. გლეხობა თანდათან განთავისუფლდა მემამულეთა თვითნებობისაგან და თემის თავისუფალმოქმედ წევრად გადაქცევის გზას დაადგა.

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციამ დაჩქარა კაპიტალიზმის განვითარება, ხელი შეუწყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა გაერთიანებას, კონსოლიდაციასა და ცხოვრების დაწინაურებას.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური რუსეთისაგან განსხვავებით, ჩრდილო კავკასია, როგორც კოლონია, ნელი ტემპით ვითარდებოდა, რეფორმის შემდეგ აქაც დაინგრა ვიწრო კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა და კაპიტალიზმი განვითარდა.

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 87.

მესამე ნაწილი

ჩრდილო კავკასია XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში

პირველი თავი

პოლიტიკური ვითარება ჩრდილო კავკასიაში რეფორმისშემდგომ ხანაში

§ 1. კავკასიის ომის დასრულება და მთიელთა გადასახლება თურქეთში

XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში ჩრდილო კავკასიაში ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ხანგრძლივი და მძიმე ომი კავკასიის ხალხთა დასამორჩილებლად ცარიზმმა გამარჯვებით დაასრულა. 1859 წ. შამილის დატყვევებით კავკასიის ომის ძირითადი კერა — დაღესტანი — ლიკვიდირებულ იქნა. მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ომი 1864 წლამდე კიდევ გრძელდებოდა. ომში გამარჯვებამ ცარიზმის პოზიციები კავკასიაში ურყევი გახადა. მაგრამ ამ გამარჯვებას მოჰყვა კავკასიის მთიელ ხალხთა მასობრივი გადასახლება თურქეთში. ეს მოვლენა კავკასიის მთიელ ხალხთა უმძიმესი ტრაგედია იყო. გადასახლება ნიშნავდა არა მარტო სამშობლოს მიტოვებას, მამაპაპური სახლ-კარის დაკარგვას, არამედ მძიმე განსაცდელში ჩავარდნას.

თურქეთის აგენტურის, ადგილობრივი სოციალური ზედაფენებისა და სასულიერო წრეების ანტირუსული პროპაგანდა-აგიტაციით თავბრუდახვეულმა, ცარიზმის მიერ დამარცხებულმა და შევიწროებულმა მთიელებმა მასობრივად მიაშურეს თურქეთს. ისინი ენდნენ თურქეთის ემისრებს, რომ ერთმორწმუნე თურქეთი მათ ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ.

როცა რუსეთის გამარჯვება კავკასიის ომში ცხადი შეიქნა,

თურქეთში გადასახლების პროპაგანდა დაიწყო. მთიელთა სოციალურ ზედაფენებს ეშინოდათ, რომ ისინი თავის სოციალურ-პოლიტიკურ პრეროგატივებს დაკარგავდნენ, დაბოლოებულ მოსახლეობას ჩამოართმევდნენ. ანატომ თურქეთში გადასახლება ხსნად მიაჩნდათ. სასულიერო წრეები აშინებდნენ, რომ რუსები შეურაცხყოფდნენ მათ რელიგიურ გრძნობებს, ძალად გაქრისტიანებდნენ, ჯარში გაიწვევდნენ და სხვ. თურქეთის აგენტურაც ამოქმედდა, თურქეთს ისინი სამოთხედ უსახავდნენ. სინამდვილეში თურქეთს სურდა რუსეთისადმი გაბოროტებული ეს ფანატიკური მასა რუსეთ-თურქეთის საზღვარზე დაესახლებინა და საჭიროების დროს საზარბაზნე ხორცად გამოეყენებინა.

კავკასიის ხალხების ხანგრძლივი წინააღმდეგობით გაბეზრებულმა მეფის მთავრობამაც ეს მოვლენა თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნია. თურქეთში ამ დაუმორჩილებელი, მტრული ელემენტის გადასახლებით იგი, ერთი მხრივ, მხარის პოლიტიკური დამშვიდების მიღწევას ცდილობდა, მეორე მხრივ კი მიწის უზარმაზარი ფონდის ხელში ჩაგდებას საკოლონიზაციოდ.

რადგან თურქეთი და რუსეთიც დაინტერესებული იყო მთიელთა გადასახლებით, მათ შეთანხმებაც აღარ გასჭირვებიათ აღნიშნულ საკითხზე. რუსეთი მატერიალურ და მორალურ დახმარებას აღუთქვამდა თურქეთს მაჰმადიანთა გადასახლებაში, თურქეთი კი მათ მიღება-დაბინავებას კისრულობდა.

მთიელთა გადასახლების პროცესი თურქეთში, რომელმაც შუაჯერობის სახელწოდება მიიღო, დაიწყო 1858—59 წლებში, მაგრამ კულმინაციას მიაღწია 1863—64 წწ. კავკასიის ომის დასკვნით ეტაპზე. თურქეთში სახლდებოდნენ აბაზინელები, ნოღაელები, აბაძეხები, შაფსუღები, მაგრამ როგორი მოტივებიც არ უნდა ჰქონოდათ ამ გადასახლების მიმართ რუსეთ-თურქეთის მთავრობებს და თვით ამ გადასახლების ორგანიზატორებს მთიელთა ზედაფენებიდან, იგი კავკასიის მთიელი ხალხის მიმართ უმძიმეს პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენდა და მასში თანაბრადაა დამნაშავე როგორც რუსეთისა და თურქეთის მთავრობები, ასევე მთიელთა პრივილეგირებული ფენები; გადასახლებამ მოიცვა ბეჟედუხები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ჩეჩნები, ოსები, დაღესტნელები. აღსანიშნავია, რომ დაღესტნელები, ოსები და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის სხვა მთიელები შედარებით მცირედ გადასახლდნენ. დაღესტან-ჩეჩნებისათვის ის თურქეთის სიშორით აიხსნება. ოსეთში კი იმით, რომ იქ მაჰმადიანები მცირერიცხოვანი იყვნენ

და კავკასიის ომში არ მონაწილეობდნენ. ამავე დროს ოსეთის ახლად ფეხადგმულმა ინტელიგენციამ ხელი შეუშალა თურქეთის აგენტურას.

მთიელების გადასახლება თურქეთში სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში გროვდებოდნენ და თურქებს უკიდურესობამდე გადატვირთული უვარგისი გემებით გადაჰყავდათ. ზოგიც ურმებით მიდიოდა. გზაში უამრავი მთიელი დაიხოცა. გაჩნდა ეპიდემია, რომელიც მუსრს ავლებდა მათ. მას ემატებოდა შიმშილი, სიცივე.

თურქეთის ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა გადასახლებულთათვის ცხოვრების მინიმალური პირობების შესაქმნელად. მათ უვარგის ადგილებში უყრიდნენ თავს, სადაც მათი რიგები სწრაფად თხელდებოდა.

მთიელები ბოლოს მიხვდნენ თავის უბედურებას და მოინდომეს უკან დაბრუნება. მცირე ნაწილმა დასაწყისში კიდეც მოახერხა ეს, მაგრამ როცა ამან მასობრივი ხასიათი მიიღო, რუსეთის მთავრობამ კატეგორიულად აკრძალა იგი.

თურქეთში გადასახლებულთა რიცხვი დიდი იყო. მათი რიცხვი, ვინც 1859—65 წწ. გადასახლდა თურქეთში, 700—750 ათასი სულით განისაზღვრება. ძირითადად ეს გადასახლება მოდის ადიღე-ჩერქეზებზე და ნოღაელებზე, შემდეგ მოსდევდნენ ყაბარდოელები. ამ წლებში ოსთაგან გადასახლებულნი 3 000 სულს შეადგენდნენ. კავკასიელი მთიელების ძირითადი ნაწილი თურქეთმა 1 867 წლიდან ბულგარეთში გადაასახლა, რათა იქაურ ქრისტიან ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა, ან დიდი სახელმწიფოების მიერ იქაურ ხალხთათვის ავტონომიის მოთხოვნის შემთხვევაში ქრისტიანები და მაჰმადიანები გაწონასწორებულნი ყოფილიყვნენ. ასეთ შემთხვევაში ავტონომიის მოთხოვნას საფუძველი არ ექნებოდა. მთიელებს ბალკანეთში სტრატეგიულად მნშვნელოვან ადგილებში ასახლებდნენ, რათა გართულებებისას ისინი თურქეთის დასაყრდენი ყოფილიყვნენ.

მძიმე პირობებში ჩავარდნილ კავკასიელ მთიელებს თურქეთში სხვა არ დარჩენოდათ რა, თუ არა ის, რომ შესულიყვნენ თურქეთის ჯარში დაქირავებულ მეომრებად. 1864 წ. 30 ივნისს რუსეთის კონსული თურქეთიდან იტყობინებოდა, რომ 3000 ჩერქეზი უკვე შევიდა თურქეთის არმიაში.

კავკასიელ მთიელთა მასობრივი გადასახლება თურქეთში

1859—65 წლებში მოხდა, მაგრამ იგი არც შემდგომ შეწყვეტილა და გრძელდებოდა მცირე მასშტაბით მთელი XIX ს. მანძილზე და XX ს. დასაწყისშიც კი.

მაგალითად ყუბანის ოლქიდან 1871—1881 წლებში თურქეთში გადასახლდა 428 კომლი, 1882—83 წწ. — 1 381 კომლი. ყუბანის ოლქის მთელი აულები ითხოვდნენ თურქეთში გადასახლების ნებართვას. 1888 წ. ადიღეელთა მთელმა რიგმა აულებმა, იმის გამო, რომ 1887 წ. მათი სამხედრო სამსახურში გაწვევა მოინდომეს, გადაწყვიტეს თურქეთში გადასახლება. თურქეთის აგენტურამ ისარგებლა ადიღეელთა უკმაყოფილებით და ანტირუსული სულისკვეთების გაღვივება დაიწყო. ადიღეელთა ნაწილი კვლავ წამოეგო თურქეთის აგენტურის ანკესზე. რუსეთის სამეფო კარმა დაუყოვნებლივ მისცა თანხმობა გადასახლებაზე და 1888 წ. ოქტომბერში აულ ხაჯიმუკოვის 3333 სული მცხოვრები თურქეთში გადასახლდა. მათ საზოგადოებრივი ნაგებობების გაყიდვა აუკრძალეს, კერძო ნაგებობათა გაყიდვაში კი აფერხებდნენ, რადგან აულის ადგილზე კაზაკთა სტანიცის შექმნა იყო დაგეგმილი.

ხშირად თვით მეფის ადგილობრივი ადმინისტრაციაც მოითხოვდა აულების იძულებით გადასახლებას და ამას აკეთებდნენ კიდეც. 1889 წ. 7 ნოემბერს მეფემ „ნება დართო“ ადიღეელთა 6 აულის მოსახლეობას თურქეთში გადასახლებისა. ადიღეელთა უმრავლესობა მზად იყო სამხედრო ბეგარაც ეკისრათ, ოღონდ დაეტოვებინათ, მაგრამ მათ აღარაფერი ეშველათ. 1890 წ. ლაბისა და ეკატერინოდარის განყოფილებებიდან 7 აული გაასახლეს (ცარიზმს მათი მიწები სჭირდებოდა).

80—90-იან წლებში ყუბანის ოლქიდან თურქეთში გადასახლებულთა რიცხვი 20 ათას სულს აღწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მათ მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, კავკასიის მთიელთა თურქეთში გადასახლება კვლავ გრძელდებოდა. იგი გამოწვეული იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით, მისი კავკასიური ადმინისტრაციის ანტიხალხური პოლიტიკით და მძიმე ეროვნული ჩაგვრით. მთიელებს ხსნის ერთადერთ გზად გადასახლება მიაჩნდათ.

§ 2. ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის რეფორმები

ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში და კავკასიის ომის დამთავრებამ ცარიზმისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის წინაშე დააყენა მხარის მთელი მმართველობის სისტემის რეორგანი-

ზაციის აუცილებლობა. მათი მიზანი იყო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის სამოქალაქო ყოფის ისე მოწყობა, რომ ცარიზმის პოზიციები ოდნავადაც არ შესუსტებულიყო.

ომის დამთავრებამ ზედმეტი გახადა კავკასიის ხაზის არსებობა და იგი გაუქმებულ იქნა. 1860 წ. 3 მაისის ბრძანებით კავკასიის მთავარსარდალმა თავადმა ბარიატინსკიმ ჩამოაყალიბა ყუბანისა და თერგის ოლქები და სტავროპოლის გუბერნია. ამ სამი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიას. დაღესტანი ამიერკავკასიას მიათვალეს და ცალკე ოლქად გამოაცხადეს.

ჩრდლო კავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის ახალი სისტემაც, მსგავსად ძველისა, ფიქრობდა, რომ კაზაკობა წარმოადგენდა მთავრობის დასაყრდენს. ბარიატინსკი პირდაპირ აცხადებდა, რომ მთიელთა სამოქალაქო მოწყობას ისე უნდა ვუყურებდეთ. როგორც მათი დაპყრობის გაგრძელებას. მაგრამ რაკი ომი დამთავრებული იყო, ცარიზმის კავკასიურ ადმინისტრაციას ძირითადი ყურადღება სამოქალაქო საქმეებისათვის უნდა მიექცია. ამის შესაბამისად მიმდინარეობდა ადმინისტრაციული, სასამართლო, ეკონომიკური და სხვა ხასიათის გარდაქმნები.

1860 წ. ჩატარებული ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ ჩრდილო კავკასიამ შემდეგი სახე მიიღო: ადიღე-ჩერქეზების ის ნაწილი, რომელიც თანატომელთა თურქეთში გადასახლების შემდეგ ადგილზე დარჩა, და ყარაჩაელები ყუბანის ოლქში შევიდნენ. დანარჩენი მთიელები: ყაბარდოელები, ბალყარელები, ოსები, ჩეჩენ-ინგუშები თერგის ოლქში გააერთიანეს.

თერგის ოლქი ადმინისტრაციულად შედგებოდა ვლადიკავკაზის (ოსები), ნალჩიკის (ყაბარდოელები და ბალყარები), გროზნოს, ვედენოს და არღუნის (ჩეჩნები), ხასავ-იურტის (ყუმიყები და ჩეჩნები) ოკრუგებისა და კაზაკთა 3 განყოფილებისაგან (ოტდელისაგან). ინგუშეთი 1866 წ. ჩეჩნეთს გამოეყო ადმინისტრაციულად და ცალკე — ნაზრანის — ოკრუგად ჩამოყალიბდა. ეს ადმინისტრაციული დაყოფა უცვლელი არ იყო, მასში გარკვეული ცვლილებები ხდებოდა. 1883 წ. თერგის ოლქი იყოფოდა სამ კაზაკურ განყოფილებად და 4 ოკრუგად — ვლადიკავკაზის, სუნჯის, პიატიგორსკის და ყიზლარის. სხვა ოკრუგები გაუქმდა და დასახელებულ ოკრუგებში შევიდნენ. ინგუშები კაზაკურ ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს.

ყუბანის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა უფრო გვიან მოხდა (ომი აქ 1864 წლამდე გრძელდებოდა). 1868 წ. ადიღეელებით დასახლებული ყუბანის ოლქი 5 სამხედრო განყოფილებად (ოტდელად) — ფსეკუფსის, ლაბის, ურუპის, ზელენჩუკის და ელბრუსის — დაიყო. 1871 წ. სამხედრო განყოფილებები გაუქმდა და ყუბანის ოლქში სამოქალაქო მმართველობა იქნა შეიღებული. ადიღეური მოსახლეობა სამ მაზრაში — მაიკოპის, ბატალფაშინსკის და ეკატერინოდარის მაზრებში გაერთიანდა.

1888 წ. 21 მარტიდან ყუბანის ოლქის მმართველობა გადაეცა ყუბანის კაზაკთა ჯარების მთავარსარდალს — ატამანს, რომელიც ოლქის მმართველადაც ითვლებოდა. ამ დროიდან მთელი ოლქის მმართველობა გასამხედროებული კაზაკური ადმინისტრაციის ხელში იყო. ამ რეფორმის მიზანი იყო კოლონიური რეჟიმის კიდევ უფრო განმტკიცება და გაძლიერება. ოლქი 7 განყოფილებად დაიყო, განყოფილებები საბოქაულოებად იყოფოდა. სტანიცების სათავეში ატამანები, აულებისა კი მამასახლისები ინიშნებოდნენ. ვიწრო კასტური კაზაკური სამხედრო მმართველობა დამყარდა. მმართველობის საქმეს არა მარტო ადგილობრივი მთიელები იყენენ ჩამოცილებული, არამედ ოლქის მრავალრიცხოვანი ე. წ. ინოგოროდნული მოსახლეობაც.

კაზაკური ელემენტის სრული ბატონობა მმართველობაში დამყარდა თერგის ოლქშიც. ეს ყველაფერი ალექსანდრე III რეაქციული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

1860 წ. 15 აპრილს ბარიატინსკიმ დაამტკიცა „დებულება დაღესტნისა და ზაქათალის ოკრუგის მმართველობის შესახებ". აქაც „სამხედრო-სახალხო მმართველობა" მყარდებოდა. მასში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებში, არაფერი სახალხო არ ყოფილა, იგი წმინდა წყლის სამხედრო ხელისუფლება იყო. ცარიზმის ცნობილი მოხელე გ. ყაზბეგი წერდა, რომ ეს სისტემა ძალიან ახლოა იმასთან, რომელსაც სამხედრო მდგომარეობა ჰქვია და სახელმწიფოში მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებშია დაშვებული.

ყოველივე ეს იყო ცარიზმის კოლონიური სისტემის ერთი სახეობა, რომელიც ჩრდილო კავკასიის მთიელთათვის შეიქმნა და მცირე ცვლილებებით ოქტომბრის რევოლუციამდე არსებობდა.

ზემოაღნიშნული დებულებით დაღესტნის ტერიტორია შემცირდა. სულაკს გადაღმა ყუმიყეთი თერგის ოლქს გადაეცა, ყუბის რაიონი კი ბაქოს გუბერნიაში შევიდა. დაღესტნის ძირითადი ნა-

წილი დაღესტნის ოლქად იწოდა და მის უფროსად გენერალი მელიქოვი დაინიშნა. 1860 წ. მაისში დაღესტნის ოლქი 4 სამხედრო განყოფილებად (ოტდელად) დაიყო: 1. ჩრდილო დაღესტანი, 2. სამხრეთ დაღესტანი, 3. შუა დაღესტანი და 4. ზემო დაღესტანი. პორტ-პეტროვსკს (ახლანდ. მახაჩკალა) ცალკე მმართველობა ჰქონდა. განყოფილებათა სათავეში გენერლები ჩააყენეს.

სამხედრო განყოფილებები იყოფოდა უბნებად, სახანოებად და ფეოდალურ სამფლობელოებად. ოლქისა და სამხედრო განყოფილებათა უფროსების ხელში იყო მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება. ოლქის უფროსი რუსული გუბერნიების გენერალ-გუბერნატორთან იყო გათანაბრებული.

განყოფილებათა უფროსებს ემორჩილებოდნენ საოკრუგო ხელისუფლები (სანაიბოები) და სახანოები (სამხედრო საქმეებში). სახანოებში ხანების კარზე იმყოფებოდნენ რუსი ოფიცრები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ მათ საქმიანობას.

წერილ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ენებისა და ტრადიციების მცოდნე ოფიცრებთან ერთად ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ადგილობრივი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები იმათი წრიდან, ვინც შამილის მოძრაობის დროს რუსეთის ერთგული დარჩა.

იქ, სადაც შამილის დროს მოძრაობა ძლიერი იყო, რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მოქნილი პოლიტიკა გაეტარებინა. ამის გამო იგი ზოგან ძველი ხანებისა და ბეგების ხელისუფლებას აღადგენდა, ზოგან ნაიბებს ადგილობრივი მოსახლეობიდან ირჩევდნენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ადმინისტრაციული აპარატის ძირეულ რგოლებში. ზოგან, მაგალითად, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთში და ნაწილობრივ დაღესტანშიც, მამასახლისებს ზემოდან ნიშნავდნენ. ამ არჩევითობასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ბარიატინსკი აღნიშნავდა, რომ ჩეჩნეთის დიდ აულებში მამასახლისი ოჯახის უფროსიდან საზოგადოების უფროსად იქცა. საკუთარი გვარი, რომელიც მხარს უჭერს მას, ამით მხარს უჭერს ოფიციალურ ხელისუფლებასაც. ამასთან, გვარებს შორის შუღლი მთელ მათ საიდუმლოებებს ავლენსო. როგორც ვხედავთ, ჩეჩნეთში პატრიარქალურ-გვაროვნულ ურთიერთობათა ძლიერი გადმონაშთები ცარიზმს თავის სამსახურში სურდა ჩაეყენებინა.

1870 წ. ძალაში შევიდა „მთიელთა ზეპირი სასამართლოების დროებითი წესები". ყუბანის ოლქში მთიელთა 4 ზეპირი სასამართლო შეიქმნა — ეკატერინოდარში, მაიკოპში, ხუმარის სიმაგრე-

ში და აულ ზელენჩუკში. თერგის ოლქში 6 სასამართლო შეიქ-ნა — ნალჩიკისა (ყაბარდოელთათვის), ნაზრანის (ინგუშთათ-ვის), ხასავ-იურტის (ყუმიყებისათვის), ვედენოს, გროზნოს და არღუნისა — ჩეჩნებისათვის.

მთიელთა ზეპირი სასამართლოს თავმჯდომარე იყო ოკრუგის უფროსი ან მისი თანაშემწე, წევრები კი ადგილობრივი მოსახ-ლეობიდან კომპლექტდებოდნენ. ოლქის უფროსი ამტკიცებდა არა მარტო სასამართლოების შემადგენლობას, არამედ მათ განაჩენებ-საც როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის დარგში. საქმის გარჩევა ხდებოდა რუსულად, თარჯიმნის მეშვე-ობით.

საერთოდ, ჩრდილო კავკასიაში შემოღებული იყო საიმპე-რიო სასამართლო წესები და კოდექსები (1864 წ. სასამართლო რეფორმის საფუძველზე), მაგრამ მთიელთათვის დაეშვეს ზეპირი სასამართლოები ადათისა და შარიათის საფუძველზე. ამ სასა-მართლოთა შემადგენლობაში ყოველთვის იყო ყადი — შარიათის მცოდნე.

სასამართლო სისტემის შემოღების პროექტის შედგენისას გადაწყდა მთიელთათვის სამართლის წარმოების საფუძვლად შარიათის ნაცვლად ადათი დაედოთ. ამას პრინციპული მნიშვნე-ლობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ 50-იანი წლების ბოლომდე კავკა-სიის მთიელთა მთელი მმართველობა შარიათს ემყარებოდა, ადა-თი კი არა მარტო იგნორირებული იყო, არამედ დევნიდნენ კიდეც. ეს გარემოება კარგად გამოიყენეს მუსულმანურმა სასულიერო პირებმა, მათ შორის იმამმა შამილმა, რაც რუსეთს ძვირი დაუჯ-და. მიურიდიზმის გავლენის ზრდა შარიათის განმტკიცებისა და ადათის დასუსტების შედეგი იყო.

ახლა ადგილობრივი სამართლისწარმოებისა და ადმინისტრა-ციის მუშაობის საფუძვლად ადათის დამკვიდრებას უნდა დაე-სუსტებინა მუსულმანური რელიგიის გავლენა და განემტკიცე-ბინა საერო საწყისები. ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ ადათი ადვილად ეგუება ახალ მოვლენებს, მათ შესაბამისად იცვლება. მი-სი რუსეთის ხელისუფლების ინტერესებისადმი დამორჩილება ადვილია, მაშინ როცა შარიათი კონსერვატული და რეაქციულია, რომელიც რუსეთისადმი მტრობასა და სიძულვილს ნერგავს. მაგ-რამ ადათის წინ წამოწევა არ ნიშნავდა შარიათის სავსებით უკუ-გდებას, იგი შენარჩუნებულ იქნა როგორც ერთგვარი დათმო-

ბა მუსულმანური წრეებისადმი. ოლონდ შარიათს მარტო სასულიერო ხასიათის საკითხების გარჩევის უფლება შერჩა. იქ, სადაც ადათი და შარიათი ვერ გადაწყვეტდა საკითხს, რუსული საიმპერიო კანონები უნდა გამოეყენებინათ.

თუ როგორი იყო პრაქტიკაში ეს სასამართლოები, კარგად ჩანს დაღესტნის მაგალითზე. მმართველობის ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით იქ დაინერგა სამართლისწარმოების ახალი სისტემა. იგი ემყარებოდა რუსულ კანონებს, ადათს და შარიათს. საქმეებს, რომლებიც სამხედრო და სისხლის სამართლის კანონებს ექვემდებარებოდა, განიხილავდნენ სისხლის სამართლის სასამართლოს სპეციალურ კომისიებში, ხოლო საქმეებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის საერთო კანონებიდან გამომდინარეობდა — დაღესტნის საოლქო სასამართლოში. სამოქალაქო დავა, ქონების გაყოფა, ჩხუბი, ქალის მოტაცება და სხვ. იხილეოდა მთიელთა საოკრუგო ზეპირ სასამართლოებში და ე. წ. დაღესტნის „სახალხო" სასამართლოში.

ამ სასამართლოებს აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათი ჰქონდათ და რუსეთის ადმინისტრაციის დანამატს წარმოადგენდნენ. დაღესტნის „სახალხო სასამართლოს" ოლქის უფროსი აკომპლექტებდა და მასში სახელის გარდა „სახალხო" არაფერი ყოფილა.

ცარიზმი, იმის კვალობაზე, თუ როგორ მტკიცდებოდა მისი პოლიტიკური ბატონობა კავკასიაში, ვეღარ ითმენდა ადგილობრივი ხელისუფლების თუნდაც აჩრდილს. მან, მაგალითად, დაღესტანში მეთოდურად დაიწყო ცალკეულ „ნახევრად დამოუკიდებელ" ერთეულთა — სახანოთა გაუქმება. ფორმალურად ეს ხელისუფლებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებით ხდებოდა, ფაქტიურად კი იგი მთავრობის ძლიერი დაწოლით ხორციელდებოდა. ეს ეშაშინ, როცა დასაწყისში მეფის ხელისუფლება იძულებული იყო ზოგი სახანო აღედგინა. 1859 წ. აღადგინეს ავარიის სახანო. მაკრამ 1859 წელსვე გაუქმდა ყაზიყუმუხის სახანო და იგი განყოფილებად (ოტდელად) გარდაქმნეს. 1863 წ. ხელისუფლებას ჩამოაცილეს იბრაგიმ-ხან ავარელი, ხოლო ერთი წლის შემდეგ სულ გააუქმეს ეგი და ოკრუგად აქციეს. 1864 წ. გაუქმდა კიურინის სახანოც.

1866 წ. ხელისუფლებას ჩამოაცილეს ყარა-ყაიტაღის ყადი და ჩრდილო და სამხრეთ ტაბასარანის მაისუმები. 1867 წ. ხელისუფლება დათმო დაღესტნის ყველაზე მსხვილმა მფლობელმა —

ტარკის შამხალმა შამსუდინმა. მაშინ დაკარგა ხელისუფლება მეხ-ტულის ხანმაც. ასე რომ, მთელი დაღესტნის ძველი პოლიტიკური წარმონაქმნები მოისპო და ქვეყანა გაერთიანდა, ხანების დესპოტური მმართველობა ლიკვიდირებულ იქნა. მაგრამ ამ ობიექტურად პროგრესული მოვლენის მნიშვნელობას ჩრდილავდა ის, რომ მის ნაცვლად შემოღებული „სამხედრო-სახალხო" მმართველობაც ანტიხალხური იყო. ხანების ტირანიისაგან განთავისუფლებულ ხალხს ცარიზმმა თავისი ბატონობის უღელი დაადგა.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად დაღესტნის ოლქი თემირ-ხან-შურის, ავარიის, კიურინის, დარღოს, ყაზი-ყუმუხის, ღუნიბის, ყაიტაღ-ტაბასარანის, სამურისა და ანდიის ოკრუგებად დაყოფილი აღმოჩნდა.

მეფის მთავრობამ არ დაჩაგრა ხელისუფლებას ჩამოცილებული ხანები. მათ მაღალი ჩინები, დიდი მიწები, „ერთდროული დახმარების" სახით დიდი ფულადი თანხები უწყალობა და მაღალი სიცოცხლეული პენსიები დაუნიშნა.

ერთდროულად მეფის ხელისუფლებამ ადმინისტრაციის უმდაბლესი რგოლის — ადგილობრივი სასოფლო მმართველობის რეორგანიზაციაც მოახდინა. სასოფლო თვითმმართველობა მთავრობის ხელისუფლებას დაუმორჩილა.

ამიერიდან სოფლის მმართველობას წარმოადგენდა: სახალხო კრება (ჯამაათი), სოფლის მამასახლისი, ყადი და სოფლის სასამართლო. სახალხო კრებაში მონაწილეობდნენ სრულწლოვანი მეურნეები და სოფლის თანამდებობის პირები. ისინი ირჩევდნენ ყადის, ზოგან მამასახლისსაც (თუმცა ეს წესი მალე მოსპეს და მამასახლისს ზემოდან ნიშნავდნენ).

მეფის ხელისუფლება თანამდებობის პირებად ძირეულ რგოლშიც ნიშნავდა კეთილსაიმედო, ცარიზმისადმი ერთგულ ადამიანებს. მამასახლისებს და ყადიებს თვალყური უნდა ედევნებინათ მოსახლეობის განწყობილებისათვის და სათანადო ზომები მიეღოთ „საზოგადოებრივი სიმშვიდის" დამრღვევთა მიმართ. სათანადო შტატი მათ ჰყავდათ გზირებისა და იასაულების სახით.

მეფის ადმინისტრაციის დასაყრდენს მთიელებში წარმოადგენდნენ ადგილობრივი ზედაფენები და კულაკური ელემენტები. მათგან ნიშნავდნენ მამასახლისებს, უფრო მაღალი თანამდებობის პირებსაც. ადმინისტრაციის მიერ დანიშნული მამასახლისები აბუჩად იგდებდნენ მოსახლეობას და ათასგვარ უკანონობას ჩადიოდნენ. სოფლის საზოგადოებები მათ არა მარტო ჯამაგირს

უხდიდნენ (წლიურად 500—600 მანეთს), არამედ უზრუნველყოფდნენ ბინით, საბობით, განათებით, მომსახურებით. მოსახლეობა მოითხოვდა მამასახლისი მათი წრიდან მაინც დაენიშნათ, რათა თუნდაც იმ დამატებითი ხარჯებიდან განთავისუფლებულიყვნენ. მაგრამ გამკითხავი არავინ იყო.

მამასახლისები ფლანგავდნენ საზოგადოებრივ თანხებს, მეკრთამეობას, გამოძალვეობას ეწეოდნენ. ისინი უკავშირდებოდნენ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს (ქურდები, ყაჩაღები) და მათთან ბრძოლის მაგივრად მათი ხელშეწყობნი ხდებოდნენ. რეფორმისშემდგომი ჩრდილო კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სავსე იყო საჩივრებით მამასახლისთა უკანონო მოქმედების შესახებ. მაგრამ მათი თვითნებობა დაუსჯელი რჩებოდა. კოსტა ხეთაგუროვმა, მშრომელი ხალხის ინტერესების ამ თავდადებულმა დამცველმა, არაერთი მრისხანე წერილი მიუძღვნა მათი მხილების საქმეს. მათგან ერთ-ერთი, დაბეჭდილი 1899 წ „პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ სათაურით «Неурядицы Северного Кавказа» ცარიზმის ადმინისტრაციის ყველა რგოლის მხილებასთან ერთად, მკაცრად აკრიტიკებდა მამასახლისების დანიშვნის შეუფერებელ წესსაც.

ცარიზმის 80-იანი წლების რეაქციული პოლიტიკა აისახა ადგილობრივი მმართველობის ძირეული ორგანოების მუშაობის სტრუქტურაშიც. საზოგადოებრივი ორგანოების როლი საკმაოდ დაკნინდა. მამასახლისებს ახლა პოლიციელებიდან და ურიადნიკებიდან ნიშნავდნენ.

„ახალ საწყისებზე“ მხარის გარდაქმნის საქმეში განსაზღვრული ადგილი ეთმობოდა მთიელთაგან რეგულარული ჯარის ორგანიზაციას. ხელისუფლება გამოდიოდა იმ ფაქტიდან, რომ მთიელებში ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც იარაღით საარსებო საშუალებათა მოპოვებას იყო მიჩვეული, მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენდა. ასეთი ხალხიდან შედგენილი საბხედრო ძალა მთებს უფრო კარგად დაუმორჩილებდა რუსეთს, ვიდრე ამას რუსული პოლკები ახერხებდნენ.

მთიელთაგან შემდგარი მილიციის რაზმების გამოყენება 60—70-იანი წლების გამოსვლების დროს იმის დამადასტურებელი იყო, რომ ეს ღონისძიება ცარიზმის პოლიტიკის ერთ-ერთი არსებითი რგოლი იყო. მისი ძირითადი პრინციპი იყო დამპყრობელთა ძველი, მაგრამ მარად სანუკვარი პოლიტიკური სიბრძნე — „გათიშე და იბატონე“.

რეგულარულ ჯარში მთიელებს 1887 წლიდან იწვევდნენ, მანამდე კი, კერძოდ 1870 წ. სამხედრო რეფორმის შესაბამისად, რითაც საყოველთაო სამხედრო სამსახური იქნა შემოღებული, მათ გადასახადს ახდევინებდნენ და ჯარში არ იწვევდნენ. ირეგულარული პოლკები მათგან ადრეც იქმნებოდა და მათ წარმატებით იყენებდნენ არა მარტო აჯანყებათა ჩასაქრობად, არამედ გარეშე მტრებთან (მაგ., თურქეთთან) ბრძოლაშიც.

ამრიგად, ცარიზმის მიერ ჩრდილო კავკასიაში 60-იანი წლებიდან გატარებული რეფორმები მიზნად ისახავდა მხარის საბოლოო შემომტკიცებას და იქ რუსეთის იმპერიის განუყოფელი ბატონობის უზრუნველყოფას. ამ ღონისძიებების გატარებით რუსეთის ცარიზმმა შექმნა ხელსაყრელი პირობები ჩრდილო კავკასიის „ეკონომიკური დაპყრობისათვის" (ათვისებისათვის). ამ გზაზე პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო მხარის ინტენსიური კოლონიზაცია.

§ 3. ჩრდილო კავკასიის კოლონიზაცია

ჩრდილო კავკასიის „ეკონომიკური დაპყრობის" ერთ-ერთი ძირითადი რგოლი იყო მხარის კოლონიზაცია. როცა ცენტრალური რუსეთის მიერ თავის განაპირა კოლონიური მხარეების ექსპლოატაციის გაძლიერების შესახებ მსჯელობდა, ვ. ი. ლენინს კავკასია ცარიზმის შესაბამისი ტენდენციის ყველაზე რელიეფურ ვამომხატველად მიაჩნდა.

ჩრდილო კავკასიის კოლონიზაცია ადრე დაიწყო, მაგრამ 1860-იან წლებამდე იგი უპირატესად კაზაკური მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. მათი სტანიცები მოფენილი იყო ყუბანზე, თერგზე, სუნჯაზე და მათ შენაკადებზე. სამოქალაქო მოსახლეობა სტავროპოლის გუბერნიაში სახლდებოდა. ეს არსებითად სამხედრო ხასიათის კოლონიზაცია იყო და მის მიზანს თავდაპირველად მხარის პოლიტიკური დაპყრობა წარმოადგენდა.

მაგრამ გადაიქცა კავკასიის ხანგრძლივმა და მოქანცველმა ომმა. დაიწყო ჩრდილო კავკასიის კოლონიზაციის მეორე ეტაპი. მთიელთა თურქეთში მასობრივი გადასახლების შედეგად იქ საკოლონიზაციო მიწის დიდი ფონდი წარმოიქმნა. ამ მიწების რუსი კოლონისტებით დასახლება არა მარტო მხარის საბოლოო დამორჩილების, არამედ მისი ეკონომიკური ათვისების საკითხსაც გადაწყვეტდა.

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილი ალექსანდრე II-ს სთავაზობდა წინადადებას, რომ ფართოდ გაეღოთ კოლონისტებისათვის კავკასიის კარები, მოეზიდათ კაპიტალი, რომელიც გააცოცხლებდა მხარის სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, ბაზრებს.

1856—67 წწ. კოლონიზაციის შედეგად მოსახლეობის ზრდამ ჩრდილო კავკასიაში 642 ათასი სული შეადგინა, 1867—76 წწ. — 390 ათასი. ეს ზრდა ხდებოდა რუსი გლეხი კოლონისტების ხარჯზე, რომლებიც ცენტრალურ გუბერნიაში გაძარცვეს რეფორმის შედეგად. რა თქმა უნდა, კოლონისტთა შორის მოდიოდა მრავალი მეწარმე, საქმოსანი.

1867 წ. ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა შეადგენდა 1420 ათას სულს, 1876 წ.—1837 ათასს, 1885 წ.—2591 ათასს, 1892 წ.—3082 ათასს, 1897 წ.—3784 ათასს. მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 3,3—4% იყო, მაშინ როცა ევროპულ რუსეთში 1,5%-ს არ აჭარბებდა. ეს ინტენსიური კოლონიზაციის შედეგი იყო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან ჩრდილო კავკასიაში არა მარტო გლეხობა და სხვადასხვა სახის ავანტიურისტები და პროექტორები სახლდებოდნენ, არამედ გერმანელები და სხვა ეროვნების კოლონისტებიც. გერმანელთა პირველი კოლონია ყუბანის მარცხენა ნაპირზე 1867 წ. დაარსდა. 1897 წ. კი ყუბანის ოლქში 25 ათასი უცხოელი ქვეშევრდომი სახლობდა, რომელთაგან 19 ათასი (4/5) გერმანელი იყო. გერმანელთა კოლონია იყო თერგის ოლქშიც. ცარიზმის ადმინისტრაცია ფიქრობდა, რომ მხარის ეკონომიკურ დაწინაურებაზე ისინი უფრო მეტ გავლენას მოახდენდნენ.

60-იან წლებში ცარიზმი თავის ერთგულ მსახურებს ჩრდილო კავკასიაში — ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიაში მიწებს უწყალობებს. დროთა განმავლობაში ეს მოხელენი ცენტრში გადადიან საშსახურში და თავის მიწის ნაკვეთებს ყიდიან. მაგ., გენერალ-ლეიტენანტმა ოლშევსკიმ ეკატერინოსლაველ ვაჭარ ნიკოლენკოს მიჰყიდა 4000 დესეტინა მიწა ყუბანზე; ამავე ნიკოლენკომ იყიდა გენერალ-მაიორ თარხან-მოურავისაგან 3 ათას დესეტინაზე მეტი მიწა. ასეთი ფაქტები უამრავი იყო. ეისკის განყოფილებაში ამ გზით გაყიდული მიწების ოდენობა შეადგენდა 45 ათას დესეტინაზე მეტს, ანუ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის 45%-ს. ამ მიწების უდიდესი ნაწილი ვაჭრების, მეშჩანებისა და გლეხების ხელში გადავიდა.

თერგის ოლქში კოლონიზაციის პროცესი შედარებით სუსტი იყო და იგი უფრო გვიანაც დაიწყო. კაზაკთა სტანიცების ჩადგმა აქ რა თქმა უნდა ადრე დაიწყო, ისინი ცარიზმის ბატონობის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, მაგრამ სამოქალაქო მოსახლეობის ისეთ მასობრივ კოლონიზაციას ადგილი არ ჰქონია, როგორც ეს იყო ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიაში. ეს აიხსნება რამდენიმე გარემოებით: თერგის ოლქი რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან უფრო დაშორებული იყო და აქ არ იყო მიწების ისეთი საკოლონიზაციო ფონდი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყუბანზე და სტავროპოლის რაიონებში. ადგილობრივი მოსახლეობაც აქ უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

თერგის ოლქში გადმოსახლება აქტიურდება 80-იან წლებში რკინიგზის ხაზის გაყვანისა და ყუბანისა და სტავროპოლის საკოლონიზაციო ფონდების ამოწურვის შემდეგ. 80-იან წლებში ოსეთის ოკრუგში 8 დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა 198 კომლითა და 1 201 სულით (ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის 1,2% შეადგენდა). სუნჯის განყოფილებაში XIX ს. ბოლოსათვის მოსული მოსახლეობა შეადგენდა 610 ოჯახს—3 406 სულით (ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის 3%).

1891 წ. მოუსავლიანობის გამო ცენტრალური გუბერნიებიდან სუნჯის ოტდელში 5006 სული, ყიზლარისა—5059, გროზნოს ოკრუგში—8081, თვით გროზნოში—2757 სული მოვიდა. ესენი კაზაკების, სახაზინო და კერძო მესაკუთრეთა მიწებს იჯარით იღებდნენ და ამუშავებდნენ. ხასავ-იურტის ოკრუგში კოლონიზაცია 90-იან წლებზე მოდის. აქ 14,3% შეადგინეს მოსულებმა. მოზდოკის რაიონში 80—90-იან წლებში იწყება კოლონისტთა მოსვლა და 900-იანი წლებისათვის აღწევს უმაღლეს წერტილს. აქ მდიდარი გლეხები—მეწარმეები, მეცხვარეები მოდიოდნენ, კაზაკთაგან მიწებს იჯარით იღებდნენ და ცხვრის დიდ ფარებს აშენებდნენ.

ნალჩიკის ოკრუგში 80—90-იან წლებში 1000-ზე მეტი კომლი გადასახლდა. ისინი მკვიდრი მოსახლეობის 8% შეადგენდნენ.

პიატიგორსკის განყოფილებაში კოლონიზაციის პროცესი უფრო ადრე წამოიწყო, რაც განაპირობა დიდი სახნავი და საძოვარი სივრცეების არსებობამ და საკურორტო ქსელის განვითარებამ. აქ მიწები შეისყიდეს შეძლებულმა წრეებმა და დიდი მეურნეობები მოაწყვეს, მიწების ნაწილს კი იჯარით გასცემდნენ.

თერგის ოლქში 1897 წ. ადგილობრივი მოსახლეობა (ე. წ. ტუზემცები) მთელი ოლქის მოსახლეობის 50% შეადგენდა, ყუბანის ოლქში კი 1/4-ზე ნაკლები იყო. რუსები თერგის ოლქში მოსახლეობის 33,7%, ყუბანის ოლქში კი არაადგილობრივი მოსახლეობის 90,5% შეადგენდა.

XIX ს. რეფორმისშემდგომი ხანის კოლონიზაციასთან არის დაკავშირებული ჩრდილო კავკასიაში სასაქონლო წარმოების მკვეთრი ზრდა. კოლონისტები აარსებდნენ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობებს, რომლებიც აწარმოებდნენ სასაქონლო მარცვლეულს და სხვა კულტურებს; ხსნიდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, რომლებიც ეწეოდნენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას. კოლონიზაციის ეს ბოლო ეტაპი დაემთხვა ბატონყმობის გაუქმების მომდევნო ხანას, როცა კაპიტალიზმის განვითარება სწრაფად წავიდა წინ. ამ მოვლენამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სისტემაში ჩართვა და მისი კაპიტალისტური ევოლუცია.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

ჩრდილო კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება

§ 1. ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური განვითარება

(სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა)

რეფორმისშემდგომ ხანაში რუსეთის კაპიტალიზმის მიერ კავკასიის „ეკონომიური დაპყრობის" კვალობაზე ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდა. ვითარდებოდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საქალაქო ცხოვრება. ამ ხანის ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა აღნიშნულ სფეროში იყო მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის და სამრეწველო პროლეტარიატის აღმოცენება და განვითარება.

ცარიზმი დაინტერესებული იყო კავკასიის ეკონომიკური ათვისებით, რუსეთისაგან მისი მოწყვეტის ლიკვიდაციით, რათა კი არ დასწოლოდა ტვირთად რუსეთს და დაესუსტებინა, არამედ პირი-

ქით, გაეძლიერებინა და განემტკიცებინა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები.

რუსეთთან კავკასიის უფრო მჭიდროდ დაკავშირების, მისი ეკონომიკური ათვისების ინტერესებით იყო ნაკარნახევი ფართო სარკინიგზო მშენებლობა. განსაკუთრებით მწვავედ დადგა სარკინიგზო მშენებლობის საკითხი მას შემდეგ, რაც როსტოვი 60-იანი წლების ბოლოს დაუკავშირდა მაგისტრალურ რკინიგზას ხარკოვ-როსტოვისა და ვორონეჟ-როსტოვის ხაზებით. რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორი და კავკასიის მეფისნაცვალი ალექსანდრე II-ისადმი თავის მოხსენებებით ბარათებში, აგრეთვე, „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების" 1869 წლის პროექტებში დასაბუთებული იყო რკინიგზის ქსელის კეთილისმყოფელი გავლენა ამ მდიდარი მხარის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ შესაძლებელი გახდებოდა სასაქონლო პურის წარმოების გაზრდა, რადგან ნავსადგურებში მისი იაფად მიტანა შესაძლებლობას მოგვცემს საზღვარგარეთ იგი დიდ პარტიებად გავიტანოთ. მხარეში მოსალოდნელი ტექნიკური პროგრესი სათანადოდ აისახებოდა როგორც კაზაკების, ასევე მთიელი გლეხების ცხოვრებაზე. არ ავიწყდებოდათ იმის აღნიშვნაც, რომ გარედან კაპიტალის შემოტანა აქ მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობის რიგი დარგების შექმნას გამოიწვევს, გააძლიერებს ვაჭრობას, მოახდენს ფასების ნიველირებას, შემცირებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როსტოვ-ბაქოს რკინიგზის მშენებლობას. იგი ხელს შეუწყობდა დერბენტიდან ენდროს (მარენა) გატანას, ბაქოში ნავთის მრეწველობის გაბოლოცხლებას, საზღვარგარეთთან (ირანთან) ვაჭრობის გაფართოებას, საიდანაც მოსალოდნელი იყო აბრეშუმის, მინერალური სიმდიდრეების, სუბტროპიკული კულტურების, ხე-ტყის, ნიგოზის შემოტანა.

ბუნებრივია, არ ავიწყდებოდათ რკინიგზების სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმაც. კავკასიის ცენტრთან დამაკავშირებელი სათანადო გზების უქონლობის გამო სახელმწიფოს სახმელეთო ჯარების მეექვსედი ნაწილი კავკასიაში იდგა. საჭიროებისას ჯარის სასწრაფოდ გადმოყვანა არ ხერხდებოდა, გვიანდებოდა და საშიშროებას ქმნიდა. რკინიგზით კავკასიის რუსეთთან დაკავშირება კი არმიასაც მობილურს გახდიდა, მის აღმოსავლურ პოლიტიკას მატერიალურად განამტკიცებდა. ეს მით

უფრო ანგარიშგასაწევი იყო, რომ ცარიზმმა საკუთარ ტყავზე ვაგოსცადა ამ უგზოობის და საერთოდ ჩამორჩენილობის მძიმე შედეგები (ყირიმის ომში დამარცხება და შავი ზღვის აუზში მისი პოზიციების დასუსტება, შამილთან ბრძოლის უსაშველოდ გაჭიანურება).

1872 წ. დაიწყო როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინიგზის მშენებლობა. იგი ორივე მხრიდან მიმდინარეობდა. 3 წელიწადში დამთავრდა იგი და 1875 წ. 2 ივლისს მოძრაობა გაიხსნა.

1883 წ. რკინიგზის ხაზმა დააკავშირა ბათუმი-თბილისი-ბაქო. შავი და კასპიის ზღვების აუზები ამიერკავკასიით ერთმანეთს დაუკავშირდა. ახლა საჭირო იყო მისი ჩრდილო კავკასიასთან და რუსეთის ცენტრთან დაკავშირება. სათანადო სამუშაოები მაშინვე დაიწყო. ბაქოდან მშენებლობა წარიმართა დერბენტისა და პორტ-პეტროვსკისაკენ (მახაჩკალა), აქედან ხაზი მიდიოდა გროზნოთი ბესლანში, გუდერმესიდან პროხლადნაიაში. ამავე ხანებში ვლადიკავკაზის რკინიგზიდან ხაზები გავიდა სტავროპოლში და ნოვოროსიისკში. ცხადია, ამ გზებს არა მარტო ყუბანისა და სტავროპოლის მხარეებისათვის, არამედ მთელი ჩრდილო კავკასიისთვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

90-იანი წლების დასაწყისში ვლადიკავკაზის რკინიგზა ტიხორეცკაიათი ცარიცინს დაუკავშირდა. ამით შავი და კასპიის ზღვების აუზები, კავკასია, რუსეთის სამრეწველო ცენტრი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, საგარეო ბაზარს და ეკონომიკური განვითარებისათვის ახალი იმპულსები მიიღო.

ყუბანის ოლქისათვის რკინიგზის გაყვანის მნიშვნელობის შეფასებისათვის ყუბანის სტატისტიკური კომიტეტის მდივანი თ. შჩერბინა 1893 წელს აღნიშნავდა, რომ 1876 წლიდან ოლქის მოსახლეობა 831 ათასი სულიდან 1544 ათასამდე გაიზარდა (ე. ი. 16 წელიწადში თითქმის გაორმაგდა). ხორბლეულის ნათესი ფართობები 0,5 მლნ-იდან 1,5 მლნ დესეტინამდე გაიზარდა. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების პროდუქცია 2840 ათასი მანეთიდან 8545 ათას მანეთამდე გადიდდა.

ვლადიკავკაზის რკინიგზაზე გატარებული ტვირთების დინამიკაც მხარის ეკონომიკის საგრძნობ გამოცოცხლებაზე მეტყველებს. 1885—1888 წწ. რკინიგზაზე პურეული ტვირთების ოდენობა 2,5-ჯერ, მატყლის —1,5-ჯერ, ღვინისა და სპირტის —2-ჯერ გაიზარდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის სამეურნეო განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა პორტ-პეტროვსკიმ. იგი კასპიისა და ვოლგის წყალსანაოსნო არტერიასთან იყო დაკავშირებული და ამის მეშვეობით დიდ გავლენას ახდენდა ჩრდილო კავკასიის ამ რაიონში მიწათმოქმედების, მეცხვარეობის, მევენახეობის, აგრეთვე გროზნოს ნავთობსარეწების განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობა

XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში კავკასიის მთიელებში ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა. კავკასიის ომისაგან მოქანცულმა მთიელმა ხელი მოკიდა გუთანს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციას შეუდგა.

დაღესტანში XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან ფართოდ ჰიმდინარეობს სარწყავი არხების მშენებლობა. სამელიორაციო სამუშაოები სრულდებოდა არა მარტო ბარში, არამედ მთიან დაღესტანშიც. 1893 წლისათვის დაღესტანში (ყუმიყეთის დაბლობის გამოკლებით) აგებული და რეკონსტრუირებულ იქნა 200-ზე მეტი სარწყავი არხი 9000 კმ სიგრძის. სულაკიდან პეტროვსკში დაიწყო 100 კმ სიგრძის არხის მშენებლობა, რომელსაც 50 ათასი დესეტინა მიწა უნდა მოერწყო. ამის შედეგი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა. 1886 წ. დაღესტანში დაითესა 97729 დესეტინა მიწა, მიღებული იქნა 587614 ჩეტვერტი მარცვლეული, 1890 წ. დაითესა 115547 დესეტინა, მიღებულ იქნა 699479 ჩეტვერტი.

მიწათმოქმედება ვითარდებოდა თერგის ოლქშიც. მაგრამ, რა თქმა უნდა, საწრაფი ტემპით არა. 1872 წ. თერგის ოლქის 495 200 სულ მოსახლეზე მოდიოდა 188 785 დესეტინა ნათესი, მოყვანილ იქნა 66 7904 ჩეტვერტი მარცვლეული (1 სულზე მოდიოდა 1,3 ჩეტვერტი).

ჩეჩნეთისა და ვლადიკავკაზის ბარში ვითარდებოდა კაპიტალისტური მიწათმოქმედება. გროზნოს ოკრუგი და სუნჯის განყოფილება ჩრდილო კავკასიაში პირველ ადგილზე იყვნენ სიმინდის მოყვანაში. მათ მიჰყვებოდა ვლადიკავკაზის ოკრუგი (ჩრდილო ოსეთი). 1881 წ. გროზნოს ოკრუგში დაითესა 15 816 დესეტინა სიმინდი, მიიღეს 514 484 ჩეტვერტი. ინგუშეთის ბარში სიმინდმა თითქმის გამოდევნა სხვა მარცვლეული კულტურები. XIX ს.

დასასრულს (1890 წ). მთელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მარცვლეული მოსავლის 78% სიმინდი შეადგენდა. ინგუშეთში ეს პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იყო.

ვლადიკავკაზის ოკრუგის მოსახლეობას 1888—1890 წწ. წელიწადში 2 მლნ ფუთზე მეტი მარცვლეული მოჰყავდა. 90-იან წლებში ჩრდილო ოსეთში მარცვლეულის მოყვანა კიდევ უფრო განვითარდა. აქაც ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურად სიმინდი იქცევა. 1890 წ. სიმინდის ნათესები მთელი ნათესი ფართობის 30% შეადგენს, 1900 წელს კი — 64%. 1897—1901 წწ. ჩრდილო ოსეთს ქვეყნის გარეთ გაჰქონდა 2 მლნ ფუთი სიმინდი წლიურად. იგი მიდიოდა არა მარტო რუსეთის სპირტსახდელ ქარხნებში, არამედ საზღვარგარეთაც (ნოვოროსიისკის ნავსადგურიდან).

სიმინდის კულტურის ფართო გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში ხელი შეუწყო მისთვის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, მაღალმა მოსავლიანობამ და მასზე დიდმა მოთხოვნილებამ ბაზარზე (და ამის შესაბამისად მაღალმა საბაზრო ფასებმა).

მიწათმოქმედება ვითარდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებშიც — ყაბარდოელებშიც, ჩერქეზებში, ადიღეელებში, ყარაჩაი-ბალყარეთში. ყარაჩაი-ბალყარეთში ეს მასშტაბები მთიანი რელიეფის გამო არ შეიძლებოდა დიდი ყოფილიყო. ადიღე-ჩერქეზებიც თურქეთში გადასახლების ფართო მასშტაბმა ძალზე დაეკნინა და მათი ხვედრითი წონა მეურნეობაში ძალიან შემცირდა. სამაგიეროდ აქ კაზაკურმა და ინოგოროდნულმა კოლონიზაციამ უმაგალითო ხასიათი მიიღო და XIX ს. დასასრულისათვის. ყუბანის ოლქი რუსეთის პურის ბელლად აქცია.

სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გზით განვითარების უდავო მაჩვენებელია ის, რომ 80-იანი წლებისათვის ინერგება ფაბრიკული წარმოების სამეურნეო იარაღები, ვრცელდება (საუკუნის ბოლოს) სასოფლო-სამეურნეო მანქანები (ორთქლზე მომუშავე და სხვ.) . ვ. ი. ლენინის მონაცემებით, ყუბანში 1150 ორთქლზე მომუშავე სალეწი მანქანა იყო. 90-იან წლებში ასეთი სალეწები ძალზე გავრცელდა. „იყო ისეთი შემთხვევები, რომ ორი-სამი მოსავლიანი წლის განმავლობაში მეწარმე საკუთარი ინაზღაურებდა ლოკომობილით აღჭურვილ ხუთიათას მანეთიან სალეწავს და დაუყოვნებლივ იძენდა ახალს იმავე პირობებში. ამნაირად ყუბანის ოლქის პატარა მეურნეობაში ხშირად შეიძლება შეეხვდეთ 5 ასეთ მანქანას და ათსაც კი. იქ ეს მანქანები ყოველი რამდენადმე

კეთილმოწყობილი მეურნეობის აუცილებელ კეთილებად იქცენ"[1].

რა თქმა უნდა, მიწათმოქმედება აქ კაზაკთა სტანიცებში ვითარდებოდა, მაგრამ მთის აულებშიც გარკვეული ძვრები ხდებოდა. 1894 წ. ყუბანის ოლქის მთიელთა სოფლებში 455 გუთანი და 180-მდე სასოფლო-სამეურნეო მანქანა იყო. საერთოდ კი ამ წელს მხოლოდ ბატალფაშინსკის ოკრუგში იყო 2482 გუთანი, 128 სალეწი, 91 სათიბი მანქანა, 265 გაუმჯობესებული ფარცხი, 637 მარცვლის სანიავებელი, 109 ცხენის ფოცხი, 33 დამხარისხებელი, 10 სათესი მანქანა.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ინვენტარი ინერგება მეურნეობაში სხვაგანაც. რკინის გუთანმა საბოლოოდ გამოდევნა ხის კავი. 90-იან წლებში დიგორიის (ჩრდ. ოსეთი) მინდვრებში ჩნდება სათესი და ორთქლის ძრავაზე მომუშავე სალეწი მანქანები. ოსინი კულაკების ხელში იყო და არა მარტო მოსავლის გაზრდის შესაძლებლობას აძლევდა, არამედ ქმნიდა პირობებს უფრო მეტად დაეკაბალებინათ ღარიბი გლეხობა (როცა თვით არ სჭირდებოდათ, აქირავებდნენ მათზე, ვისაც ყიდვა არ შეეძლო).

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში სოფლის მეურნეობა კაპიტალისტურ ურთიერთობაში ჩაერთო, იგი მაინც უპირატესად პრიმიტიულ ტექნიკას ემყარებოდა და მიწათმოქმედების კულტურა კვლავ დაბალი იყო. მარცვლეულზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნილების ზრდა მაინც იწვევდა გარკვეულ ცვლილებებს მეურნეობის წარმოების წესში. სახნავი ფართობები იზრდებოდა სათიბ-საძოვრების შემცირების ხარჯზე. ეს კი მესაქონლეობის განვითარების შეფერხებას იწვევდა.

ჩრდილო კავკასიის აღგილობრივ ხალხთა სამიწათმოქმედო კულტურაში პროგრესის დანერგვის ნელი პროცესი განპირობებული იყო შექმნილი ვითარებით. ცნობილი ოსი ხალხოსანი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე ა. არდასენოვი აღნიშნავდა, რომ ოსებს ახასიათებს ყოველგვარი სასარგებლო წამოწყების გაზიარება, კარგისადმი მიბაძვა. მაგრამ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მოკლებული არიან ვინმესაგან რამე ისწავლონ. მთელ თერგის ოლქში არ არის არც ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, არც ერთი სანიმუშო მეურნეობა, საიდანაც სასარგებლო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 3, გვ. 251—252.

ცოდნა-გამოცდილება გავრცელდებოდა ადგილობრივ ხალხებში. სასოფლო-სამეურნეო მანქანების პერიოდული გამოცდაც კი არწარმოებს, რომ ამ გზით პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მოსახლეობას. ეს დახმარება კი ადგილობრივ ხალხს ძალიან სჭირდება, რათა შეარჩიოს ისეთი მანქანა-იარაღები, რომლებიც ადგილობრივ პირობებში უფრო მეტად სასარგებლო იქნებოდა. იგი ამ თვალსაზრისით უარყოფითად აფასებს გერმანელ კოლონისტთა როლს, რომელთაც მეურნეობა მართალია, კარგად აქვთ მოწყობილი, მაგრამ ეს მხოლოდ თავისთვის უნდათ და სხვას არ უზიარებენო.

მ ე ბ ა ღ ე ო ბ ა-მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა. XIX ს. უკანასკნელ ათწლეულებში ჩრდილო კავკასიაში მნიშვნელოვნად ფართოვდება მებაღეობა-მევენახეობაც. სტავროპოლის გუბერნიისა და თერგის ოლქში ჩნდება დიდი ბაღები. განსაკუთრებით განვითარდა მებაღეობა თერგის ოლქის კაზაკთა მეურნეობებში, რომელთაც სათანადო ფართობებიც ჰქონდათ და მებაღეობისათვის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებიც არსებობდა. 1894 წ. თერგის ოლქში მოწეულ იქნა 80 ათასი ფუთი ხილის მოსავალი, საიდანაც გაიყიდა 52300 ფუთი. 1900 წ. უკვე 135870 ფუთი ხილი იქნა მიღებული. თერგის ოლქში ამ დროისათვის არსებობდა სპეციალური სანერგეები, ვლადიკავკაზის მახლობლად კი მებაღეობის სკოლა გაიხსნა. 1895 წ. ვლადიკავკაზიდან ადგილობრივმა მებაღეებმა მებაღეობის მოყვარულთა რუსეთის საზოგადოების გამოფენაზე 36 ჯიშის მსხალი და ვაშლი გაგზავნეს და უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი მიიღეს.

თერგის ოლქში მებაღეობა თავიდან ალაგირში (ჩრდ. ოსეთი) განვითარდა, სადაც გენერალ ივანიცკიმ და ინჟინერმა სჩასტლივცევმა შესანიშნავი ბაღი გააშენეს და მალე იგი არდონსა და სხვა ადგილებშიც გავრცელდა.

მეხილეობის მნიშვნელობა კარგად შეაფასეს მემამულეებმა და კულაკებმა. თუგანოვებმა დიდი ბაღი გააშენეს სოფელ დურ-დურში. აბისალოვებმა — კორა-ურსდონში. კულაკებმა ბაღები გააშენეს ხრისტიანოვსკოეში (დიგორა), მაგომეტანოვსკოესა (ჩიკოლა), ზამანყულში და სხვ. შესანიშნავი ბაღი გაშენდა მთის სოფელ უნალში. XIX ს. ბოლოსათვის ისე გავრცელდა იგი, რომ გლეხები თავის ეზოებში ხეხილს ახარებდნენ. ოსეთიდან ხილი მის ფარგლებს გარეთაც გადიოდა.

მეხილეობას მიმდევდნენ კაზაკთა სტანიცებში და სუნჯის ოტდელის ინგუშები.

მებაღეობამ სათანადო განვითარება ჰპოვა დაღესტანში, მ-ს მთიან რაიონებშიც კი. 1892 წ. თემირხან-შურის ოკრუგში ბაღებს 176 დესეტინა ფართობი ეკავათ. ავარიის, ღუნიბის, დარღოს, ყაიტაღ-ტაბასარანის და სამურის ოკრუგებში ბაღებს 1790 დესეტინა ფართობი ეკავათ, 1899 წელს კი — 1995 დესეტინა. ამასთან, ფართობის ზრდასთან ერთად ბაღების რიცხვი მცირდება, რაც მათი კონცენტრაციის მაჩვენებელია.

დარგის ოკრუგში. სოფ. ხაჯალ-მახიში ოფიცერმა მუსაევმა 7 დესეტინაზე სანიმუშო ბაღი გააშენა, ასე რომ, მთაშიც ფართოდ შეიჭრა მეურნეობის ეს დარგი.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ დაღესტნური ხილი გადის ცენტრალური რუსეთის რაიონებში. 1894 წელს დაღესტნიდან რკინიგზით გატანილ იქნა 16 ათასი ფუთი ხილი და 9 ათასი ფუთი ბოსტნეული, 1900 წელს — 20 ათასი ფუთი ხილი და 93,5 ათასი ფუთი ბოსტნეული.

ვითარდებოდა მევენახეობაც. დაღესტნის ზღვისპირა ზოლში — დერბენტის რაიონში 1886 წელს 1113 დესეტინა ეკავა ვენახს, 1897 წ. კი — 1303 დესეტინა. 1897 წ. დერბენტში 537 ათასზე მეტი ფუთი ყურძენი მიიღეს.

მევენახეობა განვითარდა ყაიტაღ-ტაბასარანის ოკრუგში. 1897 წ. აქ 2826 ვენახი იყო. თემირხან-შურის ოკრუგში იმავე წელს იყო 789 ვენახი 440 დესეტინა ფართობით.

ბაღ-ვენახების ფართობების ზრდა დააჩქარა რკინიგზის ხაზის გაყვანამ, მარენის წარმოების შემცირებამ (და ამის შესაბამისად მიწის ფართობის გამოთავისუფლებამ). ვენახის პროდუქცია სასაქონლო-საბაზრო ხასიათს იღებს. თუ 1886—1896 წლებში ვენახების ფართობის ზრდა 1%-ს შეადგენდა წლიურად, XIX ს. უკანასკნელ წლებში მან 6%-ს მიაღწია.

დაღესტნის მევენახეობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს თავიდან რუსები და სომხები ეწეოდნენ, დაღესტნელებს შარიათი უკრძალავდა ვენახის გაშენებას. მაგრამ როცა ვენახი მეურნეობის მომგებიან დარგად იქცა, მას მაჰმადიანებმაც მოჰკიდეს ხელი.

ვორონცოვ-დაშკოვს ყაიტაღ-ტაბასარანის ოკრუგში, გეჯუხში 80 დესეტინა ვენახი ჰქონდა (90-იან წლებში). ეს ვენახი 20 ათასამდე ვედრო ღვინოს იძლეოდა და კარგა საღდებოდა ბაზარზე.

მევენახეობა გავრცელებული იყო მდ. თერგისა და სუნჯის აუზებში, განსაკუთრებით ყიზლარის მიდამოებში (XVIII ს-იდან).

მევენახეობას არა მარტო კაზაკთა სტანიცებში მისდევდნენ, არამედ ჩეჩენთა სოფლებშიც. 1872 წ. სტანიცა კალინოვსკაიაში 50 ათასი, მეკენსკაიაში — 28 ათასი, ნაურსკაიაში — 30 ათასი, სოფ. ბრაგუნში 40 ათასი, ნოვიიურტში — 14 ათასი, სტარი იურტაში — 3 ათასი ვედრო იქნა მიღებული. 1891 წ. სტანიცა ჩერვლენაიაში 238,8 ათასი ვედრო, კალინოვსკაიაში — 62, 5 ათასი, ნაურსკაიაში — 12,4 ათასი ვედრო ღვინო იქნა მიღებული.

თერგის ოლქში მევენახეობის მასშტაბის შესახებ შემდეგი მონაცემები მეტყველებს: 1891 წ. 11562 დესეტინა ვენახიდან მიღებულ იქნა 2 353 552 ფ. ყურძენი. დამზადდა 2 033 959 ვედრო ღვინო გაიყიდა 1186964 ვედრო (ვედრო ღვინის საშუალო ღირებულება უდრიდა 45 კაპიკს, ხოლო გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 535851 მან.).

ყუბანზე მევენახეობა უფრო გვიან გავრცელდა. შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე მევენახეობის აღმოცენება დაკავშირებული იყო მთიელთა თურქეთში გადასახლებასთან. აქაური მიწები რომანოვების დინასტიის ცალკეულ წევრებსა და სხვა დიდებულებს ჩამოურიგეს და მათაც ბაღ-ვენახების გაშენებას მოჰკიდეს ხელი. საუფლისწულო უწყების ერთ-ერთ მამულზე (შემდეგში აბრაუ-დიურსო) 7 230 დესეტინაზე სანიმუშო მეურნეობა მოეწყო, რომელ-ზეც 412 დესეტინა ვენახს ეკავა. აქ ამზადებდნენ „რისლინგის", „ბორდოს" და მუსკატის ღვინოებს.

ბარონ შტეინგელს არმავირთან 80 დესეტინა სანიმუშო ვენახი ჰქონდა. სოჩა-ტუაფსეს ხაზზე ბაღ-ვენახებს აშენებდნენ იგივე შტეინგელი, მამონტოვი და სხვ.

საქალაქო ცხოვრების განვითარებამ, კურორტების ზრდამ გამოიწვია ბაღჩეული კულტურების — კარტოფილის, კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვის, ნიორის და სხვ. ნათესების ზრდა. ამათგან განსაკუთრებით გავრცელდა კარტოფილის კულტურა. იგი არა მარტო ძვირფასი სასურსათო კულტურა იყო, არამედ ტექნიკურიც. იგი კარგად გვარობდა როგორც ბარში, ისე მთაში და მალე მთიელთა ერთ-ერთ ძირითად საკვებ კულტურად იქცა. 1898წ. კარტოფილის ნათესებს 67 ათასი დესეტინა ეკავა.

ჩრდილო კავკასიაში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების წყალობით ფართო გავრცელებას პოულობს ისეთი ტექნიკური კულტურები, როგორიცაა თამბაქო და მზესუმზირა. თამბაქოს ძირითადი პლანტაციები ყუბანის ოლქში იყო განლაგებული. აქ მოდიოდა მთელი ჩრდილო კავკასიური თამბაქოს მოსავლის 80%.

რეფორმისშემდგომ ხანაში ასევე ფართო გავრცელება ჰპოვა მზესუმზირას კულტურამ. 80-იანი წლებისათვის იგი ყუბანის ოლქის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. 1895 წ. ეკატერინოდართან ახლოს ბარონმა შტეინგელმა და ვონდალკოვსკიმ გახსნეს ორთქლზე მომუშავე ზეთსახდელი ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად 1459 ფუთ მზესუმზირას ამუშავებდა. 1892 წ. ოფიციალური ცნობებით, ჩრდილო კავკასიის მსხვილი ზეთსახდელი ქარხნების მიერ გამოშვებული მზესუმზირას ზეთი 20 710 ფუთს შეადგენდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტექნიკურ კულტურათა მოყვანას ეწეოდნენ კოლონისტების სანიმუშო მეურნეობები.

მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა — ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ტრადიციული სამეურნეო დარგი — რეფორმისშემდგომ პერიოდშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. თერგის ოლქის უფროსის ცნობით, 1871 წ. მთის ზოლის მცხოვრებმა ოსებმა და ინგუშებმა, აგრეთვე ვლადიკავკაზისა და სუნჟის კაზაკებმა მიიღეს 11 ათასი ფუთი თაფლი და 3 ათასი ფუთი ცვილი. მარტო ოსურ სოფელ ხრისტიანოვსკოეში 1900 წ. 3 500 ფუთი თაფლი იქნა მიღებული. გაიყიდა 2500 ფუთი თაფლი და 630 ფუთი ცვილი. ამ პროდუქციის ღირებულებამ 26340 მანეთი შეადგინა.

მეფუტკრეობამ საკმაო განვითარება ჰპოვა ვედენოს, არღუნის და გროზნოს ოკრუგებში. ზოგ ჩეჩენ მეურნეს 100 და მეტი სკა ჰყავდა.

მეფუტკრეობა გავრცელებული იყო ყუბანის ოლქშიც. მას მისდევდნენ ჩერქეზები, აბაზელები, რუსი კოლონისტები. XIX ს. 90-იან წლებში ყუბანის ოლქში 324 ათასი სკა ფუტკარი ჰყოლიათ, აქედან 100 ათასი მოდიოდა ბატალფაშინსკის მაზრაზე. აულ ხუმარაში ვინმე გუკემუხოვს 600 სკა ჰყავდა, აულ ჯეგუტინსკში სალიხ ლაიფანოვს — 140 და სხვ. ყარაჩაის ზოგ აულშიც მას ფართოდ მისდევდნენ.

ადიღეში — ლაბის მაზრაში 1868 წ. 6 773 სკა ფუტკარი ჰყავდათ, ფსეკუფსის მაზრაში 1869 წ. — 8616 სკა. მეფუტკრეობა მეურნეობის შემოსავლიან დარგად იქცა.

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. რეფორმისშემდგომ ჩრდილო კავკასიაში მესაქონლეობაშიც შეიმჩნევა იგივე მოვლენები, რაც დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედებისათვის. იზრდება პირუტყვის ცალკეული სახეობების სულადობა, მესაქონლეობა სასაქონლო ხასიათს იღებს, ხდება მისი კონცენტრაცია ცალკეულ პირთა ხელში.

1890 წ. დაღესტანში ყველა სახის პირუტყვის სულადობა 2 119 557 სულს შეადგენდა, 1897 წ.—2 252 286 სულს (მათ შორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო 344319 სული, ცხვარი და თხა — 1824796). 1892 წ. ავარიის ოკრუგში პირუტყვი და მეცხოველეობის პროდუქტები გაიყიდა 33 168 მანეთისა, 1899 წ. კი — 69 071 მანეთისა (მოკლე ხანში ორჯერ და მეტად გაიზარდა). დაღესტანში მეცხვარეობის განვითარებისათვის კარგი ბაზა იყო საზამთრო და საზაფხულო საძოვრების არსებობა (მთები დ კასპიისპირა დაბლობი).

თერგის ოლქში რეფორმისშემდგომ ხანაში მესაქონლეობის განვითარებამ საგრძნობი ნაბიჯები გადადგა. ოლქში მესაქონლეობის განვითარების მხრივ პირველ ადგილზე იყო ნალჩიკის ოკრუგი, შემდეგ კი გროზნოს ოკრუგი მოსდევდა. 1883 წ. თერგის ოლქში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა შეადგენდა 591 021 სულს, 1900 წ. კი — 1 086 083 სულს.

მეცხვარეობა თერგის ოლქში უთანაბროდ იყო განვითარებული. რუსეთის 50 გუბერნიაში მოსახლეობის ყოველ 100 სულზე მოდიოდა 69,9 სული ცხვარი, თერგის ოლქში — 171,5 სული. ყიზლარის ოტდელში 100 სულ მოსახლეზე 382,7 სული ცხვარი მოდიოდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში 1883 წ. 375 410 სული ცხვარი იყო, 1901 წ. — 808 275 სული (18 წელიწადში 2,1-ჯერ გაიზარდა). ჩეჩნეთ-ინგუშეთში მსხვილფეხა პირუტყვის დიდი სულადობაც იყო თავმოყრილი. მაგ., 1883 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთზე მოდიოდა თერგის ოლქის მსხვილფეხა პირუტყვის საერთო ოდენობის 39,2%, 1900 წ. კი — 50,2%.

მესაქონლეობა სათანადო განვითარებას პოულობს ყუბანის ოლქში. მთიელი ხალხები — ყარაჩაელები, ჩერქეზები, ადიღეელები ავითარებენ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობას. აქაც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მეცხვარეობა. მატყლზე ყველგან დიდი მოთხოვნილება იყო.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეცხენეობას. გარდა იმისა, რომ იგი მთიელთა ძირითადი სატრანსპორტო საშუალება იყო, კავკასიურ ცხენებზე (ჩერქეზული ანუ ყაბარდოულის სახელით რომ იყო ცნობილი), დიდი მოთხოვნილება იყო. კაზაკობა და თვით მთავრობაც მათ მრავლად იძენდა. ჩრდილო კავკასიაში როგორც მთიელთაგან, ასევე კაზაკთაგან ბევრს ჰქონდა სპეციალური ცხენსაშენები. 1898 წ. თერგის ოლქში 212858 ცხენი იყო. აქედან ჩეჩნეთ-ინგუშეთზე მოდიოდა 87,7 ათასი ცხენი (41,1%).

1867 წ. ყარაჩაიში 14 ათასი ცხენი ჰყავდათ, საერთოდ ყუბანის ოლქში კი 29181. ეს მცირე რაოდენობა აიხსნება იმით, რომ კავკასიის ომი ამ რაიონში ის-ის იყო დამთავრდა, ხოლო მთიელთა ძირითადი მასა თურქეთში გადასახლდა. ცხადია, რომ XIX ს. დამდეგისათვის მესაქონლეობა ყუბანის ოლქის მთებშიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

დამახასიათებელია პირუტყვის კონცენტრაცია შემამულეებისა და კულაკური მეურნეობების ხელში. ჩეჩნეთის სოფ. სტარი იურტში მურზაბეკოვს და ელმურზაევს 1886 წ. 630 ცხენი ჰყავდათ, მაიურტუპელ ბიმურზაევს — 300. ამავე ბიმურზაევს 1600 ცხვარი და თხა ჰყავდა. კენ-იურტელ მუსტაფაევს ჰყავდა 2 ათასი სული ცხვარი და ასეულობით მსხვილფეხა პირუტყვი. 1894 წ. ჩერქეზ კულაკ თინიბეგ ბაიჩაროვს 917 ცხენი და 10 ათას სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა. ყარაჩაიში დიდი ცხენსაშენები ჰქონდათ ჯარაშიევებს, კრიმშაგხალოვებს, ურუსბიევებს, ბატაშევებს და სხვ. ასევე იყო თითქმის ყველგან. და ეს მაშინ, როცა ყარაჩაის გლეხთა 20—30% 90-იან წლებში სულ არ ჰყავდათ პირუტყვი. თერგის ოლქში 1891 წ. მოსახლეობის 52,7% უცხენო იყო. ბარის ჩეჩნეთში მეურნეობათა 72,4% ცხენი არ ჰყავდა. ინგუშეთში მეურნეობათა 5,6% არ ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი, 18,3% არ ჰყავდა ცხენი, 59,6% კი — ცხვარი და თხა. ჩრდილო ოსეთში 1893 წ. გლეხური კომლების 26,4% არ ჰყავდა მუშა პირუტყვი, 41,5% არ ჰყავდა ცხვარი და თხა. და ეს მაშინ, როცა მთაში 100 ყველაზე ძლიერ მეურნეობის (მთელი მოსახლეობის 1% შეადგენდნენ) განკარგულებაში იყო 180796 სული ცხვარი და თხა (თავი რომ დავანებოთ სხვა სახის პირუტყვს). კომლზე საშუალოდ 1800 სული ცხვარი და თხა მოდიოდა.

მაგრამ ჩრდილო კავკასიის მესაქონლეობის დახასიათება სრული არ იქნება, თუ მოკლედ არ შევეხეთ იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რაც XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში განვითარდა. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ამ ხანაში მოხდა ჩრდილო კავკასიის ინტენსიური კოლონიზაცია, რამაც მესაქონლეობას თავისი დაღი დაასვა.

უაღრესად განვითარდა მეცხვარეობა. 80-იანი წლებისათვის იგი მეურნეობის ტიპურ კაპიტალისტურ დარგად ჩამოყალიბდა. თავისუფალი და იაფი მიწების, საძოვრების არსებობა, მატყლზე მაღალი ფასები, რკინიგზებისა და გასაღების ბაზრების სიახლოვე, იაფი მუშახელი იზიდავდა დიდი გამოცდილების მქონე კაპიტა-

ლისტ-მეცხვარეებს უკრაინის სამხრეთიდან, განსაკუთრებით თავრიდის გუბერნიიდან.

თავრიდელ მეცხვარეთა პირველი თაობა 60-იანი წლებიდან შეუდგა მიწების დიდი ნაკვეთების ყიდვას იმ პირთაგან, რომელნიც მეფის ხელისუფლებისაგან წყალობის სახით ღებულობდა მათ ყუბანის, ზელენჩუკის, ურუპის, ლაბის, ბელაიას აუზებში. შეწყალებულნი შორს იყვნენ ამ ადგილებიდან და გაყიდვის გზით თავიდან იშორებდნენ ამ მიწებს. თავრიდელი ვაჭარი მეცხვარეები კი ამ მიწებს სასაქონლო ცხვრის ფარების საძოვრებად აქცევდნენ, აშენებდნენ მერინოსის ჯიშის ნაზმატყლიან ცხვარს და დიდ კაპიტალს იძენდნენ.

მსხვილი მეცხვარული მეურნეობების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თერგის ოლქშიც, განსაკუთრებით მოზდოკის განყოფილებაში. კაზაკებისაგან იჯარით აღებულ მიწებზე იქმნებოდა ხუტორები და დიდ ფარებს ინახავდნენ. ხუტორელთა ფარები 1500—3000 სულს აღწევდა. იყო მეურნეობები, სადაც ცხვარი ათეულ ათასამდე აღწევდა. ბაბიჩს 5500 სული ჰყავდა, რუდომეტკინს და ევრეევს — 11—11 ათასი, ნიკიტენკოს — 12 ათასი, ნესტერენკოს — 24 ათასი სული. პ. კულეშოვის გამოანგარიშებით, 1891 წ. ჩრდილო კავკასიაში 39 მსხვილი მეცხვარული მეურნეობის განკარგულებაში 980 ათასი სული მერინოსის ჯიშის ცხვარი იყო. თითო მეურნეობაზე 22 ათასი სული ცხვარი მოდიოდა. მაგრამ მათ შორის იყო ისეთებიც, მაგ., ბარონი შტეინგელი ყუბანზე, რომელსაც 40 ათასი სული ნაზმატყლიანი ცხვარი ჰყავდა.

სტავროპოლის გუბერნიაშიც დიდად განვითარდა მეცხვარეობა. 1896 წ. აქ 3 მლნ-მდე ცხვარი იყო.

თუკი მეცხვარეობის განვითარებას ბიძგს აძლევდა საფეიქრო მრეწველობის განვითარების შედეგად რუსეთისა და მსოფლიო ბაზარზე მატყლზე გაზრდილი მოთხოვნილება, მეცხენეობას — რუსეთის სამხედრო საჭიროება, სახორცე და მერძეულ პირუტყვზე მოთხოვნილებას ზრდიდა საქალაქო და საკურორტო ცხოვრების განვითარება, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ჩართვა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სისტემაში ანუ კაპიტალისტურ ბაზარში.

* * *

ამრიგად, ჩრდილო კავკასიაში რეფორმისშემდგომ ხანაში ვითარდება ეკონომიკის ყველა დარგი. რუსეთის კაპიტალიზმი სულ უფრო მძლავრად იჭრება მთიელთა ეკონომიკურ და საზოგადოებ-

რივ ყოფაში, არღვევს და გარდაქმნის მათ ახალ ყაიდაზე, ითრევს კავკასიის საქონელს მსოფლიო ბრუნვაში. იქმნება პირობები ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის დაძლევისათვის.

რუსეთის კაპიტალიზმის მიერ კავკასიის ეკონომიკური დაპყრობა თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა. რუსეთის ახალგაზრდა, მზარდი კაპიტალიზმი საჭიროებდა სათანადო ბაზარს. ამ ბაზრის შექმნის ორი გზა არსებობდა — კაპიტალიზმის განვითარება სიღრმეში, ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარება მოცემულ ტერიტორიაზე და კაპიტალიზმის განვითარება სიგანეში, ე. ი. მისი ბატონობის სფეროს ახალ ტერიტორიებზე გავრცელება.

მაგრამ რუსეთის ცენტრალურ რაიონებში როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაშიც შემორჩენილი იყო ბატონყმობის გადმონაშთები გლეხთა მასების ექსპლოატაციის ნახევრად ფეოდალური ფორმების სახით, რასაც არ შეეძლო არ შეეფერხებინა საწარმოო ძალთა განვითარება და შინაური ბაზრის ზრდა. ამიტომ შინაგანი ბაზრის სივიწროვის კომპენსაცია უნდა მომხდარიყო კოლონიური ექსპანსიის ხარჯზე. ხოლო რამდენადაც ამ დროისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებს მსოფლიოს კოლონიური დანაწილება უკვე მოემთავრებინათ, რუსეთს რჩებოდა ერთი გზა — ძირითადი ყურადღება შინაურ კოლონიებზე გადაეტანა. ასეთ შინაურ კოლონიებს წარმოადგენდნენ იმპერიის განაპირა მხარეები, რომლებიც ეკონომიურად საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ სამრეწველო ცენტრს.

ვ. ი. ლენინი როცა კოლონიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ აზრს განმარტავდა, აღნიშნავდა, რომ ევროპული რუსეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები, რომლებიც რეფორმის შემდგომ ხანაში დასახლდნენ, თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით ცენტრალური ევროპული რუსეთის კოლონიებს წარმოადგენდნენ (აქ მოახალშენეთათვის თავისუფალი მიწების არსებობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მასობრივ წარმოებაში დახელოვნების შესაძლებლობების გამო, რომლის სანაცვლოდ მათ შეუძლიათ მზა სამრეწველო ნაწარმი მიიღონ ცენტრიდან). „კოლონიის ეს ცნება კიდევ უფრო შეეფერება სხვა განაპირა მხარეებს, მაგალითად კავკასიას. რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა" გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე მისი პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დამთავრებულა"[2].

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ. ტ. 3. გვ. 702—703.

რუსეთის კაპიტალიზმი XIX ს. რეფორმის შემდგომ ხანაში მძლავრად იჭრება კავკასიაში, აქცევს მას გასაღების ბაზრად და იაფი ნედლეულის წყაროდ. „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავის ფაბრიკებისათვის. ქვეყანა რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას“[3].

როგორც ვხედავთ, ჩრდილო კავკასიაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება რეფორმისშემდგომ ხანაში რუსეთის კაპიტალიზმის სულ უფრო მზარდი გავლენის შედეგი იყო. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ახალი ურთიერთობების განვითარება მარტოოდენ სამრეწველო ცენტრის გავლენით აგვეხსნა. საგლეხო-საადგილმამულო რეფორმის გატარება ჩრდილო კავკასიაში (მის ზოგ რაიონში მაინც) არ იყო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში ბატონყმობის გაუქმების მექანიკური გავლენის შედეგი. ჩრდილო კავკასიის ზოგ რაიონებში (მაგ., ჩრდილო ოსეთში) საადგილმამულო რეფორმების გატარება 50-იანი წლებიდან დაიწყო მწვავე კლასობრივი ბრძოლის შედეგად. ასე რომ, ამ რეფორმებმა ჩრდილო კავკასიაში შექმნეს პირობები ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისათვის. რუსულმა კაპიტალიზმმა ეს განვითარება დააჩქარა და მისცა მას მკვეთრად გამოხატული კოლონიური მიმართულება. ასე რომ, როცა ჩრდილო კავკასიის ხალხებში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაზე ელაპარაკობთ, არ უნდა გამოვრიცხოთ ის შინაგანი პროცესები, რომლებიც იქ ხდებოდა. წამყვანი და გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, მეტროპოლიის გავლენა იყო.

მრეწველობა

XIX ს. რეფორმისშემდგომი ხანისათვის ჩრდილო კავკასიაში იწყება მრეწველობის განვითარება, ყალიბდება სამრეწველო პრო-

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 3, გვ. 703—704.

ლეტარიატი. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკიდან გამომდინარე, მრეწველობა ცალმხრივად ვითარდებოდა. მხარის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა. ხოლო ის, რაც მუშავდებოდა, კოლონიურ ხასიათს ატარებდა.

კავკასიის მთიელებში ხელოსნობის მრავალი დარგი საკმაოდ განვითარებული იყო. მაგ., დაღესტანში მაღალ დონეზე იდგა კუსტარული მრეწველობა. ასევე იყო ჩეჩნეთის რიგ აულებში, ოსეთში თუ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელებში. ყველგან კუსტარული წარმოების ესა თუ ის დარგი იყო დაწინაურებული. საერთოდ კი, შინამრეწველობა ყველგან უზრუნველყოფდა მოსახლეობას საოჯახო საგნებით, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებით, ტანსაცმლით. ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გასვლას იწყებს და მის შემქმნელთ გარკვეულ შემოსავალს აძლევს. ეს შემოსავალი, თავის მხრივ, საარსებო საშუალებათა მოპოვებას ემსახურებოდა, რაც მთის პირობებში აუცილებელი იყო მოსახლეობის მატერიალური ბაზის შეზღუდულობის გამო. ვ. ი. ლენინის მითითებით, „შინასარეწები შეადგენენ ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას: ამ მეურნეობის ნაშთები თითქმის ყოველთვის დაცულია იქ, სადაც წვრილი გლეხობაა"[4]. ჩრდილო კავკასია კი ისეთი ქვეყანა იყო, სადაც წვრილი გლეხობა წარმოადგენდა მოსახლეობის ძირითად მასას.

რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში კუსტარული მრეწველობა საოჯახო შინამრეწველობის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ზოგიერთი, მაგ., ლითონდამამუშავებელი, მეთუნეობა, ნაბდების და სხვ. წარმოება გამოიყო დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგებად, მაგრამ არც ისინი გასცილდებიან მარტივი სასაქონლო წარმოების ფარგლებს.

შინამრეწველობის ძირითად დარგებს კავკასიის მთიელებში წარმოადგენდა ლითონის დამუშავება, მატყლის და ხის დამუშავება. პრიმიტიული ტექნიკის პირობებში ამ დარგებმა ისეთ სრულყოფას მიაღწიეს, რომ მათი პროდუქცია ბაზარზეც გადიოდა. მატყლის დამუშავების ხელოვნების განვითარებას კავკასიის მთიელებში ხელს უწყობდა სათანადო ბაზის არსებობა მეცხვარეობის სახით. შალის წარმოება, ეს ძველი დარგი, XIX ს. შუახანებიდან გასცდა საოჯახო მოხმარებით სტადიას (მანამდეც ნაწილობრივ გაჰქონდათ და ცვლიდნენ მათთვის საჭირო საქონელზე, და წვრილი სასაქონ-

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 3, გვ. 383.

ლო ხასიათი მიიღო. ამან შედარებით ფართო ხასიათი რეფორმის შემდგომ მიიღო. XIX საუკუნის 80-იან წლებში ო. ვ. მარგგრაფი აღნიშნავდა, რომ ვლადიკავკაზის ოკრუგში 7069 კომლში 6159 ქალი ეწეოდა შალის დამზადებას, რომლებიც 243776 არშინ შალს ამზადებდნენ. კომლზე საშუალოდ 34,5 არშინი მოდიოდა. ადიღეში 80-იან წლებში შალის ქსოვაში ჩაბმული იყო 300 ოჯახი, რომელთა შემოსავალი აქედან წელიწადში 84 ათას მანეთს შეადგენდა.

მთიელებმა იცოდნენ შალის სტაბილურ ფერებად შეღებვა. გავრცელებული იყო რუხი, შავი და ყავისფერი. დაღესტნური, ვეინახური, ოსური, ბალყარული შალი არა მარტო ადგილობრივ საბაზრო ცენტრებში საღდებოდა, არამედ თბილისის, როსტოვის, ასტრახანის, ქუთაისის და სხვა უფრო შორეული ქალაქების ბაზრებზეც აღწევდა.

XIX ს. მეორე ნახევარში არც ნაბდების წარმოებას დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მასზე კვლავ დიდი მოთხოვნილება იყო და დაღესტნის მთიელებიდან ადიღეელებამდე მას ყველგან აწარმოებდნენ. განსაკუთრებით განთქმული იყო ანდიური (დაღესტანში) ნაბდები. XIX ს-ში შალისა და ნაბდების წარმოება საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარებამ ვერ გამოდევნა. აზიური კოსტუმის ფართო გავრცელებულობა როგორც კავკასიელ ხალხებში, ასევე კაზაკებში, განაპირობებდა მისი წარმოების ფართო ხასიათს (მალი ზზა პროდუქციის სახითაც — ჩოხა-ახალუხის, ყაბალახის და სხვ. გაჰქონდათ ბაზარზე). ნაბდების წარმოების შემცირება კავკასიის მთიელებში იწყება XX ს. დამდეგიდან, როცა თბილისში ადელხანოვის სააქციო საზოგადოებამ ნაბდების ფაბრიკა გახსნა, რომელიც მექანიზებული წესით წელიწადში 100 ათას ნაბადს ამზადებდა. ხელით წარმოებული ნაბდების დამზადება შემცირდა, მთლიანად კი ვერ გამოიდევნა.

ნაბდებისა და შალის წარმოება ყველგან ქალების საქმე იყო. რაც შეეხება ხის დამუშავებას, რომელმაც მთიელებში ყველგან სათანადო განვითარება ჰპოვა, იგი მამაკაცების ხელობა იყო. ხისგან არა მარტო სამშენებლო მასალას იღებდნენ, არამედ იარაღებსა და საოჯახო დგამ-ჭურჭელს ამზადებდნენ (მარხილები, ურმები, ნიჩბები, ცარცლები, ვედროები, ტაბაკები, თასები, კოვზები, მაგიდები, საწოლები, კარადები, სკამები, სკივრები და სხვ.). ბევრმა

ხელოსანმა აეჯის დამზადების საქმეში მაღალ პროფესიულ ოსტატობას მიაღწია.

ხელოსნობის განვითარებული და უნივერსალური დარგი იყო ლითონის დამუშავება. შრომის და საბრძოლო იარაღების დამზადება, მჭედლობა, ოქრომჭედლობა განსაკუთრებულ განვითარებას XIX ს. აღწევს. მაგრამ XIX ს. რეფორმისშემდგომი ხანა არ იყო ხელსაყრელი მათი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ფაბრიკულ-ქარხნული მასობრივი წარმოების პროდუქცია ძლიერ კონკურენციას უწევს კუსტარულ ნაწარმს და სდევნის მას. ბევრგან ამზადებდნენ (დაღესტანში, ჩეჩნეთში, ჩრდ. ოსეთში და სხვ.) კაჟიან თოფებს, დამბაჩებს, ხმალ-ხანჯალს, ამკობდნენ მას სევადით. კაზაკური მოსახლეობა მთიელთა დამზადებული იარაღის დიდი მომხმარებელი იყო. მაგრამ დრო მიდიოდა. კაჟიანმა თოფმა ასპარეზი დაუთმო შაშხანას. ცივი იარაღიც მასობრივი წარმოების ობიექტად იქცა. ასეთ შემთხვევაში ამ წარმოების შემცირება ბუნებრივი იყო. ბევრი დარგი სრულიად გაქრა.

ამ კონკურენციის შედეგი იყო შინამრეწველობის ტრადიციული დარგების დაცემა. დარჩა ის დარგები, რომლებიც ფაბრიკულ-ქარხნული პროდუქციით არ იდეცნებოდა (მაგ., ხალიჩების, ნაბდების, ოქროს და ვერცხლის, ძვლის, ხის ნაკეთობანი) ამათ, პირიქით, შემდგომი განვითარება ჰპოვეს.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ თავისი კვალი დაამჩნია კუსტარული მრეწველობის გადარჩენილ დარგებსაც. გაჩნდნენ შემსყიდველ-შუამავალნი, რომლებიდან ზოგი იქცეოდა „სახლში კაპიტალისტური მუშაობის" ორგანიზატორად. ვ. ი. ლენინი კაპიტალისტური წარმოების ამ ფორმის შესახებ აღნიშნავდა. რომ „შინამრეწველი დე ფაქტო ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში; აქ შემსყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად"[5]. მაგ., ჩრდ. ოსეთში იგი ისეთ დარგშიც კი შეიჭრა, როგორიც იყო ქალთა მიერ ოქრომკედით ქარგვა. მედუქნეები, რომლებიც ვლადიკავკაზში კუსტარული ნაწარმით ვაჭრობდნენ, ამარაგებდნენ ქარგვაში დახელოვნებულ ოს ქალებს საჭირო მასალით და სახლში მუშაობის პირობებს უქმნიდნენ. ამ თავისებურ „მანუფაქტურაში" ქალაქის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებნიც იყვნენ ჩაბმული.

---

[5] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 3, გვ. 430.

ჩნდება ხელოსანი მეწარმეც, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს თავის სახელოსნოში. მაგრამ ამას ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხებში ფართო გავრცელება არ ჰქონია. მას ქალაქებში ჰქონდა ადგილი, ამასთან ხშირად კავკასიის გარეთ.

ასე რომ, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შინამრეწველობა ტრანსფორმაციას განიცდიდა. იგი ან წვრილ სასაქონლო წარმოებაში, ან კაპიტალისტურ საწარმოში გადადიოდა.

ცარიზმი კავკასიას განიხილავდა როგორც კოლონიას და, მეტროპოლიის მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ინტერესებიდან გამომდინარე, აფერხებდა აქ მრეწველობის განვითარებას. მაგრამ, ამის მიუხედავად, ობიექტური ეკონომიკური პროცესები აქაც იწვევს ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას. მათი მიზანი იყო მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება, რათა მისი გატანა და მოხმარება გაადვილებულიყო.

მრეწველობის დარგებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ჩრდილო ოსეთის ვერცხლისა და ტყვიის მადნების დამუშავება (სადონის მაღაროები და ალაგირის გადამმუშავებელი ქარხანა). სააქციონერო საზოგადოება „ელბრუსის" ვერცხლ-ტყვიის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა და ლაბორატორია (აიგო 1891 წ. ყარაჩაი-ჩერქეზეთში ბელგიის კაპიტალის მონაწილეობით), ნავთობის მოპოვება გროზნოში. დაღესტანში იწყება გოგირდის, ვერცხლისწყლის, მარილის, ტორფის მოპოვება, მაგრამ მათ განვითარება მაშინ ვერ ჰპოვეს. შედარებით უკეთ განვითარდა აქ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებასთან დაკავშირებული დარგები (საკონსერვო, ღვინის, არყის და ლუდსახდელი ქარხნები). 1899 წელს დაღესტნის ოლქის ქალაქებში 44 საწარმო იყო, რომელთა წლიური პროდუქციის ღირებულება 400 ათას მანეთს შეადგენდა. 1897 წ. აღწერით აქ მრეწველობაში დაკავებული იყო 1,5 ათასი მუშა. სეზონური მუშების რიცხვი 7 ათასამდე კაცს შეადგენდა. XIX ს. ბოლოს დაღესტნის მრეწველობაში 15 ათასამდე კაცი იყო დაკავებული.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით XIX ს. მეორე ნახევარში ყველაზე სწრაფად ჩრდილო ოსეთი დაწინაურდა. მისი ცენტრალური მდებარეობა რუსეთის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელ მაგისტრალზე, რუსეთის კავკასიურ საქალაქო ცენტრებთან სიახლოვე და მჭიდრო კავშირი ხელს უწყობდა მის განვითარებას. ვლადიკავკაზი ჩრდილო კავკასიის არა

ქარტო მთავარი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი იყო, არამედ ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრიც.

1875 წ. ჩრდილო ოსეთში (ვლადიკავკაზის ოკრუგში აღრიცხული იყო 145 საწარმო 588 მუშით. ესენი უპირატესად კუსტარული ხასიათის საწარმოები იყო (წყლის წისქვილები, ქონსახდელი, ზეთსახდელი, ტყავის, სანთლის, აგურ-კრამიტის და სხვ.). ყველაზე მსხვილი საწარმოები იყო ალაგირის ვერცხლ-ტყვიის და სარაჯევის (სარაჯიშვილის) სპირტ-არაყის ქარხნები. 1887 წ. ოკრუგში უკვე 291 საწარმო იყო აღრიცხული (მათგან 160 წყლის წისქვილი იყო). მუშების რაოდენობა 499 იყო, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება კი 351 628 მანეთს შეადგენდა.

1898 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგის ოსებით დასახლებულ სამ უბანში ყველა სახის სამრეწველო საწარმომ გამოუშვა 217870 მანეთის პროდუქცია, ხოლო ამ სამ უბანში არსებულ სავაჭროთა წლიური ბრუნვა შეადგენდა 222155 მანეთს. თვით ქ. ვლადიკავკაზის მონაცემები არ შედის მოტანილ ციფრებში. 1890 წ. ვლადიკავკაზის 56 საწარმო 824 ათასი მანეთის პროდუქციას იძლეოდა წლიურად.

როგორც საწარმოთა ოდენობა, ისე მათი გამოშვებული პროდუქციის ოდენობა ნათლად მოწმობს, რომ ესენი იყო უწვრილესი საწარმოები ერთეული მუშებით, პრიმიტიული ტექნიკით. ეს საწარმოები აქაც, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებში, წარმოადგენდნენ სამშენებლო მასალების დამამზადებელ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს. სამშენებლო მასალების (აგურ-კრამიტის, კირის, ხე-ტყის) წარმოების სწრაფი ზრდა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

ჩრდილო ოსეთში სამრეწველო პროლეტარიატის აღმოცენება სადონ-ალაგირის ვერცხლ-ტყვიის წარმოებასთან არის დაკავშირებული. 1850 წ. რუსეთის ადმინისტრაციამ ალტაის, ურალისა და ლუგანსკის ქარხნებიდან 380 კომლი ყმა მუშა გადმოასახლა და მათგან შექმნა დაბა ალაგირი. 1853 წ. ალაგირში დამთავრდა ქარხნის მშენებლობა. 1854 წ. მან გამოადნო 28 ფუთი ვერცხლი და ? ათასი ფუთი ტყვია. ასეთი მასშტაბით იგი 1890-იან წლებამდე მუშაობდა.

1895 წ. მთავრობამ ეს საწარმო 60 წლით გადასცა ნ. ფილკოვიჩს. მან ბელგიელ კაპიტალისტებთან ერთად შექმნა რუსულ-

ბელგიური აქციონერული საზოგადოება „ალაგირი“. მისი ნამდვილი მეპატრონე იყო ლიეჟის ბანკი, რომელსაც ეჭირა აქციების 80%.

საზოგადოებამ გააფართოვა წარმოება. 1895 წ. თუ 26180 ფუთი თუთია იქნა მიღებული, 1898 წ. — 751 442 ფუთი.

1859 წ. აქ პირველად დაუშვეს 5 ოსი მუშა. 1868 წ. 221 მუშიდან 111 ოსი იყო, ხოლო 1875 წ. 380 მუშიდან 340-ს ოსები შეადგენდნენ.

1890 წ. სადონთან ახლოს მიზურში აშენდა ელექტროსადგური და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა. 1897 წ. დიგორიაში მუშაობა დაიწყო ფასნალის გამამდიდრებელმა ფაბრიკამაც. ასე რომ, 1900 წლისათვის ჩრდილო ოსეთის სამთომომპოვებელსა და სამთო-საქარხნო მრეწველობაში მუშათა რიცხვმა 581-ს მიაღწია.

სამთო-მომპოვებელი მრეწველობის ჩანაკვეთები ყარაჩაი-ჩერქეზეთშიც შეიმჩნევა. აქ ჯერ კიდევ 1846 წლიდან დაიწყო ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ რაკი მომხმარებელი არ ჰყავდა, უგზოობა და სიშორე უშლიდა ხელს და XIX ს. მეორე ნახევარში ვერ განვითარდა.

გაცილებით მნიშვნელოვნი იყო 1891 წ. საააქციონერო საზოგადოება „ელბრუსის“ მიერ ინდიშზე ვერცხლ-ტყვიის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ლაბორატორიის შექმნა. დიდი მუშაობა ჩატარდა თუთიის ელექტროლიზური მეთოდით მისაღები ქარხნის ასაგებად.

მეფის მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული ვერცხლისა და ტყვიის წარმოების გადიდებით. 1891 წ. ვერცხლისა და ტყვიის მოპოვებაზე დასაქმებული იყო 80 კაცი, 1892 წ. — 150, რამდენიმე წელიწადში კი მათმა რიცხვმა 2000 კაცს გადააჭარბა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარებას გროზნოში. 1839 წლიდან იღებენ აქ ნავთს ჭებიდან — ვედროებით, შემდეგ კასრებით ეზიდებიან მას გადასამუშავებლად მოზდოკსა და ნაურსკაიაში.

ჭების მთხრელებად, ნავთობის ამომღებად და გადამზიდავებად ჩეჩენი გლეხები და ღარიბი კაზაკები მუშაობდნენ. 1846 წლამდე ნავთობის მოპოვება წლიურად 3 ათას ფუთს არ აჭარბებდა და მხოლოდ რეფორმის წინ მიაღწია 12,5 ათას ფუთს.

ნავთობის ამოღება გაფართოვდა 60-იანი წლებიდან. იწყება ნავთის გამოყენება გასანათებლად და მოსახლეობა მას ყიდულობს (მანამდე მხოლოდ სამკურნალოდ იყენებდნენ). მაგრამ რეფორმის

შემდგომ ხანაშიც ნავთობის ამოღება იქ ნელა ვითარდებოდა, მაშინ როცა ბაქოში იგი სწრაფად იზრდებოდა. ნავთობიანი ადგილები კაზაკთა ადმინისტრაციის განკარგულებაში იყო და ისინი მათ შემსყიდველებზე გასცემდნენ. როცა 1894 წ. ეს სისტემა გაუქმდა, დაიწყო ნავთობის მრეწველობის აყვავება.

1867 წ. გროზნოში ნავთობის ამოღებამ შეადგინა 23 ათასი ფუთი, 1887 წ. — 108 ათასი, 1891 წ. 450 ათასი. მას კვლავ ჭებიდან ვედროებით იღებდნენ. ჭაბურღილი პირველად 1893 წ. გაჭრა და 62 საჟენის სიღრმიდან ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა. ამ დროიდან იწყება ფაქტიურად მისი სამრეწველო მოპოვება. გაჩნდა მსხვილი ფირმები, რომლებშიც უცხოელები დიდი როლს ასრულებდნენ. 18 მსხვილი ნავთობის ფირმიდან 11 უცხოელებს ეკუთვნოდათ. ყველაზე მსხვილი სააქციონერო საზოგადოება გროზნოში იყო „ახვერდოვის და კ°", რომელზეც დროდადრო მთელი ნავთობმოპოვების 50% მოდიოდა.

თუკი ჭის წესით 1883—1893 წწ. 60 წლის მანძილზე 3,5 მლნ ფუთი ნავთობი იქნა ამოღებული, 1893 წ. უკვე 8 მლნ ფუთი ამოიღეს. 1904 წელს ნავთობის ამოღებამ 40 მლნ ფუთი შეადგინა. გაუმჯობესდა მისი მოპოვების ტექნიკა. იგი საზღვარგარეთ ნედლი სახით გაჰქონდათ, იყენებდნენ საწვავად ქვეყნის შიგნით — ვლადიკავკაზის რკინიგზის ორთქლმავლები ნავთობის საწვაეზე მუშაობდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილი გადამუშავდებოდა.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება ჩრდილო კავკასიაში საქალაქო ცხოვრების ზრდაშიც აისახა. 1867 წელს დაღესტანში ქალაქებად გარდაიქმნენ თემირ-ხან-შურა და პეტროვსკი — თითოეულში 2—2 ათასი მუდმივი მცხოვრები იყო. დერბენტში 12 ათასი სული ცხოვრობდა. როცა რკინიგზა გავიდა ამ ქალაქებზე (1894—1899), მათი მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა. XIX ს. ბოლოს თემირ-ხან შურაში 12 ათასამდე, პეტროვსკში 8 ათასი, დერბენტში 18,5 ათასი სული მოსახლე იყო.

იზრდება გროზნოს, ვლადიკავკაზის, მაიკოპის, არმავირის მოსახლეობა და ეკონომიკური პოტენციალი. მაიკოპი ქალაქად 1870 წ. გამოცხადდა. 1878 წ. იქ 48 ათასი მცხოვრები იყო. 90-იანი წლების დასაწყისზე აქ 112 კუსტარული საწარმო იყო 458 მუშით. 90-იანი წლების დასაწყისში აქედან წელიწადში 2,8 მლნ ფუთი საქონელი გადიოდა, 650 ათასი ფუთი შემოდიოდა. მის მიდამოებში ნავთობის აღმოჩენამ კიდევ უფრო დააჩქარა ქალაქის ზრდა.

მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად გადაიქცა ქ. არმავირი,

ადრე სომხური სოფელი. რკინიგზის ხაზის გაყვანამ ხელი შეუწყო მის ზრდას. 1867 წელს აქ აშენდა აგურის ქარხანა, რომელიც წელიწადში 125 ათას ცალ აგურს უშვებდა. 1875 წ. არმავირში გაიხსნა ძმების — ტარასოვების ბამბეულის ფაბრიკა. მათი კაპიტალი 1900 წ. 3 მლნ მანეთს შეადგენდა.

შხარის ქალაქების ცხოვრების თავისებურების წარმოსადგენად ძალიან მოკლედ შევეხებით ქ. ვლადიკავკაზს, თერგის ოლქის ადმინისტრაციულ და სამრეწველო-სავაჭრო და კულტურულ ცენტრს მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით. მისი სწრაფი ზრდა იწყება 60-იანი წლებიდან. ჩნდება ახალი სამრეწველო და სახელოსნო საწარმოები, სავაჭრო დაწესებულებები, მათი საქონელბრუნვა. იზრდება ქალაქის ტერიტორია, მოსახლეობა, იცვლება ძველი გარეგნული სახე.

1874 წ. ქალაქში 194 სამრეწველო საწარმო ირიცხებოდა 1000-მდე მუშით. მათი წარმოების მოცულობა 424, 8 ათას მანეთს შეადგენდა. 1880 წელს აქ აშენდა ბარონ შტეინგელის აგურის ქარხანა, რომელშიც 80 მუშა იყო დასაქმებული და 42250 მანეთის პროდუქციას უშვებდა.

1893 წ. ვლადიკავკაზის 66 სამრეწველო საწარმომ 1,3 მლნ მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქალაქში გაჩნდა საწარმოები, რომლებიც საპაიო საწყისებზე მუშაობდნენ. მათგან ყველაზე დიდი იყო ყორღანოვის, ქეთხუდოვის და ტაიროვის არყის ქარხანა. მასში 1899 წ. 72 მუშა იყო დასაქმებული, გამოშვებული პროდუქცია კი 140 ათას მანეთს შეადგენდა. ვახტანგოვის თამბაქოს ფაბრიკაში 110 მუშა მუშაობდა, წლიური პროდუქცია კი 1,3 მლნ მანეთს შეადგენდა. დანარჩენი საწარმოები წვრილი იყო (2—6 მუშა).

ქალაქში დიდი რაოდენობით იყო კუსტარი-ხელოსნები. 1875 წ. მათი რიცხვი 1504-ს შეადგენდა. მათგან 759 ოსტატი იყო, 613 მუშა, 132 შეგირდი. მათ შორის იყო რამდენიმე ყაზიყუმუხელი (ლაკი) ოსტატი, რომელიც ვერცხლის მხატვრულ ნაკეთობაზე მუშაობდნენ. მათი ნახელავი ქალაქის 36 მაღაზიაში საღდებოდა.

ხელოსნები საამქროებში იყვნენ გაერთიანებული. მათ თავის ნიშნები ჰქონდათ და მამასახლისები ჰყავდათ, ცალკე კვარტლები ეკავათ დარგების მიხედვით. მაგრამ კუსტარულ წარმოებას კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ზრდის პერსპექტივა არ ჰქონდა. იგი ვერ უძლებდა იაფი ფაბრიკულ-ქარხნული პროდუქციის კონკურენციას და თანდათან ეცემოდა.

რკინიგზის ხაზით რუსეთისა და ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებთან დაკავშირებამ გამოიწვია ვლადიკავკაზში სამრეწველო საქონლის მოზღვავება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანის ზრდა. ამიერიდან ვლადიკავკაზი რუსეთის სამხედრო ბაზიდან რუსეთის კავკასიასთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს პუნქტად გადაიქცა. 1892 წელს ამ ქალაქის სადგურიდან გატანილ იქნა 1,4 მლნ ფუთი პური და სხვა პროდუქტები. 1901 წ. — 2 მლნ ფუთზე მეტი. აქ იყო დიდი საბითუმო საწყობები, ბაზები, მარცვალსაცავები. აქედან რუსული სამრეწველო საქონელი ნაწილდებოდა მთელ კავკასიაზე. 1876 წ. ქალაქში იყო 627 სავაჭრო დაწესებულება, 1889 წ. — 763, რომელთა ბრუნვა 4,2 მლნ მანეთს შეადგენდა. 1900 წ. ვლადიკავკაზში სავაჭრო ბრუნვამ 7 მლნ მანეთს მიაღწია.

ქალაქში განვითარდა საბანკო საქმეც. 1869 წ. აქ გაიხსნა ოლქში პირველი საქალაქო საზოგადოებრივი ბანკი, 1881 წ. კი სახელმწიფო ბანკის განყოფილება, 1890 წ. — აზოვ-დონის კომერციული ბანკის განყოფილება. გაიზარდა წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი.

1870 წ. ვლადიკავკაზის სამოქალაქო მოსახლეობა 11 ათას სულს აღწევდა. 1877 წ. 1 იანვრისათვის მოსახლეობის რიცხვმა 23, 7 ათასს გადააჭარბა, 1897 წ. აღწერით კი მისი მოსახლეობა 43740 სულს შეადგენდა. პიატიგორსკის, გროზნოს, მოზდოკის, გეორგიევსკის მოსახლეობა თითოეულისა 10 ათას სულს არ აღემატებოდა.

1875 წელს ვლადიკავკაზზე გავრცელდა 1870 წ. საქალაქო დებულება, რომლის თანახმადაც ქალაქის საქმეებს არჩევითი სათათბირო (დუმა) უხელმძღვანელებდა. მას ირჩევდნენ ქალაქში უძრავი ქონების მქონე პირები, ვაჭრები და მრეწველები. 1875 წ. 1 იანვრისათვის ასეთები 735 კაცი აღმოჩნდა. საკუთრივ ნათელია, თუ ვისი ინტერესების გამომხატველი იქნებოდა მათ მიერ არჩეული სათათბირო.

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების კვალობაზე XIX ს. მეორე ნახევარში მიმდინარეობდა ქალაქის კეთილმოწყობაც. შენდებოდა ახალი, თანამედროვე შენობები, გაყვანილ იქნა წყალსადენი, მოიკირწყლა გზები, ქუჩები. მოეწყო ქალაქის განათება ნავთის ფარნებით.

XIX ს. ბოლოსათვის ვლადიკავკაზი ეკონომიურად სავაჭრო და ხელოსნობის ტიპის მრეწველობის ქალაქი იყო, სოციალ-პოლიტიკურად კი თერგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, სამ-

ხელრო-საქალაქო ბიუროკრატიის ქალაქი, მეშჩანების, კაზაკებისა და მთიელთა არისტოკრატიის ქალაქი. ასეთივე სურათს ქმნიდნენ ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებიც რეფორმისშემდგომ ხანაში. განსხვავება მათ შორის ძირითადად მასშტაბებში მდგომარეობდა.

ვაჭრობა

ჩრდილო კავკასიის ეკონომიკურმა განვითარებამ რეფორმისშემდგომ ხანაში, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდამ, ბუნებრივია, გამოიწვია ვაჭრობის განვითარებაც. რკინიგზის გაყვანამ, შიდა სამიმოსვლო გზების ქსელის გაფართოებამ და რუსული კაპიტალიზმის საერთო ფერხულში ჩაბმამ ვაჭრობის მასშტაბები მკვეთრად გაზარდა. სწორედ ამან გახადა შესაძლებელი ჩრდილო კავკასიის სასაქონლო მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების მწარმოებლად გადაქცევა.

საგარეო ვაჭრობა ჩრდილო კავკასიაში რეფორმისშემდგომ ხანაში შავი ზღვის ნავსადგურებთან იყო დაკავშირებული, სადაც რკინიგზით მიდიოდა მარცვლეული და იქ იტვირთებოდა გემებში უცხოეთში გასატანად. რკინიგზით სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დიდი ოდენობით გაჰქონდათ რუსეთის ქალაქებშიც. ამის სათანადო ილუსტრაციას წარმოადგენს ძირითად სარკინიგზო ცენტრებიდან გატანილი ტვირთების რაოდენობა და სტრუქტურა.

1865 წ. უცხოეთიდან ყუბანის ოლქში შემოტანილი საქონლის ღირებულება 157,2 ათას მანეთს შეადგენდა, გატანილისა — 539 ათასს. იმავე წელს რუსეთიდან შემოტანილ იქნა 287,5 ათასი მან., გატანილ იქნა 402 ათასი მან. საქონელი. ამის შემდეგ როგორც უცხოეთში, ასევე რუსეთში გატანილი და შემოტანილი საქონლის ოდენობა სწრაფად იზრდება.

ჩრდილო კავკასიის ჩართვამ რუსეთისა და მსოფლიოს კაპიტალისტურ ბაზარში, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიწვია სასაქონლო მარცვლეულის წარმოების ზრდა. 1886 წ. დაიწყო ნოვოროსიისკის ნავსადგურის მშენებლობა. იმავე წელს აქედან 0,7 მლნ ფუთამდე ტვირთი იქნა გატანილი, მომდევნო 1889 წ. კი ტვირთის მიმოქცევამ აქედან 18,7 მლნ ფუთს გადააჭარბა. 1888 წ. სექტემბრიდან 1889 წ. სექტემბრამდე მარტო ამ ნავსადგურიდან საზღვარგარეთ 10 მლნ ფუთი პური იქნა გატანილი. ყუბანური პური

დიდი ოდენობით გადიოდა საზღვარგარეთ ეისკის და ტეგრიუკის ნავსადგურებიდანაც.

პური დიდი ოდენობით გადიოდა რკინიგზითაც. 1892 წ. ყუბანის ოლქიდან რკინიგზით გატანილი პური 4,33 მლნ ფუთს შეადგენდა. სულ ამ წელს ყუბანის ოლქიდან ყველა სახის ტრანსპორტით საზღვარგარეთ და რუსეთში 66 მლნ ფუთი პური იქნა გატანილი.

სასაქონლო მარცვლეულის მწარმოებელ მნიშვნელოვან რაიონებს წარმოადგენდნენ სტავროპოლის გუბერნია და თერგის ოლქი. ასე რომ, ჩრდილო კავკასია რეფორმისშემდგომ ხანაში რუსეთის იმპერიის პურის ბეღლად იქცა.

ყუბანის ოლქში სასაქონლო მარცვლეულის ძირითადი მწარმოებლები კაზაკები და კოლონისტები იყვნენ, რომელთა ხელში ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების შედეგად მიწის დიდი ფართობები აღმოჩნდა. თერგის ოლქშიც კაზაკობა და კოლონისტური მოსახლეობა დიდ როლს ასრულებდა სასაქონლო მარცვლეულის წარმოებაში, მაგრამ მასში ფართოდ იყო ჩაბმული ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ბარში ცხოვრობდა. მათ შორისაც ჩნდება მარცვლეულსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველები, იქმნება მარცვლის შესანახი საწყობები (ბეღლები).

რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ვაჭრობა მარცვლეულით არ შემოიფარგლებოდა. რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოდის საფეიქრო ნაწარმი, რკინის ინვენტარი, შაქარი, მარილი და სხვ. გაჭრონდათ მეცხოველეობის პროდუქტები, კულტურული წარმოების პროდუქცია (შალი, ნაბადი, ჩოხა-ახალუხი და სხვ.). იგივე პროდუქცია ადგილობრივი ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენდა.

ვაჭრობის მოცულობის ზრდა დამახასიათებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვისაც. პეტროვსკის (ახლანდ. მახაჩკალა) საკარანტინო-საბაჟო სამსახურის მონაცემებით 1866 წ. აქ შემოტანილ იქნა 1302 ათასი მან. საქონელი, ხოლო გატანილი — 31670 მანეთისა. 1870 წ. შემოტანილ იქნა 2220 ათასი მან., გატანილი — 294 ათასი მან. საქონელი. როგორც ეხედავთ, საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიურია, მაგრამ ცხადია ისიც, რომ გატანილის ხვედრითი წონა ულრო სწრაფად იზრდება. თუკი შემოტანილი საქონლის მოცულობა 5 წელიწადში 70% გაიზარდა, გატანილისა — 928% გადიდდა.

ვითარდება ადგილობრივი ვაჭრობაც. ამის მაჩვენებელია ბაზრობების — იარმარკების ქსელის გაფართოება. 80-იანი წლების დასაწყისისათვის, თ. მარგგრაფის ცნობით, დაღესტანში ყოველ მეხუთე თუ მეათე სოფელში ყოველ პარასკევს იმართებოდა ხალხმრავალი ბაზრობები. იყიდებოდა მარცვლეული, ხილი, შალი, ხალიჩები, მზა ტანსაცმელი (ე. წ. ჩერქესკა), სპილენძის ჭურჭელი. ხმალ-ხანჯლები, დამბაჩები, შაშხანები და სხვ. მეცხვარეებს გასაყიდად მოუტანიათ ცხვრის ფარები.

ასეთი ბაზრობები გაზაფხულზე და შემოდგომაზე იმართებოდა ყუბანის ოლქის ირიგ სტანიცებში, რომლებიც თითო კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა. მათზე ყოველნაირი საქონლით ვაჭრობდნენ.

საკურორტო მეურნეობის განვითარება ჩრდილო კავკასიაში დიდ მოთხოვნილებას აყენებდა სასურსათო პროდუქციაზე. მინვოდში, პიატიგორსკში, კისლოვოდსკში და სხვაგან დიდი რაოდენობით საღდებოდა მეცხოველეობის პროდუქტები, ბოსტნეული, თაფლი, შეშა და სხვ. მეთიელები ამით კარგად ინაცვლებდნენ ხელს და ხშირად პირადი მოხმარების შეზღუდვის ხარჯზე თავის პროდუქციას ფულად აქცევდნენ.

ვაჭრობის განვითარება იწვევდა მემამულურ და გლეხურ მეურნეობათა კაპიტალისტურ გარდაქმნას. ყარაჩაელმა თავადმა ისლამ კრიმშამხალოვმა 90-იან წლებში თებერდაში თავის ფერმის ბაზაზე ყველ-კარაქის ქარხანა გახსნა და მისი პროდუქციით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ჩერქეზი კულაკი თინიბეგ ბაიჩაროვი, რომელსაც 1 000-ზდე ცხენი და 10 ათას სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ხორცითა და რძით ამარაგებდა რამდენიმე კურორტს.

ფართო მასშტაბი მიიღო ცხენებითა და მსხვილფეხა პირუტყვით ვაჭრობამაც. აქაური პირუტყვი ფართოდ საღდებოდა რუსეთში, უკრაინაში, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში. ჩრდილო კავკასიური მატყლი არა მარტო რუსეთის სამრეწველო ცენტრებში მიდიოდა, არამედ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ.

ფართოდებოდა საავაჭრო დაწესებულებათა ქსელი. 1852 წ. ჩრდილო ოსეთის სოფელ ხრისტიანოვსკოეში ერთი დუქანი იყო, XIX ს. ბოლოს კი რამდენიმე ათეული, რომელთაგან 12 მანუფაქტურით ვაჭრობდა. ა. არდასენოვი აღნიშნავდა, რომ 90-იან წლებში 300 კომლიან სოფელში 4—5 დუქანი ჩვეულებრივი ამბავია.

1894 წ. ყარაჩაის სოფელ უჩკულანში 19 დუქანი იყო, ერსაკონში — 6 და ა. შ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ვაჭრობას იმთავითვე ებრაელები და სომხები ეწეოდნენ, რეფორმისშემდგომ

ხანაში კი მასში ჩაებნენ ყარაჩაელები და ჩერქეზები. ამასთან, ყარაჩაელები და ჩერქეზები უპირატესად პირუტყვით ვაჭრობდნენ, საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციით და წვრილმანებით კი — ებრაელი, სომეხი, ქართველი და რუსი ვაჭრები. ქართველი და რუსი ვაჭრების გამოჩენა ასპარეზზე სიახლე იყო.

საკაჭრო დუქნებს უმთავრესად კულაკური ელემენტები ხსნიდნენ. ისინი თანამოძმეთა ხარჯზე მდიდრდებოდნენ და თავის წამოწყებას აფართოებდნენ. ისინი მევახშეობასაც ეწეოდნენ. გაჭირვებული გლეხი მათგან აიღებდა სესხად სათესლე მარცვალს ან ფულს და შემდეგ მათ კაბალაში ექცეოდა. ლიტერატურაში მოტანილია მაგალითები, როცა მავანმა სესხად აიღო 30 კაპიკი და 7 წლის შემდეგ მევახშეს სასამართლო წესით გადაუხადა 3 ძროხა ხბოებით, 2 წლის მოზვერი და 2 ბატკნიანი ცხვარი. სხვას 50 კაპიკის ღირებულების ხორბლის ანგარიშში 6 წლის შემდეგ 5 ძროხის გადახდა დასჭირდა.

ვაჭარ-მევახშეები, მედუქნეები იყვნენ „სოფლის კულაკობის ხარბი, შეუბრალებელი ხროვა" (გ. ცაგოლოვი), „წვრილი წურბელები" (ვ. ლენინი), რომლებიც სარგებლობდნენ თავის თანამოძმეთა გაჭირვებით და სისხლს სწოვდნენ მათ.

რუსეთის ბაზრის ნაწილად ჩრდილო კავკასიის გადაქცევა არ ნიშნავდა საქართველოსთან მისი ტრადიციული საკაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შეწყვეტას. პირიქით, იგი შემდგომ ვითარდება. დაღესტნიდან, ჩრდილო ოსეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ბალყარეთიდან თბილისსა და საქართველოს სხვა ცენტრებში კვლავ ფართოდ შემოდის შინამრეწველური ნაწარმი.

გაძლიერდა საქართველოში მარცვლეულის შემოტანა ჩრდილო კავკასიიდან. 1891 წ. შემოტანილ იქნა 785,7 ათასი ფუთი, 1893 წ. — 3,9 მლნ ფუთი მარცვლეული. 1900 წ. შემოტანილმა მარცვალმა 2,5 მლნ ფუთს გადააჭარბა. ეს შემოტანილი იყო რკინიგზით და მასში არ შედის მარცვლეულის ის რაოდენობა, რომელიც საკაპანო ტრანსპორტით შემოჰქონდათ საუელტეხილო გზებით (1 მლნ ფუთს ანგარიშობენ). ქართველი მთიელები — მოხევეები, მთიულები, რაჭველები — ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილი მარცვლეულით იკვებებოდნენ.

მ. ყიფიანი XIX ს. უკანასკნელი ათწლეულისათვის ხაზს უსვამს ოსეთის სამხედრო გზის ეკონომიკურ მნიშვნელობას. ამ გზით იმერეთში, აგრეთვე, მთიდან ბარში მიერეკებიან ცხენების

რემებს და პარეტყვის ჯოგებს. ამ გზითვე სურსათ-სანოვაგე შემოაქვთ ბარიდან ადგილობრივ მცხოვრებთა, ვაჭრობენ რაჭასთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სვანები, რაჭველები, სამხრეთ ოსები, მთიულ-მოხეველები ჩრდილო კავკასიაში არა მარტო საკაკროდ დადიოდნენ, არამედ სამუშაოდაც. ისინი სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში (მოსავლის აღებაზე) დაქირავებულ მუშებად მონაწილეობდნენ და ხშირად შრომის საფასურად მარცვლეულს ღებულობდნენ. რაჭველთა, მთიულ- მოხეველთა ნაწილი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას, რომ იქ სამუდამოდ სახლდებოდა. რაჭველთა ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დატარებით თუ სტაციონარულ ვაჭრობას ეწეოდა ბანუფაქტურული ნაწარმითა და სხვა წვრილმანით. მკვლევარ აღსანიშნავია ისიც, რომ რაჭველები, სხვა ქართველ მთიელთაგან გაწასვლებით, ჩრდილო კავკასიას მოეცლინენ კვალიფიციური მუშახელის — მშენებლების სახით და თავის სამუშაო ძალას ხელსაყრელ პირობებში აქირავებდნენ. ოსი ხალხოსანი რევოლუციონერი და პუბლიცისტი ა. არდასენოვი აღნიშნავდა, რომ ოსეთში ყველა ახალი საცხოვრებელი სახლი რაჭის მაზრიდან გამოსული ქართველი ხელოსნების მიერ არის აგებულიო.

§ 2. სოციალური ვითარება ჩრდილო კავკასიაში რეფორმისშემდგომ ხანაში

ა) ცარიზმის დამოკიდებულება მთიელთა სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავება

XIX ს. რეფორმისშემდგომი ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განსაზღვრული განვითარება, არამედ სოციალურ ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება-გამწვავება. საზოგადოება სულ უფრო მკვეთრად იყოფოდა ორ მოპირდაპირე პოლუსად. ცარიზმი ხელს უწყობდა გაბატონებული წრეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას, რათა ისინი ექცია თავის პოლიტიკური ბატონობის ერთ-ერთ დასაყრდენად.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა მთიელთა სოციალური ზედაფენების წოდებრივი პრივი-

ლეგენების დამტკიცების საქმეში ერთგვარი ორჭოფობა გამოიჩინა; კავკასიის ომის დროს მათი ერთგულებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად უხვად ურიგებდა მიწებს. მაგ., ბეკოვიჩ-ჩერკასკებმა 1824 წ. მცირე ყაბარდოში 100 დესეტინა მიწა მიიღეს, 1852 წ. გენერალ-მაიორმა სულთან აზამატ-გირეიმ თერგის ოლქში მიიღო 10 ათას დესეტინაზე მეტი, გენერალ-მაიორმა თუგანოვმა ჩრდ. ოსეთში 1853 წ. — 12616 დესეტინა.

1861 წელს ალექსანდრე II განკარგულებით ყუბანის ოლქის ადგილობრივმა არისტოკრატიამ 58 ათასი დესეტინა მიწა მიიღო. მთიელთა ზედაფენები შემდეგი ნორმების მიხედვით იღებდნენ მიწებს: ოფიცრის წოდების მქონე 100-იდან 300 დესეტინამდე, სხვები კი დაწესებული სულადი ნადელის ზევით — 30 დესეტინას. აღნიშნულ ციფრებში არ შედის „დამსახურებისათვის" კერძო წყალობის სახით გაცემული მიწები. ყაბარდოში 250 ფეოდალმა მფლობელმა 100 ათას დესეტინაზე მეტი მიწა მიიღო.

მიწები უთანაბროდ იყო განაწილებული. დიდი მთავრის მიხეილის 1863—69 წწ. ანგარიშების მიხედვით ურუპინსა და ზელენჩუკის ოკრუგებში (სადაც ცხოვრობდნენ ჩერქეზები, აბაზინები და ნოღაელები) სულ 464 ათასი დესეტინა მიწა იყო. აქედან აულებს 4383 კომლზე გამოყოფილი ჰქონდათ 150 ათასი დესეტინა, რუს და გერმანელ კოლონისტებს — 60 ათასი, „საპატიო ტიტულიანებს" — 131 ნაკვეთი 92 ათასი დესეტინის ფართობით, ოფიცრებისა და მოხელეებისათვის დასარიგებლად 136 ათასი დესეტინა, ყაბარდოელებს და თაგაურელ ფეოდალურ წრეებს — ალდარებს დამსახურებისათვის — 15 ათასი დესეტინა, რეზერვი — 10 ათასი დესეტინა. მთიელ მშრომელებს მთელი მიწების 1/3-ზე ნაკლები ჰქონდათ, კერძო მფლობელებს კი 253 ათასი დესეტინა — ნახევარზე მეტი.

1875 წ. ყუბანის ოლქში მემკვიდრეობით თავადაზნაურობას 673780 დესეტინა მიწა ეჭირათ, „საპატიო მთიელებს" — 133750 დესეტინა. მთელ ყუბანის ოლქში XIX ს. ბოლოსათვის კერძო საკუთრებაში 790 არაკაზაკ და 2200 კაზაკ მფლობელებზე დარიგებულ იქნა 941 ათასი დესეტინა. 1867 წელს ხასავ-იურტის ოკრუგში ყუმიყმა ფეოდალებმა 200 ათასი დესეტინა მიწა და მდინარეებში თევზის ჭერის უფლება მიიღეს, 6814 კომლმა კი — 199235 დესეტინა.

ყარაჩაიში 40 ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა გადაეცა რამდენიმე ფეოდალურ საგვარეულოს. სოციალურმა ზედაფენებმა,

ამას გარდა, მიიტაცეს საზოგადოებრივი მიწები, რის შედეგადაც ფშრომელი მასები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ბალყარეთში 1879 წ. თაუბიების 110 კომლს 30 ნაკვეთი მიწა უბოძეს 7550 დესეტინა ფართობით.

მაშინ როდესაც მთიელთა სოციალური ზედაფენები მეფის ადმინისტრაციის მხრივ გარკვეული ზრუნვისა და მოფერების ობიექტებს წარმოადგენდნენ, გლეხობის ფართო მასების მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. რა თქმა უნდა, გლეხობის მდგომარეობა ყველგან ერთნაირი არ იყო. საგლეხო-საადგილმამულო რეფორმების შედეგად ჩრდილო კავკასიის გლეხობის დიდმა ნაწილმა ბარში სათემო მიწათმფლობელობის საფუძველზე მიიღო განსაზღვრული ნაკვეთები, მაგრამ მათი მიწათმფლობელობა თანდათან ვიწროვდებოდა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად, რომელიც აქეზებდა და ხელს უწყობდა კოლონიზაციის პროცესს.

რეფორმისშემდგომი ხანის ჩრდილო კავკასიისათვის, განსაკუთრებით XIX ს. დამლევისათვის, დამახასიათებელია გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია, მისი დაშლა, ერთი მხრივ, მცირეიცხოვან კულაკურ მეურნეობებად, მეორე მხრივ კი, საშუალო და ღატაკ გლეხებად.

დაღესტანში ეს პროცესი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: კიურინის ოკრუგში გლეხთა კომლების 13,1% არ ჰქონდა სახნავი მიწა, გლეხურ მეურნეობათა 45,2% (მასზე მთელი მოსახლეობის 40% მოდიოდა) ფლობდა მთელი სახნავი მიწის 1/5-ს, გლეხური კომლების 1/17 (8,8% მოსახლეობისა) კი თავის ხელში თავს უყრის სახნავი მიწების 30%-ს. ეს მონაცემები ახასიათებს დაღესტნის მთიან ზოლს.

ბარის ზოლში მდგომარეობის წარმოსადგენად ავიღოთ თემირხანშურის ოკრუგის ჯენგუტაის სანაირო. აქ გლეხურ მეურნეობათა 23,3% არ ჰქონდა სახნავი მიწა, 36,5% ფლობდა 1 დესეტინამდე მიწას, 33,2%—1-იდან 3 დესეტინამდე მიწას, 5.6% — 3-იდან 5-მდე დესეტინას და მხოლოდ 1,1% ჰქონდა 5 დესეტინაზე მეტი სახნავი მიწა.

გლეხობის დიფერენციაცია მარტო მიწისმფლობელობის საკითხში არ გამოვლინებულა. იყო გლეხები, რომელნიც 1000 დესეტინა მიწას ფლობდნენ და ათასობით სული პირუტყვი ჰყავდათ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიელი მოსახლეობა მიწით უზრუნველყოფის მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. 90-იან წლებში

მთიან ჩეჩნეთში სახნავი მიწა სულზე მოდიოდა 0,3 დესეტინა, სათიბი — 0,55, საძოვარი 0,9 დესეტინა. ინგუშეთში ჯერახის, მეცხალის, ხამხის და ცოლის საზოგადოებებში სულზე 0,22 დესეტინა ვარგისი მიწა მოდიოდა. ზოგ აულში (მაგ., კოლრახში) ეს ნორმა კიდევ უფრო უმნიშვნელო იყო — 0,05 დესეტინა სულზე. ეს ნორმები მხოლოდ მათხოვრულ, უკიდურესად ღატაკურ ცხოვრებას უზრუნველყოფდა. პურის პირუტყვზე გაცვლით ღებულობდნენ.

შედარებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი მიწით ჩეჩნეთ-ინგუშეთის ბარის მოსახლეობა. ჩეჩნებისათვის, რომლებიც ველზე — თერგის ნაპირზე გადმოსახლდნენ, 1863 წ. დადგენილ იქნა ნადელი კომლზე — 33 დესეტინა, ნაზრანელ ინგუშთათვის 1866 წ. — 18 დესეტინა. ზოგ კომლში რამდენიმე ოჯახი იყო გაერთიანებული, რომლებიც მიწის აღნიშნული პრინციპით განაწილების გამო დაზარალდნენ.

80-იანი წლებისათვის კომლზე ბარში მოდიოდა 6-იდან 30-მდე დესეტინა. მასში შედიოდა ბუჩჭნარიც, ხეციც, ჭაობიანი ადგილიც. თერგისა და სუნჯისპირეთში საკომლო ნადელები დიდი იყო, მთისწინეთში — მცირე. მაგ., 1886 წ. სტარი იურტში კომლზე 35 დესეტინა მოდიოდა, კურჩალოიში — 6 დესეტინა.

ჩრდილო ოსეთში (ვლადიკავკაზის ოკრუგში) 1897 წ. მონაცემებით დასამუშავებლად ვარგისი მიწის ფართობი 226440 დესეტინას შეადგენდა, აქედან ოს ხალხზე მოდიოდა 54%, დანარჩენი კაზაკებს და ხაზინას ეკუთვნოდა. ამ უთანაბრო განაწილების შედეგად ბარის ოსეთში კომლზე საშუალოდ 5,1 დესეტინა ვარგისი მიწა მოდიოდა. მთის ზოლში კი მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო. აქ კომლზე საშუალოდ 0,82 დესეტინა ვარგისი მიწა მოდიოდა, რიგ ადგილებში კი იგი დესეტინის მეოთხედამდე დადიოდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოცემული საშუალო მონაცემები ჯერ კიდევ ვერ ხსნიან საქმის ნამდვილ ვითარებას. ოსეთის შაგალითზე შევნიშნავთ, რომ აქ ჯერ კიდევ შერჩენილი იყო მიწების მფლობელობის უთანაბრობა. პრივილეგირებული წრეების წარმომადგენლებს დიდი და საუკეთესო მიწის ნაკვეთები ეპყრათ. მთაში მიწაზე კერძო საკუთრების მთავარი სახე ფეოდალური მიწათმფლობელობა იყო. თაგაურის, ქურთათის და დიგორიის ხეობებში ფეოდალური საკუთრება მიწაზე რევოლუციამდე არსებობდა (რეფორმა იქ არ გატარებულა).

აღნიშნულ პირობებში მიწათმფლობელობის საშუალო მაჩვენებლები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის რეალურ

სურათს მთაში ვერ ასახავს. ეს გარემოება იქ მრავალ გართულებას ქმნიდა და აიძულებდა ცარიზმის მოხელეებს დაწვრილებით შეესწავლათ მთაში არსებული საადგილმამულო ურთიერთობა და მთიელთა მიწით უზრუნველყოფის საკითხი რაიმე გზით მოეგვარებინათ, რათა დაძაბული ვითარება შეერბილებინათ. ამის გაკეთება მათ ვერ შეძლეს, რადგან ცარიზმის კლასობრივი ბუნება რადიკალური ღონისძიებების გატარებას შეუძლებელს ხდიდა.

რეფორმისშემდგომ ჩრდილო ოსეთისათვის დამახასიათებელია ოსური სოფლის მძაფრი სოციალური დიფერენციაცია. ცნობილი პუბლიცისტი გ. ცაგოლოვი 1899 წ. გაზეთ „ტერსკიე ვედომოსტში" წერდა ოსური სოფლის „საშინელ სამეურნეო დიფერენციაციაზე, სადაც ერთი მხრივ ვხედავთ ბურჟუაზიას, სოფლის ბობოლებს, რომელთაც ზოგჯერ დიდი ხახარები აქვთ, მეორე მხრივ კი — სოფლის ღატაკებს (გოლიტბას)".

ოსი გლეხობის დიფერენციაციის სურათს იძლევა მკვლევარი ძოკაევი. მისი მონაცემების მიხედვით 1893 წ. გლეხური კომლების 26,4% არ ჰყავდა მუშა პირუტყვი, 41,5% არ ჰყავდა ცხვარი და თხა, მთის კომლთა 37% სულ არ ჰქონდა მიწა, 35,3% იგი ჰქონდა 1 დესეტინა თითოეულს, 10,3% — 1/4 დესეტინა, 7,3%—1.8 დესეტინა, 12,2%—3/8 დესეტინა და მხოლოდ 3% იყო ისეთი, რომელსაც 2 დესეტინა მიწა ჰქონდა კომლზე. ამავე დროს მთაში 100 ყველაზე ძლიერ მეურნეობას (მოსახლეობის 1%) ჰყავდა 180796 სული ცხვარი და თხა, ანუ კომლზე საშუალოდ 1800 ცხვარი და თხა.

ყაბარდოში 1865 წ. დაიწყო მიწების გამიჯვნა. დიდ ყაბარდოში 30 აულში გაერთიანებულ 5969 კომლს მიეცა 245852 დესეტინა მიწა. ნაყოფიერი მიწები კომლზე 36 დესეტინა, ნაკლებ ნაყოფიერი — 41 დესეტინა მიეცათ. სულზე საშუალოდ 3,6-იდან 8 დესეტინამდე მოდიოდა. მაგრამ ყაბარდოში მიწების 70% ულარგისი იყო და საბოლოოდ თითო სულზე 1,25-იდან 2,1 დესეტინამდე ხახნავი მიწა მოდიოდა. ყაბარდოელი გლეხები ჩიოდნენ, რომ მათ ოჯახის გამოსაკვებად არ ჰყოფნით მიწა და დამატებას ითხოვდნენ.

თავადაზნაურობას მეფის მთავრობამ გულუხვად გამოუყო მიწა — კომლზე 100-იდან 1500 დესეტინამდე ანუ მთელი გლეხთა მიწების ნახევრის ოდენი (მაშინ როცა ისინი სულ ორივე ყაბარდოში 262 კომლს შეადგენდნენ). მათ 190 ათასი დესეტინა მიიღეს.

ბალყარეთში გლეხობის მიწით უზრუნველყოფის საკითხი ისევე იდგა, როგორც მთის სხვა რაიონებში. 1888—1897 წწ. გავლენიანმა პირებმა აქ 9000 დესეტინა საზოგადოებრივი მიწა მიიტაცეს და გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესეს.

ყარაჩაი-ჩერქეზეთიც მსგავსი მოვლენებით ხასიათდებოდა. აქ ჩერქეზთა 22 აულს 102 ათასი დესეტინა მიწა ეკავა, მაშინ როცა ბატალფაშინსკის განყოფილების რუს და ადგილობრივ კეთილშობილთა ხელში 200 ათასი დესეტინა მიწა იყო თავმოყრილი. რეფორმის შემდეგ უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი გაიზარდა. მებატონეთაგან თავდახსნილი გლეხობა სოფლის თემის წევრი ხდებოდა, მაგრამ თუ სხვაგან გადავიდოდა, ის მიწას არ ღებულობდა ახალ ადგილზე და დაქირავებული შრომით ირჩენდა თავს. ისინი კულაკთა ექსპლოატაციის უღელში ხვდებოდნენ.

კლასობრივი დიფერენციაცია გლეხობისა აქაც ისევე ნათელი და აშკარა იყო. XIX ს. ბოლოსათვის სოფლის თემი ფაქტიურად დაშლილი იყო. სოფლის ბედ-იღბალს კულაკები განსაზღვრავდნენ.

ადიღეში მიწების მიტაცებამ ცარიზმის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გაუმიწურება გამოიწვია. 1887 წ. ყუბანის ოლქში მიწის მთელი საკარგულები 8694 ათას დესეტინას შეადგენდა. აქედან 395,2 ათასი დესეტინა ანუ 4,5% ეკუთვნოდა ადიღეელებს. დანარჩენი მიწა მსხვილ მემამულეებს, საქმოსნებს, კაზაკებსა და სამხედრო პირებს ეკავათ.

იმის გამო, რომ მიწები უთანაბროდ იყო განაწილებული და არა მარტო მთის ზოლში, სადაც მცირემიწიანობა უკიდურესად განვითარდა (გ. ცაგოლოვის თქმით, აქ არსებულ მიწებს შეეძლოთ ძნელოდ მოსახლეობის 14% გამოკვება, დანარჩენი 86% ზედმეტი იყო), არამედ ბარშიც, გლეხობის დიფერენციაციის გაღრმავების შედეგად, ძალზე განვითარდა მიწის იჯარა. მიწას იჯარით ღებულობდნენ მემამულეებისაგან, კაზაკებისა და სხვა კეთილშობილთაგან. ყოფილი ფეოდალები, რომლებმაც თავისი მიწები არათუ შეინარჩუნეს, არამედ ზოგმა მათგანმა ცარიზმისადმი ერთგული სამსახურისათვის დამატებითაც მიიღო მიწები ჯილდოს სახით, თავის მიწებს იჯარით გასცემდნენ გაჭირვებულ მთიელებზე (ითითონ ვერ ამუშავებდნენ მათზე დამოკიდებული ფენების განთავისუფლების გამო). საიჯარო ქირა სულ უფრო იზრდებოდა. ოსეთში, მაგალითად, საიჯარო ქირა 15—30 მანეთს აღწევდა 1 დესეტინაზე. XIX ს. ბოლოს მთიელი ოსები იჯარით იღებდნენ მიწას 9 ათას დესეტინამდე და მასში 142 ათას მანეთზე მეტს იხდიდნენ.

მიწის იჯარამ ფართო ხასიათი მიიღო მთელ ჩრდილო კავკასიაში. მისი ორი სახე არსებობდა. ერთი იყო კულაკური იჯარა, რომელიც თავისი მეურნეობის გასაფართოებლად იღებს იჯარით მიწას. ეს კაპიტალისტური იჯარა იყო. ისინი ასეულობით დესეტინა მიწას იღებდნენ, დიდ ფერმერულ მეურნეობებს ქმნიდნენ და უმიწაწყლო გლეხთა ექსპლოატაციის გზით დიდ ქონებას აგროვებდნენ. ამ იჯარას ახასიათებს ძირითადად ქირის ფულად გადახდა.

გლეხური იჯარა ვიწრო მასშტაბისა იყო და იგი მისი არსებობის შენარჩუნებისათვის დამატებით წყაროს წარმოადგენდა. ესენი მოსავლის ნაწილს უხდიდნენ მიწის მეპატრონეს, არაიშვიათად ფულსაც.

ფართოდ იყო გავრცელებული სუბიჯარა. მას კულაკური ელემენტები ეწეოდნენ. ისინი მემამულეთაგან დიდ ნაკვეთებად იღებდნენ მიწას იჯარით და შემდეგ წვრილ ნაკვეთებად გასცემდნენ გლეხებზე მოგების მიღების მიზნით. ამ მოსაშუალე მოიჯარეთა საქმიანობის შედეგად იჯარის ამღებ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდებოდა.

იჯარით თავის ნაკვეთს გასცემდა მეთემე გლეხი, რომელსაც სათემო მიწიდან პაი ჰქონდა მიღებული, მაგრამ იმის გამო, რომ გუთანი და გამწევი ძალა არ ჰქონდა, მას თვითონ ვერ ამუშავებდა, გასცემდა და თვითონ კი საშოვარზე მიდიოდა, ან დაჭირავებულ შრომას იწყებდა ადგილზე.

XIX ს. დამლევისათვის ჩრდილო კავკასიაში წარმოიქმნა მოსახლეობის ერთი ახალი, გაჭირვებული კატეგორია. ეს იყო ე. წ. დროებით მცხოვრებ გლეხთა კატეგორია. ესენი იყვნენ მთიელი გლეხები, რომლებიც უმიწობამ აიძულა მიეტოვებინათ მამაპაპეული სახლ-კარი და ბარში ეძიათ თავის მდგომარეობის გაუმჯობესების პირობები. მაგრამ ბარის სოფლებში მიწები უკვე დიდი ხანია განაწილებული იყო სათემო მფლობელობის პირობით და ასეთ გლეხებს სოფლის საზოგადოებები არსად თავის შემადგენლობაში არ იღებდნენ, ე. ი. მიწას არ ეძლევდნენ. მათ უხდებოდათ მძიმე პირობებში კულაკებისაგან იჯარით აეღოთ მიწა, მოკამაგირეობით ერჩინათ თავი. სოფლის ბობოლები მათ ჩვეულებრივზე გაცილებით მძიმე საიჯარო ქირას ახდევინებდნენ, სოფლის საძოვარზე თავისი პირუტყვის ძოვებისათვის ასევე მძიმე გადასახადს ახდევინებდნენ. დროებით მცხოვრებნი სოფლის მკვიდრი მოსახლეობის თანაბრად ყველა გადასახადს იხდიდნენ, მაშინ როცა მიწას არ აძლევდნენ და სასოფლო კრებებს არ აკარებდნენ — იურიდიუ-

ლადაც უუფლებო მდგომარეობაში იყვნენ. გლეხობის ეს კატეგორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩრდილო ოსეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში. 90-იან წლებში მათი რიცხვი ოსეთში 70ათ კომლს (4 000 სული) შეადგენდა.

„დროებითი მცხოვრებნი" რეფორმისშემდგომი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ყველაზე დაბეჩავებულ და უუფლებო ფენას წარმოადგენდნენ. მათ განსაკუთრებით მტრობდნენ სოფლის შეძლებული ფენები, ხშირად უნგრევდნენ სახლ-კარს და სოფლიდან ერეკებოდნენ, აქეზებდნენ მათ წინააღმდეგ სოფლის ღარიბებს, თქვენი კონკურენტებიაო. კულაკობა დაინტერესებული იყო ამ ფენის არსებობით და მძიმე მდგომარეობით, რათა ხელსაყრელ პირობებში გაეწიათ მათი ექსპლოატაცია.

XIX ს. დამლევის ჩრდილო კავკასიური სოფლის შესანიშნავ დახასიათებას გვაძლევს ა. არდასენოვი. იგი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავის ცხოვრების ახალ პერიოდში შეევიდა. ახალი ეკონომიური ურთიერთობები ითრევენ მას თავის წიაღში, გარდაქმნიან მის სამეურნეო ყოფას, კულტურას, უმორჩილებენ მას თავის გავლენას. მას შენიშნული აქვს სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის როლის ზრდა, რომელიც ხელთ იგდებდა ეკონომიკურ სადავეებს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტ ძალად იქცეოდა. „ვაჭრობით გატაცება ადგილობრივ მოსახლეობაში იწვევს მტაცებელთა განსაკუთრებული ფენის—კულაკობის წარმოქმნას. ისინი თავის მოქმედების ხერხებით, ოინებით გვანან რუს კულაკებს, ოღონდ უფრო უხეშნი, ხარბნი და შეუბრალებელნი არიან".

XIX ს. ბოლოსათვის ჩრდილო კავკასიის სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიული განვითარება საბოლოოდ გამოიკვეთა. ეს კარგად ჩანდა მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებაში, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში (სასაქონლო მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების სწრაფი ზრდა), გლეხობის კლასობრივ დიფერენციაციაში. პროლეტარიზებული გლეხობა გამოსავალს კულაკების, მემამულეებისა და მდიდარი კაზაკების მიწების იჯარით აღებაში ეძებდა, ქალაქად მიდიოდა, ხშირად სამშობლოსაც ტოვებდა და რუსეთის ქალაქებში, ზოგჯერ კი საზღვარგარეთაც მიდიოდა საშოვარზე.

ასე რომ, XIX ს. დამლევისათვის ჩრდილო კავკასიაში (უპირატესად ბარის რაიონებში) სოციალური დიფერენციაციის პრო-

ცესი საკმაოდ ღრმად წავიდა. საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგში მან თავისი გამოხატულება ჰპოვა ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლუსის შექმნაში. ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ ბურჟუაზიულ-მემამულეური წრეები, მეორეზე — ქალაქისა და სოფლის ღარიბობა. ამ ორი პოლუსის ინტერესთა დაპირისპირებულობა, მათ შორის კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ძირითად შინაარსს XIX—XX სს. მიჯნაზე.

ბ) წოდებრივ ურთიერთობათა საკითხი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცარიზმი მთიელთა სოციალური ზედაფენების მიმართ ლოიალურ პოლიტიკას ატარებდა, კავკასიის ომის პერიოდში მათ უხვად ასაჩუქრებდა მიწებით და ჩინებით. მაგრამ ცარიზმის პოლიტიკა მთიელთა ზედაფენებისადმი ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. როგორც კი მისი პოზიციები კავკასიაში განმტკიცდა ხანგრძლივი ომის შედეგად, მან თავისი დამოკიდებულება მთიელთა ზედაფენებისადმი მკვეთრად შეცვალა. ეს გარემოება განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით: მთიელთა ზედაფენების მნიშვნელოვანი ნაწილი იარაღით ხელში ებრძოდა რუსეთის ცარიზმს კავკასიის ომის პერიოდში, ხშირად თურქეთის აგენტურის როლში გამოდიოდა. მეორეც, ცარიზმს თავისი გამარჯვება უნდოდა გამოეყენებინა რუსი თავადაზნაურობისა და აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, რომლებიც ახალ მიწებს და სიმდიდრეებს ესწრაფვოდნენ.

ცარიზმმა მთიელ ფეოდალებს უარი უთხრა რუს თავადაზნაურობასთან გათანაბრებაზე, მაგრამ ამ უფლებებით ფაქტიურად სარგებლობდნენ მთიელთა ზედაფენების ის წარმომადგენლები, ვინც სასწავლებლებს ამთავრებდნენ და ოფიცრები ხდებოდნენ. ასეთი პირები მსახურობდნენ პოლიციაში, ადმინისტრაციაში, საარმიო და კაზაკთა პოლკებში (1874 წ. ბატალფაშინსკის მაზრაში 95 მთიელი ოფიცერი იყო, კიდევ უფრო მეტი ოსი)

ჩრდილო კავკასიაში საგლეხო-საადგილმამულო და სხვა ხასიათის რეფორმებითა და ღონისძიებებით წოდებრივი საკითხი არ გადაჭრილა. იგი მწვავედ იდგა XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში და XX ს-შიც გადმოვიდა. ეს საკითხი ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დამახასიათებელ მო-

ბენტს წარმოადგენს, რის გამოც მასზე რამდენადმე შეჩერება ინტერესმოკლებული არ იქნება.

წოდებრივ ურთიერთობათა საკითხი მთავრობის წინაშე მთელი სიმკაცრით დაისვა იმის გამო, რომ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მიღებისას იგი წოდებრივი პრინციპით ხელმძღვანელობდა. წოდებრივი უთანასწორობა ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იჩენდა თავს, მრავალ გართულებას ქმნიდა. პრივილეგირებული წრეები მოითხოვდნენ გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას, საზოგადოებრივი ცამოსაღებებიდან განთავისუფლებას. ეს მთიელთა საზოგადოებაში მძაფრ ბრძოლას იწვევდა და, როგორც სამართლიანად შენიშნა ბ. სკიტსკიმ, იგი ძველი კლასობრივ ბრძოლის ახალ ფორმებში გაგრძელება იყო.

ახალ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პირობებში „უბრალო“ ხალხის წრიდან ბევრი დაწინაურდა როგორც ეკონომიკურ, ასევე საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე, შეიძინა ქონება, განათლება, მიიღო თანამდებობა და სათანადო გავლენაც მოიპოვა საზოგადოებაში. მაგრამ მათთვის ძალზე მძიმე იყო იმ ძველი პრივილეგირებული წრეების წარმომადგენელთა აგდებული დამოკიდებულება, რომლებსაც თავისი „წარმოშობით“ მოჰქონდათ თავი. ორი საზოგადოებრივი ძალა შეეჯახა ერთმანეთს კავკასიის მთიელებში — ძველი ფეოდალური კლასი და ახალი, მზარდი ძალა, რომელიც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების შედეგად სულ უფრო იმტკიცებდა პოზიციებს.

ორივე ძალა ურთიერთის წინააღმდეგ არგუმენტებს ისტორიაში ეძებდა. თითოეული თავის ინტერესების შესაბამისად ისტორიაში ან პრივილეგირებული მდგომარეობის დადასტურების ფაქტებს ნახულობდა, ან სავსებით უარყოფდა მათ არსებობას. მთავრობა იძულებული იყო თავისი დამოკიდებულება გამოეხატა აღნიშნული საკითხისადმი. მანაც თერგის ოლქის მთიელთა პირადი და საადგილმამულო უფლებების გამრჩევი დროებითი კომისია 1869 წ. გარდაქმნა ყუბანისა და თერგის ოლქების მთიელთა წოდებრივ უფლებათა განმხილველ კომისიად.

კომისიას უნდა დაედგინა ვინ ეცნოთ მთიელთაგან უმაღლესი წოდების წარმომადგენლად, გამოერკვიათ მათი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები იმის მიხედვით, თუ რა ადგილს იკავებდნენ ისინი მთიელთა ცხოვრებაში და რა მნიშვნელობა ეძლეოდათ მათ რუსეთის ადმინისტრაციის მხრივ, როგორი იყო მათი რიცხვი.

კომისიამ 1872 წ. თერგის ოლქის, 1874 წ. კი ყუბანის ოლქის შესახებ წარმოადგინა მასალები. ოლქების უფროსებმა მასალები თავისი შენიშვნებით წარადგინეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში თერგის ოლქიდან 1874 წ. ყუბანისა — 1877 წ. კომისიის მასალებით დიგორიაში პრივილეგირებულ წოდებად მიჩნეულ იქნენ ბადელიატები, ცარგასატები და გაგუატები, თაგაურში—ალდარები. ალდარი შეესაბამება ყაბარდოელ ტლაკოტლეშებს და დეეენუგოს, მთიელ თაუბიებს, დიგორელ ბადელიატ-ცარგასატ-გაგუატებს. ყველა ესენი მემკვიდრეობით აზნაურებად უნდა ვაღიარეთო. ქურთათში, ალაგირში, ნარმამიონში პრივილეგირებული წოდება არ არსებობ.

კომისიამ წინადადება შეიტანა თავადების ტიტულით დაემტკიცებინათ: ყაბარდოელი ფშიები (ტუმას ჩათვლით), ყუმიყი ბიები (ჩანკას ჩათვლით), ბრაგუნელი ელ-ები; უტიტულოდ — ყაბარდოელი ტლაკოტლეშები და დეეენუგოები, ყარაჩაი-ბალყარეთის თაუბიები, თაგაურელი ალდარები, დიგორელი ბადელიატები, ცარგასატები და გაგუატები, ყუმიყი ულუ (სალა) უზდენები.

კომისიის პროექტს დაეთანხმა თერგის ოლქის უფროსი ლორის-მელიქოვი, ყუბანის ოლქის უფროსი კარმალინი კი გადაჭრით გამოვიდა მის წინააღმდეგ. მისი აზრით, კავკასიის მთიელთა მაღალი წოდების პირნი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორები იყვნენ, ამიტომ უსამართლობა იქნება რუსეთისადმი ამ მტრული ძალის ამაღლება, რუსეთის ტახტის აზნაურობაზე მაღლა დაყენება და ტიტულოვან გვარებთან გათანაბრება. რა საერთო უნდა ჰქონდეს მთიელ ფშის (კომისიის პროექტით რუსეთის მომავალ თავადს) უვიც, უხეშ ფანატიკოსს, ახლო წარსულში რუსეთის მტერს, ახლა კი მის ფარულ არაკეთილმოსურნეს, რუს თავადთან, მეფის საგვარეულოს ჩამომავალთან, რომლის სახელი დაკავშირებულია რუსეთის ისტორიის საუკეთესო ფურცლებთან? პროექტის განხორციელება მკვიდრი რუსი თავადაზნაურობის დამცირება იქნება. მთიელებმა უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ პირადი დამსახურება იძლევა უფლებას განსაკუთრებულ უპირატესობათა მისაღებად.

კარმალინის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი რუსი ადმინისტრატორი ანგარიშს არ უწევდა მთიელთა ისტორიას („მათი ისტორია უნდა დაიხუროსო"), არ სურდა დაენახა წარსულში მათ რიგებში წოდებრივი დაყოფა.

მაგრამ ცარიზმის კავკასიურ ადმინისტრაციაში ეს შეხედულე-

ბა გაბატონებული არ იყო. თერგის ოლქის უფროსი და კავკასიის მეფისნაცვალი მხარს უჭერდნენ პროექტს. მეფისნაცვლის მთავარი მმართველობის დეპარტამენტის ბარათში „ყუბანისა და თერგის ოლქების მთიელთა უმაღლესი წოდებების უფლებათა შესახებ" აღნიშნული იყო, რომ მთიელთა წოდებრივი დაყოფა უძველესი დროიდან მოდის. ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ ხალხში. რუსეთის მთავრობაც დიდ ანგარიშს უწევდა მათ, ღებულობდა ლეიბ-გვარდიაში, სპეციალურ სასწავლებლებში, რომლებიც წარჩინებულთა შვილებისათვის იხსნებოდა. მთავრობა დიდ მიწებს აძლევდა მათ ცერძო საკუთრებაში ე. ი. დე-ფაქტო ისინი აღიარებული იყვნენ თავადაზნაურულ წოდებად.

კომისიის პროექტში ბევრი რამ დაზუსტდა, დაიხვეწა, მეფისნაცვლის საბჭომ იგი დაამტკიცა და პეტერბურგში კავკასიის საბჭოს გადაეცა. 1881 წ. კავკასიის საბჭო გაუქმდა და პროექტი საკანონმდებლო წესით დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს გადაეცა.

მთავრობის სხვადასხვა წრეებში კომისიის წინადადებებისადმი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება გამომჟღავნდა. იუსტიციის მინისტრმა ნაბოკოვმა განაცხადა, რომ მთავრობა ვალდებული არაა მთიელთა ისტორიულ წარსულს ანგარიში გაუწიოს, ისინი იარაღით არიან დაპყრობილი და მთიელებს იმპერიის უმაღლესი წოდების უფლებათა მოპოვება სამსახურისა და განათლების მოპოვების გზით შეუძლიათო.

სახელმწიფო საბჭომ მინისტრის ამ განცხადებაში ახალი ასპექტი დაინახა და გადაწყვიტა მისი კავკასიის ხელისუფლებასთან შეთანხმება. მინისტრის დასკვნა კავკასიის მეფისნაცვალს გამოუგზავნეს 1885 წელს. მან თერგისა და ყუბანის ოლქების უფროსებს მოთხოვა აზრის გამოთქმა. თერგის ოლქის უფროსი არ დაეთანხმა მინისტრს. იგი აღნიშნავდა, რომ იარაღით დაპყრობა შეეხება ჩერქეზებსა და ჩეჩნებს და არა იმათ, ვისაც კომისიის დასკვნა ეხებაო (ე. ი. ყაბარდოელებს, ოსებს და ყუმიყებს). რუსეთის კავკასიაში გამოჩენის დროიდან ყაბარდოსა და ოსეთის მაღალი წოდებები მთავრობას დანარჩენი მკვიდრიდან გამორჩეული ჰყავდა. მათგან აკომპლექტებდა იმპერატორის დაცვას, აწყობდა მათ შვილებს კადეტთა კორპუსებში და სხვა სასწავლებლებში. რომლებიც მხოლოდ პრივილეგირებულ წოდებათათვის იყო მიმაწვდომი. მთავრობა თავის პოლიტიკაში ყოველთვის მათ ეყრდნობოდა და ახლა მათი ქვეშევრდომებთან გაიგივება მის ინტერესებს არ შე-

ესაპამეცაო. რაც შეეხება ყუბანის ოლქის უფროსს, იგი დაეთანხმა მინისტრის თვალსაზრისს.

კავკასიის მეფისნაცვლის საბჭომ გაიზიარა თერგის ოლქის უფროსის მოსაზრებები (1888 წ.). მან გამოთქვა აზრი, რომ მთიელებში ისტორიულად ჩამოყალიბებულ წოდებრივ დაყოფას ავგარიში უნდა გაეწიოს და მთიელთა უმაღლესი წოდების წარმომადგენლები რუსეთის მემკვიდრეობითი აზნაურების პატივში დაბტკიცდნენ. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსმა დონდუკოვ-კორსაკოვმა.

მაგრამ როცა ეს გადაწყვეტილება მიუვიდა იუსტიციის ახალ მინისტრს მანასეინს (1890 წ.), მან გამოთქვა ნამოკოვის აზრი, ოღონდ აღნიშნა, რომ რაკი ბადელიატები, ალდარები და თაუბიები უკვე სარგებლობენ უფლებით, შეეძლნენ სახელმწიფო სამსახურში ერთ თაობიდან მოხელეებად, ეს უფლება გავრცელდეს ჩრდილო კავკასიის მთიელებში სხვა პრივილეგიერებულ წოდებებზეც.

ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამოქალაქო ნაწილის ახალ უფროსს ნერეტეტიევს მოთხოვეს აზრის გამოთქმა. მან მოითხოვა მთიელთა მაღალი წოდებისათვის რუსეთის აზნაურთა უფლების მიცემა. მაგრამ ამ მოთხოვნას არ დათანხმდნენ სამხედრო მინისტრი ვანოვსკი და შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო. ისინი მოითხოვდნენ მთიელთათვის უარი ეთქვათ მათში პრივილეგიერებული წოდების ცნობაზე.

მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. წოდებრივი საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და შემდგომ წლებში იგი გაძლიერებული მიმოწერის საგანი იყო კავკასიის ადმინისტრაციასა და ცენტრს შორის. კავკასიის ადმინიტრაცია მოითხოვდა ადგილობრივ პრივილეგიერებულ წოდებათა გათანაბრებას რუსეთის აზნაურობასთან. ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები კი უარყოფდნენ ამას, რადგან იგი არ შეესაბამებოდა რუსეთის თავადაზნაურობის ინტერესებს (კავკასიაში მათ ბატონობას საფრთხე აღარ ელოდა და თავისი წოდებრივი პრივილეგიების ერისმესთვის გახიარების სურვილი არ ჰქონდათ). ბ. სკიტსკი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ხელისუფლების პოზიციებზე უეჭველად ახდენდა გავლენას ის ძმაფრი ბრძოლა, რომელიც აღნიშნული საკითხის ირგვლივ მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიის ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებში. ეს ბრძოლა ყველაზე დაძაბულ ხასიათს ღებულობს ჩრდილო ოსეთში.

წოდებრივ საკითხზე ყურადღების შეჩერება განპირობებუ-

ლია იმით, რომ იგი XIX ს. რეფორმისშემდგომი ხანის ჩრდილო კავკასის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი საკვირბოროტო საკითხი, ძველისა და ახლის ბრძოლის მკაფიო მაჩვენებელი იყო. საკითხის საბოლოოდ გადაუჭრელობა გვანაპირობა იმ ახალი საზოგადოებრივი ძალების სიძლიერემ, რომლებიც ძველი ფეოდალური წრეების სოციალური პრივილეგიების აღდგენას ეწინააღმდეგებოდნენ.

XX ს. დასაწყისშიც არ შენელებულა ბრძოლა ამ საკითხის ირგვლივ. ცარიზმი ისე ჩავიდა სამარეში, რომ იგი გადაუწყვეტელი დარჩა. ოქტომბრის რევოლუციამ კი სამუდამოდ დასამარა ისტორიის ეს ანაქრონიზმი.

გ) ცარიზმის მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხთა კოლონიური ექსპლოატაცია და ჩაგვრა

ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური დაპყრობის — მისი ექსპლოატაციის დაწყებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის დაბეგვრას გადასახადებით. 1866 წ. 1 იანვრიდან ყველა მთიელი ხალხი, მათი „უმაღლესი წოდების" გამოკლებით, გადასახადებით დაიბეგრა. ეს იყო სახელმწიფო ფულადი გადასახადი. დაბეგვრის ერთეულად აღებული იყო სამეურნეო ერთეული (კომლი) იმის მიუხედავად, თუ რა ოდენობის მიწა ან ქონებრივი შეძლება ჰქონდა. დაბეგვრის ასეთი სისტემა ხელსაყრელი იყო შეძლებული ფენებისათვის.

ყუბანის ოლქის მთიელებისათვის კომლზე 3 მან. იქნა დაწესებული (ყარაჩაელებისათვის 4,5 მანეთი.) დიდი ყაბარდოს მოსახლეობას 5 მან. დაეკისრა კომლზე, მცირე ყაბარდოს, ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ბარის რაიონების მოსახლეობას — კომლზე 3 მან. მთიელებს — 75 კაპ-იდან 1,5 მან-მდე. მთიელთა ზედაფენებს და სამღვდელოებას მხოლოდ საადგილმამულო გადასახადი დაეკისრა, რაც კერძო საკუთრებაში არსებულ თითოეულ დესეტინაზე 2 კაპ. შეადგენდა.

1887 წლიდან ამ გადასახადს დაემატა გადასახადი სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ (სამხედრო სამსახურს მხოლოდ ოსები იხდიდნენ), რომლის ოდენობა კომლზე 22 კაპ-იდან 1,5 მან.-მდე აღწევდა. მას მაჰმადიანური მოსახლეობა იხდიდა.

გარდა აღნიშნულისა, მოსახლეობას მრავალი სახის საზოგადოებრივი გადასახადების გადახდაც ევალებოდა სოფლის მმარ-

თველების, სკოლების, საექიმო პუნქტების შესანახად. მათვე აწვათ ბეგარა — გზების, ხიდების, საზოგადოებრივი შენობების მშენებლობაში მონაწილეობა, საფოსტო ტრანსპორტის შენახვა, თვით სატრანსპორტო ბეგარა — ჯარების გადაყვანა-გადმოყვანაში მონაწილეობა თავის ურემებით და სხვ. 1867 წ. დიდ ყაბარდოში კომლიდან ფულადი გადასახადები შეადგენდნენ 6,5 მან., მცირე ყაბარდოში — 3 მან და 63 კაპ. 1890 წ. მათ დიდ ყაბარდოში 9 მან. და 44 კაპ., მცირე ყაბარდოში 8 მან და 63 კაპ. შეადგინეს.

ყუბანის ოლქში ფულადი გადასახადის რაოდენობა 10-იდან 18 მან. შორის მერყეობდა. სოფ. გატლუკაიში იგი 12 მან. შეადგენდა, აულ ერსაკონში — 18 მან.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა საადგილმამულო გადასახადსაც იხდიდა. თერგის ოლქში მას შემდეგი ოდენობით იხდიდნენ დესეტინაზე: ბარის ჩეჩნეთში — 21 კაპ., მთის ჩეჩნეთში — 61, ყაბარდოელები — 32, ბარის ინგუშები — 80, ბარის ოსები — 66 კაპ. ეს მაშინ, როდესაც თერგის კაზაკები დესეტინაზე 14,4 კაპ. იხდიდნენ.

გადასახადები ჩრდილო კავკასიელ ხალხთაგან სულ უფრო იზრდებოდა. 1866 წ. ჩეჩნებმა და ინგუშებმა გადაიხადეს საკომლო გადასახადი — 68 ათასი მან., 1889 წწ. — 93 ათასი მან. 1888 წ. ჩრდილო ოსებისაგან ყველა სახის გადასახადმა შეადგინა 91694 მან. 1890 წ. ჩეჩნების ფულადი გადასახადი, ჯარიმებისა და ნატურალური გამოსაღებების გამოკლებით, 129081 მან. იყო.

თერგის ოლქის უფროსის ანგარიშების მიხედვით, 1889—1892 წწ. ოლქში სახელმწიფო გადასახადები წლიურად 269574 მანეთს შეადგენდა, საიდანაც მთიელი მოსახლეობისაგან საკომლო გადასახადი 203061 მან., ხოლო საშხედრო გადასახადი 38 ათას მან. იყო.

1888 წ. ცარიზმმა მოიტაცა ჩრდილო ოსეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტყის მასივები. მანამდეც მან კაზაკებსა და ზედაფენებს მთიელთა ტყის მასივები დიდი რაოდენობით გადასცა. ახლა კი საბოლოოდ ტყის დარჩენილი მასივები ხაზინას გადასცა და მთიელებს ტყით სარგებლობა სათანადო ნებართვის გარეშე აუკრძალა, რაც მძიმე გამოსაღებთან იყო დაკავშირებული.

უსსოვარი დროიდან მთიელები ტყეებით თავისუფლად სარგებლობდნენ—საწვავად, სამშენებლოდ, გაჭირვებისას ხელსაცმოინაცვლებდნენ ხოლმე — ყიდიდნენ შეშას თუ ხე-ტყეს. გარდა ამისა, მთის მდელოებს სათიბ-საძოვრებად იყენებდნენ. ყოველივე ეს

დაკარგეს. ოსეთში 90 ათასი დესეტინა ტყე იქნა ექსპროპრიირებული, ჩეჩნეთ-ინგუშეთში — ორჯერ მეტი. ამ გარემოებამ მთიელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ყველა საზოგადოებიდან საჩივრების ტალღა წამოვიდა ტყის მცველებზე, რომლებიც მოსახლეობას მამაპაპეულ ტყეებს აღარ აკარებდნენ. ღარიბი გლეხობა, რომელთაც ბილეთების შეძენა არ შეეძლოთ, ფარულად ჩეხდა ტყეს, რისთვისაც აჯარიმებდნენ. ხშირად საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა ხოლმე გლეხებსა და ტყის მცველებს შორის, სასამართლოები აივსო ტყის ჩეხვასთან დაკავშირებული საქმეებით. 1898 წ. თერგის ოლქში 10612 ასეთი საქმე იყო აღძრული 113 ათასი მან. საერთო თანხაზე. ჩრდილო ოსეთში იყო ბევრი სოფელი, რომელთაგან თითოეულს ტყის ჩეხვისათვის ათასობით მანეთი ჯარიმა ჰქონდა დადებული, ბევრს ციხეში სვამდნენ.

ტყეების ხაზინის ხელში გადაცემას სხვა მხრივაც მოჰყვა უარყოფითი შედეგი. მთის მოსახლეობა ახოების გაკაფვით ახერხებდა მიწის შიმშილის შესუსტებას. ახლა ახოების გაკაფვაც სასტიკად აიკრძალა.

მოსახლეობის გადმოსვლებს ტყეებით სარგებლობის ძველი წესის აღდგენის შესახებ (ტყეს ბუნების საჩუქარს უწოდებდნენ, მეფეს ის არც დაუთესია, არც დაურგავს და ამიტომ ყველამ თანაბრად უნდა ვისარგებლოთო) მთავრობა სასტიკად ახშობდა.

მაგრამ მარტო ეს ვადასახადები არ ამოწურავდა ცარიზმის მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ჩაგვრა-ექსპლოატაციის მასშტაბს. მათ მძიმე ტვირთად აწვა სხვადასხვაგვარი ჯარიმები, ურთიერთთავდებობის წესი, რაც ცარიზმმა თავის სამსახურში ჩააყენა. სოფელში რომ ვინმეს რაიმე დაეშავებინა და ვერ აღმოეჩინათ, მთელ სოფელს აგებინებდნენ პასუხს. თუ სოფელში ქურდობის კვალი მივიდოდა, მთელ სოფელს ახდევინებდნენ წანახდენს. დიდი ყაბარდოს მოსახლეობამ 1890 წ. აბრაგებისა და ქურდების მოქმედებისათვის ჯარიმის სახით გადაიხადა 3 843 მან. (კომლზე 46 კაპ.). ყუბანის ოლქში ჯარიმების თანხამ 1865 წ. 2,9 ათასი მან., 1866 წ. 8,4 ათასი მან. შეადგინა.

ჩრდილო კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას ცარიზმი ფრიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა. მთიელებს იარაღის ტარება აკრძალული ჰქონდათ. კაზაკები კი შეიარაღებული იყვნენ. კონფლიქტში მთიელსა და კაზაკს შორის მთიელის მოკვლა განიხილებოდა როგორც კაზაკისაგან თავის დაცვის მიზნით მიღებული

აუცილებელი ღონისძიება; ხოლო თუ კაზაკს მოკლავდნენ, ეს ყოველთვის წინასწარგანზრახულ მკვლელობად ცხადდებოდა.

მთიელებს თავის სამშობლოში მეორეხარისხოვან ადამიანებად თვლიდნენ. მათ ყოველგვარი ადამიანური და სამოქალაქო უფლება თითქმის აყრილი ჰქონდათ. ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის მეჩრთამეტობა, გამოძალვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ბატალფაშინსკის მაზრის უფროსმა ქალის მოტაცებისათვის დამატებით თვითნებურად 100 მან. ჯარიმა დააწესა (თავის სასარგებლოდ). იგი ქრთამის აღების გზით მთიელებს ოარაღის ტარების უფლებას აძლევდა. თურქეთში გადასახლების მსურველებზე პირდაპირ ვაჭრობა იყო გაჩაღებული. აულებიდან წილისყრით მიდიოდნენ, მაგრამ ქრთამით ვისაც სურდა, დაუბრკოლებლად უშვებდნენ. საზღვარგარეთული პასპორტისათვის 3 მან. ნაცვლად 15 მანეთს ახდევინებდნენ.

მთიელებს აკრძალული ჰქონდათ თავისუფალი ადგილგადანაცვლება. მთიელი ბაზარზე რომ წასულიყო 1 დღით მეზობელ აულში ან სტანიცაში, ბილეთი — ნებართვა უნდა ჰქონოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან. ადმინისტრაცია ამ წესს სასტიკად იცავდა. მთიელი პირუტყვს ბაზარზე სათანადო ცნობის გარეშე ვერ გაყიდიდა. გამყიდველისა და მყიდველის პიროვნებას პოლიცია ამოწმებდა.

1897 წ. აულ მურთაზოვოს მამასახლისმა მიმართა სუნჯის განყოფილების ატამანს, რათა მისთვის კეთილსაიმედო პირებზე 1-იდან 6 თვემდე ვადით ბილეთების მიცემის ნება მიეცათ. ამ თხოვნას იგი იმით ასაბუთებდა, რომ მეზობელ სტანიცა ალექსანდროვსკაიაში ვაჭარმა პარშინმა გახსნა ასანთის ფაბრიკა, სადაც მურთაზოველ ახალგაზრდებს სურთ იმუშაონ. ნებართვას სოფლის ყრილობა იძლეოდა, მაგრამ მას 1 კვირის ვადით შეეძლო ასეთი ნებართვის გაცემა, რასაც შემდეგ განყოფილების ატამანი ამტკიცებდა, ე. ი. მთიელები ფაქტიურად მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას დაქირავებულ მუშებად წასულიყვნენ. თერგის ოლქის უფროსმა უბრძანა საერთო წესებით ეხელმძღვანელათ — უარი უთხრა.

1890 წ. გროზნოს ოკრუგის უფროსის წინადადებით თერგის ოლქის მმართველობამ გამოიტანა გადაწყვეტილება მთიელებისათვის ქალაქებსა და რუსულ სოფლებში დასახლების აკრძალვის შესახებ. ისინი, ვინც უკვე ცხოვრობდნენ, ვალდებული იყვნენ გაეყიდათ თავისი სახლები რუსებზე და წასულიყვნენ.

1891 წელს ვლადიკავკაზში მუდმივად მცხოვრებმა ოსებმა მოითხოვეს მიეთვალათ ოსინი ქალაქის მეშჩანთა საზოგადოებისათვის. მათ უარი უთხრეს ამაზე იმ მოტივით, რომ მთიელებს ქალაქებში ცხოვრება აკრძალული აქვთო.

თერგის ოლქის მმართველობის გადაწყვეტილება მთიელებისათვის ქალაქებსა და რუსულ სტანიცებში დასახლების აკრძალვის შესახებ დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ და ალექსანდრე III-მ. ეს აკრძალვა გავრცელდა ქ. გროზნოზე, შატოიზე, ვოზდვიჟენსკოესა და ვედენოზე. გროზნოში მცხოვრებ 69 კომლ მთიელს წინადადება მიეცა 1 წლის მანძილზე გაეყიდა თავისი ქონება და წასულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოართმევდნენ. გამონაკლისი დაშვებულ იქნა იმ მთიელთა მიმართ, ვინც სახელმწიფო სამსახურში იყო ან ოფიცრის წოდება ჰქონდა.

1898 წ. 6 ივნისის განკარგულებით მთავრობამ ინოროდელთათვის პასპორტის გაცემის ვადა ერთი წლით შეზღუდა, თანაც იგი ძალზე გაართულა. პასპორტის ამღებს უარი ეთქვა ნადელზე, იმ საზოგადოების ნებართვა უნდა წარმოედგინა, საიდანაც მიდიოდა და იმ საზოგადოების თანხმობა, სადაც მიდიოდა. უნდა წარმოედგინა ცნობა, რომ მასზე არც გადასახადი, არც კერძო ვალი არ ირიცხებოდა და მომავალი წლის ბოლომდე ყველა გადასახადი უნდა გადაეხადა.

1892 წ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო უფლება ადმინისტრაციული წესით გადაესახლებინათ ციმბირში და სხვაგან ქურდობაში შემჩნეული პირები. ამან მრავალი უდანაშაულო ადამიანის გადასახლება გამოიწვია ყალბი დასმენით. იშორებდნენ თავისთვის არასასურველ პირებს. გროზნოს ოკრუგის უფროსი თვლიდა, რომ დასმენათა 95% ყალბია, მაგრამ მაინც მოითხოვდა მთიელთა დასჯას, მიაჩნდა რა ისინი პოტენციურ დამნაშავეებად.

ასეთი შეზღუდვები, ადამიანურ ღირსებათა ფეხქვეშ გათელვა იწვევდა მთიელთა უკმაყოფილებას. ისინი იბრძოდნენ სოციალურ-ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო ე. წ. „აბრაგობა" (გურული „ფირალობის" მსგავსი), რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო XIX ს. ბოლოს. ისინი ებრძოდნენ ხელისუფლებას და ხალხის მჩაგვრელებს. ხალხში მათ მხარდაჭერა ჰქონდათ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან უჭირდათ. ცარიზმის პასუხი ყოველ ასეთ გამოსვლაზე იყო ეგზეკუციების სისტემა. აული თუ სოფელი, რომლის ახლოსაც მოხდებოდა ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმა, ნადგურდებოდა.

ამრიგად, რეფორმის შემდგომ ხანაში ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად სულ უფრო ძლიერდებოდა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ეროვნული და სოციალური ჩაგვრა.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

ჩრდილო კავკასიის მთიელთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის

§ 1. მთიელთა ბრძოლა კლასობრივი და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ

ჩრდილო კავკასია XIX ს. მეორე ნახევარში ხშირად მწვავე კლასობრივი ბრძოლის არენას წარმოადგენდა. ამ ბრძოლის უამრავი ფორმა არსებობდა, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი მისთვის იყო კლასობრივი, ანტიფეოდალური ბრძოლის გადახლართვა ანტიკოლონიურ მოძრაობასთან, რასაც ექსპლოატაციის ორმაგი უღელი და ცარიზმის შეუნიღბავი კოლონიური პოლიტიკა იწვევდა.

ცარიზმის ადმინისტრაციული და ეკონომიური ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ რუსეთის ბატონობის განმტკიცებას, მაგრამ ეს ღონისძიებები ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ხარჯზე ტარდებოდა და, ბუნებრივია, მათ უკმაყოფილებას იწვევდა. ყოფილი ხანები და ბეგები დაღესტანში, ფეოდალური თუ ნახევრად ფეოდალური ელემენტები, გვაროვნული დიდკაცობა სხვა ადგილებში უკმაყოფილონი იყვნენ თავისი პრივილეგიებისა და პოლიტიკური პრეროგატივების დაკარგვით. ახალი ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანიზაციის შექმნამ მათ მატერიალური ზარალიც მიაყენა. ახლა ხაზინაში შედიოდა ის გამოსაღებები, რასაც თვითონ იღებდნენ. მუსულმანური კლერიკალური წრეებიც დიდად იყვნენ უკმაყოფილო. გარდა იმისა, რომ მრავალი ეკონომიკური და პოლიტიკური პრეროგატივა დაკარგეს, მათ აშინებდათ იმის ფიქრი, რომ ცარიზმი ისლამს დევნას დაუწყებდა და ქრისტიანობის ძალად გავრცელებას შეუდგებოდა.

უკმაყოფილო იყვნენ ხალხის ფართო მასები. ბევრგან ისინი (მაგ. დაღესტანში) რეფორმებმა ხან-ბეგების თვითნებობისაგან იხსნეს, სხვაგანაც რეფორმამ მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა მათი ურთიერთობა ფეოდალურ წრეებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავდა მათი

მდგომარეობის გაუმჯობესებას. ადგილობრივმა ზედაფენებმა თავის სოციალური პრეროგატივები მაინც შეინარჩუნეს და მათგან მომდინარე კლასობრივ-სოციალური ჩაგვრა არ შენელებულა. ამას დაერთო ცარიზმის ბატონობის უღელი — მრავალფეროვანი სახელწოდებით ბეგერა-გადასახადების დაკისრება.

ასე რომ, ჩრდილო კავკასიაში მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკით მოსახლეობის ყველა ფენა იყო უკმაყოფილო. მთიელთა მიწების კონფისკაცია და ხაზინის, მეფის მოხელეთა და ადგილობრივი ზედაფენების მთავრობის ერთგული წარმომადგენლებისათვის გადაცემა კიდევ უფრო აუარესებდა მშრომელი მასების ფართო ფენების მდგომარეობას და ბრძოლისაკენ უბიძგებდა.

სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის პირველი გამოხატულება იყო რელიგიურ-სექტანტური მოძრაობის გაშლა. გააქტიურდნენ „ტარიკატისტები" — ფანატიკოსი მუსლიმანები, რომლებიც ყურანის ნორმებს შეუმცდარად თვლიდნენ და ცხოვრების ერთადერთ მიზნად მათ შესრულებას აცხადებდნენ. მეორე რეაქციული სექტა იყო ზიქრისტებისა (ზიქრა — არაბ. მოგონება). მისი დამაარსებელი იყო ჩეჩენი კუნტა-ჰაჯი. ზიქრისტები იკრიბებოდნენ ერთად, ასრულებდნენ საწესჩვეულებო როკვა-სიმღერებს, ალაჰის სახელის (შეცვლილი ფორმით — ულილაჰ) უწყვეტი ხსენებით ექსტაზის მდგომარეობაზე მიდიოდნენ და ამით თითქოს წინასწარგანმზერეტის უნარს იღებდნენ.

ეს სექტები რეაქციული იყო. ისინი მთიელებს ეროვნული და სოციალური ბრძოლის სწორი გზიდან აცდენდნენ. მაგრამ რაკი კლასობრივი და ეროვნული ბრძოლის ნათელი იდეოლოგია არ არსებობდა, ტარიკატისტების და ზიქრისტების იდეები გავრცელებას პოულობდა, ამ ბრძოლის დროშად იქცეოდა ხოლმე (რელიგიური ერესები შუა საუკუნეებში კლასობრივ-სოციალური ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენდნენ. ასე იყო XIX ს. რეფორმისწინადგომ ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც კაპიტალიზმის ეპოქა, უპირატესად რუსეთიდან იმპორტირებული, ადგილობრივ შუა საუკუნეობრიობის ჩამორჩენილ ფორმებთან იყო შერწყმული). სოციალურ-პოლიტიკური პროტესტის მეორე ფორმა იყო ბრძოლა თურქეთში გადასახლებისათვის.

მაგრამ ამ პასიური ფორმებით არ შეიძლებოდა ამოწურულიყო ბრძოლა. მასებმა თავისი პროტესტი გამოხატეს აშკარა ანტიკოლონიური ბრძოლით. აღსანიშნავია, რომ 60-70-იანი წლების ბრძოლები უმთავრესად ანტიკოლონიურ ხასიათს ატარებენ, კლა-

სობრივი ბრძოლა საკუთარ სოციალურ ზედაფენებთან კი მიჩქმალული იყო. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას მხოლოდ მთიელთა საზოგადოებრივი წყობილების განვითარების დაბალი დონით, რასაც კლასობრივი შეგნების დაბალი დონე შეესაბამებოდა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აქტიურობის ხანაში შედარებით განუვითარებელ ჩრდილო კავკასიურ საზოგადოებაში ეროვნული ჩაგვრის მომენტი უკანა პლანზე სწევდა სოციალური ბრძოლის მომენტს, რაც მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა კიდეც ანტიკოლონიური ბრძოლის ფრონტის მონაწილეთა სოციალური მრავალფეროვნებით და ამავე დროს განაპირობებდა კიდეევაც მას. რა თქმა უნდა, ყოველ ანტიკოლონიურ ბრძოლაში არის კლასობრივი ბრძოლის მომენტიც. ანტიკოლონიური ბრძოლა თვით არის კლასობრივი ბრძოლის ერთი, ცალმხრივი ფორმა, რომლის მახვილი მიმართულია გაბატონებული ერის მხრიდან მომდინარე კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხოლო საკუთარი გაბატონებული წრეების მხრიდან მომდინარე ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა მიჩქმალულია უკეთ ძალასთან ბრძოლის პრიმატის ქვეშ. ანტიკოლონიური ბრძოლა განსაკუთრებით აქტიური იყო დაღესტანსა და ჩეჩნეთში.

უკვე 1860 წელს დაღესტანში, ანდიის ოკრუგში იფეთქა დიდმა აჯანყებამ, რომელიც მთავრობის ჯარებმა რამდენიმე თვის შემდეგ ჩაახრეს. 1861 წ. იანვარში კი უნკრატლის საზოგადოება აჯანყდა კურაკულ მაგომას მეთაურობით. მარტში ჩააქრეს იგი. 1862 წ. კვლავ აჯანყდნენ უნკრატლელები. 1863 წ. აჯანყდნენ ავარელები ზაქათალის მიდამოებში, ანდიელები, გუმბეტოველები.

1866 წ. ყარაყაიტაგ-ტაბასარანის ოკრუგები აჯანყდა. დაღესტნის ოლქის უფროსი მელიქოვი დიდი ჯარით ამარცხებს მათ. იმავდროულად იყო აჯანყებული ამილტა და გიმრი. 1871 წ. უნკრატლი კვლავ აჯანყდა. ყველა აჯანყებას სასტიკად ახშობდნენ, ხოთავებებს სჯიდნენ.

1860 წ. მაისში ჩეჩნეთში — იჩქერიაში აჯანყდნენ ბენოელები, რომელთაც შეუერთდნენ მეზობელი აულების მოსახლეები. აჯანყებას შამილის ყოფილი ნაიბი ბაისუნგური მეთაურობდა. არგუნზე აჯანყებულთ მეთაურობდნენ უმა დუევი და ყადი ათაბი ათაბიევი — ესენიც შამილის ნაიბები იყვნენ. აჯანყება 1861 წ. პოლოვდე გაგრძელდა. ეს იყო ჩეჩენი ხალხის ყველაზე მსხვილი ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური გამოსვლა XIX ს. მეორე ნა-

ხვევარში. ეს იყო კულმინაციური მომენტი გლეხთა იმ დიდი მოელვარეებისა, რომელიც დაიწყო 1858 წლიდან.

ჩეჩნეთის 1860—61 წლების აჯანყების ძირითადი მიზეზი იყო გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რაც მოჰყვა ცარიზმის მიერ ხაზინისათვის მათი მიწების კონფისკაციას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მთის ზოლში. აჯანყება დაიწყო იმით, რომ 1859 წ. სხვა ადგილას გადასახლებული 50 კომლი ბენოელი ჩეჩენი 1860 წ. 7—8 მაისს ღამით თვითნებურად დაბრუნდა თავის ყოფილ აულში. ეუდოკიმოვის ბრძანება, შემდეგ მეუქარა ბენოელებმა არ იღეს ყურად. მას განუცხადეს, რომ თუ ძველ ადგილებში დასახლების საქმეში ხელს შეგვიშლით, ყველანი დავიხოცებით, მაგრამ არ დაგმორჩილდებითო.

1860 წ. ზაფხულში მოძრაობა თითქმის მთელ ჩეჩნეთს მოედო, გადავიდა ინგუშეთზე და დაღესტნის მთიან რაიონებზეც. 1861 წ. თებერვალში იჩკერიის ოკრუგში აჯანყება ჩაახშეს თერგის და დაღესტნის ოლქების სამხედრო ძალებმა ადგილობრივი მილიციის რაზმების მონაწილეობით. 17 თებერვალს ბაისუნგური ოჯახით ტყვედ ჩაიგდეს. მისი თანამებრძოლი სულთან-მურადი არგუნზე გაიქცა, სადაც აჯანყება გრძელდებოდა. აქ სვიატოპოლკ-მირსკის სარდლობით დიდი ძალები გაიგზავნა — რეგულარული ჯარის ნაწილები არტილერიით, კაზაკთა ასეულებით, ქვეითი და ცხენოსანი მილიციის რაზმებით და 1861 წ. დეკემბრის შუა რიცხვებისათვის ჩააქრეს იგი. ათაბი ათაბიევი, უმა დუევი დანებდნენ, სულთან მურადიც დაჭრილი ხელთ ჩაიგდეს.

1860—61 წწ. ჩეჩნეთის აჯანყებაში, გლეხობის გარდა, მონაწილეობდნენ შეძლებული ზედაფენების წარმომადგენლები. მის სათავეში უმთავრესად შამილის ყოფილი ნაიბები, სტარშინები, სამღვდელოების წარმომადგენლები იდგნენ, რომელთაც მხარს უჭერდა ფეოდალთა ნაწილი. გლეხები გაძლიერებულ ფეოდალურ ექსპლუატაციას და კოლონიურ ჩაგვრას ებრძოდნენ, ზედაფენები კი (ყოფილი ნაიბები და სხვ.) მასების უკმაყოფილებით სარგებლობას ცდილობდნენ, რათა თავის პოზიციები აღედგინათ და ცარიზმისაგან მეტი დათმობები მიეღოთ. ყუმიყი ფეოდალები აჯანყებულებს აძლევდნენ სურსათს, ტანსაცმელს, თოფისწამალს, ტყვიას. ერთ-ერთმა ყუმიყელმა თავადმა ალი-სულთანმა 6 დროშა გაუგზავნა აჯანყებულთ და პირდებოდა, რომ ყუმიყეთში აჯანყებას მოაწყობდა.

ჩრდილო ოსეთში XIX ს. მეორე ნახევარში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად სოფლად კლასობრივი წინააღმდეგობანი გამწვავდა. გლეხობის დიფერენციაციამ კულაკობად და ღარიბ გლეხობად ეს წინააღმდეგობანი გააშიშვლა. ოსური საზოგადოების სოციალური შემადგენლობის შესაბამისად კლასობრივი ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა: გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ. ღარიბობის ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ, ე. წ. „დროებით მცხოვრებთა“ ბრძოლა „მკვიდრი“ მოსახლეობის წინააღმდეგ.

გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ განსაკუთრებით ძლიერი იყო მთის ზოლში. ბრძოლა წარმოებდა იმ საკომო მიწების გარშემო, რომლებიც ოდესღაც მიიტაცეს ოსმა ფეოდალებმა. მაგ., სტირდიგორის საზოგადოებაში (დიგორიის ხეობის დასავლეთ ნაწილში), სადაც 5 სოფელი შედიოდა და 1863 წლისათვის 107 კომლი მოსახლეობა იყო. მათგან 17 კომლი ცარგასატი — ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ყოველ კომლს ამ დროისათვის თავის სახნავი და საძოვარი ნაკვეთი ჰქონდა, საძოვრად კი ერთობლივად იყენებდნენ „ხარიეს“ — 337 დესეტინა ფართობის მქონე მიწას.

ხალხი მას საზოგადო საკუთრებად თვლიდა, ცარგასატები კი თავისად თვლიდნენ და მით სარგებლობისათვის ხალხისაგან ტრადიციულ ფეოდალურ გამოსაღებებს მოითხოვდნენ. ხალხი მათსე უარს ამბობდა, რადგან 1853 წ. დიგორიის ბარში საადგილმამულო რეფორმის ჩატარებით, ხოლო რუსეთში 1861 წ. ბატონყმობის გაუქმებით გლეხთა ფეოდალურ დამოკიდებულებას ბოლო მოეღო, სტირდიგორიაში კი მათ აღდგენა-განმტკიცებას ცდილობდნენ. დავა 1862 წელს დაიწყო. მოსახლეობა ძალით სარგებლობდა ამ საძოვარით. მათ დასავლრჩილებლად თუ გადასახადების ასაკრეფად მოსულ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ემორჩილებოდნენ. ადმინისტრაცია აპატიმრებდა გლეხთა თავკაცებს. მაგრამ ამან ვერ გატეხა ისინი. 1877 წ. ბრძოლამ უკიდურეს წერტილს მიაღწია. ვლადიკავკაზის ოკრუგის უფროსმა სტირდიგორელთაგან ცარგასატების სასარგებლოდ გადასახადების ასაკრეფად იქ გაგზავნა ბოქაული და მისი თანაშემწე ხაჯი-მუსა კუბატიევი. ოდესღაც ამ გლეხმა ცარაი ხამიცაევმა სასიკვდილოდ დაჭრა კუბატიევი. რეპრესიებმა შედეგი ვერ გამოიღო და მთავრობა 1890 წ. იძულებული გახდა ცარგასატების მხარდაჭერაზე ამ საკითხში უარი ეთქვა. სენატმა დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

მსგავს ნიადაგზე გლეხობის ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ ოსეთში ძალიან გავრცელებული მოვლენა იყო. 80-იან წლებში ს. ხრისტიანოვსკოეს (აწ. ქ. დიგორა) მცხოვრებნი ებრძოდნენ თუგანოვებს „შავი ტყის" რაიონში არსებული საძოვრებისათვის. 70-იანი წლების დასაწყისში სოფ. დონიფარსში მფლობელმა კაბანოვმა, რომელიც თურქეთში გადასახლებას აპირებდა, გაყიდა სათიბი, რომელიც სოფელს ეკუთვნოდა. აღშფოთებული ხალხი მიეჭრა მას სახლში, გარეცა მისი პირუტყვი და ცხენები, თვითონ კი სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

1884 წ. დიდი მღელვარება მოხდა ხრისტიანოვსკოეში. მამასახლისი ძაბა ბეკრდიევი ბიროტად იყენებდა თავის თანამდებობას. ის ემყარებოდა სოფლის ბობოლებს, იღებდა ქრთამებს, აწყობდა თვითნებურ ჩხრეკას, ჯარიმების გაწერას, უხეშად ექცეოდა მოსახლეობას. მან გაფლანგა საზოგადოებრივი თანხები. მთელი სოფელი შეიკრიბა და პასუხი მოსთხოვეს. მას გამოექომაგენენ სოფლის კულაკები. მაშინ მამასახლისი და მისი მომხრე კულაკები სასტიკად სცემეს და მდ. ბელაიაში ჩაყარეს. მის დასახმარებლად მოსული კაზაკთა რაზმი ესაულ ანტონოვის მეთაურობით განაიარაღეს, ანტონოვი კი საპატიმროში ჩასვეს. მთავრობამ სამხედრო ძალები გაგზავნა და მღელვარება ჩაქრა, 12 თავკაცი დადასახლეს. მაგრამ ხრისტიანოვსკოელებს ბრძოლა არც შემდგომ შეუწყვეტიათ. როცა თუგანოვებმა მთავრობის დახმარებით მოითვისეს „შავი ტყე" და მისი საძოვრები, 1886 წ. „შავ ტყეში" რამდენიმე ასეული ხრისტიანოვსკელი გლეხი წავიდა შეშის საჭრელად, სადაც შეეტაკა შეიარაღებულ ტყისმცველებს და მათ დასახმარებლად მოსული კაზაკთა ასეულს. მცველები და კაზაკები დაიქცნენ.

ენერგიულად იბრძოდნენ „დროებით მცხოვრებნი" სოფლის ბობოლების წინააღმდეგ სოფლებში: ოლგინსკოეში, დარგ-კოხში, ხუმალაგში და სხვ. მაგრამ ისინი სოფლის მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ და აშკარა გამოსვლების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მათი ბრძოლის ფორმები ძირითადად ადმინისტრაციისადმი მიმართულ საჩივრებში მდგომარეობდა, რათა საშინელი დევნისა და უუფლებობისათვის თავი დაეღწიათ. მაგრამ მათი გამკითხავი არავინ იყო.

გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდათ ჩრდილოდასავლეთ კავკასიაშიც. ადიღეში ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო ხოძის აჯანყება.

რეფორმის გატარების წინ ადიღეული ფეოდალები აძლიერე-

ბენ გლეხობის ექსპლუატაციას, გლეხობა კი წინააღმდეგობას უწევს მათ. 1866 წ. აფხაზეთის აჯანყებამ გავლენა მოახდინა ადიღეში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე. 1868 წ აპრილში ადგილი ჰქონდა ხოძის დიდ აჯანყებას. მას სათავეში მოექცნენ ფეოდალებისა და მუსულმანური სასულიერო პირების ნაწილი, რომლებიც გლეხთა აჯანყების მეშვეობით ცდილობდნენ აღედგინათ თავისი დაკარგული პოზიციები, მეფის მთავრობის მხრიდან მეტი დათმობები მიეღოთ. გლეხობა, აჯანყების ძირითადი მამოძრავებელი ძალა, იბრძოდა ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ.

აჯანყების მიზეზი იყო გლეხთა შეუიწროება მფლობელებისა და მეფის მოხელეების მიერ, განსაკუთრებით ლაბის ოკრუგის უფროსის პოლკოვნიკ აბდურახმანოვის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, როცა მფლობელთ მხარს უჭერდა და თავის სასარგებლოდ ნატურალურ და ფულად გამოსაღებებს კრეფდა. საბაბი აჯანყებისა გახდა ზოგიერთი აულის უარეს ადგილას გადასახლების ცდა. მათთვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა, აბრაგების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი საკალდებულო გაყვანა.

აჯანყების დასაწყისშივე ცარიზმის მოხელეებმა მოახერხეს აჯანყებულთა გათიშვა. თავადაზნაურობამ მაშინვე უღალატა აჯანყებულთ. 23 აპრილს მათ 400 კაცი ჩამოსცილდა. დარჩა 200, რომლებმაც იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს. 25 აპრილს მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ხოძის აულებს. 150 კაცი კიდევ გამოვიდა და მორჩილება განაცხადა, 56 კაცი დარჩა, რომელთაც აული დამკოვსკი გაამაგრეს და შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწიეს. რათა სხვებიც არ შეერთებოდნენ აჯანყებულთ, 26 აპრილს იერიში დაიწყეს. დამკოესკის ყველა დამცველი ბრძოლაში დაეცა. აჯანყების დამარცხების შემდეგ მისი ყველა მონაწილე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

ხოძის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხთა კლასობრივი შეგნების გასაღვივებლად. ამის შემდეგაც არ წყდება გლეხთა მღელვარებები, მათ აშკარად გამოხატული ანტიფეოდალური ხასიათი ჰქონდათ. გლეხთა გაქცევა, ფეოდალთა სახლ-კარის გადაწვა თუ მოკვლა გახშირდა.

ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებშიც მიმდინარეობდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ისინი პატრიარქალური წყობილების ძლიერი გადმონაშთების არსებობის პირობებში ფართო გამოსვლების ხასიათს ყველგან ვერ იღებდნენ და იზოლირებულ, დაქსაქსულ გამოსვლათა მასშტაბს ვერ სცილდებოდნენ.

ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ანტიფეოდალური და ანტიცარის-ტული ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია 1877—78 წწ. აჯანყება ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ეს აჯანყება რთული და მრავალმხრივი სოციალური მოვლენა იყო, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობანი. მასში მრავალი სოციალური ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მაგრამ, ცხადია, ყველას თავისი მიზნები და ინტერესები ჰქონდა. ორივეგან აჯანყების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა. მისი გამოსვლის მიზეზი იყო ორმაგი ჩაგვრა, რომელსაც მასები განიცდიდნენ ადგილობრივი ფეოდალებისა და სოციალური ზედაფენებისაგან და აგრეთვე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისაგან, მისი მრავალრიცხოვანი მექრთამე და მომხვეჭელი მოხელეებისაგან, რომლებიც იტაცებდნენ მის მიწებს, აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობის ადათ-წესებს. გამოსვლის მიზანი იყო განთავისუფლებულიყვნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეერბილებინათ ბატონყმური უღელი. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ფეოდალური და კლერიკალური წრეები. მათ სურდათ თავის ძველი სოციალურ-პოლიტიკური პრივილეგიების აღდგენა და მუსულმანური რელიგიის განუყოფელი ბატონობა. აჯანყებაში მათი მონაწილეობა რეაქციული ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ასე რომ, 1877—78 წწ. აჯანყება როგორც ჩეჩნეთში, ასევე დაღესტანში უნდა გვანიჭილოთ ერთი მხრივ, როგორც პროგრესული, მეორე მხრივ კი რეაქციული. ასეთი დიფერენცირებული მიდგომის გარეშე მისი შეფასება არ იქნება სწორი.

1877—78 წწ. აჯანყება დააჩქარა რუსეთ-თურქეთის 1877—78 წწ. ომის დაწყებამ.

აჯანყება დაიწყო 1877 წ. 12—13 აპრილს ღამით ჩეჩნეთში. ამ ღამეს ჩეჩენი ზიქრისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ვედენოს ოკრუგის სოფ. სიმსირის მცხოვრებმა გლეხმა ალიბეკ ალდანოვმა სხვადასხვა აულიდან შეკრიბა 60-მდე თანამოაზრე და თავი იმამად და აჯანყების მეთაურად გამოაცხადა. ვედენოს ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი ავალოვი (ავალიშვილი) თერგის ოლქის უფროსს 19—20 აპრილს აცნობებდა, რომ ალიბეკ-ჰაჯიმ სიკვდილით დასაჯა აულ გენდერგენის მამასახლისი, რადგან მან აჯანყებულთ წინააღმდეგობა გაუწია, შემდეგ გაემართა ნოჟაი-იურთში — მეორე უბნის ბოქაულის სადგომში. ბოქაულმა აულის მამასახლისის პრაპორშჩიკ შახბულატისა და თარჯიმან ჩულიკის თანხლებით გაქცევით უშვე-

ლა თავს. გლეხთა რისხვას გაქცევით დააღწია თავი მსხვილმა მიწათმფლობელმა, დარღის ნაიბმა ჩომაკ ოიშიევმა, რომელთან ერთად ვაიქცნენ მისი სანაიბოს 6 აულის მამასახლისები.

აჯანყებულები სწვავდნენ გაქცეულ მამასახლისთა, მათ თანაშემწეთა და მოლათა სახლ-კარს. შახბულატის და ჩომაკ ოიშიევის სახლები გადაწვეს, ხოლო მათ ალიბეკ-ჰაჯიმ დაუსწრებლად სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. 17—20 აპრილს აჯანყებამ მთის ჩეჩნეთის 47 აული მოიცვა. ერთი კვირის შემდეგ მეფის ხელისუფლებისა და შეძლებული ზედაფენის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, აჯანყებულნი მთიანი ჩეჩნეთის ბატონპატრონები შეიქმნენ.

ალიბეკის თანამებრძოლები იყვნენ სულთან-მურად ბენოელი, აულ ჩობახკენერიის მამასახლისი დადა ზალმაევი და გუბახანი აულ გუნიდან.

აჯანყების წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, მიიღებდნენ თუ არა მასში მონაწილეობას დიდი და მცირე ჩეჩნეთის ბარის სოფლები. გენერალი სვისტუნოვი, რათა ასეთი რამ არ მომხდარიყო, 17 აპრილს გროზნოში მოვიდა და ჯარები საბრძოლველად გაამზადა. 19 აპრილს მთელ ოლქში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ მოიზიდეს ადგილობრივი ერთგული წრეების წარმომადგენლებიც.

აჯანყებულნიც სათანადოდ ემზადებოდნენ — პროკლამაციებს აგზავნიდნენ სოფლებში და გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

პირველი დიდი შეტაკება აჯანყებულებისა მთავრობის ჯარებთან მოხდა სოფ. მაიურტუპთან. აჯანყებულნი დამარცხდნენ, მაგრამ პოლკოვნიკი ნურიდი იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო.

მთავრობა თავს უყრიდა ჯარებს ჩეჩნეთში, რაზმავდა ადგილობრივი მოსახლეობის ზედაფენებს. მაგ., თურქეთის ფრონტიდან გამოიძახა პოლკოვნიკი არკუ ჩერმოევი, რომელიც კუნტა-ჰაჯის გამოსვლის დამარცხების საქმეში მონაწილეობისათვის ორდენით იყო დაჯილდოებული და რომელსაც ადგილობრივ ზედაფენებში დიდი გავლენა ჰქონდა.

28 აპრილს ალიბეკ ალდანოვმა გადაწყვიტა შემოეერთებინა ბარის ჩეჩნეთის მოსახლეობა, რომელიც უკვე ღელავდა. ის მიუახლოვდა მდიდარ სოფელ შალის, მაგრამ სოფლის ზედაფენებმა (კულაკებმა, მოლებმა და სხვ.) მამასახლისის მეთაურობით თოფის სროლით უპასუხეს. ამას იგი არ ელოდა. პირდაპირი იერიშის ნაც-

ელად მან სოფელს ალყა შემოარტყა და ლოდინი დაიწყო, რაც შეცდომა იყო. მთავრობამ ამასობაში ჯარი მოაშველა შალელებს. აჯანყებულნი უკან იხევდნენ, გზად ნურიდის ჯარებს ხვდებიან და ბრძოლაში კვლავ მარცხდებიან.

ამავე დროს არღუნის ოკრუგში, მთიან ხეობებში, მიმდინარეობდა შეტაკებები დამსჯელ რაზმებსა და უმა დუევისა და დაუა ზალმაევის აჯანყებულთა რაზმებს შორის. მაისის შუა რიცხვებისათვის ვედენოსა და არღუნის ოკრუგებში აჯანყება ჩახშობილი იყო. აულების დაწვა, ნათესების განადგურება მოსახლეობის ბარში გადასახლება, პირუტყვის ჩამორთმევა, ციმბირში გადასახლება— ეს ამ მეთოდებით ებრძოდა ცარიზმი აჯანყებულთ.

მაგრამ ერთგან ჩამქრალი აჯანყება იფეთქებდა მეორე ადგილზე. ალიბეკი ჯერ მდ. ბასის ხეობაში გამაგრდა და აქ ყველა აული აჯანყდა. აქედან ჩეხეთლოიში გადავიდა და იქაც ყველა აჯანყდა. ავრცელებდნენ ხმებს, რომ თურქებთან ომში რუსები მარცხდებიან და რომ შამილის შვილი ყაზი-მაგომა დიდი ჯარით ჩრდილო კავკასიაში მოდის.

დიდმა ჩეჩნეთმა აჯანყება ვერ გაბედა, რადგან ხელისუფლებამ აქ სათანადო ღონისძიებების გატარება მოასწრო.

12 აგვისტოს ვედენოში ჩამოვიდა თავის სისასტიკით ცნობილი გენერალი სმეკალოვი. მისმა ჯარებმა იჩქერიის მრავალი აული დაწვეს, მძევლებს იყვანდნენ. ივლის-აგვისტოში აჯანყებულთა რაზმებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, ბრძოლის თავი აღარ ჰქონდათ და ოჯახებიანად ტყეებს აფარებდნენ თავს, საიდანაც მთავრობის ჯარები ნელ-ნელა ხელთ იგდებდნენ, გამოუვალ პირობებში მყოფნი ბარდებოდნენ.

ალიბეკი ოქტომბრის შუა რიცხვებში 60 კაცით გადავიდა დაღესტანში. მალე უმა დუევიც პოლკოვნიკმა ლოხვიცკიმ არღუნის ხეობიდან გამოდევნა და ანდიაში გადავიდა. ჩეჩნეთის მთიანეთში აჯანყება ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდა. აჯანყების ბოლო ეტაპზე კლასობრივმა ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ამ დროს ცელეხობა არა მარტო დამსჯელთა წინააღმდეგ აძლიერებს ბრძოლას, არამედ ადგილობრივი ფეოდალებისა და მამასახლისების, სასულიერო წრეების წინააღმდეგაც. მაგ., 16 ივლისს ალიბეკმა არღუნის ოკრუგის ჩეხეთლოის საზოგადოების ყველა მამასახლისი შეიპყრო, ხოლო ჩეჩელიუხის მოლა აულის მცხოვრებთა თვალწინ სიკვდილით დასაჯა.

აჯანყებულები მთავრობის კარგად შეიარაღებულ 25 ათასიან

ჯართან, რომელსაც 100-ზე მეტი ზარბაზანი ჰქონდა, დამარცხდნენ. უმა დუევი დაღესტანში სოგრატლისა და ტილიტლის აღების დროს თავის ვაჟებით ტყვედ ჩაიგდეს, 27 ნოემბერს კი ალიბეკი თვით დანებდა ვედენოს ოკრუგის უფროსს ავალოვს. შეიპყრეს დადა ზალმაევიც. ზოგმა თურქეთში გაქცევა მოასწრო.

1878 წ. 4—6 მარტს გროზნოში სამხედრო-საველე სასამართლოზე გაასამართლეს აჯანყებულთა ნაწილი. ალიბეკს, უმა დუევს და მის შვილს, ზალმაევს და სხვ. ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. 9 მარტს ისინი გროზნოში ჩამოახრჩეს. სხვებს სხვადასხვა ვადით კატორღა მიუსაჯეს. ბევრი ოჯახიანად გაასახლეს რუსეთის გუბერნიებში.

აჯანყების ერთ-ერთი უმთავრესი კერა დაღესტანი გახდა. ალიბეკ-ჰაჯიმ დაღესტნელებს მოუწოდა აჯანყებულებს შეერთებოდნენ. იგი მხოლოდ მოწოდებით არ დაკმაყოფილდა და საომარ მოქმედება მთავრობის ჯარების წინააღმდეგ დაღესტნის ტერიტორიაზე გადაიტანა. აპრილის ბოლოს მან სცადა აჯანყებაში ყუმიყების ჩაბმა, მაისის თვეში კი მისმა მთავარმა ძალებმა სცადეს ხელში ჩაეგდოთ სალათავია. დაღესტანში მღელვარება ძლიერდებოდა, რადგან ალიბეკის აქტიურობის გარდა, რუსეთ-თურქეთის საზღვრის მთელ სიგრძეზე რუსეთის ჯარების უკანდახევის ხმები ვრცელდებოდა. მაისის ბოლოს, ყარსის ბლოკადის მოხსნის შემდეგ, მთიელებში ხმები გავრცელდა თურქების თბილისში შემოსვლის შესახებ. მცირე ანხიდან მოსულმა ემისრებმა მოიტანეს ოქროს ასოებით დაბეჭდილი პროკლამაციები, რომ შამილის ძე ყაზი-მაგომა დღეს-ხვალ თერგის ოლქის საზღვრებში შევა. 1878 წ. დასაწყისში დაღესტანში თურქეთის 40-ზე მეტი აგენტი მოქმედებდა.

მასობრივი გამოსვლები დაღესტანში აგვისტოს ბოლოს დაიწყო. ამ გამოსვლების საბაბი გახდა ჯარისკაცების მიერ გერგებილის ბაზარში მიმავალი გლეხების ცემა. სამაგიეროს გადახდის მიზნით შეიარაღებულ მთიელთა ჯგუფი თავს დაესხა გერგებილის ხიდის მცველებს და უმრავლესობა ამოხოცა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ლუნიბს, შეიკრიბნენ იქვე ყრილობაზე და სოგრატლის შეიხის შვილი მუჰამედ-ჰაჯი იმამად აირჩიეს. აირჩიეს აგრეთვე იმამის საბჭო და ნაიბები. ყრილობამ „ჰაზავათი“ („საღვთო ომი“) გამოაცხადა და სათანადო ბრძანებები დაუგზავნა მთელ დაღესტანს. მალე მთელი ავარია, შემდეგ კი დაღესტნის სხვა რაიონებიც მიემხრნენ აჯანყებას.

მეფის სარდლობამ გადაწყვიტა ლუნიბის გარნიზონის ხსნა და

შემდეგ იმამის რეზიდენცია — სოფრატლის აღება. მაგრამ ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

სექტემბრის დასაწყისში აჯანყებულთ შეუერთდა ყაზი-ყუმუხიდან მათ წინააღმდეგ გაგზავნილი 8-ათასიანი სამხედრო ნაწილი შტაბს-კაპიტან ფათალი-ბეკის და როტმისტრ აბდულ-მეჯიდის მეთაურობით. მალე მთელი ყაზი-ყუმუხის ოკრუგი აჯანყდა. ზოგი ლაკი ფეოდალი იძულებული გახდა აჯანყებულთ შეერთებოდა. მალე ისინი სათავეში მოექცნენ აჯანყებულთ, აირჩიეს რა ყაზი-ყუმუხის ხანად გადამდგარი მაიორი ჯაფარ-ხანი. ყაზი-ყუმუხელი აჯანყებულნი ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილი ჯაფარ-ხანის მეთაურობით სამხრეთ დაღესტანში გაემართა, მეორე კი — აჯანყებულ დარღოში.

მთავრობის ჯარი გენერალ ნაკაშიძის მეთაურობით იძულებული გახდა ლევაშისაკენ დაეხია, რათა შეერთებოდა მის დასახმარებლად წამოსულ პოლკოვნიკ ტერ-ასატუროვის რაზმს. აჯანყებულთა 6-ათასიანი რაზმი ფათალი-ბეკის მეთაურობით შეეცადა ხელი შეეშალა ამ შეერთებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. ლევაშთან ისინი დამარცხდნენ და ხაჯალ-მახისა და ცუდახარში დაიხიეს, დაკარგეს 400 კაცი, მათ შორის ფათალი-ბეკი.

ამასობაში აჯანყების მასშტაბი გაფართოვდა. მეფის ხელისუფლები იძულებული გახდნენ თერგის ოლქიდან ჯარები გადაეყვანათ აქ. ამ დროისათვის აჯანყებულთ შეუერთდნენ სამხრეთ დაღესტნის მთიელებიც. ამათ სათავეშიც ფეოდალური ელემენტები აღმოჩნდნენ. ყაიტაღ-ტაბასარანის აჯანყებულთა სათავეში იდგა ხანად გამოცხადებული მამედ-ალი-ბეკი. სამურის ოკრუგის აჯანყებულთა სათავეში იდგა ახტის ხანად გამოცხადებული ყაზი-ახმედი. მალე ყუბის მაზრის ლეზგინები აჯანყდნენ და დერბენტის ბლოკირება მოახდინეს.

ის გარემოება, რომ ყველგან აჯანყებულთა სათავეში ხანურ-ბეკური წრეების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, ფრიად საგულისხმოა. ეს მოწმობს აჯანყებულ მთიელთა მასების პოლიტიკურ სიბეცესა და ჩამორჩენილობას, მოქმედების ნათელი პროგრამის უქონლობას.

დერბენტის დასახმარებლად ლევაშიდან გაეშურა ტერ-ასატუროვის რაზმი. მან კაიაკენტთან დაამარცხა მთიელები, რომლებმაც მისთვის ხელის შეშლა განიზრახეს. დერბენტის გარნიზონმაც

გაარღვია ალყა და აჯანყებულნი შეერთებულმა ჯარმა მთებში შეარეკა.

მალე აჯანყებას უერთდებიან დასავლეთ დაღესტნელებიც — გუნბეთელები, კარატელები და სხვ. 1877 წლის სექტემბრისათვის მთელი დაღესტანი თემირხანშურის ოკრუგის გამოკლებით აჯანყებული იყო. 20 ათასამდე მეომრისაგან შემდგარმა აჯანყებულთა რაზმმა ცადა ლევაშით გაჭრილიყო თემირხანშურაში — დაღესტნის ოლქის ცენტრში და ოკრუგის მოსახლეობა (ძირითადად ყუმიყები) აჯანყებაში ჩაეთათ. ორგზისი ცდის მიუხედავად აჯანყებულებმა ეს ვერ შეძლეს.

ოქტომბრის თვის დასაწყისში აჯანყებულებმა ბარის დაღესტანში გაჭრის თავგანწირული ცდა მოახდინეს, მაგრამ ისიც წარუმატებელი იყო.

მთიელთა წარუმატებლობა აიხსნებოდა ერთიანი ხელმძღვანელობის, არტილერიისა და სათანადო სამხედრო მომზადების უქონლობით. ამის მიუხედავად 1877 წ. ოქტომბრის პირველ ნახევარში მან თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მეფის ჯარები ფაქტიურად თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ და მთავარ ამოცანად ამ ეტაპზე ისახავდნენ არ დაეშვათ მთიელები ბარის დაღესტანში.

აჯანყების ჩასაქრობად მეფის მთავრობამ ჯარები შეკოკრიბა თერგის ოლქიდან, ბაქოს გუბერნიიდან, შუა აზიიდან და ცენტრალური გუბერნიებიდან. როცა ჯარების თავმოყრა დამთავრდა, დაიწყო გენერალური შეტევა აჯანყებულებზე. პირველად ჩახშობილ იქნა აჯანყების კერები სამხრეთ დაღესტანში. ამასთან, აჯანყებულთა ხელმძღვანელმა ფეოდალებმა უღალატეს მას და რუსეთის სარდლობის ბანაკში გამოცხადდნენ. ამან დიდად გაუადვილა მეფის ჯარებს აჯანყებულებთან ბრძოლა. შემდეგ დასავლეთ დაღესტანს შეუტიეს. ფეოდალმა ბელადებმა აქაც არ დააყოვნეს ღალატი. ისინი ჩაბარდნენ რუსთა ჯარებს და გასცეს აჯანყების ხელმძღვანელები ქვედა ფენებიდან. ცარიზმის ჯარები დაუნდობლად არბევდნენ და სწვავდნენ მთიელთა აულებს.

სამხრეთ და დასავლეთ დაღესტანთან ანგარიშის გასწორების შემდეგ მეფის ჯარები შუა დაღესტანს მიუბრუნდნენ. რეგულარული ჯარის ნაწილების მხარდამხარ აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ადგილობრივ ფეოდალთა რაზმებიც. ფეოდალები, დარწმუნდნენ რა აჯანყების განწირულებაში, ახლა თანამოძმეთა სის-

ხლის დაღვრით ცდილობდნენ ცარიზმის წინაშე თავისი ლოდვების გამოსყიდვას და თავის გამოჩენას.

აული ცუდახარი გახდა აჯანყებულთა თავდაცვის ძირითადი პუნქტი. მთავრობის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მას. თავდაცვას ხელმძღვანელობდა ნიკა-ყადი. მთიელები გმირულად იბრძოდნენ. ჯარს თითოეული ქოხის იერიშით აღება უხდებოდა.

ცუდახარის დაცემის შემდეგ აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. უბრძოლველად იქნა აღებული ყუმუხი. წინააღმდეგობის უკანასკნელ პუნქტად აჯანყებულებმა აული სოგრატლი აქციეს. აქ თავი მოიყარა აჯანყების ყველა ხელმძღვანელმა (დაბალი ფენებიდან გამოსულმა). ალყაშემორტყმულებმა უარი თქვეს კაპიტულაციაზე და ბოლომდე იბრძოდნენ. აული საფუძვლამდე იქნა დანგრეული. ამით დამთავრდა 1877 წლის აჯანყება.

აჯანყების დამარცხებას მრავალი მიზეზი ჰქონდა: სტიქიურობა, შეიარაღების დაბალი დონე, ფეოდალთა ღალატი და სხვ. ეს ენი გამომდინარეობდა დაღესტნის იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან. აჯანყებულ მთიელთ არ ჰქონდათ მოქმედების ნათელი პროგრამა, არ ესმოდათ თავის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ჭეშმარიტი არსი და მისი მიღწევის გზები. ფართო გაქანების მიუხედავად ისინი პოლიტიკურად მოუმწიფეველი იყვნენ ამ დიადი მისიის შესასრულებლად.

თავის ხასიათით 1877 წლის აჯანყება, როგორც ჩეჩნეთში, ასევე დაღესტანში, მთლიანობაში ალებული, სამართლიანი იყო. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მასში მძლავრი რეაქციული ნაკადის არსებობა (განსაკუთრებით დაღესტანში), რომელიც გამოვლინდა აჯანყებაში ფეოდალებისა და კლერიკალური წრეების მონაწილეობაში. მათ თავისი სოციალური ინტერესები ამოძრავებდათ. ხანურ-ბეკური წყობილების აღდგენა, რა ვითარებაში და რა მოტივითაც არ უნდა ყოფილიყო ეს მოხდენილი, რეაქციული იყო.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ცარიზმი დაღესტანშიც შეუდგა რეპრესიების გატარებას. 300-ზე მეტი კაცი ჩამოახრჩეს, რამდენიმე ათასი გაასახლეს. მაგრამ დამარცხების მიუხედავად, ეს გრანდიოზული აჯანყება უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. ცარიზმის ადმინისტრაცია ამიერიდან ფრთხილად ეჭცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ფეოდალური წრეებიც იძულებული შეიქნენ თავის ექსპლოატატორული მადა შეეზღუდათ.

ჩრდილო კავკასიის ჩართვას რუსეთის კაპიტალიზმის საერთო ფერხულში არა მარტო მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. მან განსაზღვრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, მისი ახალი ფორმებისა და საშუალებების აღმოცენება.

XIX ს. რუსულმა მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიულმა აზრმა დიდი გავლენა მოახდინა განაპირა მხარეების ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ინტელიგენციაზე. განსაზღვრა იქ დემოკრატიული მიმართულების აზროვნების აღმოცენება და განვითარება. ცარიზმის აშკარად გამოხატული კოლონიზატორული და შოვინისტური პოლიტიკის მიუხედავად, განაპირა მხარეების მოსახლეობასა და რუს ხალხს შორის რეფორმისშემდგომ ხანაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა მეგობრული ურთიერთობა.

XIX ს. რეფორმის შემდგომ ჩრდილო კავკასიის ხალხებში ყალიბდება დემოკრატიული ინტელიგენცია. ეს ყველაზე თვალსაჩინო იყო ჩრდილო ოსეთში, რომელმაც რეფორმის შემდგომ ხანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა არა მარტო თავის სოციალურ-ეკონომიკური, არამედ კულტურული განვითარების გზაზეც. ეს შემთხვევითი არ იყო. პირველ რიგში ამას განსაზღვრავდა ჩრდილო კავკასიაში მისი ცენტრალური მდებარეობა და საკომუნიკაციო გზებზე მოხერხებული განლაგება, აგრეთვე ის გარემოება, რომ ოსი ხალხის უდიდესი უმრავლესობა ქრისტიანი იყო (არც მისი უმნიშვნელო მაჰმადიანური ნაწილი იჩენდა დიდ რელიგიურობას, რომ არა ვთქვათ რა ფანატიზმზე) და რელიგიური ხასიათის დაბრკოლება რუსულ კულტურასთან დაახლოებაში მას არ ხვდებოდა. ანგარიშგასაწევია ისიც. რომ ოსი გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი ჩრდილო ოსეთში უფრო აშკარად გამოხატული იყო, კლასობრივი ბრძოლა აქ რელიგიურ საბურველში არ იყო გახვეული და მისი ფორმებიც უფრო აშკარა სოციალური ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანი ხალხების სოციალური ზედაფენებისა და სასულიერო წრეების პერმანენტულმა პროთურქულმა ორიენტაციამ (კავკასიის ომის, მუხაჯირობის პერიოდში და შემდგომაც კი) განსაზღვრა ალნიშნულ საქმეში მათი შედარებით სუსტი მონაწილეობა. თუ მათგან (სოციალური ზედაფენებიდან) ეინმე რუსულ განათლებას მიიღებდა, ეს უმთავრესად სამხედრო

ხასიათისა იყო. მათ კი თვითმპყრობელობის ერთგულ დამცველებად ზრდიდნენ და ამ სხვა (სოციალური კუთვნილების) ფაქტორების გავლენით ისინი თავის ხალხში რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის გავრცელების პიონერები ვერ გახდებოდნენ. ამიტომაა, რომ იმ დიდ რევოლუციურ-საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომელმაც ხალხოსნური მოძრაობის სახელწოდება მიიღო, ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხმა ვერ მიიღო მონაწილეობა.

სხვა ვითარება იყო ჩრდილო ოსეთში. რეფორმისშემდგომ ხანაში იქ ჩამოყალიბდა ოსი ხალხის წრიდან გამოსული დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც, ერთი მხრივ, სასტიკად ამხელდა ცარიზმსა და მის პოლიტიკას, ადგილობრივ ფეოდალურ წრეებს, მეორე მხრივ კი ქადაგებდა მოწინავე, დემოკრატიულ რუსეთთან დაახლოებას.

რევოლუციურ-დემოკრატიულ რუსეთთან ამ დაახლოების შედეგი იყო ოსი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა XIX ს. 70-იან წლებში რუსეთში მიმდინარე ხალხოსნურ მოძრაობაში. ამ დროისათვის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში არა ერთი ოსი ახალგაზრდა (ხალხის წრიდან გამოსული) სწავლობდა, რომლებიც ხარბად ეწაფებოდნენ რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას და აქ მგაშლილი რევოლუციური მოძრაობის აქტიურ მონაწილეებად იქცეოდნენ. 70-იანი წლების პირველ ნახევარში პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში სწავლობდნენ ალიხან არდასენოვი, დრის სოხიევი, ეფიმ გაზდანოვი, იბრაგიმ შანაევი, მოსკოვის პეტროვსკი-რაზუმოვსკის აკადემიაში — ხ. ტუსკაევი, ოდესის უნივერსიტეტში — ჯ. შანაევი და სხვ.

ხალხოსანი ი. ჯაბადარი წერდა, რომ პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი ქალაქის ახალგაზრდების დაახლოების ცენტრი იყო. სტუდენტთა საიდუმლო შეკრებების მოსაწყობად შეიქმნა 15 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ქართველი ალექსანდრე ბაქრაძე და ოსი იბრაგიმ შანაევი. 1870 წ. შემოდგომაზე მიწათმოქმედების ინსტიტუტში სტუდენტთა მღელვარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო კომისია, რომელმაც გამოარკვია, რომ აქ არა მარტო პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები იყვიდნენ თავს, არამედ სხვა — გარეშე პირებიც. ამ სტუდენტთა საიდუმლო შეკრებების მონაწილეებად კომისია ასახელებს ი. შანაევს, ა. არდასენოვს და დ. სოხიევს. ამ დროიდან იწყება ა. არდასენოვის აქტიური პროპაგანდისტული და რევოლუციური მოღვაწეობა, მისი კავშირი რუ-

სეთის გახმოვანებისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

პეტერბურგში ა. არდასენოვის რევოლუციური საქმიანობა მისი სტუდენტობის პერიოდში დაკავშირებული იყო „კავკასიის ახალგაზრდობის წრესთან", რომელიც აღმოცენდა კავკასიელ სტუდენტთა სათვისტომოდან. მასში შედიოდნენ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე რევოლუციურად განწყობილი სტუდენტი ახალგაზრდობა — ქართველები და ოსები — ი. ჯაბადარი, მ. ჩიკოიძე, მ. ყიფიანი, ე. იოსელიანი, ნ. ყაზბეგი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ნ. კანანოვი, იბ. შანაევი, დ. სოხიევი, ე. გაზდანოვი, ა. არდასენოვი და სხვ. წრის ყველაზე აქტიური წევრები იყვნენ გ. ზდანოვიჩი, ი. ჯაბადარი, მ. ჩიკოიძე, ე. იოსელიანი, იბ. შანაევი და ა. არდასენოვი.

ა. არდასენოვს, ი. შანაევს, დ. სოხიევს არდადეგებზე სამშობლოში ყოფნისას ფართო პროპაგანდისტული მუშაობა ჰქონდათ გაწეული გლეხობაში. მათ თან ჩამოჰქონდათ პროპაგანდისტული ლიტერატურა, რომელშიც გლეხობისათვის გასაგებ ენაზე მოთხრობილი იყო სოციალური ჩაგვრის შესახებ, მხილებული იყო რეფორმის ანტიხალხური ხასიათი, შეიცავდა მოწოდებას თვითმპყრობელობისა და მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ.

„კავკასიელთა" წრე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩაიკოველთა წრესთან — „პროპაგანდის დიდ საზოგადოებასთან". მასში შედიოდნენ გამოჩენილი რუსი სამოცდაათიანელები — ს. პეროვსკაია, პ. კროპოტკინი, ნ. ჩარუშინი, მ. ნათანსონი, ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკი და სხვ.

1874 წ. ა. არდასენოვმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დაბრუნდა ვლადიკავკაზში. ბრუნდებიან სხვებიც. 1874—75 წწ. აქ შეიქმნა რევოლუციონერ ხალხოსანთა წრე, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ა. არდასენოვი, ი. შანაევი, დ. სოხიევი და ე. გაზდანოვი. წრეში შედიოდნენ ხ. ტუსკაევი, ჯ. შანაევი. პ. გოჯიევი, ა. აიდაროვი, დ. გოლიევი, მ. და კ. აბაევები, მ. ყიფიანი, ნ. კანანოვი, ო. ყაზბეგი, გ. ათაბეგოვი, პ. და ს. პოპოვები (სომხები), ვ. კიზერი, ნ. ლავროვი, ვ. ვერტეპოვი, პ. იანხნევი, ლ. სერებრიაკოვა, ხ. რაროკი, ი. პისარევი, ი. როკედენსტვენსკი, ო. ობრომენკო, ფილიპოვი. ისინი ხალხოსნების საერთო ტაქტიკის მიხედვით დადიოდნენ ხალხში და პროპაგანდას ეწეოდნენ. ა. არდასენოვს მოგზაურობები უნდებოდა თბილისში, ქუთაისში, მოსკოვში იქაურ ორგანიზაციებთან მუშაობის კოორდინირების მიზნით.

ხალხოსანთა „ხალხში სიარული“ მთლად უკვალოდ არ რჩებოდა. 1874—75 წწ. ოსეთში — დონიფარსში, ყაბარდოში, ჩერქეზეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებებს.

ვლადიკავკაზის ჯგუფის წევრები ხსნიდნენ სკოლებს, სადაც სწავლობდნენ ლარიბთა შვილები. ვლადიკავკაზის წრის პროპაგანდისტულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ინტელიგენციაში, წიგნების გავრცელების საქმეს. გადაწყდა არალეგალური ბიბლიოთეკის გახსნა ქალაქში. ა. არდასენოვს ამ საქმეში გვერდში ამოუდგნენ მ. ყიფიანი, ნ. კანანოვი, ო. კანანოვა (პალიცინა) და სხვ. ხდებოდა ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაფართოება. წრემ ცალდა ფარული სტამბის მოწყობაც, მაგრამ ვერ შეძლო.

ვლადიკავკაზის ხალხოსნური წრე მჭიდრო ურთიერთობაში იყო პეტერბურგისა და მოსკოვის შესაბამის წრეებთან, აგრეთვე, ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციებთან. როცა 1875 წ. სვანეთში აჯანყებამ იფეთქა, ა. არდასენოვმა მაშინვე კაკშირი დაამყარა თავის თბილისელ თანამოაზრეებთან აჯანყებულთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. იგი ოსთა ჯგუფით გაეგზავნა კიდეც სვანეთში აჯანყებულებთან შესაერთებლად, მაგრამ ეს არ დასცალდათ. სამაგიეროდ, ა. არდასენოვმა მასალა შეკრიბა აღნიშნულ აჯანყებაზე, გაგზავნა იგი პეტერბურგში, იქიდან ლონდონში გადაგზავნეს ეს მასალა და იქ გაზეთ „ვპერიოდში“ დაბეჭდეს.

ცარიზმმა გაანადგურა ვლადიკავკაზის ხალხოსნური წრე. მისი ყველაზე აქტიური წევრი და ხელმძღვანელი ა. არდასენოვი 1876 წ. აპრილში დააპატიმრეს მოსკოვსა და ვოლოგდის გუბერნიაში რევოლუციური პროპაგანდისათვის. 3 წელი განმარტოებულ საკანში ყავდათ, შემდეგ შორეულ იაკუტიაში ქ. კოლიმსკში გადაასახლეს, საიდანაც 1885 წელს დაბრუნდა.

ხალხოსნები ჩრდილო კავკასიაში, როგორც რუსეთში, პროპაგანდას უწევდნენ გლეხური სოციალიზმის იდეებს. რუს რევოლუციონერებთან კავშირში ისინი ცდილობდნენ ცარიზმის დამხობას და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას. ისინი გლეხობას მიიჩნევდნენ იმ ძალად, რომელსაც ერთადერთს შეეძლო გარდაექმნა საზოგადოება. თუმცა გლეხური რევოლუციის მათი იმედები არ გამართლდა, თავის უმაგალითო თავგანწირულობით, რევოლუციური ენთუზიაზმით მათ ხელი შეუწყეს მასების რევოლუციურ გამოღვიძებას. ხალხოსნები, როგორც რუსეთში, აქაც

მარქსიზმის წინამორბედები იყვნენ. მარქსიზმი რუსეთში ხალხოსნების შეცდომების კრიტიკის, მათი დაძლევის ბაზაზე განვითარდა და ვადაიზარდა გადამწყვეტ რევოლუციურ თეორიად.

§ 3. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დასაწყისი

ჩრდილო კავკასიაში რეფორმის შემდგომ იწყება მუშათა კლასის ჩამოყალიბების ნელი პროცესი. მრეწველობის სუსტი განვითარება განაპირობებდა მუშათა კლასის სიმცირესა და სისუსტეს.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა მუშათა კლასის რაოდენობა. XIX ს. ბოლოს დაღესტანში სხვადასხვა კატეგორიის 15 ათასამდე მუშა იყო დაკავებული მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. ასევე გროზნოს ნავთის სარეწებში თანდათან იზრდებოდა მუშათა რიცხვი. იგივე ხდებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც, სადაც XIX ს. ბოლოსათვის სამთამადნო და დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები ჩნდება. თავის მრეწველობის განვითარებით და მუშათა კლასის რაოდენობით გამოირჩეოდა თერგის ოლქის ადმინისტრაციული და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი — ვლადიკავკაზი. 1874 წ. იქ 1000-მდე მუშა იყო დასაქმებული, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

მაგრამ თუ ჩრდილო კავკასიის სამრეწველო ცენტრებში მუშათა რიცხვი ნელა, მაგრამ განუხრელად მაინც იზრდებოდა, მთიელთაგან მუშათა კლასის ჩამოყალიბება ფაქიზებით გვიან იწყება — 90-იან წლებში. ეს იყო მხოლოდ ჩანასახი სამრეწველო პროლეტარიატისა. ყველგან, ჩრდილო კავკასიაში, საწარმოთა უკიდურესი სიწვრილის გამო მუშათა კლასის ორგანიზებულობამ XIX ს. ბოლოს ნახევარში იმ დონეს ვერ მიაღწია, რომ მას შეეგნო თავისი კლასობრივი ინტერესები და მისთვის აქტიური ბრძოლა გაეჩაღებინა. და ეს მაშინ, როცა იგი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომლის მიხედვითაც „ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთია, მუშათა კლასი იჩაგრება არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებისაგან"[1]. ეს სიტყვები საუკეთესოდ ახასიათებს ჩრდილო კავკასიის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობას.

ადგილობრივი წვრილი მექარხნე-ფაბრიკანტები, მოგების გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 9, გვ. 45.

მოდეონებულნი, სრულიადაც არ ფიქრობდნენ უსაფრთხოების ტექ-ნიკაზე, საწარმოთა სანიტარულ მდგომარეობაზე, მუშების საყო-ფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. დიდძალი თავისუფალი მუშახელის არსებობა მეწარმეებს საშუალებას აძლევდა ხელსაყ-რელ პირობებში ეწარმოებინათ მათი დაქირავება და ექსპლოატა-ცია.

XIX ს. დასასრულისათვის ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმო იყო სადონის ვერ-ცხლისა და ტყვიის მაღაროს მიზურის გამამდიდრებელი ფაბრიკით და ალაგირის ქარხნით, სადაც მადანს ადნობდნენ. ამ სამრეწველო კომპლექსში ჩაისახა და განვითარდა ოსური სამრეწველო პროლე-ტარიატი. 1859 წ. სადონის მაღაროში 5 ოსი იქნა დაშვებული სა-მუშაოდ. 1875 წ. კი 380 მუშიდან ოსები შეადგენდნენ 340-ს. ისინი მუშაობდნენ მაღაროშიც და ალაგირის ქარხანაში. სწორედ აქ იდგამს ფეხს მუშათა კლასის ბრძოლა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სადონსა და ალაგირში (ისევე როგორც საერთოდ ყველგან ჩრდილო კავკასიაში და რუსეთის იმპერიაშიც) მუშები მძიმე პი-რობებში იმყოფებოდნენ. მძიმე იყო მათი საყოფაცხოვრებო პი-რობები. არ არსებობდა სამედიცინო დახმარება. დამყარებული იყო ყაზარმული დისციპლინა. მუშებს უმნიშვნელო საბაბითაც (პაპიროსის მოწევა, დალაპარაკება და სხვ.) აჯარიმებდნენ. ისინი მცირე ხელფასს იღებდნენ და მის ანგარიშშიც უვარგისი პროდუქ-ტების წაღებას აიძულებდნენ. სადონის ადმინისტრაციამ შემოი-ღო მძიმე სამუშაოების ნარდად გაცემის წესი, რის შედეგადაც, მის შემსრულებელ მუშებს მძიმე შრომის ფასად მხოლოდ ჯარი-მები და ვალებიღა შეხვდებოდა ხოლმე.

გასაკვირი არაა, რომ სწორედ ამ სამრეწველო მუშაობაგან იწ-ყება პირველი პროტესტები მეპატრონეთა წინააღმდეგ. 1881 წ. სადონის მეშახტეები არ გამოვიდნენ სამუშაოზე, მოითხოვეს პი-რობების გაუმჯობესება. მათი მეორედ გამოსვლა მოხდა 1891 წელს. მუშებმა მოითხოვეს ადმინისტრაციისაგან ხელი აეღოთ მათ მი-მართ თაღლითობა-მოტყუებაზე. მაგრამ არსებულ პირობებში ამ გამოსვლებს არსებითი შედეგები არ მოპყოლია. მდგომარეობა ძველებურად უცვლელად რჩებოდა.

მუშათა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა მოხდა იმავე სა-დონში 1897 წელს. სადონის მაღაროებში ბელგიელი კაპიტალის-ტები თავს სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ და იმ კუდ-

მოკვეცილ საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობასაც არ ასრულებდნენ, რომელიც მეფის რუსეთში მუშათა მოძრაობის გავლენით იყო შემოღებული.

1897 წ. იანვარში კავკასიის მე-4 სამთო ოლქის ინჟინერმა სადონის მაღაროს მუშებისათვის 8-საათიანი სამუშაო დღე დაუწესა. ადმინისტრაცია არ დაემორჩილა მას და მუშებს აიძულებდა ძველებურად 12 საათი ემუშავათ.

1897 წ. ივნისში ალაგირის ქარხნიდან 28 მუშა დაითხოვეს, ივლისში კი მათ მიაყოლეს 25 მეშახტე. ადმინისტრაციის ეს ნაბიჯი კადრის მუშების თავიდან მოცილებას ისახავდა მიზნად, რათა მათთვის შემდგომი პენსიის გადახდა არ დასჭირვებოდა (იმისათვის რომ შემდგომში მოხუცებულობისათვის პენსია მიეღოთ, მათ ყოველთვიურად ხელფასის 3% უკავებდნენ).

ადმინისტრაცია მუშებს არ უნაზღაურებდა იძულებით გაცდენებს. ინდივიდუალური წესით ადმინისტრაციის ცალკეულ წარმომადგენლებთან მუშების ბრძოლას (ჩხუბი, მუქარა, ლანძღვა და სხვ.) შედეგი არ ჰქონდა.

1897 წ. აგვისტოში კონცესიონერებმა გააუქმეს იანვარში შემოღებული 8-საათიანი სამუშაო დღე. მუშებმა გაასაჩივრეს იგი — დღეები მოკლეა, შორეული სოფლებიდან სიბნელეში გვიხდება სიარული და ძალიან ვვიჭირსო. ისინი ითხოვდნენ საცხოვრებელს. აგვისტო-სექტემბერში მუშებმა თავისი წარმომადგენლები რამდენჯერმე მიუგზავნეს ადმინისტრაციას, მაგრამ ისინი არათუ აკმაყოფილებდნენ მუშათა სამართლიან მოთხოვნებს, არამედ დაუყოვნებლივ ანთავისუფლებდნენ მუშათა წარმომადგენლებს სამუშაოდან.

8 ოქტომბერს მაღაროდან 118 მეშახტე გამოვიდა, შეიკრიბა კანტორასთან და 8-საათიანი სამუშაო დღე მოითხოვა. ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ თუ 12 საათიანი სამუშაო დღე არ გინდათ, წადითო.

11 საათზე გაფიცულთა არჩეულმა პირებმა (ე. წ. საგაფიცვო კომიტეტმა, რომელშიც 4 ოსი და ერთი რუსი მუშა შედიოდა) მოლაპარაკება გამართეს ადმინისტრაციასთან, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ.

ადმინისტრაციამ გამოაცხადა 121 მუშის დათხოვნა. დაითხოვეს საგაფიცვო კომიტეტის წევრებიც. უსახსროდ დარჩენილი მეშახტეები თერგის ოლქის ადმინისტრაციას მიმართავენ საჩივრე-

ბით, მაგრამ მათი ეს ცდები უშედეგო იყო. მუშათა არც ერთი თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

გაფიცვა ჩახშობილ იქნა მაშინვე. საფრანგეთ მეშახტეთა მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. ამის მიუხედავად მას შაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დასაბამი მისცა ჩრდილო კავკასიის ახლად ჩამოყალიბებული პროლეტარიატის ორგანიზებულ ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. აქ ოსი და რუსი მუშები ერთობლივად გამოვიდნენ კაპიტალისტების წინააღმდეგ თავის კლასობრივი ინტერესების დასაცავად, შექმნეს საგაფიცვო კომიტეტის მსგავსი წარმომადგენლობა, რომელიც რამდენიმე თვე დაუზოგავად იღვწოდა მუშათა ინტერესებისათვის.

ეს გაფიცვა იმის მკაფიო მაჩვენებელი იყო, რომ XX ს. გარიჟრაჟზე მუშათა მოძრაობა ჩრდილო კავკასიაშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცეოდა.

მეოთხე ნაწილი

ჩრდილო კავკასია XX ს. დამდეგს (1901—1917 წ. თებერვალი)

პირველი თავი

ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური განვითარება XX ს. დამდეგს

(მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა)

XX ს. დამდეგი ჩრდილო კავკასიის ხალხთათვის კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარებით აღინიშნა.

XIX—XX სს. მიჯნაზე რუსეთში კაპიტალიზმი თავის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში შევიდა. მისთვის დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმის ყველა სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობის უკიდურესად გამწვავება. მაგრამ იმპერიალიზმს რუსეთში თავის სპეციფიკური ნიშნებიც ჰქონდა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა გადახლართვა ბატონყმობის ძლიერ გადმონაშთებთან. ეს გადმონაშთები განაპირობებდნენ მშრომელი მასების ექსპლუატაციის არაადამიანურ ფორმებს — სიღატაკესა და უუფლებობას, არარუსი ხალხების ეროვნულ ჩაგვრას. მეფის თვითმპყრობელობა, რომელიც ფხიზლად იდგა გაბატონებული კლასების ინტერესების სადარაჯოზე, სასტიკად თრგუნავდა ყოველივე პროგრესულს. მისი რეაქციული როლი მთელი სისავსით ვლინდებოდა იმპერიის განაპირა მხარეებში.

რუსეთის კაპიტალიზმის შესვლამ იმპერიალიზმის სტადიაში ღრმა კვალი დაამჩნია ჩრდილო კავკასიასაც. განვითარებადი რუსული კაპიტალიზმი სულ უფრო ღრმად ითრევდა მათ სასაქონლო მეურნეობაში, უკავშირებდა მსოფლიო ბაზარს.

განაპირა მხარეებში უფრო გამოკვეთილად გამოისახა ეპოქის წინააღმდეგობანი. აქ უფრო ძლიერად, ვიდრე ცენტრში, იგრძნობოდა ფეოდალური და კაპიტალისტური ჩაგვრა, რომელსაც ერთვოდა სასტიკი ეროვნული ჩაგვრა, პოლიტიკური დესპოტიზმი. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა განაპირა მხარეების მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას იმპერიალიზმის ეპოქის რევოლუციურ მოძრაობაში.

ჩრდილო კავკასია, იმის მიუხედავად, რომ მის ეკონომიკაში კაპიტალიზმი ძლიერად იყო შეჭრილი, მაინც აგრარულ მხარედ რჩებოდა. მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული. კაპიტალიზმის განვითარება აქ განუხრელად მიდიოდა, მაგრამ რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან შედარებით იგი ნელი ტემპით ხასიათდებოდა. ამას თავის ახსნა აქვს. XIX ს. შუა ხანებამდე იგი მსოფლიო მეურნეობის მიღმა იდგა, ხოლო როცა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების საერთო ფერხულში ჩაება, მისი განვითარება ცალმხრივად წარიმართა. რუსეთის კაპიტალიზმი საჭიროებდა ნედლეულისა და გასაღების ბაზრებს. ამიტომ ჩრდილო კავკასია ცარიზმის შეგნებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად მოწოდებული იყო მეტროპოლიის აგრარულ დანამატად — ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად ქცეულიყო. გარდა ამისა, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას ჩრდილო კავკასიაში აფერხებდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობათა გადმონაშთები, როგორიც იყო მემამულური მიწათმფლობელობა, წოდებრივი პრივილეგიები, გლეხობის არასრულუფლებიანობა, ექსპლუატაციის კაპიტალისტურამდელი ფორმები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასია ეკონომიკური განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა რუსეთის ცენტრალურ რაიონებს, მან საბოლოოდ დააღწია თავი საუკუნეობრივ იზოლაციას და აქტიურად ჩაება კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში. სარკინიგზო ქსელის შექმნა-გაფართოებამ, რაც ჩრდილო-კავკასიაში XIX ს. მეორე ნახევარში მოხდა, იგი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის სამრეწველო ცენტრებსა და მსოფლიო ბაზარს.

მ რ ე წ ვ ე ლ ობ ა. ჩრდილო კავკასიის მრეწველობის ძირითად ცენტრებს განსახილველ ხანაში წარმოადგენდნენ ვლადიკავკაზი, გროზნო, პეტროვსკი, ნოვოროსიისკი და სხვ. ჩრდილო კავკასიის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა სამთო-საქარხნო მრეწველობას, რომელიც წარმოდგენილი იყო ძირითადად ფერადი

ლითონების (ჩრდილო ოსეთი), ნავთობის (გროზნო, მაიკოპი, დაღესტანი) და ცემენტის (ნოვოროსიისკი) წარმოებით.

ვლადიკავკაზში აქციონერულმა საზოგადოება „ალაგირმა“ (ბელგიელ კაპიტალისტთა კონტროლს ექვემდებარებოდა) ააგო ტყვია-თუთიის ქარხანა. იგი მწყობრში ჩადგა 1901—1904 წწ., რამაც, „ალაგირის“ აქციების კურსი მაღლა ასწია. მისი სააქციო კაპიტალი 13 მლნ მანეთს აღწევდა. საზოგადოების აქციებს იძენდნენ აშშ, მექსიკის, ესპანეთის კაპიტალისტებიც, რომლებიც ფერადი მეტალურგიის მსოფლიო კარტელის წევრები არ იყვნენ.

ვლადიკავკაზის ტყვია-თუთიის ქარხნის ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის აშენდა მიზურის გამამდიდრებელი ფაბრიკა სადონის მაღაროებში მოპოვებული მადნის დასამუშავებლად. ვერცხლისა და ტყვიის შემცველი მადნის მოპოვება ჩრდილო ოსეთში 1901 წ. შეადგენდა 285,6 ათას ფუთს, 1904 წ.— 2012,5 ათას ფუთს. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქვეყნის მრეწველობა დეპრესიას განიცდის, რაც ჩრდილო კავკასიის მრეწველობაშიც სათანადოდ გამოვლინდა. ჩრდილო ოსეთში 1910 წ. მოპოვებულ იქნა 1574 ათასი ფუთი მადანი; შემდეგ კი მისი მოპოვება კვლავ იზრდება. ჩრდილო ოსეთში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა თუთიის წარმოება, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც. მისი წარმოება 1908—1912 წწ. გაიზარდა 2,6-ჯერ, ტყვიისა — 3,2 ჯერ.

სწრაფად ვითარდებოდა ნავთობის წარმოება. თუ საერთოდ ჩრდილო კავკასიაში 1901 წ. მოპოვებულ იქნა 3757 ათასი ფუთი ნავთობი, 1905 წელს მისმა მოპოვებამ შეადგინა 44 მლნ ფუთზე მეტი. 1910 წ. ნავთობის მოპოვებამ 75,5 მლნ ფუთს მიაღწია. ნავთობის მოპოვების ზრდა ძირითადად გროზნოს ხარჯზე ხდებოდა, სადაც 1907—1909 წწ. მისი მოპოვება 39, 5 მლნ-იდან 54 მლნ ფუთამდე გადიდდა. დაღესტანსა და ყუბანზე ნავთობის მოპოვება ინავე ხანებში მკვეთრად შემცირდა — პირველში 64%-ით, მეორეში კი 1903—1908 წწ. — 5,2-ჯერ. აღნიშნული ვითარება აიხსნებოდა იმით, რომ მრეწველებმა მთელი ყურადღება და კაპიტალი მიმართეს გროზნოს შედარებით იაფი ნავთობისაკენ.

1911 წლისათვის ჩრდილო კავკასიაში ნავთობის მოპოვებამ 83,1 მლნ ფუთს მიაღწია, 1913 წ. კი—77,9 მლნ ფუთამდე დავიდა. 1910—1912 წწ. მაიკოპში 6,9-ჯერ გაიზარდა ნავთობის მოპოვება.

ნავთობის მოპოვების ზრდის პარალელურად ხდებოდა ნავ-

თობგადამამუშავებელი წარმოების ზრდაც. 1893 წ. გროზნოში ახლად შექმნილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები თვიურად 36000 ფუთ ნავთობს ამუშავებდნენ, 1902 წ. — 1201 ათას ფუთს, რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისათვის კი მათი წლიური წარმადობა 30 მლნ ფუთს შეადგენდა. 1914 წ. ჩრდილო კავკასიაში ნავთობგადამმუშავებელი 11 ქარხანა იყო, რომელთა წლიური წარმადობა 90 მლნ ფუთს შეადგენდა.

შავი ზღვის გუბერნიაში, კერძოდ ნოვოროსიისკსა და გელენჯიკში განვითარდა ცემენტის წარმოება. 1904 წლისათვის ნოვოროსიისკში იყო 2 ქარხანა, გელენჯიკში — 1. მათ ამ წელს 1,4 მლნ მანეთის პროდუქცია აწარმოეს. შემდგომ წლებში ცემენტის წარმოება სულ უფრო იზრდებოდა. იგი არა მარტო ჩრდილო კავკასიაში გამოიყენებოდა, არამედ გაჰქონდათ სხვაგანაც, მათ შორის ამერკავკასიაშიც.

ყუბანის ოლქში ადრე — XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში წამოწყებული ვერცხლ-ტყვიისა და ქვანახშირის წარმოება XX ს. დამდეგს სამრეწველო კაპიტალის ნაკლებობის გამო საგრძნობლად შემცირდა.

ვითარდებოდა ლითონდამმუშავებელი მრეწველობაც, მაგრამ მისი ხვედრითი წონა მხარის სამრეწველო წარმოებაში დიდი არ იყო. იგი უმთავრესად თუჯსასხმელი ქარხნებით იყო წარმოდგენილი, რომლებიც მოქმედებდნენ ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, არმავირში, სტავროპოლში, ვლადიკავკაზში.

ჩრდილო კავკასიის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ძირითადი ადგილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოებს—საფქვავსა და ცხიმის წარმოებას ეკავა. მსუბუქი და გემოკვების მრეწველობის განვითარების საფუძველი იყო კარგად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება. კერძოდ, საფქვავი მრეწველობის საფუძველს წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის სასაქონლო მარცვლეულის წარმოების უმსხვილეს რაიონად გადაქცევის ფაქტი. აქ შექმნილი საფქვავი მრეწველობა 1903 წელს მთელი ევროპული რუსეთის შესაბამისი პროდუქციის 1/10-ს აწარმოებდა. 1911 წ. საფქვავ და ცხიმის წარმოებაზე მოდიოდა მხარის მთელი საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციის 53,4%. ჩრდილო კავკასიის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში აღნიშნული წარმოების ხვედრითი წონა განსხვავებულია. მაგ., 1910—1912 წწ. თერგის ოლქში მის წილად მოდიოდა 41,1%, სტავროპოლის გუბერნიაში 63,2, ყუბანზე — 70%.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების ბაზაზე ვითარდებოდა ჩრდილო კავკასიაში ქონსადნობი და ზეთსახდელი, ლუდისა და სპირტ-არაყის, თამბაქოს, მაკარონის, ტყავის გადამუშავებელი წარმოება და სხვ., რომელთაც ფართო გავრცელება ჰპოვეს ბბარეში. განსაკუთრებული ნიშვნელობა მოიპოვა სახამებლის წარმოებამ.

ვითარდებოდა საკონსერვო წარმოებაც. იგი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა დაღესტნის ოლქში, რომლის წილადაც 1911 წ. მოდიოდა მთელი ჩრდილო კავკასიის საკონსერვო მრეწველობის 74,4%.

განსახილველ ხანაში ინტენსიურად ვითარდებოდა სამშენებლო მასალების წარმოება. შენდებოდა აგურ-კრამიტის ქარხნები, ხე-ტყის სახერხი საწარმოები. ზოგიერთი ასეთი წვრილი საწარმო მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოდ იქცეოდა. მაგ., ვლადიკავკაზის ოკრუგში (თერგის ოლქი) შტეინგელ-გროზმანის აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც უშვებდა მაღალხარისხოვან აგურსა და ე. წ. მარსელურ კრამიტს. ქარხანამ, რომელშიც 118 მუშა მუშაობდა, 1912 წ. გამოუშვა 5,3 მლნ ცალი აგური და 0,6 მლნ-მდე ცალი კრამიტი. 1907-იდან 1911 წლამდე ჩრდილო კავკასიაში სამშენებლო მასალების წარმოება გაიზარდა 2,2-ჯერ, ხის დამმუშავებელი წარმოება 1,4-ჯერ.

ჩრდილო კავკასიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თევზის რეწვასაც. თევზის რეწვას ეწეოდნენ დაღესტანში — კასპიის ზღვაზე, აგრეთვე, თერგზე და ყუბანზე. 1899 წ. პეტროვსკიდან 238 ათასი ფუთი თევზი იქნა გატანილი. დაღესტანში 1901 წ. 1,4 მლნ ფუთი თევზი იქნა დაჭერილი, 1908 წ. კი — 0,58 მლნ ფუთი. თერგის ოლქში 1907 წ. დაჭერილი იქნა 0,5 მლნ-მდე მანეთის ღირებულების თევზი, 1910 წ. კი—0,35 მლნ მანეთისა. ყუბანის ოლქში იმავე წლებში დაჭერილი თევზის ღირებულება 0,8 მლნ. მანეთიდან შემცირდა 0,48 მლნ. მანეთამდე. როგორც ვხედავთ, რეაქციის წლებში დეპრესია და კრიზისი თევზის რეწვის საქმესაც შეეხო.

XX ს. დასაწყისში ვრძელდებოდა ინტენსიური სარკინიგზო მშენებლობა. ახალი ხაზებით სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრები მჭიდროდ დაუკავშირდნენ მარცვლეულის მწარმოებელ და ნავთობმომპოვებელ რაიონებს. ვლადიკავკაზის რკინიგზა უდიდესი სამრეწველო ორგანიზაცია იყო ჩრდილო კავკასიაში. მას ჰქონდა სახელოსნოები, ელსადგურები, ელევატორები, ნავთობსახდელი ქარხანა. ნოვოროსიისკის ელევატორი 12 მლნ

ფუთ მარცვალს იტევდა. მასვე გროზნოსა და პეტროვსკში 5,3 მლნ ფუთი ტევადობის ნავთობის რეზერვუარები ჰქონდა.

1901 წ. რკინიგზით გადატანილ იქნა 213,4 მლნ ფუთი, 1905 წ. 217,4 მლნ ფუთი, 1907 წ. — 390,6 მლნ ფუთი, 1913 წ. — 590, 7 მლნ ფუთი ტვირთი. გადატანილი ტვირთის 35%-ზე მეტი მარცვლეულზე მოდიოდა.

ჩრდილო კავკასიის ტვირთბრუნვაში, ქვეყნის სამრეწველო ცენტრებსა და უცხოეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდნენ შავი ზღვის სანაპირო სანავსადგურო ქალაქები: ნოვოროსიისკი, როსტოვი, ტუაპსე, სოჩი, ადლერი, გელენჯიკი, ეისკი, ანაპა, ტემრიუკი, კასპიის ზღვაზე — პეტროვსკი. 1905 წ. ნოვოროსიისკში 399 უცხოური გემი მოვიდა, 400 გავიდა. 1911 წ. ნოვოროსიისკის ნავსადგურისა და რკინიგზის ტვირთბრუნვა შეადგენდა 197 მლნ ფუთს. პეტროვსკის ტვირთბრუნვა 1908—1911 წწ. 2,4-ჯერ გაიზარდა. 1911 წ. ჩრდილო კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში 643 უცხოური გემი მოვიდა 4,4 მლნ ფუთი ტვირთით. გაჰქონდათ უმთავრესად პური. მსოფლიო ომის წინ ნოვოროსიისკიდან გატანილი პური რუსეთიდან გატანილი პურის 10%-ს, ხოლო მსოფლიო პურის ექსპორტის 4%-ს შეადგენდა.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდა-განვითარება იწვევდა ვაჭრობის განვითარებასაც. ვაჭრობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ — 1908—1913 წწ. ამ წლებში საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა ყუბანის ოლქში 2-ჯერ, თერგის ოლქში — 1,8-ჯერ, სტავროპოლის გუბერნიაში — 1,2 ჯერ, ყუბანზე ვაჭართა რიცხვი იმავე წლებში 14,9-იდან 19,3 ათასამდე გაიზარდა, თერგის ოლქში 36,4%-ით, სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი 8,6%-ით. დაღესტნის ოლქში სავაჭრო მოწმობათა გაცემა 26,4%-ით გაიზარდა.

მოკლედ განვიხილოთ ჩრდილო კავკასიაში არსებული სამრეწველო საწარმოები, მათი განლაგება მის ცალკეულ რეგიონებზე და ცვლილებები XX ს. დამდეგს.

1903 წ. ჩრდილო კავკასიაში აღრიცხული იყო 14300 საწარმო. შემდგომ წლებში მათი რიცხვი ერთგვარად კლებულობს. ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებზე საფაბრიკო-საქარხნო საწარმოები შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ადმინისტრაციული ერთეულები	1905 წელი	1910 წელი
დაღესტნის ოლქი	54	95
კუბანის ოლქი	6539	6724
თერგის ოლქი	3959	3257
სტავროპოლის გუბერნია	3417	3048
შავი ზღვის გუბერნია	170	239
ს ე ლ	14139	13363

როგორც ვხედავთ, საწარმოთა საერთო რიცხვი აღნიშნულ წლებში 776 ერთეულით შემცირდა, მაგრამ ეს შემცირება მოხდა თერგის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიაში. სხვაგან საწარმოთა რიცხვი, პირიქით, გაიზარდა. აღნიშნული შემცირებაც მოხდა წისქვილების და საერთოდ სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელი წვრილი საწარმოების გამსხვილების ხარჯზე. წყლისა და ქარის წისქვილებს ორთქლის წისქვილები სდევნიდნენ. ორთქლის წისქვილებში იყო ისეთები, რომლებშიც 70-იდან 107 კაცამდე მუშაობდა. სტავროპოლში გულიევის წისქვილში 120 კაცი მუშაობდა. საერთოდ, საწარმოთა რიცხვის შემცირების მიუხედავად, წარმოების მოცულობა განუხრელად იზრდებოდა. მაგ., 1903—1912 წწ. ჩრდილო კავკასიაში საფაბრიკო-საქარხნო საწარმოების რიცხვი შემცირდა 16,9%-ით, მუშათა რიცხვი კი 23,1%-ით გაიზარდა. იმავე წლებში წარმოების მოცულობა 2-ჯერ გაიზარდა.

საწარმოთა უმრავლესობა წვრილი იყო. საწარმოები, რომლებშიც 5-მდე მუშა შრომობდა, 1905 წ. შეადგენდა 9430-ს, 1911 წ.— 7 769-ს; 5-იდან 10 მუშამდე — 637, 1911 წ. კი — 2 157; 10-ზე მეტი მუშით 1905 წ. იყო 104, 1911 წ. — 131.

რა თქმა უნდა, იყო საწარმოები, რომლებშიც მუშათა კონცენტრაციის დონე მაღალი იყო. უდიდესი საწარმო იყო ფაბრიკა „კასპიის მანუფაქტურა" (დაღესტნის ოლქში), სადაც 1905 წ. 1021 კაცი მუშაობდა და დაღესტნის ოლქის მთელი დამმუშავებელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 65%-ს იძლეოდა. მისი ნაწარმი საღდებოდა დაღესტანში, შუა აზიაში, ირანში და სხვ. ნოვოროსიისკის ცემენტისა და თუჯსამსხმელო საწარმოებში მუშაობდა 3,5 ათასი კაცი, გროზნოს ნავთობსახდელ და საქვაბე სა-

წარმოებში —1,5 ათასი, ქარხანა „ალაგირში“ და მის მაღაროსა და გამამდიდრებელ ფაბრიკაში — 1000 და ა. შ. ეს იმას ნიშნავდა, რომ წვრილ საწარმოების გვერდით სულ უფრო ფართოდ იკაფავდა გზას ფსხვილი კაპიტალისტური წარმოება. წარმოების და მუშათა კონცენტრაციის ზრდა ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

განუხრელად უმჯობესდებოდა საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა. 1901 წ. ჩრდილო კავკასიის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში იყო 3 428 ორთქლის ქვაბი, 1913 წ. კი — 6 168.

რა თქმა უნდა, მრეწველობა ჩრდილო კავკასიაში ყველა რეგიონში ერთნაირად არ ვითარდებოდა. მთელ რიგ რაიონებში სამეურნეო მნიშვნელობა მხოლოდ კუსტარულ წარმოებას ჰქონდა. ამ რაიონებში სამრეწველო საწარმოთა ძირითად ტიპს ჰქმნიდნენ წისქვილები, აგურ-კრამიტის ქარხნები და სხვ. მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული მთისა და ზოგ მთისწინა რაიონში.

განსახილველი ხანისათვის დამახასიათებელი იყო სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ჩრდილო კავკასიაში მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვი 1905 წ. შეადგენდა 38 ათას კაცს, 1910 წ. კი 44 ათასამდე მიაღწია. საერთოდ ჩრდილო კავკასიაში 1905 წ. რევოლუციის წინ ოფიციალური მონაცემებით 75,6 ათასი მუშა ითვლებოდა. მუშათა კლასი ჩრდილო კავკასიაში ეროვნული სიჭრელით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხთაგან ეროვნული პროლეტარიატის კადრების ჩამოყალიბებას.

პირველი მსოფლიო ომის წინ ჩრდილო კავკასიის მრეწველობაში კიდევ უფრო გაძლიერდა რუსული და უცხოური მონოპოლიების პოზიციები. უცხოური მონოპოლიები („ოილი“, „შელი“, „ნობელი“) გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ნავთობმომპოვებელ წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასიის სამრეწველო განვითარება XX ს. დასაწყისში სწრაფად მიდიოდა წინ, იგი შეუდარებლად დაბლა იდგა რუსეთის სამრეწველო ცენტრის განვითარების დონესთან შედარებით.

პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია ქვეყნის სამეურნეო ნგრევა, რამაც ჩრდილო კავკასიის სამრეწველო განვითარებაზეც მოახდინა გავლენა. მრავალი საწარმო დაიხურა, ბევრმა შეამცირა წარმოება. ფერადი ლითონების წარმოება, იმის მიუხედავად, რომ მათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, 1916 წელს

1913 წლის დონის 44%-ს შეადგენდა. სხვა საწარმოებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო.

ჩრდილო კავკასიაში სამრეწველო წარმოების მოკლე მიმოხილვაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის ხანაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მას კოლონიური ხასიათი ჰქონდა — მიზნად ისახავდა მეტროპოლიის (უფრო ზუსტად რუსეთის გაბატონებული წრეების) ინტერესებისათვის ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა ეექსპლოატაციას. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო მრეწველობის განვითარების ცალმხრივი ხასიათი. მისი ძირითადი დანიშნულება იყო რუსეთის მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოება.

ჩრდილო კავკასიაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი ზრდა, ცენტრალური რუსეთიდან ფაბრიკული ნაწარმის ფართო შემოტანა იწვევდა ადგილობრივი ტრადიციული კუსტარული წარმოების დაცემას. ეს უკანასკნელი ვერ უძლებდა იაფი ფაბრიკული ნაწარმის კონკურენციას და იდევნებოდა ბაზრიდან.

XX ს. დამდეგიდან ჩრდილო კავკასიის მთიელებში მცირდებოდა მაუდის წარმოება (აზიური კოსტუმის ხმარებიდან თანდათანობით გამოსვლისა და მაუდის ფაბრიკული წარმოების ზრდის შედეგად). ასევე შემცირდა ნაბდების წარმოებაც. მაუდის წარმოება კვლავ გამოცოცხლდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, როცა დიდი სიძნელეები წარმოიშვა ადგილობრივი მოსახლეობის მანუფაქტურით უზრუნველყოფაში.

ამ პერიოდში თავის მნიშვნელობა არ დაუკარგავს ხის ნაწარმს. ურმების, ბორბლების, ტახტების, კარადების, უნაგირის, ხის ტახტების და სხვა ინვენტარის დამზადება სწორედ ამ დროს საბაზრო მნიშვნელობას იძენს.

დაქვეითების გზას დაადგა ლითონის ნაწარმის კუსტარული წარმოება. მთიანეთში მჭედლობა კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ინვენტარის ფართოდ დანერგვის გამო მისი ბაზა მკვეთრად შეიზღუდა და ძირითადად აქ ინვენტარის შეკეთებაზე იყო გადასული. დაეცა მეჩაჭურვლე ოსტატთა ხელობაც. მხოლოდ საიუველირო ნაწარმი კი, პირიქით განვითარდა კიდეც. ოქრომჭედლები ამზადებდნენ ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, ქამრებს, ჩოხის მასრებს, უნაგირისა და ცხენის აკაზმულობის ლითონის დეტალებს, ჭურჭელს, ეწეოდნენ თოფებისა და ხმალ-ხანჯლის მოხატვა-მოსევადებას. მაღალი პროფესიული

ოსტატობა მათ ნაწარმს ხელოვნების ნაწარმოების დონემდე სწევდა და ამის გამო ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის კონკურენციას უძლებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩრდილო კავკასიაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირებას. წარმოების ზრდას თან სდევდა კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატის რიცხობრივი ზრდა. იგი თავისი განვითარების პროცესში, ცენტრის პროლეტარიატის და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის გავლენით სულ უფრო იქცეოდა „კლასად თავისთვის", შეიგნებდა თავის კლასობრივ ინტერესებს და იწყებდა ბრძოლას მათ დასაკმაყოფილებლად. პროლეტარიატი ჩრდილო კავკასიაში თავისებური ისტორიული პირობების გამო მრავალეროვნული იყო.

მუშათა კლასის მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში მძიმე იყო. სამუშაო დღე 12—14 საათს გრძელდებოდა. მუშებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ, ჯარიმებით სულს უხუთავდნენ, სამუშაოდან ითხოვდნენ კვირაუქმეებში სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო. მუშათა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები ძალზე მძიმე იყო. ჩრდილო კავკასიის სამრეწველო საწარმოთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილზე, და ისიც მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლების გავლენით, გავრცელდა საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობა. შრომის უსაფრთხოების დაცვის უგულებელყოფის გამო ხშირი იყო უბედური შემთხვევები. დასახიჩრებულ მუშებს რაიმე კომპენსაციაზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ. მათ უმოწყალოდ აძევებდნენ საწარმოებიდან. ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო მუშათა საპენსიო და სადაზღვევო უზრუნველყოფის საქმე.

აღნიშნული გარემოებები განაპირობებდნენ მუშათა კლასის უკმაყოფილებას არსებული პირობებით და მის აქტიურ მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლაში.

სოფლის მეურნეობა. XX ს. დასაწყისში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების შედეგად ჩრდილო კავკასიის სოფლის მეურნეობაშიც თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. სოფლის მეურნეობა საასაქონლო ხასიათს ღებულობს. აქაური მარცვლეული (ხორბალი და სიმინდი) უცხოეთის ბაზარზეც გააქვთ. დაჩქარდა გლეხთა განფენების პროცესი. იგი იშლება და გამოიყოფა, ერთი მხრივ, კულაკობად, მეორე მხრივ, ღარიბ გლეხობად. ეს

უკანასკნელი კარგავს რა მიწას, მოკლებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და მუშა პირუტყვს, იქცევა კულაკობის ექსპლოატაციის ობიექტად, ან ავსებს სამრეწველო პროლეტარიატის რიგებს.

XX ს. დასაწყისში ჩრდილო კავკასიის ბარში მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყო სიმინდი, ხორბალი, ჭვავი, კარტოფილი, ფეტვი, შვრია; მთაში — ქერი, იშვიათად ხორბალი, კარტოფილი. ამ უკანასკნელმა მთიელთა ეკონომიკაში ძირითადი სასურსათო კულტურის ადგილი დაიკავა. მისმა გადაქცევამ სასაქონლო კულტურად, მსოფლიო ბაზარზე მასზე შექმნილმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ის, რომ იგი მეურნეობიდან სულ უფრო ავიწროებს და გამოდევნის სხვა კულტურებს.

ყაბარდოში სიმინდის ნათესი ფართობი 1900 წელთან შედარებით 1905 წლისათვის 37 ათასი დესეტინიდან გაიზარდა 61 ათას დესეტინამდე. ვლადიკავკაზის ანუ ოსეთის ოკრუგში 1901-იდან 1915 წლამდე სიმინდის ნათესი ფართობი 26 ათასიდან 36,4 ათას დესეტინამდე გაიზარდა. 1913—1914 წწ. ჩრდილო ოსეთიდან გატანილ მარცვლეულის საერთო რაოდენობაში (9,4 მლნ ფუთი) სიმინდი 9,2 მლნ ფუთს შეადგენდა. სიმინდის ნათესი ფართობები თერგის ოლქის სხვა რაიონებშიც იზრდებოდა. ყუბანის ოლქი, რომელიც რუსეთის იმპერიის პურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბეღლად რჩებოდა, კვლავ ხორბლის მოყვანაზე სპეციალდებოდა.

ჩრდილო კავკასიის სოფლის მეურნეობის მიერ სასაქონლო ხასიათის შეძენამ განსაზღვრა მასში კაპიტალისტური ელემენტების სწრაფი ზრდა. სოფლის მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა, ახალი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები. ეს უპირატესად შეეხება ბარის რაიონებს, სადაც შემამულეები, კულაკობა სულ უფრო ზრდიან სასაქონლო მარცვლეულის ნათეს ფართობებს. საშუალო და ღარიბი გლეხობის წილი სასაქონლო სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების მოყვანაში უმნიშვნელო იყო. საამისოდ მათ არც მიწის საკმაო ფართობი, არც სამუშაო ინვენტარი არ ჰქონდათ და თუ თავის მოსავლის მცირეოდენ ნაწილს გამოჰყოფდნენ გასაყიდად, ეს იძულებითი დონისძიება იყო, რათა სახელმწიფო გადასახადებისა და საიჯარო ქირის გადასახდელად ფული ეშოვათ.

ჩრდილო კავკასიის მთიან რაიონებში მიწის დამუშავება ძველებურად პრიმიტიული იარაღებით ხდებოდა.

ამ პერიოდში ელხოტოვოში (თერგის ოლქი) არსებობდა ფირ-

მა „ტატარტუფი“. იგი ეწეოდა სიმინდის ბითუმად შესყიდვას და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გაყიდვას. მისი კლიენტები იყვნენ მსხვილი მემამულეები და კულაკური მეურნეობები. კულაკები სარგებლობდნენ იმით, რომ გლეხურ მეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეეძლო მანქანა-იარაღების შეძენა და მათი გაქირავებით დამატებით ექსპლოატაციას უწევდნენ მათ. მაგ., გუთნის გაქირავება ერთი დღით ღირდა 50 კაპ., დისკებიანი ფარცხისა — 1 მან., სანიავებლის — 1 მან. და ა. შ.

ჩრდილო კავკასიაში საქალაქო ცხოვრებისა და საკურორტო მშენებლობის სწრაფი ზრდის პირობებში დიდი მოთხოვნილება წარმოიშობოდა კარტოფილზე, ბოსტნეულზე, ხილზე. კარტოფილის ნათესები სწრაფად ვითარდებოდა როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში, ხოლო სადაც საამისოდ ხელსაყრელი პირობები იყო, ვითარდებოდა მეხილეობა და მებოსტნეობა. თუკი დასაწყისში მეხილეობა ცალკეულ ენთუზიასტთა პირადი ინიციატივის შედეგად ვრცელდებოდა, ახლა მანაც სასაქონლო ხასიათი მიიღო და მისი პროდუქცია ფართოდ გაჰქონდათ რუსეთის ქალაქებში. მან განვითარება ჰპოვა თერგის, ყუბანის, დაღესტნის ოლქებში, შავი ზღვის გუბერნიაში. მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, ბალტიისპირეთში რკინიგზით დიდი ოდენობით გაჰქონდათ ყუბანისა და თერგის საზამთრო და ნესვი.

XX ს. დასაწყისში ჩრდილო კავკასიის სოფლის მეურნეობაში გავრცელებას იწყებს ტექნიკური კულტურები — მზესუმზირა და თამბაქო. 1911 წ. ჩრდილო კავკასიაში მზესუმზირის ნათესი ფართობი მთელი რუსეთის ამ კულტურით დაკავებული ნათესი ფართობის 35%-ს შეადგენდა, ხოლო მოსავალი 48%-ს. 1914 წ. ჩრდილო კავკასიამ ქვეყნის მთელი მზესუმზირის მოსავლის 59% მისცა. ასევე ძალზე გაიზარდა თამბაქოს პლანტაციების ფართობი. თუ 1865 წელს თამბაქოს ეკავა 142 დესეტინა, 1905 წ. უკვე 18 985 დესეტინას შეადგენდა და მოსავლიან წლებში წლიურად 1,5 მლნ ფუთს იძლეოდა. ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში ჩრდილო კავკასია ქვეყნის თამბაქოს ფოთლის 60—65%-ს იძლეოდა. ამ კულტურების გავრცელების ძირითადი რაიონი იყო ყუბანის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია. სხვა რაიონებში მათი გავრცელების მასშტაბი უმნიშვნელო იყო. აღნიშნულ ბაზაზე ყუბანის ოლქში წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი ზეთსახდელი წარმოება, რომელიც სწრაფი ტემპით იზრდებოდა.

შემდგომი განვითარება ჰპოვა მევენახეობამაც. იგი გავრცე-

ლებული იყო ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქებში, შავი ზღვის გუბერნიაში. 1906 წლის მონაცემებით შავი ზღვის გუბერნიაში წლიურად ღებულობდნენ 152 ათას ფუთ ყურძენს. პიატიგორსკის განყოფილებაში ვენახების საერთო ფართობი შეადგენდა 886 დესეტინას. მიღებული მოსავალი შეადგენდა 64 ათასზე მეტ ფუთს, საიდანაც იღებდნენ 41 600 ვედრო ღვინოსა და ტკბილს. მთლიანად თერგის ოლქში ვენახი გაშენებული იყო 7 393 დესეტინაზე. 1912 წლისათვის პიატიგორსკის განყოფილების სტანიცებში ვენახებს 2 115 დესეტინა ფართობი ეკავა და წლიურად 151 ათასამდე ფუთ ყურძენს იძლეოდა. ანალოგიურად იზრდებოდა ვენახის ფართობები საუნჯის, ყიზლარის, გროზნოს, მოზდოკის, გეორგიევსკის განყოფილებაში, ხასავ-იურთის და თემირხან-შურის ოკრუგებში. ჩრდილო კავკასიური ღვინოები დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთის ქალაქებში.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა. მეცხოველეობა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის მეორე ძირითად დარგს წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრამ მეცხოველეობასაც თავისი დაღი დაასვა — მას სასაქონლო ხასიათი შეესძინა. საერთოდ მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით აღნიშნულ გარემოებას ხელს უწყობდა საზაფხულო და საზამთრო საძოვრების დიდი სიუხვე, მეცხოველეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა.

1901 წლისათვის თერგის ოლქში, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 956 813 მცხოვრებს, ჰყავდათ ცხენი, ჯორი, სახედარი და აქლემი 244 022 სული, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — 1 104 342 სული, ცხვარი და თხა — 2 338 855 სული, სულ 3 687 219 სული. ყოველ 100 სულ მოსახლეზე მოდიოდა 384,8 სული, ყოველ 100 დესეტინა მიწის ფართობზე კი 55,1 სული.

XX ს. დასაწყისი ჩრდილო კავკასიის მეცხოველეობაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხენმა შეინარჩუნა დიდი სატრანსპორტო და სამხედრო მნიშვნელობა, მისი მოშენება სპეციალურ ცხენსაშენებში ძალიან შეიზღუდა. მეფის მთავრობა საგანგებო პრივილეგიებს უწესებდა იმ პირთ, ვინც ცხენების მოშენებას ეწეოდა — მათ დიდ ნაკვეთებს გამოუყოფდნენ (ოღონდ იმ პირობით, რომ არ მოეხნათ და მხოლოდ ცხენების საძოვრად გამოეყენებინათ), კავალერიის საჭიროებისათვის მაღალ ფასად შეისყიდიდნენ და სხვ. ამავე დროს კაზაკებს

დაევალათ, ცხენებით თვითონ უზრუნველეყოთ თავი სამხედრო სამსახურის დროს.

გარდა ამისა, ძირითად ადგილს მეცხოველეობაში მეცხვარეობა იკავებს. რუსეთის საფეიქრო მრეწველობა დიდ მოთხოვნებს აყენებდა მატყლზე, რამაც განაპირობა ჯერ კიდევ XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში ჩრდილო კავკასიის სტეპის რაიონებში მეცხვარეობის დიდი ფერმების წარმოქმნა. მაგრამ დასავლეთის რაიონებში სასაქონლო მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე მეცხვარეობა თანდათან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს, სადაც მთიანი და უდაბნო ზოლი ამ დარგისათვის ხელშემწყობ პირობებს ჰქმნიდა. მეცხვარეები „მერინოსის“ ჯიშის ცხვარს მასობრივად ცვლიან ამერიკულ და ფრანგულ „რამბულიეზე“, რომელიც გრძელბეწვიან ნაზ მატყლს იძლეოდა. იგი კარგად შეეთვისა ახალ პირობებს. ახალი ჯიშის მეცხვარეობის დიდი ფერმები ეკუთვნოდათ რუსეთიდან და უკრაინიდან გამოსულ მდიდარ მეცხვარეებს, ცარიზმის მსხვილ მოხელეებს. რაც შეეხება თვით მთიელთა მეცხვარეობას, მან ერთგვარი დაქვეითება განიცადა, რაც ბარში საზამთრო საძოვრების შემცირებით აიხსნება.

მეღორეობა ჩრდილო კავკასიაში დიდხანს არ ვითარდებოდა, რასაც ექსტენსიური მეურნეობა და მუსულმანური რელიგიის ფართოდ გავრცელება უშლიდა ხელს. რევოლუციის წინა ათწლეულში მანაც დაიწყო განვითარება, განსაკუთრებით ყუბანის ოლქში. 1908—1913 წწ. ყუბანის ოლქში მეღორეობა მომგებიან დარგად გადაიქცა (სიმინდის წარმოების განვითარებამ ძლიერ შეუწყო ხელი მის აღმავლობას). იგივე ითქმის მეფრინველეობაზეც.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, მეცხოველეობის პროდუქტები დიდ ადგილს იკავებდნენ ჩრდილო კავკასიის ვაჭრობაში ოქტომბრის რევოლუციამდელ ხანაში.

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელსაც მოჰყვა მძაფრი სამოქალაქო ომი, ჩრდილო კავკასიის მეცხოველეობას უდიდესი ზიანი მიაყენა. მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა (განსაკუთრებით ცხენებისა და ხარებისა, რომელთა რეკვიზიციასაც სამხედრო საჭიროებისათვის ახდენდნენ). შემდეგში, უკვე საბჭოთა ხელისუფლებას, დიდი დრო და ენერგია დასჭირდა მეცხოველეობის დარგში 1913 წლის დონის მისაღწევად.

ამრიგად, ჩრდილო კავკასიის სახალხო მეურნეობაში XX ს. დასაწყისში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემ-

დგომ განვითარებას. იგი განპირობებული იყო არა მარტო მეტროპოლიის გავლენით, არამედ თვით ჩრდილო კავკასიის შინაგანი განვითარების პროცესებითაც და რაც უფრო ძლიერი იყო ცენტრის გავლენა, მით უფრო მტკიცდებოდა ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც აპირობებდნენ კაპიტალიზმის ღრმად განვითარების პროცესს.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

სოციალური ვითარება ჩრდილო კავკასიაში XX ს. დამდეგს

XX ს. დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში უკიდურესად გაძწვავდა აგრარული საკითხი. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად აქ ჯერ კიდევ XIX ს-ში საუკეთესო მიწები ადგილობრივი ფეოდალურ-გვაროვნული ზედაფენების, რუსი თავადაზნაურობის და ჩინოვნიკების, კაზაკების, ხაზინისა და ეკლესიის ხელში აღმოჩნდა. ხაზინა თავის მიწებზე ასახლებდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან და მალოროსიიდან, აგრეთვე, გერმანიიდან გამოსულ კოლონისტებს. ადგილობრივი გლეხობის ფართო მასების ხვედრი იყო უმიწობა.

1906 წ. 5 ივლისს სახელმწიფო სათათბიროში გამოსულმა ა. პ. მასლოვმა (არჩეული იყო თერგის ოლქიდან) კარგად დაახასიათა ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მძიმე აგრარული ვითარება. კავკასიას რუსეთის მთავრობის მიერ განწირულს უწოდებდნენ და ამას თერგის ოლქის მონაცემებით დაგიმტკიცებთო.

ა. მასლოვი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა („ტუზემცები" ოფიციალური ტერმინოლოგიით) — ჩეჩნები, ოსები და სხვ. საშინელ მდგომარეობაში არიან, მათი მიწის ნაკვეთები ძალზე მცირეა. მიწა ძვირია. მიწის ნაჭერი, რომელზეც თავსდება ძროხა, ღირს ამ ძროხის ფასი.

თერგის ოლქის მთის ზოლში საადგილმამულო ურთიერთობათა შემსწავლელი კომისია აბრამოვის მეთაურობით 1908 წ. აქვეყნებს თავის შეკრებილ მასალას, საიდანაც ჩანს, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ მთიელები და რაოდენ მწვავედ იგრძნობოდა მიწის შიმშილი.

კომისიის მონაცემებით, ალაგირის და ქურთათის საზოგადო-

ებებში მამაკაცთა თითოეულ სულზე მოდიოდა სახნავი მიწა 0,2 დესეტინა, დიგორიაში — 0,3 დესეტინა. ცალკეულ სოფლებში სახნავი მიწის ნორმა ერთ სულ მამაკაცზე 0,1 დესეტინამდე მოდიოდა. შესაბამისად, მიწის ნაკვეთებს მთაში ზღაპრული ფასები ედო. კომისიის მასალებით, გალიათის სამრეველოში (დიგორია) 1 დესეტინა მიწის ღირებულება მერყეობდა 736-იდან 2 664 მანეთამდე, მახჩესკის სამრეველოში (იგივე დიგორიის საზოგადოება) კი დესეტინის ფასი მერყეობდა 960-იდან 4 000 მანეთამდე.

ცნობილი ოსი პუბლიცისტი გ. ცაგოლოვი თავის წიგნში «Краій бесрооветной нужды» (გამოიცა ვლადიკავკაზში 1912 წ.) აბრამოვის კომისიისა და აზომვების მასალების მიხედვით თერგის ოლქის მთის ზოლის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შემდეგ ნორმებს ადგენს (ერთ სულ მამაკაცზე ყველა სახის მიწის ფართობი, დესეტინებში გამოხატული):

	სახნავი მიწა	სათიბი მიწა	ტყე	საძოვარი	ს უ ლ
ყაბარდოს ხუთ მთიან საზოგადოებაში	0,26	1,4	27	11,8	16,6
ოსეთის მთიანეთში	0,4	1,4	0,6	4,1	6,5
ინგუშეთის მთიანეთში	0,3	1,2	—	4,3	5,8
ჩეჩნეთის მთიანეთში	1,2	1,7	—	2,3	5,2
სალათავიაში	0,7	0,8	—	2,4	3,9
სულ საშუალოდ:	0,57	1,3	—	4,9	7,5

გ. ცაგოლოვი მთის ზოლში არსებული მიწის ფართობისა და მოსახლეობის ოდენობის შეფარდების საფუძველზე ასკვნიდა, რომ აქ გაწყობილ სუფრაზე ყოველი 7 მამაკაციდან ერთისთვის არის ადგილი, დანარჩენი 6 უნდა ადგეს და წავიდეს. სხვა სიტყვებით, მთის ზოლს შეუძლია გამოკვებოს არსებული მოსახლეობის 14%, დანარჩენი 86% არის ჭარბი მოსახლეობა, რომელმაც თავის არსებობისათვის სხვა გზები უნდა მონახოს.

ეს ის დრო იყო, როდესაც მთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბარში იყო გადასახლებული.

სპეციალური კომისიები, რომლებიც მთის ზოლის მიწის ფონდს და მის განაწილებას სწავლობდნენ, მიუთითებდნენ არა მარტო მიწის სიმცირეზე, არამედ იმაზეც, რომ იქაური მიწები

ქვიანია, კლიმატი არახელსაყრელია და ამის გამო მოსახლეობას არ შეუძლია საარსებო საშუალებებით თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მათი გამოანგარიშებით, ბევრ სამრეველოში საკუთარი მოსავალი ჰყოფნიდათ 6—9 თვეს, ზოგან კი მხოლოდ ერთ თვეს შეეძლოთ გამოეკვებათ თავი. დანარჩენს ყიდულობდნენ, ან ბარში მიწის იჯარით აღების გზით იძენდნენ.

მიწის უკიდურესი სიმცირე აიძულებდა მთიელებს გამოსავალი ეძიათ ბარში გადასახლებით, ან სამრეწველო ცენტრებში, შორეულ მხარეებსა და ქვეყნებში საშოვარზე გასვლით. აღნიშნულმა მოვლენებმა XX ს. დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო.

მაგრამ როდესაც მთიელთა მცირემიწიანობაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ბარში მოსახლეობა საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო. რა თქმა უნდა, მთასთან შედარებით იქ მდგომარეობა უკეთესი იყო, კაპიტალიზმის განვითარებამ სოფელში, გლეხობის დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებამ მიწის ნაკლებობა ბარშიც საგრძნობი გახადა. აქ სულ უფრო მკვეთრად გამოიყოფოდა კულაკობა, რომელიც ყიდულობდა მიწას და აფართოებდა თავის მეურნეობას, იწყებდა სასაქონლო პროდუქციის წარმოებას.

ჩრდილო კავკასიური სოფლის შორს წასული დიფერენციაციის წარმოსადგენად მოვიყვანთ ჩრდილო ოსეთის მაგალითს. 1917 წლისათვის აქ გლეხურ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 11,4% უმიწო იყო, 1 დესეტინამდე ნათესით იყო 23,8%; 1-იდან 2 დესეტინამდე — 20,1%, 2-იდან 3-მდე — 15,8%. მუშა პირუტყვი არ ჰყავდა გლეხურ მეურნეობათა 23,5%, ძროხა — 16%. ამ დროს კი სოფლის ბურჟუაზიას — კულაკობას ხელთ ეპყრათ მთელი ნათესი ფართობის 50,5%. ჰყავდათ მუშა პირუტყვის 37,3% და ძროხების სულადობის 46,4%. ოსური სოფლის დიფერენციაციის ღრმად წასული პროცესი ჩანს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განაწილებიდანაც. 1917 წ. გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 24,3%-ს ჰქონდა გუთანი, 0,7% — სამკალი მანქანა, 0,4 — სათიბი, 0,5% — სათესი.

იმის მიუხედავად, რომ XX ს. დასაწყისის ოსეთში მემამულეთა ხელში ჯერ კიდევ მიწის დიდი ფართობი რჩებოდა, მათი პოზიციები დასუსტდა და სოფლად წამყვანი ძალა კულაკობა გახდა. სოფლის ბურჟუაზია ოსეთში 1913 წლისათვის მთელ კომლთა 10%-ს შეადგენდა, მაგრამ ეკონომიკაში მათი როლი განუზომლად დიდი იყო. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა რა სოფლის ბურჟუაზიის მცირერიცხოვნობას მთელ გლეხურ მასასთან შედარებით, მიუთი-

თებდა, რომ „თავისი მნიშვნელობით მთელ გლეხურ მეურნეობაში, — გლეხობის ყუთვნილი წარმოების საშუალებათა ჯაჭვში, გლეხობის მიერ ნაწარმოებ მიწათმოქმედების პროდუქციის რაოდენობაში, — გლეხურ ბურჟუაზიას უეჭველად უპირველესი ადგილი უჭირავს. ის თანამედროვე სოფლის ბატონია“.[1]

ჩრდილო ოსეთში მიმდინარე სოციალური მოვლენები შეტნაკლებად დამახასიათებელი იყო მთელ ჩრდილო კავკასიისათვის. განსხვავება მარტოოდენ შეიძლება ამ მოვლენების მასშტაბში ყოფილიყო.

მიწის ნაკლებობა განაპირობებდა მიწის იჯარის ინსტიტუტის ფართო განვითარებას. მიწას იჯარით გასცემდნენ შემამულეები და კაზაკთა სტანიცები. მიწის იჯარით აღებას მიმართავდნენ როგორც მთიელები, ასევე ბარის მცხოვრებნი. მთიელებისათვის იჯარა არსებობის წყარო იყო, ბარში კი იჯარას უპირატესად კულაკური ელემენტები მიმართავდნენ და ამით აფართოებდნენ თავის ნათესებს, თვით გასცემდნენ სხვებზე იჯარით აღებულ ნაკვეთებს (ე. წ. სუბიჯარა). ისინი სულ უფრო ფართოდ ეწევიან სოფლის ღარიბობის ექსპლოატაციას, რადგანაც „სოფლის მოჯამაგირეების, მით უფრო დღიური მუშების კონტიგენტის გაჩენა შეძლებული გლეხობის არსებობის აუცილებელი პირობაა“.[2]

საშუალო გლეხობა გამოირჩეოდა სასაქონლო მეურნეობის ყველაზე ნაკლები განვითარებით. „დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო შრომა მხოლოდ საუკეთესო წელს და განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში თუ აძლევს... თავის შენახვის საშუალებას, და ამიტომ ის უკიდურესად მერყეე მდგომარეობაში იმყოფება. უმეტეს შემთხვევაში საშუალო გლეხს არ შეუძლია თავის გატანა, თუ მან შრომამიგებით სესხს არ მიმართა, თუ მან არ მოძებნა „დამხმარე“ სხვა საშოვარი, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ სამუშაო ძალის გაყიდვაში მდგომარეობს და სხვ. ყოველი მოუსავლობა საშუალო გლეხობის მასებს პროლეტარიატის რიგებისაკენ მიერეკება. თავის საზოგადოებრივი ურთიერთობით ეს ჯგუფი ქანაობს ორ ჯგუფს შუა: უმაღლეს ჯგუფს შორის, რომლისკენაც ის ილტვის და, რომელსაც აღწევს მხოლოდ ბედნიერთა უმცირესობა, და დაბალ ჯგუფს შორის, რომელშიც მას შოაქცევს საზოგადოებრივი ევოლუციის მთელი მსვლელობა.“[3]

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 191.

[2] იქვე

[3] იქვე, გვ. 196.

მოიჯარეთა ერთ-ერთ არსებით კონტიგენტს ჰქმნიდა უმიწობით სულშეხუთული მთიელი გლეხობა. ისინი მთასა თუ ბარში ყოფილი ფეოდალური კლასის ნაშთებისაგან, რომლებიც ახალ ვითარებაში მემამულეებად იქცნენ, მიწას იჯარით იღებდნენ. მემამულენი იჯარის გზით თავის მამულს მუშახელით უზრუნველყოფდნენ. ამ შემთხვევაში „საბატონო მეურნეობის უბრალო ნაშთი“ — იჯარა შეუმჩნევლად იქცეოდა კაპიტალისტურ სისტემად“.[4]

სულ სხვა ხასიათისა იყო იჯარა გლეხურ მეურნეობაში. „გლეხურ მეურნეობაში იჯარას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ზოგისთვის ის წარმოადგენს მეურნეობის ხელსაყრელ გაფართოებას, ზოგისთვის კი — გაქირავებით გამოწვეულ გარიგებას“.[5]

მთიელი გლეხები საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად მიდიოდნენ კულაკებთან, შეძლებულ გლეხობასთან დაქირავებულ სეზონურ მუშებად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. დაქირავებულთა სახით იყენებდნენ დროებით მცხოვრებ გლეხებს, ღარიბ თანასოფლელებს. კავკასიელ მთიელთა ბარში საშოვარზე სიარულს ადგილი ჰქონდა არა მარტო ჩრდილო კავკასიის ბარში, არამედ ამიერკავკასიის ბარშიც.

რა თქმა უნდა, სოფლის გაღატაკებული გლეხობა (ეს ეხება როგორც მთიელთ, ასევე ბარელთ) არ კმაყოფილდება ადგილზე დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო სეზონური შრომით. ისინი მიდიოდნენ იმპერიის სამრეწველო ცენტრებში (რუსეთში, ამიერკავკასიაში, თვით ჩრდილო კავკასიის ქალაქებშიც) და პროლეტარიატის რიგებს ავსებდნენ, ზოგი საერობო დაცვაში შედიოდა (ე. წ. „სტრაჟნიკები“) და სხვადასხვა საქმეს ჰკიდებდა ხელს. ბევრი კავკასიელი მთიელი მუშაობდა ბაქოს ნავთის სარეწებში, ჭიათურისა და ალავერდის მადაროებში, თბილისის საწარმოებში, ციმბირის ოქროს საბადოებში თუ სხვაგან. ბევრი საზღვარგარეთაც მიდიოდა და იქ ეძებდა (უმრავლეს შემთხვევებში ამაოდ) თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. 1910—1913 წწ. რუსეთსა და ამერიკაში მარტო ოსეთიდან 10 ათასი კაცი წავიდა. 1920 წლისათვის კი ოსი ემიგრანტების რიცხვი აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და მანჯურიაში 15 ათას კაცს აღწევდა.

ჩრდილო კავკასიაში აგრარულ ნიადაგზე მწვავე გართულე-

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 217.

[5] იქვე, გვ. 218.

პანი წარმოიშობოდა. როგორც 1905—07 წწ. რევოლუციის წინ, ისე მის შემდეგაც უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა ებრძოდა ნახევილ მიწათმფლობელებს, სოფლის ბურჟუაზიას და მათ მფარველ ცარიზმის ადმინისტრაციას. აგრარულ ნიადაგზე გაშლილმა კლასობრივმა ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1905-07 წწ. რევოლუციის დროს.

ცარიზმმა დაინახა, რომ სოფლად აღარ არსებობს გლეხობის ერთიანი მასა და იგი დაიყო ორ ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფად. მან სცადა სოფლად თავისთვის დასაყრდენის შექმნა კულაკობის სახით. ეს უნდა მომზდარიყო საგლეხო თემური მიწათმფლობელობის დარღვევით და კულაკობისათვის მათი ნადელების კერძო საკუთრებაში დამკვიდრებით. ამ მიზანს ემსახურებოდა სტოლიპინის აგრარული რეფორმა. 1906 წ. 9 ნოემბერს გამოვიდა ბრძანებულება გლეხთა სათემო მფლობელობის ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო 1910 წ. 14 ივნისს ნიკოლოზ II დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს კანონპროექტი „გლეხთა მიწათმფლობელობის შესახებ“.

სტოლიპინის აგრარული რეფორმა კავკასიის მთიელებზე არ გავრცელებულა, რადგან აქ მიწებს თემების საკუთრებად კი არა, სახაზინო მიწებად თვლიდნენ, რომლებიც თემებს დროებით სარგებლობაში აქვთ გადაცემული. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რეფორმას ჩრდილო კავკასიისათვის მნიშვნელობა არ ექონდა. მან აქაც დააჩქარა სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება. ფართო გასაქანი მიეცა საგლეხო საადგილმამულო ბანკის მოქმედებას ჩრდილო კავკასიაში, რასაც მოჰყვა სასოფლო ბანკების, საკრედიტო ამხანაგობების ფართო ქსელის შექმნა. ყოველივე ეს ზრდიდა მიწის ყიდვა-გაყიდვასა და იჯარით გაცემის მასშტაბებს.

1915 წ. 1 იანვრისათვის თერგის ოლქში იყო 121 საკრედიტო ამხანაგობა, 6 შემნახველ-გამსესხებელი სალარო და 2 წოდებრივ-საზოგადო დაწესებულება. მათი უმრავლესობა რუსულ მოსახლეობაზე მოდიოდა, „ინოროდცებიდან“ კი 19 ოსებზე, 10 — ინგუშებზე, 7 — ყაბარდოელებზე, 3 — ყუმიყებზე, 1 — ჩეჩნებზე, 1 — ყარაჩაელებსა და აბაზინელებზე. დანარჩენი შერეული იყო. აღნიშნული რიგის საკრედიტო დაწესებულებები განვითარდა ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებშიც. მათში ყველგან სოფლის ბურჟუაზიული ელემენტები იყვნენ გაერთიანებული და ხელს უწყობდნენ მათ ხელში მიწის კონცენტრაციას. ამ საკრედიტო დაწესებულე-

ბათა მეშვეობით სოფლის ბურჟუაზია იძენდა გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს და შემდგომ ავითარებდა სასაქონლო მარცვლეულის წარმოებას.

ჩრდილო კავკასიაში განსახილველ ხანაში მეფის მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკის მეშვეობით (რამაც XIX ს. კავკასიის ომის დამთავრებისა და საგლეხო რეფორმის შემდეგ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო) მრავლად ცხოვრობდა რუსი მოსახლეობაც. რუსი მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში კაზაკების სახით ადრე მკვიდრდება. ისინი ცარიზმის ექსპანსიონისტური და კოლონიზატორული პოლიტიკის მატერიალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მათ ხელში დიდი რაოდენობის საუკეთესო მიწები იყო. სტოლიპინის აგრარული რეფორმის შედეგად მიწის ყიდვა-გაყიდვამ კაზაკთა შორის ფართო ხასიათი მიიღო და უფრო დაჩქარა მათ შორის სოციალური დიფერენციაციის პროცესი. კაზაკთა ზედაფენები თავის ხელში თავს უყრიან მიწის მნიშვნელოვან ფართობებს და მათ იჯარით გასცემენ უმიწო და მცირემიწიან მთიელებზე, აგრეთვე, ახლად ჩამოსახლებულ რუს გლეხებზე, რომლებსაც „ინოგოროდნებს" უწოდებდნენ. ისინი რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან სახლდებოდნენ და რაკი კაზაკთა სტანიცებზე მიწერილნი არ იყვნენ, მიწებით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ, რის გამოც კაზაკთა მიწებს იჯარით იღებდნენ, ან სეზონურ სამუშაოებს ასრულებდნენ. ინოგოროდნები თუ სტანიცაში მუდმივად ცხოვრობდნენ, ძირითადი მოსახლეობის თანაბრად ყოველგვარ ბეგარა-გადასახადებს იხდიდნენ. დამატებით ისინი დიდ თანხას იხდიდნენ იმ მიწის ნაკრისათვის, რომელზეც ქოხს იდგამდნენ. ამავე დროს მათ ხმის უფლება არ ჰქონდათ სტანიცის კრებებზე, მათ ბავშვებს სკოლაში არ უშვებდნენ, ხოლო თუ თავისუფალი ადგილი დარჩებოდა სკოლაში, მათ სწავლის ქირას ახდევინებდნენ.

რა თქმა უნდა, ცენტრალური გუბერნიებიდან და მალოროსიიდან გადმოსახლებულნი ყველა ინოგოროდნის მდგომარეობაში არ ვარდებოდნენ. შეძლებული ახალმოსახლენი ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს და ხუტორულ მეურნეობებს აწყობდნენ. დროთა განმავლობაში ბევრი მდიდრდებოდა, ბევრი ხუტორელიც ღატაკდებოდა და ან ქალაქში მიდიოდა და პროლეტარიატის რიგებს ავსებდა, ან სოფლის დაქირავებულ მუშად იქცეოდა.

ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში ინოგოროდნების შეფარდება კაზაკებთან სხვადასხვანაირი იყო. ყუბანის ოლქში რეგო-

ლუციამდე ინოგოროდნები მოსახლეობის 52%, თერგის ოლქში —25%, დონზე — 45% შეადგენდნენ.

ოდესღაც თავისუფალი კაზაკობაც დროის მსახვრალ ხელს ვერ გადაურჩა. კაზაკთა ზედაფენები ღარიბი კაზაკობის ექსპლოატატორებად იქცნენ. მშრომელი კაზაკობისათვის სამხედრო სამსახური, რაც ფაქტიურად 19 წელი (2 წელი მოსამზადებელში, 12 წელი სამწყობრიოში და 5 წელი თადარიგში) გრძელდებოდა, უძიმეს მოვალეობად იქცა. კავალერიაში მომსახურე კაზაკი თავის ცხენით და მისი აკაზმულობით უნდა გამოცხადებულიყო. სამხედრო სამსახურის გარდა მათ ეკისრებოდათ ნატურალური და ფულადი გადასახადების გადახდა, შრომითი ბეგრის შესრულება (გზის რემონტი, ხიდების კეთება, ტრანსპორტის გამოყვანა და სხვ.).

ყოველივე ამის შედეგად კაზაკთა სტანიცებმა დიფერენციაცია განიცადეს. რუსეთის პირველი რევოლუციის დროისათვის ჩრდილო კავკასიაში კაზაკურ მოსახლეობაში შეძლებული ფენები შეადგენდნენ 21,7%, საშუალო ფენები — 45%, ღარიბი კაზაკობა კი — 33,3%. ღარიბი კაზაკობა მოკლებული იყო პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და სულ უფრო ეკვეოდა მდიდარი კაზაკების კაბალაში. ასე რომ XX ს. დასაწყისში თუკი ლაპარაკი იქნება კაზაკთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე, იქ მარტოოდენ კაზაკთა ზედაფენა უნდა ვიგულისხმოთ. რაც შეეხება დაბალ ფენებს, ისინი გაცილებით მეტ მოვალეობებს ასრულებდნენ, ვიდრე პრივილეგიებით სარგებლობდნენ და თვით განიცდიდნენ ცარიზმისა და სტანიცელ კულაკთა ექსპლოატაციას.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განსაზღვრა XX ს. დასაწყისის მღელვარე რევოლუციურ მოძრაობაში ღარიბი კაზაკობის აქტიური მონაწილეობა.

თუკი კაზაკთა ნაწილი ექსპლუატაციის ობიექტად გადაიქცა, წარმოსადგენია რა მდგომარეობაში იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ჩრდილო კავკასიაში ფაქტიურად სამხედრო მმართველობა იყო დამყარებული. ოლქებს სათავეში გენერალ-გუბერნატორები ედგნენ. ოკრუგებში მთელი ძალაუფლება ოკრუგის უფროსისა და მისი ორი თანაშემწის ხელში იყო. ისინი, როგორც წესი, სამხედრო პირები იყვნენ. მათ ხელში იყო არა მარტო ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხელისუფლება, არამედ კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების გამგებლობაც.

ოკრუგები უბნებად იყოფოდა, რომელთა სათავეში ბოქაულები იდგნენ მეფის არმიის ოფიცერთა წრიდან. სოფლებში ადგილობ-

რივი ხელისუფლების წარმომადგენელთ — მამასახლისებსა და გადამწერებს მეფის ადმინისტრაცია ზემოდან ნიშნავდა.

ჩრდილო კავკასიაშიც, ისევე როგორც საერთოდ განაპირა მხარეებში, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ხვდებოდა ხალხი, რომელთაც ცენტრალური გუბერნიებიდან აძევებდნენ გაფლანგვა-დატაცებისათვის ან სხვა რიგის დანაშაულისათვის. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ახალ სამოქმედო ადგილზეც მათი საქმიანობა დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდა.

ადგილობრივი მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვდა ადმინისტრაციისაგან მამასახლისების არჩევის უფლებას. ასეთი მამასახლისები უფრო იზრუნებენ სოფლის საჭიროებაზე და მათი შენახვაც უფრო იაფი დაჯდებაო (ბინის და სხვა ქირისაგან მაინც გავთავისუფლდებითო). ამ ნიადაგზე ხშირად მწვავე კონფლიქტებიც წარმოიშობოდა ხოლმე, მაგრამ ადმინისტრაცია არ თმობდა. მამასახლისები ადმინისტრაციის აშკარა მფარველობით და წაქეზებით ადგილობრივი სახსრების დატაცებას, მექრთამეობას და სხვა უკანონობას სჩადიოდნენ, ნაძირალებისა და ქურდების ხელშემწყობებად იქცეოდნენ. აღსანიშნავია, რომ აბრაგებთან კავშირში მხილებულ იქნა ვლადიკავკაზის პოლიცმეისტერი კოტლიარევსკიც.

ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული იყო იმ ელემენტარულ უფლებებსაც კი, რომლებითაც სარგებლობდნენ რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებნი. ს. ორჯონიკიძე 1919 წ. 10 ივლისს თავის მოხსენებაში რსფსრ სახკომსაბჭოსადმი აღნიშნავდა, რომ „მთიელთა მდგომარეობა რევოლუციამდე საშინელი იყო. მთიელები თითქმის კანონგარეშე იყვნენ. მათ მხოლოდ ყაჩაღებად თვლიდნენ და მთიელის მოკვლისათვის თითქმის არ აძლევდნენ პასუხისგებაში. იარაღის შენახვისათვის მთიელს ეგზეკუციას უყენებდნენ“.[6]

ცარიზმის ანტიხალხური კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო საზოგადოებრივი ტყეების სახაზინოდ გამოცხადება (1888 წ.). XX ს-ის დასაწყისში ტყეებით სარგებლობის საკითხი მოსახლეობასა და მთავრობის ადმინისტრაციას შორის შეჯახებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. 1905-07 წწ. რევოლუციის დღეებში ტყეების საზოგადოებებისათვის დაბრუნება ერთ-ერთ ცენტრალურ მოთხოვნას წარმოადგენდა,

---

[6] Г. К. Орджоникидзе. Избранные статьи и речи. М., 1956, с. 74.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა უმიწობისა და უუფლებობის გარდა იტანჯებოდა მრავალრიცხოვანი ბეგარა-გადასახადებისაგან. ძძიმე პირდაპირი გადასახადების გარდა. მათ ეკალებოდათ სატრანსპორტო ბეგარა, სოფლის ადმინისტრაციის შენახვა, ადგილობრივი გზების რემონტი.

ცარიზმი დევნიდა ყოველივე პროგრესულს, მიმართულს ადგილობრივი ხალხების კულტურული წინსვლისაკენ. ამით აიხსნება რომ ადგილობრივ ენებზე პერიოდული პრესა ვერ მომაგრდა, მათ მაშინვე ხურავდნენ. ასევე დევნიდნენ კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს — ბიბლიოთეკებს, ლიტერატურულ-დრამატულ წრეებს. მეფის სატრაპებს აშინებდათ ეროვნული კულტურის ყოველგვარი გამოვლინება. ისინი აღვიებდნენ ეროვნულ შუღლს, ერთი მხრივ, კაზაკებსა და მთიელებს შორის, მეორე მხრივ, თვით მთიელ ხალხთა შორის. ამ პოლიტიკის მიზანი იყო განაპირა მხარეების განვითარების შეფერხება, რათა მათი მორჩილებაში ყოფნა უფრო იოლი ყოფილიყო.

ძალზე დაბალ დონეზე იდგა ადგილობრივი მოსახლეობის საშედიცინო მომსახურება. ამის შედეგი იყო მასობრივი ეპიდემიები, რომელთა შედეგად მოსახლეობა მასობრივად იღუპებოდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ცხოვრების პირობები უფრო დამძიმდა. მძლავრად იჩინა თავი სამეურნეო ნგრევამ. მამაკაცთა არმიაში ან არმიისათვის სამხედრო და სასურსათო ტვირთების გადასაზიდად მასობრივმა გაწვევამ გამოწვია მუშახელის ნაკლებობა. ფანუზომლად გაიზარდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები, გაიზარდა მოსახლეობის საგადასახადო დაბეგვრა.

1914 წ. 1 მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ჩრდილო კავკასიაში ფაქტიურად სამხედრო მდგომარეობა დამყარდა. დაიწყო იმ პირთა მასობრივი დაპატიმრება-გადასახლება, რომლებიც ადმინისტრაციის აზრით არაკეთილსაიმედონი იყვნენ. დაიწყო ადმინისტრაციული აპარატის წმენდაც — სამსახურიდან ძევებდნენ მთავრობისათვის მიუღებელ მამასახლისებს, გადამწერებს, მასწავლებლებს. დაწესდა მკაცრი სამხედრო ცენზურა. აკრძალეს მუშათა გამოსვლები. სამხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებდა. ყოველივე ზემოაღნიშნული ჩრდილო კავკასიას, რუსეთის იმპერიის სხვა რაიონებთან ერთად, მიაქანებდა წინ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

მესამე თავი

რევოლუციური მოძრაობა ჩრდილო კავკასიაში 1900—1907 წწ.

§ 1. მარქსისტული იდეების გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და ორგანიზაციების შექმნა ჩრდილო კავკასიაში

ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური იდეების გავრცელებისა და პროპაგანდის, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და წრეების შექმნის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ლენინური „ისკრისა" და სხვა იატაკქვეშა ბოლშევიკური გამოცემების გავრცელებამ, რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს, თბილისის, დონის ყუბანისა და ასტრახანის კომიტეტების მუშაობამ და მათმა ძმურმა დახმარებამ ჩრდილო კავკასიელი რევოლუციონერებისადმი.

ჩრდილო კავკასიაში მარქსისტული იდეების შემომტანნი იყვნენ ის რუსი რევოლუციონერები, რომელთაც მეფის მთავრობა პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან და სხვა ქალაქებიდან ასახლებდა ჩრდილო კავკასიაში (განსაკუთრებით დაღესტანში). მეფის მთავრობამ ჩრდილო კავკასია გადააქცია თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გადასახლების ერთ-ერთ პუნქტად. რუსი რევოლუციონერები ამყარებდნენ კავშირს ადგილობრივ მუშებთან, ქმნიდნენ პოლიტიკური თვითგანათლების წრეებს, სადაც მსმენელებს უხსნიდნენ რუსეთში მომხდარ ამბებს, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას და სხვ.

ჩრდილო კავკასიაში იგზავნებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. მათ შემოჰქონდათ ფული და არალეგალური ლიტერატურა. აქ რევოლუციურ მოძრაობაზე ბოლშევიკური პარტიის გავლენა ხორციელდებოდა აგრეთვე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის საშუალებითაც.

ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ამიერკავკასიელ, კერძოდ, ქართველ რევოლუციონერებსაც, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოსა და თბილისის კომიტეტების საქმიანობასთან.

კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1901 წ. გაზაფხულზე ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ ბაქოს კომიტეტის შექმნა, რომელსაც საათავეში

ედგნენ ლ. კეცხოველი, ა. ენუქიძე და სხვ. ამ კომიტეტმა ორგანიზატორული და საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გაიჩაღა ბაქოს მუშათა, მათ შორის დაღესტნელ მუშებს შორის, ეხმარება მათ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიკავკავში, თემირ-ხან-შურაში და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ სხვა ქალაქში სოციალ-დემოკრატიული წრეები იქმნებოდა, ძირითადად, ინტელიგენტთა და სტუდენტთაგან. ამან რასაკვირველია, თავისი დაღი დაასვა ჩრდილო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას და განაპირობა რსდმპ ცენტრ-დაღესტნის კომიტეტის ხელმძღვანელობაში მენშევიკების მოსვლა.

1903 წ. მარტში თბილისში შედგა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობა. ყრილობაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირი, რომლის ხელმძღვანელობაში — კავკასიის კავშირის კომიტეტში—აირჩიეს გამოჩენილი სოციალ-დემოკრატები: მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ი. სტალინი, ა. კნუნიანცი, ფ. მახარაძე, ხოლო უფრო ფვიან: ა. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი და სხვ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გააერთიანა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, გამოაცოცხლა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ჩრდილო კავკასიაში, უკვე არსებულ სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან ერთად რსდმპ შეუდგა ახალი ორგანიზაციების შექმნას.

სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები შეიქმნა ჩრდილო კავკასიის მთელ რიგ ქალაქებში — გროზნოში, ვლადიკავკავში, პეტროვსკში და სხვ.

თერგის ოლქში მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებისა და ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ მუშათა დარაზმვის საქმეში დიდი როლი შეასრულა ი. ფიოლეტოვმა. იგი 1903 წ. ბოლოს, რსდმპ კავკასიისა და ბაქოს კომიტეტების მითითებით, გადადის გროზნოში, სადაც სათავეში უდგება რსდმპ გროზნოს ორგანიზაციას. ამ უკანასკნელის დახმარებით 1904 წ. გაფორმდა რსდმპ ვლადიკავკავის ჯგუფი, რომელმაც გააერთიანა ქალაქში არსებული სხვა ჯგუფები.

ვლადიკავკავის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ეწეოდა საagიტაციო მუშაობას ქალაქის მუშებს შორის, აწყობდა კრებებს და უშვებდა პროკლამაციებს რუსულ, ქართულ და ოსურ ენებზე.

გარდა ამისა, ვლადიკავკავის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი

ეწეოდა ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ოსეთის სოფლებში, რის შედეგადაც ოსეთის მთელ რიგ მსხვილ დაბებში— ალაგირში, ხრისტიანოვსკოეში და სხვ. წარმოიშვა რევოლუციური წრეები. რევოლუციური პროპაგანდა ტარდებოდა ოსეთის ინტელიგენციაშიც.

1903 წ. პეტროვსკში შეიქმნა ორი სოციალ-დემოკრატიული წრე. თავდაპირველად აქ მუშაობას ეწეოდნენ მენშევიკები, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა. ისინი იღებდნენ პოლიტიკურ ფურცლებს ბაქოდან, თბილისიდან, ასტრახანიდან და ავრცელებდნენ მუშებსა და მოსამსახურეებს შორის.

საერთაშორისო მუშათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ახალი ეტაპი იყო 1903 წ. რსდმპ II ყრილობაზე მარქსისტული პარტიის შექმნა. პარტიის II ყრილობის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების ბაზაზე დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ბაქოსა და თბილისის კომიტეტი, ხოლო შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჩრდილო კავკასიის მუშათა ცენტრს — გროზნოს, აგრეთვე ვლადიკავკაზს, პორტ-პეტროვსკს, დერბენტს; ყოველმხრივ ცდილობდნენ ორგანიზებული ხასიათი მიეცათ ამ ქალაქების მუშათა რევოლუციური გამოსვლებისათვის. რსდმპ ბაქოსა და თბილისის კომიტეტები რეგულარულად აგზავნიდნენ ჩრდილო კავკასიის ქალაქებში თავის აქტივისტებს — პარტიულ მუშაკებს ჩრდილო კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული წრეების დასახმარებლად. მაგ., რსდმპ თემირხან-შურის პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის დამაარსებელი იყო ალექსანდრე ფიტინგოფი, რომელიც დაკავშირებული იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან და რომელიც თბილისიდან რეგულარულად იღებდა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას.

განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული რსდმპ თბილისის კომიტეტს რსდმპ ვლადიკავკაზის ჯგუფთან, რომელიც 1904 წ. შეიქმნა. ამ პერიოდში ვლადიკავკაზში ჩამოვიდა ა. ფელდმანი, რომელიც 1905—1907 წწ. ი. ლომიძესთან ერთად ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას ვლადიკავკაზსა და გროზნოში. მათი მოღვაწეობის შედეგად შესამჩნევად გამოცოცხლდა სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ვლადიკავკაზში.

რსდმპ ვლადიკავკაზის ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა რუ-

სების, ქართველების, ოსების და სომხებისაგან, გაერთიანა ქალაქში არსებული მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული წრეები. ადგილობრივ გლეხობასა და ახალგაზრდებს შორის დიდი მუშაობის შედეგად ორგანიზებულ იქნა ახალი რევოლუციური ჯგუფები.

1904 წ. შეიქმნა გროზნოს საქალაქო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ი. ფიოლეტოვის ხელმძღვანელობით.

გროზნოს ბოლშევიკური ორგანიზაცია არ შემოიფარგლებოდა მარტო ადგილობრივი მუშაობით. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა თერგისა და დაღესტნის სხვადასხვა რაიონების მუშების დარაზმვის და ორგანიზაციისათვის. გროზნოს პროლეტარიატი გამოდიოდა თერგის ოლქისა და დაღესტნის მუშათა რევოლუციერი ბრძოლის ავანგარდში.

1904 წლის ბოლოს დაღესტანში ბაქოსა და გროზნოს ბოლშევიკების დახმარებით დანაწევრებული წრეებისაგან დაიწყო სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა. რსდმპ პირველი ორგანიზაცია ქალაქის მასშტაბით შეიქმნა დაღესტნის სამრეწველო ცენტრში პორტ-პეტროვსკში, სადაც თავმოყრილი იყო საწარმოები და მუდმივი მუშების ძირითადი ნაწილი.

დიდი დახმარება დაღესტნის მშრომელებს აღმოუჩინეს რუსმა მუშა-რევოლუციონერებმა — ი. მალიგინმა, გალიევიჩმა, გოლოვაჩევსკიმ, კულიკოვმა, ნ. შევჩენკომ, ვ. კაზარინოვმა და სხვა. მათი დახმარებით აღიზარდა და დავაჟკაცდა დაღესტნის მშრომელი მოსახლეობიდან გამოსული ათეულობით აქტიური რევოლუციონერი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ კ. აგასიევს, მ. დახადაევს, დ. ატაევს და სხვ.

ბაქოში მცხოვრებ დაღესტნელ მუშებს შორის, რომლებიც პერიოდულად ჩამოდიოდნენ დაღესტანში და გლეხებს შორის ეწეოდნენ ახსნა-განმარტებით მუშაობას, 1904 წ. დიდი გავლენით სარგებლობდა „გუმეთის“ („ურთიერთდახმარება“) ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა რსდმპ ბაქოს კომიტეტთან მუსულმან მშრომელთა შორის სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის.

ამგვარად, დაღესტანსა და თერგის ოლქში ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ რსდმპ კავკასიის კავშირის, ბაქოსა და თბილისის კომიტეტების აქტიური დახმარებისა და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად წარმოიშვა პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიოდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში.

1903 წლის შემოდგომაზე მაიკოპში არსებული სოციალ-დე-

მოკრატიული წრეებიდან, რომლებიც მოქმედებდნენ 1901 წლის დასაწყისიდან, შეიქმნა მაიკოპის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდა 45 კაცი (მაიკოპის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი შედიოდა რსდმპ ყუბანის კომიტეტში). მაიკოპის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ხელმძღვანელობდა ქალაქის მშრომელთა ყველა გამოსვლას.

ქ. მაიკოპის შემდეგ. იმავე 1903 წელს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია აღმოცენდა აულ ოქტიაბრსკაიაში (ყოფილი ტაბტამუკაი). იგი დიდ მუშაობას ეწეოდა არა მარტო თავის აულში, არამედ საერთოდ შაფსუღებში, სტანიცებში კალუუსკაიაში, პენზენსკაიაში, კმოჩევსკაიაში და სხვ. მას ხელმძღვანელობდა პეტრე ზაემა. ადილეელებს შორის დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ მოსე შოვგენოვი და შახან-გირეი ხაკურატე.

რაც შეეხება ყარაჩაი-ჩერქეზეთს, აქ სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ჯგუფის შექმნა იწყება მხოლოდ 1905 წელს. ასეთი წრეები იყო ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში — სტანიცებში: ოტრადნაიაში, ბესკორბნოეში, ბრიუხოვეცკოეში და სხვ. 1905 წ. გაზაფხულზე ადგილობრივი მასწავლებლის ა. მაკეევის ინიციატივით სტანიცა ბატალფაშინსკში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მშრომელებს შორის რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ საიდ ხალილოვი, დ. გუტეკულოვი და სხვ.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა იმ დიდ მუშაობაზე, რაც კავკასიელმა მარქსისტებმა გასწიეს სხვადასხვა ეროვნების მუშათა შეკავშირებისათვის. კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აგების ინტერნაციონალურ პრინციპს და მათი მუშაობის გამოცდილებას ლენინი მისაბაძ მაგალითად თვლიდა ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციებისათვის. „ჩვენში, კავკასიაში,— წერდა ვ. ი. ლენინი ა. მ. გორკის 1913 წლის თებერვალში,— ს. დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს. დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა, ერთადერთი გადაწყვეტა“[1].

1904 წ. ბოლოს ვლადიკავკაზში ჩამოყალიბდა რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტი, რომელმაც გააერთიანა დაღესტნისა და თერგის ოლქის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 76.

ამგვარად, რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტის შექმნით, რომელიც რსდმპ დონისა და ყუბანის კომიტეტებთან ერთად წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთ უმსხვილეს პარტიულ ორგანიზაციას, დამთავრდა ჩრდილო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ორგანიზაციული გაფორმება. ამაში დიდი როლი ითამაშეს ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, კერძოდ, რსდმპ ბაქოს და თბილისის კომიტეტებმა.

§ 2. ჩრდილო კავკასია 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში

ჩვენი ქვეყნის ხალხების გმირული წარსულის ერთ-ერთ ნათელ ფურცელს წარმოადგენს რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში 1905—1907 წწ.

რევოლუციის წლებში რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობასთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხები, რომელთა ბრძოლა რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ერწყმოდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

გარდა ჩრდილო კავკასიის ხალხებისა (ოსები, ყაბარდოელები, ადიღე-ჩერქეზები, ყარაჩაი-ბალყარელები, ჩეჩნები, ინგუშები და დაღესტნის ხალხები), ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებიც.

როგორც ცნობილია, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისად ითვლება პეტერბურგში 1905 წ. (22) იანვარს მომხდარი ამბები, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის კავკასიაშიც.

ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. რევოლუციის მიმდინარეობაზე გავლენა იქონია აგრეთვე ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მშრომელთა რევოლუციურმა გამოსვლებმა.

ჩრდილო კავკასიაში არ იყო მუშების არც ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური გამოსვლა, რომ მის მომზადებაში დიდი როლი არ ეთამაშა რსდმპ კავკასიის კავშირის, ბაქოსა და თბილისის კომიტეტებს. აღნიშნული კომიტეტები ცდილობდნენ ამიერკავკასიის მუშათა კლასის ყოველ გამოსვლასთან დაეკავშირებინათ გროზნოს, ვლადიკავკაზის, პეტროვსკისა და სხვა ქალაქების მუშათა გამოსვლები. ამ ქალაქებში იგზავნებოდნენ კომიტეტის წევრები

და აქტივისტები, რომლებსაც მოჰქონდათ პოლიტიკური ფურცლები და არალეგალური ლიტერატურა, ეწეოდნენ ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას, ამზადებდნენ გაფიცვებს.

ვლადიკავკაზში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე ვ. ორლოვა-ლავროვა მიუთითებს, რომ „პროფესიონალი მუშაკები, აგიტატორები, პროპაგანდისტები, გარდა ადგილობრივი მუშაკებისა, იგზავნებოდნენ პეტერბურგიდან, ტფილისიდან, მაგრამ უფრო ხშირად ბაქოდან“.

ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური გამოსვლების დაწყებისთანავე რსდმპ ყუბანისა და კავკასიის კავშირის კომიტეტებმა მიმართეს ჩრდილო კავკასიის ხალხებს, რათა, განურჩევლად ეროვნებისა, გაერთიანებულიყვნენ პროლეტარიატის ერთ რევოლუციურ არმიაში ექსპლოატატორების დასამხობად. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება.— „კავკასიის მუშებო. დროა შური ვიძიოთ“, სადაც მოუწოდებდა კავკასიის მრავალრიცხოვან პროლეტარიატს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ებრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1905—1907 წწ. ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ საფუძველი ჩაუყარა „მყარ საძირკველს რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნისათვის, რომელსაც სათავეში ედგა გმირი რუსეთის პროლეტარიატი“.[2]

ჩრდილო კავკასიის პროლეტარიატზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია პროლეტარიატის გამოსვლამ თბილისში 1901 წ. 22 აპრილს. „22 აპრილის ამბები ტფილისში ისტორიულად მნიშვნელოვანია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ — წერდა გაზეთი „ისკრა“ 1901 წ. ივლისში.

ჩრდილო კავკასიაში პირველ დიდ გაფიცვებს ადგილი ჰქონდა გროზნოში, ვლადიკავკაზის რკინიგზაზე და სადონის მაღაროებში. მათ მიბაძეს „ალაგირის“ ქარხნის მუშებმა, გაიფიცნენ დალესტნელი მშრომელები პორტ-პეტროვსკსა და დერბენტში. გროზნოს მუშების გაფიცვამ 1905 წ. 31 იანვარს საყოველთაო ხასიათი მიიღო. მათი ძირითადი მოთხოვნები იყო 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის გაზრდა 25%-ით, ბინის (ან ბინის ქირის) მიცემა მუშებისათვის, ბავშვებისათვის უფასო სკოლების გახსნა და სხვ. გაფიცვა ეკონომიურ ხასიათს ატარებდა. იგი მომზადებუ-

[2] გაზ. «Правда», 1955, 22/1.

ლი იყო გროზნოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ. მას აქტიურად ეხმარებოდა რსდმპ ბაქოს კომიტეტი. გაფიცვა 12 დღეს გრძელდებოდა და მუშათა არასათანდაო ორგანიზებულობის გამო დამარცხდა: მშრომელთა არც ერთი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული: მიუხედავად დამარცხებისა, გროზნოს იანვარ-თებერვლის გაფიცვამ დიდი როლი ითამაშა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაშლის საქმეში არა მარტო ჩეჩნეთ-იგუშეთში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაში.

გროზნოს პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც ამ დროს ავანგარდში ედგა ჩრდილო კავკასიაში რევოლუციურ მოძრაობას, მუშაობდნენ პროფესიონალი რევოლუციონერები — ი. ფიოლეტოვი, ა. ფელდმანი. ს. ბირიუკოვი, მუშები: კ. ნესტერენკო, კ. დიაკოვი, ნ. ბედნოვი, გორდიენკო, ი. ლუგოვკინი, სტუდენტები: დ. რაზდორსკი, ი. ავაკიმოვი და სხვ.

გროზნოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ბოლომდე დარჩა ბოლშევიკური ხაზის ერთგული, როდესაც თერგ-დაღესტნის კომიტეტის მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი და მხარი დაუჭირა მენშევიკების ჟენევის კონფერენციას, გროზნოს ბოლშევიკებმა 17 ივნისის სხდომაზე გამოიტანეს რეზოლუცია თერგ-დაღესტნის კომიტეტიდან გამოსვლის შესახებ.

1905 წ. გაზაფხულზე ვლადიკავკაზისა და სადონის მაღაროების მუშებმა მოაწყვეს საპირველმაისო გაფიცვა, რომელიც მოზადებული იყო ქალაქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ. იგი დაიწყო 6—7 მაისს და გაგრძელდა 10 მაისამდე. გაფიცვა ჩაახშეს პოლიციამ და ჯარის ნაწილებმა.

აღსანიშნავია მუშათა მიტინგი ვლადიკავკაზში 1905 წ. 4 სექტემბერს, რომელიც გაიმართა ქალაქის განაპირას, სარაჯევის ქარხნის რაიონში, საღამოს კი გაგრძელდა ქალაქის ბაღში. მიტინგი, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა", ორგანიზებული იყო ვლადიკავკაზის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობით. ეს მიტინგი გაიმართა პროტესტის ნიშნად მეფის ხელისუფლებისადმი, რომელმაც 1905 წ. 29 აგვისტოს დახვრიტა თბილისის მუშათა მიტინგის მონაწილენი. აქ გავრცელებულ პროკლამაციებში გაშუქებული იყო თბილისში მომხდარი ამბები.

ხელისუფლება მას თბილისის კომიტეტის ნამოქმედარად თვლიდა. აღნიშნულ მიტინგში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, ქართველმა, რუსმა და სომეხმა ხელოსნებმა. ქართველთა შორის იყვნენ: ი. ზაქაიძე, ი. ლომიძე, ჩხუბიანი და სხვები. განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა ამ მიტინგის მოწყობისა და ჩატარების საქმეში მიუძღვის ილია ლომიძეს, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა და გააციმბირა.

აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით ვლადიკავკაზის პოლიცმეისტერი კავკასიის პოლიციის უფროსს ასე უხასიათებდა ვლადიკავკაზში რევოლუციური მოძრაობის ძალებს: ქალაქში ინტელიგენცია ყველაზე მეტადაა ოპოზიციურად განწყობილი, მათგან ებრაელები და სომხები არ კმაყოფილდებიან სიტყვებით და ერთიანდებიან წრეებში, ამყარებენ ურთიერთობას ოპოზიციურ ცენტრებთან. შემდეგ ოსები, რომელთა ინტელიგენცია ძალზე მოუსვენარია. ყველაფრით უკმაყოფილოა და მოსახლეობას აგულიანებს უწესრიგობისაკენ, ხრწნის მათ. ამასთან აგიტატორები არიან სტუდენტები და სოფლის მასწავლებლები. ქართველთა ინტელიგენციას საყვედური არ ეთქმის, მაგრამ სტუდენტობა არ ისვენებს. უბრალო ქართველი ხალხი — მუშები და ხელოსნები მოუსვენარნი არიან და მათ შორის ბევრია მავნე (რევოლუციური) ელემენტი. ამიერკავკასიის ამბების გავლენით ესენი — აულაგმავი ბუნების მქონენი — მომზადებული რევოლუციონერები — ანარქისტები არიანო. დასასრულს ის წერს, რომ დაპატიმრებულ იქნა ქართველი რამიშვილი, რომელიც მუშებს აღელვებდა, ამით კრასნოორიადის ქუჩაზე სიმშვიდე დამყარდა. მისივე თხოვნით ქალაქიდან გაძევებულ იქნა სტუდენტი მოსულიშვილი.

უდავოა, რომ 1905 წ. სექტემბერს მიტინგი ვლადიკავკაზში ჩატარდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების გავლენით, რომლებმაც ფართო საპროტესტო კამპანია გააჩაღეს შეტევაზე გადმოსული რეაქციის წინააღმდეგ.

აი, რას ატყობინებს ვლადიკავკაზის პოლიცმეისტერი კავკასიის პოლიციის უფროსს: „თბილისის ამბებთან დაკავშირებით გავრცელებული პროკლამაციებისა და დემონსტრაციის ხასიათიდან ჩანს, რომ იგი გარედან, ალბათ, თბილისის კომიტეტის განკარგულებით მოეწყო“.

რაც შეეხება დაღესტანს, აქ 1905 წ. იანვარ-თებერვალში ადგილი ჰქონდა პეტროვსკის ფაბრიკა „კასპიის მანუფაქტურის“

მუშათა გაფიცვას, რომელიც ჩატარდა სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით. საგაფიცვო მოძრაობა პეტროვსკიდან გადავიდა დერბენტში, სადაც აპრილში გაიფიცნენ დეპოს მემანქანეები.

მართალია ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. მუშათა გამოსვლები ძირითადად ატარებდა ეკონომიკურ ხასიათს, მაგრამ აღნიშნული გამოსვლები გამოწვეული იყო პეტერბურგში მომხდარი ამბებით, ამიტომ ისინი ერთდროულად წარმოადგენდნენ პოლიტიკურ დემონსტრაციას, მიმართულს რუსეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

1905 წ. 1 მაისს რსდმპ პეტროვსკის ჯგუფმა ბაქოს სოციალ-დემოკრატების დახმარებით მოაწყო მასობრივი საზეიმო მიტინგი, რომელსაც 2 ათასამდე მუშა, მოსამსახურე და სტუდენტი ესწრებოდა. ისინი მოითხოვდნენ მეფის თვითმპყრობელობის დამხობას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, 8-საათიან სამუშაო დღეს. მიტინგი გადაიზარდა დემონსტრაციაში და დამთავრდა პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით.

მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი შედგა, აგრეთვე დერბენტშიც. ასე რომ, დაღესტნის მუშები იანვარ-თებერვლის გამოსვლებიდან, რომლებიც მიმდინარეობდა ეკონომიკურ მოთხოვნათა ნიშნით, გადავიდნენ პოლიტიკურ გამოსვლებზე. ყოველივე ეს კი ლაპარაკობს მუშების ორგანიზებულობის, შეგნების ზრდაზე და იმ მუშაობაზე, რასაც ეწეოდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

1905 წ. მაისიდან რევოლუციურმა მოძრაობამ ჩრდილო კავკასიაში მიიღო ნამდვილი ხასიათი, ხოლო სოციალ-დემოკრატიულმა აგიტაციამ აქ ყველა კუთხეში შეაღწია.

1905 წ. მაისი არის გარდატეხის ეტაპი ჩრდილო კავკასიის მუშათა რევოლუციურ ბრძოლაში. ამ თვეში მხარეში მოეწყო 16 გაფიცვა და 8 დემონსტრაცია, რომელმაც მოიცვა 51,5 ათასი კაცი. უფრო მეტიც, გარდატეხა მოხდა მუშათა კლასობრივი ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებშიც — ეს იყო მასიური პოლიტიკური გამოსვლები.

რაც შეეხება ყაბარდოს, მართალია, აქ 1917 წლამდე არ იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მაგრამ რევოლუციურ გამოსვლებს აქაც ჰქონდა ადგილი. ყაბარდოში გადასახლებაში იმყოფებოდა მრავალი პოლიტიკური პატიმარი, რომელთა საშუა-

ლებითაც მყარდებოდა კავშირი ჩრდილო კავკასიის რევოლუციურ ცენტრებთან: როსტოვთან, გროზნოსთან, ვლადიკავკაზთან. რევოლუციურ გამოსვლათა ცენტრს ყაბარდოში წარმოადგენდა ქ. ნალჩიკი „1905 წ. რევოლუციური აღმავლობის ტალღამ ყაბარდომდეც მიაღწია, რომელმაც პირველად მიიღო მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში, თუმცა ეს მონაწილეობა შაშინ ატარებდა ფეოდალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტის ხასიათს. ეს გამოსვლები ხშირ შემთხვევაში გამოიხატებოდა თვითმპყრობელობის ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრებაში და ზოგ ადგილას მეამბოხეთა რაზმების ორგანიზაციაში“ — ასე ახასიათებს იმ დროს ყაბარდო-ბალყარეთში რევოლუციურ მოძრაობას ცნობილი რევოლუციონერი ბეთალ კალმიკოვი.

მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენის შედეგად დაიწყო გლეხთა გამოსვლები, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა: გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადის გადახდაზე, ჩეხდნენ საზოგადო და კერძო ტყეებს, ანადგურებდნენ საძოვრებსა და ნათესებს, იკავებდნენ საზოგადო და კერძო ნათესებს და ა. შ.

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ე. წ. „აბრაგობამ“, რომლის წარმოშობის მიზეზად რევოლუციონერი ა. შერიფოვი თვლიდა კავკასიის ადმინისტრაციის დანაშაულებრივ მოქმედებას და საერთო პოლიტიკურ შევიწროებას.

1905 წ. გლეხთა გამოსვლებს, რომელმაც განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო გაზაფხულ-ზაფხულში, ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ რაიონში: ოსეთში (ალაგირი, სალუგარდანი, არდონი და სხვ.), დაღესტანში (სადაც დიდი მუშაობა გლეხებს შორის ჩაატარა თემირ-ხან-შურის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა) და სხვ.

ჩრდილო კავკასიაში გლეხთა მოძრაობა, მიუხედავად მისი მასობრივი ხასიათისა, სტიქიური და არაორგანიზებული იყო, რაც ძირითადად უნდა აიხსნას ადგილობრივ-მცირე მოსახლეობაში პროლეტარიატის მცირერიცხოვნობით და კარგად მომზადებული პარტიული კადრების სიმცირით.

პარტიის III ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა გლეხთა მოძრაობას კავკასიაში. ვ. ი. ლენინის წინადადებით, რომელმა III ყრილობა მიესალმა კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის

გვირულ ბრძოლას და მოუწოდა რუსეთის მუშებს გადაჭრით დაეჭირათ მხარი რევოლუციისათვის კავკასიაში. პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმოადგენდნენ საბრძოლო პროგრამას პარტიისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ვ. ი. ლენინს კავკასია მიაჩნდა მოწინავე რევოლუციურ მხარედ, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“[3].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აქ, ჩრდილო კავკასიაში, სადაც სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრა მწვავდებოდა ნაციონალური ჩაგვრით, მშრომელი მასების ბრძოლამ თავიდანვე მიიღო განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი.

მშრომელთა ამ აუტანელ პირობებზე წერდა ს. კიროვი სტატიაში „ხელოსანთა გოდება“, რომელიც 1913 წ. დაიბეჭდა გაზეთ „თერგში“. ს. კიროვი ახასიათებდა რა დროებით საწარმოთა მუშების მდგომარეობას, აღნიშნავდა: „ასეთ საწარმოთა უმრავლესობაში სამუშაო დღე 15 საათს გრძელდებოდა“. ხოლო ჩრდილო კავკასიის მთიელთა უუფლებო მდგომარეობას ასე ახასიათებდა ს. ორჯონიკიძე 1919 წ. 10 ივლისს ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში: „მთიელთა მდგომარეობა რევოლუციამდე ყოვლად შემაძრწუნებელი იყო. მთიელები თითქმის კანონგარეშე იმყოფებოდნენ. მთიელებს მხოლოდ ავაზაკებად თელიდნენ და მთიელის მოკვლის გამო პასუხისგებაში თითქმის არ აძლევდნენ. კაზაკთა მიწაზე მოკლული მთიელისათვის არავინ პასუხს არ აგებდა. თუ მთიელიარაღს შეინახავდა, მას პირწმინდად არბევდნენ. სულ მცირეოდენი პროტესტის გამოვლინების გამო მთელი აული ეგზეკუციას განიცდიდა“[4].

ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური გამოსვლები აღმავალი გზით მიდიოდა. ადგილი ჰქონდა სულ ახალ და ახალ გამოსვლებს.

19905 წ. ზაფხულში (15 ივლისს) გაიფიცნენ ვლადიკავკაზის რკინიგზის მუშები. მუშათა ამ გამოსვლამ საყოველთაო გაფიცვის ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები წინააღმდეგი

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 10, გვ. 127.

[4] გ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები. ტ. I, 1910—1926, თბ., 1957, გვ. 94.

იყვნენ ამ გაფიცვისა, მუშები გამოვიდნენ ბოლშევიკების მიერ შემუშავებული კონკრეტული და ნათელი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნებით. ივლისის საყოველთაო გაფიცვა იყო პირველი ცდა — გაეერთიანებინათ მუშათა მთელი ძალები არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან დაანახვა მუშებს საყოველთაო გაფიცვების უპირატესობა დანაწევრებულ გამოსვლებთან შედარებით. იგი იყო ნაბიჯი წინ ჩრდილო კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში.

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას გამოეხმაურა, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მუშათა კლასი.

ვლადიკავკაზის მუშები მეფის მანიფესტს შეხვდნენ 18 და 19 ოქტომბერს გამართული საპროტესტო მიტინგებითა და დემონსტრაციებით. 19 ოქტომბერს მოხდა შეტაკება, ერთი მხრივ დემონსტრანტებსა და, მეორე მხრივ, კაზაკებსა და შავრაზმელებს შორის. გროზნოში, პეტროვსკში, დერბენტსა და თემირ-ხან-შურაში ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების ხელმძღვანელობით ტარდებოდა მასიური მიტინგები, დემონსტრაციები და კრებები წითელი დროშებით, წარწერით „გაუმარჯოს რსდმპ“. ფართოდ ავრცელებდნენ პროკლამაციებს. თბილისიდან მოდიოდა დეპეშები — „არ დაუშვათ არავითარი მანიფესტაციები“. მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ჩრდილო კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ბრძოლა მეფის მანიფესტის გამოსაშკარავებლად. დიახ, მუშებმა დაიწყეს მეფის მანიფესტით გათვალისწინებული „თავისუფლებით“ სარგებლობა და მათ კარგად დაინახეს იმ „თავისუფლების“ ნამდვილი სახე.

ოქტომბრის გაფიცვები და დემონსტრაციები გამოირჩეოდნენ მაღალი ორგანიზებულობით. ყველა დემონსტრაცია და გაფიცვათა დიდი ნაწილი ჩატარდა პოლიტიკურ მოთხოვნათა ლოზუნგით.

რსდმპ კავკასიის კავშირის II კონფერენციამ, რომელიც 1905 წ. ნოემბერში ჩატარდა, დიდი როლი ითამაშა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გაძლიერების საქმეში. მას ესწრებოდა 24 დელეგატი (14 გადამწყვეტი, ხოლო 10 სათათბირო ხმით) — პარტიის 3 500 წევრის წარმომადგენელი. კონფერენციაზე იყვნენ კავკასიის კავშირის, ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, თბილისის, ბათუმისა და გურიის წარმომადგენლები. ჩრდილო კავკასიიდან კონფერენციას ესწრებოდა მხოლოდ გროზნოს ჯგუფი.

მთავარი საკითხი იყო პარტიის გაერთიანება და მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, მხარი დაეჭირათ უკვე არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის და ებრძოლათ ჩრდილო კავკასიაში ახალი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნისათვის. კონფერენციამ შექმნა კავკასიის ბიურო, რომელსაც უნდა გაეწია ხელმძღვანელობა საყოველთაო აჯანყებისა და სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტისათვის.

თავის კულმინაციას რევოლუციამ ჩრდილო კავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის ცენტრში, მიაღწია 1905 წ. დეკემბერში. ამ დროს ჩრდილო კავკასიის მშრომელთა გამოსვლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 8 დეკემბერს ვლადიკავკაზის რკინიგზის მუშების პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც აღნიშნული რკინიგზის ზოგიერთ დიდ სადგურში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა[5]. ამავე დღეს გროზნოს სადგურზე შეიდგა რკინიგზელთა კრება, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, შეეერთებოდნენ რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვას. ვლადიკავკაზის მთელ რკინიგზაზე ადმინისტრაცია გადააყენეს. სადგურებზე გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის ჩამოყალიბდა საგაფიცვო კომიტეტები, რომლებიც იქცნენ პროლეტარიატის ხელისუფლების ორგანოებად (საგაფიცვო კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ გაფიცვას, რკინიგზელებს ურიგებდნენ ხელფასს და საერთოდ მთლიანად განაგებდნენ გადაზიდვა-გადაყვანის საქმეს). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საგაფიცვო კომიტეტები ძალიან გაერთნენ ადმინისტრაციული მუშაობით და მხედველობიდან გამორჩათ მთავარი — არ დააყენეს თავისი მოღვაწეობის ცენტრში შეიარაღებული აჯანყების მომზადების ამოცანა.

1905 წ. დეკემბერში, ვლადიკავკაზის რკინიგზის პოლიტიკური გაფიცვის მოწყობაში, რომელიც 8-იდან 26 დეკემბრამდე გაგრძელდა, სხვებთან ერთად ხელმძღვანელ როლს თამაშობდა კონსტანტინე სოლომონის ძე ცაგარელი, რომელიც შეიდიოდა ხელმ-

---

[5] უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიკავკაზის რკინიგზის მუშათა პოლიტიკური გაფიცვის პერიოდში გლეხთა რევოლუციური ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ძღვანელად არჩეულ 30-კაციან კომიტეტში. იგი იყო ქუთაისელი. მუშაობდა ვლადიკავკაზის რკინიგზაზე მე-10 დისტანციის ტექნიკოს-პრაქტიკანტად. კ. ცაგარელი ავრცელებდა პროკლამაციებს, გამოდიოდა მოხსენებებით მუშათა მიტინგებზე, მოუწოდებდა მათ მიმხრობოდნენ გაფიცვას და ებრძოლათ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. კ. ცაგარელმა სოკოლოვთან, სტარაჟინსკისთან, ბაიზდრენკოსთან, ჩერჩიკოვთან და სხვ. ერთად დიდი მუშაობა ჩაატარა ტელეგრაფის მუშებს შორის, რათა ისინი მიმხრობოდნენ გაფიცვას. რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეების მიტინგებზე იგი სოკოლოვთან, ბედნოვთან, შპიგანოვიჩთან, გუტიერეთან და სამოილოვთან ერთად გამოდიოდა ერთ-ერთი წამყვანი ორატორის როლში. კ. ცაგარელის აქტიურ მონაწილეობას აღნიშნულ პოლიტიკურ გაფიცვებში მოწმობს, აგრეთვე, ალექსი ხარიტონის ძე ბერიშვილის ჩვენება, რომელიც მებუფეტედ მუშაობდა სადგურ ვროზნოში. ა. ბერიშვილმა დაკითხვისას აჩვენა შემდეგი: „... ჩვენთან ბუფეტში თავს იყრიდნენ ხოლმე სოკოლოვი, სტარაჟინსკი, სტროკოვი, ცაგარელი, შპიგანოვიჩი, რაფალოვიჩი და სხვები. მე ვნახე შპიგანოვიჩი და ცაგარელი, რომლებიც ავრცელებდნენ პროკლამაციებს“.

მუშების განწყობილება საბრძოლო იყო. ბოლშევიკებმა შექმნეს მუშების შეიარაღება ცეცხლმსროლელი და სხვა სახის იარაღით. ჩრდილო კავკასიელი რევოლუციონერები ეწეოდნენ რევოლუციური ძალების კონსოლიდაციას, ჩამოაყალიბეს რევოლუციური შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ხშირად იარაღს ართმევდნენ პოლიციას, აპატიმრებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და საამხედრო პირებს, ამყარებდნენ რევოლუციურ წესრიგს.

ვლადიკავკაზის რკინიგზის მუშათა გაფიცვას გამოეხმაურნენ დაღესტანშიც. მაგ., 10 დეკემბერს გაიფიცნენ დერბენტში, ხოლო 13-ში — პეტროვსკში. მათ ამ გაფიცვებში დიდი დახმარება აღმოუჩინეს გროზნოსა და ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციებმა. გროზნოელები პეტროვსკში აგზავნიდნენ თავის წარმომადგენლებსა და ლიტერატურას. ასევეა, დახმარებას, განსაკუთრებით დერბენტს, უწევდა რსდმპ ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

სრულიად რუსეთის ბოლშევიკების I-მა კონფერენციამ, რომელიც შედგა 1905 წ. 12 დეკემბერს, ყველა ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციას დაავალა — „მოსახლეობის ყველა ფენაში

გაეწიათ აგიტაცია შეიარაღებული აჯანყებისათვის". ჩრდილო კავკასიელმა რევოლუციონერებმა, ხელმძღვანელობდნენ რა ამ გადაწყვეტილებით, დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა დეკემბრის პოლიტიკური გაფიცვა ჩრდილო კავკასიაში გადაეზარდათ საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად. მაგრამ აქ რევოლუციური მოძრაობა ატარებდა მუშათა იზოლირებული გამოსვლის ხასიათს, ვერ მოხერხდა 1905 წ. დეკემბერში ვლადიკავკაზის რკინიგზის მუშების საყოველთაო გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებად გადაზრდა.

რევოლუციის უმაღლესი აღმავლობის პერიოდში, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში, ჩრდილო კავკასიის მუშათა კლასმაც დაიწყო პოლიტიკური გაფიცვებიდან შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლა, მაგრამ ჩრდილო კავკასიის მუშები ვერ გამოვიდნენ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვებისა და პირველი შეიარაღებული დემონსტრაციების სტადიიდან. დეკემბრის მოძრაობის მთავარ ფორმებს ჩრდილო კავკასიაში (გროზნო, ვლადიკავკაზი, პეტროვსკი, დერბენტი და სხვ.), ისევე როგორც რუსეთის ბევრ რაიონში, წარმოადგენდა პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები, ჩრდილო კავკასიის მუშათა დიდი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლის მხოლოდ ამ ფორმებში.

მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებიდან სამი დღის შემდეგ, ე. ი. 23 დეკემბერს თერგის ოლქის უფროსის კოლეგიაკინის ბრძანებით გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. დაიწყო შეტევა რევოლუციის წინააღმდეგ, რევოლუციონერთა მასობრივი დაპატიმრებანი. ჩრდილო კავკასიის რაიონებში მძვინვარებდნენ დამსჯელი ექსპედიციები, განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა ჩრდილო ოსეთში მოქმედი პოლკოვნიკ ლიახოვის დამსჯელი რაზმი (1906 წ. 7 იანვრიდან), რომელმაც აიწოკა სოფლები: ხრისტიანოვსკოე, არდონი, სალუგარდანი, ყაზდგარონი და ნოგყაუ.

მუშათა რევოლუციურ მოძრაობას მთელ რუსეთსა და ჩრდილო კავკასიის სამრეწველო ცენტრებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა საბრძოლო-რევოლუციური განწყობილების ჩამოყალიბებაში.

ამ გარემოებას ჯერ კიდევ 1905 წ. დასაწყისში აღნიშნავდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში. ასე მაგალითად, თერგის ოლქის უფროსი საიდუმლო დირექტივაში სუნჟის ატამანის სახელზე 1905 წ. 24 თებერვალს წერს იმის შესახებ, რომ გროზნოსა და გროზნოს ნავთის სარეწებში მუშათა გაფიცვებს აქვს „დამათრობელი" გავ-

ლენა „მკვიდრი მოსახლეობის შეხედულებებზე“. ოლქის უფროსი წინადადებას იძლეოდა გაეძლიერებინათ თვალყური მთიელთა რევოლუციურ განწყობილებაზე.

თერგის ოლქის ჟანდარმთა სამმართველო 1905 წ. თავის პოლიტიკურ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ „უკანასკნელ ხანს რევოლუციონერთა ძალები იზრდებიან კაზაკთა და მთიელთა ხარჯზე“.

ჩრდილო კავკასიის მთიელები გვერდში ედგნენ მუშათა კლასს და მასთან ერთად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რაც შეეხება ამ მოძრაობაში კაზაკების მონაწილეობას, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კაზაკთა ქვედაფენებში ბოლშევიკების დიდი მუშაობისა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — მცირემიწიანი კაზაკები — იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლაში, ბოლო ძირითადი მასა არ უჭერდა მხარს რევოლუციას და კიდეე დიდხანს გამოდიოდა „რევოლუციის ჩამხშობის“ როლში.

მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდამ თავისებური გავლენა იქონია არმიაზეც, რომელსაც ცარიზმი თავის დასაყრდენად თვლიდა. დაიწყო გამოსვლები ჯარის ნაწილებშიც. როგორც ცნობილია, რუსეთში ყველაზე დიდი ასეთი გამოსვლა იყო აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ 1905 წ. ივნისში.

რევოლუციურ გამოსვლებს სამხედრო ნაწილებს შორის ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიაშიც, მაგალითად — 1905 წ. ზაფხულში ვლადიკავკავის გარნიზონის ზოგიერთ ნაწილში.

ვლადიკავკავის გარნიზონის ნაწილებში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები, ისინი ამარაგებდნენ ჯარისკაცებს არალეგალური ლიტერატურით და პროკლამაციებით.

რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტის მიერ გავრცელებულ ერთ-ერთ პროკლამაციაში მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს: „თქვენი ხიშტები მიმართეთ მათ წინააღმდეგ, ვინც გგზავნით მშვიდობიანი მოსახლეობის მოსაკლავად“.

ვლადიკავკავის გარნიზონის გამოსვლათაგან უნდა აღინიშნოს 81-ე პოლკის ჯარისკაცთა გამოსვლა 1905 წ. ოქტომბერში (დაიწყო 28 ოქტომბერს). გამოსვლის საბაბი იყო ჯარისკაცთათვის დამპალი ხორცის მიცემა. მათ შეადგინეს პეტიცია, სადაც მოითხოვდნენ: ჯარისკაცის პიროვნების ხელშეუხებლობას, კრებების თავისუფლებას, დაპატიმრებას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ და ა. შ.

1905 წ. 28 ოქტომბერს აფშერონის პოლკის ჯარისკაცთა გამოსვლების მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველებიც.

თერგის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის 1905 წ. ოლქში არსებული მდგომარეობის ანგარიშში ნათქვამია: „უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე აფშერონის ქვეითი პოლკიდან მოდიოდა ცნობები პროკლამაციების გავრცელების შესახებ. მაგრამ დამნაშავეთა აღმოჩენა არ ხერხდება. მხოლოდ ერთხელ ა. წ. 30 მარტს მოხერხდა პროკლამაციების გამავრცელებლის აფშერონის პოლკის მე-15 ასეულის რიგითი ჯარისკაცის დაკავება“.

იმის დამადასტურებლად, თუ როგორ შეხვდნენ ამ ფაქტს ოფიცრები, მოყვანილია შტაბს-კაპიტან ეგიზარიოვის სიტყვები, რომელიც ამ დროს იყო პოლკის მორიგე. მან განაცხადა, რომ მენთეშაშვილის საქციელში არაფერი არ არის განსაკუთრებული და საჭირო არის მხოლოდ პროკლამაციების მოსპობა.

იმავე ანგარიშში ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი აღნიშნავს, რომ სხვა სამხედრო ნაწილებშიც ჰქონია ადგილი პროკლამაციების გავრცელებას, რომელიც მოიცავდა სულ უფრო და უფრო დიდ რაიონებს და რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ხერხდებოდა დამნაშავეთა მიგნება.

ჯარისკაცების აღნიშნული გამოსვლა მარცხით დამთავრდა, ხოლო ამ გამოსვლების ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი 1906 წ. თებერვალში სასამართლოს გადასცეს. ბრალდებულთა შორის იხსენიება უნტერ-ოფიცერი ივანე ნასიძე (6 სხვა უნტერ-ოფიცერთან ერთად) და რიგითი ობეჩკრაშვილი 12 სხვა რიგით ჯარისკაცთან ერთად.

რევოლუციური განწყობილება სუფევდა ახულგოს სარეზერვო ბატალიონშიც. „ქ. პიატიგორსკში მდგარი ახულგოს სარეზერვო ბატალიონი და კავკასიის სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონი არ გამოდგებიან რეპრესიული ღონისძიებისათვის, რაღგანაც მათი განწყობილება, მათ შორის პროპაგანდისა და აგიტაციის გამო, არასაიმედოა“ — წერდა 1905 წ. 30 დეკემბერს პოლიციის გამგეებული კავკასიაში მეფისნაცვალს.

სოციალ-დემოკრატების მუშაობის შედეგად მღელვარებამ ახულგოს სარეზერვო ბატალიონში ფართო ხასიათი მიიღო.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი მ. ცხაკაია პარტიის III ყრილობაზე ამბობდა, რომ „განსაკუთრებული ყურადღება კავკასიაში ექცევა ჯარის ნაწილებს შორის მუშაობას. ბევრი პოლკის ჯარისკაცი დაავადდა „რევოლუციური ბაცილით“; ბევრ პოლკში ოფიცრებიც კი აგიტაციის გავლენის შე-

დეგად ჯარისკაცთა შორის არიან და გაფიცვების დროს უარს ამბობენ მათ ხელმძღვანელობაზე".

დიდი საგიტაციო მუშაობა ჯარის ნაწილებში ჩაატარეს გროზნოს ბოლშევიკებმა. ისინი ჯარისკაცთა შორის ავრცელებდნენ ფურცლებს, რომელშიც მოუწოდებდნენ ებრძოლათ მეფის დასამხობად.

თერგის ოლქის ჯარის ნაწილებში განსაკუთრებით ძლიერ გამოსვლას ადგილი ჰქონდა ოსურ ცხენოსან დივიზიონში, სადაც დივიზიონის ჯარისკაცთა შორის დიდ საგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ ჩერმენ ბაევი, გ. მ. კესაევი, გრ. კალაგოვი და სხვ. გამოსვლები დაიწყო 1905 წ. 12 დეკემბერს, ღამით. მათ შეუერთდნენ მეორე ასეულის ჯარისკაცები, რომლებიც ნალჩიკში იდგნენ. მეორე ასეულის ჩამოსვლის შემდეგ დივიზიონში ორგანიზებულ იქნა საბჭო 5 კაცის შემადგენლობით. საბჭოს სათავეში ედგა გრ. კალაგოვი.

დივიზიონში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა რევოლუციური მიმართვა. მხედრებმა მიმართეს კაზაკებსა და ჯარისკაცებს, სადაც მოუწოდებდნენ აელოთ იარაღი და გამოსულიყვნენ მთელი ხალხის უფლებათა დასაცავად. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიმართვისა, ისინი არ გამოვიდნენ ყაზარმებიდან და არ შეუერთდნენ მუშებისა და გლეხობის ბრძოლას, მიმართეს თავდაცვის ტაქტიკას, რაც როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, სიკვდილი იყო შეიარაღებული აჯანყებისათვის. ჯარისკაცთა თავდაცვითმა ტაქტიკამ საშუალება მისცა ხელისუფალთ მოეკრიბათ ძალები და ჩაეხშოთ აჯანყება.

საინტერესოა 1905 წ. დეკემბერში აფშერონის პოლკში მომხდარი ამბავი. 1905 წ. 18 დეკემბერს ვლადიკავკაზში შედგა ძლიერი მანიფესტაცია, რომელშიც 1 000-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაციის ბირთვს წარმოადგენდნენ „ალაგირის" ქარხნის მუშები, რომლებმაც ჯერ კიდევ 14 დეკემბერს გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცვის ხელმძღვანელთა შორის იყვნენ ბოლშევიკები: ლიტვინოვი, იობიძე, ჩ. ბაევი, ვ. ელერდოვი და სხვ.

ქ. ვლადიკავკაზის მცხოვრებთა 500-კაციანი დემონსტრაცია აგიტატორებთან ერთად წითელი დროშებითა და „მარსელიოზით" სიმღერით გაემართა აფშერონის პოლკის ყაზარმებისაკენ. ისინი მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს შეერთებოდნენ მათ. წინასწარ მიღებული ზომების გამო ეს მიტინგი არ შედგა, ხოლო პოლკის უფროსის ბრძანებით დემონსტრანტები დაშალეს.

ყველაზე აქტიური აგიტატორი ტაგანროგელი პოპოვი, გიმნაზიიდან გარიცხული კაზაკი ტომაშევსკი და სოფ. ყაზბეგის მცხოვრები ღუდუშაური დააპატიმრეს. ისინი ორი ასეულის თანხლებით წაიყვანეს ქალაქის პოლიციის სამმართველოში. მათ თან გაჰყვა დიდძალი ხალხი. სწორედ ხალხის მოთხოვნისა და იმ საშიში მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა მათი დაპატიმრებ-ს შედეგად, პოლიცია იძულებული იყო სამივე გაეთავისუფლებინა. დემონსტრანტებმა კი, რომელთა რიცხვმა 1 000-მდე მიაღწია, ქალაქის ძოედანზე მოაწყვეს მიტინგი, რომელიც 6 საათს გაგრძელდა. მიტინგზე გამოვიდნენ ორატორები, მათ შორის ტომაშევსკი. თავის სიტყვებში, რომელიც მიმართული იყო მთავრობის წინააღმდეგ, ორატორები მოუწოდებდნენ კაზაკთა ასეულებს ახლოს ყოფილიყვნენ მიტინგთან და თუ დაიწყებდნენ დაშლას, აღმოჩინათ დახმარება, ე. ი. გამოსულიყვნენ დემონსტრანტების მხარეზე.

ამ დემონსტრაციის მიზანი იყო აფშერონის პოლკის რეზერვის ჯარისკაცები გადაეყვანათ აჯანყებული ოსური დივიზიონის მხარეზე, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს.

კაზაკთა ჯარის ზოგიერთ ისეთ ნაწილშიც კი, რომლებიც მეფის ყველაზე ერთგულად ითვლებოდნენ, ადგილი ჰქონდა მღელვარებას და აშკარა გადასვლას რევოლუციის მხარეზე. ბევრი მათგანი ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო.

ოსურ ცხენოსან დივიზიონსა და თერგის ოლქის სხვა სამხედრო ნაწილებში გამოსვლებმა მიიღეს საშიში ხასიათი — ისინი ქმნიდნენ რეალურ საფრთხეს თვითმპყრობელობისათვის, რაც გამოხატულიყო ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნაში.

იმ გარემოებამ, რომ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლაში და გვერდში არ ედგა მებრძოლ მუშათა კლასს, იმოქმედა არმიაში ჯარისკაცთა განწყობილებაზე, რომელთა უმრავლესობა ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი გლეხები იყვნენ.

1906 წ. ჯარისკაცთა გამოსვლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აჯანყება სამურის 83-ე ქვეით პოლკში, რომელიც დისლოცირებული იყო დაღესტანში. რევოლუციური ჯგუფი სამურელებს შორის ეწეოდა ფართო პროპაგანდას, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ამზადებდა სამურელებს დაღესტნელ მუშებთან ერთად გამოსასვლელად. აჯანყებულმა სამურელებმა, რომელთა რიცხვიც 500—600 კაცს აღწევდა, ხელთ იგდეს ციხე-

სიმაგრე და სოფ. დეშლაგარი, ტელეგრაფი, იარაღის საწყობი და ჰაუბიცებატი. აჯანყება, მიუხედავად დასაწყისში გარკვეული წარმატებისა, მარცხით დამთავრდა, რადგანაც იმის მაგიერ, რომ აჯანყებულები შეერთებოდნენ მუშებსა და გლეხებს ერთიანი ბრძოლისათვის, დასჯერდნენ ციხე-სიმაგრისა და სხვა ობიექტების აღებასა და მიტაცებას.

1906 წ. 27 ივლისს სამხედრო-საველე სასამართლომ აჯანყების 7 მოთაურს დახვრეტა მოუსაჯა, ხოლო სამართალში მიცემული 232 ჯარისკაციდან ბევრი საკატორღო სამუშაოებზე გაგზავნა.

სამურის პოლკში აჯანყებას, რომელიც მოხდა რევოლუციის უკან დახევის დროს, მიუხედავად დამარცხებისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოსვლა ჯარში არა მარტო ჩრდილო კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთშიც.

რევოლუციური გამოსვლები სამურის პოლკში აჯანყების დამარცხების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

გარდა აღნიშნული აჯანყებისა, 1906 წ. დაღესტანში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს ჯარის სხვა ნაწილებშიც. მაგ., წლის დასაწყისში პორტ-პეტროვსკის 21-ე პოლკში, იმავე წლის გაზაფხულზე ციხე-სიმაგრე გუნიბის პლასტუნკის ბატალიონში, ხოლო აპრილში თემირ-ხან-შურის ბატალიონში.

ცალკეული გამოსვლების მიუხედავად, ბოლშევიკების დიდი მონდომება—გადაებირებინათ არმია რევოლუციის მხარეზე—მარცხით დამთავრდა. ჩრდილო კავკასიაში განლაგებულ ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომ არაფერი ვთქვათ კაზაკებზე, მეფის ერთგული რჩებოდა. ზემოაღნიშნული გამოსვლებიც ლოკალურ ხასიათს ატარებდნენ და მათ მოქმედებას აკლდა სიმტკიცე. ამგვარად, ჩრდილო კავკასიაში ჯარისკაცთა გამოსვლები არ გადაიზარდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციურ ომში.

როგორც ცნობილია, 1905 წ. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რეპრესიები. რევოლუციამ დაიწყო ბრძოლით უკან დახევა. ჩრდილო კავკასიაში მაინც ჰქონდა ადგილი მუშათა და გლეხთა მთელ რიგ გამოსვლებს.

ჩრდილო კავკასიაში გლეხთა რევოლუციურ ბრძოლაში ებმებიან ახალი რაიონები, რომლებსაც რევოლუცია ადრე ნაკლებად შეეხო. განსაკუთრებით მნიშვნელოვან აგრარულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა მცირე ყაბარდოში 1906 წ. 1907 წ. პირველ ნახევარში კი, მიუხედავად გლეხთა პირობების გაუარესებისა, გა-

მოსვლების რიცხვი მთელს ჩრდილო კავკასიაში შესამჩნევად შემცირდა, ხოლო შეიარაღებულ გამოსვლებს თითქმის არ ჰქონია ადგილი.

მუშათა მასობრივ გამოსვლებს ჩრდილო კავკასიაში 1906 წ. არ ჰქონია ადგილი. დეკემბრის მარცხისა და რეპრესიების შედეგად მუშათა კლასმა განიცადა დიდი დანაკლისი. მან ვერ მოასწრო კვლავ დამდგარიყო ფეხზე. ამიტომ 1906 წ. გაზაფხულამდე მხარეში დროებით სიმშვიდე დამყარდა, ხოლო გაზაფხულზე კვლავ იწყება მუშათა გამოსვლები — გაფიცვები და დემონსტრაციები. მაგ., ჩეჩნეთ-ინგუშეთში 1906 წ. მაისში მუშები აწყობენ გაფიცვებს, დემონსტრაციებსა და მიტინგებს. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გროზნოს საყოველთაო გაფიცვა, რომლის დროსაც (ერთი თვის განმავლობაში) გაიფიცა 10 000-მდე კაცი. ეს გაფიცვა იყო კარგად ორგანიზებული, ყველაზე ხანგრძლივი მთელი რევოლუციის მანძილზე. გაფიცულებმა წამოაყენეს მოთხოვნები, რომელიც 32 პუნქტს მოიცავდა; ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ადგილობრივი სხვადასხვა ეროვნების მუშების დისკრიმინაციის მოსპობას. მუშათა საყოველთაო გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

1907 წ. გროზნოში ადგილი ჰქონდა მუშათა მთელი რიგ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. რეპრესიების მიუხედავად გროზნოს მშრომელებმა 1907 წ. 1 მაისი საყოველთაო გაფიცვით აღნიშნეს.

1907 წ. გამოცოცხლდა რსდმპ პეტროვსკის ორგანიზაციის მუშაობაც, რომელსაც 1906 წ. ბოლოდან სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწე ივანე ვასილის ძე მალიგინი. პეტროვსკის ორგანიზაციამ დაამყარა კავშირი პეტერბურგთან, მოსკოვთან, ბაქოსთან და სხვა ქალაქებთან, საიდანაც ილებდნენ პარტიულ ლიტერატურას.

ჩრდილო კავკასიაში 1906 წ. გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 33 ათასმა, ხოლო 1907 წ. 56 ათასმა კაცმა. ესენი იყვნენ ძირითადად გროზნოს, პეტროვსკის და სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნების მუშები. თუ მთელი 1906 წ. მანძილზე ჩრდილო კავკასიაში მასობრივ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 40 ათასმა კაცმა, მხოლოდ 1907 წ. პირველ ნახევარში დამონსტრანტთა რიცხვმა 52,5 ათასს გადააჭარბა.

ასეთ პირობებში დაღესტნისა და თერგის ოლქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წინაშე იდგა გაერთიანების ამო-

ცანა (როგორც ცნობილია, პარტიის III ყრილობის შემდეგ რსდმპ გროზნოს ჯგუფი გამოვიდა რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტიდან და შევიდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში). ტამერფორსისა და რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენციების გადაწყვეტილებათა შედეგად პარტიის ერთიანობის აღდგენის შესახებ, გროზნოს ბოლშევიკები 1906 წ. დაბრუნდნენ თერგ-დაღესტნის კავშირში, რამაც გამოიწვია ამ კომიტეტში ბოლშევიკური ფრაქციის გაძლიერება. აქ ვლადიკავკავისა და გროზნოს ბოლშევიკები საერთო ძალით გამუდმებით აწარმოებდნენ ბრძოლას მენშევიკებთან.

თერგ-დაღესტნის კომიტეტში უკვე 1906 წ. დასაწყისისათვის გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ნოე ბუაჩიძეს; იგი 1906 წ. იანვრის დასაწყისში ჩავიდა ჩრდილო კავკასიაში და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ვლადიკავკავში ჩასვლისთანავე ნ. ბუაჩიძე, ნ. კიკნაძესთან ერთად, სათავეში ჩაუდგა რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტის ვლადიკავკავის ჯგუფს.

ნ. ბუაჩიძე მეთაურობდა თერგ-დაღესტნის კომიტეტის ბოლშევიკების ფრაქციას და ებრძოდა შეურიგებელ ბრძოლას მენშევიკების შემარიგებლურ ტაქტიკასთან. ნ. ბუაჩიძის ჩასვლის შემდეგ თერგ-დაღესტნის კომიტეტში გაძლიერდა ბოლშევიკების ფრაქცია.

ნ. ბუაჩიძემ დიდი მუშაობა გასწია პარტიის ერთიანობის შესახებ ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში. ამავე დროს იგი ააშკარავებდა მენშევიკების ოპორტუნისტულ შეხედულებებს და მათ გამთიშველ საქმიანობას როგორც ვლადიკავკავის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, ისე თერგ-დაღესტნის კომიტეტში. ვლადიკავკავის მუშათა რევოლუციური ბრძოლა 1906 წ. ზაფხულში მიმდინარეობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

ნ. ბუაჩიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა შორის მუშაობას. ქალაქის ძირითად საწარმოთა მუშებთან საუბრების ჩასატარებლად იგზავნებოდნენ ყველაზე უფრო მომზადებული, გაბედული რევოლუციონერები — პროპაგანდისტები და ორგანიზატორები. თვითონ ნ. ბუაჩიძე ხშირად გამოდიოდა „ალაგირის ქარხნის მუშების წინაშე, განუმარტავდა რა მათ პარტიის პოლიტიკას რევოლუციის მოცემულ ეტაპზე მოუწოდებდა მასებს ბრძოლისაკენ. ბოლშევიკები იყენებდნენ აგიტაციის ყველა ფორმასა და საშუალებას, განსაკუთრებით პროკლამაციების გავრცელებას.

კავკასიელი ბოლშევიკები პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ სხვადასხვა ენაზე. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიას და მის საქმიანობას. „ჩვენთვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს კავკასიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ერთ და იმავე დროს ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენაზე"[6].

1906 წ. 7 ივნისს მოეწყო რეზაკოვისა და ტერტეროვის ლუდის ქარხნის და შემდეგ ვახტანგოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა გაფიცვები. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, 8-საათიან სამუშაო დღეს. 10 ივნისს ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით გაიფიცნენ ტრამვაის პარკის მუშები (ვატმანები და კონდუქტორები).

პარტიის დავალებით ნ. ბუაჩიძე ხშირად დადიოდა ვლადიკავკაზის ახლომდებარე აულებსა და კაზაკთა სოფლებში — არდონში, ალაგირში, გიზელში და სხვ. 1906 წ. 10 აპრილს კოსტა ხეთაგუროვის დასაფლავებაზე ნ. ბუაჩიძე, ნ. კიკნაძესთან ერთად, გამოვიდა რევოლუციური სიტყვით. ნ. ბუაჩიძე მიდიოდა, აგრეთვე, გროზნოს ნავთობის საოლეებში მომუშავე მუშებთან და ეწეოდა დაუღალავ პარტიულ-პროპაგანდისტულ საქმიანობას.

სტამბიდან დაბეჭდილი პროკლამაციების გამოტანისა და შემდეგ მისი გავრცელების საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს ს. მათეოშვილმა და ბერიევმა. პროკლამაციების ნაწილი და არალეგალური ლიტერატურა ინახებოდა ვასილ ელერდოვის ბაღში. იგი ალმოაჩინა პოლიციამ და ვ. ელერდოვი გააციმბირეს.

ამ ამბების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური რეპრესიები ბოლშევიკების მიმართ. ამავე წელს ნოემბერში კვლავ ჩავარდა არალეგალური სტამბა, რომელიც ადრე რსდმპ ბაქოს კომიტეტმა მისცა.

1906 წ. ზაფხულში შედგა თერგ-დაღესტნის კომიტეტის მეორე კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ვლადიკავკაზის, გროზნოს, პიატიგორსკის, მოზდოკის, ყიზლარის, პეტროვსკისა და დერბენტის პარტიული ორგანიზაციები. კონფერენციაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ტაქტიკურ საკითხებზე. კონფერენციის მუშაობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო თერგ-დაღესტნის კომიტეტის გადაქცევა თერგ-დაღესტნის კავშირად ახალი ხელმძღვანელი ბირთვით სათავეში. ეს გადაწყვეტილება

---

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 19, გვ. 37.

საშუალებას აძლევდა ადგილობრივ ორგანიზაციებს ნაკლებად ყოფილიყვნენ დამოკიდებული რსდმპ თერგ-დაღესტნის კავშირის ჯერ კიდევ მენშევიკურ ხელმძღვანელობაზე. თუმცა ამ ხელმძღვანელობაშიც შეიჭრა სამი ბოლშევიკი: ნ. ბუაჩიძე, ო. სიმონოვი და ტიხორეცკელი მუშა მეტსახელად პორფირე.

ქართველები ცხოვრობდნენ არა მარტო ჩრდილო ოსეთის (ვლადიკავკავი, ალაგირი და სხვ.), არამედ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზეც.

გროზნოს პარტიული ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა „გროზნოს სახალხო სამკითხველომ", რომელიც 1904 წ. ოქტომბერში დაარსდა. მისი დამაარსებელი და გამგე იყო გროზნოს რეალური სასწავლებლის მასწავლებელი კონსტანტინე ივანეს ძე ბაქრაძე.

კ. ბაქრაძე ა. ფელდმანთან, რაზდორსკისთან და სხვებთან ერთად იყო გროზნოს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი და ხელმძღვანელი.

პარტიული მუშაობისა და მასებში რევოლუციური პროპაგანდის ფართოდ გაშლის მიზნით ვლადიკავკავის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოეწყო საკუთარი არალეგალური სტამბა, რაც ნ. ბუაჩიძისა და ნ. კიკნაძის ხელმძღვანელობით და ინიციატივით განხორციელდა. შეიძინეს პატარა საბეჭდი მანქანა ქართული და რუსული შრიფტით და სტამბისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა. სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე ბეჭდავდნენ პროკლამაციებს. ქართულ ენაზე უმთავრესად ნ. ბუაჩიძე ადგენდა, ამავე დროს დიდ დახმარებას უწევდა სტამბას პროკლამაციების ბეჭდვა-გავრცელებაში.

მართალია, ვლადიკავკავის ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალურმა სტამბამ დიდხანს ვერ იარსება (აღმოაჩინა პოლიციამ და მას მუშაობა აღარ განუახლებია), მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩრდილო კავკასიაში მასების რევოლუციური ბრძოლებისათვის მომზადების საქმეში.

სტამბის მთელი საქმიანობა დაკავშირებულია ქართველი რევოლუციონერების სახელთან, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ვლადიკავკავის ქართული სკოლის მასწავლებელი ელენე ყაზახიშვილი და იოსებ ბაბილოძე. სტამბის მუშაობას (გარკვეული ხნის მანძილზე იგი იმყოფებოდა ქართული სკოლის შენობაში) ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ამ სკოლის მასწავლებლები მაქსიმე შარკოზაშვილი, გიორგი უთურაშვილი და გიორგი ანთაძე.

აღნიშნული სტამბის ჩავარდნის შემდეგ ნ. ბუაჩიძემ გადაწყვიტა ხელთ ეყოლა გაზეთ „თერგის“ სტამბა. მან 17—20 გაბედული ამხანაგისაგან შექმნა მებრძოლი ჯგუფი და 3 აგვისტოს დღისით მოახდინა თავდასხმა სტამბაზე. ამ რაზმში ძირითადად შედიოდნენ ქართველები.

ნ. ბუაჩიძის რაზმმა თვით სტამბის მუშების მხარდაჭერით დაიკავა სტამბა. აქ დაბეჭდილი პროკლამაციები (რამდენიმე ათასი ეგზემპლარი) გავრცელებულ იქნა ვლადიკავკაზში, ჯარის ნაწილებს შორის, თერგის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში.

თერგის ოლქის ყაზდარმთა სამმართველოს უფროსი შტაბრეში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის 1905 წლის ანგარიშში „გროზნოს ჯგუფის“ სულისჩამდგმელად იხსენიებს კ. ბაქრაძეს. „გროზნოს სახალხო სამკითხველო — წერს იგი, — გადაიქცა რევოლუციურ კლუბად, სადაც ფარულ შეკრებებზე იხილავდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათის საკითხებს“. სამკითხველო გადაიქცა ბოლშევიკების ლეგალურ კლუბად. მკითხველები ძირითადად იყვნენ მასწავლებლები. სტუდენტები და რევოლუციურად განწყობილი მოსწავლეები.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, კ. ბაქრაძეს კავშირი ჰქონდა თავის ნათესავებთან თბილისში, კერძოდ დასთან — ელენე ივანეს ასულ ბაქრაძესთან, რომელიც დოკუმენტებში მოხსენებულია „«Лелия Б“-ს სახელით. ელენე ძმას უგზავნიდა რევოლუციურ ლიტერატურას და ხელისუფლების საიდუმლო ცირკულიარებს. ასევე, კ. ბაქრაძეს სისტემატური კავშირი ჰქონდა საქართველოსთან თავისი დის საშუალებით.

კ. ბაქრაძის მოადგილე და მისი მარჯვენა ხელი იყო რევოლუციონერი ქორჩაშვილი, რომელიც „განათლებით გზის ინჟინერი იყო. კ. ბაქრაძის თბილისში გადასვლის შემდეგ სწორედ იგი უნდა ჩადგომოდა სათავეში აღნიშნულ სამკითხველოს. იმ ახსნა-განმარტებით მუშაობაში, რასაც რსდმპ გროზნოს ორგანიზაციის ბოლშევიკები ეწეოდნენ მოსახლეობაში, აქტიურ როლს თამაშობდა პ. ლეონავა (მეტსახელად „ზოლიანი ხალათი“). იგი ატარებდა მუშათა, ჯარისკაცთა და მოსწავლეთა კრებებსა და მიტინგებს, სადაც გამოდიოდა წამყვანი ორატორის როლში. იგი მშრომელთა შორის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით. პ. ლეონავა რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ვლადიკავკაზშიც.

რევოლუციურ საქმიანობას ქართველები ეწეოდნენ აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთსა და დაღესტანში.

ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში სხვადასხვა ადგილას რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, სხვა ქართველი რევოლუციონერებიც.

1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთშიც. 1905 წ. 19—20 ოქტომბერს მაიკოპში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მოწოდებითა და ხელმძღვანელობით მოეწყო დემონსტრაცია და საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუშები, მოსამსახურეები და მოსწავლეები. მათ მოჰქონდათ წითელი დროშები და ლოზუნგები „სიკვდილი ცარიზმს, გაუმარჯოს კონსტიტუციას“ „თავისუფლებას“, „დიდება მებრძოლებს, რომლებიც დაეცნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში“, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს.

დემონსტრაციის მონაწილეთა შორის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერი ბოლშევიკები, რეალური სასწავლებლის მასწავლებლები — პავლე კლიმენკო და პეტრე პეტროფიცკი. ისინი წარმოთქვამდნენ სიტყვებს, მოუწოდებდნენ ჯარისკაცებთან დამყარებისაკენ, ისროდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ ლოზუნგებს. ერთ-ერთ შეხვედრას ჩამოგლიჯეს მეფის დროშა და აღმართეს წითელი დროშა. მოსწავლე თეოდორე კონოვალოვმა ჩამოგლიჯა აბრა წარწერით „ალექსეევსკოე“ (მეფის ტახტის მემკვიდრის საპატივცემულოდ). მოსწავლე ვაჟებმა და გოგონებმა ფეხით გათელეს იგი. დემონსტრანტებს შეუერთდნენ მუშები, გიმნაზისტები; ისინი გაემართნენ ჯარისკაცთა ყაზარმებისაკენ.

1906 წ. ნოემბერ-დეკემბერში რსდმპ მაიკოპის ჯგუფის აგიტაციის შედეგად ვაიფიცნენ მაიკოპის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეები.

1906 წ. 9 იანვარს მაიკოპში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქებში, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა და მოსწავლეთა დემონსტრაცია „სისხლიანი კვირის“ მსხვერპლთა ხსოვნისადმი.

1906—1907 წწ. მაიკოპში ადგილი ჰქონდა მცირე მასშტაბის გაფიცვებს, რომლებიც ატარებდნენ ეკონომიკურ ხასიათს. მაგ., თამბაქოს ფაბრიკის, სხვადასხვა სახელოსნოებისა და წვრილ საწარმოთა მუშების გაფიცვა. ეწყობოდა, აგრეთვე, სხვადასხვა შეკრებე-

ბი და საპირველმაისო გამოსვლები. ამ გამოსვლებს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ ყარაჩაი-ჩერქეზეთამდეც მიაღწია. ყუბანის რეგ მშრომელებთან ერთად საბრძოლველად აღსდგნენ ყარაჩაელები, ჩერქეზები, ნოღაელები, აბაზინები. აქ პროლეტარიატის არაყოფნა იწვევდა იმას, რომ გლეხთა გამოსვლები ატარებდნენ არაორგანიზებულ ხასიათს. ძირითადად ეს გამოსვლები მდგომარეობდა სახელმწიფო და კერძო ტყეების გაჩეხვაში, მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებაში, მოსავლის თვითნებურად აღებაში და სხვ. ბატალფაშინსკში 1905 წლის 5 მაისს ჩატარდა მიტინგი—მაისობა, რომელიც ორგანიზებული იყო ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული წრის მიერ. აქ სიტყვით გამოვიდნენ ორატორები, რიგდებოდა პოლიტიკური ფურცლები.

ბატალფაშინსკის ოტდელის ყველაზე რევოლუციური ნაწილი იყო სტანიცა ოტრადნაიას რაიონი, რომლის სიახლოვესაც მდებარეობდნენ მსხვილი მემამულური ეკონომიები (მრავალი დაქირავებული მუშით). აქ გამოსვლების სპეციფიკური ფორმა გამოიხატებოდა გაფიცვებში. მეორე ცენტრი იყო სტანიცა ბატალფაშინსკისა, სადაც 1905 წ. მაისში აღმოცენდა ოტდელში პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე. კონსპირაციის მიზნით ამ წრეს ეწოდა „მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდახმარების საზოგადოება". მაგრამ მიზანი, რასაც იგი ისახავდა — „ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და რუსეთში რესპუბლიკური ტიპის მმართველობის შემოღება", ლაპარაკობს მის ნამდვილ ხასიათზე. ყარაჩაი-ჩერქეზეთში, იმის შედეგად, რომ სუსტად იყო განვითარებული მრეწველობა და მცირერიცხოვანი იყო მუშათა კლასი, გაფიცვები და მუშათა სხვა გამოსვლები არ ატარებდნენ ისეთ ხასიათს, როგორც ჩრდილო კავკასის სხვა ადგილებში. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ყარაჩაისა და ჩერქეზეთში რევოლუციური გამოსვლები ვლინდებოდა ცლეხთა აგრარულ გამოსვლებში, რომელიც მიმართული იყო თავადთა, მემამულეთა და ხალხის სხვა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების მიზეზების აღნიშვნისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სუსტად მუშაობდა რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტი. მის მენშევიკურ ნაწილს ეკავა შემარიგებლური პოზიცია და მთავარ როლს ასრულებდა ხელმძღვანელობაში. ვერ მოხერხდა ჩრდილო კავკასიაში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს შორის

მჭიდრო კავშირის დამყარება და ერთიანი მტკიცე პარტიული ორგანიზაციის შექმნა, რასაც ხელს უშლიდა ბოლშევიკური ძალების არასაკმაო სიძლიერე, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ორგანიზაციული სისუსტე, თეორიული მოუმზადებლობა და, რაც მთავარია, მენშევიკებისა და ესერების ავამთიშველი, ოპორტუნისტული საქმიანობა. ყოველივე ამას თან ერთვოდა მხარის ნაციონალური სიჭრელე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა.

მუშათა კლასმა ვერ შეძლო გაეერთიანებინა მთიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გლეხთა და ჯარისკაცთა გამოსვლებთან ერთ რევოლუციურ ძალად. მიუხედავად ამისა, მუშათა კლასის ბრძოლამ, რომელიც არ შეწყვეტილა რევოლუციის მთელ მანძილზე, დიდი პოლიტიკური და რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა ჩრდილო კავკასიის მშრომელ მასებზე.

პირველად თავისი ისტორიის მანძილზე ჩრდილო კავკასიის მშრომელები აღსდგნენ რუს ხალხთან ერთად საერთო მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის.

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი

პოლიტიკური ვითარება ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1905—1917 წ. თებერვალი)

§. 1. ჩრდილო კავკასია რეაქციის პერიოდში (1907—1910 წწ.)

ივნისის სახელმწიფო გადატრიალებით დაიწყო სტოლიპინის რეაქცია. იგი, უპირველეს ყოვლისა თავს დაატყდა მუშათა კლასსა და რევოლუციურ გლეხობას.

სტოლიპინის რეაქციის გამტარებელი ჩრდილო კავკასიაში იყო მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელმაც დაიწყო რევოლუციური გამოსვლების ჩახშობა ცეცხლითა და მახვილით. თერგის ოლქში სტოლიპინის რეჟიმის დამყარება დაიწყო თერგის ოლქის უფროსმა 1907 წ. 12 ივნისს ე. წ. „საკალდებულო დადგენილების“ გამოცემით. მთელს მხარეში ფაქტიურად დამყარდა სამხედრო (ზოგ ადგილას კი საალყო) მდგომარეობა.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისას განადგურებულ იქნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, არალეგალური სტამბები. დათხოვნილ იქნა ვლადიკავკაზის პროფკავშირები. რეკოლუციონერთა დიდი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა.

1907—1908 წწ. გროზნოში დაპატიმრებულ იქნენ თერგ-დაღესტნის კომიტეტის წევრები და გროზნოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტივისტი ი. გორბშტეიანი და მუშა ა. ნეპიუში.

ციხეები ვერ იტევდნენ პოლიტიკურ პატიმრებს. დაიწყო დამსჯელი ექსპედიციების მოქმედება. დაპატიმრებებთან და დამსჯელ ექსპედიციებთან ერთად ტარდებოდა სასამართლო პროცესები, რომელმაც განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო 1909 წელს. „შავ სიებში" შეჰქონდათ ყველა პოლიტიკური არასაიმედო პირები.

რევოლუციის წლებში აღმოცენებული დემოკრატიული და ლიბერალური მიმართულების გაზეთები და ჟურნალები („Утро Гор", „Весь Кавказ", „Ирон Газет", „Новая Жизнь", „Зонд" და სხვ.) დაიხურა. შეწყდა აგრეთვე, თერგ-დაღესტნის კავშირის ორგანოს „ისკრის" გამოცემა.

1907—1908 წწ. განმავლობაში ვლადიკავკაზის პარტიული ორგანიზაცია ძირითადად განადგურებულ იქნა. რეაქციის წლებში საშინელმა-პოლიტიკურ ორგანოებს დახმარებას უწევდნენ კონტრრევოლუციურად განწყობილი ადგილობრივი ბურჟუაზია და მემამულეები. მაგ., გაპო ბაევმა, ჯანტემირ შანაევმა და სხვ. ვლადიკავკაზში შექმნეს „Русское собрание" („რუსული კრება") და „რუსული სახლი" („Р ский дом") ველიკოდერჟავული მონარქიული იდეების პროპაგანდისათვის.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიმართა ნაცად ხერხს. დაიწყო პროვოცირება შეჯახებებისა ყაზაკებსა და მთიელებს შორის. აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების მთიელებს შორის. მაგ., 1907 წ. მაისში ორგანიზებულ იქნა შეჯახება ინგუშებსა და ოსებს შორის (ოლგინსკოესა და ბაზორკინოს შორის).

დამსჯელი ექსპედიციების ძარცვისა და სტოლიპინის მუშათა კანონმდებლობის შედეგად, რომელიც შემოღებულ იქნა ქარხნებში, მკვეთრად გაუარესდა ჩრდ. კავკასიის მუშათა მდგომარეობა რეაქციის წლებში; ოსეთსა და ყაბარდოში ჩაყენებულ იქნა ჯარები, მათი შენახვა მძიმე ტვირთად დაეწვა გლეხობას. ცარიზმი ეწეოდა შეტევას რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ. მაგრამ მმართველობის რევოლუციამდელ მეთოდებზე დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

თერგის ოლქში მძვინვარებდა რამდენიმე დამსჯელი ექსპედიცია; ოსეთში პოლკოვნიკ ლიახოვისა, ჩეჩნეთ-ინგუშეთში — გალაევისა, ხოლო ყაბარდო-ბალყარეთში კლიშიბიევისა.

მეწმენვიკები რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ და ადადგენენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ამჟარა ლიკვიდაციის გზას. მეწმენვიკებმა თერგ-დალესტნის კავშირიდან უარი თქვეს რევოლუციურ ბრძოლაზე ცარიზმის წინააღმდეგ.

თერგის ოლქის ბოლშევიკების მცირე ჯგუფი თავდადებულად განაგრძობდა ბრძოლას ადგილობრივ მენშევიკებთან.

ზრდიდნენ რა მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბოლშევიკები რაზმავდნენ მათ ახალი რევოლუციისათვის. ამ დროს თერგის ოლქის ბოლშევიკური ჯგუფებისაგან გამოირჩეოდა რსდმპ თერგ-დალესტნის კავშირის გროზნოს ჯგუფი, რომელმაც ამ დროისათვის დაიკავა წამყვანი ადგილი დალესტნისა და თერგის ოლქის პარტიულ ორგანიზაციებს შორის.

გროზნოს პარტიულ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა პეტერბურგთან, ბაქოსთან, როსტოვთან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებთან. მართალია, რეაქციის წლებში ძალზე ძნელი იყო ჩრდ. კავკასიის პარტიული ორგანიზაციების კავშირის დამყარება საქართველოსთან მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი კავშირი მაინც არსებობდა. ამ პერიოდის საარქივო მასალები არ იძლევიან საშუალებას ამ ურთიერთდამოკიდებულებისა და დახმარების სრული სურათის წარმოსადგენად.

მეფის მთავრობა ახერხებდა პარტიულ ორგანიზაციებში თავისი აგენტების შეყვანას და მათი დახმარებით ეწეოდნენ გამანადგურებელ ბრძოლას ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

1907—1912 წწ. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა გროზნოს პარტიულ ორგანიზაციას მეფის ოხრანკის აგენტმა, მეტსახელად „წითელმა“ („Красный“). მისი დახმარებით პოლიციამ დაიპატიმრა საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი ა. კამიშლიაევი, კრავჩენკო, შირინინი, კისელიოვი და სხვა რევოლუციონერი-მარქსისტები.

ბოლშევიკური იატაკქვეშა მუშაობის აქტიურ მუშაკთა დიდი ჯგუფის დაპატიმრებამ დაასუსტა გროზნოს საქალაქო კომიტეტის მუშაობა (შესუსტდა პარტიული მუშაობა ნავთის სარეწებში, ქარხ-

ნებში, რკინიგზის მუშებსა და სამხედრო ნაწილებში), მაგრამ კომიტეტს თავისი არსებობა არ შეუწყვეტია, იგი წარმართავდა გადარჩენილი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ხელმძღვანელობდა მუშათა რევოლუციურ ბრძოლას.

1907 წ. ნოემბერში გროზნოში მიმდინარეობდა რსდმპ თერგ-დაღესტნის კავშირის V საოლქო კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო 12 დელეგატმა, ვლადიკავკავიდან — ჩხუბიანმა.

კონფერენციამ განიხილა რსდმპ V ყრილობის გადაწყვეტილებანი და მოიწონა ბოლშევიკების ხაზი.

თერგ-დაღესტნის კავშირის V საოლქო კონფერენციის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტნისა და თერგის ბოლშევიკების შემდგომი მუშაობისათვის. მასში მკვეთრად იყო გატარებული ლენინური ტაქტიკის ხაზი, მოცემული იყო ნათელი პერსპექტივა მისი განხორციელებისათვის.

1909 წ. გაზაფხულზე, მაისში, სტოლიპინის რეაქციის გაშლის პერიოდში, ჩრდ. კავკასიაში ციმბირიდან პარტიის ცკ-ის დავალებით ვლადიკავკავში ჩამოდის ს. კიროვი, რომელიც რეაქციის მძიმე პირობებში შეუდგა განადგურებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წევრებს შორის კავშირის დამყარებას და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღდგენას, რომელიც ამ დროს ვლადიკავკავში ალარ არსებობდა (იგი განადგურებულ იქნა რეაქციის წლებში), ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის მთელთა მომზადებას.

იგი ადგილობრივი ლიბერალური გაზეთის „თერგის" („Терек") ფურცლებზე ააშკარავებდა ცარიზმის პოლიტიკას და მოუწოდებდა მუშებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ს. კიროვი ჩამოსვლისთანავე ამყარებს კავშირს „ალაგირის" ქარხნის და რკინიგზის სახელოსნოების მუშებთან. ატარებდა მათთან საუბარს, მონაწილეობას იღებდა არალეგალურ შეკრებებსა და კრებებზე. იგი კავშირს ამყარებს ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, პირველ რიგში გროზნოსთან, რომელსაც ეხმარებოდა თავისი რჩევებითა და მითითებებით.

1909 წელს ყარაჩაიში აღმოცენდა პირველი იატაკქვეშა წრე, რომლის შემქმნელი იყო საიდ ხალილოვი. ამ დროისათვის ეს წრე ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული, როგორც სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, მაგრამ მისი მნიშვნელობა როგორც ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთებში პირველი რევოლუციური წრისა, რომელიც დიდ საagიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, ძალზე დი-

დია. ს. ხალილოვის წრის გაელენა გავრცელდა, აგრეთვე, ყარაჩაის სხვა აულებშიც. აულ კარტ-ჯურტში შეიქმნა წრე დიდი ყარაჩაის ახალგაზრდობისაგან. ეს წრეები მოუწოდებდნენ მშრომელებს დარაზმვისა და ცარიზმის და ყველა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

1910 წელს უკვე შეიმჩნევა რევოლუციური მოძრაობის ერთიგვარი გამოცოცხლება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მუშათა გაფიცვებსა და გამოსვლებს წინა წლებში ჰქონდა ადგილი. მაგ., 1908 წ. 22—24 თებერვალს გაიფიცნენ სადონის მაღაროების მუშები. მუშებთან ერთად ბრძოლას განაგრძობდნენ ჩრდ. კავკასიის მთიანეთის გლეხებიც. გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ადიღეასა და ყარაჩაი-ჩერქეზეთშიც. ამ გამოსვლებიდან აღსანიშნავია აულ თებერდის გლეხთა გამოსვლა.

ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ხალხის მასებთან პირდაპირი შეტევით ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ იგი ცდილობდა თავი იქე მოეჩვენებია, თითქოს მზად იყო გარკვეულ დათმობებზე წასასვლელად, ატარებდა ლავირების ტაქტიკას. ამავე დროს ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ზეიდაფეენებთან საერთო ენის გამონახვას, რაშიც წარმატებასაც მიაღწია.

რეაქციის წლებში კავკასიის ბოლშევიკებს ნ. კ. კრუპსკაიას მეშვეობით კავშირი ჰქონდათ ვ. ი. ლენინთან. უფრო მოგვიანებით ნ. კრუპსკაია წერდა: „კავკასიის ბოლშევიკების ჯგუფთან ჩვენ ყოველთვის გვქონდა განსაკუთრებული მეგობრული მიწერ-მოწერაო.“ ატარებდა რა ცხოვრებაში ვ. ი. ლენინის მითითებებს, ბაქოს პარტიული ორგანიზაცია ამარაგებდა ბოლშევიკური ლიტერატურით კავკასიის ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებს, მათ შორის ეკატერინოსს, დერბენტის, პეტროვსკისა და სხვა ქალაქებს.

ამ დროს დაღესტანში ყველაზე მსხვილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას წარმოადგენდა რსდმპ პეტროვსკის ჯგუფი, რომელსაც 1906 წ. ბოლოდან 1911 წლამდე სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, შემდეგში ბაქოს ერთ-ერთი 26 კომისართაგანი ივანე ვასილის ძე მალიგინი. ამ ჯგუფს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის ბაქოს კომიტეტთან, პეტერბურგთან, მოსკოვთან, ასტრახანთან, ვლადიკავკაზთან, გროზნოსთან, ტფილისთან და სხვ. პეტროვსკის ჯგუფი დახმარებას უწევდა თემირ-ხან-შურის და, განსაკუთრებით, დერბენტის სოციალ-დემოკრატებს.

ასე რომ, ამ დროს რსდმპ პეტროვსკის ჯგუფი თამაშობდა

საერთო დელეგატების პარტიული ცენტრის როლს. რსდმპ პეტროგრადის ჯგუფში ბოლშევიკები მუშაობდნენ მენშევიკებთან ერთად ერთ ორგანიზაციაში, მაგრამ მათ მტკიცედ ეცავათ პრინციპული პოზიციები თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, ატარებდნენ ცხოვრებაში ლენინურ ხაზს.

ამგვარად, მიუხედავად რეაქციის პარპაშისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარბევისა, ბოლშევიკები ახალ, მეტად მძიმე პირობებში აგრძელებდნენ თავის მუშაობას მასებში, ამზადებდნენ მათ ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის.

§ 2. ჩრდილო კავკასია ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910—1914 წწ.)

სტოლიპინის რეაქციის ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა. 1910 წლის ბოლოდან იწყება მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება.

„შავრაზმული რეაქციის სრული ბატონობის ხანა გათავდა, იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან იხევდა — თუმცა დროის დიდი შუალედებით — 1905—1909 წლებში, ძალლონეს იკრებს და შეტევაზე გადასვლას იწყებს" — წერდა ვ. ი. ლენინი 1910 წ. 18 დეკემბერს[1].

1910—1911 წლებში ხელახლა გაძლიერდა მუშათა გაფიცვების, დემონსტრაციებისა და მიტინგების ტალღა. ბოლშევიკებმა მაშინვე შენიშნეს ცვლილებები მუშათა განწყობილებაში და გააჩაღეს რევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა. ახალ რევოლუციურ აღმავლობას მძლავრი ბიძგი მისცა ლენის მუშების დახვრეტამ 1912 წელს. ჩრდილო კავკასიაში კი ლენის მუშათა დახვრეტას არ გამოუწვევია მუშათა დიდი საპროტესტო გამოსვლები. რაც უნდა აიხსნას ჩრდ. კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სისუსტით, რომელთაც აკლდათ დახმარება და ხელმძღვანელი ხელი ჩრდ. კავკასიის ახლომდებარე პროლეტარული ცენტრებიდან (ბაქო, როსტოვი, თბილისი და სხვ.).

მიუხედავად ამისა, 1912—1914 წწ. მთელი კავკასია მოიცვა საგაფიცვო მოძრაობამ. ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია იგლეხთა აგრარულ გამოსვლათა გაძლიერება. აღიმართა საბრძოლველად ჩრდ. კავკასიის მუშათა კლასიც.

1905—1907 წწ. რევოლუციის შემდეგ ვრცელნოს ნავთის საწარმოების მუშათა გამოსვლა მოხდა 1911 წელს. ამ წლის 14 აპრილს

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 16, გვ. 445.

გაიფიცნენ ნავთობდამუშავების საზოგადოების „ახვერდოვი და კ“-ის მუშები. 1912 წლის აპრილსა და აგვისტოში ადგილი ჰქონდა ჩელეკენო-დაღესტანსკოესა და საზოგადოება „შპის“ სარეწების მუშათა გამოსვლებს. ამავე წელს იწყება მზადება სარეწების მუშათა საყოველთაო გაფიცვებისათვის.

1913 წ. აგვისტოში გაიფიცნენ ვლადიკავკაზის რკინიგზის (გუდერმესჩერეულიონაის ხაზზე) მუშები. რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას და საერთოდ, მატერიალური პირობების გაუმჯობესებას.

იმავე წლის 4 ოქტომბერს ვლადიკავკაზში ადგილი ჰქონდა ვახტანგოვის თამბაქოს ფაბრიკის მუშების ერთდღიან გაფიცვას, რომლებიც მოითხოვდნენ სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის მომატებას.

მუშათა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა დაღესტანშიც. 1910 წ. შემოდგომაზე და 1911 წ. სექტემბერში პეტროვსკის სოციალ-დემოკრატებისა და ირანელი რევოლუციონერების ხელმძღვანელობით გაიფიცნენ პეტროვსკის პორტის მუშები. მღელვარებამ მოიცვა რკინიგზისა და „კასპის მანუფაქტურის“ მუშები.

ჩრდ. კავკასიის მუშათა ყველა ეს გამოსვლა იმას მოწმობს, რომ ჩრდ. კავკასიის მუშათა კლასი, რუსეთის მთელ მუშათა კლასთან ერთად გადადიოდა შეტევაზე. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ნამდვილ აღმავლობას ჩრდ. კავკასიაში, როდესაც საგაფიცვო გამოსვლები იღებს მუშათა მასიურ ორგანიზებულ გამოსვლათა ხასიათს, ადგილი აქვს მხოლოდ 1913 წელს.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში გაძლიერდა კაზაკთა ღარიბი ფენებისა და გარეშენთა ბრძოლა, რომლებიც მოითხოვდნენ მემამულეთა და ატამანთა მიწების კონფისკაციას. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო გლეხთა აგრარულმა გამოსვლებმა.

ჩრდ. კავკასიის მთიელთა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა რევოლუციური აღმავლობის წლებში იყო ყაბარდო-ბალყარეთის გლეხთა მღელვარება 1913 წელს და დაღესტნის მთიელთა მოძრაობა ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. მთავარი საკითხი, რისთვისაც მთიელები იბრძოდნენ იყო მიწის საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობის საფუძველს. „კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია“ — წერდა ვ. ი. ლენინი[2].

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 12, გვ. 237.

1913 წ. ყაბარდოელ გლეხთა აჯანყება პირდაპირი შედეგი იყო სტოლიპინის აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებისა ყაბარდოს კონკრეტულ პირობებში, რაც გამოიხატებოდა ყაბარდოელ მემამულეთა და კულაკთა ხელში მეთუმე გლეხებისათვის ჩამორთმეული მიწების კონცენტრაციაში. 1913 წელს კულაკებთან ერთად ყაბარდოელი თავადების მიერ 150 დესეტინამდე საზოგადო საძოვრების ხელში ჩაგდებამ გამოიწვია ზოლის გლეხთა აჯანყება, რომელშიაც 12 000 კაცი იღებდა მონაწილეობას. იმავე წელს ადგილი ჰქონდა ჩერეკის გლეხთა აჯანყებას.

ს. კიროვი, რომელიც ამ დროს იატაკქვეშა რევოლუციურ შუშაობას ეწეოდა ჩრდ. კავკასიაში, იმყოფებოდა ყაბარდო-ბალყარეთში, ეწოდა სააგიტაციო მუშაობას და მოუწოდებდა გლეხებს მოალადეების წინააღმდეგ.

ს. კიროვს პირადად იცნობდა ყაბარდო-ბალყარელი ბოლშევიკების ხელმძღვანელი, ცგამოჩენილი რევოლუციონერი ბ. კალმიკოვი. ბ. კალმიკოვი იგონებს, რომ „1912—1913 წწ. ს. მ. კიროვი თითქოს „შემთხვევით“ იმყოფებოდა იალბუზთან ახლოს მთებში ერთ-ერთ გამოქვაბულში. იგი ხშირად ნახულობდა და ესაუბრებოდა მასთან მოსულ აჯანყების მონაწილეებს, რომლებიც ემალებოდნენ ჟანდარმთა დევნას“.

რასაკვირველია, ამ საუბრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზოლისა და ჩერეკის აჯანყების მონაწილეთათვის. ეს საუბრები ეხმარებოდნენ აჯანყების მონაწილეებს არსებული ვითარების სწორ შეფასებაში, და რწმენას მატებდნენ თვითმპყრობელობაზე საბოლოო გამარჯვებაში. ამდენად, გამომდინარე, ყაბარდო-ბალყარეთში ს. კიროვის საქმიანობიდან, ყაბარდო-ბალყარეთში გლეხთა გამოსვლების ხელმძღვანელობა შესაძლებელია დავუკავშიროთ ს. კიროვის სახელს, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ჯერ არ მოიძებნება, მაგრამ შეუძლებელია, რომ ს. კიროვი, რომელიც ამ დროს ყაბარდო-ბალყარეთში იმყოფებოდა, გამოსულიყო ამ ამბების პასიური მაყურებლის როლში.

ზოლის გლეხთა აჯანყებას მაღალ შეფასებას აძლევს ბ. კალმიკოვი: „1913 წ. ამბები არის დასაწყისი ყაბარდოს რევოლუციური ისტორიისა. 1913 წლის შემდეგ, ერთი მხრივ, მშრომელებს და, მეორე მხრივ, კულაკებს, თავადებსა და აზნაურებს შორის წარმოიშვა დიდი უფსკრული, რომელმაც ამ მომენტიდან დაიწყო

უფრო გაღრმავება... ამ დროს უკვე დაისახა რევოლუციური ორგანიზაციისაკენ მიმავალი გზები და გამოჩნდნენ მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის პირველი ხელმძღვანელები".

ყაბარდოში ზოლისა და ჩერეკის გლეხთა აჯანყება, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის მხრივ გაზრდილი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მარცხით დამთავრდა.

„გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული, ნათელი პოლიტიკური მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან იგი არ იყო მომზადებული" — წერდა ვ. ი. ლენინი[3].

ამ დროს ყაბარდო-ბალყარეთში არ იყო საბრძოლველო პროლეტარიატი და ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლოთ სათავეში ჩადგომოდნენ გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას ამ ბრძოლას ხელს უშლიდა, აგრეთვე სოფლად გლეხთა შორის პატრიარქალურ-ფეოდალური გადმონაშთები. მიუხედავად მარცხისა, ამ აგრარულ გამოსვლებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მაუწყებელი იყო ჩრდილო კავკასიაში ახალი რევოლუციური აღმავლობის დასაწყისისა.

როდესაც ჩრდილო კავკასიაში გლეხთა გამოსვლებზე ვლაპარაკობთ, უნდა დავძინოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გლეხთა მოძრაობა აღნიშნულ პერიოდში დავიყვანოთ მხოლოდ აბრაგობამდე. ამის დამადასტურებელია ზოლისა და ჩერეკის გლეხთა აჯანყება, რომელსაც არავითარი საერთო არა ჰქონდა აბრაგების მოქმედებასთან, განსხვავდებოდნენ მათგან მოქმედების ფორმით, ატარებდნენ მასიურ, სახალხო, თუმცა სტიქიურ ხასიათს, რომელიც საერთოდ დამახასიათებელი იყო გლეხთა გამოსვლებისათვის[4].

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ჩრდილო კავკასიის მუშების კლასობრივი შეგნების გაძლიერებისა და მათი ორ-

---

[3] ვ. ი. ლენინი, იხხ. ტ. 6, გვ. 529.

[4] აბრაგობა, რომელიც წარმოადგენდა გლეხთა იზოლირებულ სტიქიურ გამოსვლებს, იყო თავისებური პროტესტი, მიმართული ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, აღვიძებდა მთიელთა მასებს სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის აქტიურ რევოლუციური ბრძოლისათვის.

განიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა გაზეთმა „პრავდამ"[5]. იგი გამოდიოდა როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, რაზმავდა მასებს რევოლუციური ბრძოლისათვის; მუშები მას შეჰყურებდნენ, როგორც ერთადერთ გაზეთს, რომელსაც შეეძლო ეცნობებინა მათთვის, თუ როგორ ებრძოლათ თავისი უფლებებისათვის და როგორ გაემარჯვათ. მუშები არა მარტო იწერდნენ, კითხულობდნენ და ავრცელებდნენ „პრავდას", არამედ მხარს უჭერდნენ მას ჯგუფური ფულადი შეგროვებით და ამით ამაგრებდნენ მის მატერიალურ ბაზას. მაგ., გროზნოს ნავთობგადამუშავების რაიონში ბოლშევიკებმა შეაგროვეს ფული გაზეთისათვის.

1913—1914 წწ. ჩრდილო კავკასიაში ადგილი ჰქონდა მუშათა მთელ რიგ გაფიცვებს, რომელთაგან აღსანიშნავია 1913 წ. 16 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე. გროზნოს მუშათა გაფიცვა. მასში მონაწილეობა მიიღო ნავთის საბურღების მუშებმა და დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით. ამ გაფიცვას ხელმძღვანელობდა ს. კიროვი.

ამ დროს გროზნოში (1913—1915 წწ.) იმყოფებოდა ნესტორ ლაკობა, რომელიც ნავთის საბურღების მუშებს შორის ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას. იგი სულ მოკლე ხანში ხდება ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტივისტი. საარქივო მასალები არ იძლევიან საშუალებას ნ. ლაკობას ამ პერიოდის მოღვაწეობის დასახასიათებლად.

საგაფიცვო მოძრაობა განსაკუთრებით გაიზარდა 1914 წელს. მაგალითისათვის მოვიყვანთ გროზნოს, სადაც 1910—1914 წწ. მომხდარი 16 გაფიცვიდან მარტო 1914 წლის პირველ ნახევარზე მოდის მუშათა 11 გაფიცვა.

ამგვარად, ახალი რევოლუციური აღმავლობა, რომელიც მოჰყვა რეაქციის წლებს, შეეხო ჩრდილო კავკასიასაც, სადაც, მიუხედავად ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სისუსტისა, ადგილი ჰქონდა მუშათა მთელ რიგ გაფიცვებს და გლეხთა აგრარულ გამოსვლებს, რომელთაგან აღსანიშნავია ყაბარდო-ბალყარეთში ზოლისა და ჩერეკის გლეხთა აჯანყებები.

---

[5] 1911 წ. დეკემბერში გროზნოში დაიწყო გამოსვლა პროგრესულმა გაზეთმა «Терек»-მა, რომლის ირგვლივაც დაირაზმა მოწინავე ინტელიგენცია. მას რედაქტორობდა ა. შერიპოვის ძმა დანილბეკ შერიპოვი. ამ გაზეთმა მხოლოდ 8 თვეს იარსება. გამოვიდა სულ 19 ნომერი.

§ 3. ჩრდილო კავკასია პირველი მსოფლიო ომის წლებში

(1914—1917 წწ. თებერვლამდე)

პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებას რუსეთში სხვადასხვანაირად შეხვდნენ. მენშევიკები, ესერები და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები გამოდიოდნენ „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგით. მხოლოდ ბოლშევიკების პარტია დარჩა რევოლუციური ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე და გადაჭრით აამჟღავნებდა იმპერიალისტური ომის მტაცებლურ ხასიათს.

1914 წ. 12 აგვისტოს თერგის ოლქში გამოცხადდა „საომარი მდგომარეობა“, ხოლო 16 აგვისტოს თერგის ოლქის უფროსმა შე

ა. გოსტიევმა, ს. ტაკოევმა, შ. კალაგოვმა, ე. პოლიაკოვამ, ნ. ანისიმოვმა, ფ. სერობაბოვმა და ბეკრმა სხვ.

მოსახლეობაში იზრდებოდა უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეული იყო მხარეში დამყარებული სამხედრო რეჟიმით. რაც გამოხატულებას პოულობდა მთავრობის საწინააღმდეგო და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში.

თერგის ოლქისა და დაღესტნის მშრომელებმა დაიწყეს ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ 1915—1916 წწ. მიიღო აშკარად გამოხატული პოლიტიკური ხასიათი იზრდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რაც შეეხება ადგილობრივ ბურჟუაზიასა და მეშამფულებს, მათ სულ სხვა პოზიცია ეკავათ. ისინი ომის პირველი დღეებიდანვე ცხარს უჭერდნენ მტაცებლურ იმპერიალისტურ ომს.

1914 წ. დასაწყისიდან არ ყოფილა ისეთი თვე, რომ არ ჰქონოდა ადგილი გროზნოს საწარმოთა მუშების გაფიცვებს.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში გროზნოს საწარმოთა მუშების 30%-მდე მობილიზებულ იქნენ ჯარში, ხოლო დარჩენილთა მიმართ ადგილი ჰქონდა მკაცრ რეპრესიებს. ამ დროს რეპრესირებულ იქნენ 1905—1907 წწ. რევოლუციის ბევრი მონაწილე და მუშა „პრაავდისტები". ყოველივე ამან, რასაკვირველია, დიდი ზიანი მიაყენა და დაასუსტა ჩრდილო კავკასიის მუშათა მოძრაობის ცენტრის — გროზნოს პროლეტარიატი.

1915 წ. დეკემბრის დასაწყისში ადგილი ჰქონდა მეურმეთა დიდ გაფიცვას, რომელთაც საღონიდან სადგურ დარგ-კოხში გადაჰქონდათ მადანი. ისინი მოითხოვდნენ მადნის გადაზიდვისათვის ხელფასის მომატებას. აღნიშნული გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატმა აგიტატორებმა, ატარებდა ორგანიზებულ ხასიათს. გაფიცულებმა წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნები. გაფიცვა დამთავრდა მეურმეთა გამარჯვებით. საზოგადოება „ალაგირის" ადმინისტრაცია იძულებული იყო მოეპატებინა მათთვის ხელფასი.

ამ დროისათვის გროზნოს ნავთის სარეწები და ქარხნები რევოლუციის მოძრაობის ცენტრად იქცნენ ჩრდილო კავკასიაში. წარმოებდა ორგანიზებული ბრძოლა, სადაც კარგად იყო შეხამებული ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმები. გროზნოს მუშების ბრძოლას (1914—1916 წწ.) ხელმძღვანელობდა გროზნოს

ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგნენ ს. კიროვი, ს. შაუმიანი, ნ. ანისიმოვი, ნ. ლაკობა და სხვ.

მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობისა და ხელისშემშლელი პირობებისა, ჩრდილო კავკასიელ მშრომელებს შორის კვლავ წამყვანი ხაზი ბოლშევიკებს ეჭირათ. აი რას წერდა ამის შესახებ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1916 წ. თებერვალში: „პარტიული არალეგალური მუშაობა მკვეთრად იზრდება კავკასიის ყველა ადგილებში. მოძრაობა იქმნება და მიმდინარეობს მხოლოდ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების, ინტერნაციონალისტების ლოზუნგით. მიუხედავად ყველა წინააღმდეგობებისა, ბოლშევიკური მიმდინარეობა კავკასიაში შესამჩნევად იზრდება. ისეთი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, როგორიცაა ბაქო და გროზნო, იმყოფებიან თითქმის მხოლოდ ბოლშევიკური მიმდინარეობის ჰეგემონიის ქვეშ“.

გასაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მუშაობა, რომელიც გაუწია ბოლშევიკებმა კავკასიის ბიურომ კავკასიის ყველა ხალხების მშრომელებსა და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის პირველი იმპერიალისტური ომის წლებში. ახასიათებდა რა კავკასიის ბოლშევიკების ამ საქმიანობას იმპერიალისტური ომის წლებში, გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ აღნიშნავდა, რომ ისინი ამ მძიმე დღეებშიც კი კარგად და წარმატებით იცავენ რევოლუციური მარქსიზმის დროშას კავკასიაშიო.

1916 წ. გაფიცვებიდან უნდა აღინიშნოს გროზნოს მუშათა 21 მაისის გაფიცვა. გაიფიცა გროზნოს ნავთობმრეწველობის 7 636 მუშა. მათ მიბაძეს გროზნოს სხვა საწარმოთა მუშებმაც. გროზნოს მუშების მაისის გაფიცვა დამთავრდა გაფიცულთა გამარჯვებით. მათ მიაღწიეს არა მარტო მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, არამედ მორალურ-პოლიტიკურ გამარჯვებასაც, ჩაებეს რა რევოლუციურ ბრძოლაში ასობით გლეხი, რომლებიც მოვიდნენ ნავთობის საწარმოებში სამუშაოდ ჯარში წასული მუშების ადგილას. მართალია, გროზნოს მუშათა ამ მასიურ გაფიცვას არ წამოუყენებია პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ თვითონ ფაქტი პირველი იმპერიალისტური ომის წლებში მასიური გაფიცვისა ლაპარაკობს ომის შესახებ, რომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ იმპერიალისტური ომისა და მხარს უჭერდნენ კლასობრივ, სამოქალაქო ომს. ბოლშევიკები ავრცელებდნენ მუშათა შორის ფურცლებს, სადაც აკრიტიკებდნენ ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მოუწოდებდნენ მუ-

შებს ებრძოლათ, რათა იმპერიალისტური ომი გადაექცია სამოქალაქო ომად.

1916 წლისათვის საკმაოდ გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ყაბარდო-ბალყარეთში, რომელსაც ბ. კალმიკოვი ხელმძღვანელობდა

„1916 წლისათვის, — წერს ბ. კალმიკოვი, — ჩვენი ორგანიზაცია იმდენად მომაგრდა და რევოლუციური გახდა, რომ საკვლევად მზად იყო რევოლუციური გადატრიალებისათვის, რომელსაც ჩვენ ამ დროს დღიდან დღეზე ველოდით"[7].

რაც შეეხება დაღესტანს, აქ 1916 წ. განსაკუთრებით გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი. ადგილი ჰქონდა მუშათა და გლეხთა გამოსვლებს მაგ., 1916 წ. 21 მაისს, გროზნოს მუშათა მასიური გაფიცვების დღეს, გაიფიცნენ დაღესტნის ყველაზე დიდი საწარმოს „კასპიის მანუფაქტურის" ფაბრიკის მუშები, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. ამ ფაბრიკის მუშები გაიფიცნენ 1916 წ. ივნისშიც. ივნისშივე გაიფიცნენ მიხაილოვის სტამბის მუშები პეტროვსკში. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის 20%-ით მომატებას.

1916 წ. ზაფხულში დაღესტანში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლას ხასავიურტის რაიონის სოფ. აქსაიში,[8] რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკების პროპაგანდისა და აგიტაციის შედეგად 1916 წ. მთელს ჩრდ. კავკასიაში გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ჩრდილო კავკასიაში რევოლუციურ გამოსვლათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ოსების ქვეითი ბრიგადის" აჯანყებას 1916 წ. აგვისტოში, რომელიც წარმოადგენდა იმპერიალისტური ომით უკმაყოფილოს გლეხთა რევოლუციური განწყობილების ზრდის ნათელ გამოხატულებას.

„ოსების ქვეითი ბრიგადის" ფორმირება დაიწყო 1916 წ. გაზაფხულზე დაბა ვოზდვიჟენსკოეში, გროზნოს მახლობლად. ამ

---

[7] Б. Калмыков. Революционное движение в Кабардино-Балкарии. დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[8] გლეხთა ეს გამოსვლა გამოიწვია 1916 წ. 25 ივნისს გამოცემულმა კანონმა, რომლის ძალითაც შეეძლოთ მიმდინარე ომის პერიოდში 18 წელს მიღწეული მამაკაცების გაწვევა იძულებით სამუშაოებზე და მათი ჩარიცხვა განსაკუთრებულ მუშათა ასეულებში.

ბრიგადაში მობილიზებულ იქნა ოსეთის თითქმის მთელი ინტელიგენცია — მასწავლებლები, მოსწავლეები. მათ შორის ცოტა რიდი იყო ისეთი, რომლებმაც გაიარეს 1905—1907 წწ. რევოლუციის სკოლა. ამ აჯანყებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ოსეთის ინტელიგენციამ, რომელიც ბრიგადის ოს მეომრებს შორის ეწეოდა ყოველდღიურ აგიტაციას.

ოსეთის ინტელიგენციის ჯგუფის ცენტრში იდგნენ ანდრეი გოსტიევი (შემდეგში ოსეთში ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწე, რომელიც 1919 წ. დახვრეტილ იქნა ქართველი მენშევიკების მიერ), ი. ხუდალოვი, ს. მოლუკაევი, ს. ტავიტოვი, დ. ბუგოევი, ა. ძამპაევი უ. ეძიევი და სხვ. ამ ჯგუფმა, რომელიც შეიქმნა ა. გოსტიევის ირგვლივ, გაშალა იატაკქვეშა მუშაობა ბრიგადაში. ბოლშევიკების რევოლუციური მუშაობის შედეგად დაიწყო ბრიგადის თანდათანობით გახარწნა.

„ოსების ქვეითი ბრიგადის" გამოსვლის საბაბი ის იყო, რომ მათ სურდათ არა ქვეითი ჯარში სამსახური, არამედ კავალერიაში. მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ იმპერიალისტურ ომში მონაწილეობისა.

მართალია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებმა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბრიგადის ფორმირებაში, გააჩალეს ფარული კამპანია ოსეთის მოსახლეობას შორის, რათა მათ მხარი დაეჭირათ იმპერიალისტური ომისათვის, მაგრამ ბრიგადის წევრთა შორის მისი დაარსების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ომის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა: ისინი უარს ამბობდნენ ჯარისკაცის მუნდირზე და ფოიერბოდნენ ნაციონალურ ტანსაცმელს, პროტესტს აცხადებდნენ ცუდი კვებისათვის, მოითხოვდნენ იარაღს და სხვ. აგვისტოში მათ მოაწყვეს გაფიცვა, უარი თქვეს სამხედრო მეცადინეობაზე. 1916 წ. 26 აგვისტოს „ოსების ქვეითი ბრიგადის" ჯარისკაცთა აჯანყების ჩასახშობად გროზნოდან გამოიწვიეს ჯარები, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს აჯანყებულ ჯარისკაცებს. 16 კაცი მოკლულ იქნა, ხოლო 30-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა.

1916 წ. დეკემბერში გროზნოში შეიდგა აჯანყების მოთავეთა გასამართლება. სასამართლომ გაარჩია 13 ოსის საქმე, მაგრამ იძულებული იყო ცამეტიანი გაემართლებინა. ახლოვდებოდა რევოლუცია და სწორედ მოახლოებული რევოლუციის შიშმა აიძულა მეფის ხელისუფლება გადაედგა ასეთი ნაბიჯი.

ამ აჯანყებამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ მთიელი მშრომე-

ლები კვლავ მზად იყვნენ თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ამ ბრიგადის ყველა მეომარი საშუალო და უმაღლესი განათლებით გაგზავნილ იქნენ სამხედრო სასწავლებელში თბილისში.

ამგვარად, ოსეთის მოწინავე ინტელიგენცია იზოლირებულ იქნა ჯარისკაცთა მასიდან. რევოლუციური მუშაობა ბრიგადაში შეწყდა. ოსი მკვლევარი ს. კულოვი გამოთქვამს აზრს, რომ „ოსების ქვეითი ბრიგადის“ ჯარისკაცთა გამოსვლებთან დაკავშირებული იყო ს. კიროვი. ამ ამბების მონაწილე ბუგუევი იგონებს, რომ მან ნახა ვლადიკავკაზიდან ა. გოსტიევთან ჩამოსული მიხეილ კალაგოვი, რომელიც, ძველი ბოლშევიკის პოლიკოვას დახასიათებით, ახლო დამოკიდებულებაში იყო ბოლშევიკურ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთან, რომელსაც ს. კიროვი ხელმძღვანელობდა. აქედან გამომდინარე, ს. კულოვი ვარაუდობს, რომ „კალაგოვი ვოზდვიჟენსკოეში ა. გოსტიევთან ჩამოსული იყო ს. მ. კიროვის დავალებით, რათა ეწარმოებინა ბრიგადაში იატაკქვეშა რევოლუციური მუშაობა და არ დაეშვა ჯარისკაცთა დახვრეტა“.

ს. კულოვის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა და მისი ვარაუდი სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს და ჩვენც საკმაებით დასაშვებად მიგვაჩნია, მაგრამ ს. კიროვის „ოსების ქვეითი ბრიგადის“ აჯანყებასთან რაიმე კავშირის დამამტკიცებელი საბუთები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ბატალფაშინსკის ოტდელის სტანიცა ოტრადნაიაში. მისი შემქმნელი და ორგანიზატორი იყო ივანე პროხორის ძე პუზირევი, გამოცდილი რევოლუციონერი. მან კავშირი დაამყარა ყუბანის, თერგისა და დონის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, საიდანაც იღებდა ინფორმაციას და ლიტერატურას. 1916 წ. ნოემბერში გულადი და მტკიცე ბოლშევიკებისაგან (15 კაცი) შექმნა იატაკქვეშა ბოლშევიკური წრე. ეს იყო ბატალფაშინსკის ოტდელში პირველი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მოქმედებდა და ჰქონდა ნათელი პროგრამა. პუზირევის გარდა ოტრადნაიას ორგანიზაციაში შედიოდნენ: ი. ბორისენკო, ი. ჩაიკინი, მ. ჩერედნიჩენკო, ვ. კანდიბინი და სხვ. განსაკუთრებით გამოცოცხლდა ოტრადნაიას ორგანიზაციის მუშაობა 1917 წლის დასაწყისიდან, როდესაც მისმა წევრებმა დაიწყეს მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია. ამ წრეს კავშირი ჰქონდა ეკატერი-

ნოდარის, როსტოვის, ვლადიკავკაზის, ბაქოსა და თბილისის ბოლშევიკური პარტიის კომიტეტებთან. თბილისისა და ბაქოს პარტიული კომიტეტებისაგან ეს წერე იღებდა რევოლუციურ ლიტერატურას. რომელსაც ავრცელებდნენ ოტრადნაიას და მახლობელი სოფლების რევოლუციურად განწყობილ მცხოვრებთა შორის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბატალფაშინსკის ოტდელში რევოლუციური მოძრაობის გაშლაში დიდი როლი ითამაშეს აგრეთვე ალმავირის, კისლოვოდსკის, პიატიგორსკის, სტავროპოლისა და ქუთაისის ბოლშევიკურმა კომიტეტებმა.

ჩრდილო კავკასიის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა გამოსვლები, რუსეთის მთელი მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ტალღის ზრდასთან ერთად, მაჩვენებელი იყო იმისა, რომ წვეყანა მიდიოდა ახალი რევოლუციის შესახვედრად.

ამგვარად, ჩრდილო კავკასიაში პირველი იმპერიალისტური ომის წლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ჩრდილო კავკასიის მშრომელი მოსახლეობა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების დაძაბული მუშაობის შედეგად, რომელსაც სათაეში ედგნენ ს. კიროვი და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები, იერაზმებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხელმძღვანელობდნენ რა ლენინური ლოზუნგით „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ". მათ ამ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდა რსდმპ კავკასიის კავშირი.

*
* *

1917 წ. 27 თებერვალს რუსეთის მუშათა კლასმა მეზღვაურებისა და ჯარისკაცების მხარდაჭერით დაამხო ცარიზმი და უხრუნველყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება. ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში მოექცა. ცარიზმის დამხობის შემდეგ ბოლშევიკები გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან და გადავიდნენ ლეგალურ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. პეტროგრადში მომხდარმა ამბებმა, მიუხედავად ადგილობრივი ადმინისტრაციის ცდისა, შეაღწია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის ჩრდილო კავკასიაშიც.

ჩრდილო კავკასიის ხალხები აღფრთოვანებით შეხვდნენ თებერვლის რევოლუციას. მაგრამ ბურჟუაზიულ რევოლუციას (თუმცა იგი მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა) არ შეუცვლია მშრომელ-

თა მდგომარეობა. მათ ვერ მიიღეს ვერც პური, ვერც მიწა, ვერც ზავი და, რაც მთავარია, ვერ მიიღეს ნამდვილი თავისუფლება.

„თებერვლის რევოლუცია, — როგორც სამართლიანად შენიშნავდა გ. ორჯონიკიძე, — თითქმის სრულიად არ შეხებია ჩრდილო კავკასიას, მოხდა მხოლოდ ადმინისტრაციულ პირთა უმნიშვნელო შეცვლა, ძველ სახელწოდებათა ნაცვლად გამოჩნდა ზოგიერთი ახალი სახელწოდება, მსგავსად გუბერნიის კომისრისა და ა. შ. ყოველივე დანარჩენი კი ხელუხლებლად დარჩა"[9].

მიუხედავად ამისა, თებერვლის რევოლუციას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიისათვის. მან მოძრაობაში მოიყვანა ჩამორჩენილ მთიელთა საზოგადოების ყველა კლასი, გააძწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი, ნათლად გამოავლინა სხვადასხვა კლასების ინტერესები და მისწრაფებანი, გააღრმავა იდეური და პოლიტიკური გათიშვა ერთმანეთის პირისპირ მდგარ კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

ეს პერიოდი აღინიშნა რევოლუციური ორგანოების — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების შექმნით, რომლებიც დაუპირისპირდნენ დროებითი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დაწესებულებებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები შეიქმნა ვლადიკავკაზში, გროზნოში, მოზდოკში, პორტ-პეტროვსკში, თემირ-ხან-შურაში, დერბენტში, ხასავიურტში და სხვ. ამავე დროს გლეხებმა დაიწყეს სოფლის მამასახლისების განდევნა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების შექმნა.

ჩრდილო კავკასიის ბოლშევიკები. სძლევდნენ რა მრავალ წინააღმდეგობას, განამტკიცებდნენ თავის გავლენას მასებზე, ამზადებდნენ მათ სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. ჩრდილო კავკასიის მშრომელი მოსახლეობა რუსეთის მუშათა კლასის რიგებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გამოვიდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის ასპარეზზე.

---

[9] გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I (1910—1926 წწ.), თბ. 1957, გვ. 94.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX–XX სს. დამდეგს

პირველი თავი

ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX ს. I ნახევარში

XIX ს I ნახევარი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში წარმოადგენდა დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხის ხანას. მთელს კავკასიაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს, ბუნებრივია, არ შეეძლო თავისი დაღი არ დაეჩნია ამ მრავალნოვანი მხარის კულტურულ ყოფაზე. კავკასიის და განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის შემდგომ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: I. რუსეთთან უშუალო მეზობლობა და დაახლოება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში; 2. მაჰმადიანური რელიგიის ფართო ზოგ რაიონში საყოველთაო გავრცელება და მაჰმადიანურ სამყაროსთან იძულებითი კონტაქტები და 3. ხანგრძლივი სამომარი ვითარება კავკასიის მთიანეთის ხალხებსა და რუსეთს შორის. მაგრამ მიუხედავად ასეთი მძლავრი ფაქტორების არსებობისა, XIX ს. პირველ ნახევარში კავკასიელ მთიელთა კულტურა ძირითადად ვითარდებოდა იმ ტრადიციული გზით, რაც ამ მხარის შინაგანი განვითარებით იყო ნაკარნახევი.

XIX ს. I ნახევარში კავკასიელ მთიელ ხალხთა კულტურა კვლავ ინარჩუნებდა თვითმყოფად ხალხურ ხასიათს.

XIX ს. I ნახევრის ადიღეელთა სულიერ კულტურაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. თუ XVIII ს. II ნახევრისათვის წარმართულ და მაჰმადიანური რელიგიების გვერდით ჯერ კიდევ ბატონობდა ქრისტიანობის გადმონაშთები, XIX ს. I ნახევარში ქრისტიანობა საბოლოოდ აღმოიფხვრა და, გარდა ზოგიერთი გადმონაშთისა, რომელიც ადიღეელებს შექანიკურად ჰქონდათ შემორჩენილი, აქ ქრისტიანობისა აღარაფერი აღარ შემორჩა.

XIX ს I ნახევრის ადიღეელთა სულიერი კულტურა ხასიათდება ისლამისა და შარიათის მოძალებითა და ადათისა და შარიათის ურთიერთდაპირისპირებით, რაც ფაქტიურად წარმართული და მაჰმადიანური რელიგიის ჰიდიღს წარმოადგენდა. XIX ს. 30-იანი წლებისათვის კი, როდესაც ისლამის გავრცელებამ. კულმინაციას მიაღწია, მოსახლეობის ფართო ფენები მაინც არ ივიწყებდნენ თავის ხალხურ, უძველეს სარწმუნოებას და ადათ-წესებს. როგორც სამართლიანად შენიშნავენ თანამედროვეები, XIX ს. I ნახევარი მაინც წარმოადგენდა წარმართული რელიგიის შეზღუდვა-შევიწროების და თანდათანობით ისლამის გაბატონების ხანას, თუმცა სრული გამარჯვებისათვის ისლამსა და შარიათს ადიღეელთა შორის არაბდროს არ მიუღწევია. რომ მაჰმადიანურ რელიგიას და შარიათს ისე მძლავრად არ ჰქონდა მოკიდებული ფეხი დას. კავკასიის მთიანეთში, როგორც დაღესტანში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ როგორც კი ისლამს მოეშალა პოლიტიკური საფუძველი და რუსეთმა აღნიშნული მხარე დაიკავა, შარიათი სწრაფად მიეცა დავიწყებას, თუმცა წარმართული ღვესასწაულების გვერდით გაჩნდა დიდი და მცირე ბაირამობა და რამაზანობა, რომელიც თითქმის ჩვენ დრომდე შემორჩა.

XIX ს. პირველი ნახევრიდან ამ უკანასკნელ ხანამდე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით კარგად ჩანს, რომ წარმართული რელიგია, რომელიც ადიღეელი ხალხის წიაღში იყო აღმოცენებული, ატარებდა უაღრესად ეროვნულ ხასიათს, თუმცა ადიღეურ ღვთაებათა პანთეონის და მისი ცალკეული ღვთაებების მჭიდრო კავშირი ზოგადკავკასიურთან თვალნათლივ დასტურდება.

XIX ს. I ნახევარში რამდენჯერმე სცადეს შეექმნათ ადიღეური ანბანი. კერძოდ, ჰაჯი-ნოტაუკ შერეტლუკოვმა შეადგინა პირველი ანბანი, მაგრამ როგორც ტეტბუ დე მარინი ვარაუდობს, მუსლიმანური სამღვდელოების კარნახით ხელნაწერი განადგურდა.

XIX ს. 20-იან წლებში ადიღეური ანბანის შექმნას უფრო მეტი ყურადღება მიექცა. ადიღეური ანბანი იქმნებოდა არაბულ-მაჰმადიანურ და რუსულის გავლენათა შორის ბრძოლის ნიშნით. პირველი ჩერქეზულ-ადიღეური ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა გრაციოლოვსკიმ 1829 წელს. ლ. ლულიემ იმავე საფუძველზე 1840 წელს შექმნა ადიღეური ანბანის ახალი ვარიანტი. 1855 წ. ადიღეელმა უმარ ბერსლეიმ თბილისში გამოაქვეყნა "Букварь черкесского языка", რომელიც არაბულის საფუძველზე იყო შედგენილი. მაგრამ არც ეს ახალშემოვა-

ნელო მასებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა, არ ჩამდგარა ხალხის სამსახურში. სამაგიეროდ, ამ პერიოდში დიდ აღმავლობას მიაღწია ადიღეურმა ფოლკლორმა, რომელიც ყანრობრივად უაღრესად მრავალფეროვანი იყო; განსაკუთრებით დაწინაურდა გმირულ-ისტორიული თემატიკა, მასში აისახა ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. იქმნებოდა ცალკეულ გმირთა სახეები. ამასთანავე, ხალხური ლირიკული პოეზია ჩამორჩებოდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნართების ეპოსი, რომლის ცალკეული ნიმუშების ჩაწერაც სწორედ XIX ს. I ნახევარში დაიწყო. დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ მოხეტიალე მომღერლები — „ჯეკუაგო"-ები, რომლებიც უმღეროდნენ თავისუფლებას, საგმირო საქმეებს და ქვეყნისათვის თავდადებას. ადიღეელებში გავრცელებული იყო ცეკვები და სიმღერები.

ყარაჩაელთა და ჩერქეზთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა ზეპირსიტყვიერ ლიტერატურას. თუ ადიღე-ჩერქეზეთ-ყაბარდოელებს დამწერლობის შექმნის ცდები უკვე XIX ს. I ნახევარშიც ჰქონიათ, ყარაჩაელებს საკუთარი დამწერლობა ოქტომბრის რევოლუციამდე არ შეუქმნიათ. ამიტომაც ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს ხალხი სათუთად ინახავდა. ხალხური ზეპირსიტყვიერების და ყოფითი წესებით ყარაჩაელები დიდ სიახლოვეს იჩენენ ადიღე-ჩერქეზებთან. ეს თურქულენოვანი ხალხი — კავკასიისათვის უცხო ეთნიკური ელემენტი — ისე ორგანულადაა დაკავშირებული კავკასიურ კულტურასთან და ადგილობრივ სამყაროსთან, რომ ყარაჩაელთა ეთნიკურ და კულტურულ ჩამოყალიბებაში შეუძლებელია არ ვივარაუდოთ აბორიგენული ელემენტის მძლავრი მონაწილეობაც.

გარდა გმირულ-ისტორიული თემატიკისა, ჩერქეზულ და ყარაჩაულ ფოლკლორში დიდი ადგილი ეკავა სოციალურ თემატიკას. ჩერქეზთა და ყარაჩაელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმღერები სახალხო გმირებზე.

XIX ს. I ნახევარში ჩერქეზეთში ყალიბდებოდა ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელთა შორის ცნობილია შორა ბეკმურზინ ნოგმოვი. მან სასულიერო განათლება მიიღო დაღესტანში და 1830 წ. გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც საკმაოდ კარგი განათლება მიიღო და შეიძინა მეცნიერული კვლევის ჩვევები. 1835 წ. იწყებს მუშაობას ადიღეური ანბანისა და გრამატიკის შექმნაზე, წერს ადიღეელი ხალხის ისტორიას. 1840 წ. მან დაასრულა თავისი „გრამატიკა" და „ანბანი".

ნოემოვი ცდილობდა ყაბარდო-ჩერქეზეთში გახსნილიყო ერთი სკოლა მაინც, სადაც ბავშვები მშობლიურ ენაზე ისწავლიდნენ. მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ამ წამოწყებას ხელი შეუშალა. ის ბევრს მუშაობდა ადიღეური ზეპირსიტყვიერი მასალის შეგროვებაზე და გამოქვეყნებაზე. დიდია მისი დამსახურება რუსულ მოწინავე კულტურასთან ადიღეელების დაახლოების საქმეში.

თავისი კულტურის განვითარების დონით ყაბარდო ერთ-ერთი მოწინავე იყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა შორის. ასევე გამოირჩეოდნენ თავისი განვითარებით ჩრდილო კავკასიის თურქულენოვან ხალხებს შორის ბალყარელებიც, რომლებთაც შედარებით ლრმა ხეობებში უხდებოდათ ცხოვრება.

ყაბარდოელთა და ბალყართა სულიერი კულტურა განვითარების ისეთსავე ტენდენციებს იჩენდა, როგორსაც ჩრდილო კავკასიის დანარჩენი ხალხი.

ყაბარდოში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გვიანფეოდალური ხანის ქართულ სამყაროსთან, ქრისტიანული ელემენტი უფრო მძლავრად იყო შეტანილი. შეიძლებოდა შეხვედროდით ხახარების ხელნაწერებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა წმ. გიორგის კულტი; მაგრამ ქრისტიანობა ამ დროს ქვეყნის ცხოვრებაში აღარ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს. საკმაოდ კარგად იყო შემონახული ზოგიერთი წარმართული წეს-ჩვეულებანი.

ყაბარდოელი ფოლკლორი, როგორც ზოგადადიღეურის განუყოფელი ნაწილი, ძირითადად საკმირო-ისტორიულ ხასიათს იძენს და მხურვალედ ეხმაურება იმ დიდ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა კავკასიაში, მაგრამ განსხვავებით სხვებისაგან, ყაბარდოელთა ფოლკლორში უფრო რელიეფურადაა წარმოჩენილი სოციალური მომენტი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც სოციალურ ურთიერთობათა გამძაფრებისა და ქვეყნის ძლიერი ფეოდალიზაციის პირობებში სოციალური უთანასწორობისა და ჩაგვრის საკითხი ზეპირსიტყვიერების შემოქმედ ხალხს არანაკლებ აწუხებდა, ვიდრე მოვხდური მტერი.

1848 წ. ყაბარდოში გაიხსნა სკოლა, სადაც ყაბარდოელი წარჩინებულების შვილებს იღებდნენ. ამ სკოლამ მალე შეწყვიტა არსებობა. მეფის რუსეთი ეროვნული კულტურის განვითარებას მოწყალებით არ უყურებდა და ცდილობდა მის შეფერხებას.

XIX ს. I ნახევარში ოსეთში იმატა მისიონერული, სასულიერო და საეკლესიო სკოლების რიცხვმა. ამ სკოლების მიზანი იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო

ადგილობრივი კადრების მომზადება. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისა და მათზე ზემოქმედებისათვის რუსულ ადმინისტრაციას სულ უფრო მეტად ესაჭიროებოდა თარჯიმნები, სასულიერო პირები, დაბალი რანგის ჩინოვნიკები და სხვ., რომლებიც სწავლა-განათლების პროცესში ერთგვარ საფუძველს ქმნიდნენ იმისათვის, რომ შემდგომში მოსახლეობის საერთო კულტურული დონე ამაღლებულიყო.

XIX ს. იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ოსური კულტურის განვითარების საქმეში, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი იოანე იალღუზიძე (1775—1830), რომელმაც ქართული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი. იოანე იალღუზიძე ერეკლე II ბრძანებით მიუბარებიათ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. სწავლის დასრულების შემდეგ გაუმწესებიათ დუშეთში ადგილობრივი სკოლის მასწავლებლად. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ის ჯერ იოანე ბატონიშვილის ვაჟის აღზრდელად მიუწვევიათ, ხოლო 1815 წლიდან კი შეუცვლიათ ოსეთის სასულიერო სემინარიაში თარჯიმნად. 1820 წლიდან ის თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ასწავლიდა ოსურ და ქართულ ენებს. სწორედ ამ პერიოდში მან შექმნა ოსური ანბანი. ეს ანბანი გაცილებით მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა, ვიდრე მისი წინამორბედნი, ამასთანავე ქართული ანბანი კარგად გადმოსცემდა ოსური ენის ნიუანსებს. გარდა ანბანისა, მან შექმნა ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებებიც. მის კალამს ეკუთვნის პოემა „ალღუზიანი", სადაც ავტორი გვევლინება როგორც თავისი საჭმობლოს უანგარო პატრიოტი და მოჭირნახულე. გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, იოანე იალღუზიძე ამრავლებდა ხელნაწერ წიგნებს, როგორც ქართულად, ასევე ოსურად. რუსეთი არასასურველად თვლიდა ყოველივე არარუსული ხასიათის ლონისძიებებს და ამიტომ 1836 წელს ვლადიკავკაზის ოსური სასწავლებლის ზედამხედველმა მაიორ დვალიშვილმა მიიღო მითითება: „მთიელთა ბავშვების სწავლება ქართული ასოებით, როგორც სრულიად არასასურველი, მთლიანად შეიცვალოს". აღნიშნულ სასწავლებელში ბავშვებს ასწავლიდნენ რუსული და ოსური დედაენით. ოსური სახელმძღვანელოები კი ამიერიდან იწერებოდა რუსული გრაფიკის გამოყენებით. რუსულ ასოებზე დაფუძნებული ოსური ანბანი პირველად შეადგინა ოსური ენის მცოდნე რუსმა მეცნიერმა ანდრია შეგრენმა. მასვე ეკუთვნის 1844 წელს გამო-

ქვეყნებული „ოსური გრამატიკა“ და „ოსურ-რუსული და რუსულ-ოსური ლექსიკონები“. ოსური ენის შესწავლაში და აღნიშნული ნაშრომების შესრულებაში ა. შეგრენს ეხმარებოდნენ შიო დვალიშვილი, ინსპექტორი მჭედლოვი და. პრაპორშჩიკი ეუსკაევი. ოსეთში მოქმედი განათლების სისტემა ატარებდა კლასობრივ და კოლონიურ ხასიათს და აქ არსებული ყველა სასულიერო სასწავლებელი ემორჩილებოდა საქართველოს ეგზარქოსის მკაცრ კონტროლს.

გარდა სასულიერო სასწავლებლებისა, ოსი ახალგაზრდობა კავკასიის სხვა მთიელთა შვილებთან ერთად სარგებლობდა კავკასიის სამხედრო კორპუსის ცალკეულ პოლკებთან და ბატალიონებთან არსებული ე. წ. „სამხედრო აღზრდის სკოლებით“, სადაც სწავლა და კვება უფასო იყო და ბავშვები 17 წლის ასაკამდე რჩებოდნენ. მიუხედავად სასწავლო პროგრამის დაბალი დონისა და სწავლების კლასობრივი ხასიათისა, აღნიშნულმა სკოლებმა გარკვეული როლი ითამაშეს ოსების შემდგომ კულტურულ წინსვლაში. აღნიშნული სკოლებიდან, გარდა სამხედრო ჩინოვნიკებისა, გამოდიოდნენ სამოქალაქო ადმინისტრაციის დაბალი რანგის მოხელეებიც. ოსი ახალგაზრდები სწავლობდნენ, აგრეთვე, თბილისის სასულიერო სემინარიაშიც. მათ რიცხვს ეკუთვნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი აქსო ჯოლიევი.

რაც შეეხება ჩეჩენ-ინგუშებს, მათ სულიერ კულტურაშიც შეინიშნება ცვლილებანი.

აღნიშნული პერიოდის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ნათლადაა ასახული ის მძიმე ვითარება, რაც რუსეთ-კავკასიის ომებმა წარმოშვა. ხალხურ პოეზიაში ცნობილი იყო „სიმღერა ბეიბულატ ტამბიევზე“, „დიდი იურტას განადგურება“ და სხვ. ვეინახთა ზეპირსიტყვიერებაში გაჩნდა სიმღერები „კატორღელებზე“, სადაც ასახული იყო მეფის რუსეთის მკაცრი დამოკიდებულება უფლებააყრილი ვეინახებისადმი.

მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების მიუხედავად, ჩეჩენ-ინგუშებმა კარგად შემოინახეს წარმართული რელიგიის ელემენტებიც. გარდა ხატსალოცავებისა, ფართოდ იყო შემორჩენილი წარმართული წეს-ჩვეულებები. დიდი პატივისცემით სარგებლობდა სალოცავები „თუშოლი“, „სუსონ-დელა“, „მიატერ-დელა“ და სხვ. აქ გავრცელებული იყო „მეზირის“ კულტი. ვეინახებს დამწერლობა არ ჰქონდათ. ქრისტიანობის ქადაგება ქართულ ენაზე წარმოებდა, ხოლო მაჰმადიანობისა — არაბულ ენაზე. მეზობელ ხალხებთან, კერძოდ საქართველოსთან ურთიერთობა ხელს უწყობდა

ვეინახთა კულტურის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას. ამასთანავე, მათი კულტურის ელემენტები გზას იკაფავდა მეზობელ ხალხებში და მათ შორის საქართველოშიც.

იმავე როგორც მთელ ჩრდილო კავკასიის ხალხებში, აქაც დიდი ყურადღება ექცეოდა ადათის დაცვა-სიწმინდეს. ეს იყო სტუმართმოყვარეობა, ყონაღობა, უხუცესთა პატივისცემა და სხვ.

შამილის თეოკრატიული სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ჩეჩენ-ინგუშები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუსულ კულტურას, რამაც მათ შემდგომ განვითარებას ახალი გეზი მისცა.

დიდ ცვლილებებს განიცდიდა დაღესტნის სულიერი კულტურაც.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და რუსული ადმინისტრაციის წინდაუხედავი სიმკაცრე იწვევდა დაღესტნის ხალხის ყველა სოციალური ფენის უკმაყოფილებას. თანდათანობით მზადდებოდა ნიადაგი სახალხო აჯანყებისათვის, რომელიც გარეგნულად რელიგიურ საბოსელში იყო გახვეული, მაგრამ მას პოლიტიკური სარჩული ედო. ამ მოძრაობის იდეოლოგიას წარმოადგენდა მიურიდიზმი. შამილის თეოკრატიულ სახელმწიფოში კავკასიური მიურიდიზმი წარმოადგენდა ოფიციალურ იდეოლოგიას, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია XIX ს. კავკასიელთა სულიერ კულტურას. შამილი დიდად მფარველობდა მეცნიერებს და სწავლულებს. 1849 წელს დერბენტში გაიხსნა სპეციალური მუსულმანური სასწავლებელი, სადაც ძირითადად ადგილობრივი ბავშვები სწავლობდნენ. ამ დროს ყველაზე მეტად განვითარდა ისტორიული და საგმირო ფოლკლორი. დაღესტნელი ხალხი კავკასიის უთანასწორო ომების ხანაში ქმნიდა ზეპირსიტყვიერების შესანიშნავ ნიმუშებს. ასახავდნენ თავისუფლებისმოყვარე მთიელთა მისწრაფებებს, ხოტბას ასხამდნენ გმირობას, სიმამაცეს, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლთა თავდადებას და სხვ. მაგ., ავარიულ სიმღერაში „მეხთულის აოხრება“ ნაჩვენებია ის მძიმე ბრძოლები, რომელიც წარმოებდა დაღესტანსა და რუსეთს შორის. ასეთივე ხასიათისაა სიმღერა „კურახის ბრძოლაზე“ და განსაკუთრებით დარგიული ლექსი „ერმოლოვის ლაშქრობა აკუშაზე 1819 წელს“. ეს ნაწარმოებები კომპოზიციურად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოთხრობილია მომხდარი ამბების შესახებ. სწორედ ზეპირსიტყვიერების ერთი ნაწილი შეიცავს ისტორიულ ინფორმაციას და შეადგენს დაღესტნური ფოლკლორის მეტად საყურადღებო ნაწილს. მთავარმართებელი ერმოლოვი წარმოდგე-

ნილია როგორც სასტიკი და ულმობელი მმართველი. ხალხის რწმენით, მის ბოროტებასა და მრისხანებას ხალხი შანამ არ დაივიწყებს, სანამ არ დადგება ქვეყნის აღსასრული.

მართალია, დაღესტნელი არისტოკრატია, სამღვდელოება და ოფიციალური პირები სარგებლობდნენ არაბული დაწერილობით, მაგრამ მისი მეშვეობით ხალხური შემოქმედების ფიქსაცია არ ხდებოდა. ამიტომ ხალხური შემოქმედების ბევრმა შედევრმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. XIX ს. შუა ხანებში ცნობილმა მთქმელმა და სახალხო პოეტმა მოჰამედ-ბეგმა შეთხზა მთელი პოემაც კი, რომელიც მიეძღვნა შამილის საქმიანობის ბოლო წლებს და მისი დატყვევების ამბებს.

ხალხურ პოეზიაში დიდი ადგილი ეჭირა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხსაც. ფეოდალურ ზედაფენებსა და წარჩინებულთა წარმომადგენლების მკაცრ სახეებს ხალხი უპირისპირებდა თავის საყვარელ გმირებს. შამილის თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ხანაში გარკვეული ძვრები შეიმჩნეოდა მეცნიერების განვითარებაშიც. იმდროინდელ სწავლულთა შორის ცნობილი იყო ტაჰირ ალ-კარახი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში მსახურობდა შამილის პირად მდივნად. მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქრონიკები", რომელიც არაბულადაა დაწერილი. ეძღვნება შამილის საქმიანობას და მიურიდიზმის აღწერას. XIX ს. 40-იანი წლებიდან ბევრი დაღესტნელი სწავლული ეუფლებოდა რუსულ ენას.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX ს. II ნახევარში

XIX ს. II ნახევარში ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. ამ მხარის დამორჩილებისათვის წარმოებული თითქმის 60-წლიანი ომი საბოლოოდ დამთავრდა მეფის რუსეთის გამარჯვებით და ამ რეგიონის მრავალეროვანი ხალხის ისტორიაში დაიწყო მშვიდობიანი განვითარების ხანა, რაც, პირველ რიგში, ხასიათდებოდა რუსული მმართველობის სისტემის საყოველთაო შემოღებით, ადგილობრივ სამმართველო ინსტიტუტთა შეზღუდვა-გაუქმების ხარჯზე და რუსეთთან

მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებით.

მართალია, რუსეთი დაპყრობილ ქვეყნებში ახორციელებდა ძალადობისა და ერთა ჩაგვრის უხეშ პოლიტიკას, ობიექტურად კავკასიის ხალხს რუსეთის მოწინავე კულტურასთან დაახლოებით საშუალება ეძლეოდა დამდგარიყო გარკვეული პროგრესის გზაზე. ასევე ობიექტურად სასარგებლო შედეგი მოჰქონდა რუსული ენის ნაძალადევ დანერგვას. ამდენად ეს პერიოდი არის, ერთი მხრივ, ეროვნული ჩაგვრის, ხოლო მეორე მხრივ, კულტურული ზრდის და აღმავლობის ხანა. საფუძველი ჩაეყარა ახალი ეროვნული კულტურის აღმავლობას, ახალი ინტელიგენციის ჩამოყალიბებას და შესაბამისად მოწინავე რუსულ კულტურასთან კავშირში საერთო წინსვლას, რომელიც XIX ს. ბოლოს დაგვირგვინდა უზარმაზარი ნახტომით პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროში.

XIX ს. ბოლო არის მარქსიზმის შემოსვლისა და გავრცელების ხანა, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის კულტურასაც წარუშლელი კვალი დაამჩნია. ამასთან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემოქრამ დაამსხვრია ვიწრო ეროვნული ჩარჩოები და საფუძველი შეუქმნა ინტერნაციონალური მუშათა კლასის ჩამოყალიბებას, რომელიც მოწოდებული იყო ჩაგვრისაგან ეხსნა კოლონიალური უღლის ქვეშ მყოფი არარუსი ხალხებიც.

XIX ს. II ნახევარი არის კულტურული აღორძინების ხანა, სადაც კავკასიის მთელი მოსახლეობა გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტივობით და წინსვლის წყურვილით. გაძლიერდა კავკასიის ხალხის ისტორიისა და ყოფის შესწავლა, რასაც ძირითადად რუსი მეცნიერები აწარმოებდნენ. შეიქმნა მძლავრი ისტორიულ-გეოგრაფიული ბაზა და საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი ინტელიგენციის მომზადების საქმეს, რომელიც ყალიბდებოდა რუსული კულტურისა და სამეცნიერო სკოლების უშუალო ზეგავლენით. უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს. II ნახევარი წარმოადგენდა თვით რუსული კულტურის უმაგალითო აღმავლობის ხანას, როდესაც რუსული ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. კაპიტალისტურ ურთიერთობათა მძლავრი აღმავლობა ამზადებდა ნიადაგს იმ ძვრებისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა კულტურული რევოლუცია მთელს რუსეთში, რაც ბუნებრივია, ირეკლებოდა კავკასიელი ხალხის კულტურაშიც. ახალგაბ-

რდა ინტელიგენციის ჩამოყალიბებაზე. ზემოქმედებდა პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა შემოქმედება და, რაც მთავარია რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის, ბელინსკის, აგრეთვე, მწერლების — დოსტოევსკის, ტოლსტოის, ტურგენევის და სხვათა ფილოსოფიურ-ლიტერატურული ნაწარმოებები.

საერთო სასწავლებლების და გიმნაზიების მომრავლების პირობებში მთელს ჩრდილო კავკასიაში და მათ შორის ადიღე-ჩერქეზებში თანდათანობით გაიზარდა სწავლული ახალგაზრდობის რიცხვი. 1866 წელს მაიკოპში გაიხსნა მთიელთა სკოლა, რომელიც 1892 წლისათვის დაამთავრა 177 ახალგაზრდამ მათ შორის უმეტესობა ადიღეელები იყვნენ. მალე ეს სკოლა გადაკეთდა მექანიკურ-ტექნიკურ სასწავლებლად. არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებლებიც, რომლებსაც მეფის ხელისუფლება იყენებდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის — ადგილობრივ მოსახლეობაში პრორუსული ფენის შესაქმნელად. ამ სკოლების კლასობრივი და კოლონიური ხასიათი აშკარა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სკოლებმა დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივი ინტელიგენციის ჩამოყალიბების საქმეში. იმატა იმ ადიღე-ჩერქეზთა რიცხვმა, რომლებიც მიემგზავრებოდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში (შუმაკ ტოტლოკმა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ). საინტერესო ჩანაწერები და სტატიები გამოაქვეყნა მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა ფ. იუხოტნიკოვმა. რუსული განათლების უპირატესობა ისევ აშკარა იყო, რომ მუსულმანური სკოლების მოსწავლეთა რიცხვი განუხრელად მცირდებოდა.

მართალია, ადიღე-ჩერქეზული დამწერლობის შექმნის რამდენიმე ცდა არსებობდა და რუსული თუ არაბული გრაფიკის საფუძველზე იქმნებოდა სათანადო ანბანები, მაგრამ მათ არ ჰქონიათ ფართო პრაქტიკული დანიშნულება. ადიღეელი მწერლები და მოღვაწეები წერდნენ რუსულ ენაზე. კერძოდ, მწერალმა სულთან ყაზი-გირეიმ პუშკინის დახმარებით „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა „აჟიტუგაის ვალი“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლიტერატურულ წრეებში. ამ ნაწარმოებს მალალი შეფასება მისცა პუშკინმა და ბელინსკიმ. ასევე მწერალმა სულთან კრიმ-გირეიმ 1866 წ. გამოაქვეყნა „Путевые заметки“ და „Несколько слов о нашей стране“, სადაც ადიღეური სინამდვილეა აღწერილი.

განსაკუთრებული ადგილი ადიღეურ-ჩერქეზული კულტურის ისტორიაში ეკუთვნის სულთან ხან-გირეისა და კალამბიის, რომლებიც. მართალია, XIX ს. I ნახევარში მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათი ნაწარმოებები გამოქვეყნდა XIX ს. II ნახევარში. კალამბიის ანუ ადილ გირეი კეშევის „Записки черкеса" და მოთხრობები „На холме" და „Абреки" ითვლებიან ადიღეურ-ჩერქეზული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებად. რაც შეეხება ხან-გირეის საშეცნიერო-ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს, მათ დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. 1846—1874 წლებში გაზეთი „კავკაზი" სისტემატურად ბეჭდავდა ნაწყვეტებს მისი ნაწარმოებებიდან („ჩერქეზული ხალხის მითოლოგია", „ჩერქეზული გადმოცემები", ბესლენეი აბატი" და სხვ.).

1893 წელს გამოქვეყნდა ხან-გირეის დიდტანიანი ნაწარმოები „Князь Пшьокой Аходягоко", სადაც კარგადაა აღწერილი ბეჟედუხთა ყოფა-ცხოვრება და სოციალური ვითარება.

ამ პერიოდში რუსი სწავლულების ნ. პიროგოვის, კ. უშინსკის და სხვათა გავლენით აღიზარდა ადგილობრივ პედაგოგთა კადრები, რომლებიც, მიუხედავად მეფის მოხელეთა მიერ შექმნილი ხელოვნური ბარიერებისა, ახერხებდნენ ეზრუნათ იმისათვის, რომ ადიღეელ ბავშვებს დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ. ადიღე-ჩერქეზ განმანათლებელთა ამ თაობის წარმომადგენლები იყვნენ: ყაზი ატაჟუკინი, უმარ ბერსეი, პეგო ტამბიევი, ნუხა ცეი, ცუგა ტეუჩეი და რევოლუციონერი იდეების მქადაგებელი მოსე შოგენოვი.

ყაზი ატაჟუკინი თავისთავს თვლიდა კ. უშინსკის მიმდევრად და მიაჩნდა, რომ ადიღეელი ახალგაზრდობის კულტურული წინსვლისათვის აუცილებელი პირობა იყო რუსული ენის შესწავლა. მისი აზრით, რუსული ენის საფუძვლიანი შესწავლა კი შესაძლებელი იყო მშობლიური ენის ბაზაზე. ამიტომ ის დაულალავად ილვწოდა ადიღეურ ენაზე რუს პედაგოგთა შრომების გადმოსაღებად. მისი აზრით, რუსული ანბანის საფუძველზე აგებული ადიღეური დედა-ენა ხელს შეუწყობდა არა მარტო ბავშვების იოლ აღზრდას, არამედ რუსული ენის ცოდნის განმტკიცებას. 1868 წ. უშინსკის სახელმძღვანელოს მიხედვით მან შეადგინა „უბარდოული ანბანი" და „საკითხავი წიგნი" დაწყებითი სკოლებისათვის.

სტავროპოლის საგუბერნიო გიმნაზიის პედაგოგმა უმარ ბერ-

სეიმ 1861 წელს ხელახლა შეადგინა ადიღეური ანბანი, რასაც კვლავ რუსული გრაფიკა ედო საფუძვლად.

სწავლა-განათლების წყურვილი იმდენად დიდი იყო, რომ როდესაც სკოლების გასახსნელად სახელმწიფო სახსრებს არ გამოჰყოფდა, ცალკეული აულები საკმაოდ დიდი თანხის გაღებაზე თანხმდებოდნენ, ამ დიდ საქმეში მათ ეხმარებოდნენ რუსი მოღვაწეები. კერძოდ, ლ. ტოლსტოის რჩევითა და დახმარებით აულ ტახტამუკაის მცხოვრებლებმა დაარსეს პირველი კეთილშობილთა სკოლა, რომელსაც ტოლსტოიმ უსახსოვრა საგანგებო ბიბლიოთეკა. ადიღეურ-ჩერქეზული ენის შესწავლის საქმეში ღვაწლი მიუძღვის ცნობილ რუს მეცნიერს პ. უსლარს, რომლის ნაშრომები დღესაც ინარჩუნებენ მეცნიერულ ინტერესს და დიდ სამსახურს უწევენ კავკასიურ ენათმეცნიერებას. შეიძლება ითქვას, რომ ჩერქეზულ და აბაზინური ენების ნამდვილ შესწავლას უსლარმა ჩაუყარა საფუძველი.

XIX ს. II ნახევარში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ადიღეში აღმოცენდა ქალაქები და თანდათანობით განვითარება იწყო საქალაქო კულტურამ. ახალი ეკონომიკური რაიონების შექმნის პირობებში პოლიტიკური ცენტრები და მათ შორის მაიკოპიც საკმაოდ დიდ ქალაქებად იქცნენ. 1870 წელს ქ. მაიკოპს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. მოსახლეობის სწრაფი ზრდა და მრეწველობის განვითარება ხელს უწყობდა ქალაქში კულტურულ დაწესებულებათა კონცენტრაციას. სკოლების გარდა მაიკოპში იყო საქალაქო ბიბლიოთეკა, გამოდიოდა გაზეთები, ხოლო 1898 წ. გაიხსნა პუშკინის სახელობის სახლი, რომელშიც დღეს დრამატული თეატრია მოთავსებული.

ადიღეელ ინტელიგენციაზე და იქაურ კულტურულ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია 1897 წ. ამ მხარეში მოწყობილმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც მეთაურობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ალმოსაელეთმცოდნე ნ. ვესელოვსკი. სწორედ ამ ხანებში აღმოჩნდა ცნობილი მაიკოპის ყორღანი. ვესელოვსკი და მისი ექსპედიციის წევრები, გარდა საველე კვლევაძიებისა, ხშირად კითხულობდნენ ლექცია-მოხსენებებს ადგილობრივი ინტელიგენციის წინაშე.

XIX ს. II ნახევარში რუსმა სწავლულებმა დიდი მუშაობა გასწიეს და შეკრიბეს ამ მხარის უძვირფასესი ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა. რუს მკვლევართა შორის ფასდაუდებელია

ლეონტოვიჩის, ბელოკუროვის, დუბროვინის, სტალის და სხვათა ნაშრომები.

ახალმა ეკონომიკურმა ყოფამ თავისი კვალი დაამჩნია ადიღეელთა ზეპირსიტყვიერებას. ხალხურ პოეზიაში შეიჭრა ახალი თემატიკა, სადაც ასახულია მასების სწრაფვა სოციალური თანასწორობისაკენ.

რაც შეეხება ყარაჩაელებს, ამ პერიოდში კულტურის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ყარაჩაელ ისლამ კრიმ შამხალოვს (1864—1910), საზოგადო მოღვაწეს, მხატვარსა და პოეტს, მთის მოსახლეობის და ბუნების დაცვის ორგანიზატორს. მას ზრდიდა ყაბარდოელი განმანათლებელი ს. ურუსბაევი. სიყრმის წლები გაატარა პეტერბურგში —სამხედრო სამსახურში, სადაც ეზიარა მოწინავე რუსულ კულტურას. მასზე დიდი გავლენა მოახდინა ტოლსტოის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და მხატვარ იაროშენკოს შემოქმედებამ. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ყარაჩაის ტყვიაგერცხლის მაღაროს კანტორაში, მაგრამ მალე გაემგზავრა მოსკოვში სამხატვრო სასწავლებელში, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაასრულა. საბოლოოდ დასახლდა თებერდაში, სადაც მისი სახლი წარმოადგენდა კულტურის მოღვაწეთა თავშეყრის კერას. ის თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, წერდა ლექსებს, პროპაგანდას ეწეოდა თავისი მხარის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ, ზრუნავდა ახალგაზრდობის აღზრდაზე. მან შეადგინა ლათინური ნიშნების გამოყენებით ანბანი და ამ ანბანის გამოყენებით დაწერა რამდენიმე ორიგინალური ნაწარმოები.

ხალხური პოეზიის საუკეთესო პროპაგანდისტები იყვნენ მოხეტიალე მომღერლები, რომლებიც გადადიოდნენ აულიდან აულში და სიმღერებში გამოხატავდნენ ხალხის სიხარულს თუ გულისტკივილს.

დიდმა ძვრებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში და მშრომელი მოსახლეობის თანდათანობით გამოფხიზლებამ მეფის ხელისუფლებას უკარნახა განეხორციელებინა რეფორმები არა მარტო სოციალურ სფეროში, არამედ განათლების სისტემაშიც. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 1859 წლის კანონი მთიელთა სკოლების გახსნის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე 1860 წლის 15 აგვისტოს ქ. ნალჩიკში გაიხსნა მთიელთა პირველი სკოლა 3 კლასით; ვინაიდან გადასახადი დიდი იყო (80 მან. წელიწადში), ამიტომ ეს სკოლა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მაღალი ფენებისათვის.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაღრმავებამ და სწრაფმა გარდაქმნებმა სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში გამოიწვია ადგილობრივი კადრების მომზადების აუცილებლობა, ამიტომ 1879 წელს ნალჩიკში გაიხსნა ტექნიკურ-აგრონომიული განყოფილება, რომელშიც ცოდნას ეუფლებოდა როგორც ყაბარდოელი, ასევე ბალყარელი ბავშვები. გარდა ამისა, სწავლობდნენ თერგის ოლქის სხვა სკოლებშიც. ისე რომ, 1878 წელს თერგის ოლქის ყველა სკოლაში მოსწავლე 7 384 ბავშვიდან 89 ყაბარდოელი იყო, ხოლო 32—ბალყარი.

ყაბარდოელი და ბალყარი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა მზარდი ქ. ნალჩიკი, სადაც XIX ს. ბოლოსათვის უკვე სამი სკოლა იყო.

მიუხედავად მრავალი ცდისა, ყაბარდოულ ანბანს XIX ს. II ნახევარში პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია. ყველა სკოლაში სწავლება წარმოებდა რუსულად, ხოლო სასულიერო სასწავლებლებში — არაბულად.

გამოაკუთრებული ღვაწლი ყაბარდოელთა და ბალყართა განათლების საქმეს დასდო ლ. ლოპატინსკიმ, რომელმაც რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნა ყაბარდოული ანბანი. 1891 წ. თბილისში გამოქვეყნდა ლოპატინსკის „ყაბარდოული ენის გრამატიკა“ და „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ის ილვწოდა ყაბარდოული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესაგროვებლად.

რუსული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენით დიდი ცვლილებები განიცადა ყაბარდო-ბალყარეთის მოწინავე საზოგადოებამ. ამ მხრივ აღსანიშნავია დ. კოძოკოვი, ა. კიშევი, ა. ატაჟუკინი, ი. ურუსბაევი, ს. ურუსბაევი, მ. აბაევი და სხვ. დ. კოძოკოვი (1818—1893 წწ.) იზრდებოდა კერძო რუსულ პანსიონში, დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. 1863—1888 წლებში იყო საგლეხო რეფორმის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე თერგისა და ყუბანის მზარეში. ის მკაცრად აკრიტიკებდა რეფორმის ნაკლოვან მხარეებს და ერმოლოვის პოლიტიკას. ამავე დროს ხვას იმაღლებდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების წინააღმდეგ. ის თავისი სტატიებით მოუწოდებდა ყაბარდო-ბალაყარეთის მოსახლეობას, რომ მათ ხელი მოეცვლათ სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებში სიახლეთა დანერგვისათვის და რუსული ენის შესწავლისათვის. მისი აზრით, სწორედ რუსული ენის მეშვეობით შეიძლებოდა რეალური გამხდარიყო ხალხის კულტუ-

რული დაწინაურება. მაგრამ მის შემოქმედებას, მის პუბლიცისტურ წერილებს აკლდა რევოლუციური სულისკვეთება, იგი უფრო ზომიერი ლიბერალი იყო და მის მიხედვით ყველა მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნა „ზევიდან“ უნდა მომხდარიყო.

კ. ატაევკინმა (1841—1893 წწ.) დაამთავრა სტავროპოლის გიმნაზია და 1860 წ. შევიდა თბილისში სამხედრო სამსახურში. თბილისში ყოფნისას გაეცნო ადგილობრივ მოღვაწეებს, ეზიარა უშინსკის პედაგოგიურ მოძღვრებას და მტკიცედ გადაწყვიტა თავისი შემოქმედებითი ენერგია მიეძღვნა ყაბარდოელი ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მან რუსული გრაფიკის მეშვეობით შეადგინა ყაბარდოული ანბანი. ამ ანბანს საფუძვლად ედო უსლარისეული ანბანი და შეადგინა ანბანის საკუთარი ვარიანტი, რომელიც დაიბეჭდა. ამ ანბანით ყაბარდოს დაწყებით სკოლებში ასწავლიდნენ მშობლიურ ენას. 1864 წელს მან ყაბარდოულად თარგმნა და გამოსცა საადის „გულისტანის“ რამდენიმე მოთხრობა, ხოლო 1868 წელს კი თარგმნა რამდენიმე მოთხრობა უშინსკის „ბავშვთა სამყარო“-დან. ატაევკინის მიერ ყაბარდოულ ენაზე გამოცემული წიგნების რიცხვი 2 000 ეგზემპლარს აჭარბებს.

აღსანიშნავია ისმაილ ურუსბაევის მოღვაწეობა ყაბარდო-ბალყარეთში. ის წარმოშობით ბალყარი აზნაური იყო. იგი ითვლებოდა კავკასიური ფოლკლორისა და მუსიკის საუკეთესო მცოდნედ. თავის შვილებთან ნაურუზთან და საფარ-ალისთან ერთად მეგზურობას უწევდა რუს კომპოზიტორებს ს. ტანეევს და მ. ბალაკირევს ყაბარდო-ბალყარეთის მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის დროს. ისმაილ ურუსბაევის შვილი საფარ-ალი სწავლობდა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. ვ. მილერისა და მ. კოვალევსკის გავლენით ის გატაცებული იყო თავისი ხალხის ისტორიის, ფოლკლორის და მშობლიური გრამატიკის შედგენით.

ისმაილ და საფარ-ალი უსურბაევებმა დიდი ღვაწლი დასდეს ნართების ეპოსის შეკრების საქმეს. მათ ჩაიწერეს ყარაჩაელთა შორის გავრცელებული ძირითადი თქმულებები, რამაც ნართების ეპოსის კვლევის საქმეში დიდი როლი ითამაშა.

კავკასიის ომის დამთავრებამ და ჩრდილო კავკასიის კაპიტალისტური განვითარების გზაზე შედგომამ უდიდესი ძვრები მოახდინა ოსი ხალხის კულტურულ განვითარებაში. ამ პერიოდში ოსეთში სკოლების ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო საეკლესიო-სამრევლო. 1871 წლისათვის მათმა რიცხვმა 15-ს მიაღწია. აქედან ერთი სკოლა იყო ქალების. მოსწავლეთა რიცხვი სულ 470 იყო.

1874 წელს ამ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 605-მდე გაიზარდა. 1880 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ საუწყებო სკოლების რიცხვი 20-მდე გაიზარდა. ვლადიკავკაზში არსებობდა ოლღას სახელობის სამკლასიანი ოსური სკოლა — ქალთა თავშესაფარი. ყველა ამ სკოლაში 674 მოსწავლე იყო. 1887 წელს ვლადიკავკაზში იყო 20 სასწავლო დაწესებულება. მაგრამ როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა გვეჩვენოს სასკოლო ქსელის ზრდა ოსეთში, იგი სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ 8—10% მოიცავდა.

1898 წ ჩრდილო ოსეთის მთის სოფლებშიც გაიხსნა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც სწავლება სასულიერო ხასიათს ატარებდა. მათ სპეციფიკაზე ხშირად მიუთითებდა ცნობილი ოსი პედაგოგი და პუბლიცისტი ხ. ურუმაგოვი. 1870 წლიდან ჩრდილო ოსეთში სწავლების საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა: სკოლები გადაეცა კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს, მასწავლებლებად კი ინიშნებოდა პედაგოგიური განათლების მქონე ახალგაზრდები ოსთა წრიდან, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სასწავლებელი; ერთგვარად გაუმჯობესდა სასწავლო პროგრამები და სწავლების პროცესი დაუახლოვდა სამინისტრო სკოლების სასწავლო პროცესს. ამ პერიოდის სკოლებში, ცარიზმის მეთოდური კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, ოსურ ენას არ სდევნიდნენ.

1885 წლიდან საერთო-პოლიტიკური რეაქციის დამკვიდრების შემდეგ საეკლესიო-სამრევლო სკოლები მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სრულ განკარგულებაში გადავიდა. სკოლების უფროსებად ინიშნებოდნენ რეაქციონერი მღვდლები. სკოლებიდან გამოდევნეს უშინსკის „როდნოე სლოვო“. შემოიღეს სლავური ენის სწავლება.

გარდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა, გაიხსნა თერგის ოლქის სახალხო სასწავლებელთა დირექციის ერთკლასიანი სკოლები. მსგავს სკოლებს ზოგან ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები საკუთარი ხარჯითაც ხსნიდნენ. 1887 წ. არდონში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1895 წ. გადაკეთდა სასულიერო სემინარიად. მისმა ბევრმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და კვალიფიციური სპეციალისტების სახით დაუბრუნდნენ თავის

ქვეყანას. ამ სკოლებმა განსაზღვრული აზრით დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში, შეიტანეს მასში ცოდნის ელემენტები, გააღვიძეს სწრაფვა განათლებისაკენ.

XIX ს. რეფორმისშემდგომი ხანა ოსი ხალხის ისტორიაში იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ამ დროს აღმოცენდა ოსური ლიტერატურა. შეიქმნა სალიტერატურო ოსური ენა, რაც დაკავშირებულია დიდი რევოლუციონერი დემოკრატის კ. ხეთაგუროვის სახელთან.

კ. ხეთაგუროვმა (1859—1906 წწ.) განათლება მიიღო მშობლიურ აულ ნარში. შემდეგ ვლადიკავკაზში, ხოლო 1871 წ. სტავროპოლის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში — სამხატვრო აკადემიაში. მატერიალურმა ხელმოკლეობამ ის აიძულა დაბრუნებულიყო ოსეთში და დაეწყო აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. მან შეისწავლა ოსი ხალხის ფოლკლორი და ენა. მისი ნაწარმოებები დაბეჭდვამდე ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში. მისი ლექსების კრებული „ირონ ფანდირ" („ოსური ჩანგი") 1899 წელს დაიბეჭდა. ეს უდიდეს მოვლენად იქცა ოსი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

კ. ხეთაგუროვი არ კმაყოფილდებოდა არსებული ვითარების ტბრალო აღწერით. მისი პოეზია გაჟღენთილია მებრძოლი სულით, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის პათოსით. მისი პოეზია არის მოწოდება შეურიგებელი ბრძოლისაკენ ბნელი ძალების წინააღმდეგ. იგი ცრძნობდა, რომ ტვედნიერებისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ ბრძოლის გზაა და თავისი მხატვრული შემოქმედებით ამზადებდა ოს ხალხს ამ ბრძოლისათვის. ამისათვის ის თერგის ფარგლებს გარეთ გადასახლეს 5 წლით. კ. ხეთაგუროვი არის არა მარტო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, არამედ თავისი ხალხის ისტორიისა და ყოფის შესანიშნავი მცოდნე, რაც კარგად ჩანს მის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში „ოსობა".

ოსეთის კულტურის ისტორიაში აღსანიშნავია ინალ კანუკოვის (1851—1898) მოღვაწეობა. მისი ნაწარმოებები არა მარტო მხატვრული ლირებულების მატარებელნი არიან, ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესონი. ასეთებია მისი ნაწარმოებები: „ოსურ აულში", „მთიელის შენიშვნები", „მთიელები — გადასახლებულნი", „ალექსანდრეპოლიდან ერზერუმამდე", „ორი სიკვდილი" და სხვ. მან თავის ნარკვევებში ასახა მთიელთა თურქეთში გადასახლების ტრაგიკული სურათი, მამასახლისებისა და

მეფის ადმინისტრაციის თვითნებობა, ოსი ხალხის ზნე-ჩვეულებანი. ამხილა დრომოჭმული ჩვევები. მან გადასახლებაში დაწერა ლექსები და „ვოსტოჩნის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა გაზეთ „ვლადიოსტოკში“. მაგრამ ის ვერ განთავისუფლდა ლიბერალური თვალსაზრისისაგან, სჯეროდა, რომ მდიდრების გულის მოლბობა შეიძლება და სხვ.

XIX ს. დასასრულს ქმნიდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს პოეტი ბლაშკა გურჯიბეკოვი (1868-1905 წწ.). მის პოემაში „მომხიბლავი მზეთუნახავი“. ლექსების კრებულში და კომედიაში ლექსად „სულელი“ დაყენებულია ქალთა ემანსიპაციის საკითხი, კეთილისა და ბოროტის, თავისუფლებისა და მონობის ბრძოლის იდეა. ის იბრძოდა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ.

XIX ს. ბოლოს გაიშალა ოსი თვითნასწავლი მწერლისა და პოეტის სეკა გადიევის შემოქმედება. ის კარგად გაეცნო ქართულ საეკლესიო და საერო ლიტერატურის ძეგლებს, ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. ის თავის შემოქმედებაში ეხებოდა ღარიბი მთიელი ოსების უსიხარულო ცხოვრებას. ბატონყმობისა და დრომოჭმული პატრიარქალური ადათების სიმძიმის ქვეშ მათ გვინვას. როგორც ნ. ჯღესოითი აღნიშნავს, მის ლიტერატურულ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ალ. ყაზბეგი, რომლის შემოქმედებასაც ის კარგად იცნობდა. სეკა გადიევის ლექსებში, იგავ-არაკებში დაუზოგავად არის მხილებული ალდარ- ფეოდალების მიერ ღარიბი მთიელების აბუჩად აგდება და დამცირება, საერთოდ ადამიანის მანკიერი მხარეები და ქადაგებდა ჰუმანიზმის იდეებს.

XIX ს. მიწურულში ასპარეზზე გამოვიდა ოსი პუბლიცისტ-ეთნოგრაფების მთელი პლეადა. ძმები გაცირ, გუცირ და ჯანთემირ შანაევები ცნობილი იყვნენ ნარტების ეპოსის შეკრებით და პუბლიკაციით. მათ დიდი როლი შეასრულეს „თერგის ოლქის მთიელთა შორის მცხოვრების და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ ჩამოყალიბების საქმეში.

80—90-იანი წლების მოღვაწეთაგან აღსანიშნავია ს. ტუკაევი. ვ. მილერის დავალებით დიგორული დიალექტიდან თარგმნიდა რუსულად და პირიქით. მის მიერ ჩაწერილი 12 დიგორული თქმულება გამოსცა ვ. მილერმა. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევი „დიგორიის მთებში“ (დაიბეჭდა გაზეთ„ ტერსკიე ვედომოსტში“ 1889 წ.) შეიცავს ფაქტიურ მასალას საადგილმამულო ურთიერთობაზე, მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვ.

ასევე აღსანიშნავია ს. კოკიევის ეთნოგრაფიული ჩანაწერები

„ურვადი ოსებში“ და „ჩანაწერები ოსთა ყოფაზე“ (დაიბეჭდა 1885 წ. კრებულში „Сборник материалов по этнографии“ ეს შრომები მ. კოვალევსკიმ გამოიყენა თავის მეცნიერულ გამოკვლევებში.

საყურადღებოა ცნობილი ოსი რევოლუციონერ-ხალხსნის ა. არდასენოვის პუბლიცისტური მოღვაწეობა. მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან მნიშვნელოვანია მისი ნარკვევი „Переходное состояние горцев Северного Кавказа“, რომელიც გამოვიდა თბილისში 1896 წელს. ნარკვევში მან გვაჩვენა კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა ოსი ხალხის ეკონომიკასა და ყოფაში, ჩრდ. კავკასიელი მთიელების კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებისა და სოციალური წყობის სურათი. მისი სიტყვით, კავკასიის მთიელებმა უკვე დაკარგეს საკუთარი გზით განვითარების შესაძლებლობა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ორომტრიალში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ. არდასენოვი არ მისულა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის გაგებამდე და მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავდა ხალხის განათლებაში. მაგრამ მას სჯეროდა, რომ ახალი მოვლენები უშედეგოდ რა ჩაივლის და „ოსეთს 30 წლის შემდეგ ვეღარ იცნობ, ისეთ სრულიად ახალ ქვეყნად იქცევაო“

როგორც ცნობილია, რუსული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი გავლენას ახდენდა ოსი საზოგადოების განვითარებაზე. ამ მოვლენამ ფართო და აშკარად ხელშესახები მასშტაბები მიიღო რეფორმისშემდგომ ხანაში. ისეთმა რუსმა მეცნიერებმა, როგორიც იყვნენ ვ. მილერი, მ. კოვალევსკი, თ. ლეონტოვიჩი, დ. ლავროვი და სხვ., დიდი ამაგი დასდეს ოსური ენის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის განვითარებას.

70-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა ოსეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაზე სამართლის დოქტორი ვ. პაფფი. მან იმოგზაურა ოსეთში და შექმნა შემდეგი შრომები: „Материалы для древней Осетии», «Народное право осетин», «Путешествие по ущельям Оестии», «Описание путешествия в Южную Осетию, Большую Кабарду и Дигорию» და სხვ.

ვ. პაფფი ბევრ მცდარ და სადავო დებულებას ანვითარებს, მაგრამ მის ნაშრომებში თავმოყრილ უზარმაზარ ფაქტიურ მასალას ოსური ენის, სოციალური ურთიერთობისა და ყოფის შესახებ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

რეფორმის შემდგომი პერიოდისათვის აღსანიშნავია ის, რომ

ოსი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას იღებს თბილისსა და გორში. თბილისი დიდ როლს ასრულებდა ჩრდილო ოსეთის ინტელიგენციის კადრების ჩამოყალიბების საქმეში. იმავდროულად ქართველი ინტელიგენტებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ოსეთში. ვლადიკავკაზში მოღვაწე ქართველთაგან აღსანიშნავია მ. უფიანის მოღვაწეობა. 1883 წლიდან ის სათავეში ედგა თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას. საზოგადოება ხელს უწყობდა ოსეთში პირველდაწყებითი სახალხო სკოლების ქსელის გაშლას, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების დაფუძნებას. 1890 წ. გამოიცა ა. კანუკოვის „ოსური ანბანი“ და სხვ. მ. უფიანს ეკუთვნის ნაშრომი „От Казбека до Эльбруса“. ნაშრომი გვიჩვენებს მთის ზოლის მეურნეობის თავისებურებებს და მთიელების მიწით უზრუნველყოფის მძიმე სურათს.

1894—1900 წწ. თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად გადაყვანილ იქნა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი ა. ჭიჭინაძე. მან დიდი ღვაწლი დასდო არარუსთა სკოლებში რუსული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. იგი მოითხოვდა, რუსული ენის სწავლება დაეფუძნებინათ წმიდა ლიტერატურული ენის სწავლებაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის ღვაწლი ოსი ხალხის ისტორიის საკითხების კვლევასა და დაყენებაში. აღსანიშნავია მის მიერ ქართულ წყაროებში ოსების და სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შესახებ დაცული მასალების გამოვლენა-გააზრება. ეს მასალები მან დაბეჭდა სათაურით: „Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России.“ მასვე ეკუთვნის წერილი „Из осетинской истории“, რომელშიც ოსების ძველი ისტორიის არა ერთი საკითხია დასმული. მასვე ეკუთვნის ი. იალღუზიძის პოემის „ალღუზიანის“ რუსული თარგმანი და პარალელურად ქართულ-რუსულ ენებზე მისი დაბეჭდვა.

XIX ს. II ნახევარში, ისევე როგორც მთელს კავკასიაში, ვეინახებშიც იგრძნობოდა სწავლა-განათლებისაკენ ლტოლვა, მაგრამ ცარიზმი კავკასიაში საერთოდ და კერძოდ ოსეთ „ძნელად მისასვლელ“ ქვეყანაში, როგორიც იყო ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ხელოვნურად აფერხებდა სკოლების გახსნისა და სახალხო განათლების საქმეს. ეს ყველაფერი ხელში ჰქონდათ ჩაგდებული დაბალი რანგის მუსულმანურ-რელიგიურ სკოლებს, სადაც ბავშვებს არაბულ ენაზე უნერგავდნენ რელიგიურ ფანატიზმს. პირველი საერო სკოლები

აქ დაარსდა 1863 წელს გროზნოში — ჩეჩნებისათვის და 1870 წელს ნაზრანში — ინგუშებისათვის. ამ სკოლებშიც უფრო მეტად პრივილეგირებულთა შვილებს იღებდნენ და ამით ამზადებდნენ წერა-კითხვის მცოდნე, ცარიზმისათვის ერთგულ ქვეშევრდომებს. ჩეჩნეთ-ინგუშეთის საერო სკოლები ემორჩილებოდნენ სახალხო სასწავლებელთა თერგის დირექციას. აღნიშნულ ორ სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 150 იყო, სწავლება დაბალ დონეზე იდგა, იდევნებოდა მშობლიური ენა. სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლოთ გამოცდები ჩაებარებინათ სტავროპოლის გიმნაზიაში, მაგრამ იმ პირობით, რომ კარგად სცოდნოდათ რუსული ენა. სტავროპოლის გიმნაზიადამთავრებულთაგან ჩეჩენ-ინგუშური კულტურის აღორძინების საქმეში დიდი როლი ითამაშეს ინგუშებმა ადილ-გირეი დოლგიევმა, ჩახ ახრიევმა და სხვ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის კულტურულ მოღვაწეთა და განმანათლებელთა შორის პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ჟაადულა ახრიევი (1832—1932), რომელმაც ჯერ სტავროპოლის გიმნაზია, ხოლო 1875 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი დაასრულა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ინგუში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა ჩახ ახრიევიც, რომელმაც 1874—1912 წლებში თბილისსა და ვლადიკავკაზში გამოაქვეყნა 10 სტატია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეთნოგრაფიაზე და სიძველეებზე. რაც შეეხება ადილ გირეი დოლგიევს (1845—1886 წ.), სტავროპოლის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1868 წ. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე ნეჩაევის საქმესთან დაკავშირებით გარიცხეს, დააპატიმრეს და გადაასახლეს თერგის ოლქში, სადაც ნაზრანის ინგუშურ სკოლაში მასწავლებლობდა. იგი მომხრე იყო იმისა, რომ ინგუშ ბავშვებს დაწყებით სკოლებში მშობლიურ ენაზე ესწავლათ. ადგილობრივი ინტელიგენციის წრიდან გამოვიდა ცნობილი ეთნოგრაფი უმალათ ლაუდაევი. იგი წარმოშობით ჩეჩენი ყო. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ჩეჩენთა ტომი", რომელიც დაიბეჭდა 1872 წ. მიუხედავად ნაშრომის სუსტი მხარეებისა და ეროვნული ნიჰილიზმის ზოგიერთი ნიშნისა, ეს ნაშრომი შეიცავს საინტერესო მასალას ჩეჩნების წარმოშობის, გამსახლების, საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის შესახებ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის კულტურის დაწინაურებაში, მისი სიძველეების, ეთნოგრაფიული ყოფისა და საზოგადოებრივი წყობის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის რუს მეცნიერებს და ცნო-

ბილ კავკასიოლოგებს: ა. ბერჟეს ფ. ლეონტოვიჩს, ბელოკუროვს, ა. ბუტკოვს, ნ. დუბროვინს, ი. პოპკოს და სხვ.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ჩეჩნეთ-ინგუშეთის არქეოლოგიური შესწავლა. ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები. ამ მხარეში მომუშავეე მკვლევართა შორის საყურადღებოა ნ. ხანიკოვის, ა. იპოლიტოვის, ვ. ანტონოვიჩის, ვ. მილერის და სხვათა ნაშრომები.

რუსი მეცნიერების საქმიანობამ და ახლად ფეხადგმული ადგილობრივი ინტელიგენციის მცდელობამ, მართალია, განვითარების ამ ეტაპზე ვერ შექმნა ვეინახთა წარსულის სრული სურათი. მაგრამ შემზადდა ნიადაგი იმისათვის, რომ უფრო მოგვიანებით ამ მხარეში გაშლილიყო ფეოდალური მეცნიერული საქმიანობა.

რაც შეეხება დაღესტანს, აქ XIX ს. II ნახევარში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ამ ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში მრავალი საგულისხმო ცვლილება მოხდა. მშვიდობიანი ცხოვრების რელსებზე გადასვლასთან ერთად ხალხმა იწყო სწრაფვა განათლებისაკენ. კულტურული წინსვლის ფონზე დიდი აღმავლობა განიცადა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ. დაღესტნურ ზეპირსიტყვიერებას საზრდოს აწვდიდა მთიელთა გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. დაღესტნის ფოლკლორში სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა გვერდით ბევრი ხალხური ლექსი, სიმღერა და პოემაც კია შექმნილი შამილზე, ყაზი-მუჰამედზე, ჰაჯი-მურატზე და სხვ. კარგადაა ასახული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში XIX ს. II ნახევრის სხვა მოვლენებიც, კერძოდ, 1877 წლის აჯანყების სიმღერების მთელი ციკლი უძღვნეს.

XIX ს. შუა ხანებიდან ზეპირსიტყვიერება დაღესტნური პოეზიის ერთადერთ ფორმას აღარ წარმოადგენდა. თანდათანობით გაჩნდნენ პირველი პოეტები და მწერლები, რომლებიც დაღესტნის ხალხთა ცალკეულ ენებზე შეუდგნენ წერას: ამ დროის ყუმიყური პოეზიის მამამთავრად ითვლება პოეტი ირჩი კაზაკი: ლეკი პოეტი ეთიმ ემინი წერდა ლეკურ, აზერბაიჯანულ და არაბულ ენებზე, ებრძოდა ტესამართლობას და სიღარიბეს. დარგიელი პოეტი ბათირაი ჩონგურზე ამღერებდა ლექსებს და ხოტბას ასხამდა ხალხისათვის თავდადებულ გმირებს. იგი თავისი შემოქმედებით ებრძოდა ცარიზმის კოლონიურ და ანტიხალხურ პოლიტიკას. ცნობილია ავარელი პოეტი მუჰამედ ელდარილაევი, რომელიც ქადაგებდა თანასწორობას, ერთიგულებისა და სიყვარულის იდეას.

XIX ს. ბოლოს დაღესტანში მოღვაწეობდნენ პოეტები: ტაჯ-

ჟუტდინი, მაჰმუდ კურლინსკი, მაგომედ ეფენდი ოსმანოვი, იუსუფ მურკელინსკი, ჰასან ალყადარი და სხვ. ეს პოეტები ემსახურებოდნენ დაღესტნელი ახალგაზრდობის აღზრდას. თუ მანამდე სასულიერო-მაჰმადიანური სკოლები განათლების ერთადერთ კერას წარმოადგენდნენ, ამ პერიოდში გაჩნდა საერო სკოლებიც, სადაც სწავლება წარმოებდა რუსულ ენაზე. ამ სკოლებმა ობიექტურად დიდი როლი ითამაშეს ხალხის საერთო განათლებისა და დაწინაურების საქმეში. 1856 წ. დაღესტნის ცხენოსანთა პოლკთან გაიხსნა რუსული სკოლა. 1859 წელს კი ახტის სიმაგრეში გაიხსნა დაწყებითი სასოფლო სკოლა, რომელიც მალე დახურეს. 1861 წ. თემირ-ხან-შურაში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა ექვსკლასიან სასწავლებლად, ხოლო 1897 წელს კი გიმნაზიად. დერბენტში გაიხსნა ქალთა პროგიმნაზია, რომელიც გიმნაზიად გადაკეთდა. ისე რომ XIX ს. ბოლოსათვის დაღესტანში მოქმედებდა 28 საქალაქო და სასოფლო სკოლა, სადაც სწავლობდა 2 093 ბავშვი, აქედან 48% დაღესტნელები იყვნენ, რაც მოწმობს რუსული განათლების მიღების დიდ სურვილზე, რაც შემდგომში გზას უხსნიდა უმაღლესი განათლებისაკენ.

XIX ს. II ნახევარში რუსული პროგრესული მეცნიერების გავლენით ადგილობრივი ტრადიციების მეოხებით საკმაოდ დაწინაურდა მეცნიერება. ენათმეცნიერმა მ. ხანდიევმა დიდი ღვაწლი დასდო რუსული შრიფტით ავარულ ენაზე დამწერლობის შექმნას. ნან პ. უსლარის დახმარებით ბევრი რამ თარგმნა რუსულიდან ავარულად. ცნობილია აბდულა ომაროვი, რომელმაც დახმარება გაუწია პ. უსლარს ლაკური ენის შესწავლის საქმეში. ეროვნული კულტურის და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე იყო მაჰომედ ეფენდი-ოსმანოვი. ის 1872 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა მუსულმანური კანონმდებლობის კურსს. ამავე დროს ის აგროვებდა კავკასიის ეთნოგრაფიულ მასალებს.

აღსანიშნავია ლეკი მეცნიერი ჰასან ეფენდი ალკადარი. მან თავის მშობლიურ სოფელში დასახლების შემდეგ გახსნა სკოლა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „დაღესტნის ისტორია", სადაც აღწერილია დაღესტნის ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. შუა ხანებამდე. მისმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა დაღესტნური მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.

გარდა ადგილობრივი მეცნიერებისა, დაღესტნის გმირული წარსულის, სიძველეების, ენისა და კულტურის შესწავლის საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს რუსმა მეცნიერებმა პ. უსლარმა, ა, ბერეემ,

ე. ვეიდენბაუმმა, ვ. კომაროვმა. ა. დუბროვინმა, მ. კოვალევსკიმ და სხვებმა.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან დავინახეთ, XIX ს. II ნახევარში ჩრდ. კავკასიის ხალხის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. გაფართოვდა და განვითარდა სასკოლო განათლება. გაუმჯობესდა პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტება. ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენა და დასაბამი მიეცა რეალისტურ, დემოკრატიულ ლიტერატურას. საფუძველი ჩაეყარა მშობლიური მხარის ისტორიის, ენის და ეთნოგრაფიის შესწავლას. ამ პერიოდში დასრულდა ადგილობრივი ინტელიგენციის ჩამოყალიბების პროცესი, რომლის მოწინავე ნაწილმა დიდი ამაგი დასდო ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურის დემოკრატიული გზით განვითარებას, კულტურის აღმავლობის საქმეს.

განსაკუთრებულ ხანაში ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურა კიდევ უფრო დაუკავშირდა რუსეთის პროგრესულ კულტურას.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XX ს. დასაწყისში

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა კავკასიის მთიანეთში მძლავრად შეაბიჯა. სამრეწველო კაპიტალი იპყრობდა სულ ახალ-ახალ რაიონებს და თავის ფერხულში აბამდა სოციალურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებსაც. აღმოცენდა და გაძლიერდა მრავალი ქალაქი, ჩამოყალიბდა ეროვნული მუშათა კლასი, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში.

სახალხო მოძრაობა, რომელსაც კავკასიაში მუშათა კლასი ჩაუდგა სათავეში, მიმართული იყო არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც. მეფის თვითმპყრობელობა, რომელიც აბუჩად იგდებდა იმპერიის არარუსი ხალხების ინტერესებს, დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა ყოველგვარი პროგრესის წინააღმდეგ. სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის საქმეში რუსეთის პროლეტარიატის ერთგულ მოკავშირეს და თანამებრძოლს წარმოადგენდა კავკასიის მუშათა

კლასი და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია, რომლებიც ეზიარნენ რუსულ კულტურას. შეითვისეს მარქსიზმის თეორია და უკვე XX ს. დამდეგიდან აწარმოებენ შეურიგებელ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. ასეთ ვითარებაში მეტად თავისებურად განვითარდა კავკასიის ხალხის კულტურაც.

დიდი გავლენა რუსეთისა და კავკასიის ხალხთა კულტურულ ყოფაზე იქონია პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც ისტორიული მოსაბრუნი გახდა არა მარტო რუსეთის (და მათ შორის კავკასიის) ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

როგორც ცნობილია, პირველი მარქსისტული ორგანიზაციები ყუბანის ოლქში და შავიზღვისპირეთის გუბერნიაში შეიქმნა XX ს. დამდეგს, რომლებიც 1904 წელს გაერთიანდნენ რსდმპ ყუბანის კომიტეტში. ამ მოძრაობას სათავეში ედგნენ რუსი რევოლუციონერი მუშები, რომელთა გვერდით აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ძალებიც.

ყუბანის ოლქისა და ადიღეელი ხალხის ისტორიაში მაიკოპი წარმოადგენდა განათლების ერთ უმთავრეს კერას. მაიკოპს არც ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი ჩამორჩებოდა.

XX ს. დამდეგისათვის მაიკოპში იყო ვაჟთა რეალური სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია, 19 დაწყებითი და 8 საეკლესიო-საერო სკოლა. ვაჟთა რეალურ სასწავლებელს 1900-10 წლებში სათავეში ედგა უშინსკის მოძღვრების მიმდევარი ვ. ისტომინოვი, ხოლო ქალთა გიმნაზიას — ქალთა შორის განათლებისათვის დაუღალავი მებრძოლი ე. დომაშევსკაია. 1910 წლისათვის მოსწავლეთა რაოდენობამ მაიკოპის სკოლებში მიაღწია 2173-ს.

ჯერ კიდევ 1895 წელს ქ. მაიკოპში ადგილობრივი ინტელიგენციის ზრუნვით გაიხსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა (ამჟამად ადიღეს ავტონომიური ოლქის ცენტრალური ბიბლიოთეკა), რომლის საწყისი ფონდი შეიქმნა ადგილობრივი ინტელიგენციის შეწირულებებით. ბიბლიოთეკა არსებობდა ქალაქის მმართველობის მიერ გამოყოფილი სახსრებით და საწევრო შესატანით, რომელსაც ბიბლიოთეკით მოსარგებლენი იხდიდნენ. ბიბლიოთეკის ბიუჯეტმა საწევრო შესატანთა ზრდით საგრძნობ თანხას მიაღწია. 1909 წელს წიგნების ძირითადმა ფონდმა მიაღწია 7846 ერთეულს. 1907 წელს ბიბლიოთეკით უსარგებლია 16422 პირს, ხოლო 1909 წელს მკითხველთა რაოდენობამ 36227-ს მიაღწია. ამასთანავე, ვინაიდან ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობა და მშრომელები დაეწაფნენ არალეგა-

ლურ ლიტერატურას, ამიტომ დიდი მოთხოვნილება იყო მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის და სხვათა ნაშრომებზე.

ქ. მაიკოპში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, მაგრამ ამ ნაკლს ავსებდა მოწინავე ინტელიგენციის ინიციატივით ჩამოყალიბებული სახალხო კითხვის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპეციალური კომისია სახალხო ლექტორის ფედია დომაშევსკის მეთაურობით. კომისიაში შედიოდნენ პედაგოგები, ექიმები და სხვ. 1908 წელს, 3 მარტს ამ კომისიის ბაზაზე ჩამოყალიბდა მაიკოპის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ფართო მასებში ცოდნის გავრცელება. 1910 წელს წაკითხულ იქნა 35 ლექცია, რომელსაც დაესწრო 11 050 მსმენელი. იმავე წელს უნივერსიტეტთან გაიხსნა საღამოს კურსები მოზრდილთათვის. ხელისუფლება ამ წამოწყებას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებოდა. პოლიციას არ მოსწონდა ლექტორების საქმიანობა, ამიტომ მალე სახალხო უნივერსიტეტი გაუქმებულ იქნა.

ადიღეს კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა 1907 წელს დაარსებულმა ბუნების მოყვარულთა წრემ, რის საფუძველზე 1909 წელს ორგანიზებულ იქნა სასწავლო-პედაგოგიური მუზეუმი. ამ დაწესებულებას ევალებოდა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესწავლა და დაცვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1898 წელს ქ. მაიკოპში გაიხსნა პუშკინის სახელობის სახალხო სახლი (ამჟამად პუშკინის სახელობის საოპერო თეატრი.) თვით შენობა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ნაგებობაა, აშენდა 1900 წელს არქიტექტორ ფომინის პროექტით. ამ სახლთან თავიდანვე ჩამოყალიბდა სცენისმოყვარულთა წრე, რომლებმაც შექმნეს ნამდვილი სახალხო თეატრი და დგამდნენ მოწინავე იდეებით გაჟღენთილ პიესებს. ექიმი ვ. სოლოვიოვი, რომელიც კარგა ხანს ხელმძღვანელობდა თეატრს, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტი იყო და, ბუნებრივია, გარშემო იკრებდა თავისივე სულისკვეთების ხალხს.

XX ს. დამდეგიდან ქ. მაიკოპში გამოდიოდა რამდენიმე გაზეთი მათ შორის ყოველდღიური „მაიკოპის გაზეთი". შემდეგ გამოდიოდა გაზეთი „მაიკოპის ცხოვრება", რომელიც მოგვიანებით შეიცვალა გაზეთით „მაიკოპის ეხო".

ამავე ხანებში ქალაქში გაიხსნა რამდენიმე კერძო კინოთეატრი

ანუ „ბიოგრაფი“. მათ შორის ცნობილი იყო „პანთეონი“ და „მოდერნი“.

რევოლუციური სულისკვეთების ზრდას ადიღეურ მოსახლეობაში ხელს უწყობდა არა მარტო რუსი რევოლუციონერების დაუღალავი ბრძოლა, არამედ ადგილობრივი რევოლუციური კადრების არსებობაც. რევოლუციური განწყობილება გადაედო ყველა ადიღეელ მოსწავლეს, რომლებიც მაიკოპის სკოლებში სწავლობდნენ. ადიღეელთა შორის იყვნენ პროფესიული რევოლუციონერებიც. მაგ., მოსე შოვგენოვი, ხაკურატე, ხასან გირე და სხვ. მოსე შოვგენოვი პირველი რევოლუციიდან მოყოლებული შეუნელებლად იბრძოდა მარქსისტული იდეების გავრცელებისათვის ადიღეურ აულებში. არანაკლებ დიდი დამსახურება მიუძღვის რევოლუციური მოძრაობის წინაშე ხაკურატეს. იგი სწავლობდა ეკატერინოდარის საფერშლო სკოლაში, იქვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას იგი ითვლებოდა რევოლუციური უკრაინის პარტიის წევრად (РУП), შემდეგ რუპი ორ ნაწილად გაითიშა და ის ჯგუფი, რომელშიც ხაკურატე იმყოფებოდა, შეუერთდა რსდმპ-ს.

ამ საუკუნეშიც ვითარდებოდა ზეპირსიტყვიერება. თავის ნაწარმოებებს ქმნიდნენ ისეთი ცნობილი ჩერქეზი მთქმელები, როგორიც იყვნენ ბაი-მურზა მანაპ ული. მას ეკუთვნის პოემა „პრემენი“. ნეგმატ-აიშატულიმ კი დაწერა პოემა გერმანიასთან ომის შესახებ. აჯი-მოლა ნიგმან-ულის ეკუთვნის პოემა „საპოქალაქო ომი“ და სხვ.

XX ს. დასაწყისისათვის ყაბარდოში საგრძნობლად დაწინაურდა საქალაქო ცხოვრება. გაიზარდა და განვითარდა ქ. ნალჩიკი. სკოლები უკვე ყველა რუსულ-ყაზაკურ სოფელში იყო გახსნილი. სტანიცა პროხლადნაიაში სამხედრო უწყების ხაზით არსებობდა სახელოსნო სასწავლებელი, სადაც 130 ბავშვი ირიცხებოდა. აქ სწავლობდნენ ყაბარდოელი და ბალყარი ბავშვები. 1909—1915 წლებში ადგილობრივი ინტელიგენციის დაუღალავი ბრძოლით გაიხსნა ახალი საერო სასწავლებელი ქ. ნალჩიკში, ყაბარდოელ აულებში ატაჟუკინო I-ში (ახლა ზაიუკოვო), ატაჟუკინო II-ში (ახლა ყიზბუნუნი), ბრამთაში, კასაევოში, ინალოვოში, კლიშბიევო-ნალჩიკსუოეში (ახლა ნართანი), აშაბავოში, ბალყარულ აულ გუნდელენში და სხვ. ამასთანავე ნალჩიკის ერთკლასიანი ვაჟთა და ქალთა სკოლები გადაკეთდა ორ და ოთხკლასიან სასწავლებლებად. 1909 წელს ქ. ნალჩიკის მთიელთა საოლქო სკოლა გადაკეთდა რე-

ალურ სასწავლებლად. (9-წლიანი პროგრამით), სადაც 1915 წ. სწავლობდა 256 მოწაფე.

დიდი როლი ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო განათლების საქმეში შეასრულეს „ნალჩიკის ოლქის ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ (1907 წ.), „ყაბარდოელ და მთიელ ახალგაზრდათა საგანმანათლებლო წრემ“ და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ განათლების საკითხების მოგვარებას ადგილობრივ მოსახლეობაში.

„ნალჩიკის ოლქის ყაბარდოელთა და მთიელთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში მონაწილეობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ისეთი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ი. კარმოვი, ტ. ბლუეევი, პ. ქეშიკოვი, ი. აბაევი და სხვ. საზოგადოების ენერგიული მცდელობით ყაბარდო-ბალყარეთში სახალხო განათლების საქმე საგრძნობლად დაწინაურდა, თუმცა იგი მაინც დიდად ჩამორჩებოდა საერთო რუსული განათლების დონეს.

საერთო სასწავლებლების გახსნას და მათ ნორმალურ მოქმედებას ხელს უშლიდა მუსლიმანური სკოლა-მედრესების ფართო ქსელის არსებობა. XX ს. დასაწყისშიც მეფის ხელისუფლება ამუხრუჭებდა სწავლა-განათლებას ეროვნულ ენებზე და ხელს არ უშლიდა მუსულმანური სკოლების რიცხვის ზრდას, რადგან ამ სკოლებში იგი საერო განათლების წინააღმდეგ ბრძოლის მოკავშირეს ხედავდა. 1914 წლისათვის 97 რელიგიურ სკოლა-მედრესებში სწავლობდა 15 000 ბავშვი. მედრესები და მეჩეთები (1900 წლისათვის ყაბარდოში იყო 97, ბალყარეთში — 40 მეჩეთი) წარმოადგენდნენ მოსახლეობის ფართო ფენების სულიერი დამონების კარგად ორგანიზებულ კერებს, სადაც ბავშვებს უნერგავდნენ ფანატიზმისა და მორჩილების გრძნობას. 1914-16 წლებში ყაბარდო-ბალყარეთში იყო ცდა ახალი ტიპის მუსულმანური სკოლების შექმნისა, მაგრამ ამას არსებითი ნაყოფი მოსახლეობის სასარგებლოდ არ გამოუღია.

პროგრესულად განწყობილი ძალები კარგად გრძნობდნენ, რომ განათლების ყველაზე სწორი საშუალება იყო მშობლიურ ენაზე მოქმედი საერო სკოლები და რუსულ კულტურასთან სიახლოვე. ამიტომაც ადგილობრივი ინტელიგენციის ძირითად მიზანს საერო სკოლების ქსელის გაფართოება წარმოადგენდა. ამ მოღვაწეთა შორის ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო განათლების და კულტურის შემდგომ დაწინაურებას ფასდაუდებელი ღვაწლი დას-

დეს ლ. ლოპატინსკის, ძ. ფახნიევაძა, ხ. ცაგოევაძა, ი. აბაევაძა ბ. კერეტოვმა, ტ. კაშეკეევმა და სხვ.

XX ს. დასაწყისის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ცაგოვის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი დაიბადა თურქეთში (მშობლები იქ იყვნენ ემიგრაციაში), დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ერთხანს მსახურობდა ყაბარდო-ჩერქეზთა ურთიერთდამხმარე სტამბოლის კომიტეტის მდივნად, რედაქტორობდა ჩერქეზულ გაზეთს „გუაზე". არაბული გრაფიკის გამოყენებით შეადგინა ადიღეური ანბანი და დაუცხრომლად იღვწოდა მშობლიურ ენაზე წიგნების გამოსაცემად. მაგრამ თურქეთის მთავრობას არ მოსწონდა მისი ასეთი საქმიანობა, რის გამოც სდევნიდნენ. 1913 წელს ის სამშობლოში დაბრუნდა. სამშობლოში შეამჩნია მუსულმანურ სკოლებში სწავლების დაბალი დონე და სცადა ბაქსანის სასულიერო სკოლაში შემოეღო ახლებური სწავლება, რაც გულისხმობდა ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ყაბარდოს ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლებას. ფანატიკურად განწყობილმა მოლებმა ის ერეტიკოსად მონათლეს და სკოლიდან განდევნეს. მაგრამ მას არ დაუყრია ფარ-ხმალი; მან ყიზბურუნში გახსნა საკუთარი სასწავლებელი, სადაც ძირითადად სწავლა მშობლიურ ენაზე წარმოებდა. დაუღალავი პედაგოგის გარშემო თავი მოიყარეს პროგრესულმა ძალებმა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ნ. ცაგოვი და მისი აღზრდილები იქცნენ საბჭოთა სკოლის პირველ ორგანიზატორებად ყაბარდოში. ის დიდად აფასებდა პროგრესულ რუსულ კულტურას და მხარს უჭერდა იმ გარდაქმნებს, რომლებიც განახორციელა ოქტომბრის რევოლუციამ.

ტ. კაშეკეევმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მან მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ყაბარდო-ბალყარეთის განათლების ორგანიზაციის საქმეს. მან ლ. ლოპატინსკისთან ერთად შექმნა ყაბარდოული ენის მოკლე გრამატიკა და მომხრე იყო ადგილობრივ სკოლებში სწავლა ეწარმოებინათ რუსული გრაფიკით შედგენილი ყაბარდოული ანბანით.. გარდა ამისა, ის ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. მისი ეთნოგრაფიული წერილები «Свободные обряды кабардинцев» და «Хацегуаше, общественное моление об урожае у кабардинцев» შესრულებული იყო მაღალ მეცნიერულ დონეზე. დიდი მუშაობა გასწია ნართების ეპოსის ჩაწერის საქმეში. ის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე, დიდი სიხარულით შეხვდა ოქტომბ-

რის რევოლუციას და აქტიური ჰონაწილეობა ჰიიღო ყაბარდოჰი საბჭოთა სკოლების შექმნა-გაძლიერების საქმეში.

XX ს. დასაწყისის ყაბარდო-ბალყარეთის კულტურული ვითარების დახასიათებისას საგანგებო ყურადღებას იქცევს ბალყარელი განმანათლებლის მისოსტ აბაევის საქმიანობა, რომელმაც გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი ნაშრომი „ბალყარეთი", სადაც მოცემულია ბალყარი ხალხის ეთნოგენეზის საკითხი, მისი ისტორიის ძირითადი მომენტები, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ნაშრომში აღწერილია ხალხური გადმოცემები და ფოლკლორი. ჰ. აბაევის კონცეფციით, ეროვნული პროგრესის აუცილებელი პირობა იყო ხალხთა კეთილმეზობლობა. იგი ახალგაზრდობის ჰუმანისტური იდეებით აღზრდის მომხრე იყო. მისი 1910 წელს გამოქვეყნებული სტატია „ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს" გაისმა როგორც მოწოდება, სადაც ის ბალყარელ ინტელიგენციას და მოწინავე ადამიანებს მოუწოდებს იზრუნოს მშობლიური ხალხის განათლებაზე.

ჩრდ. კავკასიის ხალხების და მათ შორის ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობის განათლების საკითხთან დაკავშირებით დიდი მუშაობა გასწია კომუნისტური პარტიის სახელოვანმა შვილმა ს. კიროვმა, რომელიც 1909—1917 წწ. ვლადიკავკაზში ეწეოდა პარტიულ მუშაობას. იგი ცდილობდა პარტიის რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას. გაზეთ „ტერეკ-ში" გამოდიოდა წერილებით, სადაც მოითხოვდა მშობლიურ ენაზე საყოველთაო განათლების შემოღებას.

XX ს. დასაწყისში ოსეთში კიდევ უფრო განმტკიცდა სწავლა-განათლების საქმე. სკოლების ძირითად კონტინგენტს ქმნიდნენ დაწყებითი და საეკლესიო-სამრევლო სკოლები. 1912 წლისათვის ვლადიკავკაზის ოკრუგში იყო ასეთი ერთკლასიანი სასწავლებელი 41, ორკლასიანი 9. ერთკლასიანი სკოლები უმთავრესად მთის სოფლებში იყო. 1914 წლისათვის ორკლასიან სასწავლებელთა რიცხვი 12-მდე გაიზარდა, მოსწავლეთა რიცხვი კი 1 811-მდე.

XX ს-იდან ოსეთის ზოგ სოფელში გაიხსნა სახალხო განათლების სამინისტროს ერთი და ორკლასიანი სასწავლებლები. საშუალო სასწავლებლების რიცხვი ძალიან იყო შეზღუდული. მათგან ყველაზე პოპულარული იყო არდონის სასულიერო სემინარია და ვლადიკავკაზის ოლოას სახელობის ქალთა სკოლა. 1900—1901 წლებში ამ ქალთა სკოლაში 79 მოსწავლე ირიცხებოდა. მათგან სასულიერო პირთა შვილები იყო 3, სამხედროთა — 8, მასწავ-

ლებელთა —3, დანარჩენი უბრალო წოდებისაგან. რაც შეეხება ეროვნულ შემადგენლობას: 2 ქართველი, 7 რუსი, დანარჩენი ოსები იყვნენ.

1901—1902 წელს სკოლაში შემსვლელთა რიცხვი 109 გოგონა იყო. მათგან მხოლოდ 40 მიიღეს. მაგრამ სკოლების აღნიშნული რიცხვი სრულიადაც არ აკმაყოფილებდა ოსეთის მოთხოვნილებას. მთელი რიგი სოფლები სკოლის გარეშე იყვნენ დარჩენილი. მათ მრავალგზის თხოვნას სკოლის გახსნის შესახებ ადმინისტრაცია უარით პასუხობდა და ხშირად ამ უარის მოტივი იყო ის, რომ „ისინი თავისი ყოფაქცევით“ არ იმსახურებენ სკოლის გახსნას.

ოსეთის სკოლების მასწავლებლების უმრავლესობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის ხალხთან და მასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905-07 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი არა მარტო გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძოდნენ, არამედ სასკოლო საქმის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის. ამ გზაზე ისინი სასტიკ რეპრესიებს განიცდიდნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ თავის კეთილშობილურ საქმეს. ჯერ კიდევ 1902 წ. ალდონის სასულიერო სემინარიის რექტორმა დაითხოვა მიზურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლები ხარიტონ ურუიმაგოვი და ალექსი ცალლაგოვი უბნის უფროსის სტეპანოვის წინააღმდეგ მიზურელთა „წაქეზებისათვის“ .

1905 წლის 16 აგვისტოს ჩრდ. ოსეთის მასწავლებლების არდონის ყრილობამ პეტიცია წარუდგინა ვლადიკავკაზისა და მოზდოკის ეპისკოპოსს გედეონს საეკლესიო-სამრევლო სკოლების გარდაქმნის შესახებ. პეტიცია მოითხოვდა: 1. ოსეთში არსებულ საეკლესიო-სამრევლო სკოლების სახალხო სკოლებად გარდაქმნას; 2. საღვთო რჯულის პროგრამის შემცირებას; 3. სლავური ენის ამოღებას სასკოლო პროგრამიდან; 4. მშობლიური ენის, როგორც სავალდებულო ენის შეტანას; 5. ბუნების, ისტორიისა და სოფლის მეურნეობის ელემენტარული კურსის შეტანას, 6. რუსული ენის, ისტორიის, არითმეტიკის, ხაზვის, ფიზიკის, გეომეტრიის და გეოგრაფიის პროგრამების შეცვლას და დამატებას; 7. დამატებითი არასასკოლო საგნების სახით დაემატოს: ქალთა სკოლებში ხელსაქმე და საოჯახო საქმე, ვაჟთა სკოლებში — გიმნასტიკა, სიმღერა, ხატვა. 8. ამ პროგრამების შემუშავება დაევალოს განსაკუთრებულ კომისიებს, გამოცდილ პედაგოგებს. მათვე შეარჩიონ სახელმძღვანელოები.

მართალია, ეს პროგრამა არ იყო რადიკალური და ამ ფორმითაც ვერ განხორციელდა, მაგრამ იგი მაჩვენებელი იყო ოსეთის მასწავლებლების აქტიური მონაწილეობისა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე სასკოლო საქმის გაუმჯობესების საქმეში. თავისთავად ცხადია, მასწავლებელთა პოლიტიკური აქტივობა საერთო რევოლუციურ აქტივობასთან ერთად იწვევდა მოსწავლეთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

ასეთივე პეტიცია წარუდგინეს პედაგოგიურ საბჭოს ვლადიკავკაზის ქალთა სკოლის მოსწავლეებმაც. ეს პეტიცია გაზეთ „ყაზბეგის" 1905 წ. 24 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა და მთელ ოკრუგში ცნობილი გახდა.

1905 წ. ნოემბერში შედგა ჩრდ. ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებამ მოითხოვა მასწავლებელთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების შექმნა, რუსეთის მასწავლებელთა კავშირის ორგანიზაციასთან კავშირის დამყარება, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, ეპარქიალური უწყების რეაქციულ-ჩინოვნიკური ხელმძღვანელობის გადაყენება. მაგრამ თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა „მავნე იდეების" ქადაგების გამო საზოგადოება დახურა. ამ ყრილობის მუშაობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და ლიბერალურ მოთხოვნებს ვერ გასცდა. მაგრამ მასწავლებელთა ამ მოძრაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო განათლების შემდგომი პროგრესისათვის.

XX ს. დასაწყისი ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმითაც, რომ რევოლუციურ-დემოკრატიული და საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარების შედეგად აღმოცენდა ოსური პერიოდული პრესა, რამაც შემდგომი გაქანება მისცა პუბლიცისტიკის განვითარებას. მაგრამ 1906 წელს ზედიზედ აღმოცენებული ოსური ჟურნალ-გაზეთები ასევე ზედიზედ იხურებოდა.

პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეთ" გამოვიდა 1906 წ. ივლისში. მაგრამ ცხრა ნომრის გამოსვლის შემდეგ დაიხურა, რადგან სტატიებში შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდება დაინახეს. ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ" („ახალი ცხოვრება") გამოდიოდა თბილისში 1907 წ. 8 მარტიდან 31 დეკემბრამდე. 1909 წ. ვლადიკავკაზში გამოდიოდა ოსურ-რუსული გაზეთი „ხაბარ" (ცნობები), რომელიც ასევე მალე დაიხურა და უკვე თებერვლის

რევოლუციამდე ოსურ ენაზე გაზეთი აღარ გამოსულა. ასევე გამოდიოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები: „ზონდ“ (ცოდნა) 1907 წ., „ავსირ“ (თავთავი) 1910 წ., რომლებიც მალე დაიხურა. 1912 წ. პეტერბურგში გამოვიდა ოსური ჟურნალი „ხურითინ“ (მზის სხივი).

დიდი როლი ოსურ ენაზე ლიტერატურის გამოცემის საქმეში შეასრულა ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ „ირმამ“, რომელიც 1906 წ. აღმოცენდა. მიუხედავად მოკლე ხნის არსებობისა, მან გამოსცა ოცამდე დასახელების ოსი მწერლებისა და პოეტების წიგნები. ასეთივე საზოგადოება შეიქმნა თბილისშიც, მაგრამ მან, „ოსური გაზეთის“ გამოცემის გარდა, მხოლოდ ერთი საანბანო წიგნი „ირონ ნიხას“ გამოსცა,

1905 წ. რევოლუციის წინ ოსეთში უკვე იყო მწერლების, მაწავლებლების, ექიმების, იურისტების, ინჟინრების მნიშვნელოვანი ფენა. ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ და ზოგჯერ ცენტრალურ რუსულ პრესაში. ეს ინტელიგენცია თავისი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით ვერ იქნებოდა ერთიანი. 1905-07 წლების რევოლუციამ მათი რიგები ორ ბანაკად — ბურჟუაზიულ-მონარქიულ და დემოკრატიულ ბანაკად გაჰყო.

ოსეთში პროგრესული, დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის განვითარება XX ს. დასაწყისში, ისევე როგორც რუსეთში და სხვა განაპირა მხარეებში, რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ ხდებოდა.

XX ს-ში გრძელდებოდა გ. ცაგოლოვის მგზნებარე პუბლიცისტური მოღვაწეობა. ის დაუნდობლად აშხელდა მეფის ადგილობრივ მოხელეთა საქმიანობას, კოლონიურ პოლიტიკას, აანალიზებდა ოსური სოფლის ღრმა კლასობრივ დიფერენციაციას და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მებრძოლი პოეზია. ამ პერიოდის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ც. გადიევი, ე. ბრიტაევი, შ. აბაევი, ა. ქოცოევი და სხვ. 1907 წ. რევოლუციის შემდეგ ოსურ პოეზიაში გამოჩნდა ს. ბაგრაევის, გ. მალიევის, ა. გულუევის და სხვათა სახელები.

განსახილველი ხანის ოსური მხატვრული ლიტერატურის დამახასიათებელია ის, რომ ცარიზმის ბნელეთის პირობებშიც ის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას, ასახავდა ხალხის საჭიროებებსა და მისწრაფებას, ემსახურებოდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ინტერესებს, თავისი იდეური შინაარსით მებრძოლი იყო.

რაც შეეხება XX ს. დასაწყისის ჩეჩენ-ინგუშეთს, აქ განათლების საქმე, მიუხედავად ზოგიერთი ძვრებისა, დაბალ დონეზე იდგა. მხოლოდ რევოლუციური მოძრაობის აზვირთებამ და ადგილობრივი ინტელიგენციის მომძლავრებამ გამოიწვია ძვრები სახალხო განათლების საქმეში. 1911 წელს გაიხსნა სურხოხის სასწავლებელი. აქედან მოყოლებული 1914 წლამდე ჩეჩენ-ინგუშეთში ზედიზედ გაიხსნა რამდენიმე სკოლა. კერძოდ, 1912 წელს 2 სკოლა ჩეჩნეთში და 2 ინგუშეთში. 1913 წელს 15 სკოლა ინგუშეთში, ხოლო 35 ჩეჩნეთში. 1914 წელს ჩეჩნეთში 3, ხოლო ინგუშეთში 6 სკოლა. 1915 წლისათვის ჩეჩნეთ-ინგუშეთში სულ მოქმედებდა 153 საერო-საგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის 145 დაწყებითი. რა თქმა უნდა, ამ სკოლების უმეტესობა რუსული მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი. თვით ჩეჩენ-ინგუშურ სკოლებშიც სწავლება წარმოებდა რუსულ ენაზე. მთიელთა სკოლებში ძალიან დაბალი იყო პედაგოგიური კადრების მომზადების დონე.

XX ს. დამდეგამდე ჩეჩნეთ-ინგუშეთში არ ყოფილა არც ერთი საშუალო სასწავლებელი. მხოლოდ 1902 წელს გაიხსნა პირველი ქალთა პროგიმნაზია, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. გროზნოს რეალურ სასწავლებელში 1915-14 სასწავლო წელს 562 ბავშვიდან მხოლოდ 15 იყო ჩეჩენი.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდი გავლენა იქონია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ინტელიგენციაზე. ამ პერიოდში გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ვეინახური ინტელიგენციის წარმომადგენლების სულთან ალდიევის, მუსლიმ მაგომაევის, დენილ ბეკ შერიფოვის და სხვათა წერილები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ხალხის განათლებას და სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ოქტომბრის რევოლუციამდე არ მოხერხდა ჩეჩნურ-ინგუშური დამწერლობის შექმნა.

XX ს. დასაწყისში კვლავ ვითარდებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერება. ამ პერიოდის ლექსებში ასახულია რევოლუციური თემატიკა, განვითარდა ლირიკა. კვლავ ძალაში რჩებოდა საგმირო პოეზია. ვეინახური ზეპირსიტყვიერების ბევრი ნიმუში გამოქვეყნდა მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში. ფოლკლორის გვერდით განაგრძობდა არსებობას ხალხური დადგმა-წარმოდგენები. მაგრამ პროფესიული თეატრი ოქტომბრის რევოლუციამდე არ არსებულა. ჩეჩნურ ენაზე პირველი თეატრალიზებული წარმოდგენა მოეწყო გროზნოში 1912 წელს თვითნასწავლი მსახიობის ნაზარ-ბეკ შერიფოვის ხელმძღვანელობით. პიესამ, რომელიც შერი-

ფოვს ეკუთვნოდა, დიდი წარმატებით ჩაიარა. გროზნოს პრესა ამ მოვლენას ინტერესით გამოეხმაურა.

ვეინახური ხალხური მუსიკისა და ხელოვნების ნიადაგზე იყვნენ აღზრდილები მოჰამედ და მუსლიმ მაგომაევები. მოჰამედ მაგომაევმა დაამთავრა გროზნოს მთიელთა სკოლა და შემდეგ გახდა პროფესიონალი მუსიკოსი. შემდგომში ის ასწავლიდა მუსიკას პუშკინის სახელობის გროზნოს სასწავლებელში. მას ეკუთვნის ცნობილი „შამილის ცეკვა", რომელიც პირველად 1913 წელს შესრულდა.

მუსლიმ მაგომაევი ოცი წლის ასაკამდე ცხოვრობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთში, კარგად იცოდა ხალხური პოეზია და მუსიკა. შემდეგ გადასახლდა აზერბაიჯანში და გახდა პროფესიონალი მუსიკოსი. იგი დღეს ითვლება აზერბაიჯანული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლად.

XX ს. დამდეგის მოღვაწეთა შორის ჩეჩნეთ-ინგუშეთში ცნობილი იყო ტამტემირ ელდარხანოვის სახელი. იგი სწავლობდა გროზნოს მთიელთა სკოლაში, შემდეგ ვლადიკავკაზის სახელოსნო სასწავლებელში და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1898 წლიდან კი მასწავლებლობდა გროზნოში — მთიელთა სკოლაში. 1908 წელს გამოსცა რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ჩეჩნური ანბანი. მას ეკუთვნის, აგრეთვე, რამდენიმე სტატია ვეინახური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესახებ. 1906—07 წლებში იგი სახელმწიფო დუმის დეპუტატად აირჩიეს. სახელმწიფო დუმის წინაშე ის გამოვიდა გაბედული სიტყვით, სადაც აკრიტიკებდა მეფის კოლონიურ პოლიტიკას კავკასიაში. მალე ის აიძულეს გროზნოდან წასულიყო და ბაქოში დასახლდა.

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისა და თანაგრძნობისათვის პოლიტიკური ზედამხედველობა დაუწესეს რამდენიმე მასწავლებელს და მათ შორის ჩეჩენ-ინგუშეთში გროზნოს პუშკინის სახელობის სასწავლებლის პედაგოგებს: ბურჭულაძეს, ჭიოკაძეს, მამფორიას, ციციშვილს და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ვეინახთა ინტელიგენცია ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, იგი მაინც ახერხებდა ეკეთებინა თავისი ხალხისათვის სასარგებლო საქმე.

XX ს. დასაწყისში სახალხო განათლების საქმემ დაღესტანში გარკვეული პროგრესი განიცადა. თუ საუკუნის დასაწყისში იყო სულ 26 სკოლა, მათ შორის 14 საქალაქო 1 403 მოსწავლით და

12 სასოფლო —493 მოსწავლით, 1915 წლისათვის მთელს ოლქში უკვე იყო 93 სკოლა, მათ შორის სოფლებში 60—7092 მოსწავლით.

საზოგადოებრივი აზრის გავლენით და საერთო სიტუაციიდან გამომდინარე მეფის ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა. 1912 წელს დაღესტანში გაიხსნა 9, 1913 წელს —13, 1914 წელს 8 სკოლა. შედარებით დაბალი იყო მოსწავლე გოგონათა პროცენტი. სწავლება წარმოებდა რუსულად.

1912 წელს კავკასიის სასწავლო ოლქში დაისახა დიდი გეგმა დაღესტანში სასწავლო დაწესებულებათა გასაფართოებლად, მაგრამ გეგმა განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა, იქ უკვე არსებულმა რუსულმა სკოლებმა უდიდესი წვლილი შეიტანა და იქაური ახალგაზრდობა აზიარა რუსეთის პროგრესულ კულტურას. 1904 წელს დაღესტანში გაიხსნა პირველი პროფესიონალური სკოლა (მებაღეობის სასწავლებელი). 1905 წელს გაიხსნა პეტროვსკში ელექტროტექნიკური სასწავლებელი, რომელიც 1908 წელს უსახსრობის გამო ხარკოვში გადაიტანეს.

გარკვეული ყურადღება ექცეოდა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. თემირ-ხან-შურაში მოქმედებდა ერთწლიანი პედაგოგიური კურსები.

გარდა რუსული სკოლისა, დაღესტანში მოქმედებდა მუსლიმანური სასწავლებლები, რომელთა საერთო რიცხვი ოქტომბრის რევოლუციამდე 740-ს აღწევდა, ხოლო მეჩეთების რიცხვი — 1700-ს.

1902 წელს თემირ-ხან-შურაში დაარსდა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნებიც, მათ შორის ავარულ, დარგულ, ყუმიყურ და ლაკურ ენებზე. 1906-07 წლებში პეტროვსკში გამოდიოდა გაზეთი „დაღესტანი“. 1909 წლიდან დაარსდა „Дагестанские областные ведомости“, ხოლო 1913 წელს არაბულენოვანი გაზეთი „დაღესტანი“.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა დაღესტნის პირველი პროგრესული გაზეთი „Заря Дагестана“, რომელიც 1913—14 წლებში იბეჭდებოდა პეტერბურგში (რედაქტორი ს. გაბიევი). დაღესტნის სინამდვილე კარგად შუქდებოდა „მუსულმანურ გაზეთშიც“, რომელსაც ს. გაბიევი ხელმძღვანელობდა.

1900 წელს პეტროვსკში გაიხსნა პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, ხოლო 1914 წლისათვის ბიბლიოთეკათა რიცხვმა 16 მიაღწია 70 ათასი საერთო წიგნადი ფონდით. ამ ბიბლიოთეკათა უმეტესობა სასკოლო იყო.

1912 წელს რუსი ექიმის ი. კოსტომარევის ინიციატივით დაღესტნის ოლქში დაარსდა პირველი მუზეუმი.

ადგილობრივი ინტელიგენციის ზრდა და სათანადო სპეციალისტთა მომრავლება საშუალებას იძლეოდა კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გაშლილიყო სამეცნიერო კვლევა-ძიება. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ რუსული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ს. გაბიევი, ბაშირ დალგათი, დ. ბუტაევი და სხვ., რომლებიც აგრძელებდნენ ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალების შეკრება-პუბლიკაციას და წერდნენ ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომებს. 1906 წ. ს. გაბიევმა გამოსცა ნარკვევი „ლაკები, მათი წარსული და ყოფა", სადაც საკითხის ღრმა ცოდნით, წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით მოცემულია ლაკების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ისტორია უძველესი დროიდან XX ს. დამდეგამდე. ს. გაბიევი ქადაგებდა სოციალურ თანასწორობას და მშრომელი მასებისადმი პატივისცემის იდეას. კავკასიის პრესაში ის სისტემატურად ბეჭდავდა ეთნოგრაფიულ და ისტორიულ წერილებს, განსაკუთრებით 1909-14 წლებში.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბ. დალგათის ეთნოგრაფიული გამოკვლევები. ის მარტო დაღესტნის თემატიკით როდი ისაზღვრებოდა. ხშირად მისი ნაშრომები ეხებოდა მთელს ჩრდ. კავკასიას. მის ეთნოგრაფიულ ნაშრომებს შორის გამოირჩევა «Материалы по обычному праву даргинцев», «Цудахарские песни», «Первобытная религия чеченцев».

ბ. დალგათის შემოქმედებით წარმატებას ხელს უწყობდა ის, რომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსული კულტურის ისეთ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ მ. კოვალევსკი და ვ. მილერი. მშობლიური კულტურის შესწავლის საქმეს დიდი ღვაწლი დასდო დ. ბუტაევმა, რომელმაც დაღესტნის ხალხთა ისტორიის, ყოფის და კულტურის შესახებ არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა.

დაღესტნის კულტურული ცხოვრების შეფასებისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მთელს ჩრდ. კავკასიაში ეს მხარე იყო ერთადერთი, სადაც მაჰმადიანობამ ძალზე მძლავრად მოიკიდა ფეხი და რომ აღმოსავლური კულტურისა და იდეოლოგიის გავლენა ამ მხარეს ოქტომბრის რევოლუციამდე შემორჩა.

საერთოდ, XX ს. დასაწყისის ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურა და საზოგადოებრივი აზრი ვითარდებოდა რუსული დემოკრა-

ტიული კულტურის გავლენით. ჩრდ. კავკასიის კულტურული და საზოგადო მოღვაწენი თავის ქვეყანას და ხალხს განიხილავდნენ როგორც რუსეთის ორგანულ ნაწილს. XX ს. დასაწყისის ჩრდილო კავკასიის საზოგადოებრივი აზრი აღმოჩნდა იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც მის წინაშე აყენებდა განმათავისუფლებელი მოძრაობა. მან დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის ხალხს — დაკავშირებოდა რუსი ხალხის რევოლუციურ მოძრაობას, დამდგარიყო მუშათა კლასის რევოლუციური დროშის ქვეშ და თავისი წვლილი შეეტანა დიდი ოქტომბრის გმირულ მატიანეში.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

პირველი ნაწილი

ჩრდილო კავკასიის ხალხები რეფორმამდელ ხანაში 5

პირველი თავი. ჩრდილო კავკასიის ხალხები 1801—1826 წლებში 5

მეორე თავი. ჩრდილო კავკასიის ხალხები კავკასიის ომის პერიოდში 45

§ 1. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1828—1839 წწ. პერიოდი) 45

§ 2. ადიღეელი ტომების ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ 1828—1852 წწ. 50

§ 3. „შამილის ბრწყინვალე ეპოქა" (1840—1846 წწ.) 55

§ 4. კრიზისის დასაწყისი (1846—1852 წწ.) 64

§ 5. ჩრდილო კავკასია ყირიმის ომში (1853—1856 წწ.). . . . 65

§ 6. კლასობრივი ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში 72

§ 7. კავკასიის ომის დამთავრება (1857—1864 წწ.) 77

მეორე ნაწილი

საადგილმამულო-საგლეხო რეფორმა ჩრდილო კავკასიაში 83

პირველი თავი. აგრარული რეფორმა 83

§ 1. რეფორმის წანამძღვრები 83

§ 2. აგრარული რეფორმა 86

მეორე თავი. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება . . 110

§ 1. ბატონყმობის შეზღუდვა 110

§ 2. მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა 114

§ 3. ყმათა უფლება-ვალდებულებანი 116

§ 4. ყმათა ყიდვა-გაყიდვის წესი 123

§ 5. საგლეხო რეფორმის დებულების შემუშავება 124

§ 6. ბატონყმობის გაუქმება 128

§ 7. რეფორმის მნიშვნელობა . . . 137

მესამე ნაწილი

ჩრდილო-კავკასია XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში . . 138

პირველი თავი. პოლიტიკური ვითარება ჩრდილო კავკასიის რეფორმისშემდგომ ხანაში 133

§ 1. კავკასიის ომის დასრულება და მთიელთა გადასახლება თურქეთში 138

§ 2. ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის რეფორმები . . . 141

§ 3. ჩრდილო კავკასიის კოლონიზაცია 149

მეორე თავი. ჩრდილო კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 152

§ 1. ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური განვითარება (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა) 152

§ 2. სოციალური ვითარება ჩრდილო კავკასიაში რეფორმისშემდგომ ხანაში 180

ა) ცარიზმის დამოკიდებულება მთიელთა სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავება 180

ბ) წოდებრივ ურთიერთობათა საკითხი 188

გ) ცარიზმის მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხთა კოლონიური ექსპლოატაცია და ჩაგვრა 193

მესამე თავი. ჩრდილო კავკასიის მთიელთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის 198

§ 1. მთიელთა ბრძოლა კლასობრივი და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ 198

§ 2. ხალხოსნური მოძრაობა 212

§ 3. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დასაწყისი . . 216

მეოთხე ნაწილი

ჩრდილო კავკასია XX ს. დამდეგს (1901—1917 წწ. თებერვალი) 220

პირველი თავი. ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური განვითარება XX ს. დამდეგს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა) . . 220

მეორე თავი. სოციალური ვითარება ჩრდილო კავკასიაში XX ს. დამდეგს 234

მესამე თავი. რევოლუციური მოძრაობა ჩრდილო კავკასიაში 1900—1907 წწ.) 244

§ 1. მარქსისტული იდეების გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა და ორგანიზაციების შექმნა ჩრდილო კავკასიაში 244

§ 2. ჩრდილო კავკასია 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში 249

მეოთხე თავი. პოლიტიკური ვითარება ჩრდილო კავკასიაში 1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1907—1917 წწ. თებერვალი) 272

§ 1. ჩრდილო კავკასია რეაქციის პერიოდში (1907—1910 წწ.) . . 272

§ 2. ჩრდილო კავკასია ახალი რევოლუციური აღმაღლობის წლებში (1910—1914 წწ.) 277

§ 3. ჩრდილო კავკასია პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914—1917 წ. თებერვლამდე) 288

მეხუთე ნაწილი

ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX—XX სს. დამდეგს . . 290
პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი. ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX ს. I ნახევარში. 290
მ ე ო რ ე თ ა ვ ი. ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XIX ს. II ნახევარში 297
მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი. ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა XX ს. დასაწყისში 313

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ს. წახნაგია

გადაეცა წარმოებას 10.5.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.11.1978;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 20.75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.95

უე 01695; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 1609;

ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19